

K264-282  
3



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

როგორ  
იქმნება

კრწან





ეროვნული  
ბიბლიოთეკა









राष्ट्रीय शिक्षण अनुसंधान परिषद  
एन सी ई आर टी ई  
एन सी ई आर टी ई  
एन सी ई आर टी ई  
एन सी ई आर टी ई

LEGISLATIVE  
DRAFTING



34.  
340.13  
b-72

PAATA TSNOBILADZE  
GIORGI KHUBUA  
VAKHTANG KHMALADZE  
NANA METREVELI  
OTAR KAPANADZE



# LEGISLATIVE DRAFTING

*AZRI Publishers*

Tbilisi  
2000



ჰაატა ცნობილადე რქონეწუწი  
 გიორგი ხუბუტაძე გუგუნიძე  
 ვახტანგ ხმალადე  
 ნანა მეტრეველი  
 ოთარ კაპანაძე

**როგორ იძენება  
 კანონი**

გამომცემლობა პურნი



Handwritten text on the left margin, partially obscured and difficult to read.



წიგნის გამოცემა დააფინანსეს:

ფონდმა „ლია საზოგადოება – საქართველო“ და  
საკონსტიტუციო და საკანონმდებლო პოლიტიკის ინსტიტუტი

ეროვნული  
კონსტიტუციური  
ინსტიტუტი



ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“  
Open Society – Georgia Foundation

CONSTITUTIONAL  
AND LEGAL  
POLICY  
INSTITUTE

**ავტორები:**

პაატა ცხომილაძე (პირველი გამოცემის შესავალი, თავი II)  
ბიორბი ხუბუა (თავები I, IV)  
ვასტანბ ხმალაძე (თავი III)  
ნანა მებრძველი (თავი V)  
ოთარ კაპანაძე (თავი VI)

**რედაქტორები:** ირაკლი ჩიქოვანი, ოთარ კაპანაძე

**მატყარი** ვასტანბ რურუა

კომპიუტერული უზრუნველყოფა ივანე კიკნაძე

**გამომცემლობა** პური


თბილისი, შერაბ კოსტავას 14, I სართული

ტელ.: 99 01 06; ფაქსი: 98 97 87; ელ. ფოსტა: mcrc@ip.osgf.ge

ყველა უფლება დაცულია.

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით,  
იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოაბრისის გადაღება და  
მეგნიტურ მატარებელზე ჩაწერა, არ შეიძლება გამოყენებულ ან  
გადამკვეთ იქნეს საავტორო უფლების მქონის  
წერილობითი ნებართვის გარეშე

- © ავტორები, თავების მიხედვით 2000
- © ყდა და ტიტული ვატიანე რურუა 2000
- © გამომცემლობა პური 2000



ISBN 99928 70 18 4

საქართველოს  
კონსტიტუციის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



წინამდებარე წიგნი ეხება საკანონმდებლო პროცესისა და საკანონმდებლო ტექნიკის სრულყოფის საკითხებს საქართველოში. გაანალიზებულია როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების, გამოცდილება, ისე საქართველოში არსებული პრაქტიკა. ეს არის პირველი ცდა ამგვარი სახის გამოცემისა, რომელშიც ასევე მკაფიოდ არის წარმოჩენილი კანონის ენის პრობლემემატიკასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.

წიგნი განკუთვნილია იურისტებისათვის, ყველა დონის წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატებისათვის, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში მომუშავე პირთათვის, იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის.

თავი 1. კანონის არსი

1. კანონის ენა და სტრუქტურა
2. კანონის საპარლამენტო პროცესი
3. კანონის აღმასრულებელი

თავი 2. საკანონმდებლო პროცესის ტერმინული ანალიზი

1. საკანონმდებლო პროცესი
2. საკანონმდებლო პროცესის ენა
3. საკანონმდებლო პროცესის სტრუქტურა

**როზორ იძვნივა კანონი**



შემოკლებათა განმარტება 14

შესავალი 15

თავი I: კანონის არსი

1. კანონის ცნება და სახეები 23
2. კანონი სამართლებრივ სახელმწიფოში.  
კანონის უზენაესობა 28
3. კანონი და პოლიტიკა 39

თავი II: საკანონმდებლო პროცედურების  
შედარებითი ანალიზი

1. რას ეწოდება საკანონმდებლო  
პროცესი? 49
2. საკანონმდებლო ინიციატივა 52
3. კანონპროექტის განხილვა 61



ქართული  
ენების ინსტიტუტი

4. კანონის მიღება 72
5. კანონის დამტკიცება, პრომულგირება და გამოქვეყნება 81
6. ვეტოს უფლება 85
7. სპეციალური პროცედურები ცალკეული კანონებისათვის 90
8. საკანონმდებლო პროცედურების სპეციფიკა საფინანსო სფეროში 98

### თაზი III: საკანონმდებლო პროცესი საქართველოში

1. ზოგადი მიმოხილვა 105
2. საქართველოს სამართლებრივი აქტების სისტემა
  - 2.1 საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტები და მათი მოქმედების არე 110
  - 2.2 ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლება 116
  - 2.3 ნორმატიული აქტები და მათი იურარქიული ურთიერთდამოკიდებულება 120
3. ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება და წარდგენა
  - 3.1 ნორმატიული აქტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის რეგლამენტირება 128





3.2 პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს  
 ნორმატიული აქტის პროექტი 130

3.3 პარლამენტისათვის კანონპროექტის  
 წარდგენა 133

3.4 კანონპროექტის მომზადება და საქართველოს  
 პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო  
 ინიციატივით მისი წარდგენა 134

3.5 საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის,  
 ბრძანებულებებისა და ბრძანებების  
 პროექტის მომზადება 137

3.6 საქართველოს მინისტრის, აღმასრულებელი  
 ხელისუფლების სხვა სამთავრობო  
 დაწესებულებების ხელმძღვანელის  
 ბრძანების პროექტის მომზადება 141

4. კანონპროექტისა და ნორმატიული  
 ხასიათის დადგენილებების პროექტის  
 განხილვა პარლამენტში

4.1 პარლამენტისათვის წარდგენილი  
 კანონპროექტისა და საკანონმდებლო  
 წინადადებების განხილვის სტადიები 144

4.2 საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი  
 კანონპროექტის განხილვა პარლამენტის  
 კომიტეტში 145

4.3 საკანონმდებლო წინადადებების განხილვა  
 პარლამენტის კომიტეტებში 147

4.4 პარლამენტის აპარატის იურიდიული  
 დეპარტამენტის დასკვნა და საორგანიზაციო  
 დეპარტამენტის ინფორმაცია 148

4.5 ალტერნატიული კანონპროექტი 149



- 4.6 კანონპროექტის განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 149
- 4.7 კანონპროექტის განხილვა გამარტივებული ან დაჩქარებული წესით 153
- 4.8 ნორმატიული ხასიათის დადგენილების პროექტის განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 153
- 4.9 ცვლილებების და/ან დამატების შეტანა კანონში. კანონის გაუქმება 154
- 4.10 საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა 156
- 4.11 საგანგებო და საომარ მდგომარეობასთან, ომსა და ზავთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვა. სამხედრო ძალთა რაოდენობის დამტკიცების საკითხთა განხილვა 157
- 5. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა და მიღება 160
- 6. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება და მისი მოქმედების შეწყვეტა ან შერყევა
  - 6.1 საერთაშორისო ხელშეკრულების დადება 166
  - 6.2 საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა ან შერყევა 173
- 7. ლობისტური საქმიანობა 176
- 8. პარლამენტის მიერ ნორმატიული აქტის მიღება 178
- 9. კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების ხელმოწერა 180



10. ნორმატიული აქტის გამოქვეყნება 182
11. ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვა 186
12. ნორმატიული აქტის ძალაში შესვლა 188
13. ნორმატიული აქტის მოქმედების ზოგადი ნორმები 191
14. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების იურიდიული ძალა 193
15. სასამართლოს როლი საკანონმდებლო პროცესში 195
16. „ერთობლივ გამგებლობის მიკუთვნებულ საკითხთა“ ცნების გაგებისათვის 198

#### თაზი IV: კანონმდებლობის თეორია, მეთოდოლოგია და საკანონმდებლო ტექნიკა

1. კანონმდებლობის თეორია თანამედროვე დასავლეთში – ძირითადი მიმართულებები და განვითარების პერსპექტივები 203
2. კანონმდებლობის თეორიის ისტორიული განვითარება 207



3. კანონმდებლობის თეორია თანამედროვე ეტაპზე 209
4. კანონმდებლობის მეთოდოლოგია 215
5. საკანონმდებლო ტექნიკა 218
6. სამართალი და ენა 219
7. სამართლის ენა, როგორც მეტაენა 224
8. კანონის ენა, როგორც დარგობრივი ენა 227
9. კანონის ტექსტის გაგების ასპექტები 230
10. როგორ უნდა დაიწეროს კანონი უფრო გასაგებად 233

**თაზი V: კანონი და ენათმეცნიერება**

1. კავშირების, ნაცვალსახელების, ნაწილაკების, სასვენი ნიშნების სმარება 239
2. პუნქტუაცია 246
3. ფრჩხილებში ჩასასმელ სიტყვასთან ან სიტყვათა ჯგუფთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი 254
4. კანონის სტილი 262
5. სიტყვის სემანტიკური და იურიდიული მნიშვნელობა 277

6. ქართული ენის თავისებურებანი,  
განმარტებები 284

თავი VI: ენის ნორმების  
გავრცელებული დარღვევები

1. გავრცელებული დარღვევები.  
როგორ ავიცილოთ ისინი თავიდან 290
2. თარგმნის ტექნოლოგია 388

ბიბლიოგრაფია 403

საძიებელი 413



ბინეტიონი: IV 0860

- ავტ. — ავტორი
- ა. შ. — ასე შემდეგ
- აშშ — ამერიკის შეერთებული შტატები
- გვ. — გვერდი
- და სხვ. — და სხვა
- ე. ი. — ესე იგი
- ე. წ. — ვერეთ წოდებული
- თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- თხზ. — თხზულება
- იხ. — იხილე
- კითხვ. ნაცვალს. — კითხვითი ნაცვალსახელი
- მაგ. — მაგალითად
- მისთ. — მისთანანი, მისთანათა
- მნიშვ. — მნიშვნელობა
- მუხ. — მუხლი
- მშ. — მხოლოდობითი რიცხვი
- პროფ. — პროფესორი
- სამხ. — სამხედრო
- საპირისპ. — საპირისპირო
- საუბ. — სასაუბრო
- ტ. — ტომი
- ქველ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
- შდრ. — შეადარე
- შემოკლ. — შემოკლებით, შემოკლებული
- წიგნ. — წიგნური
- ძვ. — ძველი

1997 წლის გაზაფხულზე ქ. თბილისში ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოსა“ და საკონსტიტუციო და საკანონმდებლო პოლიტიკის ინსტიტუტის – COLPI (ქ. ბუდაპეშტი) ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „კანონშემოქმედების პრობლემები – რეალობა და განვითარების პერსპექტივები“, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, იუსტიციის სამინისტროს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მრგვალი მაგიდის კონცეფცია მუშავდებოდა, პირველყოელისა, არსებული სახელმწიფო-სამართლებრივი პროცესების გათვალისწინებით. სახელმწიფოს მოდერნიზებასა და სამართლებრივ რეფორმასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა საკანონმდებლო პროცესის სრულყოფის საკითხები დემოკრატიულ სახელმწიფოთა გამოცდილების გათვალისწინებით, რაც შემდგომში იქცა კიდევ დისკუსიისა და მეცნიერული კვლევის საგნად.

ვერაინ ვერ გახდის დღეს სადავოდ იმ აშკარა ფაქტს, რომ ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობა, ისევე როგორც მთელი მისი სამართლებრივი სისტემა, სარკესავით ირეკლავს და ამჟღავნებს მის რეალურ საზოგადოებრივ ყოფას, იდეურ ღირებულებებსა და ტრადიციებს. მით უფრო აქტუალურია ეს თემა, როცა საუბარი ეხება საქართველოს და მის სწორ ქვეყნებს, რომლებიც სულ რამდენიმე წელია დაადგნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი გან-



ვითარებისა და ეროვნული სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბების გზას.

კანონშემოქმედება კი სამართალშემოქმედების ცენტრალური და საბაზისური ელემენტია. კანონშემოქმედებაში, ისევე როგორც საზოგადოებრივი მმართველობის სხვა სფეროებში, არაკომპეტენტურობა, ბრმა მიმბაძელობა, საკითხების გადაწყვეტისას მეცნიერული და პრაგმატული მიდგომების არასაკმარისი ფლობა არის მტერი, რომელსაც შეურიგებლად უნდა ვებრძოლოთ. ამ სფეროში დაშვებული შეცდომების ფასი ძალიან ძვირია, რომელსაც მოჰყვება არა მხოლოდ მიძიმე მატერიალური შედეგები, არამედ უარყოფითი ემოციური განცდებიც, რომელთა კვალი ან ძნელად იშლება, ან სულაც გამოუსწორებელია. ამიტომ, საქმიანობის ამ სფეროში, შეუწყნარებელია ქარაფშუტობა, ზერელობა, დილეთანტიზმი, სუბიექტივიზმი. ავიღოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ დღესაც აქტუალურია სამართლებრივი მასივის წინააღმდეგობათა პრობლემატიკა. ხშირ შემთხვევაში, დაუდევრობისა და აჩქარების გამო, ერთმანეთს ეწინააღმდეგება არათუ სხვადასხვა ნორმატიული აქტი, არამედ ერთი და იმავე ნორმატიული აქტის სხვადასხვა ნორმები. სამწუხაროდ, როცა არსებობს წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციას და საკანონმდებლო აქტებს და, მეორე მხრივ, საუწყებო აქტებს შორის, პრაქტიკაში ის ყოველთვის როდი წყდება პირველის სასარგებლოდ. ასეთი წინააღმდეგობების მთელი კომპლექსი განაპირობებს სამართალგამოყენების სირთულეებს მაშინაც კი, როცა არის სამართლებრივი ნორმების კეთილსინდისიერად შესრულების ცდა, რაც ქმნის არამართლზომიერი მოქმედების ჩადენის შესაძლებლობას აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების თანამდებობის პირების მიერ. საუწყებო აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობის პრობლემა მოითხოვს მეტ ყურადღებას და რადიკალურ ზომებს, თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს შევაჩეროთ ჩინოვნიკური თვითნებობა, კორუფცია, ეკონომიკური ხასიათის დანაშაულობანი და სხვა.

გამოსავალი აქ ერთია: რადიკალურად შეიზღუდოს სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების კანონშემოქმედებითი საქმიანობა, მაგრამ არა ამ უფლების ჩამორთმევის გზით, არამედ საკანონმდებლო მოწესრიგების დეტალიზაციის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში არ უნდა შეგვეშინდეს კანონშემოქმედებითი საქმიანობის გართულების და მისი ტემპის შე-





ყოვნებისა, რაც საფუძვლად დაედება მოცულობითი და დაწვრილებითი შინაარსის შემცველი კანონების შექმნას. სხვა შემთხვევაში, მოუხედავად კონსტიტუციური დეკლარაციებისა კანონების დაპირი მოქმედების შესახებ, პრაქტიკაში უწინდებურად იქნება გამოყენებული ინსტრუქციები, დებულებები, წერილები, დეპეშები და სამინისტროებისა და უწყებების სხვა დოკუმენტები.

პრობლემის სხვა მხარეა უამრავი მითითებითი ნორმა თვით კანონებში. გამოდის, რომ კანონმდებელი გაურბის სამართლებრივი მოწესრიგების დეტალიზაციას და ამით თვითონ ქმნის კანონის მოქმედების შემდგომი დამუხრუჭების წინაპირობას, ვინაიდან ზოგადი „მცურავი“ წესები არ იქნება სწორად გაგებული სამართალგამოყენების სფეროში დამატებითი განმარტებების გარეშე. სწორედ ამ დროს „დამხმარედ“ გვევლინება უამრავი კანონქვემდებარე აქტი. ამით წაგებული რჩება ახალ კანონებში ჩადებული საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების სტრატეგია. იმის გამო ხომ არ მიდის ასე რთულად და წინააღმდეგობრივად ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების რეფორმირება, რომ ბიუროკრატიულ აპარატს ჯერ კიდევ აქვს საკმარისი შესაძლებლობა საკუთარი ინტერესებისათვის შეაფერხოს პრაქტიკულად ნებისმიერი კანონის მოქმედება? არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ სწორედ კანონი წარმოადგენს დემოკრატიის იურიდიულ ფორმას და არა ქვეკანონური აქტები, რომლებიც აფერხებენ მათ მოქმედებას. ამიტომ საქართველოს პარლამენტის პროფესიული, დაფიქრებული, პოლიტიკური ამბიციებისაგან თავისუფალი მუშაობა დღეს პაუზირით სჭირდება ჩვენს საზოგადოებას.

გარდა ამისა, ეროვნული სამართლის სისტემა თამამად შეიძლება ჩაითვალოს ერის კულტურის ნაწილად. ყოველი სამართლებრივი კულტურა კი შეიმუშავებს თავის საკუთარ ენას. ამ საკითხის შეუფასებლობა იწვევს იმას, რაზეც წერს ერთი ავტორი: „კანონები იწერება რალაცნაირ გაუგებარ ენაზე, მაშინ როცა სამართალს საქმე აქვს ყოველდღიური ცხოვრების ფაქტებთან და მოვლენებთან. კანონებში კი გამოიყენება ჟარგონი, რომელსაც ჩიხში შეჰყავს ჩვეულებრივი განათლებული ადამიანი.“

ამდენად, ლინგვისტური ასპექტი ხშირად აღმოცენდება სიტყვების იურიდიული მნიშვნელობის განხილვისას, თანაც არა მხოლოდ მშობლიურ ენაზე ინტერპრეტირებისას, არამედ სხვა ენაზეც.

Handwritten notes in the left margin, including the number '2013' and some illegible characters.

\* Фред Роден, „Горе тебе, юрист!“, стр. 191, Н., 1996.





მათი იდენტიფიცირებისას. აბა, წარმოიდგინეთ სიტუაცია, როცა ხელშეკრულების დადებისას საქართველოში ამერიკელი და ფრანგი იურისტები ხარჯავენ უამრავ დროს ინგლისურ ენაზე იმასთან დაკავშირებით, თუ რა პირობები უნდა ჩაიღოს ხელშეკრულებაში. მისი ხელმოწერის ერთი დღით ადრე მომზადებულია დოკუმენტის ქართული თარგმანი და ქართველი მთარგმნელი უცხადებს უცხოელ პარტნიორებს, რომ ქართულ ენაში სამი სხვადასხვა ცნების აღსანიშნავად არის მხოლოდ ერთი ტერმინი.

ასეთი პრობლემებისაგან არც შიდასაკანონმდებლო პროცესებში არის ვინმე დაზღვეული. მით უმეტეს, საქართველოს ევროპის სტრუქტურებში გაერთიანების პირობებში, როცა ქართულ ენაზე გამოცემული საკანონმდებლო აქტების შინაარსის ზედმიწევნით ზუსტად თარგმნა ბევრად განაპირობებს ჩვენი საკანონმდებლო კულტურის დადებითად წარმოჩენასა და ავტორიტეტის ამაღლებას.

ამ თვალსაზრისით თამამად შეიძლება ითქვას, რომ მკითხველისათვის წარმოდგენილი წიგნი და განსაკუთრებით მისი მეოთხე-მეხუთე-მექვეთავები, შეიცავს უნიკალურ მასალას ქართული იურიდიული სწორმეტყველებისა, რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს საკანონმდებლო ტექნიკის განვითარებას. ეს არის პირველი ცდა, მკაფიოდ წარმოჩნდეს კანონის ენის პრობლემატიკა და მასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორცაა ენა და მეტაენა, თარგმნის ტექნოლოგია და ა.შ.

წიგნის შეზღუდული მოცულობის გამო ჩვენ ვერ შევძელით ამოგვეწერა განსახილველი საკითხების შინაარსი, თუმცა შეძლებისდაგვარად გავითვალისწინეთ აღნიშნული პრობლემატიკის ყველაზე აქტუალური და აუცილებელი ასპექტები. ამდენად, წიგნი ვერ დააკმაყოფილებს ქართველი მკითხველის ინტერესს სრული მოცულობით, მაგრამ ის აუცილებლად დაეხმარება მას კანონშემოქმედებითი პროცესის ურთულეს ლაბირინთებში ორიენტირებისას.

და ბოლოს, მე, როგორც ამ პროექტის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, დიდი მადლობა მინდა გადაუხადო ბატონებს: ირაკლი ჩიქოვანს, ოთარ კაპანაძეს, ვახტანგ ხმალაძეს, გია ხუბუას და ქალბატონ ნანა მეტრეველს მათთან თანამშრომლობისა და იმ პროფესიული სიახლოვნებისთვის, რაც მთელი ასეთი თანამშრომლობის პროცესში. სწორედ მათი ძალისხმევითა და დაძაბული შრომის შედეგად დაიწერა და მომზადდა ეს წიგნი.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ სამართლის პროგრამის კოორდინატორის ქალბატონ ხათუნა ხვიციას გულისხმიანობასა და მხარდაჭერას, რომლის მეშვეობით ავტორთა კოლექტივს შეეძინა წიგნზე მუშაობისა და პროექტის დაუბრკოლებლად განხორციელების ყველა საჭირო პირობა.

მინდა მადლობა მოვახსენო ასევე ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ და კონსტიტუციური და საკანონმდებლო პოლიტიკის ინსტიტუტს – COLPI (ქ. ბუდაპეშტი), რომელთა ფინანსური მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა წიგნის მომზადება და გამოცემა.

### პაატა ცნობილება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის  
დეკანის მოადგილე, სამართლის თეორიისა და  
კონსტიტუციური სამართლის კათედრის დოცენტი,  
საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი

თავი I

## კანონის არსი

## 1. კანონის ცნება და სახეები

ქართულ ენაში სიტყვა „კანონი“ ბერძნულიდან შემოვიდა. ბერძნულ ენაში კანონს თავდაპირველად ზუროს ხის იარაღს უწოდებდნენ, რომელიც სისწორის გასაგებად გამოიყენებოდა. შემდეგ საბერძნეთში სამართლის წიგნებსაც „კანონის“ ცნებით აღნიშნავდნენ, რამდენადაც იგი სათნოებისა და ბოროტმოქმედების საზომად ითვლებოდა. ქართულ სამართალში „კანონს“ მრავალგვარი მნიშვნელობა ჰქონდა — იგი აღნიშნავდა სამართლის წიგნის მუხლს, თვით ამ კანონების კრებულსაც, სასამართლო წიგნს ან ძველსაც, სადაც კანონები მოიპოვებოდა. ერთ დროს მას სასჯელის მნიშვნელობაც მიენიჭა.

უპირატესად კანონის ფორმით წყდებოდა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-21 წწ.), სადაც მეტად მრავალმხრივი, ინტენსიური საკანონმდებლო საქმიანობა გაიშალა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე. მარტო 1918 წლის 2 მაისიდან 1919 წლის 1 იანვრამდე მიღებულ იქნა 128 კანონი. კანონებს იღებდა ჯერ ეროვნული საბჭო, შემდეგ კი პარლამენტი. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედებდა კანონთა შემუშავებისა და გამოქვეყნების საკმაოდ დახვეწილი სისტემა. იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით იგი დღესაც იწვევს გარკვეულ ინტერესს. ეროვნული საბჭოს რეგლამენტში, რომელიც მოიცავდა 172 მუხლს, დეტალურად იყო რეგლამენტირებული საკანონმდებლო პროცესის ცალკეული სტადიები. მასში ცალკე ნაწილად იყო გამოყოფილი საკანონმდებლო საქმეთა განხილვის წესი, ასევე ცალკე ნაწილი ჰქონდა დათმობილი იმ საკითხების განხილვას, რომელთაც არ ჰქონდათ საკანონმდებლო ხასიათი. სანამ კანონის პროექტს გა-



იტანდნენ საბჭოს სსდომაზე, აუცილებელი იყო მესრე წყნანწყანად: [[ განხილვა შესაბამის კომისიაში, რომელიც ამ განხილვის შედეგად წარმოადგენდა სათანადო მოხსენებას. მოქმედებდა კანონპროექტის ორჯერ განხილვის წესი.

კანონშემოქმედებითი საქმიანობა დამოუკიდებელ საქართველოში იმთავითვე დემოკრატიული მიმართულებით ვითარდებოდა. აღნიშვნის ღირსია ამ პერიოდში გამოქვეყნებული თეორიული ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც მოწინავე იურიდიული აზროვნების დონეზე განხილული როგორც კანონშემოქმედების, ისე სახელმწიფოს პოლიტიკური წესწყობილების, დემოკრატიის თეორიული საკითხები. დემოკრატიის პოლიტიკურ მიზნად მიჩნეული იყო სახელმწიფოს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავდა კლასიკურ დებულებას – *Lex et quod populus julex atque Constituit* – კანონი ის არის, რასაც ხალხი ბრძანებს და აწესებს.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ტერმინი „კანონი“ თითქმის არ იხმარებოდა, რამდენადაც იგი იწვევდა ძველი, დამსობილი სახელმწიფო წყობილების სამართლისა და პოლიტიკური ინსტიტუტების ასოციაციას. ამიტომაც იყო, რომ ამ პერიოდში მიღებული აქტების სახელწოდებები – დეკრეტი და დეკლარაცია ნასესხები იყო რევოლუციური საფრანგეთის პოლიტიკური ლექსიკონიდან.

1917-1935 წლებში საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების აქტებს შორის კანონი შეადგენდა მათ უმნიშვნელო ნაწილს. ამავე პერიოდში კანონის ფორმით გამოიცემოდა არა მართო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, არამედ საბჭოთა მთავრობის აქტებიც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, მოუხედავად ასეთი მდგომარეობისა, საბჭოთა მეცნიერებაში კანონის პრობლემებზე ამ პერიოდშიც საკმაოდ ინტენსიური კვლევა მიმდინარეობდა. მაგრამ ეს არ ითქმის დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებებზე. ამ გარემოებას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ თვით სახელმწიფო სამართალშიც კი, ძირითად წყაროსაც კანონები შეადგენენ, კანონის პრობლემებზე პირველი კომპლექსური გამოკვლევა საბჭოთა კავშირში 1988 წელს გამოქვეყნდა.

დღეისათვის კანონის ცნების გამო სწავლულ იურისტებს შორის არ არსებობს პრინციპული ხასიათის უთანხმოებანი. პროფ. გ. ინწკირველის განმარტებით, „...კანონს უწოდებენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებულ ნორმატიულ აქტს, რომელიც შეეხება ქვეყნის სა-



შინაო და საგარეო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს საკითხებს კანონის იურიდიული ბუნებისათვის დამახასიათებელია. შექმნილი არსებითი ნიშნები:

1. კანონების გამოცემის უფლებით სარგებლობს მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. სწორედ ამ მომენტიდან იღებს სათავეს კანონისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პოლიტიკურ-იურიდიული თავისებურებანი.

2. კანონის განსაკუთრებულ ადგილს ნორმატიული აქტების სისტემაში განსაზღვრავს მის მიერ რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათი. ლიტერატურაში იგი განმარტებულია როგორც „უმნიშვნელოვანესი“, „ტიპური და მდგრადი“. გარდა ამისა, საკანონმდებლო რეგლამენტაციას ექვემდებარებიან არა მარტო სტაბილური საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ნორმატიული რეგულირება კანონის ფორმით ხორციელდება მაშინაც, როცა კანონმდებელი ისწრაფვის მიანიჭოს ამ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სტაბილური ხასიათი ან როცა სურს აღნიშნოს მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა.

3. კანონს აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა სახელმწიფოში. მისი ასეთი მდგომარეობა განპირობებულია კანონის გამოცემის ორგანოთა ადგილით სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურაში. გარდა ამისა, აქ აშკარად იკვეთება ორმხრივი კავშირიც – უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტების გამოცემის უფლება მიუთითებს მისი მიმღები ორგანოს უზენაესობაზეც.

კანონის უმაღლესი იურიდიული ძალა როდი ნიშნავს, რომ მას სხვა ნორმატიულ აქტებთან შედარებით მეტი სავალდებულო ძალა აქვს. ყველა სახის ნორმატიულ აქტში იმპერატიული ფორმით გადმოცემული მოთხოვნები შესასრულებლად ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის. კანონის უზენაესობა იმით გამოიხატება, რომ, ჯერ ერთი, ყველა სხვა ნორმატიული აქტი სახელმწიფოში უნდა შეესაბამებოდეს კანონს, მათ შორის წარმომობილი კოლიზიის შემთხვევაში კი მოქმედებს კანონი; და, მეორე, თუ კანონით შეიძლება ნებისმიერი ნორმატიული აქტის გაუქმება, თვითონ კანონის გაუქმების უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ მის გამომცემ ორგანოს.

იურიდიული ძალის მიხედვით, კანონთა სისტემა გარკვეული იერარქიული წარმონაქმნია, რომლის სათავეშიც დგას კონსტიტუცია. კონსტიტუცია სახელმწიფოს მთელი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის იურიდიული ბაზაა, რომელიც განსაზღვრავს მის



პრინციპებსა და სტრატეგიულ მიმართულებებს. ძირითადად სპეციალურად საზს უსვამს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციის მიღების, მასში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის განსაკუთრებულ პროცედურას.

4. სხვა ნორმატიული აქტებისაგან განსხვავებით მხოლოდ კანონისათვის ადგენს კონსტიტუცია იმ ორგანოთა წრეს, რომლებიც სარგებლობენ მისი გამოცემის უფლებით. კონსტიტუციითვე დადგენილია იმ ორგანოთა და პირთა წრეც, რომლებიც სარგებლობენ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით; განსაზღვრულია აგრეთვე კანონპროექტის შეტანის, განხილვის, მიღებისა და კანონის გამოქვეყნების წესი.

5. განსხვავებით სხვა აქტებისაგან, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც ნორმატიული, ისე არანორმატიული, კანონი ყოველთვის ნორმატიულია. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე ჯერჯერობით არაა აზრთა ერთიანობა. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ არანორმატიული ბუნებისაა კანონი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის შესახებ. ნორმატიულობის ნიშნები ნაკლებად ახასიათებს კონსტიტუციის პრეამბულას, კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულ ე. წ. დებულება-პრინციპებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სასურველია კანონებში მაქსიმალურად შეიზღუდოს დეკლარაციული, პროგრამული ხასიათის დებულებანი. მსგავსი კონსტრუქციები, ჯერ ერთი, ხელოვნურად ამძიმებენ კანონის შედარებით ეკონომიურ, სპეციფიკურ იურიდიულ ენას. გარდა ამისა, რამდენადაც იგი არ ადგენს ქცევის გარკვეულ მოდელს, არ განსაზღვრავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა კონკრეტულ ვარიანტებს, იძლევა ნორმატიული დეტალიზაციის ფართო შესაძლებლობას კანონქვემდებარე აქტებში\*, სადაც ადვილი შესაძლებელია (და ამის სამწუხარო რეციდივები საკმაოდ ხშირად გვხვდება) ამ აბსტრაქციული, დეკლარაციული მოთხოვნების კონკრეტიზაციის „მეთოდით“ მივიღოთ ვიწრო-უსწვებრივი ინტერესების გამომსატყევი ნორმა.

რაც შეეხება კანონის ტიპებს, ლიტერატურაში შინაარსის, ე. ი. რეგულირების საგნისა და იურიდიული ძალის მიხედვით, განასხვავებენ კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონებს, ორგანულ კანონ-

\* „კანონქვემდებარე აქტები“ შეიტყვების ხმარების მიზანშეწონილობაზე მერე გვეწება საუბარი. — რედ.



ნებს, ჩვეულებრივ კანონებსა და კანონებს, რომლებითაც მდგომარეობა დება სხვა ნორმატიული აქტები.

კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი საკანონმდებლო აქტია. მისი შემუშავება და მიღება ხდება საპარლამენტო გართულებული პროცედურით. კონსტიტუცია უმაღლესი იურიდიული ძალის აქტია. კონსტიტუციასა და ნებისმიერ საკანონმდებლო აქტს შორის კოლიზიის დროს უპირატესი ძალა აქვს კონსტიტუციურ ნორმას. კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოწყობის პრინციპები. კონსტიტუციური პრინციპები სამართლის ეროვნული სისტემის საფუძველია და ბევრად განსაზღვრავენ მისი დარგების ხასიათს.

კონსტიტუციური და ორგანული კანონის ცნებები სხვადასხვა შინაარსისაა. ზოგიერთ ქვეყანაში კონსტიტუციური კანონი ეწოდება იმ აქტებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში. ორგანული კანონი ეწოდება ისეთ კანონებს, რომელთა მიღებაც გათვალისწინებულია უშუალოდ კონსტიტუციაში და რომლებიც წარმოადგენენ კონსტიტუციურ დებულებათა გაგრძელებას და განვითარებას. ორგანული კანონის მიღების ინიციატივის უფლება, ზოგიერთ ქვეყანაში, აქვს ორგანოთა შეზღუდულ წრეს. ასევე გართულებულია ორგანული კანონის მიღების პროცედურა. ზოგიერთ ქვეყანაში გათვალისწინებულია, რომ ორგანული კანონი, სანამ მას ხელს მოაწერს სახელმწიფოს მეთაური, აუცილებლად უნდა შეამოწმოს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანომ. იურიდიული ძალის მიხედვით ორგანული კანონი შოლოდ კონსტიტუციას ჩამოუვარდება და მეტია ვიდრე ჩვეულებრივი კანონი. ჩვეულებრივი და ორგანული კანონის ნორმებს შორის კოლიზიისას მოქმედებს ორგანული კანონი.

სტრუქტურული ფორმის მიხედვით გამოყოფენ ჩვეულებრივ, თემატურ კანონებს, კანონმდებლობის საფუძველებს, კოდექსებს, კანონმდებლობის კრებულებს, კანონთა კრებულებს; ხოლო მიღების წესის მიხედვით — ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ და საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) გამართვის გზით მიღებულ კანონებს. და ბოლოს, ცალკე ჯგუფად გამოყოფენ კანონებს მათი მოქმედების ტერიტორიული პრინციპის მიხედვით: ფედერალურ კანონებსა და კანონებს, რომლებსაც იღებს ფედერაციის წევრი სუბიექტი.

სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი კონცეფციიდან გამომ-



დინარე ვფიქრობთ, გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს რიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული თითქმის ლოგანდ ნეგატიური დამოკიდებულება კანონის მატერიალური და ფორმალური გაგების მიმართ. დასავლეთის იურიდიულ ლიტერატურაში კანონი, ფორმალური გაგებით, ეწოდება საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ ყოველგვარ აქტს, მატერიალური გაგებით კი – სახელმწიფოს ყველა სხვა ორგანოს მიერ მიღებულ აქტს. კანონის ამგვარი გაგების მიზეზი უნდა ვეძიოთ ხელისუფლების დანაწილების თეორიაში, რომელიც აღიარებულია ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. ამ დოქტრინის მთავარი მიზანია პოლიტიკურ პრაქტიკაში აღმოფხვრას ძალაუფლების უზურპაციის შესაძლებლობა უზრუნველყოს ხელისუფლების განსხვავებული სახეობების ავტონომიური ფუნქციონირება. ამის გათვალისწინებით კი საკმაოდ ხშირად ითვლება, როდესაც სამართლის მიერ დადგენილი ქცევის წესები გამოდინარეობენ განსხვავებული წყაროებიდან და მათი შექმნა წარმოადგენს ხელისუფლების რომელიმე სახეობის პრივილეგიას.

თუმცა დასავლეთის იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ სწორედ კანონის ფორმალური გაგება მიუთითებს სახელმწიფოს სამართლებრივ ხასიათზე. კანონის ფორმალური გაგებისათვის უდავო პრიორიტეტის მინიჭება ნაკარანხევია იმ მოსაზრებით, რომ ამ შემთხვევაში კანონს შეიმუშავებს სახალხო წარმომადგენლობის ორგანო, კანონმდებელი კი თვითონაა შებოჭილი ამ კანონით, სანამ არ შეცვლის მას ასევე ფორმალური კანონით.

## 2. კანონი სამართლებრივ სახელმწიფოში. კანონის უზენაესობა

სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგად კონცეფციაში კანონის უზენაესობა იმთავითვე განსაზღვრული იყო როგორც მისი ერთ-ერთი ფუნქციონირების პრინციპი. კანონის უზენაესობის პრინციპში ერთგვარად კონცენტრირებულია სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთი ამოსავალი დებულებები, როგორცაა: წარმომადგენლობითი ორგანოს უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება, სახალხო სუვერენიტეტის იდეა, პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა



დაცვა, სამართალშემოქმედების დემოკრატიზმი და სხვ. კანონი, რომელიც ეფუძნება უზენაესი ხელისუფლების ავტორიტეტს, უკერძოდ განსაზღვრავს საზოგადოების სტაბილურ მდგომარეობას, მასში უფრო ჰარმონიულადაა შეთანხმებული საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ინტერესები; კანონი წარმოადგენს არა მარტო მოქალაქეთა, არამედ თვითონ, სახელმწიფოს საქმიანობის ზოგად წესს.

სახელმწიფო საქმიანობაში თავისი უდიდესი მნიშვნელობის გამო კანონის უზენაესობის საკითხები იურიდიულ მეცნიერებაში განიხილებოდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია ჩამოყალიბდებოდა ერთიანი, ზოგადი მოძღვრების სახით. მასზე წერდნენ ჯერ კიდევ ძველი დროის მოაზროვნეები – პლატონი, არისტოტელე, ციცერონი... კანონის უზენაესობის იდეას ავითარებდნენ ფეოდალიზმის ეპოქის განმანათლებლები. კლასიკური დოქტრინის სახე შეიძინა მან ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში.

სახელმწიფოში კანონის უზენაესობის ცალკეული თეორიული ასპექტები დაწვრილებით იყო განხილული საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაშიც. მაგრამ ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო სამართლებრივ სახელმწიფოში კანონის უზენაესობის ფორმალურ და არა შინაარსობრივ ასპექტებზე. სამართლის მეცნიერებაში კანონის უზენაესობის ზოგადთეორიული ასპექტების კვლევის მიმართულებით არსებული ჩამორჩენა ბევრად განაპირობა იმ მანკიერმა პრაქტიკამაც, როდესაც შეზღუდული იყო კანონის მარეგულირებელი ფუნქციები საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებში.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის სფეროს მეთოდური შეზღუდვის პარალელურად იზრდებოდა აღმასრულებელი ორგანოების სამართალშემოქმედებითი კომპეტენცია. მან თანდათან მოიცვა საზოგადოებრივი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, მაშინ როცა, იდეით, მისი სამართლებრივი რეგულირება უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ კანონის ფორმით. უწყებრივი სამართალშემოქმედების განსაკუთრებით მახინჯი სახე ბევრად განაპირობა იმ კორპორაციულმა, ვიწროჯგუფურმა ეგოიზმმა, რომელიც გამოხატავდა მხოლოდ მმართველი ბიუროკრატიის ინტერესებს.

კანონის უზენაესობის რეალური უზრუნველყოფა შეუძლებელი აღმოჩნდა სახელმწიფო მმართველობის სფეროში სოციალური რე-



გულაციის ავტორიტარული და ვოლუნტარისტული ფართოდ დანერგვის პირობებში. არნახულად გეგმავდა თლებრივი რეგულირების მასშტაბი. ყოველგვარი ობიექტური აუცილებლობის გარეშე, მკაცრად განსაზღვრულ იურიდიულ ჩარჩოებში მოექცა საზოგადოებრივ ურთიერთობათა აბსოლუტური უმრავლესობა, უგულბელყოფილ იქნა სამართლებრივი რეგულირების ობიექტური საზღვრები.

კანონმდებლობის ეროვნის პროცესში არანაკლებ „წამყვანი“ როლი შეასრულა მოქმედი კანონების ხარისხის არადამაკმაყოფილებელმა დონემ. კანონში მომრავლდა დეკლარაციული შინაარსის დებულებები. თავისი შინაარსით, მრავალი მათგანი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღოზუნგს უფრო წააგავდა, ვიდრე იურიდიულ დოკუმენტს. არ ადგენდა რა ქცევის მკაცრად განსაზღვრულ წესს, კანონი დამოუკიდებლად, უშუალოდ ვერ ასრულებდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულატორის ფუნქციებს. როგორც იურიდიული აქტი, იგი დამოუკიდებლად ვერ მოქმედებდა, ხოლო კანონქვემდებარე აქტებში მრავალი საკითხის დეტალიზაცია იწვევდა უწყებრივი, ლოკალური სამართალშემოქმედების გაუმართლებელ ზრდას.

ასეთია, ზოგადად, ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს კანონის, როგორც სამართლის წამყვანი, ძირითადი ფორმის, ფუნქციების მოშლა მთლიანად სამართლის სისტემაში. სამართლებრივ სახელმწიფოში კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს სწორედ ამ მიზეზთა აღმოფხვრის გზით.

უწინარეს ყოვლისა მთელი საკანონმდებლო კომპეტენცია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა განსაკუთრებული პრეროგატივა, უნდა მოექცეს პარლამენტის ხელში. საკანონმდებლო საქმიანობის სფეროში პარლამენტის უზენაესობა გამომდინარეობს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპიდან, რომელსაც ემყარება სამართლებრივი სახელმწიფო. მხოლოდ სახალხო წარმომადგენლობის ორგანოებში შეიძლება ყველაზე უფრო სრულყოფილად განხორციელდეს განსაზღვრული სამართლებრივი იმპერატივები. დებუტატთა პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, საჯაროობა, შედარებით სრული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, კანონშემოქმედებითი საქმიანობის ორგანიზაციის მაღალი დონე, ამ პროცესის ღია, გამჭვირვალე ხასიათი ქმნიან იმის გარანტიას, რომ კანონი ზედმიწევნით აკმაყოფილებდეს მოცემულ ეტაპზე საზოგა-



დოებრივი განვითარების მოთხოვნებს, სარგებლობდეს ავტორიტეტით სახელმწიფოში.

ამავე დროს ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოების კანონ-შემოქმედებითი საქმიანობის აქტიუზაცია არ უნდა აღვიქვათ ტოტალური საკანონმდებლო რეგლამენტაციის სინონიმად. ისევე როგორც კანონის უზენაესობა არ ნიშნავს ნორმატიული აქტების სისტემაში კანონთა უბრალო, არითმეტიკულ უმრავლესობას, ასევე ვერ მოხსნის კანონის უზენაესობის პრობლემას მარტოოდენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სამართალშემოქმედებითი კომპეტენციის რაც შეიძლება სრული რეალიზაცია.

ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ის კრიტერიუმი, რომლითაც იხელმძღვანელებდა კანონმდებელი სამართლებრივი რეგულირების ფორმის არჩევისას. მართალია, ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ფაქტობრივ შუუზღუდველია ამ მხრივ, მაგრამ ის ფაქტი, რომ კანონით შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ნებისმიერი სფეროს სამართლებრივი რეგულირება, როდი ნიშნავს, რომ ყოველთვის და ყველგან აუცილებელი იყოს სწორედ კანონის ფორმა.

სამართლებრივ სახელმწიფოში კანონის როლი არ შეიძლება დაყვანილ იქნეს იმ ჩვეულებრივი ნორმატიული რეგულატორის დონემდე, რომელიც არაფრით არ იქნება განსხვავებული სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი ფორმებისაგან. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომ როდესაც ისეთი ავტორიტეტული ნორმატიული აქტი, როგორიცაა კანონი, ვერ წყვეტს მის წინაშე მდგომ ამოცანებს, საზოგადოებაში იკარგება რწმენა საერთოდ იურიდიული ფორმის როლისადმი.

კანონით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების წრის განსაზღვრისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ თვით ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სამართალშემოქმედებით კომპეტენციას არ შეიძლება აქონდეს აბსოლუტური ხასიათი.

რა თქმა უნდა, არის ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგებაც უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ კანონის ფორმით (მაგ., მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დადგენა, სახელმწიფოს ფორმისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა და ა. შ.), მაგრამ არის ურთიერთობები, რომელთა რეგულირება არაა სავალდებულო ხორციელდებოდეს კანონით. ზოგიერთ სფეროში კანონი ადგენს ძირითად პრინციპებს, პირველადს, საწყის ნორმებს, ხოლო მათი კონკრეტიზაცია, დეტალიზაცია



ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილობრივი მართალშემოქმედების პროცესში. არის აგრეთვე ურთიერთობითი რომელითა რეგულირება სასურველია ხორციელდებოდეს მხოლოდ კანონქვემდებარე, ნორმატიული აქტებით. პირველ რიგში ესენია ურთიერთობები, რომლებიც მიეკუთვნება აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას. ამ სფეროში საკანონმდებლო საქმიანობის შედარებით რთული პროცედურა არაა მიზანშეწონილი ოპერატიული მართვის თვალსაზრისითაც.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკანონმდებლო რეგულირებისას აუცილებელია მათდამი დიფერენციული მიდგომა. პირველ რიგში მხოლოდ კანონის ფორმით შეიძლება მოწესრიგდეს მოქალაქეთა უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები. ამ სფეროში კანონმა არა მარტო უნდა განსაზღვროს ძირითადი, ფუძემდებელი პრინციპები, არამედ დეტალურად უნდა მოაწესრიგოს ისინი, რათა გამოირიცხოს კანონქვემდებარე აქტებში მათი განსხვავებული ინტერპრეტაციის საფრთხე, აღმოიფხვრას ის მანკიერი პრაქტიკა, როდესაც კანონი სჯერდება მხოლოდ პიროვნების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული ზოგადი, სახელმძღვანელო პრინციპების დადგენას, რაც გარკვეულად იწვევს მათ კონკრუტიზაციას უწყებრივი სამართალშემოქმედების აქტებში. საკანონმდებლო რეგულირების საგანი უნდა გახდეს აბსოლუტურად ყველა ის საკითხი, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან პიროვნების სტატუსს საზოგადოებაში ყოველგვარი შერჩევითი პრინციპი ამ სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ დაუშვებელია.

კანონის ფორმით უნდა განისაზღვროს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანიზაციის საკითხები, ამ ორგანოთა შექმნის წესი, სტრუქტურა, კომპეტენცია, პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული ამ ორგანოთა მუშაობის გაუმართლებელი ფორმალიზაცია. მმართველობის ორგანოთა სტატუსის საკანონმდებლო რეგლამენტაცია უნდა გახდეს მათდამი კონტროლის საშუალება, რათა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ალიკვეთოს ერთიანი სახელმწიფო ნების დამახინჯება, ვიწრო კორპორაციული ინტერესების გაბატონება.

კანონით უნდა წესრიგდებოდეს ეკონომიკის სფეროში არსებული ძირითადი ურთიერთობები, რა თქმა უნდა, არა ეკონომიკური კანონების უგულვებელყოფით. კანონი უნდა იცავდეს ამ სფეროში

მომხმარებლის ინტერესებს, წარმართავდეს ეკონომიკის სფეროში სელმწიფო სელმძღვანელობის ერთიან სტრატეგიას.

კანონის უზენაესობის პრინციპის უზრუნველყოფა არ უნდა ხდებოდეს წმინდა რაოდენობრივი ევოლუციის გზით, კანონთა რიცხვის უბრალო, არითმეტიკული ზრდით. პოლიტიკურ ცხოვრებაში კანონის უზენაესობის დამკვიდრება, კანონის ავტორიტეტის ჭეშმარიტი ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაძლეულ იქნება სამართლებრივი რეგულირების დღემდე მოქმედი ამკრძალავი ტიპი – ნებადართულია მხოლოდ ის, რაც კანონითაა დადგენილი. რეგულირების ეს ტიპი წარმოადგენს ცენტრალურ ხელისუფლების სისტემის ორგანულ გაგრძელებას, საზოგადოებრივი ცხოვრების იურიდიზაციის არსებული მასშტაბის პირობებში კანონი რეალურად ვერ განახორციელებს იმ საკანონმდებლო ცენტრის ფუნქციებს, რომელიც მას ეკისრება სამართლის ნორმათა სისტემაში.

სამართლებრივი რეგულირების სანებართვო ტიპმა – ნებადართულია ყველაფერი, რაც არაა კანონით აკრძალული – უნდა დამსხვრიოს სამართლის ე.ი. კრიმინალისტური ხედვის სტერეოტიპი, როდესაც მთელი აქცენტი გადატანილია კანონის ამკრძალავ ფუნქციებზე, არსებითად უგულვებელყოფილია კანონის როლი პოზიტიური ნებართვის სფეროში. აღნიშნული პრინციპი ფართო გასაქანს აძლევს თვითრეგულაციის პროცესებს საზოგადოებაში.

საკანონმდებლო რეგულირების სფეროს განსაზღვრისას ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ პოლიტიკური ცხოვრების გარდამავალ პერიოდში იგი გამოირჩევა მეტად არასტაბილური ხასიათით. იდვით, კანონი უნდა აწესრიგებდეს შედარებით მყარ, სტაბილურ კავშირთა ერთობას საზოგადოებაში. მაგრამ, რეალური საზოგადოებრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების რადიკალიზაციის პროცესში აუცილებელი ხდება კანონის ავტორიტეტული ფორმის გამოყენება ისეთი შემთხვევებისათვისაც, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში სავსებით შესაძლებელია მოწესრიგდეს კანონქვემდებარე აქტებით ან საერთოდ დარჩეს სამართლებრივი რეგულირების მიღმა.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკანონმდებლო რეგულირების ოპტიმალური მოდელი გულისხმობს კანონსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიულ აქტებს შორის ფუნქციათა ისეთ გადანაწილებას, როდესაც კანონი მექანიკურად არ ზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას, ანიჭებს მას მოქ-



მედების გარკვეულ თავისუფლებას, რაც უზრუნველყოფს მშვენიერიგ საკითხთა ოპერატიულ გადაწყვეტას სახელმწიფო ქვეყნის ღირსების ორგანოთა მიერ.

სამართლებრივი სახელმწიფოს კლასიკური სკოლაც, აღიარებდა რა კანონის უდავო პრიორიტეტს სხვა ნორმატიული აქტების მიმართ, ამავე დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას. ეტყობა, ასეთი პოზიცია ბევრად იყო განპირობებული იმ ფაქტით, რომ ამ თეორიის წარმომადგენელთა ძირითად ბირთვს XIX საუკუნის გერმანიაში შეადგენდნენ ადმინისტრაციული სამართლის დარგის სპეციალისტები. სახელმწიფო მმართველობის სფეროში არსებული პრობლემების ღრმა, კვალიფიციური ცოდნა მათ აღუძრავდა სურვილს რეალურად შეეფასებინათ ამ სფეროში არსებული სიტუაცია. უდავოდ დიდი გავლენა იქონია მათ შებენიანობაზე აგრეთვე კონსტიტუციური კანონმდებლობის განვითარების შედარებით დაბალმა დონემ (იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით), რაც მოთხოვდა მთელი რიგი საკითხების იდეალურ რეგლამენტაციას ადმინისტრაციული სამართალშემოქმედების პროცესში.

აღმასრულებელი ხელისუფლების სამართალშემოქმედებითი კომპეტენციის ზრდისადმი შედარებით ლიბერალური, შემწყნარებლური დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, როდი ნიშნავს უარის თქმას სახელმწიფოში პარლამენტის და, აქედან გამომდინარე, კანონის უზენაესობაზე. ასეთი მიდგომა ძირითადად ნაკარნახევია სახელმწიფო მმართველობაში არსებული რეალური ვითარებით, პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკით, რომელიც გვიჩვენებს — კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის პირობებს ვერ მოხსნის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის სფეროს მექანიკური შეზღუდვა.

აღმასრულებელი ხელისუფლება სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოა. თავისი კომპეტენციის ფარგლებში იგი უნდა სარგებლობდეს გარკვეული სამართალშემოქმედებითი თავისუფლებითაც. არ შეიძლება აღმასრულებელ ორგანოთა სისტემას დაეკისროს მარტოოდენ კანონთა უსიტყვო შესრულების ფუნქცია, მით უფრო, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კანონებში ვერასოდეს ვერ გაითვალისწინებს იმ გარდამავალი, არატიპური, არამდგრადი ურთიერთობების ყველა დეტალს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია სახელმწიფო მმართველობის პროცესში. ამიტომ ყოველთვის დარჩება ის ერთგვარი „სა-





კანონმდებლო ვაკუუმი", რომლის შევსებასაც კისრულობენ რეალური სახელმწიფოების რეალური სახელმწიფოები.

ჩვენს სინამდვილეში აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობისადმი (კერძოდ ნორმატიული აქტების მიხედვით) რამდენადმე ნეგატიურ დამოკიდებულებას აქვს თავისი ობიექტური საფუძველი. სახელმწიფოში შექმნილი კრიზისული ვითარება სამართლიანად უკავშირდება მმართველი ბიუროკრატის მიერ წლების მანძილზე სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ როგორც პოლიტიკური რეფორმების ახალი წარსულის გამოცდილება და დღევანდელი ვითარებაც ცხადყოფს, ისეთი პოლიტიკა, როდესაც საკანონმდებლო ხელისუფლება ცდილობს სახელმწიფოს აღმასრულებელი საქმიანობის სფეროში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას მისი „შევიწროების“ გზით, არ აღმოჩნდა მისაღები.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის წარმოშობილი დისფუნქციები მნიშვნელოვნად ამცირებს კანონის მარეგულირებელ ეფექტს. ამასთან იგი ერთნაირად მცირდება მაშინ, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს შეცვალოს საკანონმდებლო ორგანოთა ფუნქციები და, პირიქით, — აღმასრულებელი ხელისუფლების სრული უმოქმედობის პირობებში კანონი მოკლებულია თავისი რეალიზაციის ეფექტიან მექანიზმს.

გარდა ამისა, აღმასრულებელი ხელისუფლების სამართალშემოქმედებითი კომპეტენციის შეზღუდვის კვალობაზე იქმნება ე.წ. „საკანონმდებლო ჯუნგლები“, გაუმართლებლად იზრდება კანონთა რიცხვი, ფაქტობრივად იხსნება საკითხი საკანონმდებლო რეგულირების საზღვრის შესახებ.

ამიტომ, კანონის უზენაესობის რეალური უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, თვითონ ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ არ უნდა დაუშვას ერთგვარი საკანონმდებლო ექსპანსიის მდგომარეობა, როდესაც კანონი იჭრება აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში და ამით ცდილობს მოახდინოს აბსოლუტურად ყველა საკითხის იურიდიული რეგლამენტაცია. ეს მხოლოდ შეამცირებდა კანონის მარეგულირებელ ეფექტს და არავითარ შემთხვევაში არ შეუწყობდა ხელს მისი ავტორიტეტის ამაღლებას.

სამართლებრივ სახელმწიფოში კანონის უზენაესობა თავის გამოხატულებას იმითაც პოულობს, რომ სამართლის სისტემაში კანონი ადგენს პირველადს, საწყის ნორმებს. ეს უკანასკნელნი გან-



საზღვრავენ სახელმწიფოს მთელი სამართალშემოქმედების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. აქ კანონის უზენაესობა შეიძლება ითქვას, ლოკალიზებულია სამართალშემოქმედების სფეროში.

კანონი ყოველთვის ეხება არა კონკრეტულ ურთიერთობას, არამედ ურთიერთობათა რომელიმე გვარს, სახეს. აქედან გამომდინარეობს მისი მრავალი დებულების აბსტრაქტული, ზოგადი ხასიათი, რომელიც ვერ ითვალისწინებს კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციების თავისებურებებს. გარდა ამისა, თვითონ კანონი მოწოდებულია მოაწესრიგოს სტაბილური ხასიათის საზოგადოებრივი ურთიერთობები. თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ეს ურთიერთობები ნაკლებადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებზე, რომელთა დეტალური რეგლამენტაცია კანონის ფორმით ობიექტურად შეუძლებელია. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში საკანონმდებლო საქმიანობის თავისებურებათა გამო დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ყველა გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის ოპერატიულ გადაწყვეტლებათა მიღება. სამართლებრივი რეგულირების პროცესში ზოგჯერ აუცილებელი ხდება კანონქვემდებარე აქტებით მისი მოწესრიგების წახალისებაც კი. კანონის თითოეული ნორმის რეგულაციური ფუნქციების მაქსიმალური ამპლუბის შემთხვევაშიც თავიდან ვერ ავიცილებთ კანონქვემდებარე აქტებშიც მისი ზოგიერთი დებულებების კონკრეტიზაციას.

კანონებში ჩამოყალიბებული პირველადი, ამოსავალი ნორმატიული დებულებები უნდა კონკრეტდებოდეს მხოლოდ იმ საზღვრებში, რომლებიც ამ კანონითაა დადგენილი. კანონითვე უნდა განისაზღვროს ის სამართლებრივი ფორმა, რომლითაც განმტკიცდება ამ კონკრეტიზაციის შედეგები.

საერთოდ კი საჭიროა დაძლეულ იქნეს სამართლებრივ რეგულირებაში ამ უკანასკნელ პერიოდამდე გაბატონებული ტრადიციული სქემა, როდესაც საფესვით ნორმალურად ითვლებოდა კანონქვემდებარე აქტებით კანონის ზოგადი ხასიათის დებულებათა კონკრეტიზაცია. ასეთი კანონის რეალიზაციის პირველი საფესური უკვე მოიცავს მის დეტალიზაციას იმ აქტებში, სადაც ხდება ამ პრინციპის საფუძველზე ნორმა-ქცევის წესის დადგენა. რამდენადაც სამართლებრივ ურთიერთობაში ჩართულია სწორედ მხარეთა კონკრეტული უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ნორმა, იგი ყოველთვის იმორჩილებს ზოგადი ხასიათის ნორმას, თუნდაც ეს



უკანასკნელი გამოცემული იყოს კანონის ფორმით – Lex speciali derogat legi generali – სპეციალური კანონი აუქმებს ზუგადოებრივ კანონის მოქმედებას.

რა თქმა უნდა, კანონის კონკრეტიზაციის საჭიროება, გარკვეული ხარისხით, ყოველთვის დარჩება, მაგრამ ამავე დროს არ უნდა მოვერიდოთ კანონის ზედმეტ დეტალიზაციასაც. კანონი მარტო ზოგად დებულებებს კი არ უნდა სჯერდებოდეს, არამედ, როგორც სამართლის ნორმა, უნდა განსაზღვრავდეს კიდევ მსარეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კანონის პროგრესული შინაარსის სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია შეიძლება „განხორციელდეს“ არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლების კანონქვემდებარე აქტებში, არამედ თვითონ კანონებშივე. ძირითადად ეს ეხება კონსტიტუციურ დებულებებს.

სახელმწიფოში კანონის უზენაესობის პრინციპის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მისი მოქმედების საიმედო მექანიზმის პირობებში. ეს უკანასკნელი მოიცავს სხვადასხვა სოციალურ, იურიდიულ ფაქტორს, ნორმათა განხორციელების ფორმებს, მეთოდებს, პირობებსა და გარანტიებს.

კანონთა რეალიზაციის მექანიზმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დამოკიდებულებას კანონით დადგენილ ნორმატიულ და საზოგადოებაში რეალურად ჩამოყალიბებულ ფაქტობრივ სიტუაციას შორის. კანონი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ ტენდენციებს. თუ კანონი ჩამორჩება მათი განვითარების ტემპს ან ცდილობს წარმართოს ისინი კანონმდებლობის სუბიექტური ნების შესაბამისად, ეს იწვევს არსებითი ხასიათის დეფორმაციებს სოციალურ ორგანიზმში, მნიშვნელოვნად ლახავს კანონის ავტორიტეტს საზოგადოების თვალში.

კანონის სტაბილური დონე შეიძლება შევინარჩუნოთ მხოლოდ სწორად განსაზღვრული საკანონმდებლო სტრატეგიის პირობებში, როცა გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი განვითარების არა მარტო მიღწეული დონე, არამედ მისი განვითარების პერსპექტივებიც. ეს ნიშნავს, რომ ახალი შინაარსით უნდა შეივსოს კანონის პროგნოზული ფუნქცია – კანონი არ უნდა ჩამორჩებოდეს საზოგადოების განვითარების დინამიკურ პროცესებს, წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი განვითარების ყველა შესაძლო ვარიანტს.

ყოველივე ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სწორედ, მეცნიერულ



საფუძველზე წარმართული საკანონმდებლო პოლიტიკის შემთხვევაში, რაც პირველ რიგში გულისხმობს საზოგადოებაში შექმნილ რთული პროცესების ანალიზსა და პროგნოზირებას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკანონმდებლო რეგულირების მეცნიერული კრიტერიუმის შემუშავებას; ნორმათა თეორიულ, მათემატიკურ მოდელირებას, ლოკალური მნიშვნელობის სამართლებრივი ექსპერიმენტების მოწყობას; წინათ მოქმედი კანონების ეფექტიანობის, საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკის გათვალისწინებას.

ერთიანი საკანონმდებლო კონცეფცია მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს კანონის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარის კოორდინირებულ, შეთანხმებულ რეგულირებას. ამ სფეროში არ არსებობს აბსოლუტურად იზოლირებული მხარე — ყოველი საკანონმდებლო სიახლე მეტნაკლებად შემოქმედებს ურთიერთობათა მთელ კომპლექსზე. ამიტომ სასურველი იქნებოდა მათი რეგლამენტაცია კანონთა მთელი პაკეტით, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებდა ყველა მოსალოდნელ ცვლილებას (ერთიან სისტემაში), კანონთა შეთანხმებული მოქმედება მნიშვნელოვნად შეამცირებდა ოურიდიული ზედნაშენის სხვადასხვა ელემენტს შორის კონფლიქტის ალბათობას.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: კანონის უზენაესობა ნიშნავს იმას, რომ კანონი — უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტი — წარმოადგენს როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე მთლიანად სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ქცევის ძირითად, განმსაზღვრელ საფუძველს. კანონის უზენაესობის რეალური უზრუნველყოფა შესაძლებელია სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთ პრინციპებთან შეთანხმებული მოქმედებით, როგორცაა პარლამენტის სრულძალაუფლებიანობა, ხელისუფლების დანაწილება, კონსტიტუციური კონტროლის ეფექტიანი სისტემა და ა.შ.

ნორმატიული აქტების იერარქიულ სტრუქტურაში კანონის უზენაესობის პრინციპის რეალიზაცია დაუშვებელია წარმართოს კანონთა რიცხვის მექანიკური ზრდით კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რეგულაციური ფუნქციების შემცირების ხარჯზე. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საკანონმდებლო კომპეტენცია უნდა ვრცელდებოდეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მხოლოდ იმ სფეროებზე, რომელთა კანონით რეგულირების სავალდებულოობაც დადგენილია ძირითადი კანონით. კანონის უზენაესობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს საკანონმდებლო რეგულირების



იმ საზღვრების დაცვით, რომლებიც გამოირიცხავენ ტოტალიტარულ კანონმდებლო რეგლამენტაციას, ფართო გასაქანს აძლევს საზოგადოებრივი თვითრეგულაციის პროცესებს.

უზენაესი რეგულატორის ფუნქცია სახელმწიფოში შეიძლება შეასრულოს მხოლოდ მაღალმეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული კანონთა სისტემამ. კანონი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების განვითარების ობიექტურ ტენდენციებს, არ ჩამორჩებოდეს ამ დინამიკურ პროცესებს.

კანონის უზენაესობის დამკვიდრების გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანონთა ხარისხის ამაღლების პრობლემებს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც. კანონის თითოეული ნორმა უნდა გახდეს უშუალოდ მოქმედი სამართალი, ნორმა-ტექვის წესი, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი ზოგადი, არაფრისმთქმელი ფრაზებისა და იდეოლოგიზებული ლოზუნგებისაგან; თვით კანონის ტექსტშივე უნდა იყოს განსაზღვრული მისი რეალიზაციის მექანიზმი.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია კანონს იკისროს სამართლის წამყვანი, პრიორიტეტული ფორმის ფუნქციები სახელმწიფოში, აგრეთვე შეასრულოს სახელმწიფო ხელისუფლების შემოჭვის, მისი ნორმატიული საფუძვლის როლი.

### 3. კანონი და პოლიტიკა

პოლიტიკის ცენტრალური ელემენტია სახელმწიფო ხელისუფლება, მასთან დაკავშირებული ურთიერთობები. შესაბამისად კანონსა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის არსებული კავშირის ძირითადი კანონზომიერებები განსაზღვრავენ პოლიტიკაზე კანონის იურიდიული შემოქმედების ხასიათსაც.

კანონსა და პოლიტიკას შორის არსებული ურთიერთკავშირი შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე რაკურსით, კერძოდ, ზოგადთეორიულ და ფუნქციურ ასპექტში.

პირველ შემთხვევაში, უნდა განვსაზღვროთ კანონის პოლიტიკური შინაარსი ან, პირიქით, დავასაბუთოთ, მისი სრული პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. კანონსა და პოლიტიკას შორის ფუნქციური დამოკიდებულების საკითხი კი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აუცილებელია პოლიტიკის საკანონმდებლო საზღვრებში



მოქცევის შესაძლებლობის (ან შეუძლებლობის) მეცნიერება იმ  
ბუთება.

უნდა ითქვას, რომ დასავლეთის პოლიტიკური მეცნიერება იმ-  
თავითვე მტრულად შეხვდა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რო-  
მელიც პოლიტიკის ელემენტს თვით სამართალგაგების უშუალო  
კომპონენტად მიიჩნევდა. ცნობილია ლენინის სიტყვები: „კანონი  
არის პოლიტიკური ღონისძიება, არის პოლიტიკა“. ამ დებულების  
წინააღმდეგ წამოყენებული ძირითადი ბრალდება იყო ის, რომ იგი  
ამოდიოდა იურისპრუდენციის პრაქტიკული მნიშვნელობიდან,  
უსაზღვროდ აფართოებდა სამართლის მეცნიერების კვლევის სფერო-  
ს, მაშინ როცა, კანონის ზემოაღნიშნული განმარტების კრიტი-  
კოსთა აზრით, იურისპრუდენციას უნდა ეკვლია სამართლის იზო-  
ლირებული პრობლემები. წამოყენებულ იქნა თეზისი სამართლის  
„პოლიტიკური სტერილურობის“ შესახებ, რომელსაც საკმაოდ  
დიდხანს მრავალი მომხრე ჰყავდა დასავლეთის მეცნიერ-იურის-  
ტებს შორის.

დროთა ვითარებაში მეცნიერული აზრი აღნიშნულ საკითხზე  
რადიკალურად იცვლებოდა. ამკარად გამოიკვეთა იურისპრუდენ-  
ციის პოლიტიზაციის მზარდი ტენდენცია. მეცნიერული კვლევის  
პროცესში აქცენტი თანდათან გადატანილ იქნა საზოგადოების  
კონკრეტულ პოლიტიკურ-იურიდიულ ორგანიზაციაზე. პოლიტი-  
კურ იურისპრუდენციაში, რომელიც აღმოცენდა იურიდიული მეც-  
ნიერების დოგმატიზმისა და ფორმალიზმის საწინააღმდეგოდ, გა-  
მოიკვეთა ბიპევიორისტული, სოციალური და სხვა მიმდინარეობე-  
ბი. თანამედროვე პირობებში პოლიტიკური ინსტიტუტების შეს-  
წავლა წარმოებს არა მარტო წმინდა იურიდიულ ასპექტში, არა-  
მედ მათი რეალური ფუნქციონირების თვალსაზრისითაც. ყურად-  
ღება გამახვილებულია ხელისუფლების სტრუქტურათა ჭეშმარიტ  
მნიშვნელობაზე, მეცნიერული კვლევა არაა შეზღუდული იმ რო-  
ლის ანალიზით, რომელსაც მას (ხელისუფლების ინსტიტუტს) ანი-  
ჭებს ნორმატიული ტექსტი.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის პოლიტიკური ფუნქციების  
კვლევა დასავლეთში, კერძოდ აშშ-ში, არაა მიჩნეული მარტოდენ  
პოლიტოლოგიის ან სამართლის მეცნიერების განსაკუთრებულ  
კომპეტენციად. თუ პოლიტოლოგები იკვლევენ სამართლის პოლი-  
ტიკურ როლს, სამართალმცოდნეები ბანალიზებენ სახელმწიფო  
მმართველობის, სახელმწიფო პოლიტიკის, პოლიტიკური ქცევის  
სხვადასხვა ასპექტს. რამდენადმე შენელდა პოლიტიკურ გამოკვლე-




ვათა „დეიურიდიზაციის“ პროცესიც. პოლიტოლოგიაში თანდათან ნოზით მძლავრობს მისი სამართლებრივი ასპექტები. ამავ დროს აშკარა ხდება სამართლის მეცნიერების პოლიტიზაციაც.

ამასთანავე ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით. სამართლის პოლიტიკური როლის შეფასებაში განსხვავებული პოზიციების არსებობა ბევრად განაპირობა პოლიტოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების თავისებურებებმა. თუ აშშ-ში იგი ყალიბდებოდა იურისპროფუნციასთან კონფერენტაციის პროცესში, საფრანგეთში, პირიქით, ვითარდებოდა კონსტიტუციურ სამართალთან, ხოლო გერ-ში – სახელმწიფოს სოციოლოგიასა და სამართლის ფილოსოფიასთან კავშირში.

ამერიკელი პოლიტოლოგების ნაწილი ცდილობს ჩამოაყალიბოს პოლიტიკის ნორმატიული საფუძველი, ის მორალურ-ფილოსოფიური კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკური სისტემის ღირებულებით საფუძველს. ამ შხრივ განსაკუთრებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს გერ-ის პოლიტოლოგიურ წრეებში, რაც პირველ რიგში უნდა აიხსნას გერმანული მეცნიერული და მსოფლმხედველობრივი ტრადიციებით. ამავე დროს სახელმწიფო სამართლის გერმანული მეცნიერება არ უარყოფს თავის კავშირს პოლიტიკასთან. მისი წარმომადგენლების აღიარებით, კონსტიტუციასა და პოლიტიკას შორის არსებობს ურთიერთგანაპირობებულობის ბუნებრივი კავშირი. კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს ცალკეული პოლიტიკური პროცესების განვითარების ოპტიმალური პირობები. გამოიყოფა აგრეთვე ლიბერალური ფრთა, რომელსაც სურს დაასაბუთოს კონსტიტუციის სოციალური და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

საერთოდ, დასავლეთში გავრცელებულ შეხედულებათა ზერელე ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ სამართლის მეცნიერება და პოლიტოლოგია საკმაოდ მშვიდად უყურებენ სამართლის სისტემის პოლიტიზაციის პროცესს, რომელიც, მათი აზრით, ლოგიკურად არ გამორიცხავს სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად ნიშნებს. არ ხდება პოლიტიკისა და კანონის ეკლექტიკური დაპირისპირება, ისინი მიჩნეული არიან არა სრულიად სხვადასხვა რიგის, არამედ საერთო კანონზომიერებას დაქვემდებარებულ, ურთიერთდამოკიდებულ მოვლენებად.

კანონსა და პოლიტიკას შორის არსებული კავშირის მთელი არსი სწორედ ის არის, რომ ხელისუფლებისა და მმართველობის ურთიერთობები, რომლებიც შეადგენენ პოლიტიკის შინაარსს, გაშუა-



ლებული არიან კანონით. კანონი აქტიურ როლს ასრულებს სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებაში, აწესრიგებს ურთიერთობას პოლიტიკური სისტემის სუბიექტებს შორის, ასრულებს პოლიტიკურ ფუნქციას. კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებით რეგულირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი მხარეები, იურიდიულადაა გაფორმებული პოლიტიკური წესწყობილება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შექმნის წესი, სტრუქტურა, კომპეტენცია, მოქალაქეთა უფლებები და მოვალეობები. გარკვეული იურიდიული ფორმის უქონლად წარმოუდგენელია როგორც პოლიტიკის ჩამოყალიბება, ისე მისი წარმატებითი რეალიზაცია.

განსხვავებით კანონისაგან პოლიტიკისადმი სრული ავტონომიურობით ხასიათდება სამართალი (აქ ჩვენ ვგულისხმობთ არა პოზიტიურ სამართალს, არამედ სახელმწიფოს გარეშე, უშუალოდ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩამოყალიბებულ არაიურიდიულ სამართალს). თვითონ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეაც დასაფლეთში არ არის მიჩნეული პოლიტიკურ პრინციპად, როგორც, ვთქვათ, დემოკრატია. სამართლებრივი სახელმწიფო მიჩნეულია იდეალად, რომლის აბსოლუტური სიზუსტით რეალიზაცია არარაელებურია. შესაძლებელია მასთან მხოლოდ მიახლოება ან დაშორება. სამართლებრივი სახელმწიფო არ არის არც წარსულში და არც მიმდინარე პერიოდში არსებული სახელმწიფოს ასლი, იგი ის კრიტერიუმია, რომლის შემგვობითაც შეიძლება განვასხვაოთ კარგი და ცუდი სახელმწიფოები.

სამართლებრივი სახელმწიფოს ეს კონსტრუქცია, რომელიც ეფუძნება არაპოლიტიკურ ღირებულებებს, რეალურად არ ფუნქციონირებს კონკრეტულ დროსა და სივრცეში და, მაშასადამე, იგი ნეიტრალურია ყოველგვარი პოლიტიკისადმი. მაშინ როცა არ არსებობს პოლიტიკა საერთოდ, იგი ყოველთვის გულისხმობს მის გამტარებელ კონკრეტულ სუბიექტებს, გარკვეულ პოლიტიკურ ღირებულებებსა და იდეალებს. რომელთა სამართლებრივი ბუნება უნდა შეფასდეს იმ ზეპოზიტიური პრინციპების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს სამართლებრივ ხასიათს.

ამ თვალსაზრისით როგორც კანონი, ისე პოლიტიკა თანაბარ მდგომარეობაში არიან. სამართალი ორივე მათგანისათვის ერთნაირად წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმს. სამართლებრივ სახელმწიფოს პოლიტიკის ჩამოყალიბების ერთადერთი ნორმატიულ-ღირებულებითი საფუძველია წარმოადგენს სამართლის ის





ზოგადი პრინციპები, რომელთაც ასევე უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოში მოქმედ კანონთა სისტემა. სრულიად ლაპარაკი სახელმწიფოს სამართლებრივ ხასიათზე, თუ რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამკარად ჩანს შეუთავსებლობა მის პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემებს შორის. სამართლებრივი თვალსაზრისით თვით ყველაზე სრულყოფილი კანონიც კი რეალურად ვერ შეძლებს თავისი სამართლებრივი საწყისების განხორციელებას, თუ სახელმწიფოს პოლიტიკა არასამართლებრივი ხასიათისაა. სამართლებრივ სახელმწიფოში როგორც კანონი, ისე პოლიტიკა ეფუძნება მხოლოდ სამართლის პრინციპებს. მათ შორის წარმოშობილი დისფუნქციები კი მიგვანიშნებს სახელმწიფოს არასამართლებრივ ბუნებაზე.

პოლიტიკისა და სამართლის ერთგვარი სინთეზი ხორციელდება კანონში. აქ ერთმანეთს ერწყმის და ამავე დროს უპირისპირდება სამართლისა და რეალური პოლიტიკური ძალაუფლების მომენტი. პოლიტიკური ფაქტორების გავლენა ამკარად იგრძნობა როგორც უშუალოდ კანონშემოქმედების, ისე კანონის რეალიზაციის პროცესშიც. კანონმდებლობის მიერ სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინება ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოებაში რეალურად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ძალთა განაწილებაზე.

„პოლიტიზაციის“ განსაკუთრებით მაღალი დონე ახასიათებს კონსტიტუციას. შემთხვევითი არაა, რომ მას სწორად ახასიათებენ როგორც პოლიტიკურ-იურიდიულ დოკუმენტს. კონსტიტუციაში ფიქსირებულია სახელმწიფოს სტრატეგიული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, საზოგადოების ძირითადი პოლიტიკური და იურიდიული საფუძვლები, განსაზღვრულია საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპები და პრიორიტეტული მიმართულებები.

მიმდინარე კანონები, იმისდა მიხედვით, თუ რა საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ ისინი, განსხვავდებიან თავიანთი პოლიტიკური მნიშვნელობით, მაგრამ სახელმწიფოში არ შეიძლება არსებობდეს პოლიტიკურად ნეიტრალური კანონი. პოლიტიკის სფეროსაგან რაგინდ დაშორებულ ურთიერთობებსაც უნდა აწესრიგებდეს იგი, თვით ამ კანონის მიღების (ან არმიღების) ფაქტი უკვე არის გარკვეული პოლიტიკა, როგორც საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი გარკვეული პოლიტიკური ძალების კონსენსუსის ან კონფრონტაციის შედეგი.

ამიტომაც, რომ კანონთა სამართლებრივი ბუნება ბევრად არის



დამოკიდებული იმაზე, თუ რა ძალები მონაწილეობენ საქველმწიფო ფოს პოლიტიკის განსაზღვრაში, რამდენად დემოკრატიულად მიმდინარეობს ეს პროცესი. პოლიტიკის სწორი ფორმირებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, კოლექტივის, აგრეთვე პიროვნების ინტერესთა გათვალისწინება და ამის საფუძველზე საერთო-ეროვნული, სახელმწიფო ინტერესის ჩამოყალიბება.

პარტიულ სახელმწიფოში, სადაც ერთმანეთსაა შეზრდილი პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურები, შეუძლებელია დამყარდეს ოპტიმალური თანაფარდობა კანონსა და პოლიტიკას შორის. ასეთ სახელმწიფოში დეფორმირებულია ორივე მათგანი: პოლიტიკა - იმდენად, რამდენადაც მისი ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა ხდება საზოგადოების სხვადასხვა ძალის, ფენის ზურგს უკან, პარტიული იერარქიის მაღალ ეშელონებში, კანონი კი - იმდენად, რამდენადაც იგი ყალიბდება ისეთ ორგანოში, რომლის ძალაუფლებაც ნომინალურია და რომელშიც არაა წარმოდგენილი საზოგადოების უმრავლესობის პოლიტიკური ნება.

სახელმწიფოში ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ისე საკანონმდებლო განვითარების სტრატეგიული ხაზი, როგორც წესი, განისაზღვრება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. რა თქმა უნდა, ეს როდი უარყოფს პოლიტიკის სფეროში მოქმედი სხვადასხვა (სახელმწიფოსაგან განსხვავებული) სტრუქტურის დიდ როლს, მაგრამ დემოკრატიულად ჩამოყალიბებულ პარლამენტში, ე.წ. პოლიტიკური თამაშის პრინციპების საფუძველზე, თითოეულ მათგანს აქვს პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობანი. შესაბამისად უზრუნველყოფილია უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ღირებულებები, იდეალები, განსხვავებული ინტერესები.

პარლამენტში წარმოდგენილი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების, ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის როგორც პოლიტიკაზე, ისე კანონმდებლობით საქმიანობაზე ზემოქმედების ერთ-ერთი არსი, საშუალება. ასეთ პირობებში, კანონსა და პოლიტიკას შორის რაიმე ფატალური დაპირისპირების მდგომარეობა თითქმის გამორიცხებულია, რამდენადაც ერთი ძალა განსაზღვრავს თითოეული მათგანის განვითარების ძირითად ტენდენციებს - კანონი და პოლიტიკა აქ შეთანხმებულად ასრულებენ მათთვის დაკისრებულ ფუნქციებს.

ამავე დროს სრული „პარმონიის“ მდგომარეობა კანონსა და პო-



ლიტიკას შორის არ შეიძლება ობიექტურად არსებობდეს [ქართული] ტიკის არსი არ ვლინდება მარტოდენ პოზიტიურ კანონმდებლობაში. იგი ვითარდება მისი განვითარების სპეციფიკურ კანონზომიერებათა გავლენით. პოლიტიკაში თანაბრად გვხვდება ფორმალურ-იურიდიული და ფაქტობრივი ხასიათის ურთიერთობები. ასევე დიდა მასში სხვადასხვა პოლიტიკური ნორმის, პოლიტიკური ტრადიციების, იდეების გავლენა.

კანონმდებელი ხშირად ვერ ითვალისწინებს შედარებით დინამიკური პოლიტიკური პროცესების განვითარების ტემპს, ამ სფეროში ფაქტობრივად ჩამოყალიბებული ურთიერთობების ხასიათს, რომლებიც თავიანთი ნორმატიული გაფორმების გარეშეც ფლობენ რეალურ ძალას.

კანონს არ შეუძლია მკაცრად ფორმალიზებულ ჩარჩოებში მოაქციოს პოლიტიკა. ასეთი რამ გამორიცხულია, თუ პოლიტიკას წარმოვიდგენთ როგორც პროცესს, რომელსაც აქვს განვითარების საკუთარი ლოგიკა. პოლიტიკური ხელმძღვანელობის სტრატეგია და ტაქტიკის შეცვლა საესებით რეალურია განხორციელდეს კანონისაგან დამოუკიდებლად. ამას მოწმობს ჩვენში მიმდინარე პოლიტიკური რეფორმის გამოცდილებაც. საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის პოლიტიკური კონცეფცია ქრონოლოგიურად უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ხოლო მისი საკანონმდებლო უზრუნველყოფა, სამართლებრივი რეფორმა ჯერ მხოლოდ საწყის სტადიაშია. ამავ დროს რაც უფრო ინტენსიურად მოხდება პოლიტიკურ დოქტრინათა კანონის ენაზე გადაყვანა, მით უფრო მეტი იქნება რეფორმათა წარმატების შანსიც.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს დოქტრინაში პოლიტიკაზე კანონის ზემოქმედების ძირითადი დანიშნულება უნდა ვეძებოთ არა მისი სრული იურიდიზაცია-ფორმალიზაციის, არამედ პოლიტიკის სფეროში სამართლებრივი ხასიათის მოთხოვნათა დანერგვის გზაზე. სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი სისტემა ერთობლივად უნდა ამკვიდრებდეს ისეთ ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეებს, როგორცაა მოქალაქეთა იურიდიული თანასწორობა, პოლიტიკური მსოფლმხედველობის თავისუფალი არჩევანის განხორციელება, საკუთრების ხელშეუხებლობა და სხვ.

კანონის, პოლიტიკის ჰუმანიზაციის, მათი სამართლებრივი ხასიათის დამკვიდრებაში უთუოდ დიდი როლი ეკისრება დემოკრა-



ტიული პრინციპების დანერგვას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში. დემოკრატია უზრუნველყოფს პოლიტიკურ პროცესში განსხვავებული საზოგადოებრივი ძალების მონაწილეობას. იგი პიროვნების უფლება-თავისუფლებათა რეალიზაციისა და დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია საზოგადოებაში. ამავე დროს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი ცენტრალური მნიშვნელობის გამო, აუცილებელია კანონის ფორმით განისაზღვროს დემოკრატიის ძირითადი ინსტიტუტები, ნორმები, ფორმები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების, მათი საქმიანობის დემოკრატიული საწყისები, სახელმწიფო საქმეთა მართვაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის იურიდიული გარანტიები და სხვა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თავი II

საკანონმდებლო პროცედურების  
შედარებითი ანალიზი

## 1. რას ეწოდება საკანონმდებლო პროცესი

პირველ თავში საკმაოდ სრულად არის განხილული კანონის არსი, მისი სოციალური დანიშნულება და იურიდიული ბუნება. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესოა საკანონმდებლო პროცედურების შედარებითი ანალიზის გაცნობა, რაც საშუალებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი იურიდიული სამყარო, რომელშიც იქმნება და ყალიბდება კანონი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

არც ერთი ქვეყნის წესი, სამართლის ნორმა არ იქნება კანონი, თუ არ გაიარა აზროვნების, შეფასების, კანონმდებლის ნების ფილტრი და არ გახდა მისი უშუალო მოქმედების ობიექტი. ამ პროცესს კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში **საკანონმდებლო პროცესს** უწოდებენ, რაც თავისთავად მოიცავს საკანონმდებლო პროცედურების მთელ სისტემას.

და მაინც, რას ეწოდება საკანონმდებლო პროცესი?

საკანონმდებლო პროცესი — ეს არის საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის წესი კანონების შექმნის სფეროში, ე.ი. სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე, მისი აქტიურობის განსაზღვრული ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საკანონმდებლო აქტების შექმნას, შეცვლას ან გაუქმებას.


როდესაც ვიხილავთ აღნიშნულ საკითხს, აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ორი ცნება: „საკანონმდებლო პროცესი“ და „კანონშემოქმედება“. ერთი შეხედვით, რა უნდა იყოს ამ განსხვავების მიზეზი, საკანონმდებლო პროცესი ხომ კანონშემოქმედების მიზნით ხორციელდება? მაგრამ საკითხის არსი ის არის, რომ პირველი განეკუთვნება წმინდა იურიდიულ კატეგორიას, მეორე კი — ზოგადსოციალურ კატეგორიას. საკანონმდებლო პრო-



ცესი, როგორც საქმიანობა, მიმდინარეობს იმ ფორმებით, რომლებზე-  
 ბიც მკაცრად არის განსაზღვრული სხვადასხვა ნორმატიული აქ-  
 ტით – კონსტიტუციებით, კანონებითა და პარლამენტის რეგლამენ-  
 ტებით. მას ასორციელებენ საამისოდ უფლებამოსილი სუბიექ-  
 ტები. კანონშემოქმედება კი თავისთავად მოიცავს საქმიანობას,  
 რომელიც სამართლის მეშვეობით შეიძლება არც იყოს მოწესრიგე-  
 ბული და არ ამოიწურებოდეს საკუთრივ კანონის შექმნით, მაგრამ  
 მოიცავს ასევე მისი ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას. თუ  
 იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთ საქმიანობაში მონაწილეო-  
 ბენ სუბიექტებიც, რომლებსაც აღნიშნულ სფეროში, ე.ი. საკანონ-  
 მდებლო პროცესში არანაირი სპეციალური უფლებამოსილება არ  
 გააჩნიათ (მაგ., კვლევითი ცენტრები და ა.შ.), დავრწმუნდებით ამ  
 დებულების სისწორეში.

ამრიგად, კანონშემოქმედების ცნების შინაარსი გაცილებით  
 ფართოა, ვიდრე „საკანონმდებლო პროცესი“, ვინაიდან ამა თუ იმ  
 საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად კანონის მი-  
 ლების მოთხოვნილების გამოვლენა, რომელიც დაკავშირებულია  
 სხვადასხვა სოციალური ფაქტორისა და საზოგადოებრივი აზრის  
 შესწავლასთან, მისაღები კანონის პოზიტიური და ნეგატიური შე-  
 დეგების პროგნოზირებასთან, სხვა მოსამზადებელი მოქმედებების  
 შესრულებასთან, არის არა საკანონმდებლო პროცესის, არამედ კან-  
 ნონშემოქმედების სტადია, ანუ **წინასაკანონმდებლო პროცესი**,  
 რადგან ის ორგანოები, ორგანიზაციები და კერძო პირები, რომ-  
 ლებიც დაინტერესებული არიან იმით, რომ გამოავლინონ კანონის  
 მიღების აუცილებლობა, ყოველთვის როდი არიან საკანონმდებლო  
 პროცესის მონაწილეები. მით უმეტეს, რომ საკითხი, საჭიროა თუ  
 არა რომელიმე კონკრეტული კანონი, შეიძლება გაირკვეს სხვადას-  
 ხვა სერხითა და საშუალებით, რომლებსაც იყენებენ იურიდიული,  
 პოლიტიკური, სოციოლოგიური და სხვა მეცნიერებები.

როგორც ამ თავის სათაურიდან ჩანს, ჩვენი განხილვის საგანია  
 წმინდა საკანონმდებლო პროცესი, როგორც საქმიანობის წესი, ე.ი.  
 იმ პროცესუალურ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც სრულ-  
 დება ამა თუ იმ ქვეყანაში. ამ წიგნის ავტორთა კოლექტივმა გან-  
 საზღვრული კრიტერიუმების მიხედვით შეარჩია რამდენიმე სა-  
 ხელმწიფო და შეისწავლა მათი საკანონმდებლო ორგანოების სპე-  
 ციფიკა შინაგანი აგებულების თვალსაზრისით და იქ არსებული,  
 ერთმანეთისაგან განსხვავებული საკანონმდებლო პროცედურების  
 თავისებურებანი. ეს სახელმწიფოებია: ამერიკის შეერთებული შტა-



ტები, დიდი ბრიტანეთი, რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი, იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია, უნგრეთი და ბულგარეთი.

არსებითად, რუსეთის ფედერაციის, უნგრეთისა და ბულგარეთის გარდა თითქმის ყველას აქვს უდავოდ მდიდარი საკანონმდებლო პრაქტიკა, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში განიცდიდა ტრანსფორმაციას და იხვეწებოდა. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, უნგრეთსა და ბულგარეთს, ისინი ყურადღებას იმსახურებენ იმდენად, რამდენადაც საქართველოს დარად წარმოადგენენ პოსტსოციალისტურ ქვეყნებს და უდავოდ საინტერესოა, რა მიმართულებით ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მიდგომა საკანონმდებლო პროცესის პრობლემებისადმი.

შედეგობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ამ თავში განხილულია მასალა, რომელიც კვლავ განიცდის სისტემატურ ცვლილებებს. ფაქტობრივი და ნორმატიული მასალა ძირითადად მოცემულია 1998 წლის მდგომარეობით.

ყველა ქვეყანაში საკანონმდებლო პროცესი შედგება შემუშავებული და იურიდიულად განმტკიცებული წესების მთელი სერიისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა სახის კანონების მომზადებისა და მიღების პროცედურას. იმ ქვეყნებში, სადაც პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის გარდა გათვალისწინებულია კანონების მიღება რეფერენდუმის მეშვეობით, ამ უკანასკნელთათვის დადგენილია განსაკუთრებული პროცედურა.

სამამულო და საზღვარგარეთის იურიდიულ ლიტერატურაში ჩვეულებრივ გამოიყოფა საკანონმდებლო პროცესის ოთხი ძირითადი სტადია: 1) კანონპროექტის შეტანა პარლამენტში ანუ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელება; 2) კანონპროექტის განხილვა პარლამენტის კომიტეტებში (კომისიებში) და პალატებში; 3) კანონის მიღება; 4) კანონის ხელმოწერა და გამოქვეყნება. თითოეულ მათგანს აქვს თავისი სპეციფიკა, თავისი სტატუსი. ყველა, ერთად აღებული, კი ქმნის ერთიან, მონოლითურ საკანონმდებლო პროცესს, რომელიც განამტკიცებს კანონპროექტის გაულის ლოგიკას, მისი პარლამენტში შეტანის მომენტით დაწყებული და გამოქვეყნებით დამთავრებული.

აღნიშნავდა რა ამ გარემოებებს, ცნობილი მეცნიერი პროფ. ე. ტრუმბეცკოი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში წერდა, რომ ოთხივე სტადია, რომლებიც „უნდა გაიაროს ყველა კანონმა“, არსებობს ყველა სახელმწიფოში, „მოუხედავად იმისა, თუ როგორი სა-





ხელმწიფო წყობილება და მმართველობის ფორმა აქვთ შთაბეჭდილება, რომ კანონის მიღებამდე აუცილებელია მისი ყოველმხრივი განხილვა „საკანონმდებლო დაწესებულებაში, რომელსაც მინიჭებული აქვს კანონების განხილვის უფლება“. იმისათვის, რომ კანონმა შეიძინოს სავალდებულო ძალა, „ის უნდა დაამტკიცოს უმაღლესმა ხელი-სუფლებამ“. და ბოლოს, იმისათვის, რომ ის ამოქმედდეს, აუცილებელია მისი გამოქვეყნება, რათა ადამიანებმა შეძლონ მისი გაცნობა.

აქედან გამომდინარე, იზადება მრავალი კითხვა, კერძოდ: რომელი პირები და დაწესებულებები ასრულებენ მთავარ როლს თითოეულ ამ ოთხ სტადიაზე? ვის ეკუთვნის საკანონმდებლო ინიციატივისა და კანონპროექტის განხილვის უფლება? რომელ პირებსა და დაწესებულებებს აქვთ კანონის დამტკიცებისა და გამოქვეყნების უფლება?

ამ კითხვებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლებელია ერთგვაროვანი პასუხების გაცემა, რადგან ყოველ ქვეყანაში, მმართველობის ფორმისა და სახელმწიფო წყობილების ფორმის პოლიტიკური და სამართლებრივი ტრადიციების, პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, მათი გადაწყვეტა ხდება განსხვავებული მეთოდებითა და სფეროებით.

სწორედ ამ სტადიებს განვიხილავთ ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის განზოგადების სახით და იმავე დროს შევჩერდებით საკანონმდებლო პროცესის იმ თავისებურებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეული კანონების შემუშავებისა და მიღების სპეციფიკასთან.

## 2. საკანონმდებლო ინიციატივა

პირველყოვლისა უნდა განვმარტოთ, რას ეწოდება საკანონმდებლო ინიციატივა.

საკანონმდებლო ინიციატივა – ეს არის საკანონმდებლო პროცესის პირველი სტადია, რომლის დროსაც უფლებამოსილ სუბიექტს ოფიციალურად შეაქვს კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად.

როგორც ცნებიდან ირკვევა, საკანონმდებლო ინიციატივა არის არა მხოლოდ კონკრეტული მოქმედება, რომელიც გამოიხატება

კანონპროექტის შეტანით, არამედ უპირველესად ის უფლებაც, რომლის საფუძველზე ამა თუ იმ სუბიექტს აქვს რეალური შესაძლებლობა განახორციელოს ეს მოქმედება.

ხშირად საკანონმდებლო ინიციატივას განმარტავენ უფრო ფართო გაგებით, გულისხმობენ რა საკანონმდებლო ორგანოში არა მხოლოდ მზა კანონპროექტების შეტანის, არამედ ასევე ახალი კანონების გამოცემის ან მოქმედი კანონების შეცვლის ან გაუქმების შესახებ საკანონმდებლო წინადადებათა შეტანის უფლებასაც.

თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც ადრეულ პერიოდში „საკანონმდებლო წამოწყებასაც“ უწოდებდნენ, უდავოდ მოიცავს მოქმედებებისა და წინადადებების საკმაოდ ფართო სპექტრს, რომელთა მიზანია კანონმდებლობის შეცვლა და განახლება. რასაკვირველია, საუბარი არ შეეხება ნებისმიერ განცხადებას და წინადადებას, რომლებიც გამოითქმება ზეპირად ან წერილობით ბეჭდვით ორგანოში კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის თაობაზე. მაგალითად, როდესაც ვკითხულობთ გაზეთში განცხადებას პრესის თავისუფლების გაფართოების აუცილებლობის ან, პირიქით, შეზღუდვის შესახებ, ბუნებრივია, ასეთ განცხადებებს არ გააჩნიათ საკანონმდებლო ინიციატივის მნიშვნელობა. მაგრამ თუკი შედგება მოხსენებითი ბარათი და დადგენილი წესით გადაეცემა საკანონმდებლო ხელისუფლებას, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს კანონმდებლისადმი ოფიციალურ მიმართებასთან, რომელსაც ჰქვია კიდევ საკანონმდებლო ინიციატივა. მაშასადამე, საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს ან თვით კანონმდებლის განცხადებას, ან კანონმდებლისადმი კანონით დადგენილი წესით მიმართულ ვისიმე განცხადებას ახალი კანონის გამოცემის ან ძველის გაუქმების შესახებ.

სამამულო და უცხოურ ლიტერატურაში ასევე შეიმჩნევა საკანონმდებლო ინიციატივის შინაარსის გაფართოების ტენდენცია. სახელმძღვანელოებსა და მეცნიერულ გამოკვლევებში სამართლიანად მიუთითებენ, რომ არ შეიძლება საკანონმდებლო ინიციატივა გვესმოდეს ვიწრო გაგებით, როგორც მხოლოდ კანონპროექტის შეტანა. ის გულისხმობს ასევე საკანონმდებლო ორგანოში ნებისმიერი მნიშვნელობის საკითხის შეტანის უფლებასაც, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო წესით განმტკიცებას.

რაც შეეხება თავად კანონპროექტს — ეს არის მისაღებად შეთავაზებული კანონის ტექსტი, რომელიც მომზადებულია საკანონმდებლო ორგანოში შესატანად ან რეფერენდუმზე გასატანად მისი



განხილვისა და შემდგომი მიღების მიზნით. კანონპროექტის მომზადების პროცესი მოიცავს გადაწყვეტილებას პროექტის მიზანშეწონიერების შესახებ, მისი ტექსტის შემუშავებას, პროექტის პირვანდელი ვარიანტის განხილვასა და საბოლოო გადაშუშავებას, მის

შეთანხმებას ყველა დაინტერესებულ ორგანოსა და დაწესებულებასთან. კანონპროექტის მომზადების დასრულების შემდეგ იგი შეაქვთ საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად საკანონმდებლო ინიციატივის წესით.

ვიდრე უშუალოდ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების რეალიზაციის თავისებურებებს განვიხილავდეთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავეცნობით კანონპროექტების კლასიფიკაციას მათი შინაარსის მიხედვით. ისინი იყოფა გარკვეულ სახეებად: ესენია საჯარო, რომლებიც ადგენენ ქვეყნის ზოგად ნორმებს; საფინანსო, რომლებიც ეხება ამა თუ იმ საფინანსო საკითხს (ასიგნებები, გადასახადები და ა.შ.); კერძო, რომლებიც ეხება ამა თუ იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

როგორც ვხედავთ, განსხვავება კანონპროექტსა და საკანონმდებლო წინადადებას შორის აშკარაა: პირველი არის მომავალი კანონის ტექსტი, რომელიც შედგება პრეამბულისაგან, მუხლებისაგან, ზუსტად ჩამოყალიბებული ნორმებისაგან და ა.შ., ხოლო მეორეა მხოლოდ იდეა ან უკეთეს შემთხვევაში მომავალი კანონის ზოგადი კონცეფცია. ზოგიერთ სახელმწიფოში განსხვავება კანონპროექტსა და საკანონმდებლო წინადადებას შორის კიდევ უფრო კონკრეტდება მათი წარმდგენი სუბიექტების მიხედვით. კერძოდ, საფრანგეთსა და ფრანგული კონსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში საკუთრივ კანონპროექტები შეაქვს მხოლოდ მთავრობას, ხოლო საკანონმდებლო წინადადებები – პარლამენტის წევრებს. ამ უკანასკნელთა ინიციატივის ობიექტს ყველა შემთხვევაში ეწოდება საკანონმდებლო წინადადებები, თუნდაც ისინი აკმაყოფილებდნენ კანონპროექტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლების რეალიზაცია ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანო ვალდებულია განიხილოს შეტანილი კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ვალდებულია დააკმაყოფილოს ასეთი ინიციატივა და მიიღოს შესაბამისი კანონი ან მიიღოს იმ სახით, როგორც ამას პროექტის თავდაპირველი ვარიანტი ითვალისწინებდა.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არ არის საყოველთაო, რომელიც შეიძლება პქონდეს უკლებლივ ყველა სუბიექტს – მოქა-



ლაქებს, სახელმწიფო ორგანოებს ან საზოგადოებრივ-სამართლებრივ კურს ორგანიზაციებს. ეს არის განსაკუთრებული, მკაცრად შეზღუდული კონსტიტუციური უფლება.

ყოველი სახელმწიფო, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, თავისუბურად წყვეტს საკითხს საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტების შესახებ. ცნობილი რუსი მეცნიერი, იურისტი ნ. კორკუნოვი, ებოდა რა აღნიშნულ საკითხს, XIX საუკუნის დამლევს წერდა, რომ საკანონმდებლო ინიციატივა შეიძლება ორგანიზებულ იქნეს ოთხი განსხვავებული მიმართულებით. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება შეიძლება მიეცეს: 1) მხოლოდ მთავრობას, „როგორც ეს იყო, მაგალითად, საფრანგეთში მეორე იმპერიის ეპოქაში“; 2) მხოლოდ პარლამენტს, როგორც ეს ხორციელდება ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში; 3) მთავრობასა და პარლამენტს ერთობლივად, „როგორც ეს დადგენილია სახელმწიფოთა უმრავლესობაში; 4) მთავრობისა და პარლამენტის გარდა კიდევ უშუალოდ ხალხს, „რომლის მაგალითსაც წარმოადგენს შვეიცარია“.

საკანონმდებლო პროცესში მსგავს მიმართულებათა დამკვიდრების პრაქტიკა დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალურობას, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში საკმაოდ შეზღუდულია საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტთა წრე, ზოგში, პირიქით, ეს წრე საკმაოდ ფართოა.

ასე, მაგალითად, აშშ-ში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ მხოლოდ კონგრესის ორივე პალატის წევრებს. ბიუჯეტის პროექტის წარდგენის უფლება მხოლოდ აქვს აშშ-ის პრეზიდენტს, თუმცა ბიუჯეტი მიჩნეულია, როგორც განსაკუთრებული სახის აქტად; გფრ-ში ძირითადი კანონის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ ფედერალურ მთავრობას, ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის წევრებს;

დიდ ბრიტანეთში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ფორმალურად აქვს მონარქს, პრაქტიკულად კი ამას ახორციელებს მინისტრების მეშვეობით, აგრეთვე, პარლამენტის წევრებს.

იაპონიაშიც საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით სარგებლობენ მთავრობა და პარლამენტის ორივე პალატის წევრები.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტების არც ისე ფართო წრეა წარმოდგენილი უნგრეთსა და ბულგარეთში. კერძოდ, უნგრეთში ამ უფლებით სარგებლობენ ქვეყნის პრეზიდენტი, მთავრობა და სახელმწიფო კრების კომიტეტი და ყველა




დეპუტატი, ბულგარეთში კი - ყველა დეპუტატი და მინისტრია საბჭო.

გაცილებით ფართოა საკანონმდებლო ინიციატივის ალჭურვილ სუბიექტთა წრე იტალიაში. ესენი არიან: პარლამენტის წევრები, მთავრობა, საოლქო საბჭოები, ეკონომიკისა და შრომის ეროვნული საბჭო. ძემოთ აღნიშნული ქვეყნებისაგან განსხვავებით იტალიაში ამ უფლებით სარგებლობს უშუალოდ ხალხიც, ე.ი. არსებობს ე.წ. სახალხო ინიციატივის ინსტიტუტი. იტალიის კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად ხალხი საკანონმდებლო ინიციატივას ახორციელებს 50 ათასი ამომრჩევლის სახელით. ძალზე შეზღუდული ინიციატივის უფლება აქვთ ასევე მუნიციპალურ საბჭოებსაც.

კიდევ უფრო შორს მიდის რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გარდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით ალჭურვილ სუბიექტებად გვევლინებიან სასამართლო ორგანოებიც. კერძოდ, რფ-ის 1993 წლის კონსტიტუციის 104-ე მუხლის თანახმად საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ რფ-ის პრეზიდენტს, ფედერაციის საბჭოს, ფედერაციის საბჭოს წევრებს, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს, რფ-ის მთავრობას, რფ-ის სუბიექტების წარმომადგენლობით ორგანოებს, ასევე რფ-ის კონსტიტუციური სასამართლოს, უზენაეს სასამართლოსა და უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს მათ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე. რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს რეგლამენტის მე-16 მუხლის თანახმად საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ ასევე დეპუტატთა ჯგუფებს, რომლებიც ქმნიან სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტებს.

ჩამოთვლილი მაგალითების ნუსხა საკმაოდ მრავალფეროვანია და ნათლად გვიჩვენებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტთა ინდივიდუალიზაციის სპეციფიკას ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში. მაგრამ მოუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, ის მაინც არ ამოწურავს ამ პრობლემის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების სფეროს.

უნდა აღინიშნოს, რომ უზგრეთისა და ბულგარეთის გარდა ჩვენ მიერ განხილულ ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებენ ორპალატიანი სისტემის პარლამენტები. ამის თქმა საჭიროა იმდენად, რამდენადაც ასეთ ქვეყნებში საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტები თავიანთი პროექტებითა და წინადადებებით მიმარ-



თავნ ან ნებისმიერ პალატას, ან მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში კანონპროექტების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერ პალატაში. პარლამენტის წევრებს ჩვეულებრივი კანონპროექტები შეაქვთ იმ პალატაში, რომლის წევრებიც ისინი არიან. თუმცა საფინანსო ხასიათის კანონპროექტები შეაქვთ მხოლოდ ქვედა პალატებში. გფრ-ში კანონპროექტები შეაქვთ ბუნდესტაგში, მაგრამ გფრ-ის ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ფედერალური მთავრობის პროექტი თავდაპირველად წარედგინება ბუნდესრატს. რფ-სა და იაპონიაში ყველა სახის კანონპროექტი წარედგინებათ ქვედა პალატებს, შესაბამისად – სასელმწიფო სათათბიროსა და წარმომადგენელთა პალატას. საფრანგეთში კანონპროექტები შეაქვთ პარლამენტის ერთ-ერთი პალატის ბიუროში, საფინანსო ხასიათის კანონპროექტები კი – მხოლოდ ქვედა პალატაში, ე.ი. ეროვნულ კრებაში. ასეთივე მდგომარეობა არის იტალიაშიც, სადაც კანონპროექტები შეაქვთ ნებისმიერ პალატაში, თუმცა ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის შეტანა შეიძლება მხოლოდ ერთ-ერთ მათგანში – დეპუტატთა პალატაში.

ასლა კი შეეწირდეთ ზოგიერთ იმ მოთხოვნაზე, რომლებიც წაეყენებათ ცალკულ სუბიექტებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლების რეალიზაციის პროცესში.

მაგალითად, აშშ-ში კონგრესის ორივე პალატის წევრებმა, ე.ი. წარმომადგენლებმა და სენატორებმა კანონპროექტი უნდა შეიტანონ ერთსა და იმავე დროს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი საკანონმდებლო ინიციატივა ფაქტობრივად წინასწარ განისაზღვრება პრეზიდენტის წერილობითი მიმართვებით, რომლებშიც პირდაპირ არის მითითებული, თუ რომელი კანონის მიღებაა აუცილებელი.

დიდ ბრიტანეთში საპარლამენტო ინიციატივის განხორციელება გართულებულია თემთა პალატის წესებით: არასამთავრობო კანონპროექტების შეტანა და განხილვა თემთა პალატაში შესაძლებელია მხოლოდ კვირის ერთ-ერთ დღეს. ყველა დანარჩენი დღეები განკუთვნილია სამთავრობო საქმეებისათვის.

იტალიაში ამომრჩეველს არ შეუძლია შეიტანოს კანონპროექტები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მიეკუთვნება მთავრობის გამგებლობას. საოლქო საბჭოების პროექტები უნდა ეტებოდეს ოლქის ცხოვრებას, ხოლო ეკონომიკისა და შრომის ეროვნული საბჭოს პროექტები – სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. რაც შეეხება მუნიციპალურ საბჭოებს, მათი პროექტები



შეიძლება ეხებოდეს ახალი პროვინციების ან ოლქების შექმნას ან არსებული საზღვრების შეცვლას.

რუსეთის ფედერაციაში ისეთი კანონპროექტები, რომლებიც შეეხება გადასახადების შემოღებას ან გაუქმებას, გადასახადებისაგან გათავისუფლებას, სახელმწიფოს საფინანსო მოვალეობების შეცვლას და ასე შემდეგ, შესაძლებელია შეტანილ იქნეს მხოლოდ რფის მთავრობის დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

საფრანგეთში პარლამენტის ერთ-ერთი პალატის ბიუროს სამთავრობო კანონპროექტი წარედგინება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთავრობის საკონსულტაციო ორგანო – სახელმწიფო საბჭო დაწერს დასკვნას მის შესახებ.

გერ-სა და იაპონიაში კი პარლამენტების წევრებისათვის, როგორც საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტებისათვის, დადგენილია ამ უფლების განხორციელების კოლექტიური პრინციპი. კერძოდ, გერმანიის ბუნდესტაგის რეგლამენტის მიხედვით მისი დეპუტატების მიერ განსახილველად შეტანილი კანონპროექტები, როგორც წესი, ხელმოწერილი უნდა იყოს ერთ-ერთი ფრაქციის ან დეპუტატების 5 პროცენტის მიერ. იაპონიაში კი პარლამენტის წევრებს კანონპროექტის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ მხარს უჭერს ქვედა პალატის 20 წევრი ან ზედა პალატის 10 წევრი, ხოლო თუ საქმე ეხება საფინანსო კანონპროექტს, მაშინ, შესაბამისად, 50 ან 20 წევრი. იურიდიულ ლიტერატურაში ორი მიზეზით აიხსნება პარლამენტის წევრების მიერ საკანონმდებლო ინიციატივის კოლექტიური პრინციპით განხორციელების ტენდენციის გავრცელება. ჯერ ერთი, ამით ხდება ცალკეული დეპუტატების მიერ წარმოდგენილი „დაუფიქრებელი“ კანონპროექტების განთქვა და უპირატესობის მინიჭება იმ კანონპროექტებისათვის, რომლებმაც უკვე მოაპოვეს გარკვეული მხარდაჭერა კანონმდებლებს შორის. მეორე, ის ახდენს პარლამენტის წევრების ძალისხმევას კონცენტრაციას და აქცევს მათ განსაზღვრულ კალაპოტში.

მართლაც და, ცალკეული დეპუტატებისათვის უაღრესად დიდ სირთულეს წარმოადგენს ისეთი კანონპროექტის შედგენა, რომელიც ხელს შეუწყობდა არსებითი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. ამისათვის ყურადსაღებია უამრავი მონაცემი და ფაქტორი, რაზეც ხელი მიუწვდებათ სათანადოდ აღჭურვილ სახელმწიფო სტრუქტურებს. მეორე მხრივ, პარლამენტის წევრთა მიერ კანონპროექტების წარდგენა ძირითადად არის ოპოზიციის



ბრძოლის საშუალება, რათა აიძულონ მთავრობა დაქვემდებარება დაემტკიცებინა საპარლამენტო უმრავლესობა შეცვალონ აბსტრაქტული პოლიტიკური კურსი.

ალბათ, ამიტომაც არის შეზღუდული პარლამენტის წევრთა საკანონმდებლო ინიციატივა საფინანსო ხასიათის კანონპროექტებთან დაკავშირებით. მაგალითად, საფრანგეთის კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად პარლამენტის წევრების მიერ შეტანილი წინადადებები და შესწორებები არ შეიძლება იქნეს მიღებული, თუ მათი მიღების შედეგად შემცირდება სახელმწიფო რესურსები ან გაიზარდება სახელმწიფო ხარჯები. თითქმის ყველა ქვეყანაში კონსტიტუციები ან პარლამენტების რეგლამენტები ითვალისწინებენ ნორმებს, რომელთა საფუძველზე პარლამენტის წევრებს ბიუჯეტის კანონის პროექტში შეუძლიათ შეიტანონ შესწორებები მხოლოდ მთავრობის თანხმობით.

განსახილველ ქვეყნებში საკანონმდებლო ინიციატივის უფლებების სარეალიზაციოდ არ კმარა მხოლოდ კანონპროექტის ტექსტის შეტანა. ამ დოკუმენტს უთუოდ უნდა ახლდეს თან მისი მიღების აუცილებლობის, მიზნების, ძირითადი დებულებების დასაბუთება, განსაზღვრული უნდა იყოს მისი ადგილი მოქმედი კანონმდებლობის სისტემაში, ასევე ამ კანონპროექტის მიღებით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პროგნოზი. ამას გარდა, უნდა დაკმაყოფილდეს სხვა აუცილებელი პირობები, კერძოდ, კანონპროექტს თან უნდა დაერთოს ცნობა მოცემულ სფეროში კანონმდებლობის მდგომარეობის შესახებ, იმ კანონებისა და სხვა ნორმატიული მასალის ნუსხა, რომელთა გაუქმებას ან შეცვლას გამოიწვევს კანონპროექტის მიღება, წინადადებები იმ ნორმატიული აქტების შემუშავების შესახებ, რომელთა მიღებაც საჭირო იქნება ამ კანონის სარეალიზაციოდ, საფინანსო-ეკონომიკური დასაბუთება იმ კანონპროექტების შეტანის შემთხვევაში, რომელთა განხორციელება შემდგომში მოითხოვს დამატებით მატერიალურ ხარჯებს.

ჩვენ მიერ განხილული ქვეყნების უმრავლესობაში საკანონმდებლო ინიციატივის ძირითად სუბიექტი ფაქტობრივად არის მთავრობა.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან, ჯერ ერთი, მთავრობის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწორედ ის დგება პირველი იმ პრობლემების პირისპირ, რომლებიც გამოიწვევლია საკანონმდებლო ხარვეზების გამო. მეორე, საკანონმდებლო ინიციატორთაგან მთავრობას აქვს ყველაზე დიდი შესაძლებლობები მალალხარისხო-





ვანი კანონპროექტების მოსამზადებლად. შემთხვევითი არ არის, რომ დიდ ბრიტანეთში კანონპროექტების 95% მიიღწევა მთავრობის ინიციატივით. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა საქართველოშიც.

ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია მთავრობის სახით საკანონმდებლო ინიციატორად ასახელებს მთავრობის მეთაურს. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა ძირითადად ხდება პარლამენტური (ნახევრად პრეზიდენტული) ან კონსტიტუციური მონარქიის ფორმის სახელმწიფოებში, სადაც მთავრობას უშუალოდ ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. მაგალითად, საფრანგეთის კონსტიტუციის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის წევრებს“, ხოლო იაპონიის კონსტიტუციის 72-ე მუხლის შესაბამისად „პრემიერ-მინისტრს კაბინეტის წარმომადგენლის სახით პარლამენტში განსახილველად შეაქვს კანონპროექტები...“

განხილული მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტთა წრეში არც ისე ხშირად ფიგურირებს სახელმწიფოს მეთაური. დასახელებული ქვეყნებიდან მხოლოდ რუსეთის ფედერაციისა და უნგრეთის პრეზიდენტებს აქვთ კონსტიტუციით პირდაპირ მინიჭებული ეს უფლება. იმ პრეზიდენტულ რესპუბლიკებში კი, სადაც პრეზიდენტს კონსტიტუციით არ გააჩნია კანონპროექტების შეტანის უფლება, მაგალითად, აშშ-ში, იგი არაპირდაპირ მაინც ახდენს მის რეალიზაციას. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ავტორი საესეებით მართებულად შენიშნავს, რომ „თანამედროვე პირობებში პრეზიდენტი ფაქტობრივად გახდა კაპიტოლიუმის კედლებში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესის ინიციატორი და დირიჟორი“.

მართლაც, აშშ-ს პრეზიდენტის წერილობითი მიმართვები ხშირად შეიცავს საკანონმდებლო ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელთა საფუძველზეც პრეზიდენტის პარტიაში შემაჯავლი დეპუტატები ფორმალურად ახორციელებენ პირად საკანონმდებლო ინიციატივას.

საკანონმდებლო პროცესის პირველი სტადიის ანალიზისას ვახსენეთ ტერმინი სახალხო ინიციატივა. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციურ სამართალში ეს არის უშუალოდ მოსახლეობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელების მექანიზმი, რისთვისაც კანონპროექტის მხარდასაჭერად აუცილებელია განსაზღვრული რაოდენობის ხელმოწერების შეგროვება.



ჩვენ მიერ განხილულ ქვეყნებში, თუ არ ჩაეთვლით ჩრდილოეთის ასეთი ინსტიტუტი არ არსებობს. თუმცა, ისევე როგორც ქვეყნებში, სადაც ხალხი წარმოდგენილია საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტებად, იტალიაშიც ეს უფლება საკმაოდ შეზღუდულია. შეზღუდულია იმდენად, რამდენადაც წინასწარ გათვალისწინებულია, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რა სფეროში შეუძლიათ მათ მოამზადონ კანონპროექტი და წარადგინონ იგი პარლამენტში განსახილველად. კერძოდ, ამომრჩეველთა ჯგუფებსაც კი 50 ათასი კაცის შემადგენლობით უფლება არ აქვთ შეიტანონ კანონპროექტი იმ სფეროებისა და საკითხების შესახებ, რომლებიც განეკუთვნება მთავრობის გამგებლობას.

კანონპროექტის მხარდაჭერის დასადასტურებლად ამომრჩეველი ხელის მოწერის გარდა მიუთითებს თავის სახელსა და გვარს, პირადობის მოწმობის ნომერსა და იმ საარჩევნო უბნის ნომერს, რომლის ამომრჩეველთა სიაშიც იგი არის შეყვანილი. ხელმოწერა მოწმდება და თარიღდება ნოტარიუსის მიერ. დამოწმებული უნდა იქნეს ყველა მხარდამჭერის ხელმოწერა.

გარდა ამისა, ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საეკლესიო საკითხებში ენიჭებათ რელიგიური ერთობების ხელმძღვანელ ორგანოებს.

### 3. კანონპროექტის განხილვა

საკანონმდებლო პროცესის მეორე სტადია საკანონმდებლო ორგანოში საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეტანილი კანონპროექტის განხილვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ყველაზე მოცულობითი და შრომატევადი სტადია საკანონმდებლო პროცესის სხვა სტადიებს შორის.

არსებობს კანონპროექტის განხილვის ორი ძირითადი სახე: 1) წინასწარი, არაოფიციალური, და 2) ოფიციალური.

წინასწარ განხილვაში, როგორც წესი, მონაწილეობს დაინტერესებული პირების, ექსპერტების, შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკმაოდ ფართო შემადგენლობა, რომლის დროსაც მოცემული კანონპროექტის თემატიკასთან დაკავშირებით ეწყობა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სე-



მინარები, „მრგვალი მაგიდის“ სხდომები, ექსპერტები და სხვა. მთელი საბამის დასკვნებს, იმართება ტელე- და რადიოდებადები, მსადადუ-  
ბა სხვადასხვა საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციად და ა.შ.

კანონპროექტების წინასწარ განხილვას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ცალკეული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების, ისე მთლიანად საკანონმდებლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. წარმოდგენილი პროექტი ამ ეტაპზე გადის ყოველმხრივ – იურიდიულ, ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა სახის – ექსპერტიზას.

კანონპროექტების ოფიციალური განხილვა კი ჩვეულებრივ ხორციელდება ორ დონეზე – პარლამენტის კომისიების, კომიტეტების, ქვეკომიტეტების, პალატების ბიუროების დონესა და პარლამენტის პალატების დონეზე.

კანონპროექტების განხილვის პროცედურა დასახელებულ ქვეყნებში განსხვავებულად ხორციელდება. მათი განხილვის საეციფიკა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა სტრუქტურა აქვთ საერთო ეროვნულ წარმომადგენლობით ორგანოებს, რის საფუძველზეც ისინი შეიძლება დაიყოს ერთპალატიან და ორპალატიან პარლამენტებად.

მაგრამ არის ერთი პროცედურა, რომელიც გამოიყენება ყველა სახელმწიფოში და ურომლისოდაც საკანონმდებლო პროცესის აღნიშნული სტადია არ ხორციელდება არც ერთპალატიან და არც ორპალატიან პარლამენტებში. საუბარია **საპარლამენტო წაკითხვაზე**, ანუ **კანონპროექტის წაკითხვის პროცედურაზე**, რაც გამოიხატება კანონპროექტის განხილვის თანამიმდევრული სტადიებით.

სხვადასხვა პარლამენტში წაკითხვის რაოდენობა მერყეობს ერთიდან ოთხამდე. მაგალითად, ბულგარეთის პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს კანონპროექტის ორი წაკითხვით განხილვას, საფრანგეთში კი, პირიქით, შესაძლებელია კანონპროექტის შესამე, მუოთხე და ასე შემდეგ განხილვაც. რუსეთის ფედერაციაში კი საერთოდ დაშეებულია კანონპროექტის ერთი წაკითხვით განხილვა და მიღებაც. ჩვეულებრივ არსებობს კანონპროექტის სამი წაკითხვა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც თავიანთი შინაარსობრივი დატვირთვით, ისე იურიდიული მნიშვნელობითაც.

როგორც წესი, პირველი წაკითხვის დროს განიხილება კანონპროექტის მხოლოდ ძირითადი და პრინციპულად მნიშვნელოვანი დებულებები.

მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში, გერ-ში, იტალიასა და უკრაინაში კანონპროექტის განხილვის ამ სტადიაზე ირ კვეთა, თუ რამდენად აუცილებელია აღნიშნული კანონპროექტის მიღება და საჭიროა თუ არა საერთოდ იგი. გარდა ამისა, დეპუტატებმა უნდა შეაფასონ კანონპროექტის კონცეფცია იმ თვალსაზრისითაც, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება მისი ამოქმედებით გამოწვეული შედეგები. თუ დეპუტატების უმრავლესობის აზრით, კანონპროექტი არ აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს თუნდაც ნაწილობრივ, ხდება კანონპროექტის უარყოფა და შემდგომ განხილვას აღარ ექვემდებარება. ხოლო თუ კანონპროექტი დეპუტატთა შეფასებით მაინც ამართლებს თავის დანიშნულებას, კანონპროექტი მიიღება პირველი წაკითხვით და მის გამო გამოთქმული შენიშვნებითა და წინადადებებით შემდგომი დამუშავებისათვის გადაეცემა პარლამენტის იმ პალატის კომიტეტს, რომელიც პასუხისმგებელია ამ კანონპროექტის მომზადებისათვის.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით რუსეთის ფედერაციაში პირველი წაკითხვის დროს კენჭს უყრიან შემოტანილ კანონპროექტს, რის შედეგად მიღებულ უნდა იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: მიიღონ კანონი პირველი წაკითხვით, უარყონ კანონპროექტი, მიიღონ კანონპროექტი პირველი წაკითხვით და გააგრძელონ მასზე მუშაობა შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

საკმაოდ ორიგინალური პროცედურაა საფრანგეთში. ერთი პალატის მიერ პირველი წაკითხვით მიღებული კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება გადაეცემა არა პალატის კომიტეტს, არამედ მეორე პალატას ასევე პირველი წაკითხვისათვის. თუ მეორე პალატამ პროექტი მიიღო ცვლილებების გარეშე, მაშინ მისი თავმჯდომარე გადასცემს საბოლოო ტექსტს ქვეყნის პრეზიდენტს, რასაც ატყობინებს პირველი პალატის თავმჯდომარეს. პირველი პალატის მიერ პროექტის გადაცემის შემდეგ მეორე პალატა უფრო ხშირად უარყოფს ამა თუ იმ მუხლს, ცვლის სხვებს, ხოლო გარკვეულ მუხლებს ხელუხლებელად ტოვებს. აქტი უბრუნდება პირველ პალატას მეორე წაკითხვისათვის.

გვხვდება პირველი წაკითხვის შედარებით ფორმალურად გამართვის შემთხვევებიც. კერძოდ, აშშ-ში წარმომადგენელთა პალატის კლერკი და სენატის მდივანი რეგისტრაციაში აღარებენ კანონპროექტს, აცნობენ ამას დეპუტატებსა და სენატორებს და უკზავნიან კანონპროექტს პალატების მუდმივ კომიტეტებს.

დიდ ბრიტანეთში კანონპროექტის პირველი წაკითხვით განხილ-



ვისას არ იმართება ზოგადი დისკუსია: არამედ პარლამენტის კომიტეტების კითხულობს მხოლოდ კანონპროექტის სახელწოდებას.

კანონპროექტის პირველი წაკითხვით მიღებამდე კანონპროექტის ინიციატორის ნებისმიერ დროს შეუძლია უკან გამოიწვიოს თავისი კანონპროექტი.

**მეორე წაკითხვა** ნიშნავს კანონპროექტის არსებით, მუხლობრივ, დეტალურ განხილვას. განხილვის ეს სტადია იწყება კანონპროექტზე მომუშავე კომიტეტის (კომისიის) მოხსენებით, რომლის დროსაც დებუტატებს აცნობენ, თუ რა ცვლილებები განიცადა კანონპროექტმა პირველი წაკითხვით მიღების შემდეგ, რა შენიშვნები და წინადადებები იქნა გათვალისწინებული პროექტის შინაარსში.

სხვათა შორის, სხვადასხვა პარლამენტის რეგლამენტები ხშირად ადგენენ შენიშვნებისა და წინადადებების წარდგენის ფორმასა და ვადებს, რათა კონკრეტულ კანონპროექტზე მომუშავე კომიტეტებსა და კომისიებს, ასევე დებუტატებს, რომლებმაც დროულად უნდა მიიღონ პირველი წაკითხვის შემდეგ შემოთავაზებული შენიშვნების პროექტები, საშუალება მიეცეთ აუჩქარებლად და ზედმიწევნით შეისწავლონ ისინი და შეიმუშაონ საკუთარი შეხედულება მათთან დაკავშირებით. ამიტომაც რეგლამენტების მოთხოვნით წინადადებებისა და შენიშვნების პროექტები წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და კანონპროექტის მეორე წაკითხვით განხილვამდე რამდენიმე დღით ადრე მაინც. მაგალითად, საფრანგეთში დადგენილია, რომ კანონპროექტთან დაკავშირებული შესწორებები წარდგენილ უნდა იქნეს კანონპროექტის განხილვამდე 8 დღით ადრე მაინც. პარლამენტის წევრთა უფლება შესწორებების შეტანისა ბუნებრივად გამომდინარეობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებიდან და აქვს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ხასიათი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში შესწორებებისა და დამატებების წარდგენის უფლება დებუტატებს აქვთ მეორე წაკითხვით განხილვის დროსაც. მაგალითად, აშშ-ში კომიტეტის თავმჯდომარის ან მომხსენებლის მიერ ამა თუ იმ კანონპროექტთან დაკავშირებით შეთავაზებული რეკომენდაციების გამოცხადების შემდეგ დებუტატებსა და სენატორებს უფლება აქვთ წარადგინონ თავიანთი წინადადებები და შენიშვნები.

მეორე წაკითხვით კანონპროექტის განხილვისას ძირითადი დროეთობა კამათს. საპარლამენტო კამათი, ანუ საპარლამენტო დება-



ტები პარლამენტის საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, რაც უზრუნველყოფს ტემა დეპუტატების მიერ პარლამენტის ან ცალკეული პალატების პლენარულ სხდომებზე კანონპროექტებისა და რეზოლუციების პროექტების განხილვაში მონაწილეობის მიღებით. საპარლამენტო კამათის პროცედურის საკითხიც ინდივიდუალურად წყდება.

მაგალითად, საფრანგეთში, იტალიაში, იაპონიაში, რუსეთის ფედერაციაში, უნგრეთსა და ბულგარეთში კამათის მონაწილე თითოეული დეპუტატისათვის დადგენილი დრო მერყეობს 5-დან 30 წუთამდე.

აშშ-ის კონგრესის საპარლამენტო დებატების პრაქტიკისათვის ცნობილია ე.წ. „გაჭიანურებით“ მეთოდი, როცა სენატორები გამოდიან უზომოდ ვრცელი მოხსენებებით, რათა რაც შეიძლება დიდხანს გაჭიანურდეს მათთვის არასასურველი კანონპროექტის განხილვა. მაგრამ 16 სენატორის მიერ შეტანილმა და პალატის წევრთა ხმების ორი მესამედით მიღებულმა პეტიციამ შეიძლება შეზღუდოს სენატორების გამოსვლა 1 საათამდე. თუმცა ასეთი გადაწყვეტილებები იშვიათად მიიღება.

საფრანგეთში თავმჯდომარეების კონფერენცია (მასში შედიან ფრაქციების თავმჯდომარეები და პალატის ბიუროს წევრები, რომლის პირდაპირი მოვალეობაა დღის წესრიგის დადგენა) განსაზღვრავს ზოგადი დისკუსიის ხანგრძლივობას დადგენილი დღის წესრიგის ფარგლებში. დადგენილი დრო ფრაქციებს შორის ნაწილდება თანაბრად. გარდა ამისა, საფრანგეთში პროექტების განხილვის დროს გამოიყენება ე.წ. „ბლოკირებული კენჭისყრის“ პროცედურა. კერძოდ, საფრანგეთის კონსტიტუციის 44-ე მუხლის შესაბამისად მთავრობას უფლება აქვს მოთხოვოს პალატის განსახილველ ტექსტზე ან მის ნაწილზე კენჭისყრის მოწყობა, მაგრამ მხოლოდ იმ შესწორებების გათვალისწინებით, რომლებიც წარადგინა თავად მთავრობამ. ასეთი პროცედურა საშუალებას აძლევს ამ უკანასკნელს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დისკუსია. მთავრობის მიერ ე.წ. „ბლოკირებული კენჭისყრის“ მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში პალატების რეგლამენტები ითვალისწინებენ ყოველი ფრაქციიდან თითო ორატორის მხოლოდ 5-წუთიან გამოსვლებს.

იმავ საფრანგეთში პარლამენტის ორივე პალატის მიერ პირველი წაკითხვით მიღებული მუხლები აღარ იცვლება. ნორმები, რომლებიც მოიწონეს პალატებმა იდენტური რედაქციით, პირველი წაკითხვის სტადიაზე იძენენ საბოლოო სახეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეორე წაკითხვით იხილება ის მუხლები, რომელთა გამო



პარლამენტის პალატებს აქვთ განსხვავებული მისიონერული ფუნქციონირება. დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო პრაქტიკაში კენჭისყრა ხდება კონსტიტუციის მეორე წაკითხვით განხილვის პროცედურის გამართვების მეთოდებით. მათ ეწოდებათ „გილიოტინა“ და „კენგურუ“, რომელთა მიხედვით ხორციელდება საპარლამენტო კამათის შესაძლებლობა. „გილიოტინის“ შემთხვევაში პალატის გადაწყვეტილებით კონსტიტუციის განსახილველად გამოიყოფა განსაზღვრული დრო, რომლის ამოწურვისთანავე დებატები ავტომატურად წყდება უგამონაკლისოდ. „კენგურუს“ ძირითადი არსი კი ის არის, რომ კონსტიტუციის მეორე წაკითხვით განხილვის დროს პალატის სპიკერს უფლება აქვს განსაზღვროს საკუთარი შეხედულებისამებრ, რომელი წინადადებები და შესწორებები გამოიტანოს განსახილველად და რომელი – არა. აქედან გამომდინარე, დებუტატებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები მხოლოდ სპიკერის მიერ შემოთავაზებულ საკითხებზე და არა უმეტეს. ამ პრინციპს „გადახტომით“ პრინციპსაც უწოდებენ.

თითქმის ყველა ქვეყანაში ყოველი შესწორებათა განხილვა მთავრდება კენჭისყრით, რომლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები საკმაოდ მრავალფეროვანია.

მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში შესწორებების წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებების განხილვისას კენჭი ეყრება პროექტის საფუძვლად მიღება. გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად, თუ მას მხარი დაუჭირა სახელმწიფო სათათბიროს დებუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობამ.

კონსტიტუციის საფუძვლად მიღების შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე კენჭს უყრის საკითხს შესწორებების წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების დამტკიცების საკითხს. თუ დამტკიცდა მოცემული რეკომენდაციები, მაშინ კენჭი ეყრება კონსტიტუციის მეორე წაკითხვით მიღების საკითხს.

იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუქტი არ იქნა მიღებული საფუძვლად, კენჭი ეყრება განხილვის გაგრძელების ან კონსტიტუციის უარყოფის საკითხს. თუ მიღებულია გადაწყვეტილება კონსტიტუციის შემდგომი განხილვის შესახებ, სახელმწიფო სათათბირო გადადის კონსტიტუციისათვის პასუხისმგებელი კომიტეტის მიერ როგორც უარყოფილი, ისე მოწონებული შესწორებების განხილვაზე. უარყოფილ შესწორებებზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კენჭი ეყრება კონსტიტუციის მეორე წაკითხვით მიღება. კენჭისყრის შედეგად სახელმწიფო სათათბირო ან მიიღებს კონსტიტუციის



პროექტს მეორე წაკითხვით, ან სულაც უარყოფს მას. **ქვემოთაა**

როგორც წესი, კანონპროექტის ამა თუ იმ მუხლთან დაკავშირებული შესწორებები პალატაში განსახილველად და კენჭისყრულად გამოაქვს პალატის თავმჯდომარეს მათი შემოტანის რიგითობის მისდევით. თუმცა ამ შემთხვევაშიც დადგენილია გარკვეული კრიტერიუმები. კერძოდ, პირველ რიგში განიხილვენ და კენჭს უყრიან იმ შესწორებებს, რომლებიც მოითხოვენ კანონპროექტიდან ამა თუ იმ ტექსტის ამოღებას. თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ განიხილება და კენჭი უყრება იმ შესწორებებს, რომლებიც ყველაზე მეტად ცვლიან პროექტის ტექსტის შინაარსს. თუ მუხლთან დაკავშირებით მიღებულია შესწორებები, მაშინ საპირისპირო აზრის მქონე შესწორებებს კენჭი აღარ უყრება. თუ პალატამ მეორე წაკითხვით მიიღო კანონპროექტი, ის იგზავნება კომიტეტში (კომისიაში) საბოლოო რედაქტირებისათვის.

**მესამე წაკითხვის** დროს კანონპროექტი უკვე განიხილება მთლიანად ადრე მიღებულ ყველა შესწორებასთან ერთად. განხილვის ამ სტადიაზე ახალი შესწორებების შეტანა, გარდა რედაქციული ხასიათისა, დაუშვებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტების განხილვა და მიღება პირველი და მეორე წაკითხვით სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მესამე წაკითხვით ის აუცილებლად უნდა მიიღონ. ასეთი პროცედურა თითქმის არც ერთი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტისათვის არ არის ცნობილი. პირიქით, მესამე წაკითხვით კანონპროექტის განხილვისას შესაძლებელია როგორც მისი მიღება, ისე უარყოფაც. ყველაზე ხშირად კანონპროექტს უარყოფენ იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტმა კენჭისყრის შედეგად ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, მაგრამ თუ კენჭისყრის შედეგად მიიღო პალატის წევრთა ხმების უმრავლესობა, მაშინ კანონპროექტი (ან კანონი, გააჩნია როგორი განსაზღვრებით იხმარება ეს ტერმინები კონსტიტუციებში) ითვლება მიღებულად და მოწონებულად პალატის მიერ.

მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში მეორე წაკითხვის დროს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფო სათათბიროს უმრავლესობის შემადგენლობიდან დეპუტატთა ჯგუფის მოთხოვნით შეიძლება დაისვას საკითხი კანონპროექტის მეორე წაკითხვით განხილვის პროცედურაზე კვლავ დაბრუნების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მესამე წაკითხვიდან მეორე წაკითხვის სტადიაზე უკან დაბრუნება უპრეცედენტო შემთხვევაა და სხვა ქვეყნების საპარლამენტო





მენტო პრაქტიკაში ასეთ პროცედურას ვერ შეხვდებით. ჩვეულებრივ კანონპროექტის განხილვა პირველი, მეორე და მესამე წაკითხვით (გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც მოქმედებს სხვა პროცედურები) ხორციელდება სხვადასხვა დროს ამისათვის სპეციალურად დანიშნულ დღეებში. თუმცა არის გამონაკლისიც. მაგალითად, ბულგარეთში, სადაც კანონპროექტის განხილვა და მიღება ხდება ორი წაკითხვით (ტერმინი „წაკითხვის“ ნაცვლად ბულგარეთში იხმარება ტერმინი „კენჭისყრა“) სახალხო კრების სხვადასხვა სხდომაზე, ბულგარეთის კონსტიტუციის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამონაკლისის სახით, შეიძლება გაიმართოს ორივე წაკითხვა ერთსა და იმავე სხდომაზე.

პარლამენტის ან მისი პალატების რეგლამენტებში გათვალისწინებულია ასევე კანონპროექტის განხილვის შეწყვეტასთან დაკავშირებული პროცედურები, რომლებიც მათ მიერ ოფიციალურ გაფორმებას საჭიროებენ. პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვის შეწყვეტის ინიციატორი შეიძლება იყოს ცალკე დეპუტატი, დეპუტატთა ჯგუფი ან პალატის თავმჯდომარე, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სახელმწიფოში როგორ არის გადაწყვეტილი ეს საკითხი.

თუ კანონპროექტის განხილვის შეწყვეტის შესახებ წინადადების ავტორია ცალკე დეპუტატი, მაშინ, სშირ შემთხვევაში, გათვალისწინებულია თავად ამ წინადადების განხილვა.

საფრანგეთში, მაგალითად, ამგვარ განხილვაში მონაწილეობს თითო დეპუტატი ამ წინადადების მომხრეთაგან და მოწინააღმდეგეთაგან, იაპონიაში კი შესაბამისად – ორ-ორი. დიდ ბრიტანეთში განხილვის შეწყვეტის საკითხის დაყენების უფლება აქვს სულ ცოტა 100 დეპუტატს, გადაწყვეტილებას კი იღებს სპიკერი. აშშ-ის სენატში ამისათვის საჭიროა დამსწრე სენატორების სმათა ორი მესამედი. ქვეყნების უმრავლესობაში კი აღნიშნული საკითხი წყდება პარლამენტის ან მისი პალატების დამსწრე წევრების სმათა უმრავლესობით.

შეიძლება ითქვას, რომ ერთპალატიან პარლამენტებში მესამე წაკითხვით სრულდება კანონპროექტის განხილვის პროცესი და ის ერთგვარად ამ პროცესის დამამთავრებელ სტადიას წარმოადგენს. მესამე წაკითხვის დროს ან მის შემდეგ აქ უკვე ხდება კანონპროექტის საბოლოო კენჭისყრაზე გატანა.

ამას ვერ ვიტყვით ორპალატიან პარლამენტებზე, ვინაიდან, როგორც წესი, ორპალატიან პარლამენტში, მას შემდეგ რაც კა-



ნონპროექტს მიიღებს ერთი პალატა, ის განსახილველად გაეცემა მეორეს. თუმცა ორპალატიან პარლამენტებშიც არის გამოწვევები, როცა ორივე პალატა ერთდროულად იხილავს კანონპროექტს, მაგალითად, იაპონიაში.

ქვეყნების უმრავლესობაში კანონპროექტს პირველად განიხილავს ქვედა პალატა, ხოლო ზედა პალატის საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა გამოიხატება ქვედა პალატის მიერ უკვე მიღებული კანონპროექტის მხარდაჭერით, ცვლილებების შეტანით ან უარყოფით. ამასთან ზოგიერთ სახელმწიფოში კანონპროექტი ერთი პალატიდან მეორეს გადაეცემა განსახილველად არა სამივე წაკითხვით განხილვის შემდეგ, არამედ ყოველი წაკითხვის შემდეგ თანამიმდევრულად. ასე ხდება, მაგალითად, საფრანგეთში.

რუსეთის ფედერაციაში, როდესაც სახელმწიფო სათათბირო სამი წაკითხვით მიიღებს კანონპროექტს, მისი შემდგომი მსვლელობა უკვე მოწესრიგებულია ფედერაციის საბჭოს რეგლამენტით. მას 5 დღის განმავლობაში უნდა გადაეცეს სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული კანონპროექტი. მაგრამ მთელი თავისებურება იმით გამოიხატება, რომ ფედერაციის საბჭომ ზოგიერთი კანონპროექტი შეიძლება არც განიხილოს. სახელმწიფო სათათბიროდან შემოსული კანონპროექტის განუხილველობა ფედერაციის საბჭოს მიერ ნიშნავს მის თანხმობას სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებაზე. თუმცა ეს არ შეეხება ფედერალურ კონსტიტუციურ კანონებს, ასევე ფედერალურ კანონებს, რომლებიც დაკავშირებულია ფედერალურ ბიუჯეტთან, გადასახადებთან და მოსაკრებლებთან, საფინანსო, სავალუტო, საკრედიტო, საბაზო რეგულირებასთან და ფულის ემისიასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებასა და დენონსირებასთან და ა.შ.

კანონპროექტის განხილვის სტადიებზე რომ ვსაუბრობთ, ბუნებრივად იზადება კითხვა: რა როლი აკისრიათ პარლამენტის კომიტეტებსა და კომისიებს მთელ ამ პროცესში? ალბათ, გადამწყვეტი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან თითქმის ყველა კანონპროექტის მომზადებას მათი განხილვის თითოეულ სტადიაზე (ზოგჯერ პირველის გარდა) უშუალოდ ახორციელებენ პარლამენტი ან მისი პალატების კომიტეტები (კომისიები). უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, იტალიაში, კონსტიტუციის 72-ე მუხლის თანახმად კომისიებს გადაეცემა აქვთ პალატების საკანონმდებლო უფლებამოსილებები. ამის შედეგად პრაქტიკულად აქტების სამი მეოთხედი მიიღება ამ გამარტივებული და დარქარებული



პროცედურის შესაბამისად. თუმცა ისეთი კანონები, რომლებიც ეწება კონსტიტუციურ გადასინჯვა, ბიუჯეტს, საკანონმდებლო ხელისუფლების დელეგირებას, არჩევნებს, აგრეთვე სასაქონლო უფლებების ხელშეკრულებების რატიფიცირებასთან დაკავშირებულ კანონებს, ყოველთვის მიიღება ჩვეულებრივი პროცედურების დაცვით.

აშშ-შიც კონგრესის საკანონმდებლო საქმიანობაში უმთავრეს როლს ასრულებენ პალატების მუდმივი კომიტეტები, რომლებიც განსაზღვრავენ კიდევ ყოველი კანონპროექტის ბედს. პრაქტიკა ადასტურებს, რომ კომიტეტების მიერ მოწონებულ კანონპროექტებს პალატები იღებენ შესწორებების გარეშე.

იაპონიასა და საფრანგეთში, მართალია კომიტეტებს (კომისიებს) არ შეუძლიათ კანონპროექტებში ცვლილებების შეტანა, მაგრამ ისინი სთავაზობენ შესწორებებს, რომლებსაც პალატები იხილავენ კანონპროექტების ძირითადი ტექსტებისაგან დამოუკიდებლად.

დიდ ბრიტანეთში კანონპროექტის მეორე წაკითხვით განხილვის შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა შესაბამის მუდმივ კომიტეტს, სადაც მიმდინარეობს მისი მუხლობრივი განხილვა, შესწორებების შესახებ წინადადებების შეტანა და კენჭისყრა (თუმცა სამთავრობო კანონპროექტებში კომიტეტებს, როგორც წესი, ცვლილებები არ შეაქვთ). კანონპროექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გავა პალატის პლენარულ სხდომაზე განსახილველად, თუ თავად კომიტეტში პოვნებს მხარდაჭერას.

უნგრეთში კი, გარდა უშუალოდ კანონპროექტის განხილვის სტადიებში მონაწილეობისა, კონსტიტუციის 25-ე პარაგრაფის თანახმად პარლამენტის კომიტეტები წარმოდგენილი არიან როგორც საკანონმდებლო ინიციატივის დამოუკიდებელი სუბიექტები.

საკანონმდებლო პროცესში კომიტეტების (კომისიების) საქმიანობის როლს ზრდის ის გარემოებაც, რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ მიერ წარმოდგენილ დასკვნას ამა თუ იმ კანონპროექტზე, რომელიც ყალიბდება წერილობითი მოხსენების სახით და რომელიც პარლამენტის ან მისი შესაბამისი პალატის განსაკუთრებული განხილვის საგანია. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ მოხსენებაში კომიტეტის (კომისიის) მიერ გამოხატულ პოზიციონაზე ბევრად არის დამოკიდებული კანონპროექტის მომავალი ბედი.

კომიტეტებში (კომისიებში) კანონპროექტების განხილვის დროს გათვალისწინებულია გადაწყვეტილების მიღების პროცედურაც. გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე ძირითადად მიიღება კენჭის-

ყრით, რომელშიც მონაწილეობენ მხოლოდ კომიტეტის (კომისიის) წევრები. როგორც წესი, კომიტეტში (კომისიაში) კანონპროექტის მხარდასაჭერად აუცილებელია კომიტეტის წევრთა ხმების ნახევარზე მეტი.

ზოგიერთ სახელმწიფოში პარლამენტის რეგლამენტით დადგენილია პროცედურა, რომელიც საშუალებას აძლევს კომიტეტის იმ წევრებს, რომლებმაც არ დაუჭირეს მხარი კანონპროექტთან დაკავშირებით შემოსულ შესწორებებს და აღმოჩნდნენ უმცირესობაში, დაიცვან თავიანთი უფლებები და დაადასტურონ თავიანთი პოზიცია. მაგალითად, იტალიის, პარლამენტის კომისიებში უმცირესობაში დარჩენილ წევრებს შეუძლიათ მოამზადონ ცალკე მოხსენება და დანიშნონ თავიანთი მომხსენებელი, რომელიც პარლამენტის პალატას წარუდგენს უმცირესობის მოსაზრებებს განსახილველ კანონპროექტზე. ასეთივე პროცედურა არსებობს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის კომიტეტებში. იაპონიაში კი კომისიების უმცირესობის მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები წერილობითი ფორმით თან ერთვის კომისიების მიერ პალატაში შეტანილ ძირითად მოხსენებას.

სხვადასხვა ქვეყნის საპარლამენტო პრაქტიკაში არსებობს პროცედურები, რომელთა თანახმად განისაზღვრება კანონპროექტის განხილვის პროცესის უწყვეტობის ან, პირიქით, წყვეტილობის შესაძლებლობა. პირველს ეწოდება **კონტინუიტეტი**, მეორეს კი — **დისკონტინუიტეტი**.

კონტინუიტეტის არსი იმით გამოიხატება, რომ ეს არის საპარლამენტო პროცედურა, რომლის თანახმად, თუ კანონპროექტი არ არის დამტკიცებული პარლამენტის იმ სესიაზე, რომელზეც ის იყო შემოტანილი, მისი განხილვა უნდა გაგრძელდეს შემდეგ სესიაზე იმ სტადიიდან, რომელზეც შეწყდა მისი განხილვა, ე.ი. ამ შემთხვევაში სესიის დასრულება კი არ წყვეტს საკანონმდებლო პროცესს, არამედ მხოლოდ აჩერებს მას. მაგალითად, საფრანგეთში კონტინუიტეტი გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ითვლება, რომ პარლამენტი მუშაობს უწყვეტად.

დისკონტინუიტეტი კი არის ისეთი საპარლამენტო პროცედურა, რომლის თანახმად მოცემული სესიის დროს პარლამენტში შეტანილი ყველა კანონპროექტი უნდა დამტკიცდეს ამ სესიის დასრულებამდე. კანონპროექტის განხილვისა და მის გამო კენჭისყრის გადატანა შემდეგ სესიაზე არ შეიძლება. დისკონტინუიტეტი გამოიყენება იმ ქვეყნებში, სადაც ყველა სესია მიზნულია მისი საქმიანობის



ორგანიზაციულად დასრულებულ ნაწილად, როგორც ეს არის აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. სხვათა შორის, დისკრინინაციის პროცედურას მმართველი პარტიები იმისათვის რეგულაციულ ფაქტობრივად მოუსპონ ოპოზიციის დეპუტატებს საკანონმდებლო ინიციატივის საშუალება, ვინაიდან პარლამენტის პალატის რეგლამენტში ასეთი წესის არსებობისას საკმარისია „მაგიდის ქვეშ ამოდონ“ მათთვის არასასურველი კანონპროექტი სესიის ბოლომდე, რათა არ იქნეს იგი განხილული და მიღებული.

#### 4. კანონის მიღება

როგორ ხდება კანონის მიღება? ერთნაირად ხორციელდება თუ არა აღნიშნული პროცედურა სხვადასხვა ქვეყანაში?

ეს კითხვები საესებით ბუნებრივია, რადგან საკანონმდებლო პროცესის აღნიშნული სტადია, ისევე როგორც წინამორბედი სტადიები, მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამას ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნის საპარლამენტო პრაქტიკა. ასეთი მრავალფეროვნება აშკარად თვალშისაჩინოა არა მხოლოდ მაშინ, როცა ერთმანეთს ვადარებთ ერთპალატიანი და ორპალატიანი პარლამენტების გამოცდილებას, არამედ მაშინაც, როცა ვაანალიზებთ თავად ორპალატიან პარლამენტებში ამ სტადიასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

ერთპალატიანი პარლამენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, იქ კანონი მიიღება უკანასკნელი ან ერთადერთი წაკითხვის შედეგად და, ამდენად, ამითვე სრულდება კანონის მიღების სტადიაც. კენჭისყრა შეიძლება მოეწყოს ან მთლიანად პროექტის გამო, ანდა ჯერ კენჭი ეყრება მუსწლესა და თავებს და მხოლოდ ამის შემდეგ უყრიან კენჭს მთლიანად პროექტს.

ორპალატიან პარლამენტებში კი მას შემდეგ რაც კანონპროექტს მიიღებს ერთი პალატა, ის განსახილველად გადაეცემა მეორეს. ჩვეულებრივ ორპალატიან პარლამენტებში კანონი მიღებულიად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის ორივე პალატამ, თანაც ერთი და იმავე რედაქციით. მაგრამ ხშირად გვხვდება ამ წესიდან გამონაკლისები, რომლებიც განპირობებულია პარლამენტის პალატების სამართლებრივი მდგომარეობით, მათი სტატუსითა და კომპეტენციით საკანონმდებლო პროცესის განხორციელებ

ბის სფეროში. ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განასხვავებენ ასიმეტრიულ ბიკამერულ და სიმეტრიულ ბიკამერულ პარლამენტებს.

ასეთ დიფერენციაციას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ძლიერია პარლამენტის ზედა პალატა. თუ ზედა პალატა სუსტია, მაშინ საქმე გვაქვს ასიმეტრიულ ბიკამერალიზმთან, რომლის დროსაც ქვედა პალატას თითქმის ყველა შემთხვევაში შეუძლია დაძლიოს ზედა პალატის წინააღმდეგობა კანონის მიღების დროს. ხოლო თუ მოქმედებს ძლიერი ზედა პალატის სისტემა, მაშინ თავს იჩენს სიმეტრიული ბიკამერალიზმი, რომლის დროსაც ზედა პალატის თანხმობის გარეშე არც ერთი კანონი არ იქნება მიღებული და ითვლება, რომ საკანონმდებლო პროცესში პალატები თანასწორუფლებიანი არიან.

ამასთან ერთად გვხვდება შერეული შემთხვევებიც, როცა ერთსა და იმავე პარლამენტში არსებობს როგორც სუსტი ზედა პალატის, ისე ძლიერი ზედა პალატის ნიშნები. ასეთ პარლამენტებში ქვედა პალატას შეუძლია გადალახოს ზედა პალატის წინააღმდეგობა, მაგრამ იმავედროულად ზედა პალატასაც ენიჭება უფლება გარკვეულ შემთხვევებში მიიღოს კანონი ქვედა პალატის თანხმობის გარეშე.

როგორც ვხედავთ, ორპალატიანი პარლამენტების მსგავსი დაცოფის არსი პირველყოფლისა ვლინდება მაშინ, როცა პალატებს შორის კონკრეტული კანონპროექტის გამო წარმოიშობა უთანხმოება, ე.ი. ერთი პალატის მიერ მიღებული კანონპროექტის რედაქციას არ ეთანხმება მეორე პალატა. როგორ წყდება ასეთი უთანხმოებიდან წარმოშობილი პრობლემები? სხვადასხვა პროცედურის მეშვეობით, იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების როგორი მექანიზმი მოქმედებს. თუმცა თავიდანვე შეიძლება ითქვას, რომ პალატებს შორის წინააღმდეგობის დროს თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია ითვალისწინებს სავალდებულო და ფაკულტატიურ შემთანხმებულ პროცედურებს, რომელთა უკეთ გაცნობაც კარგი იქნებოდა კონკრეტული მაგალითების მიხედვით. კერძოდ: იმ პარლამენტებში, სადაც მოქმედებს ძლიერი ზედა პალატის სისტემა, ე.ი. როცა პალატები საკანონმდებლო პროცესში თანასწორუფლებიანი არიან, მათ შორის უთანხმოების შემთხვევაში კანონი არ მიიღება. ამის ტიპური მაგალითია აშშ-ის კონგრესი. ამ დროს ორივე პალატის წევრთაგან პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კომიტეტი. შემთანხმებული კომიტეტის მიერ მო-



წონებულ კანონპროექტის ტექსტს პალატები ველარ შეცვლიან, თუმცა თუ პალატები კვლავ ვერ შეთანხმდნენ, მაშინ ამ კანონპროექტს ახალი შემთანხმებელი კომიტეტი, ან კანონპროექტის ავტორი უარყოფილად. ამრიგად, აშშ-ში ვერც ერთი ბილი ვერ გასდება კანონი, თუ ის არ მიიღო კონგრესის ორივე პალატამ. ამას ადასტურებს აშშ-ის კონსტიტუციის მეორე ნაწილის მე-7 კარის პირველი მუხლი.

იგივე გამომდინარეობს იტალიის კონსტიტუციის 70-ე მუხლიდანაც, რომელშიც ნათქვამია, რომ „საკანონმდებლო ფუნქცია ახორციელებს ერთობლივად ორივე პალატა“.

იმ ქვეყნებში, სადაც პარლამენტის ზედა პალატა სუსტია, პალატებს შორის უთანხმოების შემთხვევაში კანონი ბოლოს და ბოლოს მიიღება ქვედა პალატის რედაქციით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში საკანონმდებლო პროცესში ქვედა პალატებს უფრო მეტი წონა აქვთ, ვიდრე ზედა პალატებს. ეს მტკიცდება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით. სუსტ ზედა პალატას შეუძლია მხოლოდ გადადოს კანონის მიღება და არა უშეტეს.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ლორდთა პალატას შეუძლია შეაჩეროს თემთა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი (ბილი) არა უშეტეს 1 წლისა, ხოლო თუ კანონპროექტი ფინანსური ხასიათისაა – 1 თვით. მაგრამ თუ ეს კანონპროექტები აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კვლავ მოიწონა თემთა პალატამ, მაშინ ისინი ითვლება მიღებულად თემთა პალატის რედაქციით.

კიდევ უფრო აშკარაა ქვედა პალატის უპირატესობა იაპონიაში. თუ მრჩეველთა პალატა, ანუ ზედა პალატა, უარყოფს ქვედა პალატის მიერ მიღებულ კანონპროექტს, ის მაინც ხდება კანონი წარმომადგენელთა პალატის მიერ მისი განმეორებითი კენჭისყრით მიღების შედეგად. მსგავს სიტუაციაში წარმომადგენელთა პალატას შეუძლია ასევე მოითხოვოს პალატების გაერთიანებული სხდომის გამართვა ან შემთანხმებელი კომიტეტის შექმნა (იაპონიის კონსტიტუციის 59-ე მუხლი). შემთანხმებელი კომიტეტი შედგება 20 წევრისაგან – ყოველი პალატიდან აირჩევა 10-10 დეპუტატი. კომიტეტის მიერ შემუშავებული კანონპროექტის კომპრომისული ტექსტი გადაეცემათ პალატებს. თუ კომიტეტმა ვერ შეიმუშავა კომპრომისული ვარიანტი ან ეს ვარიანტი არ დაამტკიცა ორივე პალატამ, მოქმედებს წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. თუ მრჩეველთა პალატამ მოცემულ კანონპროექტს არ უპარა კენჭი მისი ქვედა პალატის მიერ მიღებიდან 60 დღის გან-




მავლობაში, კანონპროექტი ითვლება ზედა პალატის მიერ უარყოფილად, თუმცა, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება ითვლება საბოლოოდ.

პალატებს შორის წინააღმდეგობის დასაძლევად თითქმის ასეთივე, თუმცა უფრო გართულებული, პროცედურა არსებობს რუსეთის ფედერაციაში. ფედერალური კანონის განმეორებით განხილვისას სახელმწიფო სათათბირო ენება მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც შემოთავაზებულია შემთანხმებული კომისიის მიერ. შემთანხმებული კომისია შეიძლება შეიქმნას როგორც ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს ინიციატივით, ისე რფ-ის პრეზიდენტისა და საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის ინიციატივითაც. თუ სახელმწიფო სათათბირომ არ მიიღო შემთანხმებული კომისიის წინადადებები და არ დაეთანხმა ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებას კანონის უარყოფის შესახებ, იგი კვლავ უკრის პირვანდელი რედაქციით მიღებულ კანონპროექტს. ამ შემთხვევაში ფედერალური კანონი ჩაითვლება მიღებულად, თუ მას მხარი დაუჭირა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორმა მესამედმა.

როგორც ვხედავთ, ზედა პალატებს აქვთ უფლება, უთანხმოების შემთხვევაში, მიიღონ გარკვეული ქმედითი ზომები, თუმცა ყველა გარემოებაში ქვედა პალატას შეუძლია შესაბამისი წესების დაცვით გადალახოს მისი წინააღმდეგობა.

მსოფლიო საკანონმდებლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ქვედა პალატამ შეიძლება მოიპოვოს უპირატესობა ზედასთან შედარებით მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ზედა პალატა ფაქტობრივად ხელოვნურად სუსტდება. კერძოდ, საუბარია საფრანგეთში არსებულ მეტად ორიგინალურ საკანონმდებლო პრაქტიკაზე. საქმე ისაა, რომ საფრანგეთში პარლამენტის პალატებს შორის უთანხმოების შემთხვევაში მოქმედებას იწყებს პროცედურა, რომელსაც ეწოდება „საკანონმდებლო მაქო“. ამ პროცედურის თანახმად კანონპროექტი დაუსრულებლად გადაეცემა ერთი პალატიდან მეორეს და, პირიქით, მანამდე, სანამ ისინი არ მიიღებენ ტექსტს ერთი და იმავე რედაქციით. „მაქოსებური“ პროცედურის თავიდან ასაცილებლად საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის 45-ე მუხლმა სენატის წინააღმდეგობის დასაძლევად გაითვალისწინა კიდევ ერთი პროცედურა, რომლის თანახმად მთავრობას შეუძლია შეაჩეროს კანონპროექტის დაუსრულებელი მოძრაობა პალატიდან პალატაში. მაგრამ





ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობას ამის სურვილი აქვს. თუ პალატებს შორის უთანხმოების შემთხვევაში კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება არ იქნა მიიღეს ორ წაკითხვის შემდეგ და მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია მისი სასწრაფოდ განხილვა, მაშინ ყველა პალატაში თითო წაკითხვის შემდეგ პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს მოიწვიოს შერეული პარიტეტული კომისიის სხდომა სადავო საკითხებზე ახალი ტექსტის შესამუშავებლად და, ამგვარად, მოითხოვოს დარქარებული პროცედურის გამართვა. შემთხმებულ კომისიაში შედის 7-7 წევრი თითო პალატისაგან. მის მიერ შემუშავებული პროექტის ბედი დამოკიდებულია მთავრობის გადაწყვეტილებაზე. თუ 15 დღეში მთავრობამ არ გადასცა შერეული პარიტეტული კომისიის ტექსტი პარლამენტს, მაშინ პალატას, რომელიც კომისიის მოწვევამდე უკანასკნელი განიხილავდა ტექსტს, შეუძლია ხელახლა შეუდგეს მის განხილვას ჩვეულებრივი, ანუ „მაქოსებური“ პროცედურის შესაბამისად.

თუ მთავრობამ გადაწყვიტა გამოიყენოს შერეული პარიტეტული კომისიის პროცედურა, მაშინ მის პროექტს ჯერ გადასცემს ეროვნულ კრებას, ხოლო შემდეგ – სენატს. თუ ამ ახალი წაკითხვით სენატმა არ მიიღო პროექტი, მაშინ მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს ეროვნულ კრებას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

როგორც ვხედავთ, თუ მთავრობას არ სურს ჩაერიოს პალატების ურთიერთობაში, პროექტი ფაქტობრივად უსასრულოდ გადაეცემა ერთი პალატიდან მეორეს. მაგრამ როგორც კი მთავრობა გადაწყვეტს პარლამენტში გაატაროს რაიმე პროექტი, ის მაშინვე იყენებს შერეული პარიტეტული კომისიის პროცედურას, საიდანაც გამორიცხავს სენატს.

იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე ეხება ორგანული კანონის მიღებას, როცა სენატის როლი გაცილებით იზრდება, რადგან ორგანული კანონი ორივე პალატამ უნდა მიიღოს იდენტური რედაქციით, მაშინაც კი, თუ მთავრობამ გამოიყენა შერეული პარიტეტული კომისიის პროცედურა, ორგანული კანონი საბოლოო ანგარიშით შეიძლება მიიღოს ეროვნულმა კრებამ, მაგრამ სიითი შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით.

რაც შეეხება იმ ქვეყნებს, სადაც გვხვდება შერეული სისტემა, ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა გფრ-ის მაგალითი. გფრ-ის ბუნდესრათი ტიპური სუსტი ზედა პალატა, თუმცა ძირითადი კანონის 81-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა კანონს არ-

სებითად მხოლოდ ბუნდესრეატი იღებს ბუნდესტაგის თანხმობის გარეშე. ამას კონკრეტულად ქვემოთ შევეხებით.

ჩვეულებრივ, ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონი დაუყოვნებლივვე ვადასრულებს ბუნდესრეატს. თუ ბუნდესრეატი აძლევს თანხმობას, ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონი ითვლება ძალაში შესულად. ხოლო თუ მას აქვს რაიმე დამატება ან ცვლილება, ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონპროექტის წარდგენიდან სამი კვირის განმავლობაში ბუნდესრეატს შეუძლია მოითხოვოს ბუნდესტაგისა და ბუნდესრეატის წევრებისაგან შემდგარი კომისიის მოწვევა პროექტის ერთობლივი განხილვისათვის. თუ კანონის მისაღებად აუცილებელია ბუნდესრეატის თანხმობა, მაშინ კომისიის

მოწვევა შეიძლება მოითხოვონ აგრეთვე ბუნდესტაგმა და ფედერალურმა მთავრობამ. თუ კომისია შესთავაზებს ბუნდესტაგს მის მიერ მიღებულ კანონპროექტში რაიმე ცვლილებების შეტანას, მაშინ ბუნდესტაგი ვალდებულია ხელახლა მიიღოს გადაწყვეტილება ამ კანონპროექტზე. თუ კანონის მისაღებად არ არის საჭირო ბუნდესრეატის თანხმობა, მაშინ შემოთ ალნიშნული პროცედურის დასრულებიდან 2 კვირის განმავლობაში ბუნდესრეატს შეუძლია შეიტანოს პროტესტი ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონის გამო. იმ შემთხვევაში, თუ ბუნდესრეატმა პროტესტი დაადგინა ხმათა უმრავლესობით, იგი შეიძლება უარყოფილ იქნეს ბუნდესტაგის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით. თუ ბუნდესრეატმა პროტესტი დაადგინა თავისი ხმების სულ მცირე ორი მესამედის უმრავლესობით, მაშინ ბუნდესტაგის მიერ მისი უარყოფისათვის საჭიროა ორი მესამედის უმრავლესობა.

შემოთ ალნიშნულიდან ჩანს შერეული სისტემის მხოლოდ ერთი მხარე, ანუ ის, თუ როგორ შეუძლია ქვედა პალატას გადალახოს ზედა პალატის წინააღმდეგობა. მაგრამ გფრ-ის საკანონმდებლო პრაქტიკაში არსებობს სხვა ქვეყნებისათვის საკმაოდ იშვიათი და უცხო პროცედურა, რომლის თანახმად კანონს მხოლოდ ზედა პალატა იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ ბუნდესტაგს ყოველთვის შეუძლია დაძლიოს ბუნდესრეატის წინააღმდეგობა, განსაკუთრებულ შემთხვევაში ბუნდესრეატი ინარჩუნებს უფლებას თავად მიიღოს კანონი ბუნდესტაგის თანხმობის გარეშე. ამის შესაძლებლობას იძლევა გფრ-ის ძირითადი კანონის 81-ე მუხლი იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური მთავრობა მოითხოვს რაიმე კანონის მიღებას, ბუნდესტაგი კი უარს აცხადებს მის მიღებაზე. თუ ასეთი კონფლიქტის შედეგად ბუნდესტაგი არ დაითხოვს, ფედერა-



ლური მთავრობის წინადადებითა და ბუნდესრატის <sup>1</sup> კანონმდებლო პროცედურების შესახებ კანონმდებლო ვითარება, ანუ როგორც მას მეორენაირად უწოდებენ, საკანონმდებლო აუცილებლობის მდგომარეობა ბუნდესრატის მიერ უარყოფილი კანონპროექტის მიმართ. თუ ბუნდესრატმა ამის შემდეგაც არ მიიღო კანონპროექტი და უარყო იგი, ან მიიღო ფედერალური მთავრობისათვის არასასურველი რედაქციით, ან არ მიიღო მასზე გადაწყვეტილება მისი განმეორებით შემოტანიდან 4 კვირის განმავლობაში, მაშინ კანონპროექტი ჩაითვლება მიღებულად, თუ მას მხარი დაუჭერს ბუნდესრატმა. მაშასადამე, საგანგებო საკანონმდებლო ვითარების გამოცხადების შემდეგ გფრ-ის საკანონმდებლო კორპუსი ფაქტობრივად გარდაიქმნება ერთპალატიანად, რადგან კანონის მიღებისათვის საჭირო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზედა პალატა.

აღნიშნულ სტადიასთან დაკავშირებით არსებობს სხვა საინტერესო პროცედურებიც, რომლებიც სცილდება ჩვენ მიერ შერჩეული ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკას. მაგრამ გამოჩაყლისის სახით შეიძლება მოკლედ შევეჩხოთ იუგოსლავიის მაგალითს, რომელიც თავისი არაორდინარულობით მართლაც იმსახურებს ყურადღებას. კერძოდ, იუგოსლავიის საკავშირო სკუპშინა შედგება ორი პალატისაგან – მოქალაქეთა ვეჩესა და რესპუბლიკის ვეჩესაგან. ორივე პალატა თანასწორუფლებიანად წყვეტს საკითხებს. მაგრამ, იუგოსლავიის კონსტიტუციის 93-ე მუხლის შესაბამისად, თუ ისინი ვერ შეთანხმდნენ საკავშირო კანონპროექტთან დაკავშირებით, მაშინ ბოლოს და ბოლოს საკავშირო სკუპშინას შეუწყდება უფლებამოსილების მანდატი.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ პალატების კომპეტენცია კანონის მიღების სფეროში სხვადასხვაა. ზოგ ქვეყანაში ქვედა პალატა დომინირებს, ზოგში კი – ზედა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს პალატებს შორის გარკვეული ბალანსის არარსებობას. საესეებით შესაძლებელია საკანონმდებლო პროცესში ერთ პალატას ჰქონდეს გარკვეული უპირატესობა, მაგრამ სხვა საკითხებში (მაგ., იმპიჩმენტის პროცედურით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, პრეზიდენტის მიერ თანამდებობის პირთა დანიშვნაზე თანხმობის მიცემა და სხვ.) – მეორეს, რითაც ხდება სწორედ მათი უფლებამოსილებების გაწინასწორება.

იმისათვის, რომ პარლამენტმა ან პალატამ მიიღოს გადაწყვეტილება, საჭიროა კვორუმი, ანუ პარლამენტის ან პალატის წევრთა



მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელი პირობებია, რომ სხდომა იყოს უფლებამოსილი და შეეძლოს იურიდიული ხელის მქონე გადაწყვეტილების მიღება, ამ შემთხვევაში კანონის მიღება. კვორუმი განისაზღვრება ან რაიმე ციფრით, ან პარლამენტისა თუ პალატის წევრთა საერთო რაოდენობის პროცენტული გამოანგარიშებით. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, ცალკეული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას ჩვეულებრივი კვორუმი იზრდება.

ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ კენჭისყრის გამართვის წესსაც. არსებობს კენჭისყრის ტრადიციული მეთოდები, რომელთაგან აღსანიშნავია ხელის აწევა, ფეხზე ადგომა, განაწილება (ანუ სხდომათა დარბაზში შემოსვლა ან დარბაზიდან გასვლა სხვადასხვა კარით იმის მიხედვით, თუ რომელ გადაწყვეტილებას ემხრობა დეპუტატი), ბიულეტენების ყუთში ჩაგდება. არსებობს ისეთი ორიგინალური მეთოდიც, როგორცაა ე.წ. აკლამაცია (ამ დროს გადაწყვეტილება მიიღება თავმჯდომარის შეხედულებისამებრ იმის მიხედვით, თუ რომელი გადაწყვეტილების მომხრეები უფრო ხმაძალდა ყვირიან ან უკრავენ ტაშს. შედეგად სწორედ ისინი შეადგენენ უმრავლესობას).

აკლამაცია და ხელის აწევა ჩვეულებრივ გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა აშკარაა უმრავლესობის პოზიცია. პირველი მათგანი გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში. ფეხზე ადგომა, რომელიც გამოიყენება გფრ-ში, იტალიასა და აშშ-ში, იძლევა უფრო ზუსტ შედეგებს: ჯერ დგებიან კანონის მომხრე დეპუტატები, შემდეგ – მისი მოწინააღმდეგეები, რათა უფრო გაადვილდეს ხმების დათვლა. თავმჯდომარეს შეუძლია სთხოვოს ფეხზე ამდგარ დეპუტატებს დარბაზის რომელიმე ნაწილში შეეგუფება.

საკმაოდ ზუსტ შედეგს იძლევა განაწილებაც, რომელიც გამოიყენება გფრ-სა და დიდ ბრიტანეთში.

ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება სახელობითი კენჭისყრის წესი, როცა საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რომელ გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი თითოეულმა დეპუტატმა. სახელობითი კენჭისყრა იზარტება პალატის სპეციალური გადაწყვეტილებით. ზოგჯერ სახელობითი კენჭისყრის აუცილებლობა დადგენილია რეგლამენტით ან კონსტიტუციითაც კი. მაგალითად, იაპონიის კონსტიტუციის 57-ე მუხლის შესაბამისად ნაწილის შესაბამისად თითოეული პალატის დამსწრე წევრთა სულ ცოტა ერთი მესუთედის მოთხოვნით ყოველი დეპუტატის მონაწილეობა კენჭისყრაში ნების-



მიერ საკითხზე უნდა აღინიშნებოდეს ოქმში. ქართული

ასეთი კენჭისყრის გამართვის ზერხები სხვადასხვადასაზღვრულია. ლითად, გფრ-ში დებუტატებს ურიგებენ ბიულეტენებს, რომლებზეც აღნიშნულია მათი გვარი და სხვა მონაცემები, აშშ-ში კი დეპუტატი მიდის პალატის თავმჯდომარის მაგიდასთან და ხმის დამთვლელებს აცნობს თავის პოზიციას, რომელიც შეიტანება ოქმში. იტალიაში ხმამაღლა ამოიკითხება დებუტატების გვარები ანბანის მიხედვით, რათა მათ გამოსატონ თავიანთი პოზიცია, რომელიც შეიტანება ოქმში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ხშირად აღიჭურვება სხდომათა დარბაზები ელექტრონული სისტემებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან საკმაოდ მცირე დროში მოეწყოს დებუტატების რეგისტრაციაც და დაზუსტდეს კენჭისყრის საბოლოო შედეგებიც. თუმცა ასეთი სისტემა მაინც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ დადგინდეს, დებუტატი პირადად მონაწილეობდა თუ არა კენჭისყრაში.

საერთო წესით თითოეულმა დებუტატმა პირადად უნდა მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა, მაგრამ პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა პარლამენტარებს აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ თავიანთი ხმის დელეგირება სხვა დებუტატისათვის. მაგალითად, საფრანგეთში, 1958 წლის №258-1066 ორდონანსის თანახმად, პარლამენტის წევრებს განსაკუთრებულ შემთხვევებში (ავადმყოფობის, სამხედრო სამსახურის, დაუძლეველი ძალის, საზღვარგარეთ ყოფნის გამო და ა.შ.) ეძლევათ თავიანთი ხმის დელეგირების უფლება. ხმის გადაცემა უნდა გაფორმდეს წერილობით და გადაეცეს იმავე პალატის წევრს, რაც უნდა ეცნობოს თავმჯდომარეს.

გფრ-ის ძირითადი კანონის 51-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კი ბუნდესრატის წევრებმა ერთი და იმავე მხარისაგან ხმა უნდა მისცენ ერთნაირად, რადგან მათთვის სავალდებულოა მხარის მთავრობის მითითებები, რომლის წევრებიც ისინი არიან.

კანონის სახეების მიხედვით დადგენილია ხმების რაოდენობა, რომლებიც სავალდებულოა მათ მისაღებად. მაგალითად, ზოგადი წესით, ჩვეულებრივი კანონების მისაღებად საჭიროა ხმების აბსოლუტური რაოდენობა, მაშინ როცა კონსტიტუციური კანონების მისაღებად აუცილებელია ხმების კვალიფიციური უმრავლესობა. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის თანახმად ფედერალური კანონი მიღებულიად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა ფედერაციის საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის სამმა მეოთხედმა

და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა საერთო რაოდენობის, ორმა მესამედმა მაინც, აშშ-ში კონსტიტუციური შესწორებების მიზნის საჭიროა თითოეულ პალატაში საერთო შემადგენლობის ორ მესამედის მხარდაჭერა, ჩვეულებრივი კანონისათვის კი — უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერა. უნგრეთში ჩვეულებრივი კანონები მიიღება დამსწრე დეპუტატთა ხმების უმრავლესობით, ხოლო კონსტიტუციური კანონები — პარლამენტის საერთო შემადგენლობის ხმათა ორი მესამედით. გარდა ამისა, უნგრეთში არის კანონების კატეგორია, რომელთა მიღება შესაძლებელია დამსწრე დეპუტატების ხმათა ორი მესამედით და ა.შ.


## 5. კანონის დამტკიცება, პრომულგირება და გამოქვეყნება

კანონის დამტკიცება, პრომულგირება და გამოქვეყნება საკანონმდებლო პროცესის უმნიშვნელოვანესი სტადია, რადგან სწორედ აღნიშნული პროცედურების განხორციელების შემდეგ შედის კანონი ძალაში და, ამდენად, მათ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად ისმებოდა კითხვა, თუ რა მომენტიდან ითვლებოდა კანონი დამტკიცებულად: მას შემდეგ, როცა მიიღებდა პარლამენტი, თუ მას შემდეგ, როცა ხელს მოაწერდა სახელმწიფოს მეთაური?

რასაკვირველია, საკითხის ამგვარად დასმა საფუძველშივე უმართებულო იყო, ვინაიდან კანონის მიღება და კანონის დამტკიცება, პრომულგირება და გამოქვეყნება საკანონმდებლო პროცესის სხვადასხვა დამოუკიდებელი სტადიაა. ასეთ დამოუკიდებლობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მათ ახორციელებს საკანონმდებლო პროცესის სხვადასხვა სუბიექტი. კერძოდ, კანონს იღებს უშუალოდ და მხოლოდ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ანუ პარლამენტი, როგორც ამ უფლებით აღჭურვილი ერთადერთი ორგანო, ხოლო კანონს ამტკიცებს, პრომულგირებას ახდენს და აქვეყნებს სახელმწიფოს მეთაური.

თუმცა საკანონმდებლო პრაქტიკაში გვხვდება იშვიათი შემთხვევებიც, როცა კანონის დამტკიცებაც საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა, ხოლო პრომულგირება და გამოქვეყნება — სახელ-



მწიფოს მეთაურია. მაგალითად, უნგრეთში პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს ამტკიცებს სახელმწიფო კრების თავმჯდომარე და უგზავნის მას პრეზიდენტს გამოსაქვეყნებლად.

როგორც წესი, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის დამტკიცება გამოინატება სახელმწიფოს მეთაურის მიერ კანონის ოფიციალური ტექსტის ხელმოწერით. ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს მეთაური გვევლინება საკანონმდებლო პროცესის სრულუფლებიან მონაწილედ. ყველა ქვეყანაში კონსტიტუციებითა და რეგლამენტებით დადგენილია ვადები, რომელთა განმავლობაშიც უნდა გადაეცეს სახელმწიფოს მეთაურებს პარლამენტების მიერ მიღებული კანონები.

გარდა ამისა, დადგენილია ვადები, რომელთა განმავლობაშიც სახელმწიფოს მეთაურმა უნდა მოაწეროს ხელი კანონს. მაგალითად, საფრანგეთსა და რუსეთის ფედერაციაში პრეზიდენტმა კანონს უნდა მოაწეროს ხელი 14 დღის განმავლობაში, აშშ-ში – 10 დღეში, იტალიაში – 1 თვის განმავლობაში და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მონარქიული და პარლამენტური მმართველობის მქონე მთელ რიგ სახელმწიფოებში მოქმედებს ე.წ. კონტრასიგნაციის პროცედურა. ასეთ ქვეყნებში კანონზე ხელის მოწერა განიმარტება არა როგორც კანონის დამტკიცება, არამედ როგორც კანონის აფორმება. მაგალითად, გფრ-ის ძირითადი კანონის 82-ე მუხლის პირველ ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ პრეზიდენტი მხოლოდ აფორმებს კანონს. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ კონტრასიგნაციის პროცედურა კანონზე სახელმწიფოს მეთაურის ხელის მოწერამდე ითვალისწინებს შესაბამისი დარგობრივი უწყების ხელმძღვანელის – მინისტრის ან მთავრობის მეთაურის, ანუ პრემიერ მინისტრის, ხელმოწერასაც. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ამ დროს კანონის დამტკიცებაში მონაწილეობს ცალკე მინისტრი (ან ორივე ერთად), ხოლო სახელმწიფოს მეთაური საბოლოოდ აფორმებს მას თავისი ხელმოწერით.

კონტრასიგნაციის საუკეთესო და თავისებურ მაგალითს ვხვდებით იაპონიაში, სადაც პარლამენტის მიერ მიღებულ ყველა კანონს ხელი უნდა მოაწეროს იმ მინისტრმა, რომლის გამგებლობასაც ის განეკუთვნება. მინისტრის ხელმოწერის კონტრასიგნაციას ახდენს პრემიერ-მინისტრი, რომლის შემდეგაც კანონი ვგზავნება იმპერატორს პრომულგორებისათვის. მაშასადამე, იაპონიაში კანონს ამტკიცებს არა სახელმწიფოს მეთაური, არამედ

მინისტრი და მთავრობის მეთაური.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონტრასიგნაციის არსი რით გამოიხატება, რომ იურიდიული და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამა თუ იმ კანონისათვის ეკისრება არა სახელმწიფოს მეთაურს, არამედ კანონის ხელმძღვრე მინისტრსა და მთავრობის მეთაურს.

რაც შეეხება კანონის პრომულგირებას, უნდა განვმარტოთ, რომ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ ტერმინის მიმართაც. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ტერმინები „პრომულგირება“ და „გამოქვეყნება“ სინონიმებია. მაგალითად, რუსი მეცნიერი ვ. დოდონოვი თვლის, რომ პრომულგირება არის სახელმწიფოს მეთაურის მიერ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მიღებული და დამტკიცებული კანონის გამოქვეყნება. თითქმის იგივე შინაარსის, თუმცა ოდნავ განსხვავებული, განმარტება არის მოცემული იურიდიულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში. კერძოდ, მასში ნათქვამია: „პრომულგირება არის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ოფიციალური გამოცხადება, რაც ნიშნავს სახელმწიფოს მეთაურის მიერ კანონპროექტის სანქციონირებას კონსტიტუციით დადგენილ (ჩვეულებრივ ან შემცირებულ) ვადებში, ასევე კანონის გამოქვეყნებას ოფიციალურ მაცნეში“.

ჩვენი აზრით, ასეთი განმარტებები არ არის მართებული, ვინაიდან ისინი ზუსტად ვერ გადმოსცემენ პრომულგირების ნამდვილ არსს. ამასთან დაკავშირებით საესებით შეიძლება გავიზიაროთ რუსი მეცნიერების მ. რიფოვისა და ბ. სტრაშუნის მოსაზრება, რომლებიც

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით თვლიან, რომ პრომულგირება არის არა მიღებული კანონის გამოქვეყნება ან სანქციონირება (ანუ დამტკიცება), არამედ კანონის ოფიციალურად გამოქვეყნების შესახებ საეციალური აქტის, მაგალითად, განკარგულების გამოცემა. მათი აზრით, პრომულგირება, ჩვეულებრივ, ხორციელდება სახელმწიფოს მეთაურის აქტით – ბრძანებულებით, ბრძანებით ან სხვა ამგვარი დოკუმენტებით, რომელთა ტექსტიც ოფიციალურ ორგანოში წინ უძღვის პრომულგირებული კანონის ტექსტს. აღნიშნულის დასადასტურებლად მათ მოჰყავთ „სამართლის მცირე ენციკლოპედიის“ პოლონური გამოცემა, რომელშიც განმარტებულია, რომ პრომულგირება გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების, ჩვეულებრივ, სახელმწიფოს მეთაურის განსაკუთრებული აქტის გამოცემას პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტის გამოქვეყნების შესახებ, რომლითაც წინადა-





დება ეძლევათ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს და ვინ ამ აქტის მითითებები.

ამდენად, ზემოთ აღნიშნულიდან საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ზღვარი კანონის პრომულგირებასა და კანონის გამოქვეყნებას შორის.

რაც შეეხება კანონის გამოქვეყნებას, იგი გულისხმობს კანონის სრული და ზუსტი ტექსტის დაბეჭდვას სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ ოფიციალურ გამოცემებში. მათი ნუსხა, როგორც წესი, განსაზღვრულია კონსტიტუციებით, რეგლამენტებითა და სპეციალური კანონებით. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში არსებობს 1994 წლის 14 ივნისის კანონი „ფედერალური კონსტიტუციური კანონების, ფედერალური კანონების, ფედერალური კრების პალატების აქტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“, რომლის თანახმად რუსეთის ფედერაციაში ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება კანონის სრული ტექსტის პირველი პუბლიკაცია ისეთ გამოცემებში, როგორცაა „როსიისკაია გაზეტა“ და „რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის კრებული“. ეს უკანასკნელი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური გამოცემაა.

გფრ-ის ძირითადი კანონის 82-ე მუხლის თანახმად ფედერალური კანონები ქვეყდება ისეთ გამოცემაში, როგორცაა „ბუნდესგეზეცელატი“, ანუ „ფედერალურ კანონთა ჟურნალი“.

კანონის გამოქვეყნების პროცედურას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ის მიზნად ისახავს გააცნოს მოსახლეობას მიღებული და დამტკიცებული კანონის სრული და ზუსტი შინაარსი; მეორე, კანონის გამოქვეყნება საჭიროა ოფიციალური ტექსტის დუბლიკატების შესაქმნელად; და, შესაბამისად, ალბათ, ყველაზე მთავარია, კანონის გამოქვეყნების თარიღით განისაზღვრება მისი ძალაში შესვლის ვადა, თუ, რა თქმა უნდა, კანონის ტექსტში პირდაპირ არ არის მითითებული მისი ძალაში შესვლის კონკრეტული თარიღი. მაშასადამე, კანონი ძალაში შედის მხოლოდ მისი გამოქვეყნების შემდეგ და არა მისი ხელმოწერის, ანუ დამტკიცების, მომენტიდან.

კანონების გამოქვეყნების ფუნქცია თითქმის ყველა ქვეყანაში ეკისრებათ სახელმწიფოთა მეთაურებს, თანაც აღნიშნული პროცედურის განსახორციელებლად კონსტიტუციებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილია მკაცრად განსაზღვრული ვადები. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში პრეზიდენტმა კანონი უნდა გამოაქვეყნოს მისი ხელმოწერიდან 7 დღის განმავლობაში, საფ-

რანგეთში – 2-კვირიან ვადაში, ბულგარეთში – კანონის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში, უნგრეთში – 15 დღეში, თუმცა სახელმწიფო კრების თავმჯდომარის თხოვნის შემთხვევაში პრეზიდენტმა კანონი უნდა გამოაქვეყნოს 5 დღეში, ხოლო იაპონიაში იმპერატორმა კანონი უნდა გამოაქვეყნოს მისი დამტკიცებიდან 30 დღის განმავლობაში.

ნიშნავს თუ არა კანონის გამოქვეყნება მის ძალაში შესვლას? რა თქმა უნდა, არა, თუ კანონში სხვა კონკრეტული მითითება არ არის მოცემული. თუმცა საკანონმდებლო პრაქტიკა მოწმობს, რომ მაშინაც კი, როდესაც კანონში პირდაპირ არის მითითებული მისი ძალაში შესვლის ვადა, ხშირ შემთხვევაში უარყოფილია მისი გამოქვეყნებისთანავე ძალაში შესვლის მოთხოვნა, ე.ი. კანონის გამოქვეყნებიდან მისი ძალაში შესვლის მომენტამდე მაინც არის გათვალისწინებული გარკვეული შუალედური პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საშუალება ეძლევათ ქვეყნის მოსახლეობას, თანამდებობის პირებს საფუძვლიანად გაეცნონ კანონის შინაარსს.

იმ შემთხვევაში, თუ კანონში პირდაპირ არ არის განსაზღვრული მისი ძალაში შესვლის კონკრეტული თარიღი, მაშინ მოქმედებს ე.წ. ფიქსირებული ვადების პროცედურა. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ, იტალიაში – 15 დღის, საფრანგეთში – ერთი დღის, იაპონიაში – 20 დღის შემდეგ, გერ-ში კი – „ბუნდესგეზეცბლატის“ გამოცემიდან მე-14 დღეს.

## 6. ვეტოს უფლება

საკანონმდებლო პროცესი დასრულდება, თუ სახელმწიფოს მეთაური დაამტკიცებს კანონს და გამოაქვეყნებს მას.

მაგრამ რა ბედი ეწევა კანონს, თუ სახელმწიფოს მეთაურმა არ მოიწონა პარლამენტის მიერ მიღებული კანონი და უარი თქვა ზემოთ აღნიშნული პროცედურების შესრულებაზე?

ამ შემთხვევაში ამოქმედდება საკანონმდებლო პროცედურა, რომელიც კიდევ ერთხელ დაგვანახებს აღმასრულებელი ხელისუფლების ფართო შესაძლებლობებს საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში. საუბარია ვეტოს უფლების გამოყენებაზე.



ტერმინი „ვეტო“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს [სტრუქტურულ] თანამედროვე სახელმწიფოებში პარლამენტების მიერ მიღებული კანონებზე ვეტოს დადების უფლება ენიჭებათ სახელმწიფოს მეთაურებს, რაც კიდევ უფრო ქმედითს ხდის მათ ურთიერთობას საკანონმდებლო ხელისუფლებასთან. სახელმწიფოს მეთაურებს ვეტოს უფლება ენიჭებათ მოუხედავთ იმისა, თუ მმართველობის რა ფორმა არსებობს კონკრეტულ სახელმწიფოში. საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკა იცნობს ვეტოს სხვადასხვა სახეს. კერძოდ, გვხვდება **აბსოლუტური** (ანუ რეზოლუციური) ვეტო, როცა სახელმწიფოს მეთაურს ეკუთვნის უფლება საბოლოოდ უარყოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, და **შეყოვნებითი** (სუსპენსიური) ვეტო, როცა სახელმწიფოს მეთაურის უარი კანონის დამტკიცებაზე მხოლოდ აჩერებს მის ძალაში შესვლას, რამდენადაც პარლამენტს უნარჩუნდება შესაძლებლობა განმეორებითი კენჭისყრით მიიღოს ესა თუ ის კანონი. ამასთან კანონპროექტის მეორედ (ანუ საბოლოოდ) მიღებისათვის მეტ წილ პარლამენტებში აუცილებელია კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერა.

განასხვავებენ ასევე **საერთო** და **ნაწილობრივ** (ანუ შერჩევით) ვეტოს. პირველი ნიშნავს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მთლიანი ტექსტის უარყოფას, მეორე კი – კანონის ცალკეული ნაწილებისა და ცალკეული მუხლების უარყოფას. საკანონმდებლო პრაქტიკაში ძალზე იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება ე.წ. „ჯიბის ვეტოს“ გამოყენების შესაძლებლობა (მაგ., აშშ-ში), რომელზეც ოდნავ ქვემოთ შევირდებით.

იმისათვის, რომ უფრო კარგად წარმოჩნდეს ვეტოს უფლების გამოყენების თავისებურებები, განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები.

აშშ-ში, სადაც ხელისუფლების დანაწილების კლასიკურ მაგალითს ვხვდებით, კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-7 კარში პირდაპირ არის მითითებული, რომ თუ პრეზიდენტი არ უჭერს მხარს კანონს, თავისი შენიშვნებითა და წინადადებებით უბრუნებს კანონპროექტს იმ პალატას, სადაც პირველად განიხილეს იგი. თუ ასეთი გადასინჯვის შემდეგ პალატის წევრთა ორმა მესამედმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს, ის პრეზიდენტის შენიშვნებთან ერთად ვეზაუნება მეორე პალატას, სადაც ასევე იქნება განხილული, და იმ შემთხვევაში, თუ აქაც მას მხარი დაუჭირა პალატის საერთო შემადგენლობის ორმა მესამედმა, მაშინ ის ხდება კანონი. ყველა შემთხვევაში იმართება სახელობითი კენჭისყრა. ამის შემდეგ პრე-



ზიდენტმა უნდა დაამტკიცოს კანონი 10 დღეში (კვირა დღეების ჩათვლელად). თუ მითითებულ ვადაში პრეზიდენტმა არ შეასრულა ეს ფუნქცია, კანონი მაინც ითვლება დამტკიცებულად. როგორც კონსტიტუციის 101-ე მუხლის მიხედვით, როცა აშშ-ის კონგრესში არც ერთ პარტიულ ფრაქციას არ აქვს ხმების კვალიფიციური უმრავლესობა, შეკრებებითი ვეტო პრეზიდენტის მიერ კონგრესის საკანონმდებლო საქმიანობაში ჩარევის ეფექტიანი საშუალებაა. როგორც პრაქტიკა მოწმობს, კონგრესს ძალზე იშვიათად შესწევს უნარი გადალახოს პრეზიდენტის ვეტო (დაახლოებით 7-11%).

გარდა ამისა, აშშ-ის საკანონმდებლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა პრეზიდენტი იყენებს ე.წ. „ჯიბის ვეტოს“ უფლებას, რაც გამოწვეულია ამ თავის მე-2 პარაგრაფში ნახსენები დისკონტინუიტეტის პრინციპის მოქმედებით, რომლის თანახმად, თუ იმ 10 დღის განმავლობაში, როცა პრეზიდენტმა ხელი უნდა მოაწეროს კანონს, კონგრესს ეწყება არდადეგები, მაშინ პრეზიდენტს შეუძლია მისთვის დასამტკიცებლად გადაცემული კანონი „ჩაიდოს ჯიბეში“ (ე.ი. არ დაამტკიცოს), რის შედეგადაც კანონი არ იძენს იურიდიულ ძალას. „ჯიბის ვეტოს“ კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ მის დასაძლევად კონგრესმა არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ უნდა განიხილოს აღნიშნული კანონპროექტი, მაგრამ უკვე საკანონმდებლო პროცესის პირველი სტადიიდან, ე.ი. საკანონმდებლო პროცესი ამა თუ იმ კანონპროექტთან დაკავშირებით თავიდან იწყება. ამიტომ აშშ-ის კონგრესში სესიის დასრულების პერიოდში აქტიურდება მუშაობა, რომლის დროსაც ხდება უამრავი კანონის მიღება, რათა მათზე დახარჯულმა შრომამ და დრომ ფუჭად არ ჩაიაროს.

პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის გართულებული პროცედურა არსებობს რუსეთის ფედერაციაშიც. თუ პრეზიდენტმა 14 დღის განმავლობაში ხელი არ მოაწერა კანონს, მაშინ სახელმწიფო სათათბირომ და ფედერაციის საბჭომ ხელახლა უნდა განიხილონ ეს კანონი. აშშ-საგან განსხვავებით პრეზიდენტის მიერ უარყოფილი კანონი უბრუნდება ქვედა პალატას. სახელმწიფო სათათბიროს საბჭო დაბრუნებულ კანონს დასკვნისათვის უგზავნის ან კანონისათვის პასუხისმგებელ კომიტეტს, ან სპეციალურად შექმნილ პალატის კომისიას, რომლებიც განიხილავენ მას 10 დღის განმავლობაში.

განხილვის შედეგებით იღებენ რეკომენდაციას: ან მხარი დაუჭირონ პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ კანონის რედაქციას, ან



მხარი დაუჭირონ პრეზიდენტის წინადადებას მოცემული კანონის მიღების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან მხარი დაუჭირონ რეალურ კანონს ადრე მიღებული რედაქციით.

თუ პალატამ მიიღო გადაწყვეტილება განხილვის გამართვის შესახებ, მასში მონაწილეობენ მხოლოდ ფრაქციებისა და სადებუტატო ჯგუფების წარმომადგენლები. განხილვის დასრულების შემდეგ პირველად კენჭს უყრიან წინადადებას, რომ მხარი დაუჭირონ კანონს პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული რედაქციით. გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად, თუ მას მხარი დაუჭირა სახელმწიფო სათათბიროს საერთო შემადგენლობის უმრავლესობამ.

მაგრამ თუ პირველი წინადადება არ გავიდა, მაშინ კენჭს უყრიან საკითხს, რომ მხარი დაუჭირონ კანონს პირვანდელი რედაქციით. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება სახელმწიფო სათათბიროს საერთო შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კანონი იმავე დღეს ვგზავნება ფედერაციის საბჭოს.

ფედერაციის საბჭოს მიერ კანონის განმეორებით განხილვისას ის მიღებულად ჩაითვლება, თუ მხარი დაუჭირა ფედერაციის საბჭოს წევრთა შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობამ.

კანონი ვგზავნება პრეზიდენტს, რომელმაც 7 დღეში ხელი უნდა მოაწეროს მას და გამოაქვეყნოს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციაშიც, ისევე როგორც აშშ-სა და მეტ წილ სხვა ქვეყნებში, შეყოვნებითი ვეტო არ ფრცვლდება კონსტიტუციურ კანონებზე.

მსგავსი პროცედურები ხორციელდება სხვა სახელმწიფოებშიც, თუმცა მათაც ახასიათებთ გარკვეული თავისებურებანი. აშშ-სა და რუსეთის ფედერაციაში პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა საკმაოდ რთულია. გაცილებით ადვილია ეს ბულგარეთში, სადაც სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს გამოიყენოს ვეტო და დაუბრუნოს კანონი პარლამენტს. მაგრამ ამ შემთხვევაში პარლამენტის მიერ კანონის განმეორებით მიღება ხდება ჩვეულებრივი პროცედურების გათვალისწინებით, ე.ი. არ არის დადგენილი რაიმე სპეციალური პროცედურის შესრულების მოთხოვნა (მაგალითად, კანონის მიღება კვალიფიციური უმრავლესობით). ბულგარეთში კანონის განმეორებით მისაღებად საჭიროა პარლამენტის საერთო შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა. მეორედ მიღებული კანონი პრეზიდენტმა უნდა გამოაქვეყნოს 7 დღის განმავლობაში.



თითქმის იგივე მდგომარეობაა იტალიაშიც, სადაც პრეზიდენტს შეუძლია გამოიყენოს ვეტოს უფლება. აქაც კანონმდებლობის პროცესში არის განსაზღვრული ვეტოს უფლების გამოყენების საფუძვლები. ვეტოს დადებისას პრეზიდენტი ყველაზე ხშირად მიუთითებს ტექნიკურ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე, მაგრამ არა პოლიტიკურ მიზეზებზე. იტალიაშიც ვეტოდადებული კანონის განმეორებითი მიღებისათვის არ არის საჭირო კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერა.

გარდა ამისა, იტალიაში პრეზიდენტის ვეტოსთან ერთად არსებობს სახალხო ვეტოს ინსტიტუტი, უშუალო დემოკრატიის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც გათვალისწინებულია იტალიის კონსტიტუციის 75-ე მუხლით. თავად კონსტიტუცია სახალხო ვეტოს გამოყენებას უკავშირებს უარყოფელი რეფერენდუმის გამართვას. ის შეიძლება მოეწყოს 500 ათასი ამომრჩევლის ან ხუთი საოლქო საბჭოს მოთხოვნით უკვე მოქმედი კანონის მთლიანად ან ნაწილობრივ გასაუქმებლად. თუმცა სახალხო ვეტო ვრცელდება მიმდინარე კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებზე და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი კანონების მიმართ, როგორიცაა კანონები გადასახადებისა და ბიუჯეტის შესახებ, ამნისტიისა და შეწყალების შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირების უფლებამოსილების შესახებ.

ვეტოს გამოყენების კიდევ უფრო საინტერესო ტრადიცია ჩამოყალიბდა უნგრეთში. გარდა ჩვეულებრივი პროცედურისა, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით უნგრეთის პრეზიდენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს პარლამენტის მიერ ხელახლა მიღებულ კანონს და 5 დღეში გამოაქვეყნოს იგი. მაგრამ ყველაზე დიდი სპეციფიკობა ვეტოს გამოყენების სფეროში უნგრეთის მაგალითზე არის ის, რომ კანონის პირველად მიღების შემდეგ პრეზიდენტს, გარდა იმისა, რომ შეუძლია 15 დღეში უკან დაუბრუნოს კანონი პარლამენტს, იმავე ვადაში შეუძლია გაუგზავნოს იგი უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ თელის, რომ კანონის ესა თუ ის დებულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს კანონის კონსტიტუციურობას რიგგარეშე წესით. თუ კონსტიტუციასთან შეუსაბამობა დადგინდა, პრეზიდენტი უბრუნებს კანონს სახელმწიფო კრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვალდებულია ხელი მოაწეროს კანონს და 5 დღეში გამოაქვეყნოს იგი.

როგორც ვხედავთ, ყველა აქ ჩამოთვლილ ქვეყანაში სახელმწი-



ფოთა მეთაურები ძირითადად იყენებენ მხოლოდ შექვეყნებულ კანონებს.  
ტოს უფლებას.

რაც შეეხება აბსოლუტურ ვეტოს, მისი გამოყენების ტრადიცია არსებობდა დიდ ბრიტანეთში, სადაც კანონი არ შევიდოდა ძალაში, თუ მას ხელს არ მოაწერდა მონარქი, ე.ი. სახელმწიფოს მეთაურს უფლება ჰქონდა საკუთარი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა კანონის ბედი. სამეფო ვეტოს გამოყენების შემთხვევაში კანონი ითლებოდა უარყოფილად. მაგრამ 1707 წლის შემდეგ, როცა უკანასკნელად იქნა გამოყენებული სამეფო ვეტო, დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბდა კონვენციონალური ნორმა, რომელიც ავალდებულებს მეფეს ხელი მოაწეროს იმ კანონპროექტებსაც, რომლებსაც იგი პირადად არ ეთანხმება, თუმცა ფორმალურად მაინც აქვს ვეტოს გამოყენების უფლება.

მცირე გამონაკლისების სახით ვხვდებით ისეთ სახელმწიფოებსაც, სადაც სახელმწიფოს მეთაურს არც ფორმალურად და არც პრაქტიკულად არ აქვს ვეტოს გამოყენების უფლება. ასეთი სახელმწიფოს კლასიკური მაგალითია იაპონია, სადაც პარლამენტთან ურთიერთობის სფეროში კანონშემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით იაპონიის იმპერატორს არანაირი პრეროგატივა არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით კანონების პრომულგირებას.

## 7. სპეციალური პროცედურები ცალკეული კანონებისათვის

საკანონმდებლო პროცედურების ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია წინა პარაგრაფებში, ძირითადად შეეხებოდა ჩვეულებრივი, ანუ მიმდინარე კანონების მიღების წესებს. მაგრამ ამა თუ იმ ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკაში არცთუ იშვიათად იღებენ ზოლმე სხვა სახის კანონებსაც, რომლებიც ჩვეულებრივი კანონებისაგან განსხვავდებიან მიღების წესით. რა განაპირობებს მათი მიღების აუცილებლობას? განა ჩვეულებრივ, ანუ მიმდინარე კანონებში არ შეიძლება აისახოს სახელმწიფოს საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მხარეები ან სხვა კონსტიტუციური-სამართლებრივი ურთიერთობები? არა, რადგან კონსტიტუციური სამართლის თეორიაში არსებობს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ: ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში გათვალისწინებულია კანონთა ზო-



გადი კლასიფიკაციის საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც კანონები ერთმანეთისგან განსხვავდებიან თავიანთი იურიდიულ მნიშვნელობით, მათი რეგულირების სფეროს მიკუთვნებულს წესდებით, წესდებით და მათზე ვეტოს უფლების გამოყენების შესაძლებლობით. ბუნებრივია, რაც უფრო მეტია ნორმატიული აქტის, მით უმეტეს კანონის იურიდიული ძალა და მისი იმპერატიულობის ხარისხი, მით უფრო გართულებულია მათზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. სწორედ ეს გარემოებანი განაპირობებენ ცალკეულ კანონთა მიმართ განსაკუთრებული საკანონმდებლო რეჟიმის დადგენას, რაც გამოიხატება კიდევ იმით, რომ მათ განსხვავებული წესით იღებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩვეულებრივი, ანუ მიმდინარე კანონებისაგან განსხვავებული საკანონმდებლო აქტები სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი. მაგალითად, ერთ შემთხვევაში მათ უწოდებენ კონსტიტუციურ შესწორებებს, მეორე შემთხვევაში – კონსტიტუციურ კანონებს, მესამე შემთხვევაში – ორგანულ კანონებს, მეოთხეში – სპეციალურ ან დამატებით კანონებს და ა.შ. მაგრამ მთავარი აქ მათი სახელწოდება კი არა, საკანონმდებლო ფუნქცია და დანიშნულებაა, რადგან ასეთი კანონების მიღება ძირითადად ხდება ან კონსტიტუციაში ცვლილებებისა თუ დამატების შესატანად, ან კონსტიტუციაში არსებული ბლანკეტური ნორმის სარეალიზაციოდ.


არსებითად, ყოველი ქვეყნის კონსტიტუცია პირდაპირ ადგენს მისალგებ კანონთა სახეებს და შესაბამის ფუნქციებსაც ანიჭებს მათ.

და მაინც, რით გამოიხატება აღნიშნულ კანონთა მიღების სპეციფიკა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ ცალკეული კანონების მიღების კონკრეტული მაგალითები ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ნათლად დავინახოთ მათთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროცედურების თავისებურებანი.

დავიწყეთ კონსტიტუციური შესწორებების განხილვით, ვინაიდან სწორედ მათ მიღებასთან დაკავშირებით ადგენენ კონსტიტუციები ყველაზე რთულ პროცედურებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ტერმინები „კონსტიტუციური შესწორება“ და „კონსტიტუციური კანონი“ ფორმალურადაც და ფაქტობრივადაც ერთმნიშვნელოვანი შინაარსით იხმარება





(მაგ., აშშ), ზოგან კი ისინი განსხვავებული შინაარსის მატარებლები არიან (მაგ., რუსეთის ფედერაცია). იმ ქვეყნებში, სადა კონსტიტუციური კანონების მიღება მიზნად ისახავს კონსტიტუციური შესწორებების შეტანას, იგი ემთხვევა კონსტიტუციის შესწორებისათვის დადგენილ პროცედურას.

როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატორთა წრე თითქმის იგივეა, რაც ჩვეულებრივ საკანონმდებლო პროცესში, თუმცა ზოგჯერ იგი საკმაოდ შეზღუდულია ან საერთოდაც მათთვის დადგენილია დამატებითი მოთხოვნები.

მაგალითად, თუ აშშ-ში ჩვეულებრივ კანონპროექტებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივას ფლობენ კონგრესის ორივე პალატის წევრები ინდივიდუალურად, ამ ქვეყნის კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად კონსტიტუციური შესწორებების შეთავაზება შეუძლია კონგრესს, თუ ორივე პალატის წევრთა ორი მესამედი მიიჩნევს მას საჭიროდ, ან თუ მას მიმართავს შტატების ორი მესამედის ლეგისლატურები – მოიწვიონ კონსტიტუციური კონვენტი შესწორებათა შესახებ წინადადების შესატანად.

რუსეთის ფედერაციაშიც კონსტიტუციის 134-ე მუხლით ზუსტად არის განსაზღვრული სუბიექტების წრე, რომლებიც უფლებამოსილი არიან დასვან კონსტიტუციის გადასინჯვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. ესენია: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, ფედერაციის საბჭო, სახელმწიფო სათათბირო, მთავრობა, რუსეთის ფედერაციის სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოები, აგრეთვე ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ერთი მეხუთედი.

საფრანგეთში კონსტიტუციური შესწორებების ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები და პრეზიდენტი, რომელიც მოქმედებს პრემიერ-მინისტრის წინადადებით. თუმცა, როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრის წინადადებას ამ შემთხვევაში არსებითად ფორმალური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან პრაქტიკულად პრეზიდენტი ხშირ შემთხვევაში მასთან შეთანხმებამდე წვევს ზოლმე აღნიშნული საკითხის დაყენებას.

ბულგარეთში კი კონსტიტუციური შესწორებების ინიციატორები შეიძლება იყვნენ პრეზიდენტი და პარლამენტის დეპუტატთა ერთი მეოთხედი.

კატეგორიულად იკრძალება კონსტიტუციურ შესწორებათა საკითხის დაყენება და მათი მიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, რათა შენარჩუნებულ იქნეს ქვეყნის ძირითადი




საკანონმდებლო ბაზის სტაბილურობა ნებისმიერ შემთხვევაში.

როდესაც ვსაუბრობთ კონსტიტუციურ შესწორებათა შესახებ, განხილვის გართულებულ პროცედურაზე, ყველაზე მეტად ვინტერესდება მათი მიღების სტადიაზე, რომლის დროსაც დადგენილია საკმაოდ მკაცრი წესები; ხშირად მათ მისაღებად განსაზღვრულია ისეთი კვორუმი, რომ ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება ამ შესწორებათა მიღება. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მრავალ ქვეყანაში თითქმის არ ხდება ცვლილების შეტანა, ან თუ ხდება, ძალზე იშვიათად. ასე, მაგალითად, იაპონიის კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1947 წელს, დღემდე არც ერთხელ არ შეცვლილა. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ მასში შესწორების შეტანის მკაცრ წესში, რაც დადგენილია 96-ე მუხლით. კერძოდ, კონსტიტუციის შესაცვლელად, რომელიც ხორციელდება პარლამენტის ინიციატივით, საჭიროა ორივე პალატის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედის თანხმობა, მაგრამ მისი მიღება ამით არ მთავრდება. სავალდებულოა მისი რატიფიცირება, რისთვისაც არსებობს ორი გზა: შესწორებები გააქვთ განსაკუთრებულ რეფერენდუმზე ან გადაეცემა პარლამენტს მისი ახალი არჩევნების შემდეგ. რატიფიცირების ფორმა განისაზღვრება პარლამენტის გადაწყვეტილებით.

თავისი სირთულით გამოირჩევა იტალიის 1947 წლის კონსტიტუციის გადასინჯვის წესები. გადასინჯვის პროცედურა ითვალისწინებს ორ თანამიმდევრულ სტადიას. ამასთან გამოიყენება შემდეგი წესები: შესწორებები მიიღება ორჯერ პარლამენტის ყოველ პალატაში, ე.ი. დებუტატთა პალატასა და სენატში. განხილვებს შორის უნდა გაიაროს სულ ცოტა სამმა თვემ და მეორე კენჭისყრით მათ მხარი უნდა დაუჭიროს ყველა პალატის წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ. მეორე კენჭისყრა უკვე წარმოადგენს მათ რატიფიცირებას. თანაც, თუ შესწორებებმა მეორე კენჭისყრით არ მიიღო ხმების ორი მესამედი თითოეულ პალატაში, მაშინ მიღებულ შესწორებათა გამოქვეყნების შემდეგ სამი თვის განმავლობაში შესაძლებელია რეფერენდუმის მოწყობა, თუ ეს მოითხოვა ერთ-ერთი პალატის წევრთა ერთმა მეტუთედმა, ან 500 ათასმა ამომრჩეველმა, ან 5 საოლქო საბჭომ. ამის გამო იტალიის კონსტიტუციაში დღემდე შესულია მხოლოდ 10 შესწორება.

ამ თვალსაზრისით ყველაზე სტაბილურ კონსტიტუციად შეიძლება მივიჩნიოთ აშშ-ის კონსტიტუცია, რომელშიც 208 წლის განმავლობაში მხოლოდ 27 შესწორება შეიტანეს, ისევ და ისევ მათი მიღების სირთულის გამო. აშშ-ში შესწორებებს იღებს კონგრესის



ორივე პალატის წევრთა ორი მესამედის მიერ ან შტატების, მესამედის ინიციატივით სპეციალურად მოწვეული კონსტიტუციური კონვენტი. ორივე შემთხვევაში მიღებულ შესწორებათა რატიფიცირება უნდა მოახდინოს შტატების საკანონმდებლო კრებების (დამფუძნებელი კრებების) სამმა მეოთხედმა. სწორედ შტატების მიერ შესწორებათა რატიფიცირების პროცესია აშშ-ის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წინალობა.

კონსტიტუციაში შესწორებათა შეტანის საკმაოდ რთული მოდელი აირჩია რუსეთის ფედერაციამაც. აღსანიშნავია, რომ ისინი მიიღება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ფედერალური კონსტიტუციური კანონების მისაღებად, ე. ი. საჭიროა ფედერაციის საბჭოს საერთო წევრთა სულ ცოტა სამი მეოთხედისა და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ორი მესამედის თანხმობა. გარდა ამისა, კონსტიტუცია შესწორებების ძალაში შესვლის აუცილებელ პირობად სახით მოითხოვს მათ მხარდაჭერას ფედერაციის სუბიექტების სულ ცოტა ორი მესამედის მიერაც.

გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია ადგენს იმ საკითხების ნუსხას, რომელთა გადასინჯვაც არ არის დამოკიდებული მხოლოდ ფედერალური კრების ნებაზე. ეს საკითხები მოცემულია 1-ელ, მე-2 და მე-9 თავებში: „კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები“, „ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები“ და „კონსტიტუციური შესწორებები და კონსტიტუციის გადასინჯვა“. წინადადებები ამ თავებში მოცემული მუხლების გადასინჯვის შესახებ მოითხოვს საკმაოდ მნიშვნელოვან მხარდაჭერას ორივე პალატის დეპუტატებისაგან. მათი რაოდენობა უნდა შეადგენდეს თითოეული პალატის წევრთა საერთო რაოდენობის სამ მეოთხედს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი ამ თავებში შესწორებების შეტანისათვის. ასეთ შემთხვევაში მოიწვევა კონსტიტუციური კრება (დამფუძნებელი კრების მსგავსი დროებითი ორგანო), რომელმაც ან უნდა დაამტკიცოს მოცემული კონსტიტუციის ურყეობა, ან დაიწყოს ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება.


საფრანგეთში კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა გათვალისწინებულია კონსტიტუციის 89-ე მუხლში. აქაც, ისევე როგორც იაპონიასა და იტალიაში, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესი მოიცავს ორ სტადიას: 1) შესწორებების შეტანა და მათი მიღება და 2) ამ შესწორებების რატიფიცირება. კანონი კონსტიტუციის შეცვლის შესახებ უნდა მიიღონ პარლამენტის პალატებმა იდენტური რედაქციით. მეორე სტადია შეიძლება განხორ-



ციელდეს ორი გზით, რომელთაგან ძირითადია პარლამენტის მიერ მიღებულ შესწორებათა რატიფიცირება რეფერენდუმის მეშვეობით, რომელზეც საკმარისია ამომრჩეველთა ხმების უბრალო უმრავლესობა. თუმცა მთავრობის ინიციატივით შემოსული პროექტი პრეზიდენტს შეუძლია გადასცეს სარატიფიკაციოდ პარლამენტსაც, რომელიც ამ შემთხვევაში მოიწვევა კონგრესის სახით. ე.ი. თუ იაპონიაში რატიფიკაციის ფორმას განსაზღვრავს პარლამენტი, საფრანგეთში ამის უფლება აქვს პრეზიდენტს. პარლამენტის პალატების გაერთიანებულ სხდომაზე პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას შხარი დაუჭირა მიცემული ხმების საერთო რაოდენობის სამმა მეხუთედმა. ამასთან კონგრესს შეუძლია მხოლოდ მიიღოს ან არ მიიღოს წარმოდგენილი შესწორებები და არ შეუძლია მათში ცვლილებების შეტანა.

ცვლილებების შეტანის მიხედვით მყარ კონსტიტუციათა რიცხვს განეკუთვნება გფრ-ის ძირითადი კანონიც. ამასთან ის შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ კანონით, რომელიც საქციალურად მიიღება ცვლილების ან დამატების შესატანად. ასეთი კანონი მიღებულ უნდა იქნეს ბუნდესტაგის დებუტატთა ხმების ორი მესამედის უმრავლესობით და ბუნდესრატის წევრთა ხმების ორი მესამედით. სხვათა შორის, გფრ-ის ძირითადი კანონი ითვალისწინებს საკითხების ნუსხას, რომელთა გადასინჯვაც ყველა შემთხვევაში იკრძალება. მაგალითად, 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად არ შეიძლება ძირითად კანონში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც შეეხება ფედერაციის შხარეებად დაყოფას, საკანონმდებლო საქმიანობაში შხარეების თანამშრომლობის პრინციპებს ან ადამიანის ღირსებასა და სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლებს.


კონსტიტუციური შესწორებების მიღების თვალსაზრისით ძალზე საინტერესო პროცედურა არსებობს ბულგარეთშიც, სადაც კონსტიტუციაში ცვლილების ან დამატების შეტანის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს ან სახალხო კრებამ, ან დიდმა სახალხო კრებამ. სახალხო კრებას შეუძლია შეცვალოს კონსტიტუციის ყველა დებულება იმ საკითხების გარდა, რომლებიც განეკუთვნება დიდი სახალხო კრების კომპეტენციას. წინადადებას შესწორების შეტანის შესახებ სახალხო კრება განიხილავს ამ წინადადების შესვლიდან არა უადრეს ერთი თვისა და არა უგვიანეს სამი თვისა. კანონი კონსტიტუციაში ცვლილების ან დამატების შეტანის შესახებ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას შხარი დაუჭირა პარლამენტის დებუტატთა სამმა მეოთხედმა სხვადასხვა დღის სამჯერ გა-



მართულ კენჭისყრაზე. თუ წინადადებაში მიიღო სამ მეთოდურ ნაკლები, მაგრამ ხმების ორი მესამედი მაინც, მაშინ ის შეიძლება დაყენონ ახალ კენჭისყრაზე არა უადრეს ორი წლის შემდეგ. სხვათა შორის. ახალი კენჭისყრის დროს წინადადება ითვლება მიღებულიად, თუ მას ხმა მისცა დეპუტატთა სულ ცოტა ორმა მესამედმა.

ჩვენ მიერ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში სულ უფრო და უფრო იზრდება ტენდენცია იმისა, რომ შეიქმნას სახელმწიფოთა ძირითადი კანონების დაცვის მყარი გარანტიები. ეს პირველყოვლისა ვლინდება იმით, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმის ამოქმედება ძირითადად ხდება ორ- ზოგან კი სამსაფეხურიანი პრინციპის მეშვეობით, რაც გამოირიცხავს შემთხვევითი გადაწყვეტილებების მიღებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს კანონების განსაკუთრებული კატეგორია, რომლებიც განსხვავდებიან ჩვეულებრივი, ანუ მიმდინარე, კანონებისაგან თავიანთი მიღების წესით. ზოგან მათ სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ, ზოგან კი საერთოდ არ აქვთ რაიმე განსხვავებული სახელწოდება. ამ თვალსაზრისით გვხვდება ქვეყნები, სადაც იქ არსებული კანონების ოფიციალური კლასიფიკაციის შესაბამისად პარლამენტის იღებენ როგორც ჩვეულებრივ, ისე ორგანულ და კონსტიტუციურ კანონებს, რომლებიც საკმაოდ მკაფიოდ და არაორაზროვნად არიან ერთმანეთისაგან გამოიჯნული (მაგ., საფრანგეთი). ცალკეულ ქვეყნებში კონსტიტუციურ კანონებად იწოდება არა ის კანონები, რომლებსაც შესწორებები შეაქვთ კონსტიტუციაში, არამედ ისინი, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ამა თუ იმ ქვეყნის კონსტიტუციას (მაგ., დიდი ბრიტანეთი). გვხვდება ისეთი ქვეყნებიც, სადაც გაუქმდა კონსტიტუციური კანონების ცნება. მაგალითად, უნგრეთში 1990 წლამდე გათვალისწინებული იყო კანონის ორი სახე: კონსტიტუციური, რომელიც მიიღებოდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურის მიხედვით, და ჩვეულებრივი. 1990 წლის ივნისში კონსტიტუციური რეფორმის განხორციელების შედეგად „კონსტიტუციური კანონის“ ცნება ამოღებულ იქნა. მის ნაცვლად გათვალისწინებულია მთელი რიგი შემთხვევები, როცა კანონის მისაღებად საჭიროა სახელმწიფო კრების დამსწრე დეპუტატების ხმათა ორი მესამედი, თუმცა ჩვეულებრივი კანონები აქ მიიღება დამსწრე დეპუტატების უმრავლესობით. რაც შეეხება უნგრეთის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას, კონსტიტუციის



24-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის თანახმად უკვე საჭიროა პარლამენტის საერთო შემადგენლობის ხმათა ორი მესამედი.

ერთგვარი საეციფიკურობა ახასიათებს ფედერალური განხილვის მიღებას რუსეთის ფედერაციაში, რომელზეც ზემოთ უკვე ითქვა, რომ იგი მიიღება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია კონსტიტუციური შესწორებების მისაღებად. შეიძლება დაეუმატოთ ერთი გარემოება, რომ მიღებულ ფედერალურ კონსტიტუციურ კანონს ხელი უნდა მოაწეროს პრეზიდენტმა 14 დღეში და გამოაქვეყნოს იგი. ე.ი. ჩვეულებრივი კანონისაგან განსხვავებით კონსტიტუციურ კანონზე პრეზიდენტის შეყოვნებით ვეტოს უფლება არ ვრცელდება. სხვათა შორის, კონსტიტუციური კანონების მიმართ ასეთივე მიდგომაა სხვა სახელმწიფოებშიც. ამასთან რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით მკაცრად არის განსაზღვრული საკითხების ნუსხა, რომლებზეც უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ კონსტიტუციური კანონი.

კონსტიტუციური შესწორებებისა და სხვა კონსტიტუციური კანონების მიღების წესი ერთნაირია იტალიაშიც, რომელსაც ზემოთ უკვე შევეხეთ. იტალიის კონსტიტუციის 116-ე მუხლში განისაზღვრება, რა აქტები მიიღება კონსტიტუციური კანონის სახით. ასეთად მიიჩნევა სტატუტები 5 ოლქის განსაკუთრებული ავტონომიის შესახებ.

ჩვენ მიერ განხილული ქვეყნებიდან საფრანგეთი ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც კონსტიტუციის საფუძველზე იღებენ ორგანულ კანონებს, მით უმეტეს, რომ 46-ე მუხლი ადგენს მათი მიღების თავისებურ წესებს. პარლამენტის პალატაში ორგანული კანონის პროექტი ან წინადადება განიხილება მისი შეტანიდან 15 დღის შემდეგ. მერე გამოიყენება იგივე პროცედურა, რაც ჩვეულებრივი კანონპროექტებისათვის არის გათვალისწინებული. მაგრამ არის ერთი ნიუანსი, რომელიც გამოიყენება ორგანული კანონის მიღებისას: თუ პალატებს შორის არ არის თანხმობა, მაშინ ეროვნულმა კრებამ ორგანული კანონი უკანასკნელი წაკითხვით უნდა მიიღოს მხოლოდ თავისი შემადგენლობის ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. თუ ორგანული კანონი ექება სენატს, მაშინ ის ორივე პალატამ უნდა მიიღოს ერთი და იმავე რედაქციით, რის შემდეგ ის გადაეცემა საკონსტიტუციო საბჭოს. ეს უკანასკნელი ამოწმებს მის კონსტიტუციასთან შესაბამისობას და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მისი პრომულგირება. ორგანული კანონპროექტების განხილვისას არ შეიძლება შეზღუდული დებატების პროცედურის გა-



მოყენება, რაც შესაძლებელია ჩვეულებრივი კანონპროექტების განხილვისას.


## 8. საკანონმდებლო პროცედურების სპეციფიკა საფინანსო სფეროში

პარლამენტის უძველეს პრეროგატივაა სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება, სხვა საფინანსო უფლებამოსილებების განხორციელება. გარკვეულწილად სწორედ ასეთი უფლებამოსილებების გამოყენება აძლევს პარლამენტს საშუალებას კონტროლი გაუწიოს მთავრობის საქმიანობას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია პრეზიდენტული მმართველობის ფორმის მქონე ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება მკაფიოდ არის დანაწილებული და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს არ შეუძლია უშუალოდ ჩაერიოს მთავრობის საქმიანობაში.

ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდის ინტერესს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა საფინანსო ხასიათის კანონპროექტების შემუშავებისა და მიღების წესებისადმი, რომლებიც ისევე მრავალფეროვანია, როგორც ეს გათვალისწინებულია ცალკეული კანონებისათვის. სხვათა შორის, მთელმა რიგმა ქვეყნებმა უარი თქვეს ბიუჯეტის ერთიანობის პრინციპზე, ე.ი. სახელმწიფოს ყველა შემოსავლისა და გასავლის ასახვაზე ერთ კანონში, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის ცნების ნაცვლად იხმარება გაცილებით ფართო ცნება საფინანსო კანონების სახით (მაგ., აშშ, დიდი ბრიტანეთი). სხვა ქვეყნებში კი საფინანსო კანონები არ მოიცავენ ბიუჯეტის კანონს (მაგ., გერ, რფ).

პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება შესაბამისი კანონის მიღებისა და დამტკიცების გზით, რომელსაც სხვა კანონებისაგან განსხვავებით აქვს მთელი რიგი თავისებურებანი.

დავიწყით იმით, რომ ყველა ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადება აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა და, შესაბამისად, მას ეკუთვნის მსგავსი პროექტების პარლამენტში განსახილველად შეტანის უფლება. პარლამენტის წევრები ფაქტობრივად მოკლებულნი არიან საფინანსო ინიციატივას. ბევრ ქვეყანაში დეპუტატებს ეკრძალებათ არა მხოლოდ საფინანსო კანონპროექტების, არამედ ისეთი შესწორებების შეტანაც, რომლებიც ზრდიან



სახელმწიფოს ხარჯებს ან ამცირებენ სახელმწიფო შემოსავალს. თუმცა არის სახელმწიფოები, სადაც დეპუტატის მიერ ბიუჯეტის შესახებ კანონთან დაკავშირებით შესწორებათა შეთავაზების შედეგად, ლეგალიზაცია არ იზღუდება. მაგალითად, აშშ-ის დეპუტატებს შეუძლიათ შესთავაზონ ისეთი შესწორებები, რომელთა საფუძველზე შეიძლება შემცირდეს კიდევ ასიგნებები ცალკეულ პროგრამებზე, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ შესწორებებმა არ უნდა გამოიწვიონ მოქმედი კანონების შეცვლა.

აშშ-ში ბიუჯეტის პროექტი შეაქვს პრეზიდენტს, რფ-ში, საფრანგეთში, იაპონიასა და ბულგარეთში – მთავრობას (მინისტრთა საბჭოს), დიდ ბრიტანეთში – ფინანსთა მინისტრს.

არსებული წესების შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი აღმასრულებელ ხელისუფლებას შეაქვს პარლამენტის ქვედა პალატაში. ამ შემთხვევაში გამონაკლისია გფრ, სადაც სამთავრობო კანონპროექტები, მათ შორის ბიუჯეტისა, პირველად განსახილველად შეაქვთ პარლამენტის ზედა პალატაში – ბუნდესრატში.

ბიუჯეტის პროექტის განხილვა იმართება ზოგან ერთი, ზოგან ორი ან სამი წაკითხვით, რომლის დროსაც შეაქვდა არის განსაზღვრული მისი განხილვის ვადა. მაგალითად, გფრ-ის ბუნდესრატში ის შეიძლება გაგრძელდეს 6 კვირას, დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში – 26 დღეს, საფრანგეთის ეროვნულ კრებაში – 40 დღეს და ა. შ.

როგორც წესი, კანონი ბიუჯეტის შესახებ თითქმის ყველა შემთხვევაში არის მოქმედების ვადით განსაზღვრული დოკუმენტი: ჩვეულებრივ ის მიიღება 1 წლის ვადით, თუმცა საბიუჯეტო (საფინანსო) წელი ზოგიერთ სახელმწიფოში იწყება არა 1 იანვრიდან, არამედ 1 აპრილიდან ან 1 ივლისიდან.

ასლა კი საინტერესო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს გავეცნოთ კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

საფრანგეთში საფინანსო კანონი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ორ ნაწილს: შემოსავლისა და გასავლისას. საფინანსო კანონპროექტის განხილვის დროს სავალდებულოა 1958 წლის 2 ივნისის ორდონანსის მოთხოვნის გათვალისწინება, რომლის თანახმად წლიური საფინანსო კანონის მეორე ნაწილი არ შეიძლება განიხილოს რომელიმე პალატამ, ვიდრე არ იქნება მიღებული პირველი ნაწილი, ე.ი. ის მონაკვეთი, რომელიც აწესრიგებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს.





თუ არასაფინანსო ხასიათის პროექტები, თუნდაც სამთავრობო, წარედგინება ერთ-ერთი პალატის ბიუროს, საფინანსო ხასიათის კანონპროექტები აუცილებლად წარედგინება ეროვნული კენჭისყრის ბიუროს, თანაც ის შეტანილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ოქტომბრის მესამე სამშაბათისა. ეროვნულმა კრებამ პირველი წაკითხვით უნდა გამოთქვას პროექტზე თავისი მოსაზრება მისი შეტანიდან 40 დღეში. სენატმა კი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პროექტის მისთვის გადაცემის მომენტიდან 20 დღის განმავლობაში. თუ ეროვნულმა კრებამ არ მიიღო პროექტი პირველი წაკითხვით მითითებულ ვადაში, მაშინ მთავრობა გადასცემს პროექტს სენატს, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში მასში შეაქვს ეროვნული კრების მიერ მიღებული და მთავრობის მიერ მოწონებული შესწორებები. ამ შემთხვევაში სენატმა თავისი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 15 დღეში. საფინანსო კანონპროექტი განიხილება დამჭარბული პროცედურით. საფრანგეთში კანონი ბიუჯეტის შესახებ მიღებულად ჩითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პალატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ. თუ პარლამენტმა არ მიიღო პროექტი მისი შეტანიდან 70 დღის განმავლობაში, ის მაინც შეიძლება შევიდეს ძალაში ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ორდონანსის გამოცემის გზით.

საკმაოდ საინტერესო პროცედურა არსებობს იაპონიაში, სადაც საკანონმდებლო ინიციატივა ბიუჯეტის კანონპროექტთან და საფინანსო კანონპროექტებთან დაკავშირებით ზორციელდება მხოლოდ ქვედა პალატაში. ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვა მიმდინარეობს პრემიერ-მინისტრისა და კაბინეტის ყველა წევრის თანდასწრებით, რათა მათ შეეძლოთ იქვე მისცენ აუცილებელი განმარტებები და უპასუხონ დეპუტატთა შეკითხვებს. ამასთან ერთად განხილვის პროცესი იმდენად გამჭვირვალეა, რომ ამ დისკუსიაში მონაწილეობის უფლება აქვთ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებსაც. კერძოდ, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს წერილობით მიმართოს პარლამენტის შესაბამის პალატას განხილვაში მონაწილეობის მიღების თაობაზე. საბიუჯეტო კომისიის დირექტორი განმცხადებელთაგან შეარჩევს რამდენიმე პირს, რომლებიც მონაწილეობენ ბიუჯეტის პროექტის ღია განხილვაში. საფრანგეთისაგან განსხვავებით თუ ზედა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებას, ან პროექტის წარმომადგენელთა პალატიდან გადმოცემის შემდეგ 30 დღეში არ მიიღო მასზე გადაწყვეტილება, მაშინ საბოლოო



ოდ ჩაითვლება წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება:

დიდ ბრიტანეთშიც მთავრობის საფინანსო კანონპროექტებში აქვთ თემთა პალატაში, რომელმაც 26 დღეში უნდა განიხილოს იგი. შემდეგ პროექტი გადაეცემა ლორდთა პალატას, სადაც პალატის სპიკერი ამოწმებს, ნამდვილად არის თუ არა იგი საფინანსო ხასიათის კანონპროექტი. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ თუ კანონპროექტი არის საფინანსო ხასიათის, იგი ლორდებმა უნდა განიხილონ 1 თვის განმავლობაში. დეპუტატებს შეუძლიათ ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა მხოლოდ შესაბამის მინისტრთან შეთანხმების შემდეგ. დიდ ბრიტანეთში ბიუჯეტის შესახებ კანონი დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის პალატების წევრთა უბრალო უმრავლესობამ.

გფრ-ის ძირითადი კანონის 110-ე მუხლის თანახმად ფედერაციის ყველა შემოსავალი და გასავალი აისახება ბიუჯეტის გეგმაში. ბიუჯეტის პროექტი, ასევე პროექტები, რომლებითაც ცვლილებები შედის მასში, ერთდროულად შეაქვთ როგორც ბუნდესრატში, ისე ბუნდესტაგშიც. ბუნდესრატმა ბიუჯეტის კანონის პროექტი უნდა განიხილოს 6 კვირის განმავლობაში, ხოლო ის პროექტები, რომლებიც გამიზნულია მათში ცვლილებების შესატანად, — სამ კვირაში. სხვათა შორის, გფრ-ში მკაფიოდ განასხვავებენ ერთმანეთისაგან ბიუჯეტის კანონპროექტებსა და საფინანსო კანონპროექტებს. საბიუჯეტო კანონპროექტებად ითვლება ბიუჯეტის პროექტი და წინადადებები ამ პროექტის შეცვლის შესახებ, ასევე სხვა პროექტები, რომლებიც შეეხებიან ბიუჯეტს. ხოლო საფინანსო კანონპროექტებად, ითვლება ყველა პროექტი, რომლებიც, მართალია, არ წარმოადგენენ საბიუჯეტო კანონპროექტებს, მაგრამ თავიანთი ფინანსური რეგულირების მოცულობით არსებით ზეგავლენას ახდენენ ფედერაციისა და მხარეების ფინანსებზე. ყველა ამ პროექტის განხილვა წარმოებს სამი წაკითხვით. თუ საფინანსო კანონპროექტი ზრდის ფედერალური მთავრობის მიერ შეთავაზებული ბიუჯეტის ხარჯებს ან ითვალისწინებს ახალ ხარჯებს, ისინი საჭიროებენ ფედერალური მთავრობის თანხმობას. იგივე წესი მოქმედებს იმ კანონების მიმართაც, რომლებიც ითვალისწინებენ შემოსავლების შემცირებას. ამ შემთხვევაში ფედერალურ მთავრობას შეუძლია მოსთხოვოს ბუნდესტაგს ასეთი პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება და 6 კვირაში უნდა წარუდგინოს მას თავისი დასკვნა. ბუნდესტაგის მიერ კანონის მიღების შემთხვევაში მთავრობას შეუძლია კანონის მიღებიდან 4 კვირის განმავლობაში



მოსთხოვოს მას ხელახალი გადაწყვეტილების მიღება. მთავრობას შეუძლია უარი თქვას ახალი გადაწყვეტილების მიღების თანხმობაზე 6 კვირის განმავლობაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოწურა ზემოთ აღნიშნული პროცედურები. ამ ვადის გასვლის შემდეგ თანხმობა მიცემულად ჩაითვლება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ვინაიდან მეტ წილ პარლამენტებში ბიუჯეტის პროექტის განხილვა შესაძლებელია გარკვეული ვადებით, ხოლო თავად ბიუჯეტის პროექტის მოცულობა საკმაოდ დიდია, პარლამენტში განხილვამდე მასზე აქტიურად მუშაობენ კომიტეტები (კომისიები), სადაც ხორციელდება მათი წინასწარი განხილვა, სპეციალური საექსპერტო შეფასებების შედგენა და სხვა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თავი III

## საკანონმდებლო პროცესი საქართველოში




## 1. ზოგადი მიმოსილვა<sup>1</sup>

1990 წლის ოქტომბერში, რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ანექსიიდან და იძულებითი გასაბჭოებიდან თითქმის 70 წლის შემდეგ, პირველი თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნების გამართვას მოჰყვა არსებული პოლიტიკური სისტემის ნგრევა და ახალი სისტემის შექმნა. 1991 წლის 9 აპრილს, 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. პოლიტიკური სისტემის ცვლილების პროცესი მძიმედ მიმდინარეობდა. ხუთი წლის განმავლობაში სისტემა რამდენჯერმე შეიცვალა. ცვლილებებს თან სდევდა გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი კლექტიკა. ბუნებრივია, ამან თავისი კვალი საკანონმდებლო პროცესსაც დააჩნია – ხშირი იყო ნორმათა კოლიზია და არცთუ იშვიათად განსაზღვრულიც კი არ იყო, თუ ხელისუფლების რომელ ორგანოს უნდა გადაეწყვიტა წარმოქმნილი დავა.

ეს პროცესი 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით დასრულდა. კონსტიტუციამ დაადგინა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა და განსაზღვრა შესაბამისი სამართლებრივ ურთიერთობათა საფუძვლები, კანონთა იერარქიული ურთიერთდამოკიდებულება, კანონის მიღებისა და ძალაში შესვლის ძირითადი საკითხები.

<sup>1</sup> კვლარტულ ფრწილებში ჩასმული რიცხვი მოითითებს ნორმატიულ აქტს, რომელიც შესაბამისი ნორმათა აღნიშნული გამოყენებული ნორმატიული აქტების თანდართულ ნუსხაში, ხოლო რიცხვის შემდეგ აღნიშნული მუხლი – ამ აქტის შესაბამის მუხლს; ჩვეულებრივ ფრწილებში ჩასმული რიცხვი მოითითებს ამ თავის შესაბამის ნაწილს.



ქვეყნის ცხოვრებაზე, და არა მხოლოდ აწმყოზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი კანონმდებლობა. სხვა ფაქტორებთან ერთად იგიც განაპირობებს ქვეყნის განვითარების მიმართულუბას, მის პრიორიტეტებს. კანონმდებლობის შექმნაში სხვადასხვა ხარისხით მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, პოლიტიკური პარტიები და მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებანი, მოქალაქეები. ამ პროცესის მოსაწესრიგებლად აუცილებელია მთელი რიგი წესების დადგენა.

აუცილებელია განისაზღვროს, ვინ და საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სფეროსთვის უნდა დაადგინოს ეს წესები; როგორია წესების დამდგენის უფლებამოსილების ფარგლები; როგორ უნდა მომზადდეს წესები და როგორ უნდა მოხდეს მათი მიღება; როდის შედის მიღებული წესები ძალაში; როგორია მათი მოქმედების ზოგადი წესი და კონკრეტული თავისებურება; როგორია ამ წესების ურთიერთდამოკიდებულება. ამისათვის კი საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრების მომწესრიგებელი წესების კლასიფიკაცია – მათი დაჯგუფება საერთო ნიშნების მიხედვით (მაგალითად, წესების დამდგენი ორგანოს, იურიდიული ძალის, მოქმედების სფეროს მიხედვით და სხვ.) – და თითოეული ჯგუფისთვის საკუთარი სახელის მიკუთვნება.

ზემოაღნიშნულ საკითხთა მოგვარებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფუძველი საქართველოს კონსტიტუციამ ჩაუყარა. მას მოჰყვა ორგანული კანონები „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, „რეფერენდუმის შესახებ“, „საერთო სასამართლოების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, „საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონი“, კანონები „ნორმატიული აქტების შესახებ“, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, „ალმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“, „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის<sup>2</sup> შესახებ“, „საომარი მდგომარეობის შესახებ“ და „ლობისტური საქმიანობის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, სა-

2 „საგანგებო მდგომარეობა“, „საომარი მდგომარეობა“ შეატყვებათ ხმარების მიზანშეწონილობაზე შემდგომ გვეჩვენა საუბარი. – რედ.

ქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები „აღმასრულებელი მდიანის უფლებების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, ცარილი მოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ“ და „საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ [1 – 18].<sup>3</sup> ამ აქტებმა ძირითადად მოაწესრიგეს კანონმდებლობის შექმნის პროცესი, მაგრამ მის დასასრულებლად და დასასრულად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მათგან უმთავრესია უფლებამოსილებათა გამოიჯენა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებასა და ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლებას შორის და ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა განსაზღვრა. ამასთან, თუ პირველი საკითხი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენასთანაა დაკავშირებული და, ამდენად, კანონმდებელი ამით არის შეზღუდული, მეორის გადაჭრას წინ არაფერი უდგას, უამისოდ კი უამრავი პრობლემა წარმოიქმნება, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შექმნის შემდეგ.


კანონმდებლობის შექმნის პროცესის მოწესრიგებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კანონს „ნორმატიული აქტების შესახებ“ [2], რომელიც

„...განსაზღვრავს ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ადგილს საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგად წესებს“ [2 (მუხლი 1)].

იგი საკმაოდ სრულად აღწერს კანონმდებლობის შექმნის პროცესის ცალკეულ ნაწილებს, ადგენს იმ პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნორმატიული აქტის პროექტი და, იმავდროულად, საკმარის თავისუფლებას უტოვებს ნორმატიული აქტის შემდგომ, რათა თავად განსაზღვროს, როგორ მოამზადოს პროექტი და როგორი წესით განიხილოს იგი. მიუხედავად ამისა, ამ კანონის არსებით ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ იგი ცალსახად არ განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმარ-

3 ანალოგი ეყარება 1998 წლის 1 ნოემბრამდე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტებს.

4 „ცალსახად“ სიტყვის ნაცვლად აჯობებდა გამოყენებული უფილიყო „ერთმნიშვნელოვნად“. – რედ.



თველობისა და მმართველობის სხვადასხვა სახის ნორმატიული აქტების ადგილს საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების იერარქიულ სტრუქტურაში და არ ადგენს „ერთობლივ გამგებლობაში მიკუთვნებულ საკითხთა“ ცნების შინაარსს.

კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ [3] ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების სუბიექტებს, ხელშეკრულების მომზადების, დადების, შესრულებისა და მოქმედების შეწყვეტის წესებს. ცხადია, ეს საკითხებიც საკანონმდებლო პროცესს მიეკუთვნება, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონისა და თვით ამ კანონის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულებას, იმისდა მიხედვით, რა სახისაა იგი, საესებით განსაზღვრული ადგილი უკავია ნორმატიულ აქტთა სისტემაში [1 (მუხლი 6); 2 (მუხლები: 4, 19 20); 3 (მუხლები: 4, 5, 6)].

კანონმდებლობის შექმნის პროცესის ერთ-ერთი სუბიექტი ხალხი – კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“. იმავედროულად კონსტიტუცია ზღუდავს იმ საკითხთა წრეს, რომლებზეც შეიძლება მოეწიოს რეფერენდუმი [1 (მუხლი 74)]. რეფერენდუმის დანიშვნასა და გამართვასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“ [4].

საკანონმდებლო პროცესის უმთავრესი სუბიექტი საქართველოს პარლამენტია:

„საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს...“ [1 (მუხლი 48)].

ამიტომ საკანონმდებლო პროცესის მოწესრიგებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პარლამენტის რეგლამენტს [5], რომლითაც ზუსტად უნდა განისაზღვროს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის ყველა ეტაპი და დაწვრილებით აღიწეროს ამ პროცესის სავალდებულო ელემენტები.

კანონმდებლობის შექმნის პროცესში შეტად მნიშვნელოვანი და სპეციფიკური როლი აკისრია საქართველოს საკონსტიტუციო სამართლოს. მართალია, იგი არ ქმნის ნორმებს, მაგრამ საკონსტიტუციო სამართლო არის სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ნაწილი, რომელიც უფლებამოსილია არაკონსტიტუციუ-



რად ცნოს და ამ საფუძვლით გააუქმოს როგორც კანონი, ესე სპეციალური კანონის პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტები. იგი უფლებამოსილია გააუქმოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტიც, თუ ამ აქტით დაირღვა ადამიანის კონსტიტუციური უფლებანი და თავისუფლებანი [1 (მუხლები: 82.1, 83.1, 89)]. კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტის შესაბამისობისა თუ შეუსაბამობის დადგენით კი იგი ფაქტობრივად იძლევა ნორმის განმარტებას. თუ იმასაც გაეითვალისწინებთ, რომ ხელისუფლების არც ერთ ორგანოს არა აქვს კანონის ნორმის განმარტების უფლება (განმარტებისა, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იქნებოდა), გასაგები ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული როლი კანონმდებლობის შექმნის პროცესში.

კანონმდებლობის შექმნის პროცესი რამდენიმე ეტაპად იყოფა:

– ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება და წარდგენა ამ აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოსთვის;

– პროექტის განხილვა;

– ნორმატიული აქტის მიღება;


– მისი ხელმოწერა და გამოქვეყნება;

– ნორმატიული აქტის ძალაში შესვლა;

– ნორმატიული აქტის სახელმწიფო რეგისტრაცია.

თითოეულ ეტაპს ცალ-ცალკე განვიხილავთ. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ საკანონმდებლო აქტებისა (კონსტიტუციის, ორგანული კანონის, კანონის, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის) და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა მომზადებისა და მიღების პროცესს, ვინაიდან ეს აქტები ქვეყნისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და იმავდროულად შედარებით სრულად არის აღწერილი. მაგრამ მანამდე საჭიროა თვით ნორმატიული აქტების დახასიათება, მათი კლასიფიკაცია და იერარქიული ურთიერთდამოკიდებულების დადგენა, ვინაიდან [2 (მუხლები: 24, 25)] :

„თითოეული ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ (გამოცემულ) იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც მასთან შედარებით აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა.“



ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე შედგენულ ნორმატიულ აქტს.


იერარქიის ერთი და იმავე საფეხურის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას მოქმედებს უფრო გვიან მიღებული (გამოცემული) აქტით დადგენილი ნორმა<sup>5</sup>.

## 2. საქართველოს სამართლებრივი აქტების სისტემა

### 2.1 საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტები და მათი მოქმედების არე

საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტების სახეებს ადგენს და შესაბამის ძირითად ცნებებს განმარტავს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ [2]. ამ კანონის თანახმად უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტების საერთო სახელია **სამართლებრივი აქტები**. სამართლებრივი აქტების მიმღები (გამომცემი) ორგანოების ასეთი ჩამონათვალი გამოდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან, რომელიც მოიხსენიებს მხოლოდ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს [1 (მუხლები: 2.4, 3.1, 73.1.ი)]. მაგრამ მოგვიანებით მიღებული ორგანული კანონი [6] ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა გვერდით აკანონებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სისტემას<sup>6</sup> და, როგორც უფრო მეტი იურიდი-

5 ჩვენი აზრით, საჭიროა ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ასეთი სისტემის კონსტიტუციურობა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი სისტემის კონსტიტუცია არ იხსენიებს. სხვა საქმეა, იგი აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი რომ ყოფილიყო. მაგრამ ზემოაღნიშნული კანონის თანახმად [3 (მუხლები: 4.3, 10, 11)], ადგილობრივი მმართველობის ორგანო – ქალაქის მერია, რაიონის გამგეობა – არის სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელიც იმავდროულად ასრულებს საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციებს<sup>7</sup> და ამ ორგანოს ხელმძღვანელი ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ (ავტონომიურ რესპუბლიკაში – მისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით).



ული ძალის მქონე, ცვლის სამართლებრივი აქტების მიმღებ (გამომცემ) ორგანოთა შემოღწეულ ჩამონათვალს [6 (მუხლი 3)]. ამის გათვალისწინებით სამართლებრივი აქტის ცნება ასე უნდა განიმარტოს:

**სამართლებრივი აქტი** არის უფლებამოსილი სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი.

სამართლებრივი აქტები იყოფა **ნორმატიულ და ინდივიდუალურ აქტებად** (შემოთქმულის გათვალისწინებით ნორმატიული აქტის კანონისებულ განმარტებაში ჩვენ მიერ ჩამატებულია კურსით გამოყოფილი სიტყვები: „ან ადგილობრივი მმართველობის“) [2 (მუხლი 2)]:

„ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის დასახლება არ უნდა ემთხვეოდეს ნორმატიული აქტის დასახლებას, გარდა ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა“.

ნორმატიული აქტები, თავის მხრივ, იყოფა საქართველოს ნორმატიულ აქტებად, ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიულ აქტებად და ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის ნორმატიულ აქტებად [2 (მუხლი 4); 6 (მუხლი 31)].

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად საქართველოს ნორმატიული აქტები შედგება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათაგან [2 (მუხლები: 4.1, 5.3)]. საქართველოს კანონმდებლობა, თავის მხრივ, შედგება საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე



რე\* ნორმატიული აქტებისაგან [2 (მუხლი 5.3)] (თვალსაჩინოებ ბისთვის იხ. სქემა 1). სხვაგვარ სურათს იძლევა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის <sup>გათვალისწინებით</sup> [2 (მუხლი 5.1)] ვითარების სელშეკრულებების შესახებ კანონის <sup>გათვალისწინებით</sup> [2 (მუხლი 5.1)] ბა. ამ კანონის თანახმად „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია“ [3 (მუხლი 6.1)], საიდანაც გამომდინარეობს, რომ საქართველოს ნორმატიული აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის ცნებებში სინონიმებია, ხოლო საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან (იხ. სქემა 2). იმის გათვალისწინებით, რომ ეს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონზე გვიანაა მიღებული და ამიტომ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს, სწორედ ასეთი განმარტებები უნდა ჩაითვალოს მოქმედ ნორმად<sup>6</sup>.

**საქართველოს საკანონმდებლო აქტებია:** საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი და საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი [2 (მუხლი 5.1)].


**საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებია:** საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება [2 (მუხლი 5.2)].

„საქართველოს ნორმატიული აქტი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, და სავალდებულოა შესასრულებლად“ [2 (მუხლი 7.1)].


**ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტებია:** ავტონო-

6 ჩვენი აზრით, მართებული იქნება, რომ ტერმინი „კანონქვემდებარე შეცვალის ტერმინით „ქვეკანონური“, მაგრამ რადგან კანონმდებელი პირველ ტერმინს იყენებს, ცნებათა აღრვის თავიდან ასაცილებლად ჩვენც იგი გამოვიყენეთ (ამ ტერმინთა მართებლობის შესახებ V თავშია საუბარი).


7 ის, რაც ამ აზრში აღეწურეთ, ცნებათა აღრვის ერთი მაგალითია – ახალი კანონის მიღებისას არ გაითვალისწინეს ცნების მოქმედი განმარტება და ისე შემოიღეს სხვაგვარი განმარტება, რომ არ შეცვალეს ძველი.



სურათი 1. საქართველოს სამართლებრივი აქტების სისტემა



სქემა 2. საქართველოს სამართლებრივი აქტების სისტემა



მოური რესპუბლიკის კონსტიტუცია, ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება\* [2 (მუხლი 4.2)].

ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტი მოქმედებს და სავალდებულოა შესასრულებლად ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი [2 (მუხლი 7.2)].

**ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა ნორმატიული აქტებია:** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს – გადაწყვეტილება, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს (ადგილობრივი მმართველობის ორგანოს) – გამგეობის (მერიის) – დადგენილება, გამგეობის (მერიის) ბრძანება [2 (მუხლი 4.3); 6 (მუხლი 31.2)].

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ნორმატიული აქტი მოქმედებს და სავალდებულოა შესასრულებლად ადგილობრივი თვითმმართველობის მთელ ტერიტორიაზე. ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ნორმატიული აქტი მოქმედებს და სავალდებულოა შესასრულებლად მას დაქვემდებარებულ მთელ ტერიტორიაზე [2 (მუხლი 7.3); 6 (მუხლი 38)].

ნორმატიული აქტის მოქმედება ვრცელდება საქართველოში მყოფ უცხოელებზეც, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საკანონმდებლო აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი [1 (მუხლები: 44.1, 47); 2 (მუხლი 7.4)].

უნდა აღინიშნოს ნორმატიული აქტის მოქმედების დროითი ფარგლები [2 (მუხლი 46)]:

„1. ნორმატიული აქტი მოქმედებს უვადოდ, თუ კანონმდებლობით ან თვით ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიძლება მიღებულ (გა-

8 1998 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების ჩამონათვალში შეიტანა ცნება – ავტონომიური რესპუბლიკის ორგანული კანონი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, ვაზეთი „აჭარა“, 1998 წლის 31 მარტი), რასაც არ ითვლიან წინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი.



მოცემულ) იქნეს განსაზღვრული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალადაკარგულად ჩაითვლება, თუ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანო ასეთი ნორმატიული აქტის მიღებისთვის (გამოცემისთვის) დადგენილი წესით არ მიიღებს (გამოსცემს) გადაწყვეტილებას ვადის გაგრძელების შესახებ<sup>9</sup>.

## 2.2 ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლება

ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, აგრეთვე თანამდებობის პირებს, კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში [2 (მუხლი 3); 6 (მუხლი 31.4)].

ყურადღება მივაქციოთ საკითხს, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ხელისუფლების დანაწილებისა და უფლებამოსილებათა გამოიჯინის კონსტიტუციურ პრინციპებთან. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად [2 (მუხლი 8)]:

1. დაუშვებელია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიერ თავიანთ უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად მათ განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება<sup>9</sup>.

2. დაუშვებელია საქართველოს პარლამენტის მიერ თავის უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საქართველოს ორგანული კანონით არის გათვალისწინებული, ან კონსტიტუციისა და ორგანული კანონის თანახმად საქართველოს კანონით არის გათვალისწინებული.

3. დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავის უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის, საქართვე-

9 ეს საკითხები კონსტიტუციის მე-3 მუხლითაა განსაზღვრული [1 (მუხლი 3.1)].





ლოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ან ბრძანებულებით გათვალისწინებული<sup>10</sup>.

**საქართველოს პარლამენტი** უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი ნორმატიული აქტები: საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი და პარლამენტის დადგენილება (არანორმატიულია საქართველოს პარლამენტის მხოლოდ ის დადგენილება, რომელიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება). იგი ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას [2 (მუხლი 9)].

**საქართველოს პრეზიდენტი** უფლებამოსილია დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება, გამოსცეს დეკრეტი, ბრძანებულება, განკარგულება და ბრძანება. საერთაშორისო ხელშეკრულება, დეკრეტი და ბრძანებულება ნორმატიული აქტებია (გამონაკლისია ბრძანებულება მინისტრის დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების, აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის შესახებ), განკარგულება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია, ხოლო ბრძანება შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი (საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებას გამოსცემს როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი) [1 (მუხლი 73.1. ა); 2 (მუხლები: 11, 12)].

**საქართველოს ეროვნული ბანკის** ნორმატიული აქტებია: ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება (გარდა ბრძანებისა, რომელიც საკადრო ან პერსონალურ საკითხებს ეხება<sup>10</sup>) [2 (მუხლები: 14, 16)].

**საქართველოს კონტროლის პალატის** ნორმატიული აქტია საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება (გარდა ბრძანებისა, რომელიც საკადრო ან პერსონალურ საკითხებს ეხება) [2 (მუხლები: 15, 16)].

10 უმჯობესია, რომ ერთგვაროვან სამართლებრივ აქტებს ერთი და იგივე სახელი ეწოდოს, რაც საქართველოს პრეზიდენტის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს იგივე სახელი ეწოდოს, რაც საქართველოს პრეზიდენტის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს პეტია - განკარგულება. მით უმეტეს, რომ კანონი კრძალავს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტისთვის იმავე დასახელების მიცემას, რაც ნორმატიულ აქტებს აქვთ (გამონაკლისია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან განთავისუფლებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშვნის შესახებ) [2 (მუხლი 2.4)].



საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული აქტია კომისიის დამტკიცებული [2 (მუხლები: 15, 16)].

საქართველოს სამინისტროსა და საქართველოს მინისტრის (აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყებისა და ამ უწყების ხელმძღვანელის) ნორმატიული აქტია მინისტრის (უწყების ხელმძღვანელის) ბრძანება. საქართველოს რამდენიმე სამინისტრომ და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა რამდენიმე სახელმწიფო უწყებამ შეიძლება გამოიყენონ ერთობლივი ბრძანება [2 (მუხლი 17)].

საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს კონტროლის პალატის, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, საქართველოს სამინისტროსა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების სტრუქტურულ ერთეულებს არა აქვთ ნორმატიული აქტის გამოცემის უფლება [2 (მუხლები: 16.2, 17.5)].

სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოთა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ნორმატიული აქტების სახეები ზემოთ უკვე ჩამოვთვალეთ (2.1).

აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს საკითხთა მთელ რიგს, რომელთა მოწესრიგებაც ნებადართულია მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, ანუ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს კანონით ან საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით (კონკრეტულად კი, რომელი საკითხი რომელი აქტით შეიძლება მოწესრიგდეს, მომდევნო ნაწილშია აღწერილი). არც ერთი სხვა სამართლებრივი აქტით არ შეიძლება ამ საკითხთა მოწესრიგება. ეს საკითხებია [2 (მუხლი 10)]:

„საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონით ან კანონით არის გათვალისწინებული; ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისა და დაცვის პირობები და წესი, ადამიანის იურიდიული პასუხისმგებლობისა და იძულების ზომის გამოყენების საკითხები;

სამოქალაქო რეესტრში შესატანი მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების ჩამონათვალი;

საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა შექმნის პირობები



და მათი საქმიანობის ზოგადი წესი;

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა შექმნისა და საქმიანობის წესი;

საქართველოში მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლების სახეები, სტრუქტურა, ოდენობა<sup>11</sup>, მათი შემოღებისა და გადახდის წესი;

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სამართლებრივი სტატუსი;

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევის წესი;

სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციული, სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა<sup>12</sup>;

სამხედრო ძალების რაოდენობა (მტკიცდება საქართველოს კანონით);

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა და საქმიანობის წესი (მტკიცდება საქართველოს კანონით);

საქართველოს სამინისტროთა, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყებათა და სახელმწიფო კონტროლის უმაღლეს ორგანოთა შექმნა (იქმნება საქართველოს კანონით).

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „გადასახადებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო საზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით“ [1 (მუხლი 94.3)].

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ჩამონათვალი [2 (მუხლი 10.1)], ჩვენი აზრით, არასრულია და კონსტიტუციის მე-3 მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული არაერთი სხვა საკითხიც მხოლოდ საკანონმდებლო აქტით მოსაწესრიგებელ საკითხებს უნდა მიეკუთვნოს.

11 ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, თუ აქ ჩამატება სიტყვები: „ან ზღვრული ოდენობა“, რათა ადგილობრივ თვითმმართველობას საშუალება მიეცეს თავად დაადგინოს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობა (ცხადია, კანონით დადგენილ ფარგლებში).

12 არასწორი ფორმულირებაა. უნდა იყოს: „სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სასჯელაღსრულებითი და საპროცესო კანონმდებლობა“.



## 2.3 ნორმატიული აქტები და მათი იერარქიული ურთიერთდამოკიდებულება

იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას საქართველოს კონსტიტუცია:

„საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“ [1 (მუხლი 6.1)].

კონსტიტუციას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ყველა სხვა სამართლებრივი აქტის მიმართ [2 (მუხლი 20.1)].

საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია და, ცხადია, იერარქიის იმავე საფეხურზე დგას, რომელზეც საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის გადასინჯვა და საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრა ხდება კონსტიტუციური კანონით [1 (მუხლი 2.3); 2 (მუხლი 9.2)].

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება [1 (მუხლი 6); 2 (მუხლი 20.2,3); 3 (მუხლი 6)], თუ იგი დაიდო და ძალაში შევიდა საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით და თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია და მას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ უცხოეთის შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსთან დადებულ ხელშეკრულებას ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც თვით ამ ორგანოს ნორმატიულ აქტს. როგორი ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს ამ, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივ ორ დებულებას (ერთი მხრივ, უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, მეორე მხრივ კი ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც აქვს შესაბამისი ორგანოს ნორმატიულ აქტს)? ცხადია, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება რატიფიცირებას არ საჭიროებს, მას კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის იურიდიული ძალა აქვს და იერარქიულად კანონზე დაბლა დგას. მაგრამ იმავდროულად, საერთაშორისო ხელშეკრულების უპირატესობიდან გამომდინარე, უპირატესი იურიდიული ძალა

აქვს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიმართ. ანალოგიურად, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს ორგანული კანონისა და კანონის მიმართ.

„საქართველოს ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ორგანული კანონითაა გათვალისწინებული“ [2 (მუხლი 9.4)]. ორგანულ კანონს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს კანონის, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ [2 (მუხლი 22.1)].


„საქართველოს კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი. საქართველოს კანონით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხები, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს ორგანული კანონითაა გათვალისწინებული“ [2 (მუხლი 9.5)]. „**დექი** არის განსაზღვრულ (ერთგვაროვან) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული კანონი“ [2 (მუხლი 9.6)]. საქართველოს კანონს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ [2 (მუხლი 22.2)].

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი კანონის ძალის მქონე საკანონმდებლო აქტია, რომელიც გამოიცემა მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს<sup>13</sup> [1 (მუხლები: 73.1თ, 46.1); 2 (მუხლი 13); 15 (მუხლი 2); 16 (მუხლი 2)]. დეკრეტით შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლში მითითებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი. დეკრეტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს<sup>14</sup>, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, ორგანულ კანონს“ [2 (მუხლი 13.2)].

„კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შე-

13 „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად დეკრეტი შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს, მაგრამ უფრო გვიან გამოცემული და, მასადას, უპირატესი იურიდიული ძალის მქონე კანონის [16] თანახმად დეკრეტი გამოიცემა საომარი მდგომარეობის დროსაც. ამ ნორმის დაწესებისას აუცილებელი იყო სათანადო ცვლილების შეტანა „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონში, რაც დღემდე არ გაკეთებულა.


14 ამ დებულებაში სიტყვები: „კონსტიტუციურ კანონს“ აშკარად ზედმეტია, ვინაიდან ამავე კანონის თანახმად „კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“ [2 (მუხლი 9.2)].



იძლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. მასში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი" [2 (მუხლი 18.1)]. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც საკანონმდებლო აქტით რაიმე საკითხი არ არის მოწესრიგებული. ასეთ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს ბრძანებულება [2 (მუხლი 18.2)].

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის ეს დებულება, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს [1 (მუხლი 5.4)]. კონსტიტუციის თანახმად საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს საქართველოს პარლამენტი, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას – საქართველოს პრეზიდენტი [1 (მუხლები: 48, 69, 77.1)]. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი აკონკრეტებს ამ პრინციპს და სავსებით სამართლიანად კრძალავს სახელმწიფო ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს მიერ თავისი უფლებამოსილების გადაცემას იმ საკითხთა გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად მის განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება [2 (მუხლი 8)]. საკანონმდებლო საქმიანობა კი სწორედ ის სფეროა, რომლის მოწესრიგებაც პარლამენტის განსაკუთრებულ გამგებლობასაა მიკუთვნებული. ყველაზე მეტი, რაც სხვას შეიძლება გადასცეს პარლამენტმა, არის მის მიერ დადგენილი კონკრეტული ნორმის შესასრულებლად აუცილებელი ნორმების დადგენის უფლება. ამასთან, მან აუცილებლად უნდა მიუთითოს, ვის გადასცა ეს უფლება. სწორედ ეს განსაზღვრავს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის დასაშვებ ფარგლებს. ზემოაღნიშნული დებულება კი ამ წესიდან გამონაკლისს აკანონებს, რითაც აბათილებს ამავე კანონით კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად დადგენილ ზოგად წესებს, მათ შორის იმ დებულებას [2 (მუხლი 10)], რომლითაც განსაზღვრულია ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით არის ნებადართული.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას უპირატესი იური-



დიული ძალა აქვს სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ ([2]-ის მე-19.2 მუხლის გათვალისწინებით) [2 (მუხლი 19.1)].

საქართველოს პარლამენტის ნორმატიული ხასიათის დადგენილებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების (გარდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა) მიმართ ([2]-ის მე-19.2 მუხლის გათვალისწინებით) [2 (მუხლი 19.1)].

საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს კონტროლის პალატის ნორმატიულ აქტებს, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში, უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ; ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების მიმართ [2 (მუხლი 19.2)]. საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ ზოგიერთ საკითხში ეროვნული ბანკის ნორმატიულ აქტს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს კონტროლის პალატის ნორმატიული აქტის მიმართ, ზოგიერთში კი - პირიქით.

საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანება იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტისა და, საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს კონტროლის პალატის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები [2 (მუხლი 19.2)]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით [2 (მუხლი 18.1)].

ბრძანების გამოცემის ამ პირობებს აშკარად აფართოებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ“, რომლის თანახმადაც ბრძანება შეიძლება გამოიცეს აგრეთვე „საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში“ [7 (მუხლი 5.1)]. ამით კი ირღვევა არა მარტო „ნორ-



მატიული აქტების შესახებ" კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა, არამედ მისი მე-8 მუხლის მე-3 პუნქტიც: „დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავის უფლებამოსილებათა გადაცემა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ან ბრძანებულებით არის გათვალისწინებული“. სწორედ ასეთ მდგომარეობას აწესრიგებს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ [2 (მუხლი 26.1)]: „თუ სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი ნორმატიული აქტის გამოყენებასთან დაკავშირებით დაადგენს, რომ სწავადასვა ნორმატიულ აქტთა ნორმები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, იგი ვალდებულია გამოიყენოს ის ნორმატიული აქტი, რომელსაც აქვს უპირატესი იურიდიული ძალა“ და ვინაიდან კანონს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მიმართ, ამიტომ დასახელებული ბრძანებულების ზემოაღნიშნული დებულების გამოყენება არ შეიძლება.

„უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს ნორმატიულ აქტებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნორმატიული აქტების მიმართ“ [2 (მუხლი 23.1)]. უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ეს ნორმა, რომელიც თავისთავად სწორად არის ჩამოყალიბებული, დღესდღეობით მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს თავის დანიშნულებას. ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უფლებამოსილებანი კონსტიტუციური კანონით უნდა გაიმიჯნოს. ამ კანონის მიღება კი, კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ შეიძლება [1 (მუხლი 2.3)]. ჯერჯერობით განსაზღვრულია მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები [1 (მუხლი 3.1)] და რადგან საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი არ არის, რა მიკუთვნება ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას, ამიტომ, სახელმწიფოს სუვერენიტეტიდან გამომდინარე, საქართველოს კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ [2 (მუხლი 51.2)]:





„თუ ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ორგანული კანონის თანახმად სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილებათა... ნორმატიულ აქტს არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილია“, უნდა დავასკვნათ, რომ


ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა განსაზღვრამდე საქართველოს ორგანულ კანონსა და კანონს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკის ნებისმიერი ნორმატიული აქტის მიმართ, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც რაიმე საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება საქართველოს ორგანული კანონით ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს გადაცემული<sup>15</sup>. ასეთ შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ნორმატიული აქტი იერარქიულად საქართველოს კანონზე მაღლა, მაგრამ საქართველოს ორგანულ კანონზე დაბლა დგას.

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიულ აქტს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების მიმართ [2 (მუხლი 23.2)].

ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის ნორმატიული აქტების ადგილი ნორმატიულ აქტთა იერარქიულ სქემაში არ არის ცალსახად განსაზღვრული (ეს საკითხი საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის შესაბამისად უნდა გადაწყდეს), მაგრამ, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონიდან და შემოსწინებული ნორმიდან [2 (მუხლი 51.2)] გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ

იმ საკითხთა გადაწყვეტისას, რომლებიც ორგანულმა კანონმა

15 1998 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ (იხ. მე-8 მუხლი), რომლითაც ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო იერარქიული ურთიერთდაპირისმართება დაადგინა. შემოადინებულიდან გამომდინარე, შესაბამის ნორმებს არა აქვთ იურიდიული ძალა და ბათილია შაილ მიღების მომენტებიდან.



ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის გამგებლობას მიაკუთვნა, მათი ნორმატიული აქტები იერარქიულად საქართველოს ორგანულ კანონზე დაბლა, მაგრამ სხვა ნორმატიულ აქტებზე მაღლა დგანან, ხოლო თუ შესაბამისი უფლებამოსილება მათ კანონმა მიანიჭა, მათი ნორმატიული აქტები იერარქიულად საკანონმდებლო აქტებზე დაბლა, მაგრამ კანონქვემდებარე აქტებზე მაღლა დგანან. ამასთან, საკრებულოს ნორმატიული აქტი იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე გამგეობის (მერიის) და გამგებლის (მერის) ნორმატიული აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამის საკითხზე ნორმატიული აქტის გამოცემის უფლება მათ უშუალოდ კანონით აქვთ მინიჭებული [6 (მუხლი 31)].

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული ძალა. ამ საკითხს, მისი მნიშვნელობის გამო ცალკე განვიხილავთ (იხ. 14).

თვალსაზიროებისთვის სქემატურად წარმოვადგენთ საქართველოს ნორმატიულ აქტთა იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებას (იხ. სქემა 3).



საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს საერთაშორისო  
ხელშეკრულება

საქართველოს  
ორგანული კანონი

საქართველოს კანონი, საქართველოს  
პრეზიდენტის დეკრეტი

რეფერენდუმის შედეგად  
მიღებული გადაწყვეტილება.  
- სადა მისი ადგილი?

საქართველოს კონტროლის  
პალატის თავმჯდომარის  
პრეზიდენტის  
(თავის უფლებამოსილების ფარგლებში)

საქართველოს ეროვნული  
ბანკის სამუშაოს დადგენილება  
საქართველოს ეროვნული  
ბანკის პრეზიდენტის  
პრეზიდენტის

საქართველოს  
პრეზიდენტის  
პრეზიდენტის

საქართველოს კონტროლის  
პალატის თავმჯდომარის  
პრეზიდენტის

საქართველოს ეროვნული  
ბანკის სამუშაოს დადგენილება  
საქართველოს ეროვნული  
ბანკის პრეზიდენტის  
პრეზიდენტის

საქართველოს  
პარლამენტის  
დადგენილება

საქართველოს ელექტროენერჯეტიკის  
მარეგულირებელი ეროვნული  
კომისიის დადგენილება,  
საქართველოს მინისტრისა და  
აღმასრულებელი ხელისუფლების  
სხვა სახელმწიფო უწყების  
ხელშეწყობის  
პრეზიდენტის

სურათი 3. საქართველოს ნორმატიულ აქტთა  
იერარქიული ურთიერთდაპოკიდებულება



### 3. ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება და წარდგენა

#### 3.1 ნორმატიული აქტის პროექტის

#### მომზადებისა და წარდგენის რეგლამენტირება

ნორმატიული აქტის პროექტის მომზადების უფლება აქვს ნორმატიული აქტის პროექტის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტს და თვით ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანოს (მის სტრუქტურულ ერთეულს). მათ უფლება აქვთ ნორმატიული აქტის პროექტი დაუკვეთონ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციასა და დაწესებულებას (მათ შორის უცხოეთის დაწესებულებას), სპეციალისტებსა და სპეციალისტთა ჯგუფებს (მათ შორის უცხოელებს) [2 (მუხლი 33)].

კანონპროექტისა და საერთაშორისო ხელშეკრულების მომზადება და წარდგენა რეგლამენტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით, კანონპროექტისა – აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ“ [7] და „საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის დებულებით“ [8], საერთაშორისო ხელშეკრულებისა – აგრეთვე კანონით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტისა – აგრეთვე კანონით „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ [9]. ამ საკითხებს, მათი დიდი მნიშვნელობის გამო, დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის, ბრძანებულებისა და ბრძანების, საქართველოს მინისტრის, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანების პროექტის მომზადება რეგლამენტირებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ“ და „საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის დებუ-



ლებით". აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ აუცილებელ პირობას, რაც მელმაც უნდა უზრუნველყოს აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან [2 (მუხლები: 28.2, 33.4)]:

საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანების პროექტი უნდა გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში უნდა წარადგინოს სათანადოდ დასაბუთებული დასკვნა საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებთან მისი შესაბამისობის შესახებ. თუ დასკვნა უარყოფითი იქნა, პროექტი უნდა გადაიხილეს და შეესაბამოს საქართველოს საკანონმდებლო აქტებსა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს, რის შემდეგაც იუსტიციის სამინისტრომ ხელახლა უნდა გამოიტანოს დასკვნა.

საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს კონტროლის პალატისა და საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული აქტების პროექტთა მომზადება რეგლამენტირებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით, „საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონით“ [10], „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ და „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ კანონებითა [11] და მათი რეგლამენტითა თუ დებულებით [2 (მუხლი 28.3)].

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნორმატიული აქტების პროექტთა მომზადება რეგლამენტირებულია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, მათი კონსტიტუციებითა და მათ საფუძველზე მიღებული (გამოცემული) შესაბამისი ნორმატიული აქტებით [2 (მუხლი 28.4)].

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ნორმატიული აქტების პროექტთა მომზადება რეგლამენტირებულია „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ორგანული კანონით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონითა და მათ საფუძველზე ამ ორგანოთა მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტებით [2 (მუხლი 28.5)].

როგორც ვხედავთ, კანონმა თავისუფლება მიანიჭა ნორმატიული აქტის წარდგენის უფლების მქონე პირს, თავად განსაზღვროს, როგორ მოამზადოს შესაბამისი პროექტი, ოღონდ სახელმწიფო



დაწესებულებები დაავალდებულა, რომ თავ-თავიანთი ნორმატიული აქტებით დაადგინონ პროექტის მომზადების სავალდებულო წესი. ამასთან, კანონმა დაადგინა საერთო პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი ნორმატიული აქტის პროექტი (3.2).

### 3.2 პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნორმატიული აქტის პროექტი

საერთო პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი ნორმატიული აქტის პროექტი, დადგენილია კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“ [2 (თავი III)].

უმათავრესი პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნორმატიული აქტის პროექტი, არის მისი შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

ნორმატიული აქტის პროექტის არქიტექტურა ისეთივე უნდა იყოს, როგორიც თვით ნორმატიული აქტისა. ნორმატიული აქტი შედგება [2 (მუხლები: 29, 31)] ძირითადი ნაწილისა და დასკვნით დებულებათაგან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – აგრეთვე გარდამავალ დებულებათაგან. ნორმატიულ აქტს შეიძლება ჰქონდეს პრეამბულა, რომელშიც გადმოიცემა ამ აქტის დანიშნულება და პრინციპები, რომლებიც მას უდევს საფუძვლად, ხოლო თუ აქტი კანონქვემდებარეა, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს პრეამბულა, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად გამოიცა იგი.

ნორმატიული აქტის დასკვნითი დებულებანი შეიცავენ იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც ძალას კარგავენ მოცემული ნორმატიული აქტის ამოქმედების მომენტიდან, აქტის ძალაში შესვლის დროსა და მისი მოქმედების ვადას (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის გამოცემული).

ნორმატიულ აქტს უნდა ჰქონდეს გარდამავალი დებულებანი, თუ განსაზღვრული ვადით დგინდება ძირითადისაგან განსხვავებული ნორმები ან თუ ნორმატიული აქტის სრულად ამოქმედებისთვის გარკვეული პირობები და დროა საჭირო. ეს ნორმები და პირობები, აგრეთვე იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რო-



მელთა მიღებაც (გამოცემაც) აუცილებელი იქნება წარდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში, ამ აქტების მიმღებ (გამომცემ) ორგანოთა (თანამდებობის პირთა) დასახელება და მათი (გამოცემის) ვადები გარდამავალ დებულებებში უნდა აისახოს.

ნორმატიული აქტი შინაარსის მიხედვით შეიძლება დაიყოს კარებად და თავებად, ხოლო კოდექსი – წიგნებადაც [2 (მუხლი 32)]. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს სათაური. წიგნების, კარებისა და თავების ნუმერაცია უწყვეტია. ნუმერაციისას გამოიყენება რომაული ციფრები.

წიგნი იყოფა კარებად, კარი – თავებად, ხოლო თავი – მუხლებად. მუხლს შეიძლება ჰქონდეს სათაური. მუხლების ნუმერაცია უწყვეტია. ნუმერაციისას გამოიყენება არაბული ციფრები. თუ მუხლი რამდენიმე აბზაცისგან შედგება, ისინი არაბული ციფრებით უწყვეტად ინომრება და მათ პუნქტებს (ხოლო კოდექსში – ნაწილებს<sup>16</sup>) უწოდებენ. თუ მუხლის რომელიმე პუნქტი (ნაწილი) ქვეპუნქტებადაა დაყოფილი, ისინი ანბანურად ინომრება<sup>17</sup>, ხოლო თუ ქვეპუნქტიც, თავის შრიფტ, რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი, ისინი კვლავ ანბანურად ინომრება. მუხლის პუნქტი (ნაწილი) და ქვეპუნქტი უსათაუროა.

ნორმატიული აქტის რომელიმე დებულების მითითება ხდება შემდეგი წესით: უნდა დასახელდეს ნორმატიული აქტის სახე და სათაური, მუხლი, პუნქტი (ნაწილი), ქვეპუნქტი, ხოლო თუ აუცილებელია – წინადადებაც. მითითებისას შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი აღნიშვნები:

- მუხლი 3 ან მე-3 მუხლი;
- მუხლი 3.2 ან მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი (ნაწილი);
- მუხლი 3.2.ა ან მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (ნაწილის) „ა“ ქვეპუნქტი;
- მუხლი 3.2.ა.ბ ან მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (ნაწილის) „ა“

16 კოდექსში აბზაცის სახელწოდებად „პუნქტის“ ნაცვლად „ნაწილის“ გამოიყენებამ, რაც მხოლოდ ჩვეულებით შეიძლება ახსნას, ის უზრუნველობა გამოიწვია, რომ კოდექსში გვაქვს ქვეპუნქტი, მაგრამ არა გვაქვს პუნქტი. ამ უზრუნველობის თავიდან აცილებისა და ტერმინთა უნიფიკაციის მიზნით უმჯობესია „ნაწილის“ ნაცვლად კოდექსშიც „პუნქტი“ გამოვიყენოთ.

17 ჩვენი აზრით, ანბანის ასონიშანთა რაოდენობის შეზღუდულობის გამო, ნაცვლად ანბანური დანომვრისა, უფრო მოსახერხებელი იქნება ციფრული დანომვრის შემოღება.



ქვეუნიქტის „ბ“ ქვეუნიქტი.

ნორმატიული აქტის პროექტს უნდა დაერთოს [2 (მუხლი 33.4); 7 (მუხლები: 7.2, 8.4, 9.4, 10.11)]

– განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა); განმარტებით ბარათში უნდა აღინიშნოს პროექტის ავტორი (ავტორები) და პროექტის წარმდგენი;

– პროექტი სხვა ნორმატიულ აქტებში იმ ცვლილებათა და/ან დამატებათა შეტანის შესახებ, რასაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა);

– პროექტი შესაბამის კანონში იმ დამატებათა შეტანის შესახებ, რომლებითაც განისაზღვრება წარდგენილი პროექტით დაწესებულ ნორმათა დარღვევისთვის დადგენილი პასუხისმგებლობა;

– ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომელთა მიღებაც (გამოცემაც) აუცილებელი იქნება წარდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში, ამ აქტების მიმღებ (გამომცემ) ორგანოთა (თანამდებობის პირთა) დასახელება და მათი მიღების (გამოცემის) ვადები;

– კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან წარდგენილი პროექტის შესაბამისობის შესახებ (ასეთი სახელმწიფო ორგანო აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტის პროექტისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროა [2 (მუხლი 33.4); 7 (მუხლები: 7.2, 8.4, 9.4, 10.11)] ), ხოლო საკანონმდებლო აქტის პროექტს უნდა დაერთოს აგრეთვე დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, თუკი არსებობს იგი.

პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს მისი საჭიროების ავტორისივით დასაბუთებას, ავტორის ხელმოწერასა და მისამართს [5 (მუხლი 82.3)].





### 3.3 პარლამენტისთვის კანონპროექტის წარდგენა

საქართველოს  
პარლამენტი

პარლამენტისთვის კანონპროექტის წარდგენა შეიძლება საკანონმდებლო ინიციატივითა და საკანონმდებლო წინადადების სახით [5 (მუხლები: 78, 79, 82)].

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად [1 (მუხლი 67.1)]

„საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30 ათას ამომრჩეველს“.

გამონაკლისია:

- კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი, რომლის წარდგენის უფლებაც აქვს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს, არანაკლებ 200 ათას ამომრჩეველს [1 (მუხლი 102.1)];

- კანონპროექტი „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, რომლის წარდგენის უფლებაც მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტსა აქვს [1 (მუხლი 93.1)] ;

- კანონპროექტი „სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ“, რომლის წარდგენის უფლებაც მხოლოდ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აქვს [1 (მუხლი 98.3); 2 (მუხლი 10.6)].

საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი პარლამენტმა აუცილებლად უნდა განიხილოს თავის სხდომაზე, მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეაფასებს მას პარლამენტის კომიტეტი [5 (მუხლი 83.4)].

საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ პარლამენტისთვის ახალი კანონის მიღების ან მოქმედ კანონში ცვლილების და/ან დამატების წინადადების წარდგენა; წინადადება დადგენილი წესით უნდა იყოს გაფორმებული და დასაბუთებული [5 (მუხლი 82)].

საკანონმდებლო წინადადებას შეიძლება ჰქონდეს კანონპროექტის სახე ან იგი შეიძლება შეიცავდეს მოსამზადებელი კანონპროექტის მხოლოდ ძირითად პრინციპებს ან კონკრეტულ წინადადებებს.

საკანონმდებლო წინადადების წარდგენის უფლება აქვს საქარ-



თველოს მოქალაქეს, სახელმწიფო ორგანოს (გარდა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულისა), ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს, საქართველოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და სხვა იურიდიულ პირებს. საკანონმდებლო წინადადების წარდგენა შეიძლება პეტიციის სახითაც.

პარლამენტის რეგლამენტის საფუძველზე, თუმცა ეს პირდაპირ არაა ნათქვამი, შეიძლება დაეასკნათ, რომ, განსხვავებით საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტისაგან, პარლამენტი არ განიხილავს საკანონმდებლო წინადადებას, თუ პარლამენტის კომიტეტმა უარყო იგი [5 (მუხლები: 82.6,7, 83.4)].

### 3.4 კანონპროექტის მომზადება და საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით მისი წარდგენა [7 (მუხლები: 19, 20)]

აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არა აქვს. აღმასრულებელი ხელისუფლებიდან ეს უფლება საქართველოს კონსტიტუციამ მხოლოდ მის მეთაურს – საქართველოს პრეზიდენტს მიანიჭა. მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას უფლება აქვს საკანონმდებლო წინადადება (მათ შორის კანონპროექტის სახითაც) წარუდგინოს პრეზიდენტს (ეს უფლება სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, სხვა უწყებებს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც აქვთ [8 (მუხლი 5.11)]), ხოლო საქართველოს პრეზიდენტის დავალების შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება ვალდებულია მოამზადოს შესაბამისი კანონპროექტი.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარსადგენი კანონპროექტის მომზადების საფუძველი შეიძლება იყოს საკანონმდებლო აქტი, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული კანონპროექტის მომზადებასა და წარდგენას, ან თვით პრე-



ზიდენტის სურვილი, დაადგინოს ახალი ან შეცვალოს მოქმედი ნორმები.

საკანონმდებლო ინიციატივით წარსადგენ კანონპროექტს ამზადებს „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება; მისი მომზადების მიზნით შეიძლება შეიქმნას სამთავრობო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა წარმომადგენლების კომისია.

კანონპროექტის მომზადებას საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილ ვადაში უზრუნველყოფენ და კოორდინაციას უწევენ სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი სამსახური (ასეთი სამსახურია საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახური [8] ) და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<sup>18</sup>.

მომზადებული კანონპროექტი დასკვნისთვის უნდა გადაეცეს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა იმ დაწესებულებას, რომელთა გამგებლობის სფეროსაც მიეკუთვნება პროექტით მოსაწესრიგებელი საკითხები. „იგი დასკვნისათვის შეიძლება გადაეცემა აგრეთვე იმ არასახელმწიფო დაწესებულებებსაც, რომელთა ინტერესებსაც შეეხება პროექტი“<sup>19</sup>. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებმა დასკვნა კანონპროექტის ოფიციალურად მიღების დღიდან ერთ თვეში უნდა მოამზადონ (ეს ვადა შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფო კანცელარიის ან იუსტიციის სამინისტროს მოტივირებული მოთხოვნით). შემოსწენებულმა დაწესებულებებმა დასკვნა სახელმწიფო კანცელარიას უნდა გადასცენ.

საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან კანონპროექტის შესა-

18 ამ ნორმაში [8 (მუხლი 19.3)] „და“ კავშირის არსებობა ორივე დაწესებულებას ავალდებულებს ერთობლივად უზრუნველონ და კოორდინაცია გაუწიონ პროექტის მომზადებას. საზოგადოდ, მიზანშეუწონელია, რომ ერთი და იმავე საკმის შესრულებისთვის პასუხისმგებლობა ერთდროულად რამდენიმე დაწესებულებას დაეკისროს. ამან, შესაძლებელია, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება ან ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ არსებული ნორმა ასე შეიცვლება: „კანონპროექტის მომზადებას... საქართველოს პრეზიდენტის დაავალბებით უზრუნველყოფენ და კოორდინაციას უწევენ სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი სამსახური ან საქართველოს იუსტიციის სამინისტრო“.

19 ჩვენი აზრით, ჯობს, დაინტერესებული დაწესებულებებისთვის პროექტის გადაცემა სავალდებულო იყოს და არა მხოლოდ შესაძლებელი. ასეთი ვალდებულება შესაძლებელს გახდის უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული საზოგადოების ინტერესები.



ბამისობის დასადგენად კანონპროექტსა და შემოადრინებულ დასკვნებს სახელმწიფო კანცელარია გადასცემს იუსტიციის სამინისტროს.

კანონპროექტის საბოლოო ტექსტს იუსტიციის სამინისტროს დასკვნის მიღების შემდეგ ამზადებს ის სახელმწიფო დაწესებულება, რომელმაც მოამზადა კანონპროექტი. დაინტერესებულ დაწესებულებებთან შეთანხმებული ტექსტის მომზადების მიზნით ამ დაწესებულების ხელმძღვანელი, იუსტიციის სამინისტროს დასკვნის მიღებიდან 10 დღეში, იწვევს შემთანხმებულ სხდომას, რომელზეც სავალდებულოა პროექტზე დასკვნის წარმომდგენ დაწესებულებათა წარმომადგენლების მიწვევა და დასწრება. შემთანხმებული სხდომის შედეგები უნდა აისახოს სხდომის ოქმში და მას ხელი უნდა მოაწეროს სხდომის ყველა მონაწილე.

კანონპროექტის საბოლოო ტექსტი შემთანხმებული სხდომიდან 5 დღეში უნდა გადაეცეს სახელმწიფო კანცელარიის შესაბამის სამსახურს მთავრობის სხდომისთვის წარსადგენად.

მთავრობის სხდომაზე კანონპროექტი განსახილველად გააქვს იმ სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელმაც მოამზადა იგი (აუცილებლობის შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს, სახელმწიფო კანცელარიასთან შეთანხმებით, კანონპროექტის გატანა თავის მოადგილეს დაავალოს).

მთავრობის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით კანონპროექტის საბოლოო რედაქციას საქართველოს პრეზიდენტის (ან, მისი დავალებით, სახელმწიფო კანცელარიის) მიერ განსაზღვრულ ვადაში ამზადებს ამ პროექტის მომზადებისთვის პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება ან, პრეზიდენტის მითითებით, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულება.

კანონპროექტის საბოლოო ტექსტი წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივით წარუდგენს მას საქართველოს პარლამენტს ან კონკრეტული შენიშვნებით დაუბრუნებს შესაბამის სამთავრობო დაწესებულებას.

### 3.5 საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის, ბრძანებულებისა და ბრძანების პროექტების მომზადება

#### დპკრპი [7 (მუხლი 7)]

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის პროექტის მომზადებისთვის პასუხისმგებელია ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი, ხოლო მისი მომზადების უზრუნველყოფა ეკისრება სახელმწიფო კანცელარიას. დეკრეტის პროექტის მომზადებისას საგაიდებულოა ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებულ წინადადებათა გათვალისწინება.

დეკრეტის პროექტი სათანადო დავალების მიღებიდან 48 საათში უნდა მომზადდეს (პროექტს ამზადებს საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახური [8 (მუხლი 6.2)]) და დაუყოვნებლივ გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს დასკვნისათვის საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან პროექტის შესაბამისობის დასადგენად. იუსტიციის სამინისტრომ დასკვნა 24 საათში უნდა მოამზადოს და გადასცეს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს, რომელმაც 48 საათში უნდა მოამზადოს და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს პროექტის საბოლოო ტექსტი.

დეკრეტის პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 29-ე და 30-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს და მას უნდა დაერთოს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროთა დასკვნები განმარტებით ბარათში მოყვანილი საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშების თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით დეკრეტის პროექტი შეიძლება განხილულ იქნეს ეროვნული უშიშროების საბჭოს ან საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სხვა საათობირო ორგანოს სტდომაზე.

დეკრეტის პროექტი ხელმოსაწერად წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტი ხელს აწერს მას ან კონკრეტული შენიშვნებით უბრუნებს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს, რომელიც 3 დღეში<sup>20</sup> საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად

20 საგანგებო მდგომარეობის დროს 3 დღის ვადა შეიძლება გაუმართლებლად დიდი აღმოჩნდეს, ამიტომ, ვფიქრობთ, უზრუნველ იქნება, თუ ეს ვადა ასე განისაზღვრება: „...3 დღეში, თუ საქართველოს პრეზიდენტს მიერ უფრო მცირე ვადა არ იქნა დადგენილი“.



წარუდგენს დეკრეტის შესწორებულ ტექსტს.

„საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტს გამოცემიდან 48 საათის განმავლობაში წარუდგენს საქართველოს პარლამენტს [2 (მუხლი 42.3)], ხოლო თუ დეკრეტით იზღუდება საქართველოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი, იგი 48 საათის განმავლობაში წარუდგინება პარლამენტს დასამტკიცებლად [1 (მუხლი 46.1); 2 (მუხლი 43.4); 15 (მუხლი 2); 16 (მუხლი 2)].

### ბრძანებულება [7 (მუხლი 8)]

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტის მომზადება ვვალება სახელმწიფო კანცელარიას, ეროვნული უშიშროების სამსახურის აპარატს<sup>21</sup> ან საქართველოს პრეზიდენტის მითითებით – აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას.

პროექტის მომზადების უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელია სახელმწიფო კანცელარია, ხოლო უშუალოდ მისი მომზადებისთვის – აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების ხელმძღვანელი.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ბრძანებულების პროექტის, აგრეთვე საომარი მდგომარეობის დროს გამოსაცემი საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების პროექტების, რომლებიც ზღუდავენ კონსტიტუციის 46-ე მუხლში მითითებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს<sup>22</sup>, მომზადებისთვის პასუხისმგებელია ეროვნული უშიშროების სამსახურის აპარატი<sup>22</sup>. ბრძანებულების პროექტს ამზადებს საქართველოს

21 ორპარტიულობის თავიდან ასაცილებლად აღნიშნული უნდა იყოს, ვინ წყვეტს, კონკრეტული პროექტი სახელმწიფო კანცელარიამ უნდა მოამზადოს თუ ეროვნული უშიშროების სამსახურმა.

22 ამ წინადადების გამოყოფილი ნაწილი, მართალია, პირდაპირ არ ასახელებს, თუ რა სახის ნორმატიული აქტი უნდა მომზადდეს, მაგრამ მუხლის სათაური მიუთითებს, რომ ეს აქტი პრეზიდენტის ბრძანებულებაა (ამას ადასტურებს ამავე ბრძანებულების მე-18 მუხლის მე-4 პუნქტიც). რაც ეწინააღმდეგება არათუ ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლს, არამედ კანონსაც, რომლის თანახმადაც ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს [2 (მუხლი 10.1.3)]. აღნიშნული საკითხი საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით უნდა განისაზღვროს [16 (მუხლი 2)] და ამიტომ უშუალოდ აღნიშნული ბრძანებულების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტიდან ამოსაღებია წინადადების გამოყოფილი ნაწილი, ხოლო მე-18 მუხლიდან – მე-4 პუნქტი.

პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახური [8 (მუხლი 6.2)].

საქართველოს პარლამენტის არჩევნების<sup>23</sup> და რეფერენდუმის დანიშნვის, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტების გაუქმების შესახებ ბრძანებულებათა პროექტებს ამზადებს საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახური. ეს სამსახური ამზადებს დასკვნას წინადადებაზე თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის მიზანშეწონილობის შესახებ და სათანადო დოკუმენტებს ამ საკითხზე საქართველოს პარლამენტის თანხმობის მისაღებად, აგრეთვე დასკვნას საქართველოს პრეზიდენტის წინაშე ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტების გაუქმების აუცილებლობის შესახებ.

სათანადო დავალების მიღების შემდეგ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ ერთ თვეში უნდა მოამზადოს ბრძანებულების პროექტი, თუ საქართველოს პრეზიდენტმა სხვა ვადა არ დაადგინა.

ბრძანებულების პროექტის მოსამზადებლად შესწავლილ უნდა იქნეს ყველა ნორმატიული აქტი, რომლებიც ეხება ამ ბრძანებულებით მოსაწესრიგებელ საკითხებს, და ამ აქტების გამოყენების პრაქტიკა; სამეცნიერო ლიტერატურა და პერიოდული პრესის მასალები; სოციოლოგიური და სხვა გამოკვლევის მასალები. თუ პროექტის მომზადებისას გამოვლინდა, რომ საჭიროა არსებითი ცვლილების შეტანა მოქმედ ნორმატიულ აქტში და/ან ერთსა და იმავე საკითხს ეხება რამდენიმე ნორმატიული აქტი (ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები), მათი მოწესრიგების მიზნით უნდა მომზადდეს ბრძანებულების ერთიანი პროექტი, რომელშიც შევა როგორც ახალი, ისე ძველი (უცვლელად ან გადაამუშავებული სახით) დებულებები [7 (მუხლები: 8.6, 10.2, 4)].

ბრძანებულების პროექტი დასკვნისთვის უნდა გადაეცეს აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა იმ დაწესებულებას, რომელთა გამგებლობის სფეროსაც მიეკუთვნება ბრძანებულებით მოსაწეს-

23 რადგან ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების დანიშვნა საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებაა [1 (მუხლი 73.2)], ამიტომ აუცილებელია განისაზღვროს სათანადო ბრძანებულების მომზადებისთვის პასუხისმგებელი პირი. ლოგიკური იქნება, რომ ამ საკითხის მომზადებაც საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურს დაეკისროს.



რიგებული საკითხები. „იგი შეიძლება დასკვნისათვის გადაეცემა, მაგრამ აგრეთვე იმ არასახელმწიფო დაწესებულებებსაც, რომელიც ინტერესებსაც შეეხება ეს ბრძანებულება“<sup>24</sup>. აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებმა დასკვნა ერთი თვის ვადაში უნდა მოამზადონ (ეს ვადა საქართველოს პრეზიდენტის მითითებით შეიძლება შემცირდეს, თუ საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხს ეხება).

საქართველოს კანონმდებლობასთან ბრძანებულების პროექტის შესაბამისობის დასადგენად პროექტი ზემოაღნიშნულ დასკვნებთან ერთად სახელმწიფო კანცელარიის ან იმ სახელმწიფო ორგანოს მეშვეობით, რომელსაც დაევალა პროექტის მომზადება, იუსტიციის სამინისტროს გადაეცემა.

ბრძანებულების პროექტის საბოლოო ტექსტს ამზადებს ის სახელმწიფო ორგანო, რომელმაც მოამზადა პროექტი და გადასცემს მას სახელმწიფო კანცელარიას.

ბრძანებულების პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 29-ე – 31-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს და მას უნდა დაერთოს „წინადადებანი ბრძანებულების მიღებისას (გამოცემისას) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამუქების უზრუნველყოფის შესახებ“.

ბრძანებულების პროექტი, სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი ქვედანაყოფების ვიზირების შემდეგ, შეიძლება განხილულ იქნეს მთავრობის სხდომაზე. სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით პროექტის საბოლოო რედაქცია, იურიდიული უქსპერტიზისა და რედაქტირების შემდეგ, ხელმოსაწერად წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც ხელს აწერს ბრძანებულებას ან კონკრეტული შენიშვნებით უბრუნებს სახელმწიფო კანცელარიას.

პროექტის დაბრუნების შემთხვევაში სახელმწიფო კანცელარია დამოუკიდებლად წვევტს, დადგენილი წესით ხელახლა გადამუშავდეს პროექტი, თუ თვითონ მოამზადოს პროექტის საბოლოო რედაქცია. პროექტის გადამუშავებას, საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი ქვედანაყოფი.

ბრძანებულებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოც-

<sup>24</sup> აქაც, ისევე როგორც ადრე, შევნიშნავთ, რომ უზღოპესია დაინტერესებული დაწესებულებებისთვის პროექტის გადაცემა სავალდებულო იყოს და არა მხოლოდ შესაძლებელი.



ხადების შესახებ, ამ მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში, საქართველოს პრეზიდენტი დასამტკიცებლად წარდგენს საქართველოს პარლამენტს [15 (მუხლი 2); 16 (მუხლი 2)].

### ბრძანება [7 (მუხლი 9)]

„1. საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, ბრძანების პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ეროვნული უშიშროების საბჭო. ბრძანების პროექტის შემუშავება საქართველოს პრეზიდენტის დავალებით შეიძლება დაეკისროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს.

2. პროექტის მომზადების ვადა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის მითითებით ან უშუალოდ ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც ბრძანების პროექტის შემუშავება სხვა სახელმწიფო ორგანოს დაეკისრება, ეროვნული უშიშროების საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები ბრძანების პროექტის თაობაზე.

4. ბრძანების პროექტი გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი დასკვნისათვის.

5. ბრძანების პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლების მოთხოვნებს.

6. საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, ბრძანების პროექტი ხელმოსაწერად წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს“.

### 3.6 საქართველოს მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანების პროექტის მომზადება [7 (მუხლი 10)]

საქართველოს მინისტრის (აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელის) ბრძანების პროექტის მომზადება უშუალოდ სამინისტროს (აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სამთავრობო დაწესებულებას) ევალება.




ერთობლივი (საუწყებათათმორისო) ხასიათის ბრძანების (ანუ ბრძანების, რომელიც ერთობლივად გამოიცემა *საქართველოს* ხელისუფლების რამდენიმე დაწესებულების ხელმძღვანელებს) პროექტის მოსამზადებელი სამუშაოს ორგანიზაციას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების ის დაწესებულება, რომელიც შესაბამის დავალებაში აღნიშნულთაგან პირველია (მასვე ვვალება გამოცემული ბრძანების იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენა სახელმწიფო რეესტრში გასატარებლად). დავალებაში დასახელებულმა სახელმწიფო ორგანოებმა პროექტის მოსამზადებლად უნდა უზრუნველყონ სპეციალისტების გამოყოფა, წინადადებების, საჭირო დოკუმენტების, ცნობებისა და სხვა მასალების დროული წარდგენა. ერთობლივი ბრძანების პროექტი შეთანხმებულად ითვლება, თუ იგი უშენიშნოდ არის ვიზირებული როგორც დავალებაში აღნიშნულ, ისე სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოთა ხელმძღვანელთა მიერ.

ბრძანების პროექტის მოსამზადებლად უნდა შეისწავლონ ყველა ნორმატიული აქტი, რომლებიც ეხება ამ ბრძანებით მოსაწესრიგებელ საკითხებს, და ამ აქტების გამოყენების პრაქტიკა; სამეცნიერო ლიტერატურა და პერიოდული პრესის მასალები; სოციოლოგიური და სხვა გამოკვლევის მასალები. თუ პროექტის მომზადებისას გამოვლინდა, რომ საჭიროა არსებითი ცვლილების შეტანა მოქმედ ნორმატიულ აქტში და/ან ერთსა და იმავე საკითხს ეხება რამდენიმე ნორმატიული აქტი (ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ ამ უწყების ხელმძღვანელის ბრძანებები), მათი მოწესრიგების მიზნით უნდა მომზადდეს ბრძანების ერთიანი პროექტი, რომელშიც შევა როგორც ახალი, ისე ძველი დებულებები (უცვლელად ან გადაამუშავებული სახით) [7 (მუხლი 10.2, 4)].

ბრძანების პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე-31-ე მუხლების მოთხოვნებს<sup>25</sup>. თუ პროექტი შეიცავს ტაბულებს, გრაფიკებს, რუკებს,

25 „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად [7 (მუხლი 10.12)] პროექტს თანდართულ განმარტებით ბარათში „აუცილებლობის შემთხვევაში“ იხსენება იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური განვარაზება, რომელსაც გამოიწვევს პროექტის მიღება“. კანონის თანახმად [2 (მუხლი 30)] ასეთი განვარაზების წარდგენა სავალდებულოა. ამიტომ, კანონის ორიდოელი ძალის უპირატესობიდან გამომდინარე, ბრძანებულების შემოადინებული მუხლიდან ამოსაღება გამოყოფილი სიტყვები: „აუცილებლობის შემთხვევაში“ – მათ ორიდოელი ძალა არა აქვთ.



სქემებს, დოკუმენტების ნიმუშებს, ბლანკებს, ისინი, როგორც წესი, დანართში უნდა მოთავსდეს, პროექტის შესაბამის პუნქტში სათანადო მითითება უნდა გაკეთდეს.

ბრძანების პროექტი დასკვნისთვის უნდა გადაეცეს იმ სახელმწიფო დაწესებულებას, რომლის გამგებლობის სფეროსაც მიეკუთვნება ბრძანებით მოსაწესრიგებელი საკითხები<sup>26</sup>. იმავედროულად პროექტი სამართლებრივი დასკვნისთვის გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს, რომელიც ორ კვირაში იძლევა დასკვნას საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებთან მისი შესაბამისობის შესახებ. იუსტიციის სამინისტროს სათანადოდ დასაბუთებული უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ბრძანების პროექტი უნდა შეესაბამოს საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო აქტებს და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებს, რის შემდეგაც იგი საჭიროებს იუსტიციის სამინისტროს სათანადო ხელახალ დასკვნას ბრძანების პროექტის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე<sup>27</sup> [7 (მუხლი 10.11)].

ბრძანების პროექტი შემოაღნიშნულ დანართებთან და ამ დასკვნებთან<sup>27</sup> ერთად ხელმოსაწერად წარედგინება მინისტრს (აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელს).

26 სხვა ნორმატიული აქტებისაგან განსხვავებით ბრძანების პროექტთან დაკავშირებით ისიც კი არ არის ნათქვამი, რომ იგი დასკვნისთვის შეიძლება გადაეცეს იმ არასახელმწიფო დაწესებულებასაც, რომელთა ინტერესებსაც შეეხება ეს ბრძანება. აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ დაწესდება დაინტერესებული დაწესებულებისთვის პროექტის გადაცემის ვალდებულება.

27 უნდა შევნიშნოთ, რომ ამჟერად განსაზღვრული არ არის დასკვნის მომზადების სავალდებულო ვადა, რამაც შესაძლებელია ბრძანების გამოცემის გაუმართლებელი გაჭიანურება გამოიწვიოს.



#### 4. კანონპროექტისა და ნორმატიული სასიათის დადგენილების პროექტის განხილვა პარლამენტში<sup>28</sup>

##### 4.1 პარლამენტისთვის წარდგენილი კანონპროექტისა და საკანონმდებლო წინადადების განხილვის სტადიები

პარლამენტისთვის წარდგენილ კანონპროექტსა და საკანონმდებლო წინადადებას პარლამენტი განიხილავს თავისი რეგლამენტით [5] დადგენილ ვადებში და წესით:

– პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი განსახილველად გადაეცემა<sup>29</sup> შესაბამის კომიტეტს (კომიტეტებს, წამყვანი კომიტეტის მითითებით). თუ კანონპროექტის განხილვა სამუშაო გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ან დაირღვა ამ გეგმით განსაზღვრული წარდგენის ვადა, ანდა საქართველოს პრეზიდენტმა მოითხოვა მისი რეგარეშე განხილვა, კანონპროექტის განხილვის ვადებს განსაზღვრავს პარლამენტის ბიურო ან პარლამენტის თავმჯდომარე და კანონპროექტს გადასცემს შესაბამის კომიტეტს (კომიტეტებს) [5 (მუხლი 79.4)];

– საკანონმდებლო წინადადებას პარლამენტის ბიურო ან პარლამენტის თავმჯდომარე 5 დღის ვადაში გადასცემს შესაბამის კომიტეტს (კომიტეტებს, წამყვანი კომიტეტის მითითებით) [5 (მუხლი 82.4)];

– პარლამენტის კომიტეტი (კომიტეტები) პარლამენტის სამუშაო გეგმითა და პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრულ ვადაში პარლამენტის სხდომისთვის ამზადებს კანონპროექტს (საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანონპროექტს, თუ იგი

28 აქ შევნიშნავთ მხოლოდ იმ ნორმატიული აქტების პროექტთა განხილვის წესს, რომელთა განხილვა და მიღება განსაკუთრებულ პროცედურას არ საჭიროებს.

29 რეგლამენტით დადგენილი არ არის, ვინ განსაზღვრავს იმ კომიტეტს (კომიტეტებს), რომელსაც განსახილველად უნდა გადაეცეს კანონპროექტი და ვინ ასრულებს მის გადაცემას. თუმცა ლოგიკური იქნება, რომ ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ეს ფუნქცია პარლამენტის ბიურომ ან პარლამენტის თავმჯდომარემ შესრულოს.



მოითხოვს მის რიგგარეშე განხილვას, კომიტეტი უახლოეს სესიონზე განიხილავს) და წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. თვის წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთვოდეს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა და საორგანიზაციო დეპარტამენტის ინფორმაცია [5 (მუხლები: 81.1, 82, 83)];

– პარლამენტის ბიუროს კანონპროექტი შეაქვს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში (საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანონპროექტი, რომლის რიგგარეშე განხილვაც მან მოითხოვა, კომიტეტის დასკვნის შემდეგ უახლოეს პლენარულ სხდომას უნდა წარედგინოს) [5 (მუხლები: 53, 55.1)];

– პარლამენტი, წინასწარი საკომიტეტო მოსმენის შემდეგ, კანონპროექტს სამი მოსმენით განიხილავს ღია სხდომებზე, რის შემდეგაც კენჭს უყრის მის მიღებას [5 (მუხლი 87)]. რეგლამენტით დადგენილ შემთხვევებში და წესით კანონპროექტის განხილვა და მიღება შეიძლება გამარტივებული ან დაჩქარებული პროცედურით [5 (მუხლი 92)].

#### 4.2 საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტის განხილვა პარლამენტის კომიტეტებში

პარლამენტში კანონპროექტის განხილვის პირველი ეტაპია პარლამენტის კომიტეტებში განხილვა [5 (თავი XXIV)].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარლამენტის კომიტეტს თვით აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მაშასადამე მას შეუძლია თავად მოამზადოს (ან სხვას დაუკვეთოს) კანონპროექტი და საკანონმდებლო ინიციატივით წარუდგინოს პარლამენტს. ასეთ შემთხვევაში კომიტეტი თავის სხდომაზე (სხდომებზე) განიხილავს მომზადებულ კანონპროექტს და თუ მოიწონა იგი, განმარტებითი ბარათითურთ განსახილველად გადასცემს პარლამენტის ყველა კომიტეტს, ყველა საპარლამენტო ფრაქციასა და პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს.

იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის ბიურომ განსახილველად და პარლამენტის სხდომისთვის მოსამზადებლად კომიტეტს (ასეთ შემთხვევაში მას წამყვან კომიტეტს უწოდებენ) გადასცა საკანონმდებ-



ლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი, კომიტეტის შემადგენელი წევრების (სსდომებზე) განხილავს მას და თავის მოსაზრებებს ერთად განსახილველად გადასცემს პარლამენტის ყველა კომიტეტს, ყველა საპარლამენტო ფრაქციასა და პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს.

ორივე შემთხვევაში კანონპროექტი საკომიტეტო მოსმენამდე სულ ცოტა ორი კვირით ადრე უნდა გამოქვეყნდეს „პარლამენტის უწყებანში“.

კომიტეტებმა და ფრაქციებმა კანონპროექტის მიღებიდან 10 დღეში წამყვან კომიტეტს წერილობით უნდა აცნობონ განხილვის შედეგები.

პარლამენტის ბიუროსთვის კანონპროექტის წარდგენის წინ, იმ პლენარული სსდომების კვირის დაწყებამდე სულ ცოტა ორი კვირით ადრე, რომლებზეც დაგეგმილია კანონპროექტის განხილვა, წამყვან კომიტეტი მართავს საკომიტეტო მოსმენას. საკომიტეტო მოსმენა საჯაროა. ინფორმაცია საკომიტეტო მოსმენის თაობაზე პარლამენტის პრესცენტრმა სსდომამდე 7 დღით ადრე მაინც უნდა გაავრცელოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

კომიტეტის სსდომაზე კანონპროექტი განსახილველად გამოაქვს კომიტეტის წარმომადგენელს, თუ ის კომიტეტმა მოამზადა, ოპონენტი კი შეიძლება იყოს დაინტერესებული უწყების უფლებამოსილი პირი. თუ კანონპროექტი საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სხვა პირის მიერაა წარდგენილი, კანონპროექტი განსახილველად გამოაქვს მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

საკომიტეტო მოსმენის შედეგად კომიტეტმა უნდა მიიღოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება: კანონპროექტი მიიჩნიოს პარლამენტის პლენარულ სსდომაზე განხილვისთვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად და დაამტკიცოს პარლამენტის სსდომაზე კანონპროექტის (თუ საკანონმდებლო ინიციატივა კომიტეტს ეკუთვნოდა) ან კომიტეტის დასკვნის (თუ საკანონმდებლო ინიციატივა სხვისი იყო) წარმდგენი.

კომიტეტის მიერ კანონპროექტის არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად ცნობა ვერ დააბრკოლებს პარლამენტის პლენარულ სსდომაზე მის განხილვას, თუ იგი საკანონმდებლო ინიციატივითაა წარდგენილი და ამას ისურვებს პროექტის წარმდგენი.

საკომიტეტო მოსმენის გარეშე აკრძალულია პარლამენტის სსდომაზე კანონპროექტის გატანა.

საკომიტეტო მოსმენის შემდეგ, იმ კვირის დაწყებამდე სულ ცო-



ტა ერთი კვირით ადრე, რომელშიც დაგეგმილია კანონპროექტის განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, კანონპროექტს დაეცემა პარლამენტის აპარატს ბიუროს სამშაბათის სხდომისთვის წარსადგენად და დღის წესრიგში შესატანად. კანონპროექტს უნდა ერთვოდეს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა და საორგანიზაციო დეპარტამენტის ინფორმაცია.

### 4.3 საკანონმდებლო წინადადების განხილვა პარლამენტის კომიტეტებში [5 (მუხლი 82)]

პარლამენტის კომიტეტმა ბიუროს მიერ მისთვის გადაცემული საკანონმდებლო წინადადება 20 დღის ვადაში უნდა განიხილოს. თუ ეს ვერ მოხერხდა, პარლამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს საკანონმდებლო წინადადების ავტორთან შეთანხმებით სულ ბევრი 10 დღით გააგრძელოს განხილვის ვადა. განხილვა ისეთივე წესით უნდა გაიმართოს, როგორიც დადგენილია საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტისთვის.

საკომიტეტო მოსმენის შედეგად წამყვანმა კომიტეტმა საკანონმდებლო წინადადება ან მიღებულად უნდა ცნოს, ან უარყოფილად. მისი გადაწყვეტილება სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული.

კომიტეტმა თავისი გადაწყვეტილება უახლოეს სხდომაზე უნდა მოახსენოს პარლამენტის ბიუროს.

საკანონმდებლო წინადადების უარყოფის შემთხვევაში იგი აღარ განიხილება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე (3.3).

თუ საკანონმდებლო წინადადება კანონპროექტის სახითაა წარმოდგენილი და შესაბამისმა კომიტეტმა მისალუბად ცნო იგი, კანონპროექტი ისეთივე წესით და იმავე ვადებში განიხილება, როგორიც დადგენილია საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტისთვის, რის შემდეგაც იგი რეგლამენტით დადგენილი წესით გადაეცემა პარლამენტის ბიუროს.

თუ საკანონმდებლო წინადადებას მოსამზადებელი კანონპროექტის პრინციპების ან კონკრეტული წინადადებების სახე აქვს და შესაბამისმა კომიტეტმა მისალუბად ცნო იგი, კომიტეტი პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებულ ვადაში შეიმუშავებს კანონპროექტს, საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტის განხილვისთვის დადგენილი წესით განიხილავს მას და რეგლამენ-



ტით დადგენილი წესით გადასცემს პარლამენტის ბიუროს ორივე შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატივის გამოდის შესაბამისი კომიტეტი.

საკანონმდებლო წინადადების ავტორს უფლება აქვს საკომიტეტო მოსმენამდე უკან გამოითხოვოს იგი.

#### 4.4 პარლამენტის აპარატის

##### იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა და საორგანიზაციო დეპარტამენტის ინფორმაცია

იურიდიული დეპარტამენტის დასკვნაში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს [5 (მუხლი 81.2)] :

– შეესაბამება თუ არა კანონპროექტი საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;

– არსებობს თუ არა ახალი კანონის ან მისი ცალკეული დებულებების მიღების საჭიროება;

– შეესაბამება თუ არა კანონპროექტი საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს;

– ამომწურავია თუ არა გასაუქმებელი აქტებისა და სავალდებულო ცვლილებათა ნუსხა.

საორგანიზაციო დეპარტამენტის ინფორმაციაში უნდა აღინიშნოს [5 (მუხლი 81.3)], შეესაბამებოდა თუ არა კანონპროექტის მომზადებისა და განხილვის მსვლელობა პარლამენტის რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ საპროცედურო მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საორგანიზაციო დეპარტამენტმა დარღვევის ფაქტი უნდა აცნობოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს, რომელმაც უნდა მოამზადოს სათანადო დასკვნა.

შზოლოდ პარლამენტის ბიუროს უფლებამოსილი განსაკუთრებულ შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება, რომ რეგლამენტით დადგენილი პროცედურის დაუცველად შეიტანოს საკითხი პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში [5 (მუხლი 81.4)].





#### 4.5 ალტერნატიული კანონპროექტი [5 (მუხლი 86)]

ქართული  
საპარლამენტო  
საინფორმაციო  
სისტემა

ალტერნატიული კანონპროექტი პარლამენტის ბიუროს წარდგინოს ძირითადი კანონპროექტის საკომიტეტო მოსმენამდე არა უგვიანეს 10 დღისა.

ალტერნატიული კანონპროექტი ან კანონპროექტის ალტერნატიული ნაწილი არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ძირითადი კანონპროექტისაგან.

საკომიტეტო მოსმენისას ალტერნატიული კანონპროექტი ძირითად კანონპროექტთან ერთად განიხილება.

ალტერნატიული კანონპროექტის წარმდგენის თანხმობით კომიტეტს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენისთვის შეფერებული ვარიანტის წარდგენის თაობაზე. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, პარლამენტის სხდომას პირველი მოსმენისთვის წარედგინება კანონპროექტის ორივე ვარიანტი. პირველი მოსმენის შემდეგ პარლამენტმა უნდა მიიღოს დადგენილება ერთი მათგანის უარყოფის ან საფუძვლად მიღების შესახებ.<sup>30</sup>

#### 4.6 კანონპროექტის განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე [5 (თავი XXV)]

პარლამენტი პლენარულ სხდომაზე კანონპროექტს სამი მოსმენით განიხილავს. კანონპროექტის განხილვა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ საკომიტეტო მოსმენის შემდეგ. განსაკუთრებულ შემთხვევაში პარლამენტის ბიუროს უფლება აქვს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეიტანოს კანონპროექტის განხილვა მაშინაც კი, როდესაც დარღვეულია რეგლამენტით დადგენილი პროცედურა (ოღონდ ეს მართლაც გადაუდებელი აუცილებლობით უნდა იყოს

30 ამკარა უზუსტობაა! ალტერნატიულ კანონპროექტთა რაოდენობა ერთზე მეტი შეიძლება იყოს და ეს გათვალისწინებულია 88-ე მუხლში. ამიტომ 88-ე მუხლის მე-3 პუნქტი ასე უნდა შეიცვალოს: „კომიტეტი, ალტერნატიულ კანონპროექტთა ინიციატორთა თანხმობით, გადაწყვეტილებას იღებს პირველი მოსმენისთვის შეფერებული ვარიანტის წარდგენის თაობაზე. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, პარლამენტის სხდომას პირველი მოსმენისთვის წარედგინება კანონპროექტის ყველა ვარიანტი. პირველი მოსმენის შემდეგ პარლამენტმა უნდა მიიღოს დადგენილება ერთი მათგანის საფუძვლად მიღების ან ყველას უარყოფის შესახებ“.



გამოწვეული, ვინაიდან დადგენილი პროცედურის დარღვევამ, შე-  
საძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს კანონის ხელშეწყობაზე. 11

ნიშნით, რომ დღის წესრიგი პარლამენტმა უნდა დაემატებინა. 11 11 11 11

რეგლამენტით დადგენილია კანონპროექტის განხილვის ზოგადი წესი:

კანონპროექტის მომხსენებელმა უნდა აღნიშნოს, თუ რომელი და ვისი შენიშვნა (წინადადება, შესწორება) იქნა გათვალისწინებული და რომელი – არა და რატომ;

კამათში მონაწილეობის უფლება აქვს პარლამენტის კომიტეტს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტართა არანაკლებ ათკაციანი ჯგუფს (თავიანთი თითო წარმომადგენლის სახით), რომლებმაც უნდა გამოსატონ თავიანთი დამოკიდებულება განსახილველი კანონპროექტის მიმართ, აგრეთვე პარლამენტის წევრს, თუ თავის შენიშვნებსა და წინადადებებს საპარლამენტო მოსმენამდე არა უგვიანეს 24 საათისა წარუდგენს შესაბამის კომიტეტსა და სხდომის სამდივნოს.

#### კანონპროექტის პირველი მოსმენა:

პირველი მოსმენისას განიხილება შოლოდ კანონპროექტის ზოგადი პრინციპები და ძირითადი დებულებანი. კანონპროექტის წარდგენის შემდეგ (მომხსენებელია საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი) პარლამენტის კომიტეტის, საპარლამენტო ფრაქციის, პარლამენტართა არანაკლებ ათკაციანი ჯგუფის თითო წარმომადგენელი, აგრეთვე პარლამენტის ის წევრები, რომლებმაც წინასწარ წერილობით წარადგინეს თავისი შენიშვნები, სხდომას მოახსენებენ თავის დამოკიდებულებას კანონპროექტის პრინციპებისა და ძირითად დებულებათა მიმართ. კამათის შემდეგ, თუ ამას მოითხოვენ, ცალ-ცალკე უკრეუბა კენჭი ყველა ალტერნატიულ პრინციპსა და დებულებას.

პირველი მოსმენის შემდეგ პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება:

- კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებისა (ან ალტერნატიულ კანონპროექტთან საფუძვლად ერთ-ერთის მიღებისა) და მეორე მოსმენის თარიღის დანიშვნის შესახებ, ან
- ყველა კანონპროექტის უარყოფის შესახებ, ან
- გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინებით ახალი კანონპროექტის შემუშავების შესახებ.

პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი პარლამენტის მიერ გაზიარებულ ყველა შენიშვნასთან ერთად გადასამუშავებლად



გადაეცემა შესაბამის კომიტეტს (კომიტეტებს).

პარლამენტის იმავე სესიაზე პირველი მოსმენისას უარყოფითი კანონპროექტის განმეორებით განხილვა შეიძლება მხოლოდ შემთხვევაში, თუ მასში ძირეული ცვლილებები იქნა შეტანილი (ამის თაობაზე დასკვნა პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა უნდა წარადგინოს).

#### კანონპროექტის მეორე მოსმენა:

პირველი მოსმენისას პარლამენტის მიერ გაზიარებული შენიშვნების გათვალისწინებით შესაბამისი კომიტეტის (კომიტეტების) მიერ გადამუშავებული და განხილული კანონპროექტი პარლამენტის სსდომას წარედგინება მეორე მოსმენისთვის.

მეორე მოსმენისას კანონპროექტი განიხილება კარების, თავების, მუხლების ან მუხლთა ნაწილების მიხედვით და თითოეულ მათგანს კენჭი ცალ-ცალკე უვრება.

კამათში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ პარლამენტის იმ წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტართა არანაკლებ ათკაციან ჯგუფსა და დაინტერესებულ კომიტეტს (თავიანთი თითო წარმომადგენლის სახით), რომლის მიერ პირველი მოსმენისას გამოთქმული შენიშვნებიც არ გაითვალისწინა შესაბამისმა კომიტეტმა. „გაუთვალისწინებელი წინადადება ალტერნატიულის სახით შეიძლება დაყენებულ იქნეს კენჭისყრაზე“.<sup>31</sup>

„თუ შემოთავაზებულ კანონპროექტში გათვალისწინებულია ნორმა, რომელიც მოქმედ კანონმდებლობაში“<sup>32</sup> ცვლილებას ან და-

31 ასეა წარმოდგენილი ეს საკითხი პარლამენტის რეგლამენტში [5 (მუხლი 90.2)] და გაუგებარია, რა შემთხვევაში უვრება კენჭი წინადადებას. სახელდობრ, მოითხოვინს შემთხვევაში საუბრებულთა კენჭისყრაზე წინადადების დასმა, თუ პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს, დაისვას თუ არა წინადადება კენჭისყრაზე? კენჭისყრაზე დასმის მოთხოვნის უფლება მხოლოდ ალტერნატიული წინადადების წარმდგენს აქვს, თუ სხვადა? ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ალტერნატიულ წინადადებას მისი წარმდგენის მოთხოვნით საუბრებულს წესით უვრება კენჭი.

32 ამ ნორმაში „კანონმდებლობაზე“ საუბარი ამკარა შეცდომაა! პარლამენტი უფლემამოსილია მიიღოს ახალი კანონი, ცვლილება დაან დამატება შეიტანოს მოქმედ კანონში, მაგრამ მას უფლება არა აქვს შეცვალოს სხვის მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტი. თვით ციტირებული ნორმიდანაც ჩანს, რომ იგი მხოლოდ კანონს ქება. ამიტომ აუცილებელია ამ ნორმის შეცვლა და იგი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „თუ კანონპროექტი შეიცავს ნორმას, რომლის მიღებაც მოითხოვს რომელიმე კანონში ცვლილების დაან დამატების შეტანას, ამ ნორმას ცალკე უვრება კენჭი და იგი ხმათა იმავე რაოდენობით და წესით მიიღება, როგორც თავის შესაბამისი კანონი“.



მატებას მოითხოვს, მაშინ მას ცალკე ეყრება კენჭი და მიიღება სმა-  
თა იმავე რაოდენობით და წესით, როგორც ანალოგიური კანონ-  
ნი" [5 (მუხლი 90.4)].

მეორე მოსმენის შემდეგ პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვე-  
ტილება:

- კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღების, კომიტეტისთვის  
საბოლოო რედაქტირებისათვის გადაცემისა და შესაძენი მოსმენის  
თარიღის დანიშვნის შესახებ, ან

- დამატებით დასამუშავებლად კომიტეტისთვის კანონპროექ-  
ტის დაბრუნებისა და მეორე მოსმენის ახალი თარიღის დანიშვნის  
შესახებ.


იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის ცალკეული მუხლების თა-  
ობაზე პარლამენტი ვერ შეთანხმდა (ანუ შეიქმნა ამ მუხლების „ჩა-  
ვარდნის“ საშიშროება), დასაშვებია კანონპროექტის მეორე მოსმე-  
ნით მიღება ამ მუხლების გარეშე. ასეთ შემთხვევაში იქმნება შემ-  
თანხმებული კომისია, რომელიც პარლამენტს შესაძენი მოსმენისას  
წარუდგენს შეთანხმებულ წინადადებას (შეთანხმებულ წინადადე-  
ბას კენჭი ეყრება მეორე მოსმენისთვის დადგენილი წესით).

#### კანონპროექტის მესამე მოსმენა:

მესამე მოსმენისთვის პარლამენტის წევრებს ურიგდებთ მეორე  
მოსმენით მიღებული და რედაქტირებული კანონპროექტი. მესამე  
მოსმენისას შეიძლება მხოლოდ რედაქციული ხასიათის ცვლილება-  
თა შეტანა (არ უნდა შეიცვალოს არც ერთი მუხლის შინაარსი).

მესამე მოსმენის შემდეგ კენჭი ეყრება კანონპროექტის საბოლოო-  
ოდ რედაქტირებულ სრულ ტექსტს.

მეორე მოსმენისას დამატებითი განხილვისთვის გადადებულ  
მუხლებს კენჭი ცალკე ეყრება. კანონპროექტის მიღება ამ მუხლე-  
ბის გარეშეც შეიძლება, თუ ისინი არ შეიცავენ კანონპროექტის  
პრინციპულ დებულებებს. ასეთ შემთხვევაში, გადადებულ საკით-  
ხთა შემდგომი გადაწყვეტის მიზნით, ისინი გარდამავალ დებულე-  
ბებში აისახება.



#### 4.7 კანონპროექტის განხილვა გამარტივებული ან დაჩქარებული წესით

პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულია გამარტივებული ან დაჩქარებული წესით კანონპროექტის განხილვისა და მიღების შესაძლებლობა [5 (მუხლი 92)]:

– გამარტივებული წესით კანონპროექტი განიხილება და მიიღება ერთი მოსმენით;

– დაჩქარებული წესით კანონპროექტი განიხილება და მიიღება სამი მოსმენით პარლამენტის პლენარული სხდომების ერთი კვირის განმავლობაში;

– აკრძალულია გამარტივებული ან დაჩქარებული წესით საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის, ხოლო გამარტივებული წესით ორგანული კანონის პროექტის განხილვა და მიღება.

კანონპროექტის წარმდგენის მოტივირებული წინადადებისა და შესაბამისი კომიტეტის დასკვნის საფუძველზე პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება კანონპროექტის გამარტივებული ან დაჩქარებული წესით განხილვისა და მიღების შესახებ, თუ:

ა) კანონპროექტი განსაზღვრავს მხოლოდ ცვლილებას ან დამატებას მოქმედ კანონში;

ბ) არსებობს ამის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება”.

#### 4.8 ნორმატიული ხასიათის დადგენილების პროექტის განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე

ნორმატიული ხასიათის დადგენილების პროექტს პარლამენტი ორი მოსმენით განიხილავს. პირველი მოსმენით დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება:

– წარდგენილი პროექტის საფუძველად მიღებისა და მეორე მოსმენით განხილვის თარიღის დანიშვნის შესახებ, ან

– წარდგენილი პროექტის უარყოფის შესახებ, ან



– სარედაქციო კომისიის შექმნისა და მეორე მოსმენით განხილვის თარიღის დანიშვნის შესახებ.

სარედაქციო კომისიის შექმნის შემთხვევაში პროექტთან დაკავშირებული ყველა წინადადება მას უნდა წარედგინოს. თუ კომისიამ უარყო რომელიმე წინადადება, მისი წარმდგენის მოთხოვნით იგი მეორე მოსმენისას პარლამენტმა დადგენილების პროექტთან ერთად უნდა განიხილოს. უშუალოდ პლენარულ სხდომაზე ახალი წინადადებების დასმა და განხილვა მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შეიძლება.

მეორე მოსმენით დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას:

- წარდგენილი პროექტის მთლიანად მიღების შესახებ, ან
- სათანადო ორგანოსათვის ახალი პროექტის შემუშავების დავალების შესახებ.

#### 4.9 ცვლილების და/ან დამატების შეტანა კანონში.<sup>33</sup> კანონის გაუქმება

ნორმატიულ აქტში ცვლილების და/ან დამატების შეტანის ზოგადი წესი განსაზღვრულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით [2 (მუხლი 36.1)]:

– ნორმატიულ აქტში ცვლილების და/ან დამატების შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით (მაგალითად, კონსტიტუციაში ცვლილება და/ან დამატება შეიტანება კონსტიტუციური კანონით, ორგანულ კანონში – ორგანული კანონით, კანონში – კანონით, მინისტრის ბრძანებაში – იმავე მინისტრის ბრძანებით და ა.შ.);

– ცვლილება და/ან დამატება იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც იგი იქნა შეტანილი;

– ნორმატიული აქტის ცვლილების და/ან დამატების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმავე

<sup>33</sup> ისევე როგორც კანონის ნორმის შეცვლა, კანონში დამატების შეტანაც კანონის ცვლილებაა. ამიტომ, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ ნაცვლად შექვეული „ცვლილებისა და დამატების შეტანისა“ მომავალში „ცვლილების შეტანის“ გამოიყენებო. მაგრამ სანამ კანონმდებელი ამ აზრს გაიზიარებს, ჩვენც არსებული ფორმით ვისარგებლებთ.



წესით, როგორც თვით ამ ნორმატიული აქტისა.

ერეკლევილი  
გაბრიელაძე

ცხადია, კანონშიც ამავე წესით უნდა იქნეს შეტანილი ცვლილებები და/ან დამატება. მაშასადამე, კანონში ცვლილების და/ან დამატების შეტანა ხდება ზუსტად ისევე, როგორც ახალი კანონის მიღება.

ასეთივე შინაარსი აქვს პარლამენტის რეგლამენტის 96-ე მუხლსაც. და რადგან რეგლამენტის XXIII თავში განსაზღვრულია კანონპროექტის წარდგენის უფლების მქონე ყველა პირი, არანაირი საჭიროება არ იყო კანონში ცვლილების შეტანის წარდგენის უფლების მქონე პირთა განსაზღვრისა. მით უფრო გაუგებარია რეგლამენტის 95-ე მუხლის დანიშნულება. ამ მუხლის თანახმად „მოქმედ კანონებში ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანის, აგრეთვე მოქმედი კანონების გაუქმების შესახებ“ საკითხის დასმის უფლება მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტებს აქვთ, რაც ეწინააღმდეგება რეგლამენტის 82-ე მუხლს.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ზემოთქმულიდან? „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად [2 (მუხლი 36)] კანონისა და კანონში ცვლილების და/ან დამატების შეტანის პროექტების მომზადება, წარდგენა, განხილვა და მიღება ზუსტად ერთნაირად უნდა ხდებოდეს. რეგლამენტის 82-ე და 95-ე მუხლების პირველი პუნქტების წინააღმდეგობრივი შინაარსის გამო კი კითხვის ქვეშ დგება საკანონმდებლო წინადადების არსებობის საკითხი: საერთოდ არსებობს კი „საკანონმდებლო წინადადება“?

იმავე 95-ე მუხლში ჩამოთვლილია ის შემთხვევები, როდესაც შეიძლება დაისვას კანონში ცვლილების (დამატების) შეტანის ან კანონის გაუქმების საკითხი. მაგრამ ეს შემთხვევები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოდ კანონის მიღების მიზეზი (კანონის გაუქმებაც კანონის მიღებაა!). ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „სხდომის თავმჯდომარე კენჭისყრაზე სვამს საკითხს კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ან ცალკეული კანონების გაუქმების მიზანშეწონილობის თაობაზე. პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს დადგენილებით“. ცხადია, ეს დებულება კანონის მიღებას არ გულისხმობს, ვინაიდან საუბარია დადგენილების მიღებაზე. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ნაგულისხმევია კენჭისყრაზე დაისვას შესაბამისი



კანონის მიღების კენჭისყრაზე დასმა-არდასმის საკითხი ან კანონპროექტის განსახილველად მიღება-არმიღების საკითხი ასეთ პროცედურას კი კანონპროექტის წარდგენის და მიღების საერთო წესი არ ითვალისწინებს და კვლავ იბადება კითხვა: რომელი პროცედურაა კანონიერი, 95-ე მუხლში განხილული, თუ XXIII – XXV თავებში განხილული?

სამოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგლამენტის 95-ე მუხლი ეწინააღმდეგება დადგენილ საერთო წესს და აღწერილ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად საჭიროა მისი გაუქმება.

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად [5 (მუხლი 96.3)] „კანონი ან მისი ნაწილი უქმდება კანონით, რომელსაც პარლამენტი იღებს ხმების იმავე რაოდენობით, რომლითაც მიღებული იყო ეს კანონი“.<sup>34</sup>

აქ განხილულისგან განსხვავებული წესია დადგენილი საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისთვის.

#### 4.10 საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა [1 (მუხლი 102); 5 (თავი XVII)]

კონსტიტუციის გადასინჯვა ანუ მასში ცვლილებისა და/ან დამატების შეტანა ხდება კონსტიტუციური კანონით.

კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივით კანონპროექტის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს, სულ ცოტა 200 ათას ამომრჩეველს.

კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელმაც წარდგენიდან 15 დღის ვადაში ოფიციალურ ორგანოში უნდა გამოაქვეყნოს იგი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

პარლამენტს კანონპროექტის განხილვის დაწყების უფლება

34 ასეთი ნორმის არსებობა იმას გამოიწვევს, რომ ყოველი კანონის (მისი ნაწილის) გაუქმებისთვის ზუსტად იმავე იქნება საეკლესიო, რამდენითაც თავის დროზე იქნა მიღებული ეს კონსტიტუციური კანონი, და არა იმდენი, რამდენიც აუცილებელია ამ სახის კანონის მისაღებად. ჩვენი აზრით, ჩანადიჭიჩი სწორედ ასეთი იყო, მაგრამ აზრი არასწორად იქნა ჩამოყალიბებული. ამიტომ მიზანშეწონილად მოგვაჩნია, რომ ეს პუნქტი ასე ჩამოყალიბდეს: „კანონის ან მისი ნაწილის გაუქმება ხდება კანონით, რომელსაც პარლამენტი იღებს ხმების იმავე რაოდენობით, რომელიც დადგენილია ამ სახის კანონის მისაღებად“.





აქვს მხოლოდ მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ დაწყებამდე პარლამენტის პლენარულ სხდომას უნდა ყოველთაო-სახალსო განხილვის შედეგი.

თუ კონსტიტუციის გადასინჯვის დროს გამოცხადდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, კონსტიტუციის გადასინჯვა უნდა შეჩერდეს ამ მდგომარეობის გაუქმებამდე.

#### 4.11 საგანგებო და საომარ მდგომარეობასთან, ომსა და ზავთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვა. სამხედრო ძალთა რაოდენობის დამტკიცების საკითხის განხილვა

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის თანახმად „პარლამენტის გადაწყვეტილება ომისა და ზავის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა და კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით“, რაც ისე უნდა გაეგოს, რომ ამ საკითხთა გადაწყვეტა საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებაა (ცხადია, გარდა იმ კონკრეტული საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტის უფლებამოსილება კონსტიტუციით საქართველოს პრეზიდენტს აქვს მინიჭებული).

საბანგებო ან საომარი მდგომარეობა [1 (მუხლები: 46, 73.1.თ, 100); 15; 16]

ზემოთ აღვნიშნეთ (3.5), რომ საგანგებო ან საომარ მდგომარეობას თავისი ბრძანებულებით აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი და გამოცხადებიდან არა უგვიანეს 48 საათისა მას პარლამენტს წარუდგენს დასამტკიცებლად. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს გამოცემული დეკრეტიც, თუ იგი ეხება კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს, 48 საათში უნდა წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

ასეთ ბრძანებულებასა და დეკრეტს პარლამენტი განიხილავს და კენჭს უყრის დაუყოვნებლივ, წინასწარი საკომიტეტო განხილვის გარეშე. პარლამენტი უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს მოსთხოვოს საგანგებო თუ საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და კონსტიტუციის 46-ე მუხლით ნებადართული ადამიანის უფ-



ლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის აუცილებლობას დასაბუთებლად [5 (მუხლი 173)].

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს სამხედრო ძალთა გამოყენების შესაძლებლობას საგანგებო მდგომარეობის დროს ან საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად. მაგრამ მათი გამოყენება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით არის ნებადართული [1 (მუხლი 100.1)].

### ოზი და ზავი

ომისა და ზავის საკითხების მომწესრიგებელი ნორმატიული ბაზა ძალიან მწირია. ამ საკითხებს ეხება საქართველოს კონსტიტუცია (მუხლები: 62, 73.1.ზ და 100.2), საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ“ (მუხლები: 3, 6 და 8) და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (მუხლი 176).

კონსტიტუციის თანახმად (62-ე მუხლი ზემოთ არის მოყვანილი)

„საქართველოს პრეზიდენტი: ...საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად“ [1 (მუხლი 73.1.ზ)];

„სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“ ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენების და გადაადგილების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ“ [1 (მუხლი 100.2)].

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში არაფერია ნათქვამი ომის გამოცხადებასა და ზავის დადებაზე. იგი მხოლოდ კონსტიტუციის ზემომოყვანილ ნორმას იმეორებს და საომარი მდგომარეობისას პრეზიდენტის ნორმატიული აქტების მომზადებისა და გამოცემის წესს ადგენს.

პარლამენტის რეგლამენტის 175-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „საქართველოს პრეზიდენტი დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს გადაწყვეტილებას სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძა-



ლის შემოყვანის, გამოყენების და გადაადგილების შესახებ საქართველოს თველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება ძალაში შედის, თუ პარლამენტი ეთანხმება მას.<sup>36</sup>

პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ომისა და ზავის საკითხებზე პარლამენტი განიხილავს გადაწყვეტილების მისთვის წარდგენიდან ორ დღეში ვადაში და იმავე სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას. ამავე 176-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია ომის გამოცხადება და რომ ეს გადაწყვეტილება მან პარლამენტს უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დებულება ვერ ჩაითვლება იურიდიული ძალის მქონედ, ვინაიდან სამართლის ზოგადი თეორიის თანახმად ხელი-სუფლებას მხოლოდ ის უფლებები აქვს, რა უფლებებსაც კანონი ანიჭებს, ომის გამოცხადების უფლებამოსილება კი არ შედის პრეზიდენტისთვის არც კონსტიტუციით და არც რომელიმე კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ჩამონათვალში. უფრო მეტიც, კონსტიტუციაში საერთოდ არ არის გამოყენებული ომის გამოცხადების ცნება. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ომის გამოცხადება აგრესიას ნიშნავს, აგრესიული ომის უფლებას კი საერთაშორისო სამართალი არ ცნობს. სწორედ ამიტომ, ნაცვლად „ომის გამოცხადებისა“ გამოიყენება „საომარი მდგომარეობის გამოცხადება“, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს თავს დაესხნენ და იგი იძულებულია თავი დაიცვას.

36 რეგლამენტის ეს დებულება არასწორად არის ფორმულირებული და ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, კონსტიტუციის მე-100 მუხლის უხერხული ფორმულირებაა: „გადაწყვეტილება... წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ“, რამაც გამოიწვია კითხვა: პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება, თუ თანხმობა უნდა მისცეს მას? ვფიქრობთ, რომ პასუხი პირდაპირ გამომდინარეობს შემდეგი ლოგიკური ჯაჭვიდან: 1. საბოლოო გადაწყვეტილება, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ნორმატიული აქტი უნდა იყოს; 2. კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას და მას პარლამენტს წარუდგენს დასამტკიცებლად; 3. ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ. მაშინადაც, პარლამენტისთვის წარდგენილი გადაწყვეტილება უკვე პრეზიდენტის ბრძანებულება უნდა იყოს და არა პარლამენტისგან აღნიშნული შინაარსის ბრძანებულების გამოცხადებაზე თანხმობის თხოვნა. ამიტომ რეგლამენტის 175-ე მუხლის მე-2 პუნქტი ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს საზღვრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების შესახებ დაუფრთხილე წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად. საქართველოს პრეზიდენტის ეს ბრძანებულება ძალაში შედის პარლამენტის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ“.



სამხედრო ძალთა რაოდენობის დამტკიცება **ქ რ ქ ი ნ ე უ რ ი ი**  
 [2 (მუხლი 10.6); 5 (მუხლი 177)] **ბ ი ბ რ ა მ ი რ ი თ ე ს ე**

სამხედრო ძალთა რაოდენობას საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით კანონით ამტკიცებს პარლამენტი. სათანადო წარდგინებას განიხილავს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი, რომელმაც არა უგვიანეს 10 დღისა პარლამენტს უნდა წარუდგინოს დასაბუთებული დასკვნა. თუ პარლამენტმა არ დაამტკიცა სამხედრო ძალთა რაოდენობა, შეიძლება შეიქმნას შემთანხმებული კომისია, რომელმაც 10 დღეში დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს პარლამენტს შეთანხმებული გადაწყვეტილება.

## 5. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა და მიღება

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით [1 (მუხლები: 92, 93, 97.3)], „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონითა [9] და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით [5 (თავი XI)]. ძირითადი პირობები განსაზღვრულია კონსტიტუციით:

„საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.

შხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი პარლამენტს წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი.

პრეზიდენტი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე.<sup>37</sup> ბიუჯეტის პროექტთან ერთად პრეზიდენტი წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს პრეზიდენტი პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

37 საქართველოში საბიუჯეტო (საფინანსო) წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს [9 (მუხლი 4.6)].



პრეზიდენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა. პრეზიდენტს მხოლოდ შემთხვევითობით შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მოუთხოვს მისი დაფარვის წყაროს.

თუ პარლამენტმა ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მოახერხა ბიუჯეტის მიღება, სახელმწიფოს მიერ ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი ხარჯები დაიფარება წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით.

წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, კონტროლის პალატა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ – თავისი საქმიანობის ანგარიშს.

დეტალები კი განსაზღვრულია ზემოაღნიშნული კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვისა და მიღების სქემა ასეთია:

– საქართველოს პრეზიდენტი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით მომზადებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებს შესათანხმებლად წარუდგენს პარლამენტს მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ ივნისამდე;

– პარლამენტის თითოეული კომიტეტი განიხილავს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებს და ამზადებს დასკვნას;

– პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ორგანიზაციას უწევს განხილვისა და შეთანხმების პროცესს;

– კომიტეტებში განხილვის შემდეგ ერთობლივი დასკვნა შენიშვნებსა და წინადადებებთან ერთად მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ ივლისამდე ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს;

– საქართველოს პრეზიდენტი მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ ოქტომბრამდე პარლამენტს წარუდგენს კანონპროექტს „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;

– პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება კომიტეტებში განხილვით. როგორც წესი, კომიტეტები პროექტს თავ-თავისი სფეროების მიხედვით განიხილავენ. განხილვის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ამზადებს ერთიან დასკვნას ბიუჯეტის პროექტის შესახებ, რაც არ გამოორიცხავს კომიტეტების მიერ განსხვავებულ შეხედულებათა გამოხატვას;



- პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის განხილვის დაწყებამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე პარლამენტის წევრებს გადაეცემა ბიუჯეტის პროექტი, თანდართული მასალები, კომიტეტების დასკვნები და მონაცემები მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

- პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დაწყებისთანავე ქმნის შემთანხმებულ კომისიას, რომელსაც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი გადასცემს მიღებულ და საკუთარ შენიშვნებს;

- პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხსენებას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი ან მისი დავალებით - მთავრობის წევრი;

- საქართველოს პრეზიდენტის მოხსენებასთან ერთად პარლამენტი ი მენს საქართველოს კონტროლის პალატისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს;

- საჭიროების შემთხვევაში პარლამენტის კომიტეტები, საპარლამენტო ფრაქციები, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ათკაციანი ჯგუფები და პარლამენტის წევრები შემთანხმებულ კომისიას ერთკვირიან ვადაში წარუდგენენ წინადადებებს ბიუჯეტის პროექტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე;

- შემთანხმებელი კომისია, მიღებული წინადადებების საფუძველზე, შექმნიდან ორი კვირის ვადაში შეიმუშავებს პარლამენტის გადაწყვეტილების პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებათა შეტანის შესახებ და მას პარლამენტის სხდომას წარუდგენს;

- პარლამენტი პუნქტობრივად განიხილავს გადაწყვეტილების პროექტს, პუნქტობრივადვე კენჭს უყრის და მიღებულ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ გადასცემს საქართველოს პრეზიდენტს;

- გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს უბრუნებს გადაწყვეტილებას, რომლის თითოეული პუნქტის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს, **ეთანხმება თუ უარყოფს** მას პრეზიდენტი;

- საქართველოს პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში ბიუჯეტის პროექტში შეიტანება სათანადო ცვლილება, რის შემდეგაც პარლამენტი მას განიხილავს კანონპროექტის განხილვისთვის დადგენილი საერთო წესით;

- მომავალი წლის 1 იანვრამდე პარლამენტი იღებს კანონს

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

თუ პარლამენტმა კანონი არ მიიღო, საქართველოს პარლამენტი ორი კვირის ვადაში წარუდგენს პარლამენტს კანონპროექტის ახალ ვარიანტს.

თუ 1 იანვრამდე ვერ მოხერხდა ბიუჯეტის კანონის მიღება, „...ყველა დონის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ<sup>38</sup> ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი ხარჯები გასწიონ თვეში წინა წლის ბიუჯეტის ფაქტიური<sup>39</sup> მოცულობის ერთი მეთორმეტედის ოდენობით მიღებული შემოსავლის ფარგლებში“ [9 (მუხლი 15.6)].

თუ საბიუჯეტო წლის 1 ივლისამდე ვერ მოხერხდა მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღება, პარლამენტი იღებს დადგენილებას, რეზოლუციას ან რეკომენდაციას [5 (მუხლი 166.6)].

**ბიუჯეტის ხარჯების სპეცსტრის [9 (მუხლი 12.3)]**

„თუ ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხდება ბიუჯეტის დამტკიცებული დეფიციტის ზღვრული სიდიდის გადაჭარბება, ან მნიშვნელოვნად მცირდება ბიუჯეტის შემოსავლის მოცულობა, გამოიყენება ბიუჯეტის ხარჯების სეკვესტრის მექანიზმი“.

გადაწყვეტილებას, რომ განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სეკვესტრი სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული წლიური ხარჯის სრული მოცულობის 10 პროცენტამდე ოდენობით, იღებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

იმ შემთხვევაში, თუ სეკვესტრი სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული წლიური ხარჯის სრული მოცულობის 10 პროცენტზე მეტს ითვალისწინებს, აუცილებელია სათანადო ცვლილების შეტანა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში. ეს ცვლილება იმავე წესით მზადდება და მიიღება, როგორც თვით ბიუჯეტის კანონი.

სეკვესტრი არ შეიძლება შეეხოს ბიუჯეტის ხარჯების ე.წ. დაცულ მუხლებს.

38 ასეთი ფორმულირება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას [1 (მუხლი 93.4)], რომლის თანახმადაც „ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება“ ვალდებულია და არა უფლება. ამიტომ ფორმულირება ასე უნდა შეიცვალოს: „...ყველა დონის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ადრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელ ხარჯებს გასწივენ თვეში...“.

39 უნდა ეწეროს „ფაქტობრივი“.



### საგანგებო ბიუჯეტი [9 (მუხლი 17)]

საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია საქართველოში ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შექმნის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით დაამტკიცოს საგანგებო ბიუჯეტი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი დაფინანსებისათვის.<sup>40</sup>

საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით დააწესოს გადასახადები, მოსაკრებლები და სხვა სავალდებულო გადასახდელები საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად.

### სამართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების

#### მიერ სახ. ლმწიფო ბიუჯეტის

#### პროექტის მომზადება

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატორული გეგმის პროექტის მაჩვენებლების, ექსპერტული შეფასებებისა და საერთაშორისო საფინანსო ვალდებულებათა გათვალისწინებით, ყოველწლიურად ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო [9 (მუხლები: 4, 15)].

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება იწყება ახალი საბიუჯეტო წლის დადგომამდე 10 თვით ადრე. პროექტის შედგენა ევალებათ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, სამუშაოს ორგანიზება კი – ფინანსთა სამინისტროს [9 (მუხლები: 14.1, 25.1)].

### ბიუჯეტის პროექტის მომზადების პირველი ეტაპი

#### [9 (მუხლი 25.2, 3)]

ამ ეტაპზე ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროები, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი და ეროვნული ბანკი ურთიერთკოორდინირებულად ამზადებენ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზს, ფინანსური რესურსების ნაერთ ბალანსსა და საბიუჯეტო-საგადასახა-

40 მიზნობრივი დაფინანსება შესაძლოა აუცილებელი აღმოჩნდეს საომარი მდგომარეობის დროსაც და სამართლებრივი ვაკუუმის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ ამ მუხლში სიტყვა „საგანგებო“ შეიცვალოს სიტყვებით: „საგანგებო ან საომარი“.





დო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ავტონომიური რეესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, სამინისტროები, უწყებები, ცალკეული ორგანიზაციები და საწარმოები ვალდებული არიან მათ წარუდგინონ სათანადო მონაცემები და გაანგარიშებები. ყოველივე ამის საფუძველზე შემუშავდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები.

ახალი საბიუჯეტო წლის დადგომამდე შეიდ-ნახვევარი თვით ადრე საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, ფინანსური რესურსების ნაერთი ბალანსი, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები.

მიმდინარე საბიუჯეტო წლის 1 ივნისამდე საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს კომიტეტებთან შესათანხმებლად წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებს.

### ბიუჯეტის პროექტის მომზადების მეორე ეტაპი

ამ ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებს განიხილავენ და დასკვნებს ამზადებენ პარლამენტის კომიტეტები. ნაერთი დასკვნა საქართველოს პრეზიდენტს 1 ივლისამდე უნდა გადაეცეს. ეს საკითხი შემოთ უკვე განვიხილო.

### ბიუჯეტის პროექტის მომზადების მესამე ეტაპი

ფინანსთა სამინისტრო პარლამენტის კომიტეტებთან შეთანხმებული ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების გათვალისწინებით ამზადებს და საქართველოს პრეზიდენტს 15 სექტემბრამდე განსახილველად წარუდგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს. საქართველოს პრეზიდენტმა კანონპროექტი პარლამენტს 1 ოქტომბრამდე უნდა წარუდგინოს.



## 6. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადება და მისი მოქმედების შეწყვეტა ან შეჩერება


საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და მოქმედების შეწყვეტის წესები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით [1], „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონით [3], „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით [2], საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა [7, 8] და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით [5].

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, მიუხედავად მისი სახისა და სახელწოდებისა (ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ოქმი და სხვ.), იდება საქართველოს სახელით (მას სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება ეწოდება), საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით (მას მთავრობათაშორისი ხელშეკრულება ეწოდება) ან საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების სახელით (მას უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება ეწოდება).

საქართველოს ტერიტორიული ერთეულების უფლებამოსილება საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის (თუმცა, ფაქტობრივად, ასეთ ხელშეკრულებათა დადება მაინც ხდება). კანონის თანახმად [3 (მუხლი 5)] „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების კომპეტენცია საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებით განისაზღვრება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის დადგენის შემდეგ“.

### 6.1 საერთაშორისო ხელშეკრულების დადება

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადება მოიცავს ყველა მოქმედებას, რომლებიც საქართველოს სახელით ხორციელდება ხელშეკრულების დასადგებად, სახელდობრ, ხელშეკრულების მომზადებას, საერთაშორისო მოლაპარაკებას, მის ხელმოწერასა და ძალაში შესვლას [3 (მუხლი 3)].



საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადებას უფლებამოსილება აქვთ საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს [3 (მუხლი 12)]. საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ბრძანებულებით გადასცეს სახელმწიფოთაშორისი ან მთავრობათაშორისი ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრს – ბრძანებით გადასცეს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება“ [3 (მუხლი 13)].

საერთაშორისო ხელშეკრულების დადების პროცესი რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

- საქართველოს პრეზიდენტისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების რეკომენდაციის მიცემა;
- საერთაშორისო ხელშეკრულების დადების ან საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილეობის წინადადების მომზადება და წარდგენა;
- მოლაპარაკების გამართვისა და საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის გადაწყვეტილების მიღება;
- საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება (ან მასთან შეერთება);
- პარლამენტისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების წარდგენა, სარატიფიკაციო ხელშეკრულების განხილვა, ხელშეკრულების რატიფიკაცია (ან მასთან შეერთება);
- საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების შეტყობინება;
- საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლა;
- საერთაშორისო ხელშეკრულების რეგისტრაცია, შენახვა და ოფიციალური გამოქვეყნება.

### საერთაშორისო ხელშეკრულების დადების რეკომენდაცია [3 (მუხლი 8)]

საქართველოს პრეზიდენტისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების რეკომენდაციის მიცემის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტს, ხოლო თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ სა-

41 ჩვენი აზრით, პრეზიდენტსა და მინისტრის ეს გადაწყვეტილებანი თავისი ხასიათით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებია (იხ. [3 (მუხლი 2.3,4)]) და არა ნორმატიული. ამიტომ ორივე შემთხვევაში მათ განკარგულების სახე უნდა ჰქონდეთ.



კითხვებზე – აგრეთვე საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საქართველოს სახალხო დამცველს.

რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების დადების წინადადებას შანშეწონილობის დასაბუთებას.

რეკომენდაციის მოწონების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი მისი წარდგინიდან ორ თვეში საგარეო საქმეთა სამინისტროს ავალებს აღნიშნული ხელშეკრულების დადების წინადადების მომზადებას.

### საერთაშორისო ხელშეკრულების დადების ან საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილეობის წინადადება [3 (მუხლები: 9, 10)]

საქართველოს პრეზიდენტს საერთაშორისო ხელშეკრულების დადების ან საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილეობის წინადადებას წარუდგენს საგარეო საქმეთა სამინისტრო შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მან მიიღო საქართველოს პრეზიდენტის დავალება მოამზადოს მისთვის რეკომენდებული ხელშეკრულების დადების წინადადება – დავალების მიღებიდან 6 თვეში;

ბ) საკუთარი ინიციატივით;

გ) თუ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურმა ორგანომ მას წარუდგინა საერთაშორისო ხელშეკრულების დადების წინადადება;

დ) თუ უცხო სახელმწიფომ ან საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს შესთავაზა საერთაშორისო ხელშეკრულების დადება;

ე) თუ საერთაშორისო ხელშეკრულებაში საქართველოს მონაწილეობა საჭიროებს ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოს (საერთაშორისო ორგანიზაციის) წინასწარ თანხმობას (ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტს წარედგინება საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილეობის განზრახვის წინადადება).

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს: ხელშეკრულების პროექტს (ქართულ ენაზე), საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას ხელშეკრულების შესაძლო საგარეო-პოლიტიკური შედეგების შესახებ, იუსტიციის სამინისტროს დასკვნას საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ, ფინანსთა სამინისტროს დასკვნას შესაძლო საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესახებ და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ცენტრალუ-

რი ორგანოს დასკვნას, აგრეთვე ნორმატიული აქტების პროექტებს, თუ ხელშეკრულება მოითხოვს საქართველოს ნორმატიულ აქტებში ცვლილების და/ან დამატების შეტანას.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულების დადების წინადადება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოს მიერ არის მომზადებული, იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს წარედგინება და ეს წინადადება უნდა შეიცავდეს: საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტს (ქართულ ენაზე, ხოლო უცხოენოვანი ავთენტიკური ტექსტის არსებობისას – აგრეთვე მის ქართულ თარგმანს), ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის (პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, ფინანსური და სხვ.) დასაბუთებას, აგრეთვე ნორმატიული აქტების პროექტებს, თუ ხელშეკრულება მოითხოვს საქართველოს ნორმატიულ აქტებში ცვლილების და/ან დამატების შეტანას; უნდა განისაზღვროს აგრეთვე ხელშეკრულების შესრულებისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო.

თუ უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულების დადება მოითხოვს საქართველოს ნორმატიულ აქტებში ცვლილების და/ან დამატების შეტანას, ხელშეკრულების დადების წინადადება საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს პრეზიდენტს უნდა წარუდგინოს.

თუ საქართველოს პრეზიდენტს წარედგინა საერთაშორისო ხელშეკრულებაში მონაწილეობის განზრახვის წინადადება და იგი დაეთანხმა მას (ეს გადაწყვეტილება ბრძანებულების<sup>42</sup> სახით გამოიცემა), საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ საერთაშორისო ხელშეკრულების დეპოზიტარს (ან სხვა მონაწილე სახელმწიფოს) უნდა აცნობოს საერთაშორისო ხელშეკრულებაში საქართველოს მონაწილეობის განზრახვა.

### მოლაპარაკების გამართვისა და საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის გადაწყვეტილება [3 (მუხლი 11)]

სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკების გამართვისა და ხელშეკრულების ხელმოწერის გადაწყვეტილებას (განკარგულების სახით) იღებს სა-

42 ჩვენი აზრით, პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება თავისი შინაარსით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია (იხ. [3 (მუხლი 2,3,4)]) და არა ნორმატიული. ამიტომ მას განკარგულების სახე უნდა ჰქონდეს.



ქართველოს პრეზიდენტი, ხოლო გადაწყვეტილებას უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებით, იღებს საგარეო საქმეთა მინისტრის (ეს გადაწყვეტილება ბრძანების<sup>43</sup> სახით გამოიცემა).

**საქართველოს პრეზიდენტის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება (ან მასთან შეერთება) [3 (მუხლები: 18, 19.2)]**

თუ საერთაშორისო ხელშეკრულება არ ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას ან მასთან შეერთება არ მოითხოვს პარლამენტის გადაწყვეტილებას, მაგრამ მისი ძალაში შესვლისთვის აუცილებელია შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულება, საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით ამტკიცებს მას.

თუ ხელშეკრულება მოითხოვს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილების და/ან დამატების შეტანას, მის დამტკიცებამდე საქართველოს პრეზიდენტმა დადგენილი წესით უნდა განიხილოს თანდართული ნორმატიული აქტების პროექტები და გამოსცეს ბრძანებულება შესაბამის კანონქვემდებარე აქტებში ცვლილებების და/ან დამატების შეტანის შესახებ.

**საქართველოს პარლამენტის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია (ან მასთან შეერთება)**

[1 (მუხლი 65); 3 (მუხლები: 14 – 17, 19); 5 (მუხლები: 159 – 163)]

თანხმობას საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარებაზე საქართველოს პარლამენტი გამოხატავს ხელშეკრულების რატიფიცირებით ან მასთან შეერთებით.

„იმ საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტის თანხმობას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია (ან მასთან შეერთება), რომელიც:

- ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;
- ბ) სამხედრო ხასიათისაა;
- გ) ეხება სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას ან

<sup>43</sup> ცხადია, ეს გადაწყვეტილება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია და, როგორც უმთო აღვნიშნეთ (იხ. მე-10 მუხლი), უმჯობესია მას განკარგულების სახე უკონდეს.



სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;

დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებზე ფაქტობრივ ცემასთან;

ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკირ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას;


ვ) რატიფიკაციას საჭიროებს საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტის თანახმად<sup>44</sup>.

ასეთ ხელშეკრულებას პარლამენტს შიგნით საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს. ხელშეკრულება ქართულ ენაზე უნდა იქნეს წარდგენილი (უცხოენოვანი ავთენტიკური ტექსტის არსებობისას იგი ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან<sup>45</sup> ერთად უნდა იქნეს წარდგენილი). მას უნდა დაერთოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნა ხელშეკრულების შესაძლო საგარეო-პოლიტიკური შედეგების შესახებ, იუსტიციის სამინისტროს დასკვნა საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ, ფინანსთა სამინისტროს დასკვნა შესაძლო საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესახებ და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ცენტრალური ორგანოს დასკვნა, აგრეთვე კანონპროექტები, თუ ხელშეკრულება მოითხოვს საქართველოს საკანონმდებლო აქტებში ცვლილების და/ან დამატების შეტანას.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილ საერთაშორისო ხელშეკრულებასა და თანდართულ კანონპროექტებს განიხილავს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი<sup>46</sup> (საჭიროების შემთხვევაში – პარლამენტის სხვა კომიტეტებთან ერთად) და თავის დასკვნასთან ერთად წარუდგენს პარლამენტის ბიუროს პლენარული სხდომისთვის წარსადგენად, რომელიც ახდენს ხელშეკრულების რატიფიკირებას (ან მასთან შეერთებას) ან მოტივირებული გადაწყვეტილებით გადადებს მას. თუ ხელშეკრულება მოითხოვს საკანონმდებლო აქტებში ცვლილების და/ან

44 საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ქართულად თარგმნის და ოფიციალურად ამოწმებს საქართველოს სახელმწიფო კანცლარია [3 (მუხლი 15.3)].

45 კანონში ეს კომიტეტი მოხსენიებულია როგორც „საგარეო საქმეთა კომიტეტი“ [3 (მუხლი 16)]. საჭიროა მასში სათანადო ცვლილების შეტანა – სიტყვა „საქმეთა“ უნდა შეიცვალოს სიტყვით „ურთიერთობათა“.



დამატების შეტანას, მის რატიფიცირებამდე (ან მასთან შეერთებამდე) პარლამენტმა დადგენილი წესით უნდა განიხილოს თანდართული კანონპროექტები.

თუ პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ იქნა კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის შესახებ, მისი რატიფიცირების (ან მასთან შეერთების) საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება გადაიდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

### დათქმა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაზე [3 (მუხლი 22)]

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის, რატიფიცირების, მასთან შეერთების ან დამტკიცების დროს, ხელშეკრულების პირობების დაცვითა და საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად, შეიძლება დათქმის გაკეთება. დათქმა წერილობით ფორმდება და ეს უცნობემა დეპოზიტარს ან სხვა ხელშემკრელ მხარეს.

თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს მიერ გაკეთებულ დათქმაზე უარის თქმა შეიძლება იმავე წესით, რა წესითაც გაკეთდა დათქმა.

სხვა ხელშემკრელი სახელმწიფოს მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაზე გაკეთებულ დათქმას, ხელშეკრულების პირობათა დაცვითა და საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად, აღიარებს ან მასზე პროტესტს გამოთქვამს ის სახელმწიფო ორგანო, რომელიც წყვეტს საქართველოსთვის ამ ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების საკითხს.

### საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების შეტყობინება [3 (მუხლი 23)]

საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრო ასრულებს სათანადო მოქმედებას ხელშემკრელი მხარის ან დეპოზიტარისთვის ამის შეტყობინების მიზნით.





## 6.2 საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა ან შერეობა

საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა ხდება მისი დენონსირების ან გაუქმების (ანუ ანულირების) სახით.

საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტასა და შერეობას ეხება საქართველოს კონსტიტუცია [1 (მუხლები: 65.1, 73.3)], კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ [3 (მუხლები: 35 – 40)] და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი [5 (მუხლები: 160, 161)].

### საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტისა და შერეობის უფლებამოსილება

ზემოხსენებული სამი აქტით სხვადასხვაგვარად არიან განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შერეობის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები და საკითხის გარკვევის მიზნით აუცილებელია შესაბამის დებულებათა გულდასმით გაანალიზება:

- (1) კონსტიტუციის თანახმად საქართველოს პარლამენტი ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გააუქმოს მის წინაშე ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტები (მაშასადამე, მათ მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებანიც);
- (2) კანონის თანახმად საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებას საქართველოს იმ საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შერეობის შესახებ, რომლის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა მათვე გამოხატეს;
- (3) პარლამენტის რეგლამენტის თანახმად პარლამენტი ახდენს იმ საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსირებას, რომლის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა მან გამოხატა (და არაფერია ნათქვამი ხელშეკრულების გაუქმების ან შერეობის შესახებ); საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტი აუქმებს არასარატიფიკაციო მთავრობათაშო-



რის ხელშეკრულებას. ეს უკანასკნელი დებულება ეწინააღმდეგება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე მე-(2) დებულებას, თუკი (1) დებულება ისე არ იქნა გაგებული, რაშიც პარლამენტს აქვს ნებისმიერი ხელშეკრულების გაუქმების უფლება. მაგრამ კონსტიტუციის ამ დებულების ასეთი ინტერპრეტაცია აშკარად დაარღვევდა ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს – პარლამენტს ექნებოდა იმ ხელშეკრულების გაუქმების უფლება, რომლის დადების უფლებამოსილებაც აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს მინიჭებული.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონსტიტუციას შეესაბამება „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის 37-ე მუხლი, ხოლო პარლამენტის რეგლამენტის 161-ე მუხლის მე-3 პუქტი, როგორც კონსტიტუციასთან შეუსაბამო, უნდა გაუქმდეს.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ

– იმ საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების უფლებამოსილება, რომლის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა საქართველოს პარლამენტმა გამოხატა, აქვს მხოლოდ პარლამენტს;

– იმ საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების უფლებამოსილება, რომლის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა საქართველოს პრეზიდენტმა (ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა) გამოხატა, აქვს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს;

– იმ საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების უფლებამოსილება, რომლის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა (ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა) გამოხატა, აქვთ მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს.

### ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების წინადადება [3 (მუხლი 35)]

საქართველოს პარლამენტს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების დასაბუთებულ წინადადებას წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკ-



რულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების დასაბუთებულ წინადადებას წარუდგენს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების დასაბუთებულ წინადადებას წარუდგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანო.

უცხო სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის შეთავაზებას საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტს წინადადების სახით წარუდგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების წინადადება უნდა შეიცავდეს: ხელშეკრულების დედნის დამოწმებულ პირს (ქართულ ენაზე), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ საგარეო-პოლიტიკური შედეგების შესახებ, იუსტიციის სამინისტროს დასკვნას შესახებ სამართლებრივი შედეგების შესახებ, ფინანსთა სამინისტროს დასკვნას შესახებ საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესახებ და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ცენტრალური ორგანოს დასკვნას.

**ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების წინადადების განხილვა პარლამენტში [3 (მუხლი 36); 5 (მუხლი 161.2, 4, 5)]**

პარლამენტისთვის წარუდგენილ წინადადებას განიხილავს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი (შესაბამის კომიტეტებთან ერთად) და თავის დასკვნასთან ერთად წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.

პარლამენტის პლენარული სხდომის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების საკითხის განხილვისას სხდომას უნდა ესწრებოდნენ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები და სხვა შესაბამისი თანამდებობის პირები.

**ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების შეტყობინება [3 (მუხლი 40)]**

საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ან შეჩერების გადაწყვეტილებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად აცნობებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეს ან დეპოზიტარს.



## 7. ლობისტური საქმიანობა


საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან, მუდამ იყო, არის და იქნება დაინტერესებული ჯგუფების ცდა, შემოქმედება მოახდინონ ხელისუფლებაზე კანონმდებლობაში მათთვის სასურველი ცვლილებების შესატანად. ასეთი შემოქმედების მიზანი ზოგჯერ საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა, ზოგჯერ კი მხოლოდ კერძო ჯგუფის ინტერესების დაკმაყოფილებაა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ შემოქმედების არც ერთი ცდა დაფარული არ იყოს. ბოლო დრომდე ასეთ შემოქმედებას ქაოსური და, ძირითადად, კულუარული ხასიათი ჰქონდა და მის შედეგს მნიშვნელოვნად განაპირობებდა სუბიექტური ფაქტორები. საკმარისია ითქვას, რომ მაგანს ხელი მიუწვდებოდა ნორმატიული შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, მაგანს კი არა, მაგანი თავისუფლად ახერხებდა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას, მაგანი კი საერთოდ ვერ აღწევდა ამას და სხვ. სწორედ ამ პროცესის მოწესრიგებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით 1998 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ [17].

ლობისტური საქმიანობა საქართველოსთვის ლეგალიზებული საქმიანობის სრულიად ახალი სფეროა და ნიშნავს „საკანონმდებლო“ ცვლილების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოზე ლობისტად რეგისტრირებული პირის (შემდგომ – ლობისტი) ისეთ შემოქმედებას, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით“.

ლობისტის უფლებათა ფარგლები განისაზღვრება შემოსხენებული კანონით და დამოკიდებულია მარწმუნებლისაგან მიღებულ დავალებაზე. დავალება შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ ერთი ნორმატიული აქტის (აგრეთვე მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების) მიღებას (გამოცემას), მის შეცვლას ან უარყოფას.

სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის შეაბამის წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოში, ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ ლობისტს უფლება აქვს:

46 კანონის შინაარსიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საქმე ეხება კანონმდებლობისა და არა მხოლოდ საკანონმდებლო აქტების ცვლილებას. ამიტომ, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, თუ მოცემულ განმარტებაში სიტყვები: „საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების“ შეიცვლება სიტყვებით: „კანონმდებლობის შეცვლის“.



– იმავე წესით შევიდეს და გადაადგილდეს შემოსენებულები ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში, როგორცაა დადგენილი ამ ორგანოს საჯარო მოსამსახურეთათვის (სპეციალური პირობების გარდა) [17 (მუხლი 9)];

– წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში<sup>47</sup> გაეცნოს დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებულ ამ ორგანოში არსებულ ოფიციალურ მასალებს და დადგენილი წესით გადაიღოს მისი პირები, თუ საქართველოს კანონმდებლობით<sup>48</sup> სხვა რამ არ არის გათვალისწინებული [17 (მუხლი 11)];

– წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შეზღუდეს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით. წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ვალდებულია მიმართვის მიღებიდან არა უგვიანეს ერთ სამუშაო კვირაში აცნობოს ლობისტს წერილობითი პასუხი მის მოთხოვნასთან დაკავშირებით [17 (მუხლი 12)];

– დაესწროს წარმომადგენლობით ორგანოში დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტის (აგრეთვე მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების პროექტების) ღია განხილვის ყველა სტადიას და სხდომაზე (გარდა პლენარული სხდომისა) გამოვიდეს რეგლამენტირებული სიტყვით, ხოლო სხდომის გადაწყვეტილებით შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კამათშიც; უფლება აქვს დაესწროს დახურულ სხდომას და მონაწილეობა მიიღოს კამათში, გარდა კანონით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა [17 (მუხლი 10.1–5)];

– დაესწროს აღმასრულებელ ორგანოში დავალებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტის (აგრეთვე მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების პროექტების) ღია განხილვას, ხოლო აღმასრულებელი ორგანოს (ან მისი სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელის ნებართვით შეუძლია გამოვიდეს რეგლამენ-

47 უმეტესი ფორმულირებაა იგი შეიძლება იმგვარად იქნეს გაგებული, რომ ლობისტს შიშოდდეს ორი დღე ეძლევა მასალების გასაცნობად. არადა, ცხადია, აქ იგულისხმება, რომ ლობისტს მოთხოვნიდან არა უგვიანეს ორი დღისა უნდა მიუცეს მასალების გაცნობის საშუალება.

48 ასეთი ფორმულირება შემოსენებულ ორგანოებს შესაძლებლობას მისცემს თავიანთი კანონქვემდებარე აქტებით შეზღუდონ ეს უფლება. ეს რომ არ მოხდეს, საქართველოს კანონის მე-11 მუხლში სიტყვა „კანონმდებლობით“ შეიცვალოს სიტყვებით: „საკანონმდებლო აქტით“.



ტირებული სიტყვითაც [17 (მუხლი 10.6)];

– შესაბამის წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოს წევრილობით წარუდგინოს თავისი შინიშვნები და წინადადებები და-  
ვალეებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის პროექტის თა-  
ობაზე და ეს შინიშვნები და წინადადებები პროექტს უნდა დაერ-  
თოს [17 (მუხლი 10.7)].

ლობისტიკის საქმიანობა არ ვრცელდება საქართველოს პრეზი-  
დენტის დეკრეტისა და უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანების მომ-  
ზადების პროცედურაზე.

## 8. პარლამენტის მიერ ნორმატიული აქტის მიღება

### კენჭისყრა

პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი პროცედურის შესაბა-  
მისად ნორმატიული აქტის პროექტის ან საერთაშორისო ხელშეკ-  
რულების განხილვის დასრულების შემდეგ პარლამენტი კენჭს უყ-  
რის კანონპროექტის ან დადგენილების მიღებას.

პარლამენტის მიერ ნორმატიული აქტის მიღება ხდება ღია ან  
სახელობითი კენჭისყრით. სხვადასხვა სახის ნორმატიული აქტის  
მისაღებად ხმათა სხვადასხვა რაოდენობაა საჭირო [1 (მუხლები:  
62, 65, 66, 92, 98, 102.3)]:

- (ა) კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ  
მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ  
ცოტა ორი მესამედი;
- (ბ) ორგანული კანონის პროექტი და კანონი „სახელმწიფო ბიუჯე-  
ტის შესახებ“, აგრეთვე კანონი „სამხედრო ძალების რაოდენო-  
ბის დამტკიცების შესახებ“ [2 (მუხლი 10)] მიღებულად ითვლე-  
ბა, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლო-  
ბის ნახევარზე მეტი;
- (გ) კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, თუ მას  
მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ  
პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ  
კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- (დ) დადგენილება საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირე-  
ბის (ან მასთან შეერთების), მისი მოქმედების შეწყვეტის ან შე-



- ჩერების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს უჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
- (ე) დადგენილება ომის გამოცხადების შესახებ<sup>49</sup>, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების ან ზავის დადების დამტკიცების შესახებ, აგრეთვე პრეზიდენტის იმ დეკრეტის დამტკიცების შესახებ, რომელიც ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
- (ვ) დადგენილება თანხმობის მიცემის შესახებ მიიღება იმავე წესით, როგორც ჩვეულებრივი დადგენილება, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული;
- (ზ) პარლამენტის რეზოლუცია და დეკლარაცია მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა;
- (თ) პარლამენტის მიმართვა, განცხადება და რეკომენდაცია მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ რეგლამენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- (ი) სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

**ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად [2 (მუხლი 37)]

„1. საქართველოს საკანონმდებლო აქტის მიღების თარიღად ჩაითვლება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე.

2. სხვა ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღად ჩაითვლება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე“.

ცხადია, ამ მუხლის 1-ელ პუნქტში ტექნიკური ხარვეზია: სა-

49 იხ. 4.11, პუნქტი ომი და ზავ“.



ქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის ტექსტს, დეკრეტის ნონმდებლო აქტია, პარლამენტი არ ეხება. ამიტომ შემდგომში სიტყვის „აქტის“ შემდეგ საჭიროა ჩაემატოს სიტყვები: „ (გარდა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტისა)“. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის გამოცემის თარიღი კი მე-2 პუნქტის მიხედვით განისაზღვრება.

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის“ თანახმად [5 (მუხლი 94.5)]

„კანონპროექტის, დადგენილების და სხვა აქტების მიღების თარიღად ჩაითვლება პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე“.

სრულიად აშკარაა, რომ ეს დებულება ეწინააღმდეგება უპირატესი იურდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტს – კანონს „ნორმატიული აქტების შესახებ“ და ამიტომ მოქმედ ნორმად კანონის ნორმა უნდა ჩაითვალოს. მართლაც, ამ ნორმის თანახმად ნორმატიული აქტის საბოლოო რედაქციით მიღების დღე მხოლოდ კანონის (და არა კანონპროექტის – Sic!) მიღების თარიღად ჩაითვლება, სხვა აქტების, მათ შორის პარლამენტის დადგენილების მიღების თარიღად კი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად რეგლამენტის 94-ე მუხლის მე-5 პუნქტი შემდეგნაირად უნდა შეიცვალოს:

„კონსტიტუციური კანონის, ორგანული კანონისა და კანონის მიღების თარიღად ჩაითვლება პარლამენტის მიერ მისი საბოლოო რედაქციით მიღების დღე, ხოლო სხვა ნორმატიული აქტის მიღების თარიღად – უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერის დღე“.

## 9. კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების ხელმოწერა

კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღების მომდევნო სტადიები რეგლამენტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 38-ე მუხლითა და პარლამენტის რეგლამენტის 97-ე – 99-ე, 184-ე და 185-ე მუხლებით.





**კანონის ხელმოწერა**

- (ა) პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი, პარლამენტის სხდომის (რომელმაც მიიღო ეს კანონპროექტი) თავმჯდომარისა და შესაბამისი წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის ხელმოწერით, მიღებიდან 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.
- (ბ) საქართველოს პრეზიდენტი კანონპროექტის მისთვის გადაცემიდან 10 დღეში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს (ე.წ. შეკონფიტი ვეტო). თუ პრეზიდენტმა ამ ვადაში კანონი არც გამოაქვეყნა და არც ვეტო დაადო მას, პარლამენტის თავმჯდომარე ვალდებულია ამ ვადის გასვლიდან არა უგვიანეს მეხუთე დღისა ხელი მოაწეროს კანონს და გამოაქვეყნოს იგი.
- (გ) თუ პრეზიდენტმა კანონპროექტი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს, მან კანონპროექტი 15 დღის ვადაში უნდა განიხილოს. განხილვის შემდეგ პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს (ყველას ერთად):
- თუ პარლამენტი დაეთანხმა პრეზიდენტის შენიშვნებს (ამისათვის საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტის მიღებისთვის არის აუცილებელი), კანონპროექტი სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერით 3 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად და გამოაქვეყნებლად;
  - თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, მან კენჭი უნდა უყაროს კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. პრეზიდენტის ვეტო დაძლეულად და, მასასადამე, კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ პირვანდელ რედაქციას მხარი დაუჭირა პარლამენტის სიითი შემადგენლობის სულ ცოტა სამმა მეხუთედმა, ხოლო თუ ვეტო კონსტიტუციურ კანონს ეხება, - სრული შემადგენლობის ორმა მესამედმა მაინც. მიღებული კანონი სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერით 3 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად და გამოსაქვეყნებლად;
  - ორივე შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტმა 7 დღის ვადაში ხელი უნდა მოაწეროს კანონს და გამოაქვეყნოს იგი. თუ პრეზიდენტმა ამ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, ამ ვადის გასვლიდან არა უგვიანეს მეხუთე დღისა მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე;



– თუ პარლამენტმა არც პრეზიდენტის შენიშვნებზე მიიღო და ვერც მისი ვეტო დასძლია, კანონპროექტი უარყოფითად ითვლება და მისი ხელახლა განხილვა შეუძლია მხოლოდ შემდეგ ახე პრეზიდენტთან წინასწარი კონსულტაციების შემდეგ.

### სამართვალის პარლამენტის ნორმატიული ხასიათის დადგენილების ხელმოწერა

ნორმატიული ხასიათის დადგენილების ხელმოწერის ვადა პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ განსაზღვრულია მისი გამოქვეყნების ვადა – დადგენილების მიღებიდან 7 დღე. აქედან გამომდინარე, დადგენილების ხელმოწერის ვადა 7 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. დადგენილებას ხელს აწერს პარლამენტის იმ სსდომის თავმჯდომარე, რომელმაც მიიღო იგი.

## 10. ნორმატიული აქტის გამოქვეყნება

### ნორმატიული აქტის ენა

„საქართველოს ნორმატიული აქტი მიიღება (გამოიცემა) და ქვეყნდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და მის ტერიტორიაზე მდებარე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტები – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. ნორმატიული აქტი შეიძლება გამოქვეყნდეს არასახელმწიფო ენაზეც; ასეთ ტექსტს არა აქვს ოფიციალური ძალა“ [2 (მუხლი 40)].

„თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი აუთენტური ტექსტი შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულება ქვეყნდება ქართულ ენაზე.“

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის აუთენტური<sup>50</sup> ტექსტები შედგენილია მხოლოდ უცხო ენებზე, ქვეყნდება ამ ენათაგან ერთ-ერთზე, ოფიციალური ქართული თარგმანის თანდართვით“ [3 (მუხლი 30.5, 6)].

### ნორმატიული აქტის ოფიციალური გამოქვეყნება

კანონის თანახმად [2 (მუხლი 38.5)]

„საქართველოს ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებ-

50 უნდა ეწეროს „აუთენტური“.


ბად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება „საქართველოს კანონმდებლო მაცნეში“<sup>51</sup> ხოლო პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისა – აგრეთვე „საქართველოს პარლამენტის უწყებებში“.<sup>52</sup> ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებამდე არ შეიძლება მისი გამოქვეყნება სხვა რომელიმე ბეჭდვით ორგანოში“.

ხოლო ამავე კანონის 61-ე მუხლის თანახმად „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ გამოცემამდე ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლებოდა მისი ტექსტის გამოქვეყნება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ან ამ ნორმატიული აქტის მიმღები (გამომცემი) ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში (საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებისთვის ასეთ ბეჭდვით ორგანოებად ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის გამოცემა – „საქართველოს პრეზიდენტის აქტების კრებული“ და სახელმწიფო კანცელარიის გამოცემა – „საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები“ [7 (მუხლი 14.1)]). 1998 წლის ოქტომბერში დაიწყო კანონით დადგენილი ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ გამოცემა და, მამასადამე, ამის შემდეგ ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად უნდა ჩაითვალოს მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება მხოლოდ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, ხოლო პარლამენტის ნორმატიული აქტებისა – აგრეთვე „პარლამენტის უწყებანში“. ამასთანავე, სათანადო ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების [7] მე-14 და მე-15 მუხლებში.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოები დადგენილია მხოლოდ საქართველოს ნორმატიული აქტებისთვის. რაც შეეხება სხვა აქტებს, ამავე

51 კანონის ამ მუხლში ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს ასეთი სახელწოდებით მოხსენიება ამკრად რედაქციული შეცდომის შედეგია. ამ ორგანოს სახელწოდებაა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. ამაზე ბეჭდვებს როგორც ამავე კანონის 61-ე მუხლი, ისე [7]-ის მე-14 მუხლიც.

52 ეს გამოცემა 1996 წლიდან დღემდე გამოდის სახელწოდებით „პარლამენტის უწყებანი“, ამავე სახელითაა იგი მოხსენიებული საქართველოს პარლამენტის რეგლამენტსა და ზოგიერთ სხვა კანონში. მაგალითად, [3]-ში. აუცილებელია ამ შესაბამისი გასწორება, ჩვენი აზრით, უფრო სწორი იქნება, რომ შევინარჩუნოთ ეს სახელწოდება და სათანადო ცვლილება შევიტანოთ [2]-ში.



კანონის თანახმად, მათთვის ოფიციალური ორგანო კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით უნდა დადგინდეს [7 (მუხლი 41.2)]<sup>53</sup> სკოლა

„თუ ადგილობრივ თვითმმართველობას ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო არ გააჩნია, მისი ნორმატიული აქტი უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტით განსაზღვრული ისეთი წესით, რომელიც მოსახლეობას მისცემს მისი გაცნობის საშუალებას“ [7 (მუხლი 41.2)].

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოქვეყნებისთვის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოები დადგენილია კანონით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ [3 (მუხლი 30)]:

- (ა) ხელშეკრულება, რომლის საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა საქართველოს პარლამენტმა გამოხატა, მისი ძალაში შესვლის შემდეგ<sup>54</sup> საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ოფიციალურად ქვეყნდება „პარლამენტის უწყებანში“;
- (ბ) ხელშეკრულება, რომლის საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა საქართველოს პრეზიდენტმა გამოხატა, მისი ძალაში შესვლის შემდეგ<sup>54</sup> საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ოფიციალურად ქვეყნდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების კრებულში;
- (გ) ხელშეკრულება, რომლის საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარება არ საჭიროებს პარლამენტის ან პრეზიდენტის თანხმობას, ოფიციალურად ქვეყნდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის შესაბამისად;
- (დ) საქართველოს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა კრებულში.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონი საქართველოს პრეზიდენტის

53 ჩვენი აზრით, საერთაშორისო ხელშეკრულება, ისევე როგორც ნებისმიერი ნორმატიული აქტი, აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ძალაში შესვლამდე, ვინაიდან იგი შეიძლება ადგინდეს ქვეყნის სავალდებულო ზოგად წესს, რომლის გამოქვეყნებლობამ შესაძლებელია მისი უნებლო დარღვევა გამოიწვიოს. ამიტომ ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში სიტყვები: „ძალაში შესვლის შემდეგ“ უნდა შეიცვალოს სიტყვებით: „ძალაში შესვლამდე“.

54 იხ. 53-ე შენიშვნა.

დეკრეტის გამოქვეყნების განსაკუთრებულ წესს ადგენს, თუ დეკრეტი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვას ქვეყნის სახელდობრ, ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოსაქვეყნების დამატებით [2 (მუხლები: 42.2, 43.4)].

„თუ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებით განსაზღვრულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მისი ტექსტი უნდა გადაიცეს საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით, ხელმოწერიდან ერთი დღის განმავლობაში მაინც, ყოველ ორ საათში ერთხელ. პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად“.

ასეთი შინაარსის ნორმა იყო 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის 42-ე მუხლში, ოღონდ იქ გადაწყვეტილების ნაცვლად ეწერა დეკრეტი. 1997 წლის 27 ივნისის კანონით ეს ნორმა შეიცვალა („დეკრეტი“ შეიცვალა „გადაწყვეტილებით“) და იგი გადატანილ იქნა 43-ე მუხლში, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებულებას ეხება, რის გამოც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ გადაწყვეტილების სახე არის „ბრძანებულება“ (ამას ადასტურებს [7 (მუხლი 18.4)]-იც). ეს კი პრინციპულად არასწორია, ვინაიდან პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს [1 (მუხლი 46)] და ასეთ გადაწყვეტილებას კანონის ძალა უნდა ჰქონდეს [2 (მუხლი 10)]. ამიტომ, ჩვენი აზრით (იხ. აგრეთვე 22-ე შენიშვნა), ამ ნორმაში გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს დეკრეტით და ეს ნორმა 43-ე მუხლიდან გადატანილ უნდა იქნეს 42-ე მუხლის მე-2 პუნქტში.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ნორმატიული აქტი, გარდა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებისა, არ შეიძლება გამოქვეყნდეს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში მის შეტანამდე [2 (მუხლი 38.4)].

ნორმატიული აქტის ოფიციალურად გამომყვანების ვადა

(ა) საქართველოს კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი [1 (მუხლი 68); 3 (მუხლი 38); 5 (მუხლები: 98, 184)]

თუ საქართველოს პრეზიდენტმა არ გამოიყენა შეყოვნებითი



ვეტოს უფლება, მან კანონპროექტის მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში ხელიც უნდა მოაწეროს კანონს და უნდა გამოაქვეყნოს კიდევ იგი. თუ პრეზიდენტმა ამ ვადაში კანონი არ აქვეყნა, ვადის გასვლიდან არა უგვიანეს მესამე დღისა იგი თავისი ხელმოწერით უნდა გამოაქვეყნოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

თუ საქართველოს პრეზიდენტმა გამოიყენა შეყოვნებითი ვეტოს უფლება და პარლამენტი დაეთანხმა პრეზიდენტის შენიშვნებს ან დასძლია მისი ვეტო, პრეზიდენტმა მიღებული კანონპროექტის მისთვის გადაცემიდან 7 დღის ვადაში ხელიც უნდა მოაწეროს კანონს და უნდა გამოაქვეყნოს კიდევ იგი. თუ პრეზიდენტმა ამ ვადაში კანონი არ გამოაქვეყნა, ვადის გასვლიდან არა უგვიანეს მესამე დღისა იგი თავისი ხელმოწერით უნდა გამოაქვეყნოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

- (ბ) საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი, პარლამენტის ნორმატიული ხასიათის დადგენილება [2 (მუხლი 38.4); 7 (მუხლი 14.2)]

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი და საქართველოს პარლამენტის ნორმატიული ხასიათის დადგენილება უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისად მისი ხელმოწერიდან და მიღებიდან 7 დღის ვადაში.

- (გ) სხვა ნორმატიული აქტები [2 (მუხლი 38.4); 7 (მუხლი 15.2)]  
ყველა სხვა ნორმატიული აქტი, გარდა ზემოხსენებულისა, უნდა გამოქვეყნდეს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან 7 დღის ვადაში.

## 11. ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვა

### შიდასახელმწიფო რეესტრში ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვა

ნორმატიული აქტების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის, სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სა-



ქართულოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტი შეიტანეთქვე, ხეუ ნუქლი ქართულოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში [2 (მუხლი 53)].

ყველა ნორმატიული აქტი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მისი ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში უნდა გადაეცეს საქართულოს იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც აქტის მიღებიდან<sup>55</sup> 2 დღის ვადაში სახელმწიფო რეესტრში უნდა შეიტანოს იგი და მიანიჭოს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი [2 (მუხლი 54)]. ნორმატიული აქტი, გარდა საქართულოს პარლამენტისა და საქართულოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებისა, სახელმწიფო რეესტრში შეტანამდე საჭიროებს იუსტიციის სამინისტროს დასკვნას უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დასადგენად და „უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია არ შეიტანოს ნორმატიული აქტი რეესტრში“ [2 (მუხლი 54.3)]. რეესტრში შეუტანლად კი ამ სახის ნორმატიული აქტი ვერ გამოქვეყნდება და, მაშასადამე, ვერც ძალაში შევა.

ასეთი ნორმა (წინა აბზაცში შავად გამოყოფილი ნაწილი), ჩვენი აზრით, პრინციპულად არასწორია, ვინაიდან იგი იუსტიციის სამინისტროს უფლებას უტოვებს, რეესტრში შეიტანოს და, მაშასადამე, ძალაში შეიყვანოს ისეთი ნორმატიული აქტი, რომელიც არ შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს. მეორე მხრივ, იუსტიციის სამინისტროს უფლება ეძლევა, რეესტრში არ შეიტანოს და, მაშასადამე, ძალაში შესვლის საშუალება არ მისცეს ასეთ ნორმატიულ აქტს, დასკვნა კი შესაძლებელია მცდარი იყოს. ამიტომ, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, თუ მოყვანილი წინადადება ასე შეიცვლება: „უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს არ შეაქვს ნორმატიული აქტი რეესტრში და ამის შესახებ აქტის მიღებიდან 2 დღის ვადაში ატყობინებს ნორმატიული აქტის მიმღებ (გამომცემ) ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს რეესტრში ნორმატიული აქტის შეტანა. ასეთ შემ-

55 1997 წლის 27 ივნისის კანონი [2]-ის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტში ამ სიტყვის შემდეგ ჩამატებულია სიტყვა „(გამოცემიდან)“, რომელიც ამოსაღებია, ვინაიდან აქ საუბარია არა აქტის „მიღებაზე“ ან „გამოცემაზე“, არამედ „მიღებული (გამოცემული)“ აქტის იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებაზე.



თხვევაში იუსტიციის სამინისტრო მოთხოვნის მიღებიდან 2 დღის ვადაში შეიტანს მას რეესტრში". ასეთი ნორმატიული აქტის შემდგომ შეიძლება სასამართლოში გასამართლებად იქნეს მიჩნეული, უფრო მიზანშეწონილი და ლოგიკური იქნება, თუ ამ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება მიენიჭება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლება კი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (ამისათვის სათანადო ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში).

სამართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რეგისტრაცია [3 (თავი III)]

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აღრიცხვასა და რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ხელშეკრულება მისი ძალაში შესვლიდან 10 დღეში უნდა გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრში შესატანად და სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდის მისანიჭებლად.

საქართველოსთვის ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებების რეგისტრაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

## 12. ნორმატიული აქტის ძალაში შესვლა

ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის საფუძველი საქართველოს კონსტიტუციით არის დადგენილი [1 (მუხლი 68.6)]:

„კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი“.

ეს ნორმა დაკონკრეტებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით [2 (მუხლი 41)]:

„ნორმატიული აქტი, რომლის ძალაში შესვლაც დაკავშირებულია გამოქვეყნებასთან, ძალაში შედის მხოლოდ იმ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ამ კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილია ოფი-





ციალურ ორგანოდ. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ცველინებს შორის უნდა იქნებოდეს მხოლოდ სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. დაუშვებელია იმ ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის გამოუქვეყნებლობა, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ან ადგენს იურიდიულ პასუხისმგებლობას<sup>56</sup>.

ამ დებულებაში შავად გამოყოფილი ნაწილი ჩამატებულია 1997 წლის 27 ივნისის კანონით [2] და, ჩვენი აზრით, იგი პრინციპულად არასწორია (ასეთივე ვითარებაა [7]-ის მე-18.1 მუხლთან დაკავშირებით). მართალია, ეს ცვლილება ვერც კანონზე გავრცელდება და ვერც პრეზიდენტის დეკრეტზე, რომლებიც ძალაში შედის მხოლოდ გამოქვეყნების შემდეგ [1 (მუხლი 68.6); 2 (მუხლი 42.2)], მაგრამ შესაძლებლობას ტოვებს, სხვადასხვა, მათ შორის კანონქვემდებარე, ნორმატიული აქტით განსაზღვროს, რომელი ნორმატიული აქტის ძალაში შესვლაა დაკავშირებული გამოქვეყნებასთან<sup>57</sup> და რომლისა – არა. შედეგად კი შესაძლებელია მივიღოთ არაერთი გამოუქვეყნებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რაც დიდ დაბრკოლებას შეუქმნის ღია საზოგადოების შექმნასა და საზოგადოდ ადამიანის უფლებათა დაცვას (ცხადია, მხედველობაში არა გვაქვს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონით განსაზღვრული შემთხვევები, თუმცა ასეთი შემთხვევებიც აუცილებელი მინიმუმით უნდა შემოიფარგლოს).

უნდა აღინიშნოს საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლისთვის დადგენილი კიდევ ერთი ზოგადი ნორმა [2 (მუხლი 45.3)]: „საკანონმდებლო აქტი, რომელიც ადგენს ან ამძიმებს იურიდიულ პასუხისმგებლობას, ძალაში შედის არა უადრეს მე-15 დღისა მისი გამოქვეყნებიდან“.

56 თუ არ შეიცვალა საერთაშორისო ხელშეკრულების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ნორმა, რომლის თანახმადაც სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულებანი ქვეყნდება მათი ძალაში შესვლის შემდეგ (იხ. 53-ე მუხლი). კერძოთი გამოყოფილი შემთხვევით ნაწილი ასე მაინც უნდა შეიცვალოს: „გარდა სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, რათა იგი არ გავრცელდეს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე“.



**კანონის ძალაში შესვლა [1 (მუხლი 68.6)]**

საქართველოს კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ თვით საკანონმდებლო აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

**საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლა [3 (მუხლი 24)]**

საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსთვის ძალაში შედის იმ წესითა და ვადაში, რომელსაც ითვალისწინებს თვით ხელშეკრულება, ან რომელიც შეთანხმებულია მხარეთა შორის, და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

„თუ საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის მოითხოვს რომელიმე შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის შესრულებას, ასეთი ხელშეკრულება საქართველოსათვის ძალაში შევა მხოლოდ სათანადო პროცედურის შესრულების შემდეგ“.<sup>57</sup>

**საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის ძალაში შესვლა [2 (მუხლი 42.2)]**

„საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი ძალაში შედის მხოლოდ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნების შემდეგ, დეკრეტში მითითებული მომენტიდან და მოქმედებს მასში აღნიშნულ დრომდე, მაგრამ არა უგვიანეს საგანგებო<sup>58</sup> მდგომარეობის დამთავრებისა, თუ იქნა გაუქმებული საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით“.

**საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლა [2 (მუხლი 43)]**

„საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში მისი გამოქვეყნებისთანავე,<sup>59</sup> თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს მი-

57 იხ. აგრეთვე 53-ე და 56-ე მუხლები.

58 აქ საჭიროა ჩავშატოს სიტყვები: „ან საომარი“ (განმარტებისთვის იხ. ამ თავის 3.5 და 4.11 ნაწილები).

59 „მისი გამოქვეყნებისთანავე ძალაში შესვლა“ ნიშნავს, რომ ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე.



ნისტრის თანამდებობაზე დანიშნისა და თანამდებობიდან წაშლის შემთხვევაში სუფილის<sup>60</sup> შესახებ ძალაში შედის მისი ხელმოწერის მოქმედების თუ იმავე ბრძანებულებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი”.

**საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების ძალაში შესვლა**  
[2 (მუხლი 43)]

„საქართველოს პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან, თუ იმავე ბრძანებით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი”.

**სხვა ნორმატიული აქტების ძალაში შესვლა** [2 (მუხლი 44)]

აღმასრულებელი ხელისუფლების (გარდა საქართველოს პრეზიდენტისა), საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს კონტროლის პალატის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მმართველობის ნორმატიული აქტი ძალაში შედის ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანიდან მე-10 დღეს, თუ იმავე ნორმატიული აქტით სხვა ვადა არ იქნა დადგენილი.

### 13. ნორმატიული აქტის მოქმედების ზოგადი ნორმები

- (ა) „ნორმატიული აქტი მოქმედებს უეადოდ, თუ კანონმდებლობით ან თვით ამ აქტით ვადა არ არის დადგენილი” [2 (მუხლი 46)].
- (ბ) ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ აქტით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ნორმატიული აქტი აღგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას (ასეთ შემთხვევაში ნორმატიულ აქტს უკუძალა არა აქვს) [2 (მუხლი 47.1, 2)].

<sup>60</sup> რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დანიშნაც ბრძანებულებით ხდება [2 (მუხლი 12)], ამიტომ აქ საჭიროა ჩავატოს სიტყვები: „აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის”.



- (გ) „თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ კანონმდებლობა შემსუბუქდა პასუხისმგებლობა ასეთი სამართალდარღვევის ჩადენისთვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა [2 (მუხლი 47.3)].
- (დ) საკანონმდებლო აქტს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, მიუხედავად იმისა, მიღებულია (გამოცემულია) თუ არა მის საფუძველზე ან მის შესასრულებლად კანონქვემდებარე აქტი, თუ თვით საკანონმდებლო აქტით ეს არ არის დადგენილი. არ შეიძლება საკანონმდებლო აქტით დადგენილი ნორმის შესრულებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მის შესასრულებლად მიღებული (გამოცემული) არ არის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი, თუ იმავე საკანონმდებლო აქტით ეს არ არის დადგენილი [2 (მუხლი 48)].
- (ე) არ შეიძლება ნორმატიული აქტით უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება [2 (მუხლი 50.2)].
- (ვ) იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, ძალადაკარგულადაა იგი გამოცხადებული, თუ არა [2 (მუხლი 50.5)].
- (ზ) თუ რომელიმე ორგანომ (თანამდებობის პირმა) ნორმატიული აქტი მიიღო (გამოსცა) ისეთ საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის ან ორგანული კანონის თანახმად სხვის უფლებამოსილებას მიეკუთვნება, ან ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისთვის დადგენილი წესი, ნორმატიულ აქტს არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილია“ [2 (მუხლი 51)].
- (თ) ყველას აქვს უფლება გაეცნოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანილ მონაცემებს, გარდა რეესტრის „საიდუმლო“ ნაწილში შეტანილი ინფორმაციისა, რომლის გაცნობის პირობები და წესი განისაზღვრება კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ [2 (მუხლი 55.4)].

61 ჩვენი აზრით, აქ საჭიროა დავმატოს სიტყვები: „მის მიღების (გამოცემის) მომენტიდან“, რათა აღმოიფხვრას არაკანონიერად მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტით გამოწვეული შედეგები.



## 14. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული ძალა

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლო სარეფერენდუმო საკითხთა აღწერა და რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხი იმდენად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია, რომ აუცილებლად მიგვაჩინა მოქმედი ნორმების (იხ. [4] და [2 (მუხლი 21)]) არსებითად გადასინჯვა.

მართლაც, „რეფერენდუმის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად [4 (მუხლი 28)] (ასეთივე შინაარსისაა [2]-ის 21-ე მუხლი)

„1. რეფერენდუმის დანიშნვიდან რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნებამდე დაუშვებელია სარეფერენდუმო საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

2. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, აქვს იურიდიული ძალა და საბოლოოა. რეფერენდუმის შედეგებს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა.

3. საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე ერთ თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები [რეფერენდუმის გადაწყვეტილებასთან – ავტ.].

4. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით.

5. რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით“.

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებზეც აკრძალულია რეფერენდუმის მოწყობა:

„არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს“ [1 (მუხლი 74.2)],

„რეფერენდუმის შესახებ“ ორგანული კანონი კი – აგრეთვე იმ საკითხებს, რომლებზეც ნებადართულია რეფერენდუმის მოწყობა:



„რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, მათ შორის საქართველოს ტერიტორიული, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული საკითხებისა და პრინციპების შესახებ“ [4 (მუხლი 3.1)].

როგორც ვხედავთ, საკმაოდ ვიწროა საკითხთა ის წრე, რომელზეც ნებადართულია რეფერენდუმის მოწყობა. თუმცა, ეს ბოლო დებულება შეიცავს შეფასებით ნორმას – „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხები“ –, რომელიც საკმაოდ ფართოდ შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული. თუ ამასთან ერთად მხედველობაში მივიღებთ ზემოთ მოყვანილი 28-ე მუხლის მე-2 პუნქტს, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ ეს კანონი რეფერენდუმის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას უპირატეს თორიდე ულ ძალას ანიჭებს თვით საქართველოს კონსტიტუციის მიმართაც კი. მაგრამ ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რომლის თანახმადაც „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია“ [1 (მუხლი 6.1)]. ამრიგად, თუ რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კონსტიტუციას, იგი ძალაში ვერ შევა კონსტიტუციის შესაბამის დებულებათა შეცვლაზე. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას კი ერთ თვეზე ბევრად მეტი დრო სჭირდება (უნდა მომზადდეს და პარლამენტს წარედგინოს კანონპროექტი, შემდეგ იგი უნდა გამოქვეყნდეს საყოველთაო-საზალხო განხილვისთვის, რისთვისაც სულ ცოტა ერთი თვეა დადგენილი, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაიწყოს პარლამენტში მისი განხილვა). მაშასადამე, ვერ შესრულდება 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაც.

გარდა ამისა, კონსტიტუციის 74-ე მუხლის თანახმად არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის (ე.ი. კონკრეტული ნორმის ან ნორმათა) მისაღებად ან გასაუქმებლად. მაშასადამე, სარეფერენდუმო შეკითხვა მხოლოდ ნორმათა საფუძველს, ზოგად პრინციპებს შეიძლება შეიცავდეს. ასეთ შეკითხვაზე დადებითი პასუხი კი, როგორც წესი, გამოიწვევს არაერთ ნორმატიულ აქტში (შესაძლოა კონსტიტუციაშიც) ცვლილების შეტანის აუცილებლობას და, გაუგებარია, როგორ უნდა ამოქმედდეს რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება მისი გამოქვეყნებისთანავე. ასეთი მოქმედება, სათანადო ნორმატიული აქტების მოწესრიგებამდე, რასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება, ან ქაოსს გამოიწვევს შესაბამის სფეროში, ან საქმიანობის სრულ შეჩერებას.



## 15. სასამართლოს როლი საკანონმდებლო პროცესში

კანონმდებლობის შექმნის პროცესში მეტად მნიშვნელოვანი და სპეციფიკური როლი აკისრია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ზოგადი მიმოხილვისას აღვნიშნეთ, რომ, მართალია, იგი არ ქმნის ნორმებს, მაგრამ უფლებამოსილია არაკონსტიტუციურად ცნოს და ამ საფუძვლით გააუქმოს ნორმატიული აქტი, კონსტიტუციასთან ნორმატიული აქტის შესაბამისობისა თუ შეუსაბამობის დადგენით კი ფაქტობრივად იძლევა ნორმის განმარტებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლების არც ერთ ორგანოს არა აქვს კანონის ნორმის განმარტების უფლება, გასაგები ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული როლი კანონმდებლობის შექმნის პროცესში. ამ პროცესში გარკვეულ როლს ასრულებენ საერთო სასამართლოებიც.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად [12 (მუხლი 19)]

„საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს:

- ა) საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის,<sup>62</sup> საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი;
- ბ) დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე;
- გ) მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი;
- დ) დავა რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის გამო;
- ე) საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;
- ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი;

62 ამ კანონის მიღების შემდეგ შეიცვალა [2]-ის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი – პარლამენტს უფლება მიეცა, გარდა რეგლამენტისა, მიეღო ნორმატიული ხასიათის სხვა დადგენილებაც. შესაბამისი ცვლილება უნდა შეეღწესა ამ კანონშიც. სახელდობრ, აუცილებელია, რომ აქ ჩაემატოს სიტყვები: „და ნორმატიული ხასიათის სხვა დადგენილების“.



- ზ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხში [1 (მუხლი 89.1)]
- თ) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი“.

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელისა და კონსტიტუციური წარდგინების შეტანის უფლების მქონე პირთა წრე ზოგადად კონსტიტუციით არის განსაზღვრული [1 (მუხლი 89.1)] ესენია: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მესუთედი, სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, სახალხო დამცველი და მოქალაქე. კონკრეტულად კი, ვის რა საკითხზე აქვს სარჩელისა თუ წარდგინების შეტანის უფლება, განსაზღვრულია ორგანული კანონით [12 (მუხლები: 33–42)].

საქმის არსებითად განხილვის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან მისი უარყოფისა და გადაწყვეტილების ან დასკვნის სამართლებრივი შედეგების შესახებ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი; მტკიცებულებანი, რომლებსაც ეფუძნება საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნები; მოტივები, რომლებითაც საკონსტიტუციო სასამართლო უარყოფს საწინააღმდეგო მოსაზრებას ან მტკიცებულებას; საქართველოს კონსტიტუციის ნორმები (დებულებები), რომლებსაც შეესაბამება ან არ შეესაბამება სადავო აქტი.

სწორედ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი შეიცავს ნორმატიული აქტის ამა თუ იმ ნორმისა და კონსტიტუციის შესაბამისი დებულების ფაქტობრივ განმარტებას, სარეზოლუციო ნაწილი კი – ამის საფუძველზე მიღებულ დადგენილებას.

„საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“ [1 (მუხლი 89.2)].





უნდა აღინიშნოს საერთო სასამართლოების როლი საკანონმდებლო პროცესში. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანიზაციის კანონის თანახმად [18 (მუხლი 7)]

„2. თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განაგრძდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.“

3. თუ საქმის განხილველი სასამართლო მიიჩნევს, რომ კონსტიტუციას არ შეესაბამება კანონი<sup>63</sup> ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კონსტიტუციის შესაბამისად“.

ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული დასკვნის გამოტანისას სასამართლო, მართალია, ვერ აუქმებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ნორმას, რომელიც მან კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნია, მაგრამ გადაწყვეტილებას იღებს კონსტიტუციის და არა ამ ნორმის შესაბამისად.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა პრობლემურად აქცევს სამართლის ერთგვაროვანი გამოყენების პრინციპის დაცვას, ვინაიდან ჩვენი სასამართლო პრეცედენტი აღიარებული არ არის სამართლის წყაროდ. ჩვენი აზრით, აუცილებელია დაწესდეს ნორმა, რომელიც შესაძლებელს გახდის კონსტიტუციასთან შეუსაბამო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გაუქმებას და არა მხოლოდ მის უგულებელყოფას.

63 ამ წინადადებიდან ამოსაღებია სიტყვები: „კანონი ან“, ვინაიდან კანონის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული უფლებამოსილებაა (იხ. [1 (მუხლი 89.1.ა)]).



## 16. „ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა“ ცნების გაგებისათვის

საქართველოს  
სტრატეგიული  
კვლევების  
ცენტრი

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, მე-2 პუნქტი კი ადგენს, რომ

„ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება“.

ეს საკითხები ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. უფრო მეტიც, განსაზღვრული არ არის, რას ნიშნავს ცნება „ერთობლივი გამგებლობა“. ამ საკითხის განმარტება მით უფრო საშურია, რომ უახლოესი წარსულიდან ჯერ კიდევ შემორჩენილია ამ ცნების მცდარი გაგება. სახელდობრ, „ერთობლივი გამგებლობა“ არცთუ იშვიათად ესმით როგორც ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა (ერთი და იმავე ან სხვადასხვა დონის ორგანოთა) მიერ საკითხის ერთობლივად, ან ერთ-ერთის მიერ მეთორმეტან შეთანხმებით, გადაწყვეტა.

„ერთობლივი გამგებლობის“ ცნების გაგება უშუალოდ უკავშირდება უფლებამოსილებათა გამოყენების კონსტიტუციურ პრინციპს. ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა კონსტიტუციაში ამ ცნების გამოყენების ადგილი, სახელდობრ, მე-3 მუხლი. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, კონსტიტუციური კანონით უნდა განისაზღვროს ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა და ხელისუფლების შესაბამის ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, ხოლო ორგანული კანონით – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები. ყველაფერი, რაც დარჩება, იქნება სწორედ „ერთობლივ გამგებლობას“ მიკუთვნებული საკითხები.

ერთობლივ გამგებლობაში არსებულ საკითხთა გადაწყვეტის წესს საფუძველად უნდა დაედოს სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი: ხელისუფლებას მხოლოდ ის უფლებები აქვს,



რომლებსაც მას კანონი ანიჭებს. მაშასადამე, ეს წესი კანონიერად და განისაზღვროს. იგი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შეიძლება მხოლოდ იმ საკითხთა გადაწყვეტის უფლება მიეცეთ, რომლებიც მათ განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება, ყველა დანარჩენი საკითხის გადაწყვეტა კი ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ხელში დარჩეს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა დამახასიათებელია ძლიერად ცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოსთვის. ჩვენი აზრით, უფრო სწორი და სახელმწიფოს მოწყობის თანამედროვე ტენდენციის შესაბამისი იქნება საკითხის შემდეგნაირად გადაწყვეტა:

ერთობლივ გამგებლობაში არსებულ საკითხთა გადაწყვეტის უფლება აქვთ როგორც ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს, ისე ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას. თუ ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ასეთ საკითხზე ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) შემდგომ ეს საკითხი სხვაგვარად მოწესრიგდა საქართველოს კანონით, აღნიშნული ნორმატიული აქტი ძალას კარგავს და მოქმედებს საქართველოს კანონი.

\* \* \*

განხილული მასალიდან ჩანს, რომ კანონმდებლობის შექმნის პროცესი ზოგადად სწორად და საკმაოდ სრულად არის რეგლამენტირებული. მაგრამ შესაბამისი ნორმატიული აქტები შეიცავენ მთელ რიგ წინააღმდეგობრივ დებულებებს, არის „თეთრი ლაქებიც“. ამის გამოსწორება რთული არ არის და აღუკლებელია დროულად მოგვარდეს, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო არასასურველი შედეგები. რაც შეეხება კანონმდებლობის შექმნის იდეოლოგიურ მხარესა და მის შუქ-ჩრდილებს, ეს ცალკე თემაა. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ზოგიერთ სფეროში იგი შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ მოთხოვნებს, ზოგში კი, განსაკუთრებით მმართველობისა და ეკონომიკის სფეროებში, არაოპტიმალური და საკმაოდ ეკლექტიკური ხასიათისაა.

თავი IV

კანონმდებლობის თეორია,  
მეთოდика და  
საკანონმდებლო ტექნიკა




## 1. კანონმდებლობის თეორია თანამედროვე დასავლეთში – ძირითადი მიმართულებები და განვითარების პერსპექტივები

კანონმდებლობის თეორია მიეკუთვნება ერთ-ერთ ყველაზე უფრო „ახალგაზრდა“ მიმართულებათა რიცხვს თანამედროვე დასავლეთის იურიდიულ ლიტერატურაში. კანონშემოქმედებითი პრობლემები ამ საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისამდე არ გამხდარა სერიოზული კვლევის საგანი იურისტთა სამეცნიერო წრეებში. შემოადინებულ პერიოდამდე იურიდიული მეცნიერება არსებითად იყო სამართლის შეფარდების დოგმატიკა, რომელიც ორიენტირებული იყო არსებული „მზა“ კანონების ფორმალურ-იურიდიულ ანალიზზე. რაც შეეხება საკანონმდებლო ტექნიკის, კანონთა შემუშავების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, იგი შედარებით ჩრდილში იყო მოქცეული.

მდგომარეობა კარდინალურად იცვლება 70-იანი წლების დასაწყისიდან. ამ დროიდან კანონმდებლობის შესახებ გაშლილმა დისკუსიამ, დასავლეთში ფართო ხასიათი შეიძინა. მასში აქტიურად ჩაებნენ არა მარტო იურიდიული წრეების წარმომადგენლები, არამედ აგრეთვე ლინგვისტები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები... კანონმდებლობის საკითხების მონოდისციპლინური და ტრადიციული მიმართულებებით კვლევამ დაადასტურა, რომ სამართლის ნორმების სოციალურ კონტექსტში განხილვის, მათი შინაარსის სხვადასხვა დონეების ანალიზის გარეშე შეუძლებელია კანონშემოქმედების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობების სისტემური, კონცეპტუალური ანალიზი.

საკითხთა წრე, რომელსაც სამართალშემოქმედების პროცესი მოიცავს, მეტად ფართოა. შესაბამისად კანონმდებლობის თეორიის, კანონმდებლობის შესახებ მოძღვრების საგნად მიჩნეულია არა მარტო სამართლის ნორმები, არამედ ის სოციალური რეალობაც,



რომლითაც დეტერმინირებულია კანონი და ამავდროულად რომლის რეგულირებასაც ისახავს იგი მიზნად. ნორმა და სურამდელი ფაქტობრივი მდგომარეობა და იურიდიული შედეგი, სამართლის რეგულირების საგანი, იურიდიული პოზიტივიზმი – ფაქტობრივი ეფექტიანობა, იურიდიული დოგმატიკა, სამართლებრივი პოლიტიკა, საკანონმდებლო აქტი – პოლიტიკური ინტერესების პარტიულ-ტაქტიკური მოტივაცია... ეს არის საკითხთა ის არასრული წრე, რომლებიც საბოლოო ანგარიშით გვაძლევენ სისტემურ მოძღვრებას კანონმდებლობის შესახებ.

კანონმდებლობის თეორია, როგორც მეცნიერული დისციპლინა, არის პრაქტიკაზე ორიენტირებული მეცნიერება. როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერება, იგი აერთიანებს ემპირიულ, სოციალურ-თეორიულ და ნორმატიულ დონეებს. ასევე საკმაოდ რთულია თვით კანონშემოქმედების პროცესის ბუნება. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის ავტორი, ჰუბერი, კანონშემოქმედების პროცესში გამოყოფდა მოტივირების, ფორმულირება-ჩამოყალიბების და რეალიზაციის სამ განსხვავებულ ტიპს. ესენია:

1. ინსტიტუტურ-პრიმიტიულ-ინტუიციური;
2. ავტორიტარულ-შაბლონურ-ფორმალისტული;
3. ორგანულ-საკულაციურ-ინტელექტუალური.

აღსანიშნავია, რომ ეს დაყოფა არ ხდება ქრონოლოგიურ საფუძველზე. მასადაამე, მოცემულ კლასიფიკაციას ვერ მივიჩნევთ კანონშემოქმედებითი საქმიანობის განვითარების სტადიებად. თითოეული ამ ტიპათგანი შეიძლება დროში ერთდროულად თანაარსებობდნენ. უფრო მეტიც, ისინი შეიძლება კანონმდებლობაში ერთდროულადაც იყვნენ რეალიზებული.


დღეისათვის კანონმდებლობისადმი მიძღვნილი ნაშრომების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ხუთი ძირითადი მიმართულება კანონმდებლობის თეორიაში:


- 1) ეს მიმართულება რეფლექსურად იკვლევს კანონმდებლობის შესახებ ცოდნის მეცნიერული ანალიზის საკითხებს (მოძღვრება კანონმდებლობის შესახებ);
- 2) ამ ასპექტში იგი იკვლევს ძირითად ცნებებსა და წარმოდგენებს ნორმაზე, კანონსა და კანონმდებლობაზე (კანონმდებლობის ანალიზი);
- 3) შეისწავლის საკანონმდებლო ორგანოს, საკანონმდებლო პროცესს და ამავდროს მათი მართვისა და მათზე ზეგავლენის საკითხებს (საკანონმდებლო ტაქტიკა);

- 4) საკანონმდებლო მეთოდის, რომელიც ეწევა „კარგი“, „სწორი“, „სრულყოფილი“, „ეფექტიანი“ კანონების კვლევას; **ქართული**
- 5) საკანონმდებლო ტექნიკა, რომელიც აანალიზებს **ქართული** შემუშავებას, მათ სტრუქტურას, ენას და ა. შ. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით „საკანონმდებლო ტექნიკის“ ცნების საკითხი დღემდე სადავოდაა მიჩნეული იურიდიულ მეცნიერებაში).

თანამედროვე დასავლეთში კანონმდებლობის თეორია გაგებულა როგორც საკანონმდებლო პრაქტიკის მეცნიერული თეორია. სქემატურად მისი შემადგენელი ნაწილები წარმოდგენილია შემდეგნაირად.

კანონმდებლობის თეორიის შემადგენელი ელემენტები





კანონმდებლობის თეორიის ძირითადი პრობლემები

სფერო	საგანი	
კანონმდებლობა, როგორც მეცნიერების საგანი (კანონმდებლობის თეორია)	ცნება, სისტემა, ისტორიული შეფასების აუცილებლობა	მეცნიერულ-თეორიული, ფილოსოფია (სამართლის), ისტორიული, შედარებითი სამართლისმცოდნეობის
კანონი, როგორც სამართლის ფორმა; კანონმდებლობის ანალიზი	ნორმის – კანონის თეორია, სახელმწიფოს ფუნქციები, ხელისუფლების დანაწილება, ნორმათა სისტემა	ლოგიკა, ენათმეცნიერება, სამართლის ისტორია, კონსტიტუციის თეორია, სახელმწიფო სამართალი, პოლიტიკური მეცნიერება, კომპარატივი, სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართალი
საკანონმდებლო პროცესი (კანონმდებლობის ტექტიკა)	კანონმდებლობის უფლებამოსილი ორგანო, ორგანიზაცია, პროცესი, პროცესის სტადიები, კმდითობა, ცვლილებები კანონში	სახელმწიფო სამართალი, პოლიტიკური და ადმინისტრაციული მეცნიერებები, სახელმწიფო სამართალი, სოციალურ მეცნიერებები, პოლიტიკური და ადმინისტრაციული მეცნიერება, სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართალი
საკანონმდებლო პროცესი (კანონმდებლობის მეთოდოლოგია)	კანონმდებლობა, მეცნიერება, პოლიტიკა, საკონსტიტუციო სამართალი, ანალიზი, პროგნოზი, მიზანი, საშუალება, შეფასების და იმპლემენტაციის მეთოდები	ფილოსოფია და მეცნიერების თეორია, პოლიტიკური და ადმინისტრაციული მეცნიერება, სამართლის ფილოსოფია, შედარებითი სამართლისმცოდნეობა, სოციალური მეცნიერება (განსაკუთრებით მართვის მეცნიერება)
კანონის სტრუქტურა და ენა	კანონის ადრესატი, სისტემატიკა, გამოკვეთება, აზლის შემუშავება	სამართლის თეორია, კონსტიტუციური სამართალი, სოციალური მეცნიერება, სამართლის დოგმატიკა და მეთოდოლოგია, ნორმა, ლოგიკა, ენათმეცნიერება, ინფორმატიკა, პოლიტიკა



კანონმდებლობის თეორია არის ინტერდისციპლინური მეცნიერება. ზემოთ მოყვანილი სქემიდან ნათლად ჩანს, რომ იგი განსაზღვრულია კუთრებით მჭიდრო კავშირშია სოციალურ მეცნიერებებთან. მართლმეტყველებით რეგულირების სოციალური, პოლიტიკური და სხვა ფაქტობრივ წინამძღვრების სისტემური ანალიზი, ასევე თვით ნორმის პოლიტიკური, სოციალური და სხვა სახის მოქმედებათა შესწავლა შეუძლებელია იმ სოციალური რეალობისაგან იზოლირებულად, სადაც კანონმდებლობის სისტემა მოქმედებს. ნორმათშემოქმედებით პროცესში ცალკეული ურთიერთობების მოწესრიგებისას სამართლის ისტორიას და შედარებით სამართლისმცოდნეობას შეუძლია მეტად მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა. იგივე შეიძლება ითქვას ფორმალურ მეცნიერებებზე (აქ ძირითადად მხედველობაშია კომპიუტერული ტექნიკა), ენათმეცნიერებაზე, ფსიქოლოგიაზე, გამოყენებით მეცნიერებებზე (დაგვეგმვისა და გადაწყვეტილებათა მიღების თეორიები) და ა. შ.

კანონმდებლობის თეორია, როგორც ახალი მეცნიერება, ერთგვარი კორელაციაა მართვის შესახებ თეორიისა და სამართალშემოქმედების თეორიისა. ის ძალიან პრაქტიკული გახდა – უკვე არ ესწრაფვის „იდეალურ“ კანონს, ცდილობს „შედარებით კარგი“ კანონის ჩამოყალიბება უზრუნველყოს „წარმატებული“ კანონის ფორმით. შედარებით ახალი მეცნიერების ღირებულება ჩანს არა იმდენად მის თეორიულ დებულებებში, რამდენად სინამდვილის ნორმატიული მოწესრიგების პრაქტიკულ შედეგებში. კანონმდებლობის თეორიამ ეს ცალკეული კანონების მაგალითზე უნდა დაადასტუროს. რამდენადაც იგი ქმნის, გარკვეული აზრით, ზოგად ნაწილს, რომლის ძირითადი დებულებები შემდგომში აუცილებელ კონკრეტულ საჭიროებებს.

## 2. კანონმდებლობის თეორიის ისტორიული განვითარება

1. პირველი ნაშრომები კანონმდებლობის თეორიაში (გერმანულენოვან ქვეყნებში)

„კარგი“ კანონების შექმნის წესებისა და ზოგადი მეთოდების შესახებ ლექციების კურსი იკითხებოდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში პალესა და (ოდერის) ფრანკფურტის უნივერსიტეტებში.



ამასთანავე, ბუნებითი სამართლის გავლენით, ამ საუნივერსიტეტო კურსებში განსაკუთრებული აქცენტი იყო გადატანა კანონის „გონიერულობაზე“ ე. ი. ეს არ იყო მარტოოდენ სამართლებრივი ნონმდებლო ტექნიკაზე. პრუსიის სახელმწიფოს კანონმდებლის ერთ-ერთი ფუძემდებელი კარლ გოტლიბ სუარეში ისმენდა ამ ლექციებს. მოგვიანებით თავის ნაწარმოებებსა და ლექციებში ის დიდ ადგილს უთმობდა კანონმდებლობის საკითხებს, ისევე როგორც ფრანც ფონ ცვილერი, ავსტრიის სამოქალაქო კანონმდებლობის შემოქმედი. შემდგომში ტიბოსა და სავინის შორის გამართულმა დავამ გერმანული ეროვნული კანონთა წიგნის აუცილებლობისა თუ შეუძლებლობის გამო, დიდი იმპულსი მისცა კანონმდებლობის შესახებ მეცნიერების განვითარებას.

სამართლებრივ სახელმწიფოში კანონმდებლობის თეორიის განვითარებაში განსაკუთრებით დიდია რობერტ ფონ მოლის დამსახურება.

გერმანული სამოქალაქო კოდექსის შექმნამ და თითქმის საუკუნის განმავლობაში მიმდინარე სისხლის სამართლის რეფორმამ ისევ გაააქტიურა გამოკვლევები კანონმდებლობის ტექნიკის სფეროში. განსაკუთრებით აღსანიშნავია შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის შემოქმედის ეგენი ჰუბერის ნაწარმოებები კანონმდებლობის საკითხებზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურა საერთოდ კანონმდებლობასა და, კერძოდ, საკანონმდებლო ტექნიკაზე, მეტად მცირეა. იმ პერიოდში გაბატონებული იურიდიული პოზიტივიზმი ყურადღებას ამახვილებს უკვე მიღებული, მოქმედი კანონებისა და მათი შინაგანი პრინციპების ფორმალურ-დოგმატიკურ ანალიზზე. ცალკეული გამონაკლისების გარდა, ამ პერიოდის ლიტერატურა ეძღვნება კანონმდებლობის ტექნიკის ვიწრო, სიტყვასიტყვით განმარტებას და არა მის ანალიზს ფართო სოციალურ კონტექსტში.



### 3. კანონმდებლობის თეორია თანამედროვე ეტაპზე


#### გერმანია

როგორც იურისპრუდენციის ნაწილი, კანონმდებლობის თეორია გერმანიაში დაახლოებით 20 წლის წინათ ჩამოყალიბდა. გერმანელი სწავლული იურისტების აზრით, სამართლის მეცნიერება საკმაოდ დიდხანს გაგებული იყო როგორც სამართლის შეფარდების მეცნიერება. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იურიდიული განათლების სისტემაში – დღემდე უნივერსიტეტები ამზადებენ სამართლის შემფარდებლებს და არა სამართალშემოქმედებს. სტუდენტთა იურიდიული თვალსაწიერი, არსებითად, შეზღუდული იყო მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელების, სამართლის ნორმის განმარტებისა და შეფარდების ფუნქციით. იურიდიულ პოზიტივიზმის გავლენით შეიქმნა ისეთი კურიოზული სიტუაცია, როდესაც იურისტებმა არსებითად ყურადღების მიღმა დატოვეს კანონმდებლობა. კანონმდებლობისადმი ასეთ დამოკიდებულებას საფუძვლად ედო შიში, თითქოს იურიდიული მეცნიერება დაკარგავდა მეცნიერულ ობიექტურობას, როგორც კი გადავიდოდა სამართალშემოქმედების საკითხების დამუშავებაზე. იურიდიული მეცნიერების „სინფინდისათვის“ მებრძოლ პოზიტივისტთა აზრით, სამართლის მეცნიერება უმაღლეს „პოლიტიკური“ გახდებოდა, როგორც კი მისი კვლევის საგანი კანონშემოქმედების პროცესში წარმომოხილი ურთიერთობები გახდებოდა.

მდგომარეობა კარდინალურად იცვლება 30-იანი წლებიდან, როდესაც შესაძინევი ხდება იურიდიული რეალიზმის განმტკიცება. ამ მიმდინარეობამ ერთმანეთს დაუახლოვა ნორმა და სინამდვილე (მაშინ როცა იურიდიულმა პოზიტივიზმმა ერთმანეთისაგან გამოიჯნა ნორმა და სამართლებრივი რეალობა), გზა გაუკაფა სამართლებრივ პოლიტიკას, ხელშემწყობი პირობები შეუქმნა კანონმდებლობის თეორიის განვითარებისას.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში კანონმდებლობის საკითხებზე ფართო დისკუსია გაიშალა 70-იან წლებში.

საკანონმდებლო ტექნიკის, კანონშემოქმედებითი პროცესის სრულიად ახლებურ ასპექტში განხილვა შეეხო იურიდიული განათლების სისტემასაც. 1971 წელს გერმანიაში განხორციელებული იურიდიული განათლების რეფორმის პროცესში შეიქმნა განსა-



კუთრებით ხელშემწყობი პირობები კანონმდებლობის ექსპერტების მოსამზადებლად, რომელთაც შეეძლოთ კანონის საერთაშორისოდ მომზადება და „გაკეთება“.

70-იანი წლების დასაწყისიდან, შეიძლება ითქვას, სათავეს იღებს ერთგვარი ოქროს ხანა კანონმდებლობის თეორიის განვითარებაში. მარტო ამ პერიოდში გამოიცა 20-მდე კრებული და მონოგრაფია კანონმდებლობის საკითხებზე. 1970 წელს დაარსდა ბონის სამართლებრივი პოლიტიკის კავშირი (გაერთიანება). გერმანიის სახელმწიფო მმართველობის ფედერალურ აკადემიაში 1976 წლიდან ისწავლება საპედაგოგიური სასწავლო კურსი – მოძღვრება კანონმდებლობის შესახებ. აღნიშნული აკადემიის ხელშემწყობითვე შვეიცარიის სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს სკოლაში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც ახორციელებს კანონპროექტების წინასწარ ექსპერტიზას; კანონმდებლობის საკითხებზე გამოდის რამდენიმე ჟურნალი, ყალიბდება გერმანიის კანონმდებლობის ხელშემწყობი საზოგადოება და სხვ.

### ავსტრია

კანონმდებლობის თეორია ავსტრიაში, ისევე როგორც შვეიცარიაში, ვითარდებოდა გერმანულ მოძღვრებასთან მჭიდრო კავშირში. ზოგჯერ ლაპარაკობენ კანონმდებლობის თეორიის „ავსტრიულ აქცენტებზე“, მხედველობაში აქვთ რა ის გარემოება, რომ კანონმდებლობის საკითხებისადმი მიძღვნილ მთელ რიგ კონფერენციებსა და სემინარებს სათავე სწორედ ავსტრიაში დაედო. რა თქმა უნდა, ავსტრიული მოძღვრების სპეციფიკურობა და ინდივიდუალობა მარტოოდენ შემოაღნიშნული გეოგრაფიული მომენტით არ განისაზღვრება.

კანონმდებლობის საკითხებისადმი მეცნიერული ინტერესი ავსტრიაში განსაკუთრებით ძლიერდება 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან. 1979 წელს ავსტრიის იურისტთა კავშირი თავის სხდომას მთლიანად უძღვნის კანონმდებლობის საკითხთა კვლევას. იმავე წელს სამართლისა და სოციალური ფილოსოფიის საერთაშორისო გაერთიანება თავის სიმპოზიუმზე განიხილავს კანონმდებლობის საკითხებს. ამავე გაერთიანების ინიციატივით 1980 წელს ეწყობა სიმპოზიუმი თემაზე „კანონმდებლობის დაგეგმვა“, 1982 წელს ყალიბდება ავსტრიის კანონმდებლობის ხელშემწყობი საზოგადოება, რომელიც სამართლისა და სოციალური ფილოსოფიის საერთაშორისო გაერთიანებასთან ერთად აწყობს სიმპოზიუმს თემაზე „კა-

ნონმდებლობა და კომპიუტერი". იმავე წელს ისევ ავსტრიაში, ნიშნულზე დასაყრდენად, თემა საერთაშორისო სემინარი თემაზე „კანონმდებლობის რეკონსტრუქცია ნალიზაცია“. 1985 წელს ვენაში მოიწვიეს სიმპოზიუმი თემაზე „სამართალი და ენა“.

კანონმემოქმედების პრობლემებისადმი მიძღვნილი თითოეული ამ კონფერენციისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო აქტიური დიალოგი მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს შორის, თეორიისა და პრაქტიკის განუყრელი კავშირი.

როდესაც ლაპარაკია კანონმდებლობის შესახებ მეცნიერებაში შეტანილ ავსტრიის წვლილზე, ავსტრიელი ავტორები არ ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ კანონმდებლობის თეორიის განვითარება პრონოლოგიურად უკავშირდება იურიდიული რეალიზმის განმტკიცებასა და სოციალური მეცნიერებების ფართო განვითარებას. ყოველ შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ ავსტრიისათვის ეს თეზისი მხოლოდ ნაწილობრივია სწორი. სოციალურ მეცნიერებათა უშუალო გაგენა ავსტრიაში კანონმდებლობის თეორიის განვითარებაზე ყოველთვის შედარებით მცირე მნიშვნელობისა იყო.

ამასთანავე ავსტრიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ სოციალური მეცნიერებების მიერ გამოყენებულ ცოდნასა და მეთოდებს განსაზღვრული ადგილი უჭირავთ კანონმდებლობის შესახებ მეცნიერებაში და რომ ცალკეულ საკითხებს პასუხი შეიძლება გაეცეს მხოლოდ სოციალურ-ემპირიული გამოკვლევების საფუძველზე. ამის მაგალითია ქვემო ავსტრიის მხარის მთავრობის პროექტი, რომელიც სოციო-ლინგვისტებთან ერთად შემუშავდა კანონთა ტექსტის გაგების პამბურგის მოდელის საფუძველზე. ამ პროექტის მიზანი იყო საყოველთაოდ გასაგები კანონთა ტექსტების ფორმულირება.

ამავე დროს ფაქტია, რომ ავსტრიაში კანონმდებლობის შესახებ გაშლილ დისკუსიაში სოციალური მეცნიერებები, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო ნაკლებად არიან წარმოდგენილი.

ავსტრიელი ავტორები ასევე მიიჩნევენ, რომ კანონმდებლობის კრიტიკული თეორია საერთოდ შესაძლებელია პოზიტივისტური, მართალია, არა წმინდა კელზენისეული, თვალსაზრისის საფუძველზე ჩამოყალიბდეს. კანონმდებლობის შესახებ ავსტრიული მეცნიერება უფრო იურიდიული ტექნიკის პრობლემატიკას შეისწავლის და ამ ორიენტაციის გამო უფრო თვალსაჩინოა მისი კავშირი ფორმალურ, ვიდრე სოციალურ მეცნიერებებთან. ასევე ავსტრიული სამართლის მეცნიერების ერთ-ერთ დამახასიათებელ



უკანასკნელ პერიოდამდე შვეიცარიის უნივერსიტეტებში კერძო კული გამოხატვისების გარდა, ნაკლებად ისწავლებოდა კანონმდებლობის თეორია. იუსტიციის ფედერალური სამინისტროს შიორ ორგანიზებულ კურსს – „ნორმატიული აქტების მეთოდური მომზადება“ – ყოველწლიურად 80-100 მონაწილე ესწრება, მათ უმრავლესობას სახელმწიფო მოხელეები შეადგენენ. კანონმდებლობის საკითხთა კვლევის განვითარებას დიდად უწყობს ხელს შვეიცარიის კანონმდებლობის ხელშემწყობი საზოგადოება (დაარსდა 1982 წ.).

### ამერიკის შპრთაშული შტატები

ჩრდილოეთ ამერიკის იურიდიულ სასწავლებლებში (Law Schools) ბევრგან ისწავლება კანონმდებლობის თეორიის კურსი. ამასთანავე აშშ-ში გვხვდება ინსტრუქციების კრებული, სადაც, შესაბამისი კაზუსებიდან გამომდინარე, განსაზღვრულია კანონის გამოცემის უფლებამოსილება, მოთხოვნები, რომლებიც წაყენებული აქვს კანონის ფორმასა და შინაარსს, მისი ინტერპრეტაციის სახეებს. ამერიკის იურიდიულ ჟურნალებში გამოქვეყნებულია უამრავი სამეცნიერო სტატია, რომლებიც შეეხება კანონპროექტის შემუშავების საკითხებს (How to draft Statutes).

ურთიერთშეთანხმების შედეგად სამართალშემოქმედების კერძო ეროვნულმა კონფერენციებმა შეიმუშავეს Standarts of American Legislation.

საკანონმდებლო პროცესის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: William Keefe, Morris S.Ogul, *American legislative process, Congress and the States* (1972) და Otto J. Hetzel, *Gegislative Law and Process* (1979).

### ღიღი ბრიტანეთი

კანონმდებლობის შესახებ მოძღვრებას დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ პობსმა, ლოკმა და ბენტამმა დაუდეს სათავე. სამართალშემოქმედებისადმი ინტერესი დიდ ბრიტანეთში უკვე 50 წელზე მეტია, რაც კონცენტრირებულია მთავრობის statutory powers-ზე. კანონმდებლობის თეორიის გამოჩენილ წარმომადგენლებს დიდ ბრიტანეთში მიეკუთვნება ლორდი Hewert თავისი ცნობილი ნაწარმოებით *The New Despotism* (1928), სერ Ivon Jennings თავისი ნაშრომით *Parliament*, რომელიც პირველად 1939 წელს დაიბეჭდა და მოგვიანებით არაერთხელ გამოიცა; სერ Carleton Allen



თავისი წიგნით *Law in the making* და *Law and Orders* (1. ed. 1945, 3. ed. 1965) და სერ Gecil Carr თავისი განთქმული ნაშრომით *Concerning English Administrative Law* (1941).

კანონშემოქმედებითი საქმიანობა დიდ ბრიტანეთში, მიუხედავად გარკვეული შემზღუდველი ღონისძიებებისა, მაინც იზრდება. დაწერილმა სამართალმა (Acts of Parliament, statutory instruments) თანდათან შეაფაროვა ჩვეულებითი სამართალი (Common Law). სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებას შეეხებოდა ინსტრუქციები – დაწყებული Committee on Minister's Powers ანგარიშით (1932) დაწყებული და დამთავრებული Report des Select Committee on Delegate Legislation და The Preparation of Legislation-ით (1975). ბრიტანეთის იურიდიულ სამეცნიერო წრეებში აღიარებულია, რომ დელეგირებული და სუბ-დელეგირებული სამართალშემოქმედება თანდათან იჭერს კუთვნილ ადგილს თანამედროვე სახელმწიფოში. შესაბამისად დიდია მათდამი მეცნიერული ინტერესიც.

#### საფრანგეთი

თუ დიდ ბრიტანეთში მთავრობის Delegated Legislation დღემდე პარლამენტის კონტროლს ექვემდებარება, საფრანგეთში უროვნულ კრებას ჩამოეჭრა საკანონმდებლო უფლებამოსილებათა საკმაოდ ფართო წრე და კონსტიტუციის თანახმად მთავრობა პასუხისმგებელი გახდა თავისი დამოუკიდებელი ნორმატიული აქტებისათვის. მიუხედავად ამისა, ამ ფუნდამენტურმა ცვლილებამ ვერ პოვა სათანადო ასახვა ფრანგულ ლიტერატურაში. კანონმდებლობის ზოგადი საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა საფრანგეთში საკმაოდ მცირეა (მხოლოდ 27 სტატია, თუზისი და კომენტარი მთელი 20 წლის განმავლობაში!). ძირითადად იგი ამოიწურება კონსტიტუციურ-სამართლებრივი კომპონენტების აღწერით და Conseil constitutionnel და Conseil d'Etat გადაწყვეტილებათა კომენტარებით. თუ არ ჩავთვლით Francois Geny-ის ცნობილ ნაწარმოებებს *La technique Legislative dans La codification Civile moderne* (4 ტომად 1914-1924 წწ.) და Jen Gabin-ის პატარა ნაშრომს *La technique de l'elaboration du droit positif* (1935), ფრანგული სახელმძღვანელოები საკონსტიტუციო სამართალში დღემდე იზღუდებიან პოზიტიური საკონსტიტუციო სამართლის აღწერითა და იმ გადაწყვეტილებათა ჩამონათვალთ, რომლებშიც ლაპარაკია საპარლამენტო კანონმდებლობისა და სამთავრობო რეგლამენტაცი-



ის სფეროთა გამოყვანაზე. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ კანონმდებლობის თეორიისადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფიული ფრანგულ ენაზე 1985 წელს გამოიცა.

#### 4. კანონმდებლობის მეთოდოლოგია

კანონმდებლობის მეთოდოლოგია მოიცავს სამართალშემოქმედების პროცესის მხოლოდ რაციონალურ ნაწილს. ის არაა მოწოდებული აჩვენოს, თუ რომელი კანონია „სწორი“ ან რომელი გადაწყვეტილებაა „მართებული“. კანონმდებლობის მეთოდოლოგია ერთგვარად ინერტულია კანონის შინაარსისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი წმინდა იდეოლოგიური ხასიათის მქონე და არამეცნიერული შინაარსის მატარებელი მოძღვრება იქნებოდა. კანონმდებლობის მეთოდოლოგია არ ეწევა ღირებულებით ანალიზს – ის არ არის აქსიოლოგია. იგი მხოლოდ არკვევს, თუ რამდენად გამოსადეგია არჩეული საშუალებები ამა თუ იმ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.<sup>1</sup>

კანონმდებლობის მეთოდოლოგია ახდენს არა მარტო უკვე მოცემული სოციალური სინამდვილის რაციონალურ ანალიზს, არამედ ასრულებს სოციალური პროგნოზირების ფუნქციასაც – შეისწავლის კანონპროექტების ექსპერტიზის, მოსალოდნელი შედეგების, კანონთა ეფექტიანობის საკითხებს. ამ მიზნით კანონმდებლობის თეორია ფართოდ გამოიყენებს ლოგიკის, შემეცნების, სამართლისა და სოციალური ფილოსოფიის, მონაცემთა დამუშავების, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მეცნიერულ თეორიებს.

კანონმდებლობა, საბოლოოდ, მაინც პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. კანონშემოქმედების პროცესზე გავლენას ახდენს უამრავი მოტივი. თვით კანონმდებლობაც გარკვეული ინტეგრაციული მუხტის მქონეა – კომპრომისისათვის იძულება კანონის ერთ-ერთი ფუნქციაა.

1 Th. ÖHLINGER: Zur Theorie der Gesetzgebung. – J. Mohrke / O. Weinberger (Red.) *Rechtsphilosophie und Gesetzgebung*, S. 79 ff, Wien, 1976. ამ შეხედულებას არ ეთანხმება პროფ. კარპენი, რომელიც მიიჩნევს, რომ კანონმდებლობის მეთოდოლოგია არკვევს, თუ როგორ შეიძლება მიღწეულ იქნეს შინაარსობრივად „კარგი“ და „მართებული“ საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მიღება. იხ: ULRICH KARPEN: Zum gegenwärtigen Stand der Gesetzgebungslehre in der Bundesrepublik Deutschland. – *Zeitschrift für Gesetzgebung*, 1. Jahrg, S. 25, 1986.



მაგრამ კანონშემოქმედებითი პროცესი არაა მარტოოდენ რაციონალურ-ოპტიმალური პროცესი:

– კანონშემოქმედებითი პროცესი არის გადაწყვეტილების და არა შემეცნების პროცესი;

– დებულებები არიან ხალხის წარმომადგენლები, და არაა სავალდებულო ისინი აუცილებლად იყვნენ საკანონმდებლო ტექნიკის საკითხებში კარგად გათვითცნობიერებული სპეციალისტები;

– პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებას პოულობს არა თავის ფაქტობრივ სისწორესა და სინამდვილესთან შესაბამისობაში, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით;

– ამ მხრივ დემოკრატიული უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის არა ფაქტობრივად სწორის, არამედ კომპრომისის უნარის რეალიზაცია.

ზემოაღნიშნული არ გულისხმობს რაიმე კატეგორიულ დაპირისპირებას დემოკრატიის პრინციპებსა და კანონმდებლობის მეცნიერულ ბუნებას შორის. დემოკრატიული პრინციპი გთავაზობს საჯარო და ტოლერანტული დისკუსიის იმავე პროცესებს, რომლებიც ასევე საფუძვლად უნდა ედოს რაციონალურ მეცნიერებას კანონმდებლობის შესახებ. ეს თეზისი ამავე დროს ნათელს ჰფენს კანონმდებლობის თეორიის სტატუსს – ის შეიძლება იყოს დესკრიფციული ან პრესკრიფციული, მაგრამ არა ნორმატიული. ნორმატიულია მხოლოდ კონსტიტუცია. კანონთა ლეგიტიმურობა გამომდინარეობს დემოკრატიული გადაწყვეტილებებიდან და ძირითადი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობიდან.

კანონმდებლობის მეთოდოლოგიის საფუძველზე დამუშავებულია კანონშემოქმედებითი საქმიანობის ძირითადი ფაზები. საკანონმდებლო პროცესში ლოგიკურად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ფაზები:

- 1) პრობლემის დასმა;
- 2) პრობლემის განსაზღვრა იმ წინააღმდეგობის ანალიზის მიხედვით, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების ნებას, სურვილსა და მისი წევრების ფაქტობრივ ქცევას შორის;
- 3) მიზნის განსაზღვრა;
- 4) ფაქტების ანალიზი;
- 5) ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა შემუშავება (კერძოდ, დასახული მიზნის მიღწევისათვის არჩეული საშუალებების ჩათვლით);
- 6) იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამება არჩეული საშუალება დასახულ მიზანს;



7) საშუალების არჩევა;

8) მიღებული გადაწყვეტილების საბოლოო შეფასება.

კანონმდებლობის მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანესი ფუნქციონირების პროცესში სისტემური წესრიგის, კონსტიტუციური აზროვნების წესის დანერგვა. კანონმდებლობის სისტემის თვალსაზრისით საინტერესოა დასავლეთის იურიდიულ ლიტერატურაში შემუშავებული რეკომენდაციები. პროფ. ვალტერ ჰუგო გვთავაზობს შემდეგ თეზისებს, რომლებმაც, ავტორის აზრით, ხელი უნდა შეუწყონ შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევას კანონმდებლობის სისტემაში:

– საკანონმდებლო სტრატეგიის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მთლიანად მართლწესრიგი ერთიან სისტემაში;

– კანონშემოქმედების პროცესში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე. მასალები, ვერ კიდევ მოსამზადებელი სამუშაოების პროცესში, სრული მოცულობით უნდა იყოს ღია კრიტიკისათვის, კერძოდ, მეცნიერული კრიტიკისათვისაც. სამართალშემოქმედების საწყისი სტადიიდანვე საჭიროა მეცნიერ-ექსპერტებთან მუდმივი თანამშრომლობა;

– ყოველი აქტის გამოცემისას უნდა ვესწრაფვოდეთ იმას, რომ დაცული იყოს წინადადებების, იურიდიული ცნებებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების ლოგიკური თანამიმდევრულობა; სასურველია სოციალურ ურთიერთობათა სფეროები, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად იყოს კოდიფიცირებული;

– სამართლის ნორმა მისი ადრესატისათვის ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს. ქცევის წესი უნდა გადმოიცეს ნათლად და ზუსტად, ჩამოყალიბდეს მარტივად და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, საყოველთაო ენობრივ მიმოქცევაში არსებული ფორმებით. მაქსიმალურად გარკვეული უნდა იყოს ნორმის ადრესატთა წრე, მისი მოცულობა და ა.შ.

– თითოეული აქტი უნდა გამოქვეყნდეს ყველასათვის ხელმისაწვდომ, კანონით განსაზღვრულ ოფიციალურ ორგანოში.



## 5. საკანონმდებლო ტექნიკა

საკანონმდებლო ტექნიკა წყვეტს მიღებული გადაწყვეტილებების, კანონის შინაარსის ოპტიმალური ფორმულირების საკითხებს. თუ კანონმდებლობის მეთოდოლოგია განსაზღვრავს კანონის დინამიკურ პროცესს, საკანონმდებლო ტექნიკა შეეხება კანონთა ჩამოყალიბების შედარებით სტატიკურ და მყარ კომპონენტებს.

საკანონმდებლო ტექნიკის ხარისხის კრიტერიუმად მიჩნეულია ნორმათა თვალსაჩინოება. ნორმის თვალსაჩინოების ელემენტებია:

– ეკონომიურობის პრინციპი, რაც პირველ რიგში გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რამდენად აუცილებელია ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება;

– სისტემური წესრიგი;

– გამოქვეყნების, კანონის ტექსტის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპი.

შეცნობადობა გულისხმობს ადრესატებისათვის ნორმის გაგებადობას. მაგრამ საკითხი, თუ ვინ არის კანონის ნამდვილი ადრესატი – უბრალოდ თითოეული მოქალაქე, თუ (ან) მოხელე, მოსამართლე, სახელმწიფო მოხელე, ოურისტი, დღემდე სადავოა ლიტერატურაში. თითოეული მოქალაქის მიერ კანონის ცოდნის ფიქცია დღეისათვის უკვე ძალაში არ შეიძლება იყოს. აუცილებელია ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს ზოგადი წესები (სამოქალაქო კოდექსი, შრომის კანონთა კოდექსი), რომლებიც დემოკრატიულობის პრინციპის საფუძველზე ყველასათვის დასაძლევია და გასაგები უნდა იყოს, და სპეციალური წესები (სამრეწველო, სამხედრო, სამოსხლელო სამართალი), რომლებიც მოითხოვენ თავიანთი ადრესატების გარკვეულ ცოდნას, როგორც აუცილებელ პირობას მისი გაგებისათვის (ე. წ. ოურისტების კანონები).

საკანონმდებლო ტექნიკის ელემენტებს მიეკუთვნება:

1. მათი შინაარსის, მოცულობის, მნიშვნელობის, მოქმედების ძალის მიუხედავად, თანამედროვე კანონების გარეგანი გამოვლენის ფორმას ახასიათებს გარკვეული ერთიანობა. ეს არის: სათაური, შესავალი, პრეამბულა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა.

2. კანონი უნდა იყოს დასრულებული სისტემა. მას უნდა ახასიათებდეს ლოგიკური, ტელელოგიურ თანამიმდევრულობა და წინააღმდეგობების არარსებობა. რაც შეეხება კანონის გარეგან სისტემატურობას, აქ მხედველობაში აქვთ კანონის ტექსტში მოცემული

დებულებების ვიზუალურად თვალსაჩინო დაყოფა და კანონის სტრუქტურა.

3. კანონთა ენობრივი ფორმის სრულყოფა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დონის ამაღლებაში სიმბოლური ლოგიკის (სამართლებრივი ინფორმატიკის, იურიმეტრიის) როლი.

## 6. სამართალი და ენა

სამართლისა და ენის ურთიერთკავშირის პრობლემა აქტიური დისკუსიის თემა თანამედროვე დასავლეთის იურიდიულ ლიტერატურაში. საკითხის ინტერდისციპლინური ხასიათის გამო მას განსხვავებული ასპექტით იკვლევს მეცნიერების სხვადასხვა დარგი.

ენის პრობლემებს შეისწავლის სინტაქსი, სემიოტიკა, სემანტიკა, პერმენეტიკა, რიტორიკა, სტრუქტურის შიშ, დისკურს-კონსენსუსის თეორია, კონსტრუქტივიზმი. დასავლეთში გაავრცელებულია „ნორმალური ენის“ (Ordinary Language Philosophy) ფილოსოფია, ერთმანეთისაგან განასხვავებენ „ლოკუციონურ“ (Lokutionärer), „ილოკუციონურ“ (Illokutionärer) და „პერლოკუციონურ“ (perlokutionärer) ენობრივ აქტებს, რომლებიც ენას განიხილავენ მისი არტიკულაციის, კონსტრუქციისა და მნიშვნელობის დადგენის თვალსაზრისით; განასხვავებენ აგრეთვე „ენაობიექტს“, ე. წ. „მეტაენას“ და ა. შ.

ჩვენ ამჯერად, რა თქმა უნდა, გვინტერესებს, თუ რა კავშირია სამართალსა და ენას შორის და რა ზოგადი კანონზომიერებები ახასიათებს ამ კავშირს.

სამართალსა და ენას შორის არსებული ურთიერთკავშირის განხილვისას გამოყოფენ პრობლემის განსხვავებულ დონეებსა და ასპექტებს. ესენია: ურთიერთობა სამართლის ენასა და სამართლებრივ კულტურას შორის, სამართლის ენის სტილი, კავშირი სამართლის ენას და ბუნებრივ ენას შორის, განსხვავება კანონის ენასა და სამართლის ენას შორის; სამართლის ენის სინტაქსური, სემანტიკური და პერმენეტიკული პრობლემები; ნორმატიულის ენობრივი ფორმით გამოხატვის, ფორმულირების პრობლემა; სამართლის ენის სოციოლოგია (რომელიც შეისწავლის ურთიერთობებს სამართლის ენას, საზოგადოებასა და კულტურას შორის); სამართლის ენა სტრუქტურალისტური იურისპრუდენციის თვალსაზრისით



(რომელიც შეისწავლის, თუ როგორ ფუნქციონირებს სამართლის ენა), სამართლის ენის ფორმალისების პრობლემა (რომელიც ელექტრონული დამუშავების საკითხი) და სხვ.

ურთიერთობა იურიდიულ მეცნიერებასა და ენათმეცნიერებას შორის განეკუთვნება მარგინალურ პრობლემათა რიცხვს, რაც განპირობებულია საკანონმდებლო ფორმულირებისა და იურიდიული ტექსტების ენობრივი გამოხატვის სირთულეებით. მართალია იურისპრუდენციასა და ლინგვისტიკას ახასიათებთ გარკვეული ერთიანობა, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით დასახლებულ მეცნიერებათა განვითარება სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა.

თუ ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტი არის ენის სტრუქტურა, სამართლის მეცნიერება შეისწავლის სამართლის სტრუქტურას. სამართლის სტრუქტურა უნდა განვიხილოთ სამართლის ნორმათა, სამართლებრივ მოთხოვნათა ურთიერთდაკავშირებულ კომპლექსად, რომლებიც აფუძნებენ სამართლებრივ ურთიერთობას. თუ აქ ვიგულისხმებთ არა მარტო წერილობით (კოდიფიცირებულ) სამართალს, არამედ მასში ჩაერთავეთ ჩვეულებით სამართალსაც, სამართლის სტრუქტურა იმთავითვე გამოდის როგორც ენობრივად ფიქსირებული რეგულირების წესი, რომელიც ავგარებს ადამიანთა შორის ურთიერთობას. აღნიშნული გარემოება უკვე ახდენს უშუალო ინტეგრაციას და ამავე დროს დიფერენციაციას ენასა და სამართალს შორის: სამართალი, ამ თვალსაზრისით, შებოჭილია ენით, მისი ენობრივი გამოსახულებით, ფორმულირებით, ხოლო ენობრივი ფორმები არ არიან სამართლის სისტემით შებოჭილი.

სამართლის სისტემა ამავედროულად არის ცოდნის სისტემა, რომლის არსებობაც შემოაღნიშნული გარემოებათა გამო დამოკიდებულია ენობრივი ცოდნის სისტემებზე. ამავე დროს იგი (სამართლის სისტემა) ენობრივი ცოდნის იდენტური არაა – თუ რომელი ნორმა სამართლის რომელ დარგს განეკუთვნება, აბსოლუტურად არ არის მოცემული იმ ენის ცოდნით, რომელშიც ის (ნორმა) არის ფორმულირებული. გერმანულ ლიტერატურაში, უფრო მეტიც, საეჭვოს ხდინან ამა თუ იმ განსაზღვრული ენის წინადადებებით სამართლის ნორმათა შებოჭვის საკითხს და ამის მაგალითად ასახულებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ხშირად ფორმულირებული არიან სხვადასხვა ენაზე, ხოლო ამ ფორმულირებათა სავალდებულოობამ შეიძლება შემდგომში მრავალი ახსნა-განმარტება მოითხოვოს.


აქედან გამომდინარეობს, რომ სამართლის ნორმები არიან არა

ენობრივი გამოსახულებები, არამედ აზრობრივი სტრუქტურები, რომლებიც გამოსატყულებელი არიან ამ ენობრივი ფორმების შექმნით. ამავე დროს კომუნიკაციური ფუნქცია აქვს ენასაც და სამართალსაც. ენა კომუნიკაციურ ურთიერთობებს უზრუნველყოფს აზრობრივი სტრუქტურებით, სტრუქტურირებული სიგნალებით. სამართლის სისტემა არეგულირებს ცხოვრების განსხვავებულ სფეროებს და ამით აწესრიგებს სამართლის სუბიექტთა ურთიერთობას ერთმანეთთან და უფრო დიდ გაერთიანებასთან (სოციალუმთან). ეს წესები ფორმულირებულია ნორმატიული წინადადებებით და ბუნებრივი ენის სრულყოფილება არის წინაპირობა იმისა, რომ პრინციპში შესაძლებელია ცხოვრების ყველა სასურველი სფეროს, ყველა ურთიერთობის რეგულირება იმ გაგებით, რომ ეს ურთიერთობები შესაძლებელია მოცულ იქნენ სამართლებრივი, ნორმატიული წინადადებებით.

მოუხედავად იმისა, რომ სამართლის სისტემა ენობრივ ფორმშია მოქცეული, ცოდნა, რომელსაც ენა და სამართლის სისტემა აყალიბებენ, განსხვავებული შინაარსის და ხასიათისა არიან. ენის ცოდნა, არსებითად, იმპლიციტური ხასიათისაა, იმპლიციტური ცოდნაა. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება ილაპარაკო და გაიგო ამა თუ იმ ენაზე ისე, რომ ვერ გადმოსცე ენის გრამატიკული თუ სხვა წესები და პრინციპები.

სამართლის ნორმების ცოდნა, პირიქით, ყოველთვის არის ექსპლიციტური ცოდნა. პოზიტიური სამართლისათვის ნორმის ნათელი, ზუსტი ფორმულირება სავალდებულოც კია. სამართლის ნორმები ფორმულირებულია ექსპლიციტურად და მოქმედებენ საზოგადოების იმ წევრებისათვისაც, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით მას არ იცნობენ. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება დებულება „კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან“. ენობრივი წესები კი იმპლიციტური ხასიათის არიან და მოქმედებენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ მისდევენ გარკვეული ენობრივი გარემოს წევრები თავიანთ ენობრივ ურთიერთობებში. სამართლის ნორმების ფორმულირება შეიძლება იყოს ძალიან ბუნდოვანი და ძნელად გასაგები, მაგრამ ისინი არ შეიძლება იყოს არასრულყოფილი ან მცდარი, მაშინ როცა ენის გრამატიკის აღწერა შეიძლება იყოს არასრულყოფილი ან მცდარი (და როგორც წესი, ეს ასეცაა), ისე რომ ეს უკანასკნელნი ენის ცოდნას ზიანს არ აყენებენ.

ენობრივი ცოდნა არის იმ წესებისა და სტრუქტურების ცოდნა,



რომლებიც აწესრიგებენ ენობრივ ურთიერთობებს, ენობრივი ერთობის (გაერთიანების) შიგნით მოქმედი და წესები შექმნა მხოლოდ ენობრივ ურთიერთობებს და არაფერს. სამართლებრივი ცოდნა არის იმ წესებისა და სტრუქტურების ცოდნა, რომლებიც აწესრიგებენ არაენობრივი ურთიერთობების სფეროს და მათ საფუძვლად უდევთ ამ ურთიერთობებთან დაკავშირებული ინსტიტუტები. იმ ინსტიტუტებისა და დაწესებულებების გარეშე, რომლებიც გვევლინებიან ნორმაში მოცემული ქცევის წესის დაცვისა და შესრულების გარანტიად, ნორმა ისევე იქნებოდა სამართალი, როგორც, მაგალითად, მიმოსვლის განრიგი უმატარებლად შესარულებდა განრიგის ფუნქციას.

კავშირი სამართალსა და ენას შორის, გარდა აღნიშნული განსხვავებისა, მოიცავს მათ ურთიერთდამოკიდებულების უამრავ ელემენტს.

მიუხედავად იმისა, თუ როგორაა განმარტებული სამართლის ცნება, იურისპრუდენცია, არსებითად, ყოველთვის იკვლევს სამართლის ენობრივ გამოხატულებას, ე. ი. ეწვევა კანონის, სხვა ნორმატიული აქტების ტექსტის და სამართლის შეფარდების აქტების ანალიზს. სამართლის ტექსტების ფორმალური ანალიზის ტრადიცია, იურიდიულ დოგმატიკაში, განსაკუთრებით განავითარა ანალიტიკურმა იურისპრუდენციამ XIX საუკუნის ბრიტანეთში. გარკვეული ინდივიდუალური თავისებურებებით წარიმართა იგი კონტინენტურ ევროპაშიც. მოგვიანებით სამართლის ცნებისადმი ასეთი მიდგომა გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მისი მიმდევრები მოწყვეტილი იყვნენ სხვა მეცნიერებებსა და ფილოსოფიას. თუმცა, როგორც თანამედროვე დასავლეთის იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, იმ პერიოდში ლოგიკასა და ლინგვისტიკას თავიანთი განვითარების შედარებით დაბალი დონის გამო არც გააჩნდათ დიდი შესაძლებლობები რაიმე მნიშვნელოვანი, ლირებული შეეთავაზებინათ ანალიტიკური სამართლებრივი გამოკვლევებისათვის.

აღნიშნული სიტუაცია კარდინალურად იცვლება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე - იურიდიული ფორმალიზმის წინააღმდეგ ყალიბდება სამართლის რეალისტური სკოლა, ხდება შემობრუნება კლასიკური გერმანული ფილოსოფიისაკენ, ბუნებითი სამართლის რეველაცია. ამ საერთო ტენდენციისაგან ერთგვარად განზე დგანან ანალიტიკური იურისპრუდენცია თავისი დამახასიათებელი ბრიტანული კონსერვატიზმით და სამართლის წმინდა თეორია (მიუხედავად მისი რამდენადმე ნეოკანტიანური სახეცვლილებისა). მაგრამ





ეს საერთო სურათს ვერ ცვლის – სამართლის მეცნიერებში თარეზაზე ემპირიული, სოციალური მეცნიერებების გავლენა უფრო აშკარა ხდება. განსაკუთრებით თვალსაჩინოა იგი ჩვენთვის საინტერესო პრობლემის თვალთახედვითაც.

კერძოდ, საკითხი შეიძლება დავეყვით შემდეგნაირად: როგორ აყალიბებს ენა სამართალს?

სამართალი არის სამყარო და, როგორც ყველა სხვა სამყარო (როგორც ეს ცნობილია ვილაჰელმ ფონ ჰუმბოლდტის გამოკვლევებიდან), არის ენის პროდუქცია – სამყარო არ არსებობს ენისაგან დამოუკიდებლად, მის გარეშე. ყველა ადამიანის ენა, მეტყველება ინდივიდუალურია და განუმეორებელი. და რამდენადაც არც ერთ ადამიანს არა აქვს ისეთივე ენა, მეტყველება, როგორიც დანარჩენ სხვებს, არავის არ გააჩნია ისეთივე სამყარო, როგორიც სხვებს აქვთ.

ყოველი ენა მოიცავს სინამდვილის განსაზღვრულ გაგებას და სინამდვილის განსაკუთრებულ სურათს – მაგ., მწყეშების ლექსიკონში გვხვდება ცხენის ფერის აღმნიშვნელი 200-მდე სიტყვა და მცენარეების აღმნიშვნელი მხოლოდ 4 სიტყვა, რამდენადაც ეს უკანასკნელი მათ მსოფლმხედველობაში არ ასრულებს არანაირ როლს. ენა არის ამავე დროს სამართლის შემეცნების, მისი გარდაქმნის საშუალება (ბავშვი სწავლობს სინამდვილეს და ენას ერთდროულად. ის, მართალია, გარემოს სწავლობს უკვე მოცემული სიმბოლოებით, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი სწორედ ენობრივად მოცემულ სინამდვილეს სძლევს ენის მეშვეობით).

ენა ქმნის სამყაროს – ვისაც ენა აქვს, იმას აქვს სამყარო. მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლია სახელი დაარქვას საგნებს, შეუძლია მათი მნიშვნელობაც გაიგოს, შეუძლია მოიცვას ისინი. ციური მნათობი, რომელსაც გონიერი არსების მიერ სახელი არა აქვს მინიჭებული, „ნიშნავს“ არაფერს, ის „სამყაროს გარეშეა“, ის არ არსებობს არავისთვის. სახელის მინიჭება არის საკუთრივ სინამდვილის შექმნა, შემოქმედება. პროფ. კაუფმანის მიერ განვითარებული ეს მეტად ნომინალისტური თვალსაზრისი შეიძლება სადავოც იყოს, მაგრამ იგი მიგვიჩივებს სამართლისა და ენის ურთიერთდამოკიდებულების მრავალ საინტერესო ასპექტზე.

გარკვეული თავისებურებით ხასიათდება ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლებასა და ენას შორის. ენა გვევლინება ინდივიდის თვითრეალიზაციის საშუალებად სოციალურ ერთობაში. ამავე დროს სიტყვის თავისუფლების ჩამომყალიბებელი ფუნქცია ჩანს



მოქალაქისა და სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთგანმარტყაში  
 სამართალი ცხოვრობს სიტყვაში და სიტყვის მშვენიერებაში. იგივე შეეხება მის გამოქვეყნებას და შეფარდებას. ის, რაც არ შეიძლება გამოითქვას, ვერ მოწესრიგდება. ყველა მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნა გადმოცემულია ენობრივი ფორმით და ყველა გადაწყვეტა სადავო სიტუაციებისა ასევე მოითხოვს ენობრივ ფორმას. დაწერილი სამართალი გამოხატულია განსაზღვრული ტექსტით. წერილობითი ფორმა აუცილებელია სამართლის ობიექტივიზაციისათვის, მოქმედი სამართლის თვალსაჩინოებისათვის, სამართლის ფორმების ხელმისაწვდომობისათვის, არსებული ნორმების უფრო თავისუფალი გამოყენებისათვის.

## 7. სამართლის ენა, როგორც მეტაენა

განსხვავებას ენაობიექტსა და მეტაენას შორის აღიარებს მრავალი მეცნიერული დისციპლინა. განსხვავება მათ შორის აშკარაა სამართლის სფეროშიც.

მეტაენა, როგორც ნათქვამია ქართულ ენციკლოპედიაში, არის ენა, რომელიც აღწერს დედუქციური თეორიის ენის აღნაგობას, განმარტავს მას, საშუალებას გვაძლევს გამოვთქვათ ამ ენის თავისებურებები, შევადაროთ ის სხვა ენებს. თვით დედუქციური თეორიის ენას სასაგნო ან საობიექტო ენას (ენაობიექტს) უწოდებენ. მართალია, არსებითად, მეტაენის ცნებები გამოისატება ენაობიექტითაც, მაგრამ ამასთან მასზე არ „ვრცელდება“ ჭეშმარიტებისა და ინტერპრეტაციის ცნებები.

სწორედ ეს ორი უკანასკნელი ცნება განსაზღვრავს, არსებითად, მეტაენის აუცილებლობისა და მისი არსის საკითხს, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ე.წ. სემანტიკურ ანტინომიებთან. მოვიყვანოთ მათ შორის ერთ-ერთი გავრცელებული დებულება: „ყველა კრეტელი მატყუარაა“, — თქვა ერთმა კრეტელმა“. თუ კრეტელის გამონათქვამი ჭეშმარიტია, მაშინ იგი მატყუარაა და, მაშასადამე, მისი გამონათქვამიც მცდარია. ყოველდღიური ყოფითი ენის მოცემული ინტერპრეტაციით, კრეტელის გამონათქვამი ზუსტად იმდენადაა ჭეშმარიტი, რამდენადაც იგი, ამ ინტერპრეტაციით, მცდარია.

იმისათვის რომ აქვსნათ, თუ სადაა აქ წინააღმდეგობა, უნდა



მივმართოთ ენის დონეების თეორიას, რომელიც ერთმანეთს აკავს განასხვავებს ენაობიექტსა და მეტაენას.

თვით სამართლის თეორია ზოგიერთი ავტორის მიერ განმარტებულია როგორც „ლოგმატიკის მეტათეორია“. ამით ხაზგასმულია იმ ნორმატიული მასალის თავისებურებები, რომელთანაც საქმე აქვთ იურისტებს. ტრადიციული ლოგიკა ეჭება მხოლოდ მსჯელობებს, წინადადებებს, რომლებიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ამ გაგებით, ტრადიციული ლოგიკა მოიცავს მსჯელობათა მხოლოდ ნაწილს. ეს კარგად ჩანს სამართლის ნორმის მაგალითზე. მისი შინაარსის განმსაზღვრელი ნიშანი ის არის, რომ ნორმა მიმართულია არა „არსობისაკენ“, არამედ „ჯერარსობისკენ“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული მეცნიერება არ შეისწავლის მარტოდენ „ჯერარსული“ ხასიათის ნორმატიულ მსჯელობებს, წინადადებებს. ეს უკანასკნელი მეტაენის ერთ-ერთი სახეა და სამართლისმცოდნეობის კვლევის სფეროს განეკუთვნება. ამის შესაბამისად ნორმათა ლოგიკა ერთმანეთისაგან განასხვავებს „ნორმატიულ წინადადებებს – („ჯერარსულ“ წინადადებებს) და დეონტურ წინადადებებს (წინადადებებს ჯერარსული წინადადებების შესახებ).

დეონტური ლოგიკა ანუ ნორმათა ლოგიკა იკვლევს, თუ რამდენად გამოსაყენებელია ტრადიციული ლოგიკის წესები (ისინი ვრცელდება ჩვეულებრივ მსჯელობებზე ან წინადადებებზე, რომლებიც რალაცას ამტკიცებენ ან რალაცას უარყოფენ) ჯერარსული მსჯელობების მიმართ. ამჟამად, რომ მათი მექანიკური გადმოტანა დაუშვებელია. ამავე დროს ნორმათა ლოგიკაში შესაძლებელია ტრადიციული ლოგიკის რამდენადმე მოდიფიცირებული წესების გამოყენება. მეცნიერებაში იყო ცდები, რომ ნორმათა ლოგიკა წარმოედგინათ როგორც მსჯელობათა ლოგიკის ერთ-ერთი ვარიანტი ან მისი განფრცობილი სახე, ასევე, ნაწილობრივ, როგორც დამოუკიდებელი, ანალოგიური სისტემა. ამ სქემის შესაბამისად დეონტური პარადოქსები იქნებოდა ლოგიკური პარადოქსების ან დამოუკიდებელი სფერო, ან მათი გამოვლენის ერთ-ერთი შემთხვევა.

პრობლემას ართულებს ის გარემოებაც, რომ ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში წინასწარ მოცემულია და თავისთავად იგულისხმება ნორმის მნიშვნელობა, მაშინ როცა ჯერარსული წინადადების მნიშვნელობა ჯერ კიდევ სადავოა. სწორედ ამ ასპექტით არის აუცილებელი ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ენაობიექტი და მეტაენა.



ჩვენთვის საინტერესო პროცესების თვალსაზრისით უნდა შევეთხროთ ნორმის ფაქტობრივ და ნორმატიულ მოქმედებასაც.

ნორმის ფაქტობრივი მოქმედების დროს მსჯელობაში აქვთ ნორმის ქმედითობა, ეფექტიანობა, როდესაც ხდება ნორმის შეფარდება. ხშირად ლაპარაკობენ ნორმის ემპირიულ სოციოლოგიურ მოქმედებაზე. მაგალითად, შემდეგი სახის წინადადება: „ნორმა X საქართველოში დღეს უკვე არ გამოიყენება“ არის მეტაენობრივი არსული მსჯელობა, რომელიც შეეხება ჯერარსულ წინადადებას. მსგავსი ხასიათის მსჯელობები შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. მსჯელობები ნორმის ფაქტობრივი მოქმედების შესახებ შეიძლება „გადამოწმდეს“ ემპირიული სოციალური გამოკვლევებით. ჩვენთვის საინტერესო კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნორმის ფაქტობრივი მოქმედების შესახებ მსჯელობა შეუძლია ყველას, მაგრამ არა თვით განხილულ ნორმას. ნორმას არ შეუძლია თვითონ თქვას თავისთავზე: „ეს ნორმა სრულდება“.

ნორმატიული და ფაქტობრივი მოქმედებანი, ორივე ზემოაღნიშნულ ე. წ. ენაობიექტის წინადადების ფორმით მოცემულ მსჯელობებში: „ნორმა X დაცულია“ და „ნორმა X უნდა იქნეს დაცული“ ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ასე, მაგალითად, შეიძლება ნორმა ლეგალურად მოქმედებდეს, მაგრამ არ იყოს დაცული, ან შეიძლება ქვეყნის წესი ფაქტობრივად დაცული იყოს და ითვლებოდეს საველდებულოდ, ისე რომ იგი არ იყოს ფორმულირებული სამართლებრივი მოთხოვნის ან აკრძალვის ფორმით. მსგავსი წინააღმდეგობების გადაჭრა ლოგიკურად შეუძლებელია. ჯერარსულ მსჯელობებს შეუძლიათ ფაქტობრივის სამყარო შეცვალონ და, პირიქით, „ფაქტობრივის ნორმატიულმა ძალამ“ შეიძლება ჯერარსული მსჯელობები საერთოდ დაეიწყებას მისცეს. სხვა სახის წინადადებები ჯერარსულის სფეროში წარმოიშობა თვით სამართლებრივი ნორმების შიგნით. ნორმათა კონკურენციის ეს საკითხები წყდება ისეთი წესების გამოყენებით, როგორცაა, მაგ., *Lex Specialis deroget Legi generali* და სხვ.

წინააღმდეგობები შეიძლება წარმოიშვას ნორმის შესახებ მსჯელობებს შორისაც. მსგავსი მეტაენობრივი ხასიათის წინააღმდეგობებთან გვაქვს საქმე, როდესაც ხდება ნორმის შინაარსის განსხვავებული ინტერპრეტაცია. ამ შემთხვევაში საკითხი, როგორც წესი წყდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ – ზემოაღნიშნული პრინციპი *Lex Specialis deroget Legi generali* – აქ უკვე წინააღმდეგობას ვერ ხსნის.

## 8. კანონის ენა, როგორც დარგობრივი ენა

სამართლის ენა მრავალწახნაგოვანი, რთული წარმონაქმნია. იურიდიულ ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა თვით აღნიშნული ცნების გარშემო. ზოგიერთი ავტორი ეყრდნობა სამართალსა და კანონს შორის არსებულ განსხვავებას და მიიჩნევს, რომ სამართლის ენა, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს – არის მხოლოდ კანონმდებლის ენა. ეს უკანასკნელი უბრალოდ იმპერატიული ხასიათის ბრძანებაა და მეტი არაფერი. ამის საპირისპიროდ ე. წ. მოსამართლის ენა უფრო მდიდარია გამოშსავლობითი თვალსაზრისით. ამავე დროს იგი უფრო კონკრეტულია, ვიდრე კანონმდებლის ენა. მოსამართლე არა მარტო მოითხოვს, ბრძანებას გასცემს და აიძულებს, არამედ, ამავე დროს, მან (მოსამართლემ) უნდა დაარწმუნოს კიდეც. სრულიად განსხვავებულია დამცველის ენა, რომლის ლაპარაკის ხელოვნებასაც ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ენიჭებოდა დიდი მნიშვნელობა. განსაკუთრებული ინდივიდუალური თვისებებია დამახასიათებელი ბრალმდებლის, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სფეროში მომუშავე იურისტის, ნოტარიუსისა და სწავლული იურისტის ენისათვის.

გერმანულ იურიდიულ მეცნიერებაში უფრო ხშირად გამოიყენება იურიდიული დარგობრივი ენის ცნება. ამავე დროს გავრცელებულია „სამართლის ენის“ ან „კანონის ენის“ ცნებები. ინგლისურ იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება Language of Law და Juristic Language.

თვით სამართლის ენაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ენობრივი დონეები, ფენები:

1. კანონის ენა;
2. მეცნიერული (სარეცენზიო) ენა;
3. განაჩენისა და გადაწყვეტილების ენა;
4. მოხელეთა ენა.

როგორც წინა პარაგრაფში იყო აღნიშნული, ენის სტრუქტურა, გარკვეული აზრით, ასახავს აზროვნებისა და ცხოვრების ფორმებს. განსაზღვრული ენობრივი ფორმის პრობლემის განხილვა უკვე გულისხმობს სინამდვილის, ცხოვრების განსაზღვრული ფორმის განხილვას.

ამ თვალსაზრისით თანამედროვე სამართლის ენა მიეკუთვნება ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ დარგობრივ ენას. კანონის ენისათ-



ვის<sup>2</sup> დამასასიათებელია ის კანონზომიერებები, რომლებიც მოქმედებენ დარგობრივი ენისა და საერთოდ ენის ურთიერთკავშირის პროცესში.

დარგობრივი ენის ტერმინოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივი ენის ლექსიკასთან. ამავე დროს თვით დარგობრივი ენაშიც გვხვდება ე.წ. გეტოს სიტუაციები და ენობრივი ბარიერები, როგორცაა, მაგალითად, სოციოლინგვისტიკაში დამნაშავეთა ან ბრალდებულთა ენა.

დარგობრივი ენების დაყოფის პროცესი საზოგადოებაში შრომის დანაწილების პარალელურად მიმდინარეობს და განპირობებულია ცოდნის შემდგომი პროგრესით და მისი სპეციალიზებული დარგების განვითარებით. როგორც უნდა იყოს დამოკიდებულია მსგავსი სასიათის განვითარებისადმი, ენობრივი იდენტურობის (ეს შეეხება კანონის ენასაც) ოქროს ხანისაკენ მობრუნება უკვე უპერსპექტივო საქმეა.

სხვა დარგობრივი ენისაგან განსხვავებით კანონის ენას დარგობრივი ენების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სამეცნიერო დარგობრივი ენისაგან განსხვავებით, რომელიც ემსახურება ურთიერთობის გაადვილებას შედარებით ვიწრო წრის სპეციალისტებს შორის, იმ სოციალური ერთობის წრე, რომელიც დადგენილია კანონის ტექსტით, მეტად ფართოა. ამ ფართო სოციალური ერთობისათვის კანონი, ენობრივ სინამდვილესთან დამოკიდებულებაში, ადგენს მინიმალურ კონსენსუსს, შეთანხმებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეასრულებს სოციალური პრევენციის ფუნქციას. იურიდიული დარგობრივი ენის მიერ სინამდვილის „შექმნის“, ჩამოყალიბების ფუნქცია განსაკუთრებით ნათლად ჩანს საკანონმდებლო დეფინიციების ჩამოყალიბების სფეროში. ამ დეფინიციებმა რეგულირების საგანი ერთხელ და სამუდამოდ ენობრივად უნდა განსაზღვროს, და ეს მაშინ, როდესაც სამეცნიერო დარგობრივ ენებში ცხოველი, დინამიკური და, პრინციპში, დროში შეუზღუდავად დისკუსიაა თვით „ცნების“ გარშემო.

ზემოაღნიშნული დილემა, ერთი მხრივ კანონის ენის დარგობრივ სასიათსა და, მეორე მხრივ, პრევენციის სოციალურ ფუნქციას შორის მიუთითებს დარგობრივი ენის პარადოქსებზე და, საერთოდ, საჭკვოს ხდის კანონის ენის რეფორმის შესაძლებლობას.

2 აქ და შემდგომშიც „სამართლის ენა“ და „კანონის ენა“ ჩვენ განვიხილავთ როგორც იგივეობრივ ცნებებს.

განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს აღნიშნული დილემა კანონის ტექსტებში, სადაც გვხვდება ორი ან მეტი დარგობრივი ენა ამის მაგალითად გამოდგება კანონი, რომელიც აწესრიგებს; ვთქვათ, მშენებლობის საკითხებს. ერთმანეთში გადაჯაჭვული რეგულირების საგნის (სამშენებლო დარგობრივი ენა) და რეგულირების პროცესის (სამართლის დარგობრივი ენა) შემთხვევაში იგი ძნელად გასაგები ხდება არა მარტო რიგითი მოქალაქისათვის, არამედ თვით სპეციალისტებისათვისაც (მშენებელი ვერ უგებს იურისტს, იურისტს კიდევ არ ესმის მშენებლისა). მაგრამ ამ შემთხვევაში და, საერთოდ, კომუნიკაციისა და გაგების პრობლემას კანონის ტექსტში ერთი ან რამდენიმე დარგობრივი ენის გამოყენება კი არ ქმნის, არამედ სწორედ მათი არასრული გამოყენება წარმოშობს მთელ რიგ სირთულეებს. იურიდიული ცნებები, ტერმინები, დაზუსტებები კი არ წარმოშობენ გაუგებრობას, არამედ, პირიქით, დარგობრივი ენისადმი არასწორი და გაუაზრებელი დამოკიდებულება უშლის ხელს კანონის ტექსტის ადეკვატურ გაგებას.

კანონის დარგობრივი ენის კრიტიკისას ლინგვისტები უპირველეს ყოვლისა ხაზს უსვამენ იმ გადახრებს, რომლებიც დამახასიათებელია კანონის ტექსტისათვის. ესენია:

- მისწრაფება ფორმალიზებისა და სტანდარტიზაციისადმი;
- კანონის ენის ოფიციალური და ფუნქციური ხასიათი;
- კანონის ენის ნომინალური, აბსტრაქტული, არაპერსონიფიცირებული სტილი;
- სიტყვათა ლექსიკური მარაგის გაფართოება და მორფოლოგიურ თავისებურებათა განვითარება, რომელიც აუცილებელია როგორც დიფერენცირების საშუალება და ა.შ.

კანონის ენა არის ავთენტური, რამდენადაც მასში გამოხატულია კანონმდებლის ნება. იგი ასევე არის შეუცვლელი, რამეთუ დაუშვებელია კანონში გამოყენებული სიტყვის შეცვლა, თუნდაც აზრი არ იცვლებოდეს. კანონის სიტყვა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ყველა ფორმალური წესის დაცვით მიღებული ახალი კანონით.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, ამ კუთხით, კანონის ტექსტის გაგების საკითხია.



## 9. კანონის ტექსტის გაგების ასპექტები

„კანონმდებელი უნდა აზროვნებდეს როგორც ფილოსოფოსი და ლაპარაკობდეს როგორც გლეხი“, – წერდა ცნობილი გერმანელი იურისტი რუდოლფ ფონ იერინგი. მაგრამ ავტორს, როგორც ჩანს, ამ იდეალური რეცეპტის რეალიზაციისა თვითონვე ნაკლებად სჯეროდა. იგივე იერინგი „უტოპიურს“ უწოდებდა კანონის ისეთი სახით ფორმულირების ცდას, როდესაც იგი ნათელი და გასაგები იქნებოდა მოქალაქეებისთვისაც.

კანონის ტექსტის კრიტიკა, მისი გაგების თვალსაზრისით, „არ ახალია“. მწვავე პრობლემად რჩება იგი დღესაც. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის თანამედროვე თეორია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კანონის ტექსტის გასაგებად, ნათლად და ზუსტად გადმოცემის საკითხებს, ამ ამოცანის შესასრულებლად, საერთო აღიარებით, სურათი სასიკეთო მიმართულებით ნაკლებად შეიცვალა.

საკითხს ბევრად ართულებს თვით „გაგების“ ცნების გაურკვეველობა და მისი შინაარსის გამო არსებული უთანხმოებები. „გაგების“ საკითხი შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა ასპექტით.

კანონის ტექსტის გაგება მისი პერმენენტული ასპექტით, გულისხმობს აზრობრივი პორიზონტების შერწყმას ინტერპრეტატორსა (კანონის ტექსტი) და ინტერპრეტირებულს შორის. ამ თვალსაზრისით ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ მსოფლმშენველობით კონფლიქტზე სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს შორის. წინააღმდეგობა იმითაც გამოიხატება, რომ კანონის ტექსტში უკვე ერთხელ ფიქსირებული აზრი მკითხველმა (გარკვეული აზრით, აქ სამართლის შემფარდებელიც იგულისხმება) შეიძლება სასხვადასხვასაშუალებით განაახლოს დროსა და სივრცეში. ამასთან, მისი აზრობრივი განახლების ფორმები შემთხვევითი ხასიათის კი არაა, არამედ დამოკიდებულია ინტერპრეტატორის კულტურულ და სოციალურ პაზიტუსზე. „გაგების“ პერმენენტული ასპექტი გვისჩნის, თუ „რატომ“ და „როგორ“ შეიძლება განაგრძობდეს მოქმედებას კანონი ამსოლუტურად შეცვლილ სოციალურ პირობებში.

გაგების კოგნიტურ ასპექტს აინტერესებს კანონის ტექსტის წაკითხვის პროცესში წარმოშობილი სირთულეები და ე.წ. კოგნიტური დანაბარებები. ამ თვალსაზრისით საკითხი შეეხება იმას, თუ როგორი დასამუშავებელია კანონის ტექსტი – ადვილი თუ რთუ-





ლი, ხომ არ იწვევს ტექსტი ე.წ. ემოციურ ბლოკადას, ანტიპროცეს (მაგ., ზედმეტად გრძელი წინადადებების გამო და ა.შ.).

გაგების პრაგმატული ასპექტის თანახმად, კანონის ტექსტი მხოლოდ მაშინაა გასაგები, როდესაც მკითხველს დამოუკიდებლად შეუძლია მისგან ქცევის მოდელის „გამოყვანა“. პრაგმატული ასპექტით, გაგება არის პრობლემის გადაწყვეტა ფართო აზრით – განსაზღვრულ სოციალურ სიტუაციაში სუბიექტი დგას აქტუალური პრობლემის წინაშე, რომელიც მან უნდა გადაწყვიტოს კანონის ტექსტის მეშვეობით. სუბიექტს აქვს წინასწარი ცოდნა ამ სიტუაციის და ამ სიტუაციაში ქცევის განსხვავებული, ალტერნატიული მოდელების შესახებ. კანონის ტექსტმა მას მხოლოდ უნდა „უთხრას“, თუ რომელია, კანონის თანახმად, მათგან სწორი. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ტექსტის ინფორმაციულ გაგებაზე.

რაც შეეხება ტექსტის აკუსტიკურ და ოპტიკურ აღქმას, მას ეფუძნება კანონის გამოქვეყნების ის ელემენტარული მოთხოვნა, რომელიც გვხვდება ჯერ კიდევ ძველგვიპტურ ნაშრომებში, ასევე 12 ტაბულის კანონში.

„გაგების“ ცნების მრავალასპექტიანი შინაარსი გვიჩვენებს დარგობრივი ენობრივი კომუნიკაციის რთულ, დიფერენციულ სახეს. იგი ასევე მიგვითითებს კანონის ენის რეფორმის შედარებით შეზღუდულ შესაძლებლობებზეც. ინფორმაციულ საზოგადოებაში თვით „გაგების“ ცნება სუბსტანციურად შეიცვალა. უკვე არავის არ შეუძლია მოითხოვოს დარგობრივი ენის დემონტაჟი ამავე დროს სულ უფრო აქტუალური ხდება ინტერდისციპლინური თანამშრომლობა კანონმდებლებსა და ლინგვისტებს შორის, ისეთი კონცეფციის შექმნა, რომელშიც სინთეზირებული იქნებოდა ენის და ნორმათა ლოგიკა.

კანონის ტექსტის ნათლად, გასაგებად, გარკვევით ფორმულირებისა და მისი „გაგების“ სირთულეები განპირობებულია შემდეგი ძირითადი მომენტებით:

1. კანონის ტექსტში მეტნაკლებად იგრძნობა რაციონალურის დეფიციტი.

კანონი არ არის მხოლოდ მეცნიერული შემოქმედებისა და აზროვნების ნაყოფი. კანონი არის პოლიტიკის შედეგი, ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალთა პოლიტიკური მსოფლმხედველობის, პოლიტიკური იდეოლოგიის გავლენით შექმნილი სამართლებრივი აქტი. ამიტომ მასში, ასევე მეტნაკლებად, აუცილებლად გვხვდება არარაციონალური მომენტებიც.



2. კანონის ტექსტში მოცემული ქცევის წესის ნათლად გამოხატვის ნაკლის მიზეზია ადამიანის შემეცნების უუნარობა, რომელიც მოიცავს ფაქტობრივ ურთიერთობებს მათს მთლიანად აღიარებას ტემპურობაში. იგივე შეიძლება ითქვას თანამიმდევრული ლოგიკური აზროვნების წესზე – ვინც ცუდად წერს და ლაპარაკობს, ის ცუდად ფიქრობს.

3. კანონის ტექსტის გაგება მოითხოვს მის მიერ რეგულირებულ ფაქტობრივ ურთიერთობათა შესახებ ე. წ. წინა-ცოდნას. მაგ., დაზღვევის საქმეში გამოუცდელია ნიშნავს სადაზღვევო სამართლის „არ გაგებასაც“ – ვინც არ იცნობს რეგულირების საგანს, მას არ ესმის შესაბამისი კანონიც.

4. იურიდიული ფაქტობრივი ურთიერთობა კანონის ტექსტში ყოველთვის დანახულია განსაზღვრული რაგურსით. ტექსტის გასაგებად, ნათლად ჩამოყალიბების სირთულე განპირობებულია სწორედ ამ ურთიერთობათა სისტემით და არა დარგობრივი ენის ცოდნის დეფიციტით. რთული ფაქტობრივი ურთიერთობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი წარმოვიდგინოთ იმაზე უფრო მარტივად, ვიდრე იგი სინამდვილეშია. ფაქტობრივი ურთიერთობის ენობრივი ფორმით ნათლად გამოხატვისა და მისი გაგების გაუმჯობესების, კანონში მოცემული ცნების ყველასათვის გასაგებად ჩამოყალიბების მოთხოვნამ არ უნდა მიგვიყვანოს ფაქტობრივი ურთიერთობის გაყალბებამდეც.

ზემოაღნიშნულ სირთულეთა გათვალისწინებით პრობლემის გადაჭრის რაიმე იდეალური გზა არ არსებობს. მიუღებელია ამკარად რადიკალური შეხედულებები, როგორცაა, მაგალითად, თვალსაზრისი, რომ კანონთა წიგნი არასპეციალისტებისათვის არაა დაწერილი, იგი შექმნილია მოსამართლეებისათვის; კანონთა წიგნის ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ ისინი მოსამართლეებისათვისა გასაგები; არასპეციალისტები არ საჭიროებენ მის გაგებას. მაგრამ ასევე უპერსპექტივოა ისეთი „ოქროს ხანის“ ნოსტალგია, როდესაც, მაგ., მარიამ ტერეზიას განკარგულებით ყველა კანონპროექტი უნდა წაეკითხათ „უჭკუო და გაუნათლებლისათვის“, და თუ იგი ტექსტის შინაარსს ვერ გაიგებდა, ახალი პროექტი უნდა დაწერილიყო. უნდა მოინახოს კომპრომისული ფორმულა, რომლისთვისაც ამოსავალი პრინციპი იქნებოდა არა ის, რომ კანონის ტექსტი გასაგები უნდა იყოს ყველასათვის, არამედ ის, რომ კანონის ტექსტი მაქსიმალურად ადეკვატურად უნდა ასახავდეს სოციალური სინამდვილის კანონზომიერებებს, ხოლო მასში მოცემუ-

ლი ქვეყნის წესი უნდა ჩამოყალიბდეს გარკვეულად, ზუსტად და არაორაზროვნად, ანუ, როგორც პროფესორი პაული აღნიშნავს: კანონის ტექსტში უნდა იყოს რამდენიც საჭიროა, იმდენივე საშუალო-თღებრივი სინამდვილე, და ტექსტი უნდა იყოს იმდენად გასაგები, რამდენადაც ეს შესაძლებელია. იდეალური გადაწყვეტა არ არსებობს. ეს არის როგორც წრის კვადრატურა: თეორიულად უიმედო, პრაქტიკულად შესაძლებელი.

სამართლის ენის გაუმჯობესების მიზანი ყოფით ენასთან მისი დაახლოება კი არა, რამედ იურიდიული, დარგობრივი ენისაკენ ერთგვარი ხიდის გადგმა უნდა იყოს. სამართლის ენის რეფორმა უნდა ხორციელდებოდეს სიზუსტისა და გაგების ურთიერთდაახლოების მიმართულებით.

## 10. როგორ უნდა დაიწეროს კანონი უფრო გასაგებად

თანამედროვე ლინგვისტიკამ ტექსტის გაგების პრობლემა დიდი ხანია რაც დაამუშავა და ამ თვალსაზრისით მრავალი საყურადღებო მეთოდებიც შემოგვთავაზა.

ლინგვისტები ინფორმაციული ტექსტის „გაგებადობას“ ახდენენ ძირითადად შემდეგი 4 კრიტერიუმის საფუძველზე:

1. ტექსტში მოცემული დებულებების სიმარტივე, უბრალოება;
2. ტექსტის დაყოფა-წესრიგი (იგივე სტრუქტურა);
3. წინადადებათა სიგრძე, სიზუსტე;
4. დამატებითი სტიმულატორები.

კანონის ტექსტი უნდა იყოს აგებული პირველი ორი კრიტერიუმის ოპტიმალური დაცვით. რაც შეეხება ტექსტის სიგრძე-სიმოკლეს, აქ საჭიროა არ „გადავაჭარბოთ“, ანუ ამ პარამეტრის დაცვამ არ უნდა აენოს ტექსტის სიზუსტეს და ქვეყნის წესის გასაგებად ფორმულირებას. რაც შეეხება დამატებით განმარტებებს, მითითებებს, ისინი არაა სავალდებულო „ინტეგრირებული“ იქნენ კანონის ტექსტში. ასეთი პრაქტიკა გარკვეულ გარემოებებში შეიძლება საზიანოც კი იყოს.

ზემოაღნიშნული 4 კრიტერიუმი ლიტერატურაში ცნობილია ლანგერის, შულც ფონ ტუნის და ტიუმის მეთოდად. განვიხილოთ ეს კრიტერიუმები უფრო დაწვრილებით:



**პარამეტრი 1: სიმარტოვე, უბრალოება**  
ოპტიკაში

უბრალოება, სიმარტოვე	სირთულე
<p>აზრი წარმოდგენილია მარტივად, უბრალოდ;</p> <p>აზრი გადმოცემულია მოკლე, მარტივი წინადადებებით;</p> <p>ასწილია სპეციალური ტერმინები, ცნებები;</p> <p>ტექსტისათვის დამახასიათებელი კონკრეტულობა;</p> <p>ტექსტი თვალსაჩინოა</p>	<p>აზრი წარმოდგენილია რთულად;</p> <p>აზრი გადმოცემულია გრძელი, რთული წინადადებებით;</p> <p>ტერმინები, ცნებები არაა ასწილი;</p> <p>ტექსტისათვის დამახასიათებელი ასტრაქტულობა;</p> <p>ტექსტი არაა თვალსაჩინო</p>

**პარამეტრი 2: სტრუქტურა**  
ოპტიკაში

დაყოფა, წესრიგი	ურთიერთკავშირის, წესრიგის არარსებობა
<p>ტექსტი დაყოფილია;</p> <p>თანამიმდევრობა დაცულია;</p> <p>ტექსტი ნათელია;</p> <p>ძირითადი იდეა (ე. წ. „წითელი ხაზი“) შესაშწნვეია;</p> <p>ყველაფერი მოდის ერთმანეთის შემდეგ, ლოგიკური თანამიმდევრობით</p>	<p>ტექსტი არაა დაყოფილი;</p> <p>ურთიერთკავშირი დარღვეულია;</p> <p>ტექსტი ბუნდოვანია;</p> <p>ე. წ. „წითელი ხაზი“ ხშირად იკარგება;</p> <p>ყველაფერი არეულია ერთმანეთში</p>

ეს პარამეტრი მოიცავს ტექსტის აგების საკითხებს. მის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს, თუ როგორი წესრიგით და თვალსაჩინოებით არის ტექსტი აგებული და რა ფორმით გვთავაზობს იგი ინფორმაციას. ამასთან, უნდა განვასხვაოთ 2 ასპექტი

1. შიდა წესრიგი: ყველა წინადადება არის თუ არა ერთმანეთთან თანამიმდევროულად დაკავშირებული?

2. გარეგანი დაყოფა: აგებულია თუ არა ტექსტი ნათლად, თვალსაჩინოდ (მაგ., აბზაცების, დასკვნის და ა. შ. გამოყენებით)?



**პარამეტრი 3: სიმოკლე, სიზუსტე**  
ოპტიმიზმი

სიმოკლე, სიზუსტე	
<p>წინადადებები მოკლე და იდარგლება არსებითის გადმოცემით;</p> <p>კომპაქტურადაა დაწერილი, მთლიანად კონცენტრირებულია ინფორმაციაზე;</p> <p>მსჯელობა მოკლეა, ყველა სიტყვა საჭიროა და არაა ზედმეტი</p>	<p>წინადადებები ძალიან გრძელია; მრავალი არაარსებითი დებულება;</p> <p>ტექსტი არაა ინფორმაციაზე კონცენტრირებული;</p> <p>მრავალი სიტყვა შეიძლება არც გამოყენებულიყო</p>

როგორც აღვნიშნეთ, ამ პარამეტრის გამოყენებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ „მოკლე“ ყოველთვის როდი ნიშნავს „გასაგებს“ და „ზუსტს“. ამიტომ აზრის მოკლე, ეკონომიური და კომპაქტური ფორმით გადმოცემა არ უნდა ავნოს ტექსტის გასაგებად აგებას და მსჯელობის სიზუსტეს. ხშირად ინფორმაციის აღქმის გასაუმჯობესებლად, პირიქით, საჭიროა ერთგვარი „უხვსიტყვაობაც“.

**პარამეტრი 4: დამატებითი სტიმულატორები**  
ოპტიმიზმი

დამატებითი სტიმულატორები	არანაირი დამატებითი სტიმულატორი
<p>ტექსტი მიშინდევლია, იკითხება საინტერესოდ</p>	<p>ტექსტი მშრალია, უსახური</p>

ამ რეკომენდაციების პრაქტიკულ კანონშემოქმედებით საქმიანობაში გამოყენება დაკავშირებულია საკმაოდ ანგარიშგასაწევ სირთულეებთან. სრულყოფილებისაგან შორს დგას თვით აღნიშნული კრიტერიუმებიც. ამ მოთხოვნების ჩამოყალიბებით კანონმდებლობის თეორიაც არ ესწრაფვის იდეალურად სრულყოფილი კანონის ტექსტის ჩამოყალიბებას. მისი მიზანია მხოლოდ კანონშემოქმედებით პროცესში განხორციელდეს ის მოთხოვნები, რომლებიც მაქსიმალურად გააადვილებენ ტექსტის გასაგებად, ნათლად და მარტივად ჩამოყალიბებას.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

კანონის, საცესტამენტო,  
ნაწილაკების და ნაშენების სფეროში

თავი V

## კანონი და ენათმეცნიერება

კანონი და ენათმეცნიერება



## 1. კავშირების, ნაცვალსახელების, ნაწილაკების, სასვენი ნიშნების ხმარება

მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი მემკვიდრეობის ქართული სალიტერატურო ენა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში გამოიყენება. დღეს ამ ენაზე მოქმედებენ სკოლები, სასამართლო თუ იურიდიული დაწესებულებანი. იგი არის არა მარტო საოჯახო-სასაუბრო და სამწერლობო, არამედ სახელმწიფო ენაც. ქართულ ენაზეა სამართალწარმოება, საქმისწარმოება, ამ ენაზე იქმნება და ქვეყნდება რესპუბლიკის კანონები, აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტები. მეცნიერების გარკვეულ დარგებში ქართული ენის გამოყენებას უძველესი ტრადიცია აქვს. ლიტერატურის მიზანდასახული და სისტემატური თარგმნა-დამუშავება მოითხოვდა აზრის ზუსტად გადმოსაცემ ცნებათა დიფერენცირებისათვის საჭირო სპეციალურ ტერმინთა შესატყვისების დაძებნასა და წარმოებას, რასაც მოჰყვა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება, სისტემაში მოყვანა, ქართული მეცნიერული ენის შექმნა. სწორედ ამ დროიდან მკვიდრდება მყარი ტრადიციები, ის მემკვიდრეობითი ხაზი, რომელსაც შეესაბამება ჩვენი სპეციფიკური ენობრივი მოდელი.

ყოველი ენის განვითარების გზაზე სხვა ენებთან კონტაქტისას ხდება ერთი ენიდან სიტყვათა, ცალკეულ გამოთქმათა მეორე ენაში შეღწევა. ზოგჯერ ამგვარი მოვლენა იწვევს ენის თავისთავადობის ცვლილებას, ბუნებრივი სიტყვებისა და გამოთქმების შეზღუდვას. ამ ტიპის ცვლილებანი მძიმე ტვირთად აწევბა ენას, რის გამოც ეს უკანასკნელი მათგან განთავისუფლებას საჭიროებს. ენის სიწმინდის დაცვა – ეს არის დამკვიდრებული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა, მისი დამახასიათებელი წესების, მართებული სიტყვებისა და გამოთქმების შესაბამისად ხმარება, ბუნებრივი წარმოთქმის გამოყენება. სწორედ ამ კუთხით განვიხილავთ ქართული ენისა და მართლწერის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს.



**კავშირთა ხმარების ზოგიერთი საკითხი**

საენათმეცნიერო ლიტერატურაში კავშირი გვეხვეწება, როგორც ფორმალური სიტყვა, რომელიც სიტყვის, ერთგვარი ფუნქციის მქონე სიტყვათა ჯგუფების, ორი ან ორზე მეტი ერთგვარ ან განსხვავებულ წინადადებათა შეერთებას. კავშირს ორი ფუნქცია აკისრია: 1. შეერთების ფუნქცია. 2. შეერთების ხასიათის განსაზღვრის ფუნქცია. კავშირი მხოლოდ მექანიკურად კი არ აერთებს სიტყვებს ან წინადადებებს, იმავდროულად ის გვიჩვენებს შესაერთებელ ერთეულთა შორის არსებულ შინაარსობრივ მიმართებებს. მაგალითად, გარკვეულ კავშირებს აქვთ თანაარსებობის ფუნქცია – ასეთია და კავშირი, რომელიც აერთებს ორ თანასწორ სიტყვას ან წინადადებას და გულისხმობს ორივეს. განსხვავებულია ან კავშირი, რომლის ფუნქციაც ძირითადად ალტერნატიულია, ე. ი. მას აქვს არჩევანის, განცალკევების ფუნქცია. ეს ორი მაგალითი სრულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის კავშირთა ფუნქციების შესახებ, მაგრამ მაინც გამოიკვეთება ის მნიშვნელობა, რომელსაც მეტყველების ეს ფორმალური სიტყვა ანიჭებს წინადადებას. ამიტომ ნათელია, რომ თუკი ზუსტად განვსაზღვრავთ თითოეული კავშირის ფუნქციას, მაშინ აღარ გვექნება ბუნდოვანი და ძნელად აღსაქმელი წინადადებანი.

კავშირების დახასიათებას დავიწყებთ მათგან, რომლებიც ტერმინი მომდინარეობს კავშირის ძირითადი (შემავრთებელი) ფუნქციიდან, თუმცა თვით მათგან განსხვავებულია ერთმანეთისაგან. აქ არის: 1. მაჯგუფებელი კავშირები: და, თუ 2. მაცალკევებელი კავშირები: ან...ან, ხან...ხან, გინდ...გინდ 3. მაიგივებელი კავშირები: ანუ, ესე იგი. 4. მაპირისპირებელი კავშირები: ხოლო, კი, მაგრამ, არამედ, თორემ.

თითოეულ მათგანს უკავშირდება კონკრეტული წესები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია. და კავშირი მაჯგუფებელია, გამავრთიანებელია, მისი ფუნქციაა აჩვენოს საგანთა თუ მოვლენათა თანაარსებობა.

მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1152-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „საოჯახო ურთიერთობებში შეუღლებები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით...“ ამ მუხლში ნათლად ნაჩვენებია პირადი და ქონებრივი უფლებების თანაარსებობის აუცილებლობა.

ზოგჯერ გვხვდება ისეთი კონტექსტები, სადაც ერთი კონკრეტული კავშირი შეიძლება ამომწურავად ვერ გამოხატავდეს ერთ





რომელიმე ფუნქციას. მაგალითად, არის ისეთი მუხლები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს გულისხმობს ალტერნაციასაც და ანაწინააღმდეგარსავე ნაარსებობასაც. ამგვარ წინადადებებს ურგება ორივე ტიპის მუხლები, რი, მაგგუფებელიც და მაცალკეებელიც (და, ან). უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ამგვარ კონსტრუქციებს მიეცა გარკვეული სახე-კერძოდ, ორივე კავშირი წარმოდგენილია როგორც ალტერნაციის – მონაცვლეობის ელემენტები. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1227-ე მუხლში ორივე კავშირია გათვალისწინებული.

„გერი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო მამინაცვალი ან/და დედინაცვალი, რომელთაც დახმარება უსაჭიროებათ, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას“.

იმავე კოდექსის 1225-ე მუხლში მხოლოდ და კავშირია გამოყენებული: „პაპა და ბებია, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან...“.

აქ შვილიშვილი შეიძლება მხოლოდ ბებიაზე ან ბაბუაზე ყოფილიყო დამოკიდებული, ამიტომ და/ან კავშირთა მონაცვლეობით გამოყენების შემოსტენებული ფორმა ასევე მოერგებოდა ამ კონტექსტსაც.

ზოგ შემთხვევაში და კავშირი შედმეტად არის გამოყენებული. მაგალითად, პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ საქართველოს კანონის პროექტში, მუხლი 2, არის შემდეგი კონტექსტი: „იმ პროდუქციის რეალიზაციის თავიდან აცილება, რომელიც საშიში და საზიანოა სიცოცხლისათვის, მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და მათი ქონებისათვის, გარემოს დაცვისათვის და რომელიც არ შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტების აუცილებელ მოთხოვნებს...“ (პარლამენტის უწყებანი №7, გვ. 24, 1996). ამ კონტექსტში საშიში და საზიანო თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობითაა გამოყენებული, ამიტომ, ჩვენი აზრით, შეიძლება ამ ისედაც რთული წინადადებიდან ერთი მათგანი (ან საშიში, ან საზიანო) ამოგველო, რასაც მიჰყვებოდა ასევე პირველი და კავშირიც, და წინადადება ოდნავ მაინც განიტვირთებოდა შედმეტად ნახმარი კავშირებისაგან:

„სიცოცხლისათვის, მოქალაქეთა ჯანმრთელობის, მათი ქონებისა და გარემოს დაცვისათვის საზიანო იმ პროდუქციის რეალიზაციის თავიდან აცილება, რომელიც არ შეესაბამება ნორმა-



ტიოული დოკუმენტების აუცილებელ მოთხოვნებს”.

არის კონტექსტი, სადაც და კავშირი იხმარება ისეთ ლექსიკურ ერთეულთან, როგორცაა აგრეთვე. ქართული ენის განმარტების ლექსიკონის მიხედვით აგრეთვე ნიშნავს – „და კიდევ“ (ქველ ტ. 1, გვ. 101), ე. ი. ის თავისთავად მოიცავს და კავშირს, ამიტომაც ამგვარ წინადადებებში და კავშირი ზედმეტია, მაგ., „დამამზადებელი (გამყიდველი, შემსრულებელი), თანამდებობის პირები და აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც არასამართლებრივად იყენებენ შესაბამისობის ნიშანს, პასუხისმგებელნი არიან წინამდებარე კანონში დადგენილი მე-18 და მე-19 მუხლების... შესაბამისად“ (პარლამენტის უწყებანი №7, გვ. 25, 1996).

ამავე ტიპის მაგალითია: „...საქსახსტანდარტი დამამზადებლებს ...აწვდის ინფორმაციას სერტიფიკაციის მოქმედ სისტემებზე, მათ ცენტრალურ ორგანოებზე, და აგრეთვე სერტიფიკატების შესაბამისობის ნიშნების და მათი გამოყენების წესების შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი №7, გვ. 25, 1996).

თავის მხრივ, მაცალკეებელი ან კავშირის გამოყენებასაც აქვს გარკვეული შეზღუდვა. ზოგჯერ ის წყვილის სახით გვხვდება კონტექსტში: ან...ან. ასეთ შემთხვევაში ამგვარი წყვილი დროში მონაცვლეობას ან ამორჩევას თუ გამოცალკეებას გულისხმობს. მაგალითების განხილვამ გვიჩვენა, რომ ან ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიულად ხმარებული კავშირია. მისი ფუნქცია კანონებში ხშირად ინფორმაციის დამაკონკრეტებელი, დამანაწევრებელია. მაგალითად: სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 110. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება: „სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ე. ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სასიფათოა სიცოცხლისათვის ან რომელსაც მოჰყვა მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს, ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ან სულიერი ავადმყოფობა, ან ორსულობის შეწყვეტა ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, დაკავშირებული შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან...“.

ამ კონტექსტში ან კავშირის მეშვეობით გამოწვლილვით არის დახასიათებული სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების სახეები. შესაძლებელი იყო ზოგ შემთხვევაში თავი აგვერიდებინა ან კავშირისათვის და გამოგვეყენებინა თუ კავშირიც. თუ კავშირი ხშირად და კავშირის მაგგუფებელ (თანაარსებობის) ფუნქციით იხმარება, მაგრამ აღნიშნულ კონტექსტში შეიძლებოდა ის მექანიკური თანაარსებობის კი არა, არამედ სხვადასხვა ტიპის თანაარსებობის მაჩვენებლად გამოსულიყო:



„სხეულის განზრახ მიიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ან რომელიც უნდა მხედველობის, სმენის, რომელიმე ორგანოს თუ მისი ფუნქციის დაკარგვა, სულიერი ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, დაკავშირებული შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან“.

ან კავშირი აქ ნაკლებად მეორდება და კონტექსტში გამოხატული აზრიც არ არის გაბუნდოვანებული იმ ცვლილებით, რომელიც ან კავშირის ნაცვლად თუ კავშირის ხმარებითაა გამოწვეული. ამგვარი კონტექსტები ხშირია, რადგან ფრაზის ლაკონიურობისა და მომცველობისათვის ერთ წინადადებაში წარმოდგენილი საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია. ზემოხსენებული მაკალკვებელი კავშირი ასრულებს თავის ალტერნატიულ ფუნქციას, მაგრამ სტილი მაინც მიიმდება ხშირი გამოვრებებით.

ზოგჯერ კონტექსტში ნახმარი ერთი კავშირის ნაცვლად უმჯობესია ვისარგებლოთ იმავე ჯგუფის სხვა კავშირით; მაგალითად: „სავალდებულო სერტიფიკაციის ორგანიზაცია ვვალემა საქსახსტანდარტს, ხოლო პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით ის შეიძლება დაეკისროს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებსაც“ (პარლამენტის უწყებანი №7, გვ. 30, 1997).

აქ გამოყენებულია მაპირისპირებული კავშირი **ხოლო**, რომლის ფუნქციაც არის დაპირისპირება მოვლენებისა. **კი** – ასევე მიეკუთვნება მაპირისპირებულ კავშირებს, მაგრამ თუკი ზემოხსენებულ კონტექსტში **ხოლოს** ნაცვლად **კი** იქნებოდა გამოყენებული, მაშინ წინადადებაში გამოხატული აზრი დაპირისპირების მომცველი **კი** არ იქნებოდა, არამედ შემავსებელი ინფორმაციისა: „სავალდებულო სერტიფიკაციის ორგანიზაცია ვვალემა საქსახსტანდარტს, პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით **კი** ის შეიძლება დაეკისროს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებსაც“.

საპირისპირო აზრის გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება მაპირისპირებულ კავშირთა წყვილი. ამ წყვილში კავშირების ერთ-ერთ ნაწილად წარმოდგენილია ხოლმე მაპირისპირებული კავშირი **არამედ**. ის ცალკე არ იხმარება, წყვილდება უარყოფით ნაწილაკებთან. ამ დაწყვილებით რამდენიმე კავშირი წარმოიქმნება და ამგვარი წყვილი ორი სხვადასხვა ფუნქციით იხმარება: ან დაპირისპირებას გადმოსცემს, ან აჯგუფებს წვერებს. განსახილველ კონტექსტში დაკავშირებულია ორი წინადადება: „კანონს არა მარტო წა-




კითხვა, არამედ გამოყენებაც უნდა. ასევე ამ შემთხვევაში კარგად წავიკითხავთ, მისი გამოყენება არ უნდა ვაჭიროდეთ მე წარმეხსენებ... (პარლამენტის უწყებანი №7, გვ. 31, 1996).

მოყვანილ კონტექსტში დასაჯგუფებელია წაკითხვა და გამოყენება. პირველ მოკლე წინადადებაში ის აზრია გამოხატული, რომ საჭიროა სერტიფიკაციის შესახებ კანონის წაკითხვა და გამოყენება, მაგრამ რადგან აზრი აქ არასრულადაა წარმოდგენილი, ამიტომ ვმატებ მეორე ფრაზაც. საბოლოოდ უნდა გადმოიყვას შემდეგი აზრი: საჭიროა სერტიფიკაციის შესახებ კანონის კარგად წაკითხვა და ამ შემთხვევაში მეწარმეებიც შეძლებენ მის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას. მეორე წინადადებაში გამოყენებულია აზრის გამაძლიერებელი უც ნაწილაკიც და კი კავშირიც. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ორივე წინადადება გაერთიანებულიყო, რადგან მიუხედავად ზემოხსენებული აზრის გამაძლიერებელი საშუალებებისა, სიტყვათა განლაგება მეორე წინადადებაში უმართუბულოა: სუბიექტი, რომლის მნიშვნელობაც გაძლიერებულია, წინადადების ბოლოსაა მოქცეული. საბოლოოდ წინადადება ასეთ სახეს შეიძინდა: „უნდა შეგვეძლოს კანონის არა მარტო კარგად წაკითხვა, არამედ მისი გამოყენებაც, ამ შემთხვევაში არც მეწარმეებს გაუჭირდებათ მისი გამოყენება თავიანთ სასარგებლოდ“.

სწორად რათა კავშირი იხმარება რომ კავშირის ნაცვლად, რადგან მათ ერთგვარი ფუნქცია აკისრიათ. ორივე გამოიყენება მიზნის გარემოებით წინადადებაში. რომ კავშირი თანამედროვე ქართულ ენაში უფრო პროდუქტიულია, რათა ძველი კავშირია. მიუხედავად მსგავსი ფუნქციისა, მათ შორის არსებობს განსხვავებაც. მაგრამ განსახილველ კონტექსტში გვაქვს სიტყვა – ისე, რომელიც არის მიმართებითი ზმნიშედა, კორელატი, ჩვენთვის კი სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სწორედ კორელატისა და კავშირის წვეილის მკაცრი განსაზღვრულობა გვაძლევს საშუალებას ვიხმაროთ სწორი ფორმა. ამგვარი აღრევა შეინიშნება შემდეგ კონტექსტში: „...ამასთან მან ისე უნდა მოაწყოს თავისი საწარმო ან სხვა სამუდროე საქმიანობა, რათა სათანადოდ და შეუფერხებლად დააკმაყოფილოს მოქალაქეთა მოთხოვნები“ (პარლამენტის უწყებანი №7, გვ. 13, 1996).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ და რათა კავშირები ერთმანეთს ენაცვლება მიზნის გარემოებით წინადადებაში (სადაც მიზანი გამოიკვეთება), აქ კი გვაქვს ვითარების გარემოებითი დამოკო-



დებული წინადადება (სადაც მოქმედების ვითარებაა ნაჩვენები), ამასთან წყვილის: ისე – რომ ხმარება მყარ ნორმად არის დამკვიდრებული თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. მანამდე, განსახილველ წინადადებაში რათას ნაცვლად უნდა ეხმარათ რომ კავშირი.

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ერთ-ერთ კავშირად გამოიყენება სანამ ზმნისართი (რომელიც ნიშნავს, რა დრომდისაც). მის კორელატად მთავარ წინადადებაში მანამ ზმნისართი იხმარება. ე. ი. ეს ორი მაკავშირებელი სიტყვა ერთად ქმნის ასეთ გაგებას: რა დრომდისაც... იმ დრომდე.

ჩვენ მიერ განსახილველ მაგალითში ამ წყვილის ნაცვლად გამოიყენებულია მანამ და ვიდრე:

„გირავნობა უქმდება, როცა გირაო მოგირავნის საკუთრებაში გადავა, ეს წესი არ გამოიყენება მანამ, ვიდრე მესამე პირის უფლებები დატვირთულია მოთხოვნით, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს გირავნობა“ (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 270).

აღნიშნულ მაგალითში ორი უზუსტობაა: 1. დარღვეულია სანამ-მანამ კონსტრუქციიანი ფორმა. 2. მანამ აღნიშნავს – იმ დრომდე, ვიდრეც აღნიშნავს – იმ დრომდე, ამ წინადადებაში კი პირველი წინადადება მეორეზე დამოკიდებული, მაშასადამე, აქვს სანამ – კორელატი. წინადადება შეიცვლება შემდეგნაირად: „გირავნობა უქმდება, როცა გირაო მოგირავნის საკუთრებაში გადავა, ეს წესი არ გამოიყენება მანამ, სანამ მესამე პირის უფლებები დატვირთულია მოთხოვნით, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს გირავნობა“.

განხილულ კონტექსტებში კავშირთა ხმარების წარმოდგენილი შემთხვევები გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი მართებულად გამოიყენება იმისათვის, რომ კონკრეტული დარგის ენაში თავი აარიდოს გაუმართავ, ბუნდოვან და ძნელად აღსაქმელ წინადადებაებს.



## 2. პუნქტუაცია

პუნქტუაცია ლოგიკურ-გრამატიკულ საფუძველს ემყარება. პუნქტუაციის წესების ცოდნა ერთნაირად სჭირდება ყოველი პროფესიის ადამიანს. თუკი ეს წესები დაირღვევა, მაშინ წინადადებაში გადმოცემული აზრი შეიძლება გაბუნდოვანდეს ან სულაც გაუგებარი გახდეს. პუნქტუაციის წესების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოფიციალურ-დოკუმენტური სტილის ნიმუშთა შექმნისას. ამგვარ ნიმუშებს ახასიათებს აზრის კონკრეტულობა, ზედმიწევნითი სიზუსტე, შეიცავს მსჯელობას, მტკიცებას, ანალიზს. ისინი ლოგიკურ აზროვნებას ეფუძნება. კანონშემოქმედებისას გამოსახატავი აზრი მკაცრად არის განსაზღვრული, წინადადებას კი, რომელიც კანონთა გამოსახატავად იქმნება, თითქმის ფორმულის სახე აქვს: აქ ლაკონიურად და შემჭიდროებულადაა წარმოდგენილი ცნება, მსჯელობა და დასკვნა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სამეცნიერო სტილის ლოგიკურ-შინაარსობრივი კომპოზიცია განსხვავებულია ნეტრალური სტილისაგან. ოფიციალურ-დოკუმენტური სტილის კომპონენტები ხშირად ის ენობრივი საშუალებებია, რომლებიც სამეცნიერო სტილსაც ახასიათებს. ასეთია სიტყვათა მტკიცე შენაერთები, დამაკავშირებელი სიტყვები და გამოთქმები: **ამიტომ, ამგვარად, ამის შედეგად** და ა.შ. კანონთა შემუშავებისას ლოგიკურ სუბიექტსა და ლოგიკურ ობიექტს შორის მიმართება შეიძლება გამოხატავდეს მტკიცებას, უარყოფას, რეალურობას ან დასაშვებობას, შესაძლებლობასა თუ აუცილებლობას. ამავე დროს შეიძლება გამოიკვეთოს პირობის, მიზეზ-შედეგის, დაქვემდებარების, თანწყობის, დროში მიმდინარეობისა და სხვა სახის დამოკიდებულებანი. თითოეულ შემთხვევას ემსახურება მსჯელობა, რომელსაც თავის მხრივ შეესაბამება ენობრივი გამოხატულების კონკრეტული საშუალებანი – სინტაქსური კონსტრუქციები. ეს სინტაქსური კონსტრუქციები გამოხატება მარტივი, შერწყმული და უმთავრესად რთული წინადადებებით. ამ დროს აუცილებელია პუნქტუაციის წესების მართებული გამოყენებაც, რაც წინადადებათა სწორად აგების საშუალებას იძლევა. საბოლოოდ კი ჩამოყალიბებული კანონი შეიძენს ზედმიწევნით ზუსტს, ლოგიკური თანამიმდევრობის მქონე, დასაბუთებული, ლაკონიურად ჩამოყალიბებული წინადადებების სახეს.

კანონთა შემუშავებისას ძალიან პროდუქტიულია რთული და

შერწყმული წინადადებები. ეს საკუთრივ კანონის სემანტიკაა განპირობებული. კანონი, როგორც ცნობილია, არის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი საყოველთაოდ საგადასრულო ნორმა (წესი), რომელიც ეხება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს. კანონშემოქმედების დროს მსჯელობას განსაკუთრებული ობიექტურობა ახასიათებს, საბოლოოდ კი ყალიბდება ინდექციური თუ დედუქციური დასკვნები. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამგვარ სპეციფიკურ სფეროს შესაბამისი გრამატიკული საშუალებები ემსახურებოდეს. ამ საშუალებათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავშირები, ნაცვალსახელები და თანდებულები, რომელთა ხმარებისას აუცილებელია პუნქტუაციის ნორმათა დაცვა.

კანონში მეტწილად მოქცეულია შემჭიდროებული ინფორმაცია, რისთვისაც ხშირად გამოიყენება ერთგვაროვანი წევრები. ერთგვაროვან წევრთა შეეერთება შეიძლება უკავშიროც იყოს და კავშირიანც.

უკავშირო შეერთებისას ერთგვარ წევრთა დასაკავშირებლად გამოიყენება პაუზა, ინტონაცია, წერის დროს – სასვენი ნიშანი მძიმე. მაგ.: „თუ გადაზიდვა ხდება ისეთი სატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც აქვს სპეციალური აღჭურვილობა ტვირთის დასაცავად სიცხის, სიცივის, ტემპერატურის ცვლილების ან ქარისაგან, გადამზიდველს შეუძლია 686-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მიუთითოს“ (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 687).

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კანონებში ნაკლებად გვხვდება უკავშირო შეერთების შემთხვევები. მეტწილად ერთგვარი წევრები გარკვეული კავშირით (მაერთებელი, მაცალკეებელი, მაპირისპირებელი) ჯგუფდებიან. უფრო მეტიც, ზოგჯერ იმისთვის, რომ აზრი სრულად და იმავე დროს ლაკონიურად გადმოიცეს, ლოგიკურ სუბიექტს შეიძლება რამდენიმე ერთგვარი სახელი შეეფარდოს, ისევე როგორც ლოგიკურ ობიექტს. ამგვარი ორმაგი ერთგვარ-წევრებიანი წინადადებები ძალიან ხშირადაა გამოყენებული კანონთა შემუშავებისას. მაგ.: „ტვირთის დათვლიერება, დატვირთვა, დაწყობა ან გადმოტვირთვა ხდება გამგზავნის, მიმღების ან მათთვის მოქმედი მესამე პირის მიერ“ (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 686).

კანონში ამგვარი რთული კომბინაციების არსებობა მისივე სპეციფიკიდან მომდინარეობს და ამით კანონის სტილი განსხვავებულია. მაგრამ ზემოხსენებული მაგალითი ვერ ჩაითვლება მართებულ წინადადებად, რადგან, მიუხედავად ორმაგი ერთგვარწევრ-



ზიანი მასასიათებლებისა, გამოყენებულია ქართულისათვის არაბუ-  
ნებრივი კონსტრუქციები: გადმოტვირთვა ხდება, დათვლილობა  
ხდება. ამასთან მოქმედების ჩამდენი – გამგზავნი, მიმღები და  
მათთვის მოქმედი მესამე პირი (ლოგიკური სუბიექტები) ქართუ-  
ლისათვის ბუნებრივი სათანადო ბრუნვით (სახელობითი, მოთხრო-  
ბითი, მიცემითი) კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მიერ თანდუ-  
ბულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. თუკი წინადადებაში  
საზგასმული იქნებოდა თვით მოქმედების ფაქტი, მაშინ ამ ტიპის  
კონსტრუქცია შეიძლება დასაშვები ყოფილიყო, მაგრამ შემოსე-  
ნებულ მუხლში ძალიან მნიშვნელოვანია სუბიექტიც და ობიექ-  
ტიც. ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუკი წინადადება შემდეგი  
სახეს შეიძენდა: „გამგზავნი, მიმღები ან მათთვის მოქმედი მესამე  
პირი ათვლილობებს, ტვირთავს, აწყობს ან გადმოტვირთავს“.

განხილულ მაგალითში გამოყენებული იყო მაცალკეებელი ან  
კავშირი, რადგან შინაარსი წინადადებისა მოითხოვდა არჩევითობის  
გამოხატვას. საზოგადოდ კი ერთგვარწვევებიან წინადადებაში გა-  
მოიყენება ასევე: 1. კავშირები და, თუ (ხშირად იმავე და კავშირის  
მნიშვნელობით); 2. კავშირის დანიშნულებით წველიად გამოყენე-  
ბული გაძლიერებითი ნაწილაკები ცც, კიდევ-კიდევ 3. -ც ნაწი-  
ლაკიანი უარყოფითი არც-არც, ვერც-ვერც, ნურც-ნურც 4. რთუ-  
ლი კავშირები: როგორც-ისე, არა მარტო-არამედ, არათუ-არამედ,  
არა მხოლოდ-არამედ.

და კავშირი იხმარება ორი ერთგვარი წვერის შესაერთებლად ან  
ორი წინადადების შესაკავშირებლად. და კავშირის წინ ჩვეულებ-  
რივ მძიმე არ დაისმის, მაგრამ არის შემთხვევები, როცა და კავ-  
შირს წინ მძიმე უძღვის. ამ დროს პირველ შესაკავშირებელ წვერს  
უნდა მოსდევდეს განკრძობებული სიტყვა ან გამოთქმა. მაგ., სამო-  
ქალაქო კოდექსის 314-ე მუხლში და კავშირის წინ მძიმეა გამოყე-  
ნებული: „რიგითობა შეიძლება შემდგომში შეიცვალოს. ამისათვის  
აუცილებელია შესწორების თაობაზე იმ პირთა შეთანხმება, რომ-  
ლებიც ენაცვლებიან ერთმანეთს, და ცვლილების რეგისტრაცია  
რეესტრში“.

როგორც ჩანს, დამატებითი ინფორმაცია, განკრძობებული გან-  
საზღვრების სახით („რომლებიც ენაცვლებიან ერთმანეთს“), დამე-  
ტა ლოგიკურ სუბიექტს და ჩაერთო ორ ერთგვარ წვერს – შეთან-  
ხმებასა და ცვლილების რეგისტრაციას შორის. და კავშირით შვერ-  
თებული ორი წვერი გათიშა განკრძობებულმა განსაზღვრებამ. სა-  
ერთოდ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონთა ენაში ხშირი მოვლენაა





ჩართული თქმები, განკრძობული სიტყვები და გამოთქმები: ესეც საკუთრივ კანონთა სემანტიკის საუციფიკითაა განპირობებული. რადგან ამ ტიპის გამოთქმები და სიტყვები საშუალებას არ გამოვიყენოთ დამატებითი წინადადებები და ერთ ფრაზაში მოვათავსოთ ის პირობა (ლოკალური თუ მიზეზ-შედეგობრივი), რომელიც აუცილებლად არის გასათვალისწინებელი კანონში.

ზოგჯერ თუ კავშირიც და კავშირის დანიშნულებით გამოიყენება და ასეთ შემთხვევაში მის წინ მძიმე არ დაისმის.


როდესაც მაცალკევებელი კავშირი ან ცალად არის გამოყენებული ერთგვარი წევრების შესაერთებლად, მასთან მძიმე არ დაისმის. მაგ.: „ვირაენობა უქმდება, როცა მოვირანე დამვირავებულს ან მესაკუთრეს განუცხადებს, რომ იგი უარს ამბობს ვირაოზე“ (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 269).

თუკი სხვა კავშირები (თუ, თუნდ, თუნდაც) ან-ის ფუნქციითაა ნახმარი – ცალად, არც მათ წინ დაისმის მძიმე.

როდესაც მაცალკევებელი კავშირები წყვილების სახითაა წარმოდგენილი (ან-ან, ხან-ხან, გინდ-გინდ, თუნდ-თუნდ), მაშინ თითოეული ასეთი წყვილი მიუთითებს, რომ ერთიმეორის გამომრიცხველ შესაძლებლობათაგან შესრულდება ერთ-ერთი, ან გვეძლევა ჩამონათვალი ისეთი საგნებისა თუ მოვლენებისა, რომლებიც არ გამოირიცხავენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც აღინიშნება მათ შორის არჩევითობის მომენტი. ამგვარი შინაარსობრივი დატვირთვის დროს შესაბამისად იცვლება მძიმის ხმარების წესიც, კერძოდ:

თუკი ეს კავშირები შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებთან იხმარება, ისინი მიმდებარე სიტყვებითურთ ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფა. მაგ.: „გადამზიდველს არ შეუძლია დაეყრდნოს ამ თავის იმ წესებს, რომლებიც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავენ ან ზღუდავენ, ანდა მტკიცების ტვირთისაგან ათავისუფლებენ მას“ (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 697).

როგორც მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, მოუხდავად ან კავშირის პროდუქტიული გამოყენებისა, იშვიათია ერთგვარ წევრთა განსაცალკევებლად ან კავშირის ორჯერ მეტად გამოყენება. თუკი ერთ წინადადებაში მაინც აღინიშნება ზემოხსენებული კავშირის მრავალგზისი ხმარება, უმეტესად ისეთ კონტექსტში, სადაც ის ცალკეულ წყვილებში ასრულებს თავის ფუნქციას (არჩევითობას), რათა საბოლოოდ ხელი შეეწყოს მსჯელობის შედეგად მიღებული შეჯერებული, მრავალპირობიანი დანასკვის ჩამოყალიბებას. მაგალითად: „ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყ-



ყებლობის ორგანიზაციები ამ კარით გათვალისწინებული უფლებებს ახორციელებენ ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ანდა ეთერში ან კაბელით გადასაცემი ნაწარმოების შემსრულებელსა და ავტორთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების ფარგლებში" (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1078).

აქ დაწყვილებულია „ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი“ და „ეთერში ან კაბელით გადასაცემი“. ეს ორი წყვილი მსაზღვრელია „ნაწარმოების შემსრულებლისა და ავტორისა“. პირველ წყვილში სემანტიკურად ახლო მდგომ ცნებებს შორის არჩევითობაა გამოხატული, ისევე როგორც მეორე წყვილში. თუ სქემატურად წარმოვიდგინთ, გვაქვს A ანდა B, სადაც A მოიცავს A1 ან A2 და B მოიცავს B1 ან B2 არჩევანს. ეს გართულებული ვარიანტი მაცალკევებელი კავშირის გამოყენებისა სწორედ კანონთათვისაა დამახასიათებელი. სამეცნიერო ენა, რომელიც თავისთავად რთულია, თავს არიდებს ამგვარ კონსტრუქციებს, ნეიტრალური სტილის ნიმუშებისათვის კი დამახასიათებელია მხოლოდ A ან B, ანდა ან A, ან B, ან C... და მსგავსი ცალსახა დაპირისპირების მქონე კონსტრუქცია. ამგვარი დატვირთვის წინადადება ყოველთვის გამართული ვერ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა საჭირო ინფორმაცია მოექცეს ერთი ფრაზის ფარგლებში. ნებისმიერ მაცალკევებელ კავშირთა წყვილთან (ან ამ ფუნქციით გამოყენებულ ნაწილაკთა წყვილთან) მძიმე დაისმება და ისინი მიმდებარე სიტყვებითურთ ერთმანეთისაგან გამოიყოფა.

ასევე მძიმით გამოიყოფა მაიგივებელი **ანუ** და **ესე იგი** კავშირები ასახსნელი სიტყვისაგან. ისინი ჩვეულებრივ დანართთან ერთად იხმარება და ასახსნელ წევრს დანართთან აკავშირებს. თავის მხრივ დანართი არის წინადადების წევრი, რომელიც აზრობრივად და ინტონაციურად გამოყოფილია სხვა წევრთაგან და იძლევა დამატებით ცნობას ამა თუ იმ წევრის შესახებ, განსაზღვრავს მას. მაიგივებელ კავშირთა ფუნქციაც გაიგივებაა და ამიტომ მათი მუშეობით ხორციელდება წინადადების ამა თუ იმ წევრის ასხნა-დაზუსტება თუ სტილისტიკური დატვირთვის გაძლიერება. დანართი მიმყოლი სიტყვებითურთ მძიმეებით გამოიყოფა წინადადებაში, თუკი ის წინადადების შუაშია.

კავშირების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც საკმაოდ ხშირად კანონებში, არის მაპირისპირებელი კავშირები: **ხოლო**, **კი**, **მაგრამ**, **არამედ**, **თურმე**. შემოხსენებული კავშირებისაგან განსხვავებით ამ ჯგუფის კავშირები შეიძლება რთული წინადადების შემადგენელ

ნაწილთა შორის ურთიერთობის გამოსახატავად მოგვევლინოს მათი დანიშნულება დაპირისპირება. მაგ.: „თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩელის მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას...“ (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1234, 2).

როდესაც ეს კავშირები რთული წინადადების მეორე წინადადებას მიეკუთვნება, მაშინ მათ წინ (უფრო ზუსტად კი რთული წინადადების შემადგენელი პირველი წინადადების ბოლოს) მძიმე იწერება.

ზოგჯერ კავშირები წვეილებადაც მოქმედებენ წინადადებაში. ამ წვეილ კავშირებში ხშირად ერთ-ერთ ნაწილად წარმოდგენილია მაპირისპირებელი კავშირი არამედ. თუ არამედ კავშირთან დაწყვილდა – არა მარტო, არათუ, არათუ – კიდევ, არამცთუ... მიიღება მავჯუფებული კავშირები:

არა მხოლოდ – არამედ

არა მარტო – არამედ

არათუ – არამედ

არამცთუ – არამედ

არათუ – არამედ + კიდევ

აღნიშნული კავშირები გვხვდება როგორც ერთგვარწვერებიან შერწყმულ, ისე რთულ წინადადებაშიც, მაგრამ პრინციპი მათი გამოყენებისა საერთოა. კავშირი დასაჯგუფებელი წვერების მიმართ გარკვეულ ადგილს უნდა იჭერდეს წინადადებაში, სახელდობრ, შესაპირისპირებელი ან დასაჯგუფებელი წვერი უნდა მოსდევდეს კავშირს, მას შეიძლება უძლოდეს ამხსნელი სიტყვაც. ამგვარ წინადადებაში კავშირები ერთგვარი წვერების წინ უნდა განლაგდეს. მაგალითად: „კანონების არა მარტო წაკითხვა, არამედ მათი გამოყენებაც უნდა შეგვეძლოს“. ამ შემთხვევაში აზრი ზუსტად იქნებოდა გადმოცემული, რადგან აქ კანონთა თავის სასარგებლოდ გამოყენების შესახებ არის საუბარი და არა ოდენ მათ მართებულად გამოყენებაზე.

ბუნქტუაციის წესი კი აქ ნათელია: შემოსხენებულ კავშირთა (ან ნაწილათა) მეშვეობით შეერთებულ ერთგვარ წვერებს ან ორ წინადადებას შორის (რომლებიც ერთი წინადადების ნაწილებს წარმოადგენენ) მძიმე დაიწერება.

კავშირების ხმარებაში დარღვევებს შეიძლება ხელს უწყობდეს ბგერობრივად მსგავსი კავშირების არსებობა. ფუნქციით განსხვავებული, მაგრამ აკუსტიკურად მსგავსი კავშირები ზოგჯერ არასწორადაა გამოყენებული. როგორც და როგორიც შინაარსობრივად



და ფუნქციით განსხვავებული კავშირები სრულიად სხვადასხვა ტიპის წინადადებებში გამოიყენება.

**როგორც** – განმსაზღვრელის ფუნქციას გამოხატავს და ისმარება შესაბამის კორელატთან – ისეთი; ხოლო **როგორც** – ვითარების გარემოების ფუნქციას გვიჩვენებს (ე. ი. თუ როგორ ხდება მოქმედება, რა ვითარებაში) და მისი კორელატია ისე.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია კავშირთა და მათ შესაბამის კორელატთა შემდეგი წყვილები:

- |                             |                               |
|-----------------------------|-------------------------------|
| <b>როგორც</b> – ისე (ვე)    | <b>როგორც</b> – ისეთი (ვე)    |
| <b>როგორადაც</b> – ისე (ვე) | <b>როგორითაც</b> – ისეთი (ვე) |
|                             | <b>რომლითაც</b> – იმ (ავე)    |

როგორც ჩანს, აქ საკავშირებელ სიტყვებად მხოლოდ კავშირები კი არა, უკვე მიმართებითი ნაცვალსახელებიც გვევლინება. ისინი საკმაოდ ხშირად გამოიყენება კანონებში, რადგან გარკვეულ ვითარებათა თუ პირობათა წარმოსაჩენად ზოგჯერ სწორედ შემოსენებული საკავშირებელი სიტყვებია ხმარებული. კანონში გამოკვეთილია ისეთი ლოგიკური მიმართებანი, როგორიცაა ობიექტი – ნიშან-თვისება, საფუძველი – შედეგი, პირობა – მოქმედება, მოქმედება – მიზანი, მოქმედება – საშუალება, შესაბამისობა – შეუსაბამობა, გაერთიანება – გაყოფა – ყოველივე ამას რთული ქვეწყობილი წინადადება გამოხატავს. მისთვის კი დამახასიათებელია კონკრეტული სემანტიკის სიტყვათშეერთებანი და დამოკიდებული წინადადების ტიპები, რასაც ემსახურება შესაბამისი კავშირები, თანდებულები და დაშვარე სიტყვები.

უნდა აღინიშნოს, რომ მართო სამეცნიერო ენაში შენიშნულია პირობითი, მიზეზის, შედეგის დამოკიდებულ წინადადებათა დიდი პროდუქტიულობა. კანონის სტილისათვის კი, შეიძლება ითქვას, ამ ტიპის დამოკიდებულ წინადადებათა სიჭარბე საეციფიკურიც კია, მისი სემანტიკის გამო – აქ მიზეზ-შედეგობრიობის სიცხადე, ლაკონიურობა და არაორაზროვნობა აუცილებელი მოთხოვნაა.

ჩვენ არ შევუდგებით დამოკიდებულ წინადადებათა განხილვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ დროს წინადადება შედგება დამოკიდებული და მთავარი წინადადებებისაგან. თუკი დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს, მაშინ მის წინ დაისმის მძიმე. მაგ.: „თუ სოლიდარულ კრედიტორს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეულ მემკვიდრეზე გადადის ვალზე უფლების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მის სამკვიდრო ნაწილს შეესაბამება“ (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 461).



თუკი დამოკიდებული წინადადება არის მთავრის წინ, მაშინ მძიმე მოჰყვება დამოკიდებულ წინადადებას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენს მასალაში ამგვარი წინადადებები არცთუ ისე ხშირია, აქ გვხვდება რთული ან ზერთოული წინადადებები, რომელთაგან მრავალრიცხოვანია პირობითი და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი წინადადებანი.

ზოგჯერ ნაცვლად დამოკიდებული წინადადებისა, ზერთოული წინადადება შეიძლება გამარტივდეს. მაგალითად, გვაქვს შემდეგი წინადადება: „აუქციონზე ნივთის მყიდველი ვალდებულია, ექსპერტს, რომელმაც განახორციელა იძულებითი აღსრულება, გადასცეს სყიდვის ფასი, რომლიდანაც გამოიქვითება აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები“ (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 307, 1).

თუკი თავს აგარიდებთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას, მაშინ მივიღებთ: „აუქციონზე ნივთის მყიდველი ვალდებულია იძულებითი აღსრულების განახორციელებულ ექსპერტს გადასცეს სყიდვის ფასი, რომლიდანაც გამოიქვითება აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები“.

ამ ტიპის მაგალითები საკმაოდ მრავლადაა. საკავშირებელ საშუალებათა არამართებულად და არაზუსტად გამოყენება იწვევს სტილისტიკურად გაუმართავ წინადადებათა შექმნას.

ჩვენ შევეცადეთ ამგვარი მოკლე მიმოხილვის საფუძველზე ჩამოგვეყალიბებინა პუნქტუაციის ის ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია კავშირთა, ნაწილაკთა და ნაცვალსახელთა (საკავშირებელ სიტყვათა) გამოყენებასთან.

გვინდა ცალკე შევეხოთ ისეთ განკერძოებულ სიტყვებს, რომელთაც თანდებულებად ახლაეთ: **გარდა, ნაცვლად, მიუხედავად, შედეგად, თანახმად, მსგავსად, წინააღმდეგ** და სხვა ამგვარი სიტყვები. ისინი გამოხატავენ: გამორიცხვას (გარდა), შენაცვლებას (ნაცვლად), დანიშნულებას (ნიშნად), დათმობას (მიუხედავად), შესატყვისობას (თანახმად). ამგვარ სიტყვებთან მძიმე დაისმის მაშინ, როცა აღნიშნული ტიპის თანდებულებიანი სიტყვები წინადადებაში გამოიყოფა აზრობრივად და მეტყველების დროს გამოითქმის ლოგიკური მახვილითა და პაუზით.

თუკი ეს თანდებულებიანი სიტყვები წინადადებისაგან არ გამოიყოფა აზრობრივად, მაშინ მათთან მძიმე არ დაისმის.

ჩვენს მასალაში აზრის დასაზუსტებლად საკმაოდ ხშირად შეგხვდა ე.წ. „ფრჩხილებში ჩასმა“. ფრჩხილებში იყო ჩასმული ზოგი-




ერთი ტერმინი – დასაზუსტებელ სიტყვასთან. ამგვარი შემთხვევები მნიშვნელოვნად მივიჩნით, რადგან ზოგიერთ კონსტრუქციებში, სადაც ისინი შეგვხვდა, შესაძლებელი იყო მაიგივებელ მოყენება, რაც ჩვენს მასალაში არ შეინიშნა. ჩვენი მასალის მიხედვით, სწორედ ამ უკანასკნელმა შეცვალა აღნიშნულ კავშირთა გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფრჩხილების გამოყენება დაკავშირებულია ე. წ. დამატებით კონსტრუქციასთან, რომელსაც უწოდებენ „ჩასმულს“ – Вставные. ის განსხვავდება ჩართულისაგან (Вводные конструкции) იმით, რომ ჩართული კონსტრუქციები შედარებით შეუზღუდავია დამატებითი ინფორმაციის მიწოდებისას, ფრჩხილებში მოთავსებული ინფორმაცია კი მაინც შემოსაზღვრულია. აქ გამოირიცხებულია ემოციურ-სუბიექტური მიმართებანი წინადადებაში გამოთქმული აზრისადმი. ფრჩხილების გამოყენება დღესდღეობით კანონის სტილის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, მასთან მრავალი საკითხია დაკავშირებული. ამიტომ გვინდა სპეციალურად შევეჩხოთ ამ საკითხს და განვიხილოთ ზოგიერთი შემთხვევა.

### 3. ფრჩხილებში ჩასასმელ სიტყვასთან ან სიტყვათა ჯგუფთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

როგორც აღვნიშნეთ, კანონში გადმოცემული ინფორმაცია ლაკონური, შემჭიდროებული და ფორმულირებულია. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის მეშვეობით, რომელიც ამა თუ იმ კანონს დაერთვის, შემოსწინებული ინფორმაცია უფრო კონკრეტდება და ზუსტდება. ზოგჯერ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი არ არის გამოყენებული მართებულად. გვაქვს სხვადასხვა შემთხვევა, როცა ამგვარ სიტყვათა ან შესიტყვებათა ფუნქცია სცილდება იმ დატვირთვას, რომელიც მათ ტრადიციულად აკისრია. განვიხილათ ზოგიერთ მაგალითს „საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან“.

1) „მუხლი 8. სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა... 3. არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ერთი პირის მიერ მეორე პირისათვის საფასურის გადახდით ქონე-



**ზის (მათ შორის ფულადი სახსრების) დროებით მფლობელობაში; სარგებლობაში ან მართვაში გადაცემა...**

ამ მუხლში ფრჩხილებში ჩასმული სიტყვათა უცუფი სიტყვა-ქონების დასაკონკრეტებლად უნდა იყოს გამოყენებული, მაგრამ ყოველად გაუმართლებელია ის ფორმა, რომლითაც გადმოცემულია ეს „დამატებითი ინფორმაცია“. „მათ შორის“ გულისხმობს გარკვეული ჩამონათვალის დროს ერთი კონკრეტული ობიექტის გამოცალკევებას, ქონება კი თვითონაა ერთი ობიექტი, ამიტომ მისგან ვერ გამოიყოფა სხვა რომელიმე, მით უმეტეს, როცა არც სხვა ელემენტებია ჩამოთვლილი, რომლებიც შეიძლება კრებითი შინაარსის მქონე სახელით – ქონებაში იგულისხმებოდეს.

2) „მუხლი 21. საქველმოქმედო ორგანიზაცია... 2. ორგანიზაცია (მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ან დასახლდებისაგან დამოუკიდებლად) არ ითვლება საქველმოქმედო ორგანიზაციად, თუ იგი...“ ის, რაც მოცემულია ფრჩხილებში, კერძოდ, საქველმოქმედო ორგანიზაციათა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ამ მუხლის სხვა დანარჩენ პუნქტებშია დაკონკრეტებული, ამიტომ შინაარსი ამ მითითებების გარეშეც ნათელი იქნებოდა.

3) „მუხლი 29. კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განსაზღვრებანი... გ) დები (ძმები) დ) დისწულები (ძმისწულები) ე) დის ქმარი (ძმის ცოლი)“. ის, რაც ფრჩხილებშია მოცემული, ტოლფასია ფრჩხილების წინ მდგომი წვერისა. მოცემულ კონტექსტში იგულისხმება ორივე წვერი: დაც და ძმაც, დისწულებიც და ძმისწულებიც, დის ქმარიც და ძმის ცოლიც. ორივე წვერი თანასწორუფლებიანია, ამიტომ მათი გამოსატყა უფრჩხილებოდაც შეიძლება. თუკი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონისეულ განსაზღვრებას გამოვიყენებდით, მაშინ თითოეული პუნქტისათვის შევუძლო გვეხმარა: გ) ერთი დედ-მამის შვილები დ) დისა და ძმის შვილები ე) დისა და ძმის მეუღლეები. მამსადაძამე, უმჯობესი იქნებოდა აზრი სხვა საშუალებით გამოსატყლიყო.

4) „მუხლი 38. ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები... 2. დ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულის ან მის კმაყოფაზე მყოფთა განათლების მისაღებად დახმარების გაწვევას (დაქირავებულის ვალდებულებათა შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომზადების პროგრამის ჩაუთვლელად) – დამქირავებლის მიერ განათლების მისაღებად გაწეული დახმარების ღირებულება“.

ფრჩხილებში მოცემული პირობა იგულისხმება მეორე პუნქტის ზოგად ნაწილშიც და თავისთავადაც, ლოგიკურად, რადგან დაქი-



რავებულის ვალდებულებათა შესრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული მომზადების პირობა დაძვირებულის უპირატესობა რქსიდან მომდინარეობს და სწორედ მასზეა დამოკიდებული ძვირებულ-დაძვირებულის მომავალი ურთიერთობანი.

5) „მუხლი 87. დეკლარაციის წარდგენა... 5... დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადებში (ამ კოდექსის 232-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების პირობების გათვალისწინებით)“.

ფრჩხილებში მოცემული ინფორმაცია არამშოლოდ აესებს მუხლში გადმოცემულ დებულებას. მეტიც, აუცილებელიცაა მისი გათვალისწინება. უფრო ზუსტი იქნებოდა, თუკი ფრჩხილების წინ არსებულ კონტექსტს დააბოლოებდა უფრჩხილებოდ გადმოცემული შემდეგი წინადადება: „...დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადებში, ხოლო საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს 232-ე მუხლის პირობები“.

6) ზოგჯერ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვათა ჯგუფი მექანიკური განმეორებაა მუხლში გამოკვეთილი რომელიმე პირობისა. მაგალითად:

„მუხლი 88. გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესი... 3. ბ) ხელფასის გადახდისას შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირს მისი მოთხოვნისამებრ მისცეს ცნობა ამ პირის გვარისა და სახელის, შემოსავლის თანხისა და თუ სასეზონის, აგრეთვე დაკავებული გადასახადის (თუ გადასახადი დაკავებული იყო) თანხის მითითებით“.

კონტექსტში გადმოცემულ აზრს აღარ სჭირდება დაზუსტება, რაც მაინც განხორციელდა და თანაც ზუსტად იმავე სიტყვათა ჯგუფით, რომელიც ფრჩხილებში მოთავსებულ ინფორმაციას უძლოდა წინ.

7) „მუხლი 98. დასაბეგრი ოპერაციის თანხა... 3. თუ გადასახადის გადახდელი დასაბეგრი ოპერაციის სანაცვლოდ არ იღებს ან არა აქვს უფლება მიიღოს საქონელი, სამუშაო, მომსახურება ან კომპენსაციის თანხა (რეგისტრაციის გაუქმებისას მასთან არსებული საქონლის ნაშთების ჩათვლით), მაშინ დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება...“.

მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილია ის ულემენტები, რომელთაც იღებს გადახდელი. აქვეა მოხსენებული საკომპენსაციო თან-





ხა, ფრჩხილებში კი კონკრეტული ინფორმაციის სახით მოცემულია შესიტყვება „საქონლის ნაშთები“, რაც რეგისტრაციის განპირობებული. ეს შესიტყვება ვერ აზუსტებს მის წიგნწილს წვერს, არც კი შეესაბამება და მიემართება მას. თუკი ეს ელემენტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, მაშინ უკეთესი იქნებოდა უფრჩხილებოდ დამატებულიყო ეს პირობა: რეგისტრაციის გაუქმებისას... არსებული საქონლის ნაშთების მიღებისა თუ არმიღებისა.

8) 101-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია პუნქტები, სადაც ფრჩხილებში მოწოდებული ინფორმაციის მეშვეობით არის გამოხატული შეზღუდვები. მაგალითად, „დღგ-სგან განთავისუფლებულია ბ) ეროვნული და უცხოური ვალუტისა (გარდა ნუმისმატიკური მიზნებით გამოსაყენებლად გათვალისწინებული)..." აქ იგულისხმება ნუმისმატიკური ღირებულების მქონე ობიექტები. შეიძლება ამ პუნქტში უფრჩხილებოდ ჩამოყალიბებულიყო ეს პირობა, რადგან ფრჩხილებში მოცემულია არა დამატებითი ინფორმაცია, არამედ კატეგორიული შეზღუდვა, რასაც იმპერატიული ხასიათი აქვს.

9) „მუხლი 158. მიწის გადასახადისაგან განთავისუფლება... 2. დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც შეღავათის მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი მის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ან მის ნაწილს), ანდა შენობა-ნაგებობებს (ან მათ ნაწილს) იჯარით გადასცემს სხვა ფიზიკურ ან იურადიულ პირს“.

ფრჩხილებში მოთავსებულ სიტყვათა ჯგუფი აზუსტებს ინფორმაციას, უფრო კონკრეტულად კი შესაძლებლობას გამოხატავს. მაკლკვებულ კავშირთა სიჭარბე, როგორც ადრეც გვქონდა აღნიშნული, ერთ-ერთი სპეციფიკური მახასიათებელია კანონის სტილისათვის. თუკი ფრჩხილები ამ კავშირთა განმეორებას აგვაცილებდა თავიდან, მაშინ მათი გამოყენება აუცილებელი იქნებოდა. ზემოხსენებულ კონტექსტში კი დაკონკრეტება, უფრო სწორად, გამოცალკეება მთელისაგან ნაწილისა (რასაც შესაბამისი კავშირიც ვმსახურება), უფრჩხილებოდაც შეიძლება მოხერხდეს, რადგან, მიუხედავად კავშირების განმეორებისა, ამგვარი წინადადებები დამახასიათებელია კანონთათვის.

10) „მუხლი 171. დაბეგრის ობიექტი... დასაბეგრ ობიექტად ითვლება გადამცემი პირისაგან მემკვიდრეობით (კანონით ან ან-



დერძით) ან ჩუქებით მიღებული ქონება...".

დაპირისპირება, განცალკევება იგულისხმება ორ წევრს შორის მემკვიდრეობით-სა და ჩუქებით-ს შორის. ის, რაც ანუ ჩუქებით მემკვიდრეობითობას ფრჩხილებში – კანონით ან ანდერძით, ისედაც იგულისხმება ამ ცნებით – მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ამიტომ ფრჩხილებში მოცემული დამატებითი ინფორმაციის გარეშე, კონტექსტი გამჭვირვალე იქნებოდა.

11) „მუხლი 199. ლიმიტის განსაზღვრა... მანე ნივთიერების გარემოში გამოფრქვევის (წყალში ჩაშვების) ლიმიტად ითვლება...“.

გარემოში გამოფრქვევა გულისხმობს ზოგად ცნებას: წყალსაც, ხმელეთსაც, ჰაერსაც, ამიტომ ფრჩხილებში მოცემული განმარტების გამოყოფნებლად შეიძლება ლიმიტის განსაზღვრა.

12) მუხლი 233. საბანკო ანგარიშები... გ. ჩარიცხონ (გადარიცხონ ანკი ან სხვა საფინანსო დაწესებულებაში, რომელიც ბიუჯეტის საკასო შესრულების მომსახურებას ეწევა) გადასახადის თანხები შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში გადასახადის გადამხდელის საანგარიშსწორებო ან სხვა ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის ოპერაციის შესრულებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა“.

ფაქტობრივად ფრჩხილებში მოცემულია თანხების ჩარიცხვის პირობები (ადგილი), რომელთა განსაზღვრაც გრძელდება ფრჩხილების გარეთაც (ჩარიცხვის რაგვარობა, ხასიათი). ამიტომ შეეფერებულა ინფორმაციულობისათვის უმჯობესი იქნებოდა ორივე ტიპის ინფორმაციის ერთგვარი ფორმით (უფრჩხილებოდ) გადმოიცემა, რადგან მათ ერთად უნდა შეექმნათ წარმოდგენა საბანკო ანგარიშთა წარმოების შესახებ.

13) „მუხლი 271. საგადასახადო კოდექსის ამოქმედება... 2. ამ კოდექსის: 64-ე მუხლი – „გადახდის წყაროსთან არარეზიდენტთა დაბეგვრა“. კარი III დამატებული ღირებულების გადასახადი (92-94-ე მუხლების გარდა. ეს მუხლები ამოქმედდეს ამ კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)“.

უნდა ითქვას, რომ ფრჩხილებში მოცემული ინფორმაცია გაუგებარია; რატომ არის გამორიცხული 92-94 მუხლები (რეგისტრაცია) და რომელი მუხლები უნდა ამოქმედდეს კოდექსის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. მაშასადამე, აქ კანონისთვის მახასიათებელმა ლაკონიურობამ ფრჩხილებში გადმოცემული აზრის გაბუნდოვანებაში მიგვიყვანა, რაც აძნელებს მის პრაქტიკულ გამოყენებას.

ტრადიციულად ფრჩხილები იხმარება წინადადებაში ან წინადა-

დების ბოლოს ჩანართად გამოყენებული სიტყვების გამოსაყოფად ფრჩხილებში ჩასასმელი სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის ძირითადი ფუნქციაა დაზუსტოს საკუთრივ წინადადების მთელი მნიშვნელობა ან მისი რომელიმე წევრის ლექსიკური მნიშვნელობა. ამის მიხედვით ფრჩხილებში ჩაისმის: სიტყვა თუ სიტყვათა შეკავშირება, რომელიც წინა სიტყვის ახსნა-განმარტებას შეიცავს. მაგ.: სამოქალაქო კოდექსის, მუხლი 342 ცნება:

„1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემსუბუქების დადგენა“.

საინტერესოა შემდეგი მაგალითიც – მუხლი 374. ალტერნატიული ვალდებულებანი. „თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი (ალტერნატიული ვალდებულებანი), არჩევის უფლება აქვს მოვალეს, თუკი ხელშეკრულებიდან... სხვა რამ არ გამომდინარეობს“.

ამ ორივე შემთხვევაში ფრჩხილებში ჩასმული სიტყვაც და სიტყვათა ჯგუფიც განმსაზღვრელია წინამდებელი სიტყვებისა. პირველ შემთხვევაში „შემთავაზებელი“ განსაზღვრავს მხარეს. მეორე შემთხვევაში კი ფრჩხილებში ჩასმული შესიტყვება უმჯობესი იქნებოდა უშუალოდ „ვალდებულებებთან“ ყოფილიყო გამოყენებული: „თუ რამდენიმე ვალდებულებიდან (ალტერნატიული ვალდებულებები) უნდა შესრულდეს ერთ-ერთი...“ სხვა შემთხვევაში დარჩება შთაბეჭდილება, თითქოს ის „ერთ-ერთი“ ვალდებულება მიეკუთვნება „ალტერნატიულ ვალდებულებებს“.

სათანადოდაა გამოყენებული ფრჩხილები შემდეგ კონტექსტში:

„საინკასო დავალებით საინკასო ოპერაციაზე უფლებამოსილი საკრედიტო დაწესებულება (ბანკი) კისრულობს ვალდებულებას, კლიენტის (მარწმუნებლის) დავალებით გასცეს სავაჭრო ფასიანი ქაღალდები...“ (მუხლი 877).

კონტექსტში ორჯერაა გამოყენებული ფრჩხილები და ორივე შემთხვევაში ფრჩხილებში მოცემული ინვენტარი კონკრეტულ-დამაზუსტებელ ინფორმაციას გვაწვდის საზღვრული წევრების შესახებ, რომლებიც მათ წინ უძღვის.

სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლში განხილულია ბინის საკუთრების საკითხი: „მრავალბინიან სახლებში არსებობს საკუთრე-




ზის უფლება ბინაზე (ბინის საკუთრება) და შენობის იმ ნაწილზე, რომელიც არ გამოიყენება ბინად (არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრება). ფრჩხილებში აქ ფაქტობრივად იგივე ტერმინები მხატვრული, რაც ფრჩხილებს გარეთ – საკუთრების უფლება ბინაზე – ბინის საკუთრება. საინტერესო ისაა, რომ პირველი შესიტყვება – საკუთრების უფლება ბინაზე – კალკია, ქართულისათვის არაბუნებრივია, მაშინ როცა ბინის საკუთრება უთანდებულო, ბუნებრივი მართულმსაზღვრელიანი შესიტყვებაა და უკეთესად მიესადაგება ენას, ამასთან ცნების შინაარსი არ იცვლება.

„მუსლი 1449. სამკვიდროზე უარის თქმა წარმომადგენლის მეშვეობით სამკვიდროზე უარის თქმა წარმომადგენლის მეშვეობით შესაძლებელია, თუ დავალებაში (მინდობილობაში) სპეციალურად არის გათვალისწინებული უფლებამოსილება უარის თქმის შესახებ“. აღნიშნულ კონტექსტში დავალებას მინდობილობის შინაარსი აქვს, შეიძლება და მხოლოდ მინდობილობა გამოეყენებინათ, მაშინ შინაარსი გამჭვირვალე იქნებოდა და უზუსტებლადაც.

ჩვენ მიერ განხილულ კონტექსტებში ფრჩხილებში ჩასმული იყო სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი. ზოგჯერ ფრჩხილებში მთელი წინადადებაა ხოლმე ჩართული.

ეს წინადადება მოიცავს დამატებით ცნობას, ახსნას თუ შენიშვნას და უმეტესად ამ ტიპის წინადადებები მოკლეა. ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ, რომ კანონის სტილისათვის უცნაო ის განკრძობებული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ავტორისეული პოზიციის გამოკვეთას ემსახურება. აქ ჩართული წინადადებები თავისთავად შეფერვებული და ფორმულირებული აზრების ინფორმაციულ დამატებად წარმოგვიდგება. მოთხოვნა, როგორც ყოველთვის, მკაცრად და განსაზღვრული – დამატებითი ინფორმაცია იყოს ლოგიკური, არაორაზროვანი, არაბუნდოვანი და მიემართებოდეს ძირითადი წინადადების რომელიმე წევრს ან საკუთრივ წინადადებას. მაგალითად, პროექტში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, მმ-ე მუსლში, აღნიშნულია, რომ დაპატიმრების, პატიმრობის ვადის გაგრძელების სასამართლო ბრძანებები დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შუამდგომლობის წარმომდგენ ორგანოს (შესრულების შემდეგ სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს), მეორე...

ამ კონტექსტში ფრჩხილებში ჩასმული წინადადება აუცილებელია, უფრო მეტიც, თავისი სტრუქტურით იგი კანონის სტილი-



სათვის სპეციფიკური იმპერატიულობით ხასიათდება, ავსებს მუხლში გადმოცემულ შინაარსს.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონში მუხლის მე-3 პუნქტში გვაქვს ფრჩხილებში ჩასმული წინადადება, რომელიც შეიძლება საკუთრივ ძირითადი წინადადებების ნაწილიც გამხდარიყო, რადგან ეს ჩართული წინადადება კონკრეტულ პირობებს მოიცავს, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია მუხლში ჩამოყალიბებული შინაარსის სრულყოფილად წარმოსადგენად:

„მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს ნაკლოვანებათა უსასყიდლოდ აღმოფხვრა საგარანტიო ვადის დამთავრების შემდეგაც, თუ საგარანტიო პერიოდში (ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში – სამუშაოს მიღებიდან 10 წლის განმავლობაში) აღმოჩენილი იქნება შემსრულებლის მიზეზით დაშვებული არსებითი ხარვეზები“ (პარლამენტის უწყებანი № 7, გვ. 13, 1996).

შეიძლება ჩართული ინფორმაცია უფრჩხილებოდ დართვოდა ბოლოში წინადადებას და არ გაეხლიჩა აზრი, რადგან ეს უკანასკნელი სხვა პირობის მაჩვენებელია (გარანტიის არარსებობის პირობისა), კონტექსტში კი გარანტიის პირობებზეა საუბარი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ფრჩხილებში უფრო მეტად ცალკეული სიტყვები ან შესიტყვებები ჩაისმის, წინადადებები კი ნაკლებად პროდუქტიულია.

ცალკე გვინდა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ფრჩხილებში ჩასმა გამოყენებულია მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათა თანაარსებობის საჩვენებლად. ეს განსაკუთრებით გამოკვეთილია სამოქალაქო კოდექსის (კარი II თავი II) იმ ნაწილში, სადაც წარმოდგენილია მშობლების უფლებები და მოვალეობები შეილების მიმართ: „მუხლი 1211. იმ მშობლის უფლებები, რომელსაც შეილი ჩამოართვის.

იმ მშობელს (მშობლებს), რომლის უფლებებიც შეილის ჩამორთმევით შეზღუდულია, შეიძლება ბავშვთან ურთიერთობის ნება დაერთოს, თუ ეს ცუდ გავლენას არ მოახდენს ბავშვზე“.

როგორც ჩანს, გამონატულია შესაძლებლობა იმისა, რომ უფლებების ჩამორთმევა შეიძლება ეხებოდეს ან ერთ, ან ორივე მშობელს.

იმავე თავში 1209-ე მუხლის (მშობლის უფლებების აღდგენა) ყოველ პუნქტში გამოიყენებოდა ფორმა „მშობელი“ – მხოლოდით რიცხვში. შინაარსის დასაზუსტებლად არ არის ნახმარი „მშობლები“: „4. მშობლის უფლების აღდგენა არ დაიშვება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვამ იშვილა“.



შინაარსი გამჭვირვალეა და ჩანს, რომ იგულისხმება ან ფუნქციონირებს ან ორივე მშობელი, თუმცა ფორმა ისეთი არ არის, როგორც 1211-ე მუხლში იყო. სხვა მუხლების სათაურებში ეს სიტყვა მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი: მშობლის უფლებების ჩამორთმევა, შვილის ჩამორთმევა მშობლის უფლებების ჩამორთმევის გარეშე... მაგრამ აქ მხოლოდობითი რიცხვის ფორმის მქონე სახელი განსოგადებულია, კრებითი შინაარსითაა დატვირთული და აღარ არის საჭირო ფრჩხილების მეშვეობით დამატებით გადმოიცეს დამაზუსტებელი ინფორმაცია. უმჯობესი იქნებოდა 1209-ე მუხლშიც ყოფილიყო ორივე ფორმა: მშობელი (მშობლები) ან სხვა მუხლებში გამოყენებულიყო ოდენ მხოლოდობითი რიცხვის ფორმის მქონე, მაგრამ კრებითი შინაარსის სიტყვები.

ამგვარად, ფრჩხილების გამოყენების საკითხი საკანონმდებლო ტექსტებში რამდენიმე გარემოებით განისაზღვრება: 1. რა ფუნქცია უნდა დაეკისროს ფრჩხილებს; 2. მართებულად არის თუ არა ნახშირი ფრჩხილები.

ჩვენ შევეცადეთ გამოგვეკვთა ინფორმაციის ფრჩხილებში ჩასმის ძირითადი პრინციპები, კერძოდ ის, რომ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი უნდა შეესაბამებოდეს წინადადების წევრს (რომელშიც არის ფრჩხილები ან რომელსაც დაერთვის ფრჩხილები) ან საკუთრივ ამ წინადადებას. შესაბამისობა უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული, ლოგიკური, მკაფიო, არაბუნდოვანი. ფრჩხილებში მოთავსებულმა ინფორმაციამ ხელი უნდა შეუწყოს ოფიციალურ-დოკუმენტური სტილის ტექსტების ლაკონიურობისა და ამავე დროს ყოვლისმომცველობის, ამომწურავი შინაარსის გამოხატვას. სხვა შემთხვევაში ფრჩხილები არამართებულად იქნება გამოყენებული.

#### 4. კანონის სტილი

ადამიანთა საქმიანობა სხვადასხვა სფეროში იწვევს ენის ფუნქციურ დიფერენციაციას. ამ პროცესში ენის საკომუნიკაციო თუ კოგნიტიური ფუნქციები განსხვავებულად ხორციელდება. კერძოდ, გამოიკვეთება თავისებურ ენობრივ საშუალებათა ერთიანობა, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ადამიანთა მეტყველების სპეციფიკას სიტუაციასთან, საგანთან, მოვლენასთან, მეცნიერებისა და ხელოვნ-

ნების დარგებთან დაკავშირებით. ენის პოლისტრუქტურულობა ვლინდება მისსავე ფუნქციური ვარიანტულობით. ამგვარ ფუნქციურ დიფერენციაციას განაპირობებს ადამიანთა სხვადასხვა სტატუსში საქმიანობა. ამა თუ იმ სოციალური გარემოსათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ლექსიკა, გრამატიკული ფორმები თუ სხვა საშუალებანი, რომლებიც ქმნიან მკაცრად შემოსაზღვრულ თავისებურებათა ერთობლიობას – სტილს. სწორედ ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროს არსებობითაა განაპირობებული თანამედროვე სალიტერატურო ენის ფუნქციურ-სტილური დიფერენციაცია ისეთ სახეობად, როგორიცაა: სამეცნიერო, ოფიციალური-დოკუმენტური, მასობრივი, პუბლიცისტური და სასაუბრო სტილი.

თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ოფიციალურ-დოკუმენტური სტილის განვითარებასა და დახვეწას. ოფიციალურ საქმეთა ენა არის სახელმწიფო აქტების, კანონების, საერთაშორისო დოკუმენტების, ადმინისტრაციულ-საკანცელარიო ქაღალდების, საქმიანი მიმოწერისა და, საერთოდ, ოფიციალური ქაღალდების ენა, რომელიც ემსახურება ოფიციალურ-საქმიან ურთიერთობებს, გამოიყენება სახელმწიფო ორგანოების კავშირისათვის მოსახლეობასთან, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა ურთიერთობისათვის პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში. ამგვარად, ოფიციალურ საქმეთა ენის სოციალური ფუნქციაა ოფიციალურ-საქმიან დამოკიდებულებათა სამსახური, მისი ფუნქციონირების შესაბამისი სფეროებია სამართალი, პოლიტიკა.

ოფიციალურ საქმეთა სტილში რამდენიმე ქვესტილი გამოიყოფა: ა) კანონმდებლობითი ბ) დიპლომატიური გ) ადმინისტრაციულ-საკანცელარიო.

საკანონმდებლო ქვესტილი შეისწავლის კონსტიტუციების, კანონების, ბრძანებულებების, ბრძანებების, სამოქალაქო, სისხლისა სამართლის სხვა დარგების აქტების ენას. დიპლომატიური ქვესტილი გულისხმობს კონვენციების, ნოტების, მემორანდუმების, საერთაშორისო შეთანხმებების გაანალიზებას სტილის თვალსაზრისით; ადმინისტრაციულ-საკანცელარიო კი აერთიანებს სხვადასხვა ჯანრს – ადმინისტრაციულ აქტებს, განკარგულებებს, საკანცელარიო მიმოწერას, ასევე დოკუმენტაციას და სხვ.

შემოდასახლებული ქვესტილებისათვის გამოიყოფენ „კანონთა ენას“ და „საქმიანი ქაღალდების ენას“. სანამ უშუალოდ კანონის სტილს შევხებოდეთ, გვინდა წარმოვადგინოთ საერთოდ ოფიცია-



ლურ-საქმეთა სტილისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ძირითადი ნიშანი, რომლებიც მის ყოველ ქვესტილსა და ფანტასტიკურ ნაწარმს ღვრავს.

### ფუნქციური მახასიათებლები

სამართლის ნორმათა მეშვეობით უნდა მოწესრიგდეს დამოკიდებულება ადამიანებს, ორგანიზაცია-დაწესებულებებს, ქვეყნებს შორის, მოქალაქეებს და სახელმწიფოს შორის. კანონის ენა, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს ნორმის სამართლებრივ შინაარსსა და მასთან დაკავშირებულ ელემენტებს. ამ პროცესში ზოგჯერ უგულებელყოფილია გარკვეული ენობრივი ნორმები, რადგან საკანონმდებლო ტექსტების შექმნა ძალიან რთულ, სპეციფიკურ და შეზღუდულ ელემენტებს მოიცავს. აქ აზრი ნათლად, ზუსტად უნდა იყოს გამოხატული, ისე, რომ გამოირიცხოს ყოველგვარი ორაზროვნობა. ოფიციალურ საქმეთა სტილისათვის დამახასიათებელია იმპერატიული და მითითებით-ჯერარსობითი მნიშვნელობის სტილური საშუალებების გამოყენება, რათა გამოიკვეთოს სამართლის ნორმატიულ-მარეგულირებელი ფუნქცია. სწორედ სამართლის ნორმების გამოყენებით ხორციელდება მნებლობის გამოხატვა, რაც სპეციფიკურია ოფიციალურ საქმეთა სტილისათვის.

ოფიციალურ საქმეთა სტილი რთული კომპოზიციური სისტემაა. ჩვენ უკვე დავასახელეთ ის ქვესტილები და ფანრები, რომლებიც მასში ერთიანდება. უნდა ითქვას, რომ საკუთრივ საკანონმდებლო სტილიც მოიცავს განსხვავებული შინაარსობრივი თუ ფუნქციური დატვირთვის მქონე კანონებს, ბრძანებულებებს, ბრძანებებსა თუ სხვა ნორმატიულ აქტებს. კანონის სტილში შედის სამართლის სხვადასხვა დარგის (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომის...) ნორმები. ნორმათა ამგვარი დიფერენციაცია განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნებით, რადგან სწორედ სათანადო ნორმების მეშვეობით ხორციელდება კონკრეტული ურთიერთობანი კანონის, ბრძანებულების, განკარგულების ტექსტებში, სადაც სტილი ნორმატიულ-მარეგულირებელი ხასიათისაა, რეალიზებულია ენის არა მხოლოდ საკომუნიკაციო-ინფორმაციული ფუნქცია, არამედ იმპერატიულიც. ენის ფუნქციათა მიხედვით ოფიციალურ საქმეთა სტილში კიდევ გამოყოფენ საურთიერთო ფუნქციაზე დაფუძნებულ სახელმეკრულებო ტექსტებსა და ინფორმაციული ფუნქციის მატარებელ უწყებებისა და განცხადებების ტექსტებს. ჩვენი აზრით, ოფიციალურ საქმეთა





სტილის ქვესტილების ამგვარი დიფერენციაცია საკუთრივ ქვესტილებსაც შეიძლება შეეხოს.

კერძოდ, საკანონმდებლო სტილში შედის სამართლებრივი ნორმები. ამასთან ცნობილია ისიც, რომ ეს სამართლებრივი ნორმები შეიძლება სამართლის სხვადასხვა დარგს მიეკუთვნებოდეს; არსებობს სისხლის სამართლის ნორმები, სამოქალაქო სამართლის ნორმები, ადმინისტრაციული სამართლის ნორმები და სხვ. ეს ნორმები განსხვავებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწყვარეობას ემსახურება. და ეს განსხვავება განსაზღვრავს ამა თუ იმ დარგის სამართლის ნორმათა დამახასიათებელ სპეციფიკას. მაგალითად, სისხლის სამართლის ნორმები ხასიათდება იმპერატიულით, რომელიც მკვეთრადაა გამოხატული. ამგვარივეა ადმინისტრაციული სამართლის ნორმები. სამოქალაქო სამართლის ნორმებში კი უფრო დისპოზიციურობაა გამოკვეთილი.

ამდენად, კანონის სტილი საკმაოდ რთული, მრავალფეროვანი და საინტერესო სფეროა, სადაც ამ სტილის ზოგად ფუნქციურ ნიშნებთან ერთად მასში შემავალ ქვესტილთა სპეციფიკური მახასიათებლებიც გამოიყოფა.

### შინაარსობრივი მახასიათებლები

ამ სტილის ტექსტები გამოირჩევა აზრის კონკრეტულობით, ზედმიწევნითი სიზუსტით, ენობრივი სტანდარტულობით, ლაკონიურობით. აზრი გადმოიცემა ლოგიკური თანამიმდევრობით, შეიცავს მსჯელობას, დასაბუთებას, ფაქტების აღწერას, დაზუსტებას, ანალიზს. ზემოჩამოთვლილი ელემენტები უზრუნველყოფს სამართლის ფუნქციის შეუფერხებელ რეალიზაციას.

კანონთა ფორმირებისას უდიდესი როლი ეკისრება ლოგიკის კანონებს, სისხლის სამართლის საერთო და განსაკუთრებულ ნაწილებად გაყოფა სწორედ ლოგიკური აზროვნების კანონშემოქმედებაში გამოყენებით გახდა შესაძლებელი. ამგვარმა გაყოფამ კი შექმნა საფუძველი იმისათვის, რომ ლაკონიურად, მრავალსიტყვაობის გარეშე წარმოჩენილიყო მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი. ნორმატიულ აქტთა აგების ისეთი ხერხები, როგორცაა იურიდიული კონსტრუქცია, ანალოგია, პრეზუმფცია, ფიქცია... სწორედ ლოგიკის სფეროში მოქმედ კანონებს ეფუძნება. ამგვარია დედუქცია, ანალოგია, ჰიპოთეზა... მაგალითად, საკანონმდებლო ანალოგია სხვა არაფერია თუ არა ლოგიკური დედუქცია.

საკანონმდებლო ტექსტები მუხლთა ერთობლიობაა, რომლებიც



გაერთიანებულია თემის, პრობლემისა და იდეის საფუძველზე. ფაქტობრივად წარმოდგენილია თვისისთა ჯგუფი, თითოეული თვისისი ამ ჯგუფში შემადგენელი რგოლის როლს ასრულებს და ლაზარევიძის რი თანამიმდევრობით ენაცვლება ერთმანეთს. საბოლოო ანგარიშით მას განზოგადებული ხასიათი ენიჭება.

კანონის სტილისათვის მიუღებელია ორაზროვნობა ან გადმოსაცემი აზრის ბუნდოვანება, რადგან სხვაგვარად განმარტების შესაძლებლობა ხელს უშლის სამართლის ძირითადი ფუნქციის განხორციელებას.

### ფორმობრივი მახასიათებლები

ოფიციალურ-დოკუმენტური სტილის ენა ძირითადად წერილობითია. წერილი მეტყველების საფუძველზეა ჩამოყალიბებული წიგნური სტილი. აქ ინფორმაცია გამოსატულია გრაფიკულად. წერილი მეტყველება ექვემდებარება მტკიცე ენობრივ ნორმებს. ამასთან კიდევ ერთხელ მეორდება ადრე აღნიშნული პრინციპი: ამგვარად შექმნილი ტექსტი უნდა იყოს დახვეწილი, ენობრივად გამართული და ადვილად გასაგები. კანონის სტილი სწორედ წერილობითი სახით ხორციელდება და, ამდენად, მისი ისედაც შეზღუდული ხასიათი კიდევ უფრო შემოსაზღვრულია.

ტექსტების სტრუქტურა განსაზღვრულია. ტექსტის კომპოზიციური ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემუშავებულია გარკვეული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსის ორგანიზაციას, მასალის შემოტანის თავისებურებების გათვალისწინებას, ძირითადი ნაწილის გადმოცემისა და აგების, დასკვნითი ნაწილის გაფორმების სპეციფიკას.

ძირითადი ნაწილი ხშირად იყოფა თავებად, პარაგრაფებად, პუნქტებად, სადაც დაკონკრეტებულია გადმოსაცემი აზრი. საკანონმდებლო ტექსტებში არ არის გამოყენებული ინდივიდუალური ენა, რადგან კანონი კოლექტიური შემოქმედების პროდუქტია. ამიტომ კანონები სამეტყველო საშუალებათა ნაკლები ვარიაციულობით ხასიათდება, ვიდრე, მაგალითად, პუბლიცისტიკისა თუ მხატვრული ლიტერატურის ენა.

სამეტყველო საშუალებათა ვარიაციების შეზღუდულობა, აზრის გადმოცემის უპირო ფორმა განაპირობებს კანონის სტილის კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებას – მის სტანდარტულობას, სტერეოტიპულობას. ყოველივე ამის გამო კანონის ენა ერთგვარ ფორმალურ-შეზღუდულ, კანცელარიულ ენად აღიქმება, მაგრამ ისიც



გასათვალისწინებელია, რომ კანონის სტილში გაერთიანებულია მრავალმხრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები.

საკანონმდებლო ენა თავისი ბუნებით ლაკონიური, კონკრეტული ენაა, რომლის სტანდარტულობაც ზემოაღნიშნულ თვისებებთან ერთად საკუთრივ ენის პრაგმატულ თვისებაზეც მიგვანიშნებს, რადგან ეს უკანასკნელი საურთიერთო საფუძველს ქმნის.

ოფიციალურ საქმეთა სტილში, რომლის ერთ-ერთი ამოცანაა ნორმატიულ-მარეგულირებელი სამართლებრივი ფუნქციის გამოხატვა, შეიქმნა ფუნქციურ-სტილურ ნორმათა განსაზღვრული სისტემა, რომელიც მაქსიმალურად უნიფიცირებული და კოდიფიცირებულია სხვა სისტემასთან შედარებით.

კანონის სტილი ცალკეული პირების ინდივიდუალურ-სამეტყველო თავისებურებათა აბსტრაქციაა. სტანდარტიზებული, ერთგვაროვანი, გამოხატვის ემოციურ-ექსპრესიულ საშუალებათა გამოყენების თვალსაზრისით ნეიტრალური, არა მარტო თვისებრივად, არამედ რაოდენობრივადაც მკაცრად შემოფარგლული. კანონის სტილის მახასიათებელია სტანდარტული ტერმინები და მყარი სამეტყველო კონსტრუქციები.

კანონის ენის სტანდარტულობა სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს:

- ა) ერთი და იმავე წინადადებისა თუ სიტყვის განმეორებით;
- ბ) ენობრივი შტამპების სიჭარბით;
- გ) ლექსიკური თუ გრამატიკული კანცელარიული ელემენტების პროდუქტიულობით.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ეს ნიშანთაგანი საბოლოოდ აზრის სიზუსტის, მკაფიოობის, ადვილად აღსაქმელობის მიღწევის მიზანს ემსახურება.

## ლექსიკური მახასიათებლები

ზემოხსენებული ნიშნები კანონის (და თვით ოფიციალურ-დოკუმენტური) სტილის ლექსიკურ მახასიათებლებს მიეკუთვნება. ამგვარ მახასიათებელთა გამო ოფიციალური დოკუმენტების სტილს „კანცელარიულსაც“ უწოდებენ. ლექსიკურ მახასიათებლებში შედის ასევე ზმნის საწყისები (მიღება, გაგზავნა, დადგენა, გატანა, შეზიდვა, განცხადება...) და მიმღობები (მიღებული, გაგზავნილი, დადგენილი, გატანილი, შემოზიდული, გამოცხადებული...). ფართოდ გამოიყენება არაფრაზოლოგიური ხასიათის მყარი შესიტყვე



ბები (საკასაციო სარჩელი, კერძო განჩინება). ოფიციალურ ტექსტში თა სტილი იყენებს სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს. აქ არ იხმარება დიალექტური, სასაუბრო თუ გარგონული სიტყვები, არ გვხვდება შორისდებულები, ემოციურიობის გამომხატველი სხვა სიტყვები და გამოთქმები, რიტორიკული შეკითხვები. ყოველივე ეს აიხსნება საქმეთა სტილის თავისებურებებით – გადმოცემული მოვლენისადმი არაემოციური და ობიექტური დამოკიდებულებით. ხშირად კანონის სტილი იყენებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ შესიტყვებებსა თუ სხვა საშუალებებს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ შეგვიძლია რომელიმე ობიექტის არსებობა „არის“ ზმნით გამოვხატოთ, ამგვარი ტიპის ტექსტებში უმართებულოდ „ადგილი აქვს“-ს უპირატესობას ანიჭებენ. გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ტიპის შესიტყვებანი ბუნებრივი არ არის ხოლმე თვით ქართული ენისათვის, მაგრამ ისინი იმ კანცელარის ზმების რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც ასე მომრავლდა თანამედროვე ქართული ენაში.

კანონის სტილში განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნაზმნარ სახელთა ხშირი გამოყენება, სახელის უპირატესი ხმარება ზმნასთან შედარებით. ეს ყოველთვის სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევად ვერ ჩაითვლება, ამგვარი მახასიათებლები გვიჩვენებენ კანონის სტილის სპეციფიკურ ნიშნებს.

იგივე უნდა ითქვას პასიურ ფორმათა სიჭარბეზეც. ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა არჩევის უპირატესობას განსაზღვრავს ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა ძირითადი სემანტიკა, მთელი ყურადღების გადატანა რეალურ, აზრობრივ ობიექტზე და თვით მოქმედების ფაქტზე (ამდენად აზრობრივი ობიექტის გრამატიკულ სუბიექტად გაფორმების უნარი). ამ დროს ასეთი ლოგიკური აქცენტირების ცვლილება მიიღწევა აზრობრივი სიტუაციის მონაწილეთა სინტაქსური იერარქიის შეცვლით. მაგ.: სამოქალაქო კოდექსის მუხლი 109. „წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება... გ) უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით“.


მეორე ნაწილი წინადადებისა, რომელიც ვნებითი გვარის ფორმის „ქარწყლდება“ ზმნას ახლავს, პირობაა. აქ მთავარია ობიექტი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლებისა – რაც ფაქტია, ხოლო ფაქტის შემოქმედი კი (რომელიც ამ შემთხვევაში გაქარწყლების პირობის დამაზუსტებლად გვევლინება) შედარებით გაპასიურებულია. სხვაგვარად უნდა გვეპოვოდა: „უფლებამოსილე



ბის გამცემი პირი უფლებამოსილების გაუქმებით აქარწყლებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას", მაგრამ აქტიურად სწავლა მა „აქარწყლებს“ აქ არღვევს იმ ზოგად სემანტიკას, რაც ცხადდება ლსა და მის დამაკონკრეტებელ პუნქტებშია გადმოცემული. მხატვრულ ლიტერატურის ენაში ასეთი კონსტრუქციები იშვიათია და აღიქმება არაბუნებრივ, ხელოვნურ კონსტრუქციებად, თუ მათ მიზნობრივი დატვირთვა არა აქვთ, კანცელარიული სტილისათვის (ასევე კანონის სტილისათვის) მათი გამოყენება ჩვეულებრივია და ზოგჯერ – აუცილებელიც.

ჩვენ მიერ განხილული პასიური ფორმები ის გრამატიკული მახასიათებელია, რომელიც სპეციფიკურია ოფიციალურ-დოკუმენტური სტილისათვის. ეს არის საშუალება, საფუძველი ამ სტილისათვის საჭირო ელემენტების შესაქმნელად. გავეცნოთ კანონის სტილის რამდენიმე ამგვარ პროდუქტიულ მახასიათებელს.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროს მონაცემების მიხედვით ზმნის გვარის აღწერითი ფორმები ორგანული წარმოების ენებითუბის გვერდით არსებობს და ზოგ სფეროში (მაგალითად, ოფიციალურ-საკანცელარიო საქმეების ენაში) აშკარა უპირატესობითაც კი სარგებლობს. აღწერილობითი ენებითი თანამედროვე სალიტერატურო ენის ფაქტია. აღწერით ენებითს უწოდებენ ენებითი გვარის ნამყო დროის მიმღობის ფუძითა და იქნა/იქნეს/იქნება მეშველი ზმნით შედგენილ ფორმას. ამგვარია: **დაკავებულ იქნა, წამოყენებულ იქნა, დაბატიმრებულ იქნა.** რამდენად ბუნებრივია ამგვარი კონსტრუქცია ქართული ენისათვის, ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით გვექნება საუბარი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, რეალურსუბიექტიანი (აშენებულ იქნა მის მიერ) აღწერითი ენებითის შემცველი კონსტრუქცია უფრო ასატანია, ვიდრე ორგანული ენებითის რეალურსუბიექტიანი კონსტრუქცია (აშენდა მის მიერ, დაიწერა მის მიერ). საერთოდ მაინც უნდა ითქვას, რომ ამგვარი კონსტრუქციები მოუღებელ ფორმებადაა შეფასებული სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ ასეთი ფორმების (და შესაბამისი კონსტრუქციების) ნორმატიულობა-არანორმატიულობის შესახებ დასკვნის გამოტანისას მნიშვნელოვანია სხვა ენის გავლენაც თარგმნის დროს. ზოგ შემთხვევაში სხვა ენის პასიური კონსტრუქციებისა და უკუქცევითი სემანტიკის გადმოსაცემად აღწერითი ენებითის ფორმა მოხერხებული აღმოჩნდა. მეორე მხრივ, თვით სტილის სპეციფიკა, ობიექტურ სინამდვილესთან მისი დამოკიდებულების



თავისებურება განაპირობებს აღწერითი ენებითი ფორმების განსაზღვრების უპირატესობას ორგანული წარმოების ენებითი ფორმებთან და ზოგჯერ თვით აქტიურ ფორმებთან შედარებითაც.

კანონის სტილში ხშირად გვხვდება სიტყვათა მყარი შენაერთები, განსაკუთრებით მარტივ ზმნათა ნაცვლად (მონაწილეობს – მონაწილეობას იღებს, დამეხმაროს – დახმარება გაუწიოს, მოსთხოვეს – წაუყენეს მოსთხოვნა, გაიგ ზაგნა – გაგ ზაგნილ იქნა, ვებრძოლოთ – ბრძოლა გამოვეუცხადოთ...). თანამედროვე ქართულ ენაში გამოყენებულია ამ ტიპის ფრაზეოლოგიური თუ მყარი გამოთქმები, რომლებიც დანაწევრებულად აღნიშნავენ ერთიან ცნებას და რომელთა შეცვლაც მეტ წილ შემთხვევებში შეიძლება ერთი ზმნით (ზრდა მიმდინარეობს – იზრდება, მონაწილეობას იღებს – მონაწილეობს). სპეციალურ ლიტერატურაში მათ უწოდებენ „შესიტყვებებს, რომლებიც წარმოადგენენ მარტივი ზმნების პერიფრაზს“. ყოველთვის არ ხდება ამგვარი შენაცვლება. მაგალითად, „სისრულეში მოიყვანა [განაჩენი] და შესრულა [თხოვნა], ჩვენება მისცა [სასამართლოში] და უჩვენა [წიგნი, სურათი]“. აქ სახელურ-ზმნური შესიტყვებანი იძლევიან მოქმედების გარკვეულ და განსაზღვრულ დახასიათებას და ხშირად, თუ ზმნის ხმარების დროს საჭირო ხდება კონტექსტის გათვალისწინება, ამგვარი ფორმები ერთი მნიშვნელობის გამო (რაც მის შემადგენელ ელემენტებს ახასიათებს) გამორიცხავენ ფრაზის ორაზროვან გაგებას. ამასთან აღწერილ ანალიზურ ფორმებში უფრო მეტადაა შესაძლებელი სხვადასხვა სახის ცვლილებები, კომპონენტთა სინონიმური შენაცვლება, მეტყველების ერთი ნაწილის მეორედ გარდაქმნა, კომპონენტთა გადაადგილება და სხვ. ჩანს, ყველა ეს ფაქტორი განსაზღვრავს აღწერითი ფორმების ფართო და ხშირ ხმარებას სამეცნიერო ლიტერატურაში, პუბლიცისტიკასა და ოფიციალურ დოკუმენტებში. მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი თვალსაზრისით ზემოხსენებული კონსტრუქცია ბუნებრივად ვერ ჩაითვლება, კანონის სტილისათვის ის მაინც მოხერხებულია, რადგან სხვა პირობებთან ერთად იგი ქმნის საფუძველს ორაზროვნობის თავიდან ასაცილებლად, რაც კანონის სტილის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა.

კანონის სტილის ნიმუშებში პროდუქტიულია უნდა მოდალური ნაწილაკით ნაწარმოები ფორმები. ეს ნიშანიც სპეციფიკურია, რადგან ამ ტიპის კონსტრუქციიანი წინადადებები ესაჭიროება კანონის სტილის ტექსტებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონის სტილის სპეციფიკა მისი იმპერატიული ხასიათითაც გამოიხატება.



ოფიციალური დოკუმენტების ენაში, — დადგენილებების, ბრძანებულებების, კანონების და ამგვარი ტექსტების საქმიან დოკუმენტაციაში, რომელშიც გათვალისწინებულია ამა თუ იმ მოქმედების მომავალში აუცილებელი შესრულება, იხმარება II კავშირებითის ფორმა (რა ქნას? — უნდა შეასრულოს...). ეს წინადადებები კატეგორიული შინაარსისაა და თუმცა ზმნა უნაწილაკოდ არის გამოყენებული, ძალიან დიდა მოთხოვნილება უნდა ნაწილაკისა და მოდალური სიტყვის საჭიროა სემანტიკაზე. როგორც ზემოგანხილულ შემთხვევებში, აქაც მოქმედებს ვნებითი გვარის ზმნა, რადგანაც ამ გადაწყვეტილებებში აქცენტირებულია თვით ფაქტი, ბრძანება, ხოლო ფაქტის შესრულების სავალდებულოობა (რომელიც წინ წამოწეულია) თავისთავად გამორიცხავს სუბიექტის აქტიურობას. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იქნება. თუკი გვექნება მოწოდება, ასევე შემთხვევა, როდესაც ბრძანება კონკრეტულადაა მიმართული რომელიმე პირის ან ორგანიზაციისადმი და აქცენტირებულია არა ფაქტი, არამედ მოქმედება, უკვე აქტიური კონსტრუქცია გვექნება და ბრძანებაც (იმპერატულობა) კონკრეტული პირისადმი იქნება მიმართული (წარმართონ, აამოქმედონ...). უნდა + II კავშირებითის I ფორმა (ზმნისა) კონსტრუქცია ძალზე პროდუქტიულია თანამედროვე საკანონმდებლო ტექსტებში. მაგ.: სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1035. „გადამუშავებული ნაწარმოების ავტორმა უნდა დაიცვას... საავტორო უფლება“. მუხლი 1036. „...მთარგმნელმა უნდა დაიცვას...“. მუხლი 808. „დამზღვევმა ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს უნდა შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება...“.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ოფიციალურ საქმეთა სტილში ძალზე პროდუქტიულია პასიური ფორმის ზმნათა გამოყენება. აქამდე მხოლოდ დინამიკური ვნებითი გვარის ფორმებზე ვსაუბრობდით. უნდა ითქვას, რომ სპეციალურ ლიტერატურაში სტატიკური ზმნები არაპროდუქტიულადაა მიჩნეული. კანონთა ტექსტების განხილვისას (სამოქალაქო კოდექსი) საკმაოდ ხშირად გვხვდება სტატიკური ფორმის მქონე „შეუძლია“ ზმნა.

მაგალითად, 687-ე მუხლის 5. „გადამზიდველს შეუძლია 686-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ პუნქტი გამოიყენოს მხოლოდ მაშინ, როცა მან შეასრულა მასზე“ დაკისრებული ყველა ღონისძიება...“. მუხლი 1156. „თითოეულ მეუღლეს თავისუფლად შეუძლია აირჩი-

\* შევდომა. მასზე კი არა, მისთვის უნდა იყოს. — რედ.



ოს...". ეს ფორმა აღინიშნავს უფლებების ქონას. მართალია, სტატუ-  
კური ფორმის სხვა ზმნები არ ჩანს კონტექსტში. მაგრამ  
ცალკეული ფორმა საკმაოდ პროდუქტიულია. **სტატუსი** (ოლონდ არა სტატუკური ფორმით, არამედ მოდალური ფუნქცი-  
ით) იმავე კონსტრუქციაში გამოიყენება, როგორც „უნდა“ ნაწილა-  
კი. კერძოდ, გვაქვს „შეიძლება + II კავშირებითის“ ფორმიანი კონ-  
სტრუქცია: შეიძლება მოხდეს – მუხლი 1124. „განქორწინების წე-  
სი: განქორწინება შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მუდლის დაუს-  
წრებლად...“. ეს კონსტრუქცია (შეიძლება + II კავშირებითის  
ფორმა) და ასევე მარტივი ფორმა ამავე ზმნისა, „შესაძლებლობის“  
სემანტიკიდან მომდინარეობს და უპირისპირდება იმპერატიულ-კა-  
ტეგორიული შინაარსის მქონე კონსტრუქციებს. ამას მოწმობს ის  
მუხლები, რომლებშიც ორივე სემანტიკის ელემენტია წარმოდგე-  
ნილი: მუხლი 808. „...უნდა შეატყობინოს...“; მუხლი 1124. „შეიძ-  
ლება მოხდეს“. პირველ კონტექსტში გამოხატულია მოთხოვნა, მე-  
ორეში კი – შესაძლებლობა. ორივე მათგანი კანონთა სპეციფიკურ  
რი მოთხოვნილებებით არის განპირობებული, თითოეული მათგან-  
ი კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენება და აუცილებელია კანონ-  
ით გამოსახატავი შინაარსის ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემი-  
სათვის.

კიდევ ერთი სპეციფიკური მხასიათებელი კანონთა სტილისა  
არის სტანდარტული თქმები, ანუ შტამპები. საერთოდ, სპეცია-  
ლურ ლიტერატურაში სტანდარტული, შაბლონური ფრაზები  
სტილის დიდი ნაწილია, მაგრამ საკანცელარიო ენისათვის შტამპები  
ჩვეულებრივი მოვლენაა. ისინი, როგორც უცვლელი, სპეციალური  
სიტყვები და თქმები, დაკავშირებული არიან ამა თუ იმ დოკუმენ-  
ტთან, სპეციალობასთან და საჭირო არ არის მათი სხვა ვარიანტე-  
ბით გამოყენება, ვინაიდან სხვა ფორმებით აზრის გაგება გაძნე-  
დებოდა.

სამეტყველო სტერეოტიპების – სტანდარტი, კლიშე, შტამპი –  
გამოყენება საესებით კანონზომიერი ჩანს ინფორმაციულ და ანა-  
ლიზურ თარგმანში, თუმცა ეს არ ითქმის მხატვრული, პუბლიცის-  
ტური თარგმანის შესახებ. ეს აიხსნება კლიშესა და სტანდარტის ფუნ-  
ქციით – ორივე მათგანი სამეტყველო სტერეოტიპის, ანუ სიტყვი-  
ერი ფორმულაა, რომლის საშუალებით ადვილდება კომუნიკაციის  
პროცესი. იგი ენის კონსტრუქციული ელემენტია, რომელიც უკავ-  
შირდება ენის სემანტიკურ და სტრუქტურულ ტევადობას, კონდენ-  
საციას, მაგრამ ხშირი და ზოგჯერ არასწორი ხმარების გამო





მკრთალდება მისი ემოციური-ექსპრესიული შეფერილობა, იშლება სემანტიკა და ყოველი სამეტყველო სტერეოტიპი მშრალ შტამებად იქცევა. შტამები ხშირად სტანდარტული განსაზღვრებებს გვხვდება. მაგ.: სათანადო ღონისძიებანი, ბათილი ხელშეკრულება, სათანადო წესით და სხვ. შტამები ხშირად გამოხატავენ სიტყვათა შორის ლოგიკურ შეუსაბამობასაც. მაგალითად, უკანონო თავდასხმა. ამ შესიტყვების წევრები სემანტიკურად შეუთავსებელია, რადგან თავდასხმა უკვე გულისხმობს არაკანონიერ საქციელს. ამდენად, სემანტიკურად ეს წყვილი გაუმართავია. შტამები ხშირად რთული ორგანიზებული კონსტრუქციებით არის გადმოცემული, რომელთაგან ზოგიერთი არაიშვიათად კალკირებულია. ამიტომ მათ შეიძლება აკლდეთ ის სემანტიკური ბუნებრიობა თუ გრამატიკული სიზუსტე, რომელიც ქართული ენისათვის არის დამახასიათებელი. მოუხვდავად ამისა, ამგვარი სტერეოტიპი მაინც რჩება კანონის სტილის ძირითად მახასიათებლად.

ზოგჯერ კანონთა მუხლებში გადმოცემულია გარკვეული პირობები და მჭიდროდ დაკავშირებული, ურთიერთშეპირობებული ფაქტები.

იმის გამო, რომ ინფორმაცია შეკუმშულად (და ამავე დროს ყოველისმომცველად) არის წარმოდგენილი, გამოყენებულია ფორმები, რომლებმაც შეიძლება ორაზროვნობაც გამოიწვიოს. მაგ.: სამოქალაქო კოდექსის მუხლი 67. **„ნებართვის ვალდებულება ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე“**. საკუთრივ სათაურში – ნებართვის ვალდებულება – იგულისხმება ნებართვის აუცილებლობა, საჭიროობა, სავალდებულოობა. ვალდებულება არსებითი სახელია, ობიექტის გამომხატველი ცნებაა და კონტექსტში თითქოს ნათქაზობით ბრუნვაში დასმული სახელი აზუსტებს შინაარსს: **ნებართვის ვალდებულება**, მაშინ როცა მუხლში გადმოცემული შინაარსი მეტყველებს ნებართვის **სავალდებულო** ხასიათზე, ე. ი. მეორე წევრი უნდა იყოს განსაზღვრული საკუთრივ ნებართვისა; ამიტომ ვალდებულების ნაცვლად (რომელსაც სხვა დატვირთვაც აქვს) შესაძლებელი იყო აქ **სავალდებულოობის** ან **აუცილებლობის** გამოყენება.

არის შემთხვევები, როდესაც მუხლში გამოყენებული ცალკეული სიტყვები არაზუსტად მიესადაგება კონტექსტს. მაგალითად, ავიღოთ წინადადება 69-ე მუხლიდან: **„მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის აღდგენა, განმეორება ან აღბეჭდვა დასაშვებია იქ, სადაც ეს მიღებულია“**. ჩვეულებრივად აღდგენა შეიძლება გულისხმობდეს გაუქმებულის ხელახალ წარმოებასაც. ამიტომ კონტექ-



სტში შეიძლება სულაც არ გამოვიყენოთ ეს სიტყვა ან მის ნაცვლად ვიხმაროთ გადატანა ან გადაღება.

საქართველოს კანონში „წამლისა და ფარმაცევტული საშუალებების შესახებ“ გვხვდება ისეთი აზრობრივი შეუსაბამობანი, როგორცაა:

„საქართველოს კანონმდებლობა წამლისა და ფარმაცევტული საშუალებების შესახებ მოიცავს საქართველოს კონსტიტუციას...“ (პარლამენტის უწყებანი № 8, გვ. 21, 1997).

ბუნებრივია, საქართველოს კანონმდებლობა წამლისა და ფარმაცევტული საშუალებების შესახებ არ შეიძლება მოიცავდეს კონსტიტუციას, ის შეიძლება გარკვეულწილად ეფუძნებოდეს კონსტიტუციასა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

ხშირად გვხვდება წინადადებები, სადაც არ არის გამოკვეთილი კანონისათვის სპეციფიკური იმპერატიული ხასიათი. მაგალითად, მუხლი 1: „წამლის სახელმწიფო რეგისტრაციის წესი და პირობები... 3. სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციის თაობაზე წარდგენილი განაცხადი შეიცავს...“ ნაცვლად ამ ფორმისა უნდა იყოს: უნდა შეიცავდეს. ასევე ამავე მუხლის მეოთხე პუნქტშიც: სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციის თაობაზე წარდგენილ განაცხადს თან ერთვის... – უნდა იყოს: „უნდა ერთვოდეს“.

უმართებულაა აგრეთვე 30-ე მუხლში (ფარმაცევტული დაწესებულება) გამოყენებული „კანონმდებლობით შექმნილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სამეურნეო სუბიექტი“.

33-ე მუხლში – ფარმაცევტულ ბაზაში უზარისხო და ვადაგასული წამლების განადგურება – მეორე პუნქტის ბოლო აბზაცში გამოყენებულია შესიტყვება: „შამთა შორის შამები“, რაც სტრუქტურული თვალსაზრისით არაბუნებრივია და მიუღებელი. უმჯობესი იქნებოდა გამოყენებულიყო „ძლიერი შამები“: „...დადგენილი წესით განადგუროს გაუვარგისებული ნარკოტიკული საშუალებები და ძლიერი შამები“.

მუხლი 38. „სამკურნალო საშუალების უკანონო ასლის“ განმარტებისას გამოყენებულია პლეონაზმი: „...წამალი, რომლის შეფუთვა და ეტიკეტი წარმოადგენს სხვა მწარმოებლის ყალბ იმიტაციას ან მიმსგავსებულა“. ყალბი აქ სრულიად ზედმეტია, რადგან იმიტაცია თვითონ გულისხმობს სიყალბეს, ყალბ ობიექტს. ამ კონტექსტში ყალბი არ უნდა იხმარებოდეს, აზრი ისედაც ნათელია.

ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილში ხშირი მოვლენაა აგრეთვე ჩართული თქმები – გარდა ამისა, ჩანს, ამრიგად, რასაკვირველია

და სხვ. განკერძოებული და ჩართული სიტყვების ძირითადი ფუნქციაა გადმოსცენ დამატებითი ინფორმაცია წინადადების ამა თუ იმ წევრის შესახებ. ინფორმაციულობის გამოხატვა კანონის სტილისათვის სპეციფიკური მახასიათებელია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩართული თქმები დაცლილია სუბიექტივიზმისაგან (როგორცაა, მაგალითად, ჩართული, რომლითაც მოუბარი გვაგებინებს, თუ როგორ უცქერის ის წინადადებაში გამოთქმულ აზრს). ესეც საკუთრივ ოფიციალურ-დოკუმენტური სტილის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის ტექსტები დაცლილია ინდივიდუალობისაგან. ეს არის განზოგადებული, საყოველთაო, მიზანმიმართული ნორმები, რომელთა დანიშნულებაც უაღრესად დაკონკრეტებულია.

კანონის სტილის ახასიათებს სიტყვათა მკაცრად განსაზღვრული რიგი. გარკვეულ შემთხვევებში ქვემდებარე წინადადების თავში მოქცეული: მუხლი 1354 (სამოქალაქო კოდექსი). „კანონით შემკვიდრები, რომლებიც მითითებულნი არ არიან ანდერძში, ინარჩუნებენ შემკვიდრების უფლებას...“.

კანონის სტილისათვის სპეციფიკურია სტანდარტული სინტაქსური კლიშე. ამგვარ ტექსტებში უფრო ხშირად გვხვდება თანაწყობის კავშირები (ე. ი. ორი თანასწორი წინადადების დაჯგუფება ერთ რთულ წინადადებაში), რადგან კანონი, წესდება და მსგავსი ნიმუშები მიუთითებს და არა განმარტავს (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგჯერ ამ მითითებას იმპერატოლობაც ერთვის). პირობითი საწყისური კონსტრუქციები ხელშეკრულებებში უფროა გამოყენებული, რაც დამატებითი შენიშვნის სტრუქტურითაა განპირობებული. აღსანიშნავია უპირო წინადადებათა გამოყენება ვერარსობის მნიშვნელობით (საჭიროა შესრულება, ვალდებულია, დაუშვებელია გადასვლა), ლაკონიურობისა და სიზუსტის მისაღწევად გამოიყენება პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები. ხშირია რთული და შერწყმული წინადადებები, რადგან მხოლოდ მარტივი წინადადების მეშვეობით ვერ ამოიწურება იმ ფაქტების თანამიმდევრობა, რომელთა ოფიციალური ინტერპრეტაციაც ხდება.

ოფიციალურ საქმეთა მეტყველებას ტექნიკურ, არაენობრივ საშუალებათა გამოყენების თავისებურებაც ახასიათებს. აქ იგულისხმება აზრის გადმოცემა რამდენიმე აბზაციით, რიგობითი ნუმერაცია. ეს ნიშნებიც საკუთრივ სტილის ხასიათის სპეციფიკითაა განპირობებული. ზემოთაც აღვნიშნეთ და კიდევ ვიმეორებთ, რომ კანონის სტილი არის უაღრესად კონკრეტიზებული, ლოგიკური, ერ-



თაზროვანი. ლოგიკური ძაფის უწყვეტობას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ კავშირები ელემენტთა შორის წინადადებათა შორის და აბზაცთა შორის გადმოცემულია ექსპლიციტურად (ამსხნელი ფუნქციით), რაც იწვევს კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების სწორ გამოყენებას. სამართლის ნორმის ლოგიკური ფორმულა შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს: „პირმა, რომელიც იმყოფება გარკვეულ პირობებში (პიპოთეზა), უნდა იმოქმედოს ამ პირობებში მოქმედი იურიდიული კანონების შესაბამისად (დისპოზიცია), რათა თავიდან აიცილოს გარკვეული შედეგები (სანქცია)“. ამ ფორმულას კი საფუძვლად უდევს ლოგიკურ ურთიერთობათა კონკრეტული სახე – იმპლიკაცია.

თვით დისპოზიცია შეიძლება იყოს კონიუნქციური ან დისიუნქციური, ან მოიცავდეს მოდალურ ელემენტს, მაგრამ ამ ზოგადი ფორმულის მიხედვით, ნათელია, რომ კონკრეტული ტექსტის ლოგიკური სტრუქტურის გასახსნელად მნიშვნელოვან როლს ასრულებს აბზაცებად დაყოფა. ტექსტების უმრავლესობის ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომელიც ძირითადად აზრს გადმოგვცემს და უშეტყვად მთელი აბზაცის გასაღებსაც წარმოადგენს ხოლმე. ამ დროს წინადადებათა და აბზაცთა შორის ლოგიკური კავშირის გაძლიერებისათვის გამოიყენება ისეთი სპეციალური მყარი გამოთქმები, როგორიცაა: როგორც ცნობილია, როგორც ჩანს, ცხადია, აღსანიშნავია, უნდა აღინიშნოს, უნდა ვიფარაუდოთ, დადგინილად უნდა ჩაითვალოს და სხვ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს საშუალებანი დიდი პროდუქტიულობით არ გამოიჩენენ კანონის სტილის ნიმუშებში, რადგან აქ წინადადებები ისედაც რთული კომპოზიციისაა და ძალიან იშვიათად საჭიროებს ამ დამატებით საშუალებას ლოგიკური კავშირის გასაძლიერებლად. ამ მიზნით იგი ისევ გრამატიკულ საშუალებებს – კავშირებსა და საკავშირებელ სიტყვებს ანიჭებს უპირატესობას.

ამრიგად, კანონის სტილი ფუნქციური სტილია, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ნიშან-თვისებები: სტილისტიკურად ნეიტრალურ და წიგნიერ ლექსიკურ ერთეულთა გამოყენება; გარგონის, ემოციური სიტყვებისა და გამოთქმების არარსებობა, პროფესიული ტერმინოლოგია; კლიშეები, სტანდარტული თქმები და შტამპები, ნაწილაკთა, კავშირთა და საკავშირებელ სიტყვათა სიუხვე, დომინირებს ფნებიითი გვარის ფორმიანი კონსტრუქციები, სიტყვათა მკაცრად განსაზღვრული რიგი, რთულ და შერწყმულ წინადადებათა

სიუჟეტი, მიმღეობის ტიპის გააქტიურება. ამგვარი ლექსიკურ-გრაფიკული მატაკული თუ ფუნქციური ინვენტარი კანონის სტილს ანიჭებს ისეთ თვისებებს, როგორც არის: ლოგიკურობა, კონკრეტულობა (ზოგ შემთხვევაში იმპერატიულობა შეტყობინების ფუნქციასთან ერთად), თავისებური ტექნიკური ფორმა და სტანდარტულობა.

## 5. სიტყვის სემანტიკური და იურიდიული მნიშვნელობა

ტერმინოლოგიური ლექსიკის შექმნის ძირითადი წყარო უპირველეს ყოვლისა თვით ქართული ენის ლექსიკური მასალაა. თანამედროვე ტერმინოლოგია მზამზარეულად იღებს და იყენებს ქართული ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ სიტყვებს და მათ სპეციალური დარგის კუთვნილებად აქცევს. თვით ტერმინოლოგიური ლექსიკა თავისი შემადგენლობით ერთფეროვანი არ არის. საკუთრივ ტერმინების გარდა, მასში უხვადაა არატერმინოლოგიური მასალა, სალიტერატურო ენის ლექსიკა. საერთო ენის ლექსიკური სისტემიდან ტერმინოლოგიურ სისტემაში ტერმინთა მიგრაციის შემთხვევები ყველა ენის მასალაში უხვად მოიპოვება, ჩვეულებრივია იგი ქართულისთვისაც.

საერთო ენის წიაღიდან აღებულ ამ სიტყვებს ტერმინებად ხმარებისას სხვა სფერო აქვთ და ფუნქციაც განსხვავებული ენიჭებათ. განსხვავებული არიან ისინი სემანტიკური მოცულობის თვალსაზრისითაც. ყველა ენის ტერმინოლოგიურ სისტემაში ჩვეულებრივი სიტყვა ტერმინის როლში, გარდა იმისა, რომ იცვლის ხმარების სფეროსა და ფუნქციას, სხვაგვარი სინტაგმატიკითაც ხასიათდება. საერთო ენის სიტყვათა ტერმინოლოგიზაცია ჩვეულებრივ სიტყვის მნიშვნელობას ცვლის, ანუ სემანტიკური განვითარების გზით ხორციელდება.

ტერმინოლოგიას ახასიათებს მნიშვნელობის განვითარების ყველა სახე: სიტყვათა მეტაფორული და მეტონიმიური ხმარება, ანუ მომიჯნავეობის მიხედვით ცვლა, მნიშვნელობის გაფართოება და შევიწროება, მნიშვნელობათა დიფერენციაცია და სხვ.

მაგალითად, მნიშვნელობის დაიწროებაა მწე სიტყვაში, რომელიც საზოგადოდ მოსულეს აღნიშნავდა ძველად, ახლა კი სამურნეო ნაწილის გამგეა სახელმწიფო თუ სამურნეო ორგანიზაციებ-



ში. საბუთების აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაში რამდენიმე ტერმინი არსებობდა: სიგელი, გუჯარი, დაწერილი, წიგნი, ხელითწერილი, ნიშანი, პატაკი, საბუთი, ოქრობეჭედი, რაყანი. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება ჰქონდა და კონკრეტულ პერიოდში გამოიყენებოდა. მაგ.: სიგელი X საუკუნიდან XV საუკუნის დამდეგამდე მეფეთა მიერ საბუთების აღსანიშნავად იხმარებოდა, იურიდიული დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ დღეს მას ეს ფუნქცია დაკარგული აქვს. იურიდიული მნიშვნელობის დავიწროების მაგალითია ასევე წიგნი, რომელმაც (უსინტაგმოდ) სრულებით აღარ შემოინახა თავისი პირვანდელი ტერმინოლოგიური ფუნქცია. დღეს საკმაოდ პროდუქტიულია ტერმინი – საბუთი (მტკიცება, უტყუარობა – ჩვეულებრივი მნიშვნელობით), რომელიც არაბული წარმოშობისაა, იურისპრუდენციაში ოფიციალური წერილობითი ცნობის, რისაზე დამადასტურებელი საქმიანი ქაღალდის, დოკუმენტის მნიშვნელობით გვხვდება. იგი საკმაოდ მყარი და ფართოდ გამოყენებული ტერმინია და შესიტყვების სახითაც იხმარება: „დამამტკიცებელი საბუთები“. მაშასადამე, აქ მნიშვნელობის გაფართოებასთან გვაქვს საქმე, რადგან შემოსსწენებულ ტერმინთაგან საბუთი ყველაზე გვიანდელია, მხოლოდ XVIII საუკუნიდან გვხვდება ქართულ ძეგლებში. არაბული წარმომავლობის რაყამი კი საერთოდ აღარ ჩანს ენაში. საბუთისავე მნიშვნელობით იხმარებოდა სპარსული წარმომავლობის ტერმინი ნიშანი (XIV ს.), მაგრამ დღეს, როგორც ცნობილია, ამ სიტყვამ დაკარგა თავისი ადრინდელი ფუნქცია. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა მჭიდროდაა დაკავშირებული იურიდიულ მნიშვნელობასთან, ზოგ შემთხვევაში მათი ცვალებადობა ურთიერთშექცევადი პროცესია. ამას მოწმობს ის მდიდარი ტერმინოლოგიური მასალა, რომელიც ჩვენ გვაქვს. ფაქტობრივად ქართული ტერმინების ისტორია სათავეს იღებს ქართული მწერლობის შექმნის დასაწყისიდანვე, როდესაც ბუნებრივი ენის წიაღში ისახებოდა უამრავი ცნება და ტერმინი.

როდესაც ტერმინად გამოიყენებულია ერთსიტყვიანი უმარმოებლო (უაფიქსო) ფუძე, მაშინ არ არის რთული ამ ფუძის სემანტიკურ და იურიდიულ მნიშვნელობათა დიფერენციაციის წარმოგება (თვით სიტყვის წარმომავლობის, მისი პირვანდელი მნიშვნელობის გათვალისწინებით). შემოსსწენებული მაგალითები შეიძლება სწორედ ამის დამადასტურებლად წარმოვიდგინოთ. მაგრამ თუკი აფიქსებით ნაწარმოები ფუძე გვაქვს ტერმინად, აქ შეიძლება სა-

კუთრივ ტერმინი იყოს თავიდანვე სპეციალურად შექმნილი, მაგალითად, პეტრიწისეული ტერმინი – არსებითი (არსება, არსებობა...) თავიდანვე ხელოვნურად შეიქმნა და ტერმინოლოგიურ ფუნქციით იყო აღჭურვილი. უმეტესად აფიქსური წარმოების სიტყვები მოტივირებულია. არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც ნაწარმოებ სიტყვას აქვს როგორც ტერმინოლოგიური, ისე არატერმინოლოგიური მნიშვნელობა. მაგალითად, მოქმედი – ძველი ქართული ლექსიკონის მიხედვით (აქვს რამდენიმე მნიშვნელობა) არ არის ტერმინი, აღნიშნავს მუშაკს, მაგრამ „დიდ სჯულისკანონში“ მოქმედი და მიმზიდველი – მოსარჩელე, მოქმედ პირებს აღნიშნავენ.

X-XII საუკუნეები – ეს არის ეპოქა ჩვენში მეცნიერების განვითარებისა, მწიგნობრობისა, მთარგმნელობითი საქმიანობისა. სწორედ ამ დროს შეიქმნა მყარი ტრადიციები სიტყვათა წარმოების და თხზვისა, შეგნებულად იქმნებოდა ამა თუ იმ დარგისათვის საჭირო ლექსიკა. ამ დროს მიეკუთვნება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: თანამზრახველობა, ჭეშმარიტება, ღირსი, ცვალებადი, ქმნადობა, ხელყოფა, ნივთიერი, არსი, არსებითი, უმსგავსი და სხვ. აღნიშნულ სიტყვებს იმთავითვე კონკრეტული (იურიდიული, ფილოსოფიური, ლოგიკური...) დანიშნულება აქონდა.

ამ პერიოდის სიტყვაშემოქმედებითი პროცესისათვის უმთავრესია ის, რომ იგი უპირატესად ეყრდნობა საკუთრივ ქართულ ძირებსა და სიტყვაწარმოებით საშუალებებს. ამ დროს არ ხდებოდა მექანიკური კალკირება სიტყვებისა იურიდიულ თუ სხვა დარგის ტერმინთა შესაქმნელად.

სტრუქტურული თვალსაზრისით ტერმინები სამი სახისაა: 1. ერთსიტყვიანი ტერმინები (რომელთა იურიდიული და სემანტიკური ურთიერთმიმართების შესახებ უკვე გვქონდა საუბარი) 2. შესიტყვებები და 3. სიმბოლოებით გამოხატული ტერმინები.

ერთსიტყვიან ტერმინთა გადმოსაცემად პროდუქტიულია არსებითი სახელები, რადგან ძნელია სხვა მეტყველების ნაწილების ლოგიკური კოორდინირება მათი აბსტრაქციის მიხედვით (როგორც ეს შეიძლება მოხერხდეს არსებით სახელთან). მაშასადამე, ამოსავალი ცნება იცვლება აბსტრაქციის გამოხატვის ხარისხის მიხედვით. ამ შრივ უნდა გამოიკვეთოს ერთი თავისებურება, რაც იურიდიულ ენაში შეინიშნება. აქ განსაკუთრებით პროდუქტიულია ხელობის სახელები, დანიშნულების სახელები, ასევე ნაშენარი სახელები – მიმღობები (საობიექტო და სასუბიექტო) და საწყისები. ამგვარი გრამატიკული ინვენტარი საშუალებას გვაძლევს გამოვხატოთ ყვე




ლაზე არსებითი ფუნქციური სტილისათვის — ინფორმაციულ-ლოგიკური თუ კომუნიკაციური ფუნქცია, რაც ნაკლებ შემთხვევითად ნია საერთო-სალიტერატურო ენის სხვა სახესხვაურობისა და ერთო-სალიტერატურო ენის ლექსიკონთან ტერმინოლოგიას საერთო გენეტიკური არსები და საერთო სიტყვაწარმოებით ბაზა აკავშირებს. იგი საერთო-სალიტერატურო ენის ბაზაზე აღმოცენებული და, ბუნებრივია, მის საფუძველს გრამატიკა შეადგენს.

განსაკუთრებით კარგად ჩანს მჭიდრო კავშირი სიტყვის სემანტიკურ და იურდიულ მნიშვნელობებს შორის ტერმინთა მეორე ტიპში — შესიტყვებებში. შესიტყვება-ტერმინთა დაყოფა სწორედ ამგვარ საფუძველს ეყრდნობა. აქ სამი ქვეტიპი გამოიყოფა: ა) შესიტყვებები, რომელთა ორივე ელემენტი ტერმინია (მრალის გამოწინება — ძვ. ქართ.); ბ) საზღვრული ელემენტი ტერმინია მსაზღვრული — ჩვეულებრივი სიტყვა (ხენეში ქცევა — „დიდი სჯულისკანონიდან“); გ) მესამე ტიპში მსაზღვრულია ტერმინი, ხოლო საზღვრული — არატერმინი (საფლავის მკრეხელი — „დიდი სჯულისკანონიდან“).

ჩვენ საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ მაგალითი ძველი ქართული ტერმინოლოგიიდან, მაგრამ მოუხედავად ამისა, პრინციპი სიტყვის სემანტიკური თუ იურდიული მნიშვნელობის გამოხატვისა ძირითადად თანამედროვე იურიდიულ ტერმინოლოგიაშიც იგივე რჩება. უფრო მეტიც, თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგია მოიცავს მრავალ ტერმინოლოგიურ კალკს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ქართულისთვის არაბუნებრივი კონსტრუქციებითაა გამოხატული. ესაა მექანიკური გადმოტანა იმისა, რაც ბუნებრივია სხვა (ჩვენს შემთხვევაში რუსული) ენისათვის. აქვე გვინდა გავიხსენოთ ივ. ჯავახიშვილის სიტყვები ამ საკითხთან დაკავშირებით: „...როდესაც ახალ ტერმინოლოგიას ვქმნიდით მეცნიერების ყველა დარგში, უმთავრესად ტექნიკური დარგებისათვის... ანგარიშს არ ვუწევდით მას, რაც ხალხშია შემკვიდრებით დარჩენილი ძველი ქართული ტერმინების მარაგის სახით, და ხელოვნურად ვსაზღვრავედით და ვთარგმნიდით... სრულიად მექანიკურად...“.

ამრიგად, ჩვენში საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა ტერმინების შემუშავების გარკვეული ტრადიციები სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა დარგში. მართალია, სპეციალური ლექსიკის განვითარება ცოდნის სხვადასხვა სფეროში მიმდინარეობდა მუდმივი კონტაქტით იმ ენებთან, რომლებთანაც ისტორიულად კავშირი პქონდა საქართველოს, მაგრამ ძირითადი ხაზი მაინც ეროვნული იყო, და ამ ტრადიციის გაგრძელება თანამედრო-






ვე ტერმინოლოგიის ეროვნულ საფუძველზე განვითარების უმთავრესი პირობაა.

მოუხედავად ქართული სამწერლობო ენის მონოლიტურობის ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში, სწორედ ამ დიდი ისტორიული წარსულის შედეგად ქართულ სამწერლობო ენაშია ც საკმაო სარბიელი ეძლეოდა სხვადასხვა ენობრივ კონტაქტებს. ამ ენობრივი კონტაქტების შედეგად ენაში ხდება ზოლმე სათანადო ცვლილებები: ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრება, თუმცა ზოგჯერ – ენის ერთგვარად „გალარიბუბაც“. ეს კი იმიტია გამოწვეული, რომ თარგმნის პროცესში ნასესხები სიტყვა თუ გამოთქმა ზოგჯერ იწვევდა ენაში უკვე არსებული საკუთარი ლექსიკური პოზიციის შესუსტებას და საბოლოოდ გამოდევნასაც. ენათა კონტაქტების დონის მიხედვით განსხვავებულია გაულენის ხარისხიც. გაულენა კვალს ტოვებს, ჩვეულებრივ, არა მარტო ლექსიკაში, არამედ სინტაქსების სფეროში, ენის სტილისტიკურ მხარეში.

თარგმანი დღეს მეტყველებისა თუ ტექნიკის განვითარების აუცილებელი ელემენტია, ამიტომ, ბუნებრივია, უამისოდ ჩვენი ენის განვითარება და წინსვლა ძნელად წარმოსადგენია. ამასთან არ უნდა დაგვაფიწყდეს ისიც, რომ ჩვენს ხალხს ტრადიციულად თარგმნის დიდი გამოცდილება აქვს. მხოლოდ X-XII საუკუნეებში მიმდინარე მოვლენებსაც რომ გადავაულოთ თვალი, დავინახავთ, რომ ჩვენ თარგმნის სრულყოფილი ტექნოლოგია გვქონდა. ექვთიმე ათონელი, იოანე ათონელი, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი – ამ სახელებს უკავშირდება უდიდესი მნიშვნელობის ძეგლების ქართულ ენაზე თარგმნა და შესაბამისად – სრულყოფილი ტერმინოლოგიური სისტემების შექმნა. ექვთიმე ათონელისა და არსენ იყალთოელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „მცირე“ და „დიდი სჯულისკანონები“ მაღალი დონის თარგმანებია. ეს ძეგლები იმიტომ მოგვაქვს, რომ ბერძნულიდან მომდინარე თვით სახელწოდებას – „ნომოკანონსაც“ (nomokanone) კი ქართული სახელწოდება – ამავე შინაარსის კომპოზიტი: სჯულის კანონი შეეფარდა. ამ ძეგლების ენა გამჭვირვალეა, სადა, არაა გადატვირთული ბერძნული დედნიდან გადმოღებული კალკებით, რადგან ჩვენი წინაპრების მთარგმნელობითი ტექნოლოგიის მყარი პრინციპი გახლდათ საკუთრივ ქართულ ენაზე მაღალი დონის თარგმანთა შესრულება, რომლის ელემენტები – ტერმინთა ფუძეებიც, ძირებიცა და მაწარმოებლებიც ქართული იქნებოდა. ისინი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში მიმართავენ კალკირებას.



თანამედროვე თარგმანები გადატვირთულია კალკებიოზით. ზოგჯერ ამას თავისებური გამართლება მოეპოვება: კერძოდ, როცა ესა თუ ის ფორმა სიტყვისა ან გამონათქვამი თუმც კალკია, მაგრამ იგი ენაში ავსებს გარკვეულ სიცარიელეს. თარგმანი რომ გამართული იყოს, საჭიროა ენათა ბუნების გათვალისწინება. ეს კი კონკრეტულ სფეროებს მოიცავს, რადგანაც ამ დროს გასათვალისწინებელია ენობრივი იერარქიის თითოეული საფეხური. შევეცდებით წარმოვადგინოთ რამდენიმე უმართებულო ფორმა, რომლებიც სწორედ მექანიკური თარგმნის, კალკირების შედეგად უნდა იყოს მიღებული. სანამ ამ ფორმებს წარმოგიდგენდეთ, განვიხილოთ თვით ენაში გაჩენილი უმართებულო შესიტყვებები. გვინდა ვაჩვენოთ ის ნორმა, რომელიც არსებობს ქართულ ენაში და რომელიც ბუნებრივია მისთვის. საუბარია სამ იურიდიულ ტერმინზე: დანაშაული-ბრალი-სასჯელი. ამ შინაარსის ამსახველი ცნებები ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი, ლოგიკური აუცილებლობითაა დაკავშირებული. დანაშაული, როგორც გარკვეული მოქმედების მიმართ მოსაუბრის სამართლებრივი პოზიციის გამოხატველი, შესიტყვებაში დინამიკური შინაარსის ზმნებს იგუებს: დანაშაულს ჩაიდენს... აღიარებს, გაიმეორებს... იურიდიული კვალიფიკაციის მიხედვით დანაშაული შეიძლება იყოს: გამოუსწორებელი, მძიმე, უნებლიე, სისხლის სამართლისა...

ბრალი დანაშაულის აღიარების, დადასტურების საშუალებაა, მისი წინაპირობაა და არა თვით მოქმედების შეფასება. ბრალს სდებს ნიშნავს: დანაშაულში ამხილებს, ბრალი მიუძღვის – დამნაშავეა, დამნაშავედ ცნობენ. დანაშაულისა და ბრალის ასეთმა სიახლოვემ და მათმა ურთიერთგანპირობებულობამ შექმნა უმართებულო შესიტყვებათა წარმოშობის საფუძველი. კერძოდ, ნაცვლად გამოთქმისა ბრალი მიუძღვის დასტურდება შესიტყვება „დანაშაული მიუძღვის“. მიუძღვის აქ სტატიკური სემანტიკის გამოხატველია“. ასეთ ზმნებთან ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის „ბრალი“, „დანაშაულთან“ კი დინამიკური ზმნა უნდა ყოფილიყო ნახმარი.

არის აღრევა ასევე მიზეზ-შედეგობრივი კავშირით განპირობებული წყვილის „დანაშაულისა“ და „სასჯელის“ ხმარებისას მოიხდა და ზმნასთან. შეიქმნა გაუმართლებელი ფორმა „მოიხდა დანაშაული“ (მასალა გაზუთიდან), რაც ალოგიკურია.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ უზუსტობანი, რომლებიც თანდებულთა ხმარებისას ჩნდება. ეს ხშირად სწორედ სხვა ენის გავლენის გამო ხდება.

სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლში – „შეტყობინების ვალდებულება უფლებამოსილების შეცვლისას“ – გვაქვს შემდეგი კონტექსტი: „უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება და ეცნობოს...“. აქ უფლებამოსილებაში ცვლილებები მექანიკურადაა გადმოტანილი რუსული მ-წინდებულიანი ფორმის გავლენით (მ – -ში), მაგრამ უმჯობესი იქნებოდა „უფლებამოსილებაში შეტანილი ცვლილებები“ ან „უფლებამოსილების ცვლილებები“, რაც იმავე შინაარსის გამომხატველია, მხოლოდ უფრო ბუნებრივი ფორმით.

სწორია -ზე თანდებულის გამოყენება სხვა თანდებულის ნაცვლად. მაგ.: „კანონის პროექტის მეოთხე თავი ადგენს დამამზადებლების... აგრეთვე თანამდებობის პირების პასუხისმგებლობას სერტიფიკაციის წესების დაცვაზე“ (პარლამენტის უწყებანი №7, გვ. 30, 1996). ამ კონტექსტში მიზეზზეა საუბარი. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა „წესების დარღვევის გამო“. -ზე თანდებულთან დაკავშირებით შესიტყვებაში: „გამოძიება საქმეზე“ უნდა იხმარებოდეს „საქმის გამოძიება“. ამ ტიპის მექანიკური გადმოტანის შემთხვევები საკმაოდ მრავლადაა. დასკვნის გამოსატანად კი უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ქართული ბრუნების სისტემა არ მოითხოვს წინდებულებს. ადგილის, დროის, გარემოებათა გამოსახატავად საწებით საკმარისია ჩვენი ბრუნვები, ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენება თანდებულიანი ფორმები. რუსულ ენაში ბრუნების სისტემა ძირითადად წინდებულიანია, ამიტომ ის, რაც რუსულში წინდებულის მეშვეობით შესტდება, ჩვენთან მას ყოველთვის თანდებული არ შეესაბამება. განხილული შემთხვევა მხოლოდ ცალკეულია იმ მრავალრიცხოვან კალკებს შორის, რომლებიც ენობრივი იერარქიის სხვა საფეხურებს მიეკუთვნება.

## 6. ქართული ენის თავისებურებანი განმარტებანი

ყოველი ენის სისტემას თავისი მკვეთრად გამოხატული სპეციფიკა აქვს და ეს სისტემები არც სტრუქტურით, არც სემანტიკით არ არიან ადეკვატურნი. ჩვენ შევეცდებით გამოვკვეთოთ რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებელი ქართული ენისა.

ქართული ენა, როგორც ცნობილია, მდიდარია ზმნური ფორმებით. სხვადასხვა სამიმართებო და ფუძის საწარმოებელი აფიქსების მეშვეობით ქართულ ზმნას კონცენტრირებულად შეუძლია გადმოსცეს პირთა მიმართებანი და რთული შინაარსი. მაგალითად, ერთიანი ზმნური ფორმა „დამიწერინე!“ გამოხატავს: „შენ აბიჭულე ის, ჩემთვის დაწეროს რაღაც“. ეს ენის ძალიან დიდი სიმდიდრეა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გვაქვს საშუალება გამოვხატოთ „ნებულობითი“ თუ „უნებლიეთი მოქმედება. მაგ.: „უნდა იყოს „შეცდომა მომივიდა“ და არა „შეცდომა დაუშვი“, მაშინ როცა უცხო ენაში ეს ორივე თვისება სხვაგვარად წარმოგვიდგება. ამგვარ პირობებში, ცხადია, ენაში უპირატესობა უნდა მინიჭებოდა დინამიკურ ზმნებს, მაგრამ სამეცნიერო სტილისათვის სადავო გახდა ვნუბითურ კონსტრუქციაში მოქმედების ფაქტის წინ წამოწევა, მისი ხაზგასმის მომენტი. ამან კი დარდილა რეალურად მოქმედი სუბიექტი, რაც არაბუნებრივია და რიგ შემთხვევებში გასათვალისწინებელი. მაგრამ დაუსვებელია ისეთი ანალიტიკური ფორმები, რომელთა წვერიცაა ატარებს ზმნა – რუსული НОСИТ-ის მექანიკური თარგმანი: „სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ატარებს დამხმარე ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს, არ ცვლის არაკომერციული იურდიული პირის ხასიათს“ (სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 30). აქ ჯობდა ატარებს ზმნის ნაცვლად გამოგვეყენებინა – „აქვს“, ან „დამხმარე ხასიათისაა“, რადგან ატარებს ზმნა აღარიბებს ლექსიკას, რაც სპეციალური ლიტერატურულიდანაც არის ცნობილი. ამგვარია ხდება + საწყისი კონსტრუქციაც. „კავშირისა და ფონდის ლიკვიდაცია ხდება...“ (მუხლი 39). ამ შემთხვევაში შეიძლება გამოგვეყენებინა „უქმდება“. ამ ტიპის კონსტრუქციები ძალიან ხშირია, მაგ.: „სოფლის მურნეობის სტატუსის მინიჭება, განახლება და გაუქმება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აქ ჯობდა გამოგვეყენებინა: „მინიჭება, განახლება და გაუქმდება ან უნდა მოდალური ნაწილაკიანი კონსტრუქციით შეგვეცვალა



(ამგვარივეა „საფასურის გადახდა ხდება...“ (მუხლი 30).

ქართულ ენაში არა გვაქვს გრამატიკული კლასები, მაგრამ დეპირისპირება – ცოცხალი-არაცოცხალი – მაინც იწვევს გრამატიკულად განსხვავებულ ფორმათა არსებობას. მაგ.: მუხლი 10. „პროდუქციის ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სისტემები და, აგრეთვე, ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სამუშაოთა ანაზღაურების წესი დგინდებიან ნებისმიერი სერტიფიკაციის ორგანოების მიერ“ (პარლამენტის უწყებანი № 7, გვ. 26, 1996). უნდა იყოს „დგინდება.“

ამგვარ ცალკეულ შემთხვევათა განხილვა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ შეიძლება მოკლედ ჩამოყალიბდეს ქართული ენის რამდენიმე ძირითადი თავისებურება, რაც შემდეგ ფუნქციური სტილის მახასიათებელიც ხდება: 1. ზმნის მრავალპირიანობა. 2. ფორმათა სინთეზურობა. 3. ქართული ენის აგლუტინაციური ბუნება (თითოეულ აფიქსს თავ-თავისი ფუნქცია აქვს და აღარ არის საჭირო დამატებითი ელემენტი. მაგ.: ორმაგი უარყოფის შემთხვევები) 4. უდეტრების სმარების მკაცრი განსაზღვრულობა და ფუნქციურობა. 5. სინტაქსურ მახასიათებელთა მყარი შტამპები, რომლებიც ხელს უწყობენ ენის სტანდარტიზაციას, მაგრამ საკუთრივ ქართული ენის სპეციფიკას გამოხატავენ.

თავი VI

# ენის ნორმების გავრცელებული დარღვევები



ყოველ სიტყვას აქვს თავისი აზრი, მნიშვნელობა, ბუნება. მისი დამახინჯებისა თუ არასწორი მნიშვნელობით ხმარების გამო ვაუხამსებთ და ბუნებას ვუცვლით თვით ენას, რომლის დასაცავად საუკუნეთა განმავლობაში ვიბრძოდით. არადა, ისე გასშირდა, უფრო სწორად, დამკვიდრდა გაუკულმართებული ფორმები სამეტყველო თუ სამწერლობო ენაში, რომ მათი აღმოფხვრის აუცილებლობას უკვე მტკიცება სჭირდება.

რაც შეეხება იურიდიულ ტერმინოლოგიას, აქაც ანალოგიური ვითარებაა, რადგან არასწორი მნიშვნელობით ან უფუნქციოდ ნახმარი სიტყვა აზრს უცვლის კანონს. ფრაზა სიტყვებისაგან შედგება, და სად მახინჯდება ისინი – შინ, პრესის ფურცლებზე თუ კანონებში, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ამიტომაცაა, რომ ასე ვრცლად მოგვყავს უმართებულო და პარალელურად მართებული ფორმები და გამოთქმები. იქნებ, სწორედ გამართულად დაწერილმა საკანონმდებლო აქტებმაც, სადაც სტილიც დაცული იქნება, სიტყვაც და მისი მნიშვნელობაც, ხელი შეუწყოს მთლიანად ენის გაჯანსაღებას.

ჩვენს მსჯელობას საფუძვლად დაედება გრამატიკის სახელმძღვანელოები, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ორთოგრაფიული და დარგობრივი ლექსიკონები, ტერმინოლოგიები, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, არნ. ჩიჭობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა, ენათმეცნიერთა, შესაბამისი დარგების სპეციალისტთა რეკომენდაციები და საქინფორმის მთარგმნელ-სტილისტთა გამოცდილება. ამიტომ აქ არავითარი ნათავისარობა არ იქნება, თუმცა, შესაძლოა, ორიოდე საკუთარი მოსაზრება ჩვენც გამოვთქვათ.



და კიდევ. საილუსტრაციო მასალა მოგვყავს ძირითადად წყაროთა მოუთითებლად, რადგან მიზნად არ დაგვისასწავსებენ გბუ... რიტყება. ჩვენ ყველას ერთად და ცალ-ცალკე მიგვცემენ... ენის წახდენაში და ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ გაფუჭებული საქმე.

## 1. გავრცელებული დარღვევები. როგორ ავიცილოთ ისინი თავიდან

ასლა რომ მოეინდომოთ და სიტყვათა სმარების სისშირის მიხედვით ლექსიკონი შევადგინოთ, პირველობას გააკეთებს (აკეთებს), ჩაატარებს (ატარებს), აიღებს (იღებს) ზმნები და მათგან წარმოებული ორმები დაიჩემებდნენ. სისშირე რა მოსატანია, — ეს უფრო სტილის, ემოციების, მეჯობინების ამბავია. მთავარი და, მეტი რომ არა ეთქვათ, დამაფიქრებელი კი ის არის, რომ რუსული *депаты, проводить, принимать* ზმნების გაულენის გამო ამ ფორმების უადგილო და წრეგადასული სმარებით სარბიელს ვატოვებინებთ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან, ბუნებრივ და გამომსახველ ზმნებს. გასამეტებელი სიტყვები სადა გვაქვს! — და, ბუნებრივია, ზემოთ ნახსენებ ზმნებსაც უნდა ეკავოთ კუთვნილი ადგილი: აკუთონ თავიანთი საქმე, ოღონდ ისე, რომ სხვები არ დაჯაბნონ და დათრგუნონ.

60-იან წლებში ჩვენმა თვალსაჩინო ენათმეცნიერმა გიორგი ახვლედიანმა ერთ-ერთი ჟურნალის სალიტერატურო ენის განხილვისას სხვებს შორის ენის ნორმების დარღვევის ასეთი ნიმუში მოიყვანა: „ალარ ვიცოდი რა გამგეუბინა“, იქვე დაურთო სწორი ფორმა: „ალარ ვიცოდი, რა მექნა (როგორ მოვქცეულიყავ...)“ და დასძინა, გამოტოვებულია მძიმე, თვით ზმნა არაქართულიაო... ამ ზმნის უთავბოლო სმარებამ ათქმევინა, ალბათ, ეს მეცნიერს.

...იმიტომ, რომ არ გვემეტება  
როგორ იყვ

„გაკეთა — კეთილად შექმნა“, — ასე აქვს ნათქვამი ბრძენკაცს — სულხან-საბა ორბელიანს (წარმოიდგინეთ, კაცმა კაცს სახლი რომ გადაუბუგოს, ამ უკანასკნელმა კი პკითხოს, ეს რა გამიკეთო. როგორია?).



„1937 წელს გამოვიდა ერთტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა), რომელსაც საბოლოო რედაქცია უყო პეტრე ქავთარაძემ“; პირველი ტომის მასალას რედაქცია უყვეს...“ – ეს შესიტყვებანი ამოღებულია 3-ტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონის 1956 წელს გამოცემული პირველი ტომის წინასიტყვაობიდან, რომელსაც ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია. ვინ იყვნენ მისი წევრები? გ. ახვლედიანი, ქ. დათიკაშვილი, ს. ვაჩნაძე, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე, ნ. ლოლობერიძე, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. წერეთელი.

„რას ვშვრები?.. რას ვშვრებოდი?.. რას ვშვრებოდე?.. რას ვიზამ?.. რას ვიზამდი?.. რას ვიზამდე?.. რა ვქენი?.. რა ვქნა?.. რა მიქნია?.. რა მექნა?.. რა მექნას?“ – ასე წერია აკ. შანიძის ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოში. როგორ გგონიათ, აკეთებს ზმნა უკეთესი ფორმა რომ ყოფილიყო, მეცნიერი არ გამოიყენებდა მას უღლებისათვის?

#### ამჟამად რიგში არის

...უყვეს, ჩადის, იდენს, ქნა, შვრება, იზამს (ამ ფორმებს, როგორც მოქმედების უნივერსალურ გამომხატველთ, დედაზმნებს დავარქმევდით) – ყველა ეს ფორმა გაქრა ან თითქმის გაქრა ჩვენი მეტყველებიდან და დამწერლობიდან. მათი ადგილი კი დაიკავა...

რა არ კეთდება ახლა – სადილი და მოხსენება, ნემსი და ყელსაბამი, დასკვნა და ნახტომი, რეისი და თანადგომა...

ეს რომ ასეა, ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, თუ თვალს გადავაფლეთ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტს, კანონპროექტებს, გაზეთებს, მოვისმინთ ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებს, ზოგიერთი ტელეკომენტატორის საუბარს, პარლამენტარის გამოსვლას სესიის სხდომათა ტრანსლაციის დროს.

„ეს შეცდომები არის მუშა მდგომარეობაში შეგნებულად გაკეთებული შეცდომები“; „ჩვენ ბევრჯერ გაეაკეთეთ, რომ მიღებული გადაწყვეტილება 15 წუთში შეცვალებოდა“; „ბუნებრივია, შემოქმედებას ვერ გაეაკეთებთ სასამართლო ხელისუფლებაზე“; „თანხების სიმცირის გამო ვცდილობდით საქმლის ეკონომია გაგვეკეთებინა“; „მოინგმა... გაუთვალისწინებელი დაჯდომა გააკეთა... აეროპორტში“; „შეგვეძლო უცხოეთის პრაქტიკიდან საუკეთესო იდეების კოპირება (!) გაგვეკეთებინა“; „კომპრომეტირებას უკეთებენ მათთვის არასასურველ პიროვნებებს“; „არ უნდა გაეაკეთათ მკვეთრი მოქმედებები (!) ასეთ დელიკატურ სიტუაციაში“; „გაკეთდა ავტომატურ“



რი იარაღით პაერში გამაფრთხილებელი გასროლა<sup>1</sup>. სტილის რომ თაუი დაუანუბოთ, ამ შესიტყუებებში ყველგან უადგილოდ არის ნათ- მარი ხსენებული ზმნა.

ასლა კიდევ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი და შეძლების- დაგვარად დაუფროთოთ უმჯობესი ფორმები:

„კეთდება კოორდინაცია (უნდა იყოს: **აკოორდინირებენ, კოორ- დინაციას უწყებენ**)“; „აკეთებენ რეაგირებას (უნდა იყოს: **რეაგირო- ბენ, ახდენენ რეაგირებას**)“; „რა შეფასებას გაუკეთებდით? (უნდა იყოს: **როგორ შეაფასებდით, რა შეფასებას მისცემდით**) ამას?“; „ზოგჯერ დარღვევას ვაკეთებთ (უნდა იყოს: **ზოგჯერ ვარღვევთ წესს, რეგლამენტს, კანონს...**)“; „იგნორირებას უკეთებს (უნდა იყოს: **უგულუბელყოფს, ანგარიშს არ უწყებს, ყურად არ იღებს, არაფერად აგდებს**)“; „გაკეთებინა კონტროლი (უნდა იყოს: **გაგკონ- ტროლებინა, გაეწია კონტროლი, დაეწესებინა კონტროლი**)“; „საყ- ვედურის გაკეთება (უნდა იყოს: **უსაყვედუროს, საყვედური უთხრას, გამოუცხადოს**)“; „როგორ უნდა კეთება თანადგომას (უნდა იყოს: **როგორ უნდა ამოუდგე მხარში, დაესმარო, მხარი დაუჭირო...**)“; „გააკეთო (უნდა იყოს: **მოახდინო არჩევანი ან: აირჩიო**)“; „გაკეთუ- ბული (უნდა იყოს: **გადაღებული**) კლიპები“; „რეკლამა გაუუკეთოთ (უნდა იყოს: **რეკლამა გაუწიოთ**)“; „ოპონირება გაუუკეთოთ (უნდა იყოს: **ოპონენტად გამოვიდეთ, წინააღმდეგ გამოვიდეთ, ვკამა- თოთ...**)“; „ვაკეთებთ (უნდა იყოს: **ვქმნით, ვაარსებთ, ვაყალიბებთ**) ორგანოს“; „ვაკეთებ არგუმენტაციას (უნდა იყოს: **ვასაბუთებ, ვიშ- ვლიობ, ვიმოწმებ არგუმენტებს...**)“; „ორგანიზაციას უკეთებენ (უნდა იყოს: **ქმნიან**) ასალ კრიმინალურ დაჯგუფებებს“; „ვაკეთებთ გამორთვებს (უნდა იყოს: **გამოვრთავთ ქსელიდან, ვწყვეტთ ელექ- ტროენერჯის მიწოდებას...**)“; „რეალიზაცია გაუკეთეს (უნდა იყოს: **ხორცი შეასხეს, განახორციელეს, გაყოფეს, გაასალეს, ფულად აქ- ციეს, შეასრულეს...**)“; „მინდოდა ბლოკი [იგულისხმება საარჩევნო ბლოკი. - ავტ.] გამეკეთებინა (უნდა იყოს: **შემექმნა**)“; „რამდენი გააკეთებს არჩევანს ელცინზე (უნდა იყოს: **რამდენი ამჯობინებს, აირჩევს, რამდენი მოახდენს არჩევანს ელცინის სასარგებლოდ, მხარდასაჭერად...**)“; „სესიის მუშაობაში შეფერხებებს აკეთებს (უნ- და იყოს: **დამრკოლებებს ქმნის, აფერხებს, ამრკოლებს, ხელს უშ- ლის... მუშაობას**)“; „მოწმე ბ-შვილმა ძიებისას განსხვავებული ჩვე- ნება გააკეთა (უნდა იყოს: **მისცა, ნათქვამი უარყო, გადათქვა**)“; „ეს საკითხი გასაკეთებელია (უნდა იყოს: **გადასაწყვეტია, მოსაგვარებუ- ლია**), მაგრამ არა ამ კანონში, არამედ კოდექსში“; „კარგი გადაცე-

მა გააკეთა (უნდა იყოს: მოამზადა); „არ გაუკეთოს რატიფიკაცია“ ხელშეკრულებას... (უნდა იყოს: არ მოახდინოს... ხელშეკრულების რატიფიკაცია, არ უყოს რატიფიკაცია... ხელშეკრულებას)...

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება, თუ გავარჩევთ ერთ კონკრეტულ მაგალითს. ჩვენს შემთხვევაში დოკუმენტს ჰქვია: „კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“. პარლამენტის მიერ ამ საერთაშორისო აქტის რატიფიკაციის პროცედურა შეიძლება გამოეხატოს ორნაირად:

პირველ შემთხვევაში, როცა უნდა ვიხმაროთ მოახდინა ზმნა, მივიღებთ შემდეგ წინადადებას: „პარლამენტმა მოახდინა სამოქალაქო ავიაციის უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ კონვენციის რატიფიკაცია“.

მეორე შემთხვევაში უყო ზმნის მონაწილეობით შედგენილი წინადადება ასე გაიმართება: „პარლამენტმა რატიფიკაცია უყო კონვენციას სამოქალაქო ავიაციის უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“. შედარება, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეტყველებს: თავის ადგილზე დარჩა „კონვენცია“ და აღარ დაგვჭირდა კიდევ ერთი ნათქაობითის გამოყენება. ამავე დროს ერთი და მეორეც თავიდან გვაშორებს გაუკეთა ზმნის ხმარებას.

შეზოლოდ ასეთი ლოგიკით დაფუძნებულ ზღვარს ამ ზმნის შეუნელებელ გაერცვლებას, თორემ, თუ ასე გაგრძელდა, ერთ მშვენიერ დღეს ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ: „ვეამბოროთ“, ვიტყვი, ამბორი გაუუკეთეთო. საანეკლოტოდ გავიხდით საქმეს.

ვთქვი და ვიშორებთ: გასამეტებელი სიტყვა არა გვაქვს. ვერც ამ ზმნას შეველევით. მეტიც, შესაბამის კონტექსტში უნდა ვიხმაროთ კიდევ. ამას გვიდასტურებს მეცნიერული წყაროებიც და პრაქტიკაც:

„გააკეთებ-ს... 1. მუშაობით, შრომით შექმნის რასმე, შეასრულებს, მოათავებს (საქმეს). საქმე გააკეთეს. – მაგიადა გააკეთა. მერცხალმა ბუდე გააკეთა... 2. (საუბ.) გამოიმუშავებს... (ფულს...)... 3. (საუბ.) შეძლებულს გახდის; სიკეთეს უზამს, – ააშენებს“ (ქველ).

„აღმათ ბუნებას ასეთი კანონი აქვს, რასაც აკეთებს, გონივრად აკეთებს, მოსაზრებით აწყობს და ჰშლის“ (ვაჟა-ფშაველა); „გამომცემლობა მეცნიერებამ“ მეტად კარგი საქმე გააკეთა; „ბევრი რამ გააკეთდა კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბება-განმტკიცებისათვის ბოლო წლების განმავლობაში“; „მესამე წელია ამ



მსრივ (და არა ამ მიმართებით, როგორც ხშირად ამბობენ) ადარაფერი გაკეთებულა”.

ყოველივე ეს იმ სურვილმა გვათქმევინა, რომ ეს მართლაც რომ კარგი ზმნა არ გახუნდეს და არ გაიადფეს.

### ადგილი აბჰს - პოც და არაბსი

პო, როცა საუბარია ადგილზე, სადაც შეიძლება, ვთქვათ, დაა-  
ლაგო წიგნები, აიშენო სახლი, წამოწყვე და დაისვენო ვაგონის კუ-  
პეში, დაჯდე სტადიონის ტრიბუნაზე, გააშენო ბაღი, ვენახი, ესე  
იგი, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ გაქვს ყოველივე ამისათვის სა-  
ჭირო ადგილი.

არა, როცა რუსული მყარი გამოთქმის *ИМЕЕТ МЕСТО*-ს გავლუ-  
ნით ძალიან ხშირად უადგილოდ ვხმარობთ შესიტყვებას „ადგილი  
აქვს“ (ან „ადგილი არა აქვს“). ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ ხოლ-  
მე: რაღაც ხდება, რისამე შემთხვევები არის, შეინიშნება რამე, ვამ-  
ბობთ, ადგილი აქვს, ადგილი არ ჰქონიაო.

რამდენიმე მაგალითი:

„შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი აქვს საერთაშორისო შეთ-  
ქმულებას საქართველოს წინააღმდეგ ამ საკითხში... (უნდა იყოს:  
*აწყობენ* საერთაშორისო შეთქმულებას ან: *არის* საერთაშორისო  
შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ); „მანიფესტაციის დროს  
ადგილი ჰქონდა სერიოზულ ექსცესებს (უნდა იყოს: *მოხდა*, *იყო*  
სერიოზული ექსცესები); „ასეთ ფაქტებს ძირითადად ადგილი  
აქვთ იმ გადამცვლელ პუნქტებში, რომლებიც არ შედიან საბან-  
კო დაწესებულებებში... (უნდა იყოს: ასეთი ფაქტები *ხდება*, *შეი-  
ჩნება*, *არის*); „მაღაზიაში ადგილი ჰქონდა სამრეწველო საქონლის  
ფასების დამახინჯების შემთხვევებს (უნდა იყოს: *ამახინჯებდნენ* სა-  
ქონლის ფასებს, *იყო შემთხვევები, როცა მახინჯდებოდა* საქონლის  
ფასები...); „ბოლო დროს ადგილი არ ჰქონია მთაწმინდის რაიო-  
ნის ქუჩებში მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემ-  
თხვევებს (უნდა იყოს: *არ დაურღვევიათ... წესები, არ ყოფილა...  
წესების დარღვევის შემთხვევები*); „ფირმის საწარმოები საქმარი-  
სად არიან მომარაგებული ნედლეულით და ამის წყალობით ადგი-  
ლი აქვს მოსახლეობისათვის საჭირო ნაწარმის გამოშვების ზრდას  
(უნდა იყოს: ...და ამის წყალობით *ზრდიან... ნაწარმის გამოშვებას*,  
*უფრო მეტ ნაწარმს უშვებენ...*); „შარშან ადგილი ჰქონდა „ამპი-  
ცილინის“ ფალსიფიცირებას (უნდა იყოს: *გააყალბეს „ამპიცილი-  
ნი“, მოხდა ....ფალსიფიცირება*)“.

დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: უნდა უკუყვედროს ქართველ ენათმეცნიერთა განსაზღვრებით, ეს „სტილისტიკურად მიუღებელი... ქართულისათვის არაბუნებრივი და შეუფერებელი გამოთქმა.

სხვა რომ არა ვთქვათ რა, ამ მოდელის უარყოფა საშუალებას გვაძლევს უფრო ფართოდ ვიყენებდეთ ზმნურ ფორმებს (დააკვირდით: აწყობენ; ამბინჯებდნენ; არ დაურღვევიათ; მეტ ნაწარმს უშვებენ; გააყალბეს და მისთ.).

როგორ არ გავიხსენოთ აქ ჩვენი დიდი მეცნიერის აკაკი შანიძის ერთი მრავალთაგანი პრინციპი: „დავუბრუნოთ ზმნის პირიან ფორმას თავისი ადგილი წინადადებაში!“

### არაფსიხალ მდგომარეობაში თუ სიმთვრალეში?

კარგა ხანია სასამართლო გადაწყვეტილებებში, ჟურნალ-გაზეთებისა და ტელერადიოგადაცემების კრიმინალურ ქრონიკებსა და რეპორტაჟებში ფეხი მოიკიდა და მერე მეტყველებაშიც გადაინაცვლა ერთმა უზერსულმა, ქართული ენისათვის შეუფერებელმა სიტყვათშესამებამ. ეს არის რუსული კონსტრუქციის – в состоянии опьянения, в нетрезвом состоянии – კალკი, რომელშიც გამოყენებულია -ში თანდებულიანი სიტყვა მდგომარეობა. და როცა საქმე, მაგალითად, სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულს, გადაცდომას ან მომხდარ უბედურ შემთხვევას ეხება, მთვრალს და მის ნიუანსურ სინონიმებს: **ნასვამს, დალეულს, ნალვინვეს** კი არ ხმარობენ, არამედ ამბობენ და წერენ ხოლმე: **მთვრალ მდგომარეობაში, არაფხი ზელ მდგომარეობაში, ნასვამ მდგომარეობაში.**

რამდენადაც ბუნებრივია ზემოთ მოყვანილი სიტყვები რუსული ენისა და მეტყველებისათვის, იმდენად უცხო და უაზროა მათი კალკური ფორმები ქართული ენისა და მეტყველებისათვის.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე წინადადებას:

„იგი არაფხი ზელ მდგომარეობაში მართავდა ავტომანქანას, შექმნა ავარიული სიტუაცია და ამის გამო მართვის უფლება ჩამოართვეს“; „ზედამხედველი არაფხი ზელ მდგომარეობაში გამოცხადდა ზონაში...“; „დიდუბის“ სავაჭრო ცენტრში არაფხი ზელ მდგომარეობაში მყოფმა მოქალაქემ დაჭრა ჯინსურის გამყიდველი“; „რამდენიმე ჯარისკაცი არაფხი ზელ მდგომარეობაში ზღვაში დაიხრჩო ან ავარიამი მოჰყვა“; „იგი ნასვამ მდგომარეობაში გამოეკიდა ტრამვაის, ფეხი დაუცდა და...“. მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ესეც კმარა.



ახლა ენასოთ სხვა მაგალითი: „მან მთერალმა <sup>მთერალმა</sup> გაიტანა და მოკლა ორი ქართველი მოქალაქე...“ <sup>მთერალმა</sup> ნიშნულად გამოვიყენებთ და ზემოთ მოყვანილ წინადადებებს მოვარგებთ, მივიღებთ ქართული ენისათვის ბუნებრივ ფორმას: „იგი მთერალი (ან: ნასვამი, დალეული...) მართაედა ავტომანქანას...“; „ზედამზედველი მთერალი (ან: ნასვამი, დალეული, თუ გნებავთ, გაღეშილი) გამოცხადდა ზონაში...“; „დიდუბის“ სავაჭრო ცენტრში ნასვამმა (ან: მთერალმა...) მოქალაქემ დაჭრა ჯიხურის გამყიდველი“; „რამდენიმე ჯარისკაცი ნასვამი (ან: მთერალი...) ზღვაში დაიხრჩო...“; „იგი ნასვამი (ან: მთერალი...) გამოუკიდა ტრამვაის...“.

ამრიგად, მაინცდამაინც დიდი ძალისხმევა არაა საჭირო, რომ თავიდან ავიცილოთ და ქართულ ენას მოვაშოროთ ეს ამჟამად უცხო ფორმა, მით უმეტეს, რომ იგი არ დასტურდება არც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, არც ორთოგრაფიულ ლექსიკონში, არც სხვა აკადემიურ წყაროებში.

#### ატარებან კი სალუსტ?

სანამ ძირითად სათქმელს ვიტყვოდეთ, გაეჩხნოთ, თუ რა შემთხვევებში, რა კონტექსტში, რა მნიშვნელობით სმარობენ ხოლმე ატარებს (ჩაატარებს) ზმნას. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულის 41-ე გვერდზე, მოკლედ თუ ვიტყვით, შემდეგი წერია: „ატარებ-ს... 1. დააქვს ან დაჰყავს... 2. ჩვეულებრივ თან დააქვს ხოლმე... II სმარობს; ჩვეულებრივ აცვია, ახურავს, ჰკიდია... 3. (წიგნ.) აქვს რამე... 5. რამეში გასვლის, გაღწევის, გაფლის საშუალებას აძლევს, უშვებს... 6. გარკვეული დროის განმავლობაში სადმე იმყოფება, რჩება...“.

ამ ამონაწერში განგებ არის გამოტოვებული მე-4 პუნქტი. აი ისიც: „4. (საუბ.) აწყობს, მართავს (კრებას, ლექციას...), აწარმოებს (ცდას...); ხელმძღვანელობს, წარმართავს [დაფუძატებდით: უძლევს. - ავტ.] რასმე. კრებას ა. - საჩვენებელ გაკვეთილს ა. - ცდებს ა.“ ჩვენთვის აქ მთავარია მინიშნება: „(საუბ.)“, ესე იგი, ზეპირი მეტყველებისათვის არის დამახასიათებელიო. უფრო დაწვრილებით ამას კიდევ შევხებით.

ახლა კი, ჰერში გამოკიდებული რომ არ დაგვრჩეს ქვესათაურში გამოტანილი კითხვა, ბარემ აქვე ვუპასუხოთ მას. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩავატაროთ სალუსტი - სამხედრო საზეიმო მისალმება ქვემეტების ან თოფების ზალპით, ნაირფერი შუშუნების



ამგვებით (ქველ). ვნახოთ, როგორ იყო ნათქვამი, მაგალითად, ერთ საოცრად ექსპანსიო სამხედრო ბრძანებაში. იქ პირდაპირ ეწოდებოდა „ჩატარდეს სალოტი“, ესე იგი, ჩავატაროთ მისალმება ბათქაბუთ-ქითო. ხედავთ სანამდე მივიდა საქმე?

დავუბრუნდეთ ამ ზმნის მე-4 მნიშვნელობას. 1985 წელს გამოცემულ მეშვიდე წიგნში სერიიდან „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (რა დასაინანია, რომ ეს ნიადაგსახმარი წიგნი მხოლოდ 5 ათას ცალად გამოიცა!) ნათქვამია, რომ:

— ჩატარებს ზმნა (და მისგან წარმოებული ფორმები, ჩატარდა, ჩატარებული, ტარდება და მისთ.) „უმართებულო შესიტყვებებს ქმნის იმ შემთხვევებში, როდესაც მასთან დაკავშირებულია საწყისი ან მისი მსგავსი სახელი, ამტრაქტული ცნების გამომხატველი“;

— საუბრები, საღამო, კონკურსი, დავუმატებდით: არჩევნები, მანიფესტაცია, მიტინგი, ჩემპიონატი, მატჩი, კონცერტი, ალპინი-ადა, ტურნირი და მისთ. ისეთ სახეობათა ღონისძიებანია, რომლებიც შესიტყვებაში იგუებენ „არა ატარებს ზმნას, არამედ მართავს, აწყობს ზმნებს“;

— აქ აშკარად ჩანს რუსული ენის (проводить, провести) გავლენა და სწორედ ამას უნდა მიეწეროს ღონისძიებათა მოწყობის, მიმდინარეობის აღსანიშნავად უკანასკნელ ხანს ქართულში ატარებს, ტარდება ფორმების მოძალება **გამართავს, იმართება, აწყობს, ეწყობა** ფორმათა ნაცვლად“.

რაკი ასეა, წერილობით მასალებში, მით უმეტეს იურიდიულ, პოლიტიკურ და სხვა დოკუმენტებში ეს ფორმა არ უნდა იხმარებოდეს.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ქვემოთ მოყვანილი წინადადებანი და ვცადოთ მათი გასწორება.

„არჩევნებს საარჩევნო დებულების მოთხოვნათა სრული დაცვით ატარებენ (უნდა იყოს: **აწყობენ, მართავენ**)“; „აჭიანურებს თანხის გამოყოფას... აკადემიაში სერტიფიკაციის [და არა სერთიფიკაციის.

— ავტ.] ჩასატარებლად (უნდა იყოს: **მოსაწყობად, მოსახდენად, განსაზღვრავს**)“; „...საკუთარ ბინაში იტარებს მკურნალობას და გამოკვლევას (ავლობებდა: **მკურნალობს და იკვლევს** თავს)“; „ამ ტერაქტებს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ატარებს (უნდა იყოს: **აწყობს, ახდენს**)“; „ჩემი თაობის ბედი სისასტიკის ნიშნით არ ჩატარდა? (ავლობებდა, ალბათ: **არ წარიმართა? ან: არ დატრიალდა? და სხვ.)**“; „აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად



(უნდა იყოს: შესასრულებლად) დიდძალი სახსრებია, საჭიროა უფრო მეტი ნეთმა კადასტრი საკუთარი ძალებით ჩაატარა (თუ სამშობლო ვაჭარების სხვა, უნდა იყოს: შესასრულა; თუ რისამე შესახებ მონაცემთა კრებულია - შეადგინა); „მასალების შექმნისათვის ახდენს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას [ახდენს... ჩატარებას?!] (უნდა იყოს: ამორცილებს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებას)“; „ეს საშუალებას მისცემს საქართველოს უახლოეს ხანებში ჩაატაროს ამშთან ერთობლივი სამხედრო-საზღვაო სწავლებანი შავ ზღვაზე (აუჯობებდა: მოაწყოს ან გამართოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან [ან: ამ შტატებთან] ერთად სამხედრო-საზღვაო სწავლებლა [ან: წვრთნა] შავ ზღვაზე)“; „წინა ტურნეს დროს მათ მეცადინეობები ჩაგვიტარეს მე და დავით კილასონიას (აუჯობებდა: გვამეცადინეს ან: გვაფარჯიშეს...)“; „პოლიტიკური მოღვაწეები... მათ პროტესტის აქციების ჩატარებისა და დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებენ (რაკი აქ მიმართულებაზე კი არა, მიზანზეა ლაპარაკი, უნდა იყოს: პროტესტის [საპროტესტო] აქციების მოწყობისა და ურჩობისათვის მოუწოდებენ ან მთლად კარგი: ...მოუწოდებენ მათ მოაწყონ საპროტესტო აქციები და გამოიჩინონ ურჩობა. [ბოლო ვარიანტის უპირატესობა ის არის, რომ ნახმარია ზმნის პირიანი ფორმები. რაც შეეხება „დაუმორჩილებლობის“ „ურჩობით“ შეცვლას. აქ უფრო გაძალიანებაზე, წინააღმდეგობის გაწევაზე, თუ გნებათ, კანონის შეუსრულებლობაზეა საუბარი, ვიდრე ადამიანისა თუ ხალხის ისეთ თვისებაზე, როგორც არის დაუმორჩილებლობა, ქედუხრელობა, სულიერი სიმტკიცე, შეუდრეკელობა...])“.

გვესმის, რა ძნელია ამ პრობლემის გადაჭრა, მაგრამ მთავარია დავიწყოთ. საჭიროა ერთი რამ: დავათმობინოთ ამ ზმნას მხოლოდ მეთოთხე პოზიცია, რითაც არაფერი დაუშავდება, და საქმეც უშველად დაიძვრება ადგილიდან.

**არაშეღებლობა, აშინებლობა...?**

დაკვირვებისხარტ რუსული ენის ლექსიკონში A ან Ф ასონიშნებზე დალაგებულ სიტყვებს? ორიოდე არსებითი სახელის, შორისდებულიის, ахнуть, артачиться, фыркать და ზოგიერთი სხვა ზმნის გარდა არც ერთი სიტყვა რუსული არ არის. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ წასულია მისი ლექსიკის საქმე. სრულებითაც არა. აქ მხოლოდ ის გვინდა ვიკითხოთ, ხომ არ ვუმზადებთ ასეთსავე ხვედრს ჩვენს დედაენას? თუ გავითვალისწინებთ ახლანდელ



ვითარებას (საერთაშორისო კავშირურთიერთობის, კონტაქტების გაფართოება, სხვადასხვა დონისა და შემადგენლობის დელეგაციითა გაცხოველებული გაცვლა, ჩვენი ახალგაზრდობის უცხოეთში სასწავლებლად ან სამუშაოდ წასვლა და, როგორც ერთ-ერთი შედეგი, უცხო სიტყვა-გამოთქმათა და ტერმინთა გაძლიერებული სესხება), ეს შიშნარევი კითხვა უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

80-იანი წლებისათვის ჩვენში აღნუსხული და განმარტებული იყო 16 ათასამდე უცხო – საერთაშორისო – სიტყვა, რომლებიც, თუ ბერძნულს, სპარსულს, არაბულს, თურქულს არ ჩავთვლით, ახალი ევროპული ენებიდან უშუალოდ ან რუსული ენის მეშვეობით შემოვიდა. მრავალი მათგანი ისე შეეთვისა ქართულ ენას, ისე მოექცა მის ყალობში, რომ მათი წარმომავლობა აღარც კი იგრძნობა. ეს ბუნებრივი მოვლენაა. ტყუილად კი არ უთქვამს ჩვენს თვალსაჩინო ენათმეცნიერს ვარლამ თოფურიას, რომ „სესხება ენის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებათაგანია. არ არსებობს წმინდა ენა. ყოველი ენა მეტ-ნაკლები რაოდენობით შეიცავს სხვა ენიდან შემოსულ (ნასესხებ) სიტყვებს“.

მაგრამ სესხებაც არის და სესხებაც. თუ შეგვიძლია უცხო ფორმას მისი შესატყვისი ქართული ფორმა დაუფხვედროთ, რა თქმა უნდა, უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მივანიჭოთ, თორემ გამდიდრების ნაცვლად გავაღარიბებთ ჩვენს ენას.

ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოვიყვანოთ და გავარჩიოთ რამდენიმე მაგალითი.

**არეგულირება.** „არა გვაქვს ნორმები, რომლებიც ამ ურთიერთობებს მოარეგულირებდა (უნდა იყოს: **მოაგვარებდა** ან: **მოაწესრიგებდა**)“; „აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებას ალტერნატივა არ გააჩნია (უნდა იყოს: **გადაწყვეტას** კონფლიქტს არ უხდება არც **მოგვარება**, არც **მოწესრიგება**. ეს იგივეა, რომ თქვა, კრიმინოგენური ვითარება გაუმჯობესდაო. კონფლიქტი უნდა დამთავრდეს. და რაკი „გადაწყვეტის“ ერთ-ერთი მნიშვნელობა სწორედ „დამთავრებაა“, შემოთავაზებული ვარიანტი უმართებულო არ უნდა იყოს. – ავტ.); „მაგრამ რა პროცედურაა ამისთვის საჭირო, კანონში დარეგულირებული არ იყო. ეს უნდა დაერეგულირებინა ორგანულ კანონს... (უნდა იყოს: ...კანონში [ან: კანონით] **განსაზღვრული** [ან: **დადგენილი**...] არ იყო. ეს უნდა განესაზღვრა ორგანულ კანონს“; „შვეთანხმდით, ამ პრობლემის დარეგულირებაში (უნდა იყოს: **გადაჭრაში**...) უფრო აქტიურად ჩავეერთოთ [ჩავეერთოთ კი არა, **ჩავებათ**, **ჩავერიოთ**, **მივიღოთ მონაწილეობა**]“; „დღეს



სოჭში გაიხსნა საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ~~ქართული~~ რეზის (უნდა იყოს: გადაწყვეტის) ... კონფერენცია

აქ გვინდა საგანგებოდ გამოვეყოთ სიტყვათხმარების თვალსაზრისით საგულისხმო ერთი აბზაცი საქართველოს საზღვაო კოდექსიდან და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები, საგულისხმო იმით, რომ ისინი შეიცავენ როგორც სწორ, ისე უმართებულო ფორმებს.

აი ისინიც:

„თუ გემის მიერ მიყენებული ზიანი განსაზღვრული არ არის... მუხლით, ზიანის ანაზღაურებას არეგულირებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, სადაც ადგილი ჰქონდა ზიანის გამომწვევ კმედებას ან სხვა გარემოებას, რომელმაც შექმნა საფუძველი ანაზღაურების მოთხოვნისათვის, ხოლო, თუ ზიანი მიყენებულია ღია ზღვაში, ზიანის ანაზღაურებას აწესრიგებს გემის დროშის სახელმწიფოს კანონი“.

საზგასმულ ადგილებს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ:

– „ზიანის ანაზღაურება“ მთლად სწორი გამოთქმა არ უნდა იყოს. აქ, როგორც წესი, საქმე გვაქვს მიზეზ-შედეგობრივ კავშირთან. ჯერ არის ზიანი, რომელიც უფრო „გამოსწორებას“ იგუბებს, და, როგორც შედეგი, მას თან სდევს „ზარალი“, რომელიც ანაზღაურებას მოითხოვს. თუმცა ამ ბოლო დროს გახშირდა აღნიშნული გამოთქმის ხმარება, ზოგიერთ კანონსა და კოდექსშიც კი დამკვიდრდა, მაგრამ ეჭვი მაინც არ ქარწყლდება;

– არეგულირებს ზმნა, როგორც ვთქვით, შეეცვალოთ აწესრიგებს ზმნით;

– გამოთქმა „ადგილი ჰქონდა“ უკუსაგდება; უნდა დავწეროთ „ქმედება“ ან „ქმედობა“ კი არა, „მოქმედება“ (ქმედება-ქმედობის ხმარების მიზანშეწონილობას მერე შევეჩებით) და მაშინ წინადადების ეს ნაწილი ასე შეიძლება გავასწოროთ: „...სადაც იყო ზიანის გამომწვევი მოქმედება ან სხვა გარემოება, რომელმაც შექმნა...“;

– ბოლო სტრიქონში საყსებით სწორად არის ნათქვამი: „...ანაზღაურებას აწესრიგებს...“.

დადებითი მაგალითების ძაფი რომ არ გავწყვიტოთ, მოვიყვანოთ ზემოთ ნახსენები კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ „საპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით“. მაშასადამე, „მარეგულირებელის“ ნაცვლად თამამად შეიძლება ვიხმაროთ „მომწესრიგებელი“.



კიდევ ორიოდ მაგალითი ამ მოსაზრების დასადასტურებლად: „კანონმა უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობა სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“; „მონაწილეობს იმ სამართლებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებაში, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობებს...“; „ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობას“.

ერთმა გარემოებამ გამოგვაცალკევებინა სსენებული მუხლის პირველი პუნქტი:

„1. კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია)“.

ამ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვები ქართული ენისათვის შეუფერებელ, აშკარად არაბუნებრივ წყვილს ქმნიან. აქ რომ ყოფილიყო: „პირდაპირ გაუთვალისწინებელი“ ან საერთოდ არ ყოფილიყო სიტყვა „პირდაპირ“, წუნს ვერაფერში დასდებდი. მაგრამ „პირდაპირ გაუთვალისწინებელი“?

კიდევ ერთი მაგალითი: „ამ ბოლომდე შეუვსებელ სიაში ჯერჯერობით 44 ადამიანია შეყვანილი“.

ასეთი გამოთქმები თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება და მათ ხმარებას კარგა ხანია ეწინააღმდეგებიან ენის მცოდნენი.

სამაგალითოდ მოვიყვანთ ნაწყვეტს საქდესის მთარგმნელთა განყოფილების წმ-იანი წლების დამდგმის ერთ-ერთი თათბირ-სემინარის მასალიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ „უნდა აღიკვეთოს შემდეგი მასივები ფორმები (მაგალითად):

1. კრებამ გადაწყვეტილება მიიღო საკითხის ყოველმხრივ განუხილველად.
2. სახლი ააშენეს სპეციალისტების მიერ საკითხის გულდასმით შესწავლელად.

3. წარმოება გაადიდეს სახსრების დამატებით დაუბანდებლად... ასე იწერება, რადგან ერიდებიან [სამართლიანადაც! - ავტ.] „გარეშეს“ ხმარებას: გადაწყვეტილება მიიღეს საკითხის ყოველმხრივ შესწავლის გარეშე.

არც ერთი ეს ფორმა არ ვარგა, ხოლო პირველი სიმასივნეა. ამრიგად, ფრაზა ისე უნდა გაიმართოს, რომ საჭირო არ იყოს არც ერთი, არც მეორე“.

ჩვენც ვცადოთ და ამ რჩევის მიხედვით გაემართოთ ჯერ აქ მოყ-

ვანილი რომელიმე ფრაზა, მერე კი – ჩვენთვის საინტერესო 1-ლი პუნქტი.

„წარმოება ისე გაადიდეს, რომ სახსრები დამატებითი დანახვების დეზობათ“ ან: „წარმოება გაადიდეს დამატებითი სახსრების დაუზან-დებლად“.

ჩვენს შემთხვევაში კი პირველი პუნქტის დასაწყისი, მაგალითად, ასე გაიმართება: „...იმ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოსაწყისრიგებლად, რომელიც არ არის პირდაპირ გათვალისწინებული კანონში, გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი...“.

**აფიქსირება.** „უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია... დევნილისა და ლტოლვილის სახელით დააფიქსიროს (უნდა იყოს: **გამოზატოს, დადასტუროს...**) თავისი უარყოფითი დამოკიდებულება კონფლიქტის ზონაში მყოფი... სამშვიდობო ძალებისადმი“; „სინამდვილეში რაც შეძლეს რუსეთის სამშვიდობო ძალებმა, ეს არის ხელოვნურად დაფიქსირებული (უნდა იყოს: **შეგზნილი ან: გაფლებული**) საზღვარი აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის“; „...გასულ წელს პოლიციამ დააფიქსირა (უნდა იყოს: **აღრიცხა...**) უცხოელების მიერ მოძრაობის წესების დარღვევის 279 შემთხვევა...“; „რესპუბლიკაში დაფიქსირებული (უნდა იყოს: **აღრიცხული ან: აღნუსხული ან: გამოფლენილი**) ათი შემთხვევიდან ექვსი თბილისზე მოდის“; „სასიკვდილოდ დაკენის ორი შემთხვევა ჩუღურეთის რაიონში, 9 იანვრის ქუჩაზე, დაფიქსირდა (უნდა იყოს: **მოხდა**)“; „ამ საკითხში მინდა დაფიქსირო (უნდა იყოს: **გამოზატო ან: განვსაზღვრო...**) ჩემი პოზიცია“; „შემდეგ ფრაქციებმა დააფიქსირეს (უნდა იყოს: **ჩამოაყალიბეს ან: განსაზღვრეს ან: დადასტურეს...**) თავიანთი პოზიციები ამ საკითხში“; „მათ შორის საერთო შეხედულებებიც დაფიქსირდა (უნდა იყოს: **გამოფლინდა**)“; „იმედია, ამ შეხვედრაზე შესაძლებელი გახდება უფრო პროგრესული ვარიანტის დაფიქსირება (უნდა იყოს: **გამონახვა ან: დადასტურება ან: მიღწევა ან: შეთანხმება...**)“; „კოდორის ხეობაში სტაბილური მდგომარეობაა, დაფიქსირებულია (უნდა იყოს: **შეიმწნევა...**) შობადობის მატება (ან მთლად კარგი: **მატულობს ან იზრდება** შობადობა)“; „დააფიქსირონ (უნდა იყოს: **დაადგინონ ან: განსაზღვრონ ან: დადასტურონ...**), რომ ორი წლის შემდეგ მერის თანამდებობა არჩევითი იქნება“ და ა.შ.

...ეს მრავალწერტილი რაღააო, იკითხავთ ალბათ. ქვესათაურში გამოტანილი სასენი ნიშანია, რომლის მიღმა მრავალი მსგავსი უცხო სიტყვა-ტერმინი, იურიდიული, ეკონომიკური თუ პოლიტი-



კური კატეგორია იმალება, რომელთა მეტისმეტად სწორი და უადგილო ხმარება შეიძლება ენის გალარიბების მიზეზი გახდეს. უკვე მეორედ ვახსენებთ გალარიბებას. პარადოქსი არის? ეს როგორ? ენას ახალ-ახალი სიტყვები ემატება, თქვენ კი, გალარიბდებო, გაიძახით.

ფრანგის, მით უმეტეს კვებეკელი ფრანგის<sup>1</sup> სახელი არ გვინდა დავიგდოთ, მაგრამ...

მოდი, ნუ დავიზარებთ და დავთვალთ, მოყვანილ მაგალითებში რამდენი ქართული ზმნა ვანაცვალეთ ამ ორად ორ უცხო სიტყვას:

დარღვილებს		დააფიქსირებს
1. მოაწესრიგებს	1. გამოხატავს	9. განსაზღვრავს
2. გადაწყვეტს	2. დაადგენს	10. ჩამოაყალიბებს
3. მოაგვარებს	3. შექმნის	11. დაადასტურებს
4. განსაზღვრავს	4. გააულებს	12. მიაღწევს
5. დაადგენს	5. აღწესნავს	13. შეთანხმებს
6. გადაჭრის	6. აღრიცხავს	14. შეამჩნევს
	7. გამოაულებს	15. მოუმატებს
	8. მოახდენს	16. გაზრდის

ამრიგად, გამოდის 22 სიტყვა. ეს უკვე ტენდენციაა. კიდევ ერთი გაანგარიშება. ბატონ მიხეილ ჭაბაშვილის მიერ შედგენილი უცხო სიტყვათა ლექსიკონის მესამე შესწორებულ და შევსებულ გამოცემაში (1989) სულ შესულია 15.500-ზე მეტი სიტყვა, აქედან მესამედს მაინც ზმნები შეადგენენ. პოდა, წარმოვიდგინოთ, თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, რა დავებარდება ენას. სჭირდება ამას კომენტარი?

პრობლემას ერთი რამ გადაგვაჭრევინებს — ეს არის მონდომება და ზომიერების გრძნობა.

ეს ნიშნავს, რომ ხშირად არა, მაგრამ შეგიძლია, როცა კონტექსტი მოითხოვს, თქვა: გრანტი და ტრანსფერტი, მარკეტინგი და სამიტი (უმაღლესი დონის შეხვედრა), პრეზენტაცია და სერტიფიკატი, ბიზნესი და სპარინგ-პარტნიორი, ბრიფინგი და იმოჯი, დის-

<sup>1</sup> კანადის კვებეკის პროვინციაში, სადაც ფრანგულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, მეტად მტკივნეულად განიცდიან ენის შელახვასა და დასარღველიანებას. ამის გამო, აღბათ, რომ იქ „ენის პოლიცია“, ოფიციალურად კი — „ფრანგული ენის დაცვის კომისია“, მოქმედებს, რომელიც უღმობლად ებრძვის ენაში უცხო სიტყვათა ჭარბად შემოტანას. ხშირად საქმე ყოველგვარი სიტყვის გაუმართლებელ უარყოფამდეც კი მიდის.



კრედიტაცია და კომპრომეტირება (ათასში ერთხელ!), კვორუმი (და არა ქვორუმი!) და კონსენსუსი, პრესრელიზი და ფუნქციონალური რი, მენტალიტეტი, რეგულირებადი, ფიქსაცია და მუცლის ტენიონი. სანამ დასკვნას გამოვიტანდეთ, ერთ ამბავს მოგასხენებთ და მერე თავად განსაჯეთ.

60-იანი წლების დამდეგს საქინფორმის მთარგმნელთა ჯგუფმა წერილით მიმართა ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებს და სთხოვა მათ განემარტათ, თუ რა შემთხვევაში ეხმარათ სიტყვა „ნაციონალური“. თავაზიან საპასუხო წერილში, რომელსაც ხელს ცნობილი სწავლულნი აწერდნენ, ნათქვამი იყო, ძირითადად უნდა იყოს ეროვნული, ხოლო ნაციონალური უნდა დარჩეს, როცა ამას სტილისტური საჭიროება მოითხოვს, კერძოდ, როცა იქმნება წყვილი „ნაციონალური და ინტერნაციონალური“-ო. აქ დავსვათ წერტილი.

#### „აწყობს“? სრულიადაც არა

პროფესორი გიორგი შალამბერიძე თავის ბროშურაში „ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი“, რომელიც 1980 წელს გამოვიდა, ამბობს: „ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ინტელიგენტთა მეტყველებაში, გავრცელდა ასეთი გამოთქმები: „ეს მე არ მაწყობს“; „თუ გაწყობს, გამოგივლი და ერთად წავიდეთ თუ ატრში“; „ზურაბს თავისი სამუშაო არ აწყობდა და გადაწყვიტა თავი გაენებინა“; „ოთარაანთ ქვრივს არ აწყობდა თავისი შვილის მოვალეობად დადგომა“; „შენთან წამოსვლა მე არ მაწყობს“; „თუ თეატრში წასვლა არ გაწყობს, კინოში წავიდეთ“ და ა.შ.“.

ჩვენ კი, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, — რევოლუციამდე კამჩატკაზე არც ერთი ვულკანი არ მოქმედებდა, ახლა კი სამი მოქმედებს, — ინტელიგენტის, ვთქვათ ასე, ერთი ნაწილის „მონაპოვარი“ — „ეს მე მაწყობს“; „არ მაწყობს“ ვამრავლეთ და მოსახლეობის კუთვნილებად ვაქციეთ. ამიტომაცაა, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე გვემის ეს უხეირო გამოთქმა.

აი ზოგიერთი მათგანი:

„პრინციპული და შურვიგებელი ბრძოლა... სახელმწიფოსათვის სამიში ელემენტების წინააღმდეგ არ აწყობთ (უნდა იყოს: ხელს არ აძლევენ...) დემაგოგებს, რომელთა დივიდენდები ხელისუფლების ცილისწამებაშია“; „დღესდღეობით საქართველოდან ექსპორტს ეწევიან ის პირები, რომელთაც უბრალოდ არ აწყობთ (უნდა, იყოს: ხელს არ აძლევენ ან: რომელთათვისაც არ არის ხელსაყრელი...)

თუნდაც ფორმალურად გამოჩნდნენ"; „ძალიან ბევრს არ აწყობს (უნდა იყოს: **ხელს არ აძლევს...**) ის, რასაც დღეს ზოგიერთი სპორტაფორმით სტრუქტურა აკეთებს"; „მათ, ვტყობა, აწყობთ (უნდა იყოს: **ხელს აძლევთ...**) ტყეების უპატრონოდ მიტოვება"; „ყველა დონეზე უნდა ვაწარმოოთ ურთიერთობები აფხაზეთთან იმ პოზიციებიდან, რომ გვაწყობს (უნდა იყოს: **გვსურს, ან: ხელს გვაძლევს, ან: ჩვენს ინტერესებს შეესაბამება...**) საკითხის მშვიდობიანი მოგვარება"; „მერიას არ აწყობს (უნდა იყოს: **ხელს არ აძლევს**) უფარგისი პროდუქტების გამოშვლება“.

გვგონია, საკმარისია. ნულარ ვიტყვით ასეთნაირად, მით უმეტეს, რომ აკადემიურ წყაროებში ეს ფორმა არ არის დადასტურებული.

### ბავრი – მრავალი

ჩვენი ენათმეცნიერი განასხვავებენ და ერთმანეთისაგან მიჯნავენ შემთხვევებს, როცა უნდა იხმარებოდეს განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები **ბევრი** და **მრავალი**.

როდის უნდა ვიხმაროთ **ბევრი** და როდის – **მრავალი**?

თანამედროვე ქართულში ზედსართავი **ბევრი** ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის გარკვეული ჯგუფების სახელებთან. კერძოდ: ა) ნიუთიერების სახელებთან, რომელთა სიმრავლე, სიდიდე დაუნაწევრებულია, მთლიანია (**ბევრი ღვინო, ბევრი წყალი, ბევრი ოქრო...**); ბ) საწყისებთან ანდა შინაარსობრივად მათთან ახლოს მდგომ სახელებთან (**ბევრი კითხვა, წერა, მუშაობა, ლაპარაკი, ბევრი სიცილი, სიძარე, საქმე...**)...

მაგრამ თუ საზღვრული სახელი გასუბსტანტივებული საწყისითაა წარმოდგენილი ან აქვს ამის ტენდენცია, მასთან უფრო ბუნებრივია **მრავალი**-ს გამოყენება, ვიდრე **ბევრი**-სა: **მრავალი [შეკითხვა, მრავალი ცდა...** ასევე, როდესაც პროფესიის, ხელობის, სოციალური მდგომარეობის გამოშტატვული სახელები კონკრეტულ პირებს ახასიათებს, გაურკვეველი სიმრავლის აღსანიშნავად მათთან შესიტყვებაში ბუნებრივია ზედსართავი სახელი **მრავალი**.

მაშასადამე, **ბევრის** გამოყენება მართებულია არათვლადი, დაუნაწევრებელი, ზოგადი სიმრავლის აღსანიშნავად, ხოლო **მრავალი** ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის ისეთ სახელებთან, რომლებიც თვლადია ანდა გამოშტატეს დანაწევრებულ მთლიანობას. ამგვარი გამოთქმებია: **მრავალი მთა (მდინარე), მრავალი ქვეყანა (ქალაქი)...**, **მრავალი ადამიანი, მრავალი წელი** და ა.შ., – ასეა ნათქვა-



მი „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მე-7 წიგნის 56-ე გვერდზე.

ამ რჩევა-დარიგებით აღჭურვილებმა, გაეასწოროთ მოყვანილი მაგალითები –

„ბევრ (უნდა იყოს: **მრავალ**) ადამიანს არა აქვს ბინის შეძენის შესაძლებლობა“; „ბევრმა (უნდა იყოს: **მრავალმა**) დაუჭირა მხარი სპიკერის წინადადებას...“; „როგორც ჩანს, ბევრისათვის (უნდა იყოს: **მრავლისათვის ან: მრავალთათვის**) უპირველეს ყოვლისა ჯარია მთავარი“; „მთავრობის მორიგ სხდომაზე განიხილეს ბევრი (უნდა იყოს: **მრავალი**) საჭირობოროტო საკითხი“; „თბილისის შემოგარენში ამოქმედებული ბევრი (უნდა იყოს: **მრავალი**) მეურნეობა ამარაგებს მოსახლეობას ახალი ბოსტნეულით“; „ამ ბოლო დროს მრეწველობის ბევრ (უნდა იყოს: **მრავალ**) დარგში ამუშავდა საწარმოო ობიექტები, რის შედეგადაც შეიქმნა ბევრი (უნდა იყოს: **მრავალი**) სამუშაო ადგილი“ – და ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ გარკვეული კონტექსტისათვის გამოუსადეგარი ეს ფორმა.

### ბაჭყალიანდა, ბაჭყალიანება...

ახლა, როცა საქართველო ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გადის, თანასწორუფლებიან პარტნიორულ კავშირთა მართობას ამყარებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, მსოფლიო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან, ვე კი არა, ზოგიერთი მათგანის წევრიც კი ხდება, ჩვენს მეტყველებას ისევ მოეძალა არც ისე დიდი ხნის წინათ ფართოდ გავრცელებული უმართებულო ზმნა „აწვერიანებს“ და მისგან წარმოებული ფორმები. აი რამდენიმე მაგალითი:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწვერიანების შედეგად ამალღდა საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟი“, „ვეროკავშირში გაწვერიანებისათვის ამ კანონის მიღება აუცილებელია“, „ექსპერტებმა სომხეთთან დაკავშირებით დააფიქსირეს, რომ იგი არ არის მზად ევროსაბჭოში გაწვერიანებისათვის“, „საქართველოს დელეგაცია ვარაუდობს, რომ გაწვერიანება 1998 წლის დასაწყისში მოხდება“, „რუსეთი კვლავ წინააღმდეგია იმისა, რომ საქართველო გაწვერიანდეს ევროსაბჭოში“ და ასე დაუსრულებლად.

„გაწვერიანდა“, „გაუაწვერიანეთ“, „გაწვერიანება“ და ა.შ. იხმარება „წვერად გახდომის“, „წვერად მიღების“, „წვერად შესვლის“ მნიშვნელობით.

ერთ დროს, როცა პროფკავშირებსა თუ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში „აწვერიანებდნენ“ ხალხს, ამ მცდარ ფორმას ყო-





რადღება მიაქცია პროფესორმა გ. შალამბერიძემ. იგი წერდა, „გაწვერიანება“ არ შეიძლება ნიშნავდეს „წვერად გახდომას“, „წვერად მიღებას“. ეს სიტყვა „წვერიანი“ სიტყვისაგან არის ნაწარმოებო, ხოლო „წვერიანი“ იან სუფიქსის შემცველია (შდრ.: გაქონიანდა, გაჭუჭყიანდა...). მაშასადამე, თუ მაინც და მაინც ერთი სიტყვით გვინდა „წვერად მიღება“ გამოვხატოთ, უნდა ვთქვათ „გაწვერება“ და არა „გაწვერიანება“-ო.

ზემოთქმულს იმასაც თუ დაფუძნებთ, რომ ვერც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, ვერც ორთოგრაფიულ ლექსიკონში, ვერც სხვა აკადემიურ ცნობარებში ვერ ვიპოვით ამ ერთეულებს (თუმცა ეს არ არის განმსაზღვრელი, რადგან ენის განვითარების კვალობაზე ვერ ხერხდება ახალი სიტყვა-ტერმინების აღნუსხვა-დადასტურება), შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი უკუსაგდება და უნდა ვიხმართ: წვერად მივიღეთ, წვერი გახდა, გავწვერეთ და სხვა მსგავსი ფორმები.

საკითხის დასმის წესით. თუ ამ ზმნას ვერ ვვლევით, მის შესანარჩუნებლად შეიძლება ერთი ხერხი გვეხმარა: აგველო და ამ სიტყვაში გ ასონიშანი დ ასონიშნით შეგვეცვალა. ამის შედეგად გამოგვივიდოდა „დაწვერიანება“. ხომ არ გვაგონებს რამეს? დიას. ეს არის, მაგალითად, „დაფესვიანდა“ ან „დაფრთიანდა“. და მაშინ უკვე იმ საზოგადოებაზე ან გაერთიანებაზე, რომელიც ახალ-ახალ წვერებს იძენს, კაცი იტყოდა, დაწვერიანდაო. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს საკითხის დასმად და, ამ სიტყვამ „მოქალაქეობა“ რომ შეიძინოს, ენათმეცნიერთა დასკვნა საჭირო.

### გააჩნია ამ კაცს სახლ-ქარი?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მოდი, გაეარკვიოთ, რამდენად სწორად არის აქ ნახმარი გააჩნია ზმნა? როგორც ჩვენი ენათმეცნიერნი გვეუბნებიან, ქართულ ენაში არსებული ქონა-ყოლის აღმნიშვნელი რამდენიმე ზმნა, კერძოდ, „გააჩნია“, ჩვეულებრივ, უქონლობის გამოსახატავად უფრო იხმარება, ვიდრე მქონებლობისა.

მათი ეს ნააზრევი და დებულება ჩამოყალიბებული მოსაზრება (და არა მხოლოდ იგი) არც ისე დიდი ხნის წინათ პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის სხდომაზე მისმა თავმჯდომარემ ქალბატონმა მანანა გიგინეიშვილმა გამოთქვა. თავს ნებას მივცემთ და მცირედენი შემოკლებით მოვიყვანთ მისი მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც ამ საკითხს ეხება.

„ქართულებს რამდენიმე ზმნა გვაქვს, რაიმეს ფლობას, რაიმეს



ქონას რომ აღნიშნავს: „ჰყავს“, „აქვს“, „ეკუთვნის“, „ფლობს“, „მოეპოვება“, „მოუძევება“, „აბადია“, „გააჩნია“. ყოველს მათგანს მისი თვის დამახასიათებელი ელფერი მქონეა და ყოველს მისი სი შეუცვლელი დანიშნულება და მკვიდრი ადგილი აქვს უნაში. „აბადია“, „მოეპოვება“, „მოუძევება“, „გააჩნია“ ქონების სიმცირის ან უფრო ხშირად უქონლობას გამოხატავს და მეტწილად უარყოფით ნაწილას იგუბს („არ მოეპოვება“, „არ აბადია“, „არ გააჩნია“). გვხვდება ზოგჯერ დადებით ფორმაშიც: „ერთი სახლი აბადია“. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სახლის გარდა დიდი არაფერი აბადია. ასევე „მოეპოვება“ და „გააჩნია“ ზმნებიც („ესლა გამაჩნია“, „ცოტალა მოეპოვება“). ამასთანავე თითოეულ მათგანს გამოყენების თავისი ფაქიზი ნიუანსი აქვს. სწორია: „სახლი არ აბადია“, შეიძლება ასეც: „სახლი არ გააჩნია“. მაგრამ „იღვები არ აბადია“ – არ ვარგა. სწორია: „იღვები არ გააჩნია“. „გააჩნის“ აქვს სხვა მნიშვნელობაც („ბავშვსაც გააჩნია“, „გააჩნია, რაზეა საუბარი“). „გააჩნია“ დადებით ფორმაში შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში: „იმას რა გააჩნია?“ ეს კითხვა უკვე ნიშნავს, რომ იმას დიდი არაფერი გააჩნია.

ზმნათა ეს ნაირგვარობა ჩვენი ენის სიმდიდრისა და მოქნილობის მაუწყებელია. დღეს კი „გააჩნია“-მ წაღვეა ყველაფერი. „აქვს“, „ჰყავს“ ლამის გადაეარდეს ხმარებიდან. ასევე გაქრა დანარჩენი ზმნებიც... არ არსებობს გაზეთი, ტელურადიო გადაცემა, ყველა ჩამოთვლილი ზმნის ადგილი „გააჩნია“-ს რომ არ უკავოს... უნდა დაეუბრუნოთ ქართულს მისი ბუნების გაუთვალისწინებლობით გაძევებული ზმნები და „გააჩნია“-საც შეეუნარჩუნოთ თავისებურება და დანიშნულება [უფრო დაწვრილებით იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 40-42, 1997 წლის თებერვალი. – ავტ.].

მაშასადამე, ქვესათაურში გამოტანილი ფრაზა უნდა გავასწოროთ და ასეთნაირად ჩამოვაცალიბოთ: „აქვს ამ კაცს სახლ-კარი?“.

- ამ კითხვას სამხაირი პასუხი შეიძლება გავცეთ:
- თუ აქვს: „აქვს ამ კაცს სახლ-კარი“;
- თუ არა აქვს: „არა აქვს (ან: არ გააჩნია) ამ კაცს სახლ-კარი“;
- თუ მხოლოდ სახლ-კარი აქვს და გვინდა გავამძაფროთ უქონლობის გამოხატვა: „ამ კაცს სახლ-კარიღა გააჩნია (ან: აბადია)“.
- თუ ამ წესს მოვიმარჯვებთ და გავასწორობთ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებს, მივიღებთ შემდეგ ფორმებს:

„როგორც ყოველ მოკვდავს, მასაც გააჩნია (უნდა იყოს: აქვს ან: მოსდის) შეცდომები“; „ქართულ კინოს ისეთი ღრმა ტრადიციები

გააჩნია (უნდა იყოს: აქვს), რომ..."; „თავისუფლების პარტიას გააჩნია (უნდა იყოს: აქვს) საკუთარი კანონპროექტი"; „ამ მხრივ საქართველოს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა გააჩნია (უნდა იყოს: აქვს)"; „ამგვარი უფლება ნებისმიერ [ვამჯობინებდით: რომელიც გნებავთ ან ყოველ. - ავტ.] მოქალაქეს გააჩნია (უნდა იყოს: აქვს)"; „ამ კომისიას საკმარისზე მეტი გააჩნია (უნდა იყოს: აქვს) საბუთები.“

მრავალთაგან მხოლოდ ეს მაგალითები შემოგთავაზეთ, მაგრამ ერთი მაინც მოვიტოვეთ ბოლოსთვის. აი ისიც:

„მას ძალუთს... საკუთარი ბანკების მეშვეობით დააფინანსოს ესა თუ ის პოლიტიკური ძალა“. ამით იმის თქმა გვინდოდა, რომ ქართულში კიდევ არის რამდენიმე ზმნა, რომლებიც უარნაწილაკოდ, ესე იგი დადებითი მნიშვნელობით არ უნდა ვიხმაროთ.

ეს ზმნებია აუდის, ძალუთს და მისთ. ამიტომ ზემოთ მოყვანილ ფრაზაში ძალუთს ზმნა უნდა შეცვალეთ და მივიღებთ ასეთ წინადადებას: „მას შეუძლია (ან: უნარი შესწევს ან: აქვს იმის შესაძლებლობა... საშუალება, რომ) საკუთარი ბანკების მეშვეობით დააფინანსოს ესა თუ ის პოლიტიკური ძალა“.

მაშასადამე, მსგავს კონტექსტში უნდა ვთქვათ ხოლმე: არ ძალმის, არ ძალუთს, არ ძალედეა, ვერ აუდის და სხვ.

ამით ამაღლებით თუ ვერ ავამაღლებთ, იმას მაინც მოვასურებთ, რომ ერთი ბოძი შევეუდგათ ქართული სიტყვის კულტურას.

#### ბადასახადი, ბადასახადელი, ფასი

რა არის გადასახადი? გადასახადი არის „სახელმწიფო შესატანი, გამოსაღები მოსახლეობისა და წარმოებისაგან... გადასახადით დაბევერა“ (ქველ);

„გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით ბიუჯეტებსა და სახელმწიფო ფონდებში... საგაღებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადასხდელი, გადასახადის აუცილებელი, არაევივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე“ („საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, მე-5 მუხლი).

რა არის გადასახდელი? ეს არის ის, „...რაც უნდა გადაიხადონ... II ფულადი ანაზღაურება რამეთი სარგებლობისათვის. ბინის გ. - ელექტროენერჯის გ.“ (ქველ).

რა არის ფასი? ეს არის „...ფულადი ღირებულება (საქონლისა); ფულადი საზღაური რაიმე სამსახურისათვის, შრომისათვის. ფასუბის დაკლება. - ბილეთის ფ. - კოსტიუმის შეკერვის ფ.“ (ქველ).

მაშასადამე, ერთი მხრივ გვაქვს გადასახადი, მაგალითად: საშე-



მოსავლო, მოგების, დამატებითი ღირებულების, შეწესქმნელობითი სოციალური, სათამაშო ბიზნესის, რეკლამის... ანუ გადასახადების ნების გადაცემისათვის, ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის, ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის და ა.შ. (ცნობისათვის: იყო და, შესაძლოა, ახლაც იყოს შაქრის, მარილის, ასანთის, თამბაქოს, დეგრესიული, კოტატიური და უამრავი სხვა გადასახადი); მეორე მხრივ – გადასახადელი, რომლის მნიშვნელობა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, სხვადასხვაგვარად გამოიხატება: ქირა (ბინის, იჯარის), ფასი (ბილეთის, შესვლის, აქეთ-იქით მგზავრობის...), საფასური (გადაზიდვის, ელექტრობის, ფოსტის მოტანის...), გასამრჯელო (სამუშაოს, ტელევიზორის შეკეთების); და, ბოლოს, გვაქვს ფასები: სურსათ-სანოვაგისა, მრეწველობის ნაწარმისა, სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო ინვენტარისა, ერთი სიტყვით, ყველაფრისა, რასაც კი ვყიდულობთ და ვყიდით, რითაც ვსარგებლობთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რა დარღვევებს ვხედავთ აღნიშნულ სიტყვა-ტერმინთა სმარებაში?

**ჯერ ერთი,** ამ სიტყვათშეხამებაში უმართებულოდ სმარობენ **(ი)დან** და **-ზე** თანდებულებს. ამბობენ და წერენ: გადასახადი მოგებიდან, მოგებაზე; გადასახადი ბრუნვიდან, ბრუნვაზე; გადასახადი მიწიდან, მიწაზე. აი ერთი მაგალითი: „სმარებმა გამოხატეს სურვილი უახლოეს ხანში ხელი მოაწერონ შეთანხმებას ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადებსა (?) და შემოსავალზე გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“.

აქ ერთი რამ ირკვევა: თურმე ყოფილა გადასახადის გადასახადი. ვითომ? ეს ერთი. და მეორე – შემოსავალზე კი არა, შემოსავლის გადასახადი უნდა იყოს.

**მეორე,** როცა ფასებზეა ლაპარაკი, ძალიან ხშირად **-ზე** თანდებულის გამოყენებით აწარმოებენ შესიტყვებას: ფასები პურზე, საქონელზე და ა.შ. მაგალითად: „პურზე (უნდა იყოს: **პურის**) ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით...“; „ფიქსირებული გადასახადებიც კი წესდება სიგარეტის კონტრაბანდაზე“. ამ ფრაზაში უწესდება ხანა რომ ეხმარათ, მაშინ წინადადება ასე გაიმართებოდა: „ფიქსირებული გადასახადებიც კი უწესდება სიგარეტის კონტრაბანდას“, ან შეიძლებოდა ასე გაგვესწორებინა: „სიგარეტის კონტრაბანდის ფიქსირებული გადასახადებიც კი წესდება“.

ამ მხრივ სანიშნოა შემდეგი კონსტრუქციები: „პურის ფასების ლიბერალიზაციის პირველი შედეგები“, „ეს სამომხმარებლო ბა-

ზარზე შაქრის ფასის მოწესრიგებაზე დადებითად იმოქმედებს სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები იშვიათია, უმარტულო ფორმები კი ისე გავრცელდა პრესასა და ტელერადიოგადაცემებში, ლამის იურიდიულ აქტებშიც კი შეაღწიონ.

მესამე, არცთუ იშვიათად „გადასახადის“ მაგიერ „გადასახდელი“ იხმარება და პირიქით, ალბათ, გინახავთ ტელევიზორის ეკრანზე, სადაც შორს, კოსმოსში, რაღაც ფეთქდება და დიდრონი ასოებით იწერება: „გადაიხადეთ ელექტროენერჯის საფასური“ (თორემ თქვენც ასე მოგივათო). და რამდენადაც სწორია ეს გამოთქმა, იმდენად უმართულოა შემდეგი შეგონება: „გადაიხადეთ ელექტროენერჯის გადასახადი“, რომელიც იმავე ეკრანზე ჩნდება ხოლმე.

გადასახადი უნდა გადავიხადოთ ამ შემთხვევაში თუ საფასური? ძნელი არ უნდა იყოს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ტელევიზორის ეკრანმა გაგვახსენა ერთი სამარცხვინო მოვლენა ჩვენი რეკლამის მეურნეობაში. მას რომ საერთოდ საშველი უნდა დაადგეს, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. მაგრამ აქ ყოველად შეუწყნარებელი რამ გვაქვს მხედველობაში.

ქუჩაში გამვლელმა რომ გაგაჩეროთ და გკითხოთ, თ. (წერტილი) მეფის გამზირი სად არისო, რას იფიქრებთ?

რა უნდა ვიფიქროთ, როცა ყოველდღე ეკრანზე ჩნდება და პრესაში იბეჭდება სარეკლამო განცხადებანი, რომლებშიც უხვად არის მიმოხრული ასეთი მისამართები: ვ. (წერტილი) ან / (წილადის ნიშანი) ფშაველას პროსპექტი, ქ. წამებულის ქუჩა, დ. აღმაშენებლის გამზირი და ა.შ.? მკრთელობაა და მეტი არაფერი!

რაკი გამზირი ვახსენეთ, ერთ საჭირობოროტო საკითხსაც შევეხოთ.

ერთ-ერთი მოწვევის პარლამენტის სესიის ერთ-ერთ სხდომაზე მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელემ ბრძანა, ამდენი და ამდენი რონოდა... მივიღეთო; რადიოთი გადაცემულ ერთ-ერთ განცხადებაში ნათქვამი იყო, ამა და ამ დაწესებულების ელსმენის ნომერი ესა და ეს არისო; ჩვენს გრძელ და ფართო ქუჩებს ხან გამზირს უწოდებენ, ხან პროსპექტს. არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს, მაგრამ ის კი ვიცით, თუ როგორ ეკიდებოდნენ და ეკიდებინან მეტისმეტ გაეროვნებულობას, ისევე როგორც არსებული ქართული სიტყვის მაგივრად უცხოური სიტყვის შემოტანას, ჩვენი უნის გუშავნი (ეს გამოთქმა ძალიან მოსწონდა ჩვენს თვალსაჩინო ენათმეცნიერს შოთა ძიძიგურს).

„პურიზმმა თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო ქართული



ენის სინამდვილეშიაც... მაგალითად, ერთ დროს იყო ცდა საყოველთაო ტერმინები – პროსპექტი, ვაგონი, ტელეფონი და სხვა. უკუგდოთ და მათ ნაცვლად ხელოვნურად შეთხვევითურად გაებატონებინათ: გამჭირი (პროსპექტი), რონოდა (ვაგონი – ვითომ „ოდა“, რომელიც „რონინებს“!), ელსმენი (ტელეფონი)... ენამ არ მიიღო ამგვარი გაუმართლებელი ტერმინები ნაცვლად მთელ კულტურულ სამყაროში დამკვიდრებული სიტყვებისა, – ასე წერდა თავის „საენათმეცნიერო საუბრებში“ შ. ძიძიგური.

ჩვენ როგორ მოვიქცეთ? – სვამდა კითხვას გ. შალამბერიძე, – 40-50 წლით უკან დავიხიოთ და ისეთი უარყოფილი სიტყვები აღვადგინოთ, როგორცაა ასდანი (პროცენტი), ბრუნარო (ტურბინა), გოდლი (ცილინდრი), რონოდა (ვაგონი), ყიბლანი (კომპასი), ხმამშარდი (რუპორი) და სხვ.? არამც და არამც!

დასკვნის გამოტანა არ უნდა გავვიჭიროდეს.

### ბამოვთქვამთ... სიტხოვ?

სიტხოვ კი არ უნდა გამოთქვა, უნდა გამოხატო. გამოთქმით კი შეიძლება გამოთქვა აზრი, იდეა, მადლობა... (ოღონდ მადლობას ნუ „მოიხდით“!). ამას გვიჩვენებენ ენათმეცნიერნი. რაც შეეხება გამოხატავს ზმნას, აი როგორ არის ჩამოყალიბებული მისი მესამე მნიშვნელობა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“: [გამო]აჩენს, [გამო]ამელავნებს, [გამო]ავლენს (რამივე სულიერ მდგომარეობას)...

ამჟამად კი (გარევის, საუბრის, ძალისხმევის, მცდელობისა და ზოგი სხვა ამოჩემებული სიტყვისა არ იყოს) წამდაუწუმ „გამოვთქვამთ“ ყველაფერს: „ორატორმა გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველებს ზომიერება არა გვაქვს...“. ამ ზომიერების უკმარობის ბრალია, ალბათ, რომ ასე გადმოაცემინა მთქმელს თავისი აზრი, და ჩვენც, დაუფიქრებლად, გამოთქვამს ზმნას გამოხატავს, ამელავნებს, ავლენს, აჩენს ზმნების მაგივრობას ვაწვევინებთ.

მოვიხმოთ მაგალითები: ჩვენი საზოგადოება გამოთქვამს (უნდა იყოს: გამოხატავს, ავლენს...) თავის გაკვირვებასა და შეშფოთებას მომხდარის გამო; „რუსეთის მხარეს არაერთხელ გამოუთქვამს (უნდა იყოს: გამოუთქვამს ან: გამოუხატავს...) თავისი ნეგატიური რეაქცია ამ საკითხებისადმი“; „მსახიობმა დამსწრეთა წინაშე გამოთქვა (უნდა იყოს: დამსწრეთ გაუზიარა...) თავისი შთაბეჭდილებანი...“; „მეცნიერმა გამოთქვა კრიტიკა ახლახან გამოსული წიგნის ზოგიერთი დებულების გამო (უნდა იყოს: გააკრიტიკა ან:

დაიწუნა ასლახან გამოსული წიგნის ზოგიერთი დებულება) მიერ-მინისტრმა გამოთქვა მტკიცე გადაწყვეტილება (უნდა იყოს განაცხადა ან: თქვა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი) გადაჭრას ეს საჭირობოროტო საკითხი"; "იტალია გამოთქვამს (უნდა იყოს: გამოხატავს...) სურვილს უზრუნველყოს საქართველოში ეკონომიკური რეფორმის პროცესის კონკრეტული მხარდაჭერა..." [ეს წინადადება საერთოდ დასაბუთებია. ალბათ, უკეთესი იქნებოდა ასე გაგვემართა იგი: "იტალია გამოხატავს სურვილს კონკრეტულად დაუჭიროს მხარი (ან: კონკრეტული მხარდაჭერა გაუწიოს) ეკონომიკური რეფორმის პროცესს საქართველოში"].

ანდა ავიღოთ ასეთი წინადადება: „ოფიციალურ გროზნოს არაერთხელ გამოუთქვამს მხარდაჭერა საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელობის პოლიტიკისათვის აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე“. ვთქვათ, გამოუთქვამს ზმნა გამოუხატავს ზმნით შეეცვალეთ. უზინჯო იქნება წინადადება? „პოლიტიკისათვის... დარეგულირების თაობაზე“ – ამას რაღა უყუთ? ვცადოთ და გავასწოროთ. ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტად მივიღებთ შემდეგ წყობას: „ოფიციალურ გროზნოს არაერთხელ განუცხადებია, რომ მხარს უჭერს საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელობის პოლიტიკას აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის მიმართ (ან: საკითხებში...)“. ცოტათი მაინც ხომ ჯობს?

ფრჩხილებში მოქცეული სიტყვები რომ არ გაგანაწყენოთ, გავსსნათ ეს ფრჩხილები და განვმარტოთ, თუ რატომ შევიქნით იძულებული მათთვის „ამოჩემებული“ გვეწოდებინა.

ერთ დროს, როცა „შრომას“ თითქმის მივიწყებული გარჯა (ირჯება, გარჯილობა და მისთ.) ამოფუყნეთ გვერდში, ამ უკანასკნელმა თითქმის განდევნა შრომა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ წარჩინების ცნობილი ფორმულა „სოციალისტური შრომის გმირი“ ლამის „სოციალისტური გარჯის გმირად“ ვაქციეთ.

იგივე დაემართა ლაპარაკს. ვილაცამ მას საუბარი ამჯობინა, მერე და მერე იგი გაგაერცელეთ და ასლა, მაგალითად, კაცი კაცს შავ დღეს რომ აყრიდეს ან, ტრიბუნაზე ასული, ვინმეს ან რამეს ამათრახებდეს, უწყალოდ აკრიტიკებდეს, საუბრობსო, ვიტყვი...

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება გავისხენოთ, რას ნიშნავს „საუბარი“. „საუბარ-ი... 1. მშვიდი ლაპარაკი ვინმესთან, – ბაასი, მუსაიფი, მასლაათი... 2. მოხსენება, ლექცია, რომლის განხილვამაც მონაწილეობენ მსმენელები...“ (ქველ). ჰგავს ასლა ზემოთ დახატული ვითარება საუბარს?



70-იანი წლების დამდეგს მეცადინეობას, ცდას, მონდობას და ზოგიერთ სხვა სიტყვას საჭინფორმულებმა მიაშველეს ერთი კარგი სიტყვა – ძალისხმევა, კარგი თუნდაც იმით, რომ შესაძლებლად იგუებს ისეთ მსაზღვრელებს, როგორიც არის „ფიზიკური“, „გონებრივი“, თუ გნებავთ, „სულიერი“. და მერე რა? ისიც გავაბატონეთ და ისე ხშირად ვხმარობთ მსაზღვრელით თუ უმისოდ, რომ ფერი და შიო დაუუკარგეთ.

კიდევ დაგვრჩა განსაზღვრული მცდელობა. მას მოგვიანებით შევხვებით.

აქ ჩვენ განვიხილეთ გამოხატავეს, ავლენს, ამჟღავნებს ზმნების ხმარების მაგალითები. ახლა კი გავარჩიოთ ის შემთხვევები, როცა მათგან ნაწარმოები ვნებითები: გამოიხატება, ვლინდება, მვლადნდება და მისთ. მეტწილად ქმნიან ქართულისათვის სტილისტიკურად შეუფერებელ ფორმებს – ში თანდებულიან ერთეულებთან დაწყვილებით.

მეტწილადო, რომ ვამბობთ, იმის თქმა გვინდა, რომ არის გამოხატვისი მომენტები, როცა რაში გამოიხატება მოდელი სამჯობინოა. მაგალითად, ასეთ გამოთქმაში: „მწერლის შემოქმედებაში გამოიხატა (აისახა) მთელი ეპოქა“. მაგრამ როცა კონკრეტულზე მიდგება საქმე, ჩვენი აზრით, უპირატესობა მაინც „რით გამოიხატება“ კონსტრუქციას უნდა მივანიჭოთ.

რამდენიმე მაგალითი:

„...ჩარევა, რაც გამოიხატება... შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლაში (უნდა იყოს: ხელის შეშლით)“; „რატომ არ აღშფოთდით იმ უმსგავსობის გამო, რაც უკანონო მოსმენაში (უნდა იყოს: მოსმენით) გამოიხატა“; „მისი აზრით, „ჯანსაღი ეროვნულობა“ ინტერნაციონალიზმში (უნდა იყოს: ინტერნაციონალიზმით), სხვადასხვა ერებს შორის კეთილ ურთიერთობაში (უნდა იყოს: კეთილი ურთიერთობით) გამოიხატება და არა „ველურ ნაციონალიზმში და ველურ კაპიტალიზმში“ (უნდა იყოს: „ველური ნაციონალიზმითა და ველური კაპიტალიზმით“); „საქართველო დაინტერესებულია რუსეთის შუამავლობის წარმატებით აფხაზეთის კონფლიქტის საკითხის მოგვარებაში, რაც... 28 მარტის გადაწყვეტილებათა შესრულებაში (უნდა იყოს: შესრულებით) უნდა გამოიხატოს“.

ეს ბოლო წინადადება იმით არის საგულისხმო (ვაი ჩვენი ბრალი, რას მოვესწარიო! სწორ ფორმას რომ ვნახავთ, ლამის სიხარულით ცას ვეწიოთ), რომ აქ სწორად არის გამოთქმული ფრაზის ნა-



წილი: „საქართველო დაინტერესებულია რუსეთის შეუპოვლობის წარმატებით...“. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, სამწუხაროდ, უფრო სწორად გვხვდება ხოლმე ასეთი უმართებულო ფორმული:

„გამოხატავს დაინტერესებას... საერთაშორისო ორგანიზაციის რეგიონალური წარმომადგენლობისა და ეროვნული მისიის თავის ტერიტორიაზე დაარსებამი...“; „კრედიტების გამოყოფაში ავტორის დაინტერესება...“; „კომპანია დაინტერესებულია ტრანსპორტირებადი ნავთობის მოცულობის ზრდამი...“ და სსვ. თქმა არ უნდა, აქ უნდა იყოს დაარსებით, გამოყოფით, ზრდით.

რაკი დაინტერესება სიტყვამ ასე დაგვანტერესა, უინტერესო არ იქნება შევეხოთ კიდევ ერთ შემთხვევას, როცა მისი და შედის ზმნის მონაწილეობით რუსული გამოთქმის – это входит (не входит) в его интересы, это в его интересах – გავლენით ქმნიან ქართულისათვის არაბუნებრივ კონსტრუქციებს: „ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ კონფლიქტის ორივე მხარის ინტერესებში შედის [აქ შეიძლება ასეც ეთქვათ: ინტერესებშიაო] (აულობებდა: ინტერესებს შეესაბამება ის, რომ) სთხოვონ რუსეთს გააგრძელოს სამშვიდობო ძალების მანდატი“; „ბაზების შექმნა ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის (უნდა იყოს: ინტერესებს შეესაბამება)“ და ამის ანალოგიით: „ეს მის კომპეტენციაში შედის (უნდა იყოს: კომპეტენციას მიეკუთვნება...)“; „მის გვერდში არ შედიოდა (აულობებდა: მისი გვერდით არ იყო გათვალისწინებული ან: მისი გვერდში არ ითვალისწინებდა) გამაგრებული პუნქტების დაკავება (ს)“. ამას დავუჯერდეთ.

კიდევ ერთი მომენტი, და ამით მოვათავოთ ეს თემა. აქ არაერთხელ მოვიყვანეთ -ში თანდებულებიანი სიტყვების გამოყენებით წარმოებული გამოთქმები. ამ თვალსაზრისით უმართებულო ფორმად უნდა მივიჩნიოთ გაყიდვაშია ტიპის გამოთქმები. ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების დამდეგს პროფესორი გ. შალამბერიძე წერდა: „დედაქნას დიდად ენებს არაქართული კონსტრუქციების დამკვიდრება, რომლებშიც მხოლოდ სიტყვებია ქართული, სინტაქსი კი გაუგებარია. დიდი მუშაობა დაგვჭირდა იმისათვის, რომ ქართულიდან განგვედევნა „გაყიდვაშია ნაფტალინის“ ტიპის გამოთქმები...“.

ხედავთ? დიდი მუშაობა დაგვჭირდა... რომ განგვედევნაო. ახლა დიდი მუშაობა კი არა, დიდი ბრძოლა და ოფლის ღვრა დაგვჭირდება იმისათვის, რომ ამოვიძირკვოთ არა მარტო „ნაფტალინი გაყიდვაშია“, არამედ ისეთი მასინჯი გამოთქმები, როგორიც არის: „გაყიდვაში გამოვიდა (?) ახალი წიგნი“ (ტელერეკლამა), „მკვლელი მიმალვაშია“, „დააპატიმრეს ძებნაში მყოფი მოქალაქე“, „მად-



ლობა გადაიხადეს დახმარებისათვის, რომელსაც ქართველ ქვეყნებს უწევდნენ მიმალვაში მყოფ საშიშ დამნაშავეთა დაკავებასა და გადმოცემაში, „მალვამთა...“ და სხვა მრავალი. შემსწავლელი ის არის, რომ მსგავსმა კონსტრუქციამ კანონის ენაშიც კი შეიღწია: „...თუ გამყიდველისადმი მომხმარებლის მიმართვის მომენტში ანალოგიური საქონელი არ არის გაყიდვაში, მომხმარებელს უფლება აქვს...“, – ასეა, სამწუხაროდ, ნათქვამი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში (პარლამენტის უწყებანი №7, გვ. 13, 1996).

ყველამ კარგად ვიცით, რომ კითხვა რაშია საქმე? არაქართული კონსტრუქციაა, მაგრამ მან კარგა ხანია, ჩვენს ენათმეცნიერთა თქმით, „სოციალური ფუნქცია“ შეიძინა, და, ალბათ, ამოდ დაფრებით მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ როგორმე შევზღუდოთ მისი მსგავსი ფორმების ხმარება. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, გაეარჩიოთ იგი და ვნახოთ, რამდენად შესაძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა.

როცა საქმე რაიმე მოვლენის, ფაქტის არსს, ტენდენციას, მოქმედების, ღონისძიების მიზანს ეხება, არცთუ იშვიათად ასე აყალიბებენ ხოლმე კითხვას: **რაში მდგომარეობს?** მაგალითად, „რაში მდგომარეობს მათი საქმიანობის მიზანიო“. და თუ იქვე განმარტეს ეს მიზანი, დაახლოებით ასეთ კონსტრუქციას შემოგვთავაზებენ: „მათი საქმიანობის მიზანი მოსახლეობის ხელმოკლე ფენების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, ჰუმანიტარული დახმარების სამართლიან განაწილებაში, პენსიების დროულად მიცემაში (და კიდევ ვინ იცის, რაში არ) მდგომარეობს“.

ზმნის პირიანი ფორმები რომ გვეხმარა, ეს წინადადება დაახლოებით ასე გაიმართებოდა: „მათი საქმიანობის მიზანი (არსი) ის არის (იმით გამოიხატება), რომ გააუმჯობესონ მოსახლეობის ხელმოკლე ფენების საყოფაცხოვრებო პირობები, სამართლიანად განაწილებინონ ჰუმანიტარული დახმარება, დროულად მიაციებინონ პენსიები“.

შევადართო და განვსაჯოთ, რომელი წყობაა უკეთესი.

კიდევ რამდენიმე მაგალითი: „საქმის ჭეშმარიტი აზრი კი აი რაში მდგომარეობს (უნდა იყოს: აი რა არის ან: აი რით გამოიხატება)“; „სიძარბოე კი იმაში მდგომარეობს (უნდა იყოს: ის არის...), რომ ადრე თუ გვიან საქართველო ნატოს წევრი გახდება“; „გამოსავალი იმაში მდგომარეობს (უნდა იყოს: ის არის...), რომ სახელმწიფომ...“; „კანონპროექტის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს

(უნდა იყოს: ის არის ან: იმით გამოიხატება), რომ შეიქმნას გამჭვირვალე საზოგადოება, რომელშიც მაქსიმალური საზოგადოებრივი კონტროლი დაწესდება სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობაზე [ბოლო ნაწილიც გასასწორებელია. უნდა იყოს: საზოგადოებრივი კონტროლი გაეწევა ან: დაუწესდება სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობას] და ა.შ.

ყოველივე ეს, მეტი რომ არ ვთქვათ (რატომღაც ზოგიერთნი ამას ასე ამბობენ, რბილად რომ ვთქვათო. კაციშვილმა არ იცის, რა არის რბილად თქმა), დაუკვირებლობისა და ძვალ-რბილში გამყდარი სტერეოტიპის ბრალია.

### ბაზეთსართავება (სა-ე, სა-ო, ურ(ულ) თავსართ-ბოლოსართიანი წარმოქმნა) – უთავბოლოდ?

ერთხელ, თბილისში ყოფნის დროს, ერთმა სტუმარმა, ქართველობას რომ ახასიათებდა, სხვა ღირსებებს შორის კაცურკაცობა აღნიშნა. მისი გამოსვლის ტექსტის გადმოქართულებისას შესაბამის კონტექსტში „კაცურკაცური“ დაიწერა. ეს ფორმა, თუმცა გრამატიკულად სწორი, სტილისტიკურად მთლად კარგი ვერ გამოდგა. სხვა საკითხებს შორის ამასაც შეეხო საუბარი, როცა საქინფორმს ჩვენი თვალსაჩინო ენათმეცნიერი ივანე გიგინეიშვილი ეწვია. მან უჩჩია, ასეთ შემთხვევებში უპირატესობა ნათესაობით ბრუნვას მიანიჭეთო. მინიჭებით კი მიანიჭეს, მაგრამ...

ამ ბოლო წლებში გავრცელდა, ეგ კი არა, დამკვიდრდა კიდევ ჩვეს მეტყველებაში (მეტყველებას ვინღა ჩივის, ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი) უმართებულო ფორმა, თვით ქართული ენის ბუნებას რომ უქმნის საფრთხეს.

გსმენიათ და წაგიკითხავთ ოდესმე წინათ ისეთი გამოთქმები, როგორიც არის, მაგალითად: რუსულ-იაპონური, ინგლისურ-ბურული, ინგლისურ-სიქური ომები, ვანდუური აჯანყება, ფრანკო-გერმანული მოლაპარაკება, ქართული დელეგაცია, ქართული და სომხური მოსახლეობა, რუსული სახელმწიფო, საოლქო მცხოვრები, სამთავრობო დელეგაცია, სამეფო ოჯახი, საპარლამენტო, საპრეზიდენტო არჩევნები და უამრავი სხვა მსგავსი რამ? რა თქმა უნდა, არა. ახლა კი...

ბოლო ხანს ამოწერილი მაგალითები: „ევროპული (უნდა იყოს: ევროპის) სტრუქტურების გააქტიურებას რეგიონში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება“; „სამხრეთაზიური (უნდა იყოს: სამხრეთ აზიის) სახელმწიფოების ორგანიზაციის [ასეუანი. ამ ფორმას, ისევე



როგორც სხვა უცხო ინიციალებრივ ამრევიატურებს: სენტოს, სა-  
 ეტოს, ნატოს, ანზიუსს, იუნესკოს და მისთ., ბრუნვისა და მისთ. ან-  
 უნდა გამოიყოს დეფისით. – ავტ.] წვერი ქვეყნების წარმომადგენ-  
 ლები შეიკრიბნენ...“; „რეკონსტრუქციისა და განვითარების ევრო-  
 პული (უნდა იყოს: **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების**)  
 ბანკი“; „დედერალური საკრებულოს (უნდა იყოს: **კრების**)“ ზოგი-  
 ერთი წვერი გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რომ შინაგანი ჯარების  
 ნაწილები შეეყვანათ ოსურ-ინგუშური (უნდა იყოს: **ოსთა და ინ-  
 გუშთა**) კონფლიქტის ზონაში“; „მეორე საერთო ევროპულ (ავლო-  
 ბებდა: **სრულიად ევროპის მეორე**) იკუმენურ ასამბლეაში მონაწი-  
 ლეობდნენ...“; „ასამბლეის ორგანიზატორია (უნდა იყოს: **ორგანი-  
 ზატორები არიან**) ეკლესიათა ევროპის (უნდა იყოს: **ევროპის ეკლე-  
 სიათა**) კონფერენცია“<sup>2</sup>, რომელიც აერთიანებს... ორგანიზაციებს,  
 აგრეთვე ეპისკოპოსთა ევროპული (უნდა იყოს: **ევროპის ეპისკოპოს-  
 თა**) კონფერენციის საბჭო“; „ამერიკული სანათობო (უნდა იყოს:  
**ამერიკის ნათობის**) კომპანიები“; „ქართულ-გერმანული შპს (უნდა  
 იყოს: **საქართველო-გერმანიის**) შეზღუდული პასუხისმგებლობის  
 (ავლობებდა: **განსაზღვრული ან: შემოფარგლული პასუხისმგებლო-  
 ბის [არალოგიკურად მიგვანია შეზღუდულისა და პასუხისმგებ-  
 ლობის დაწყვილება] საზოგადოება**“; „სარგარდული (უნდა იყოს:

2 ბოლო ხანებში რატომღაც მოინდომეს კრების, როგორც ზოგი არჩევითი, წარმო-  
 მადგენლობითი ორგანოს, სახელწოდების რევიზია. ამბობენ და წერენ, საფრანგე-  
 თის ეროვნული საკრებულო, რუსეთის დედერალური საკრებულო (მთლად საში-  
 ნელებაა, როცა ამბობენ: „სახელმწიფო დუმა“. იყო „სახელმწიფო სათათბირო“ და  
 ასეც უნდა დარჩეს).

თქმა არ უნდა, „საკრებულოც“ არის, მაგრამ რას ვერჩით ტრადიციულად საის-  
 ტორიო წყაროებში დამკვიდრებულ „კრებას“? „17 ივნისს მესამე წოდების დებუ-  
 ტატებმა... თავი გამოაცხადეს მთელი ერის წარმომადგენლებად – ეროვნულ კრე-  
 ბად და დაადგინეს...“. „მალე ეროვნულმა კრებამ თავი დამფუძნებელ კრებად გა-  
 მოაცხადა, ე.ი. ისეთ კრებად, რომელიც შეიმუშავებდა და დააწესებდა ახალ კონ-  
 სტიტუციას...“; „პარიზში გაიხსნა... ეროვნული კონვენტი (სიტყვა „კონვენტი“  
 ნიშნავს „კრებას“)“. კონვენტი, ისევე როგორც საკანონმდებლო კრება, რომელიც  
 მან შეცვალა, ბურჟუაზიის წარმომადგენელთაგან შედგებოდა“, – ასეა ნათქვამი  
 მრვე კლასის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოში, გვ. 80-81, 1997).

3 თუ „კრებას“ ასე ექცევიან, „კონფერენციას“ რაღას უწამენ? ისიც ხომ ზოგჯერ  
 ეროვნული ღონისძიება კი არა, მუდმივმოქმედი ორგანოა. ზემოთ დასახლებუ-  
 ლის გარდა ეს არის, მაგალითად, სრულიად აფრიკის ქალთა კონფერენცია, გაე-  
 როს ევროპისა და განვითარების კონფერენცია და მისთ. მეტსაც ბევრევით, ამე-  
 რიკის შერთებული შტატების ტერიტორიაც კი პოკისტთა სასამარეოდ კონფე-  
 რენციებად არის დაყოფილი (აღმოსავლეთის კონფერენცია, დასავლეთის კონფე-  
 რენცია). რა ვწათ ახლა, სხვა სახელწოდება მოუფიქროთ მათ?

პარგარდის) არქივი"; „ევროპა-ზიური დერეფანი (უნდა იყოს: ევროპა-ზიის ან: ევროპა-ზიის და ავღობება: კორიდორი. გაეისსენთა, ლონეთის კორიდორი)"; „სასოფლო-სამეურნეო (მიწათმოქმედება) და მისთ. მსგავსად უნდა იყოს: სოფლის მეურნეობის) პროდუქცია [მაგრამ: სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები]; „თურქული (უნდა იყოს: თურქეთის) კორპორაცია „თექენი“; „კიდევ ერთი მადრიდული (უნდა იყოს: მადრიდის კიდევ ერთი) კლუბი“; „მოსკოვის მილიციამ აფხაზური (უნდა იყოს: აფხაზთა) ბანდა გააუვნებლა“ და სხვ.

რა არის ეს, თუ არა რუსული თარგის გადმოტანა ქართულ ენაში და მისი ყოვლად შეუწყნარებელი გაბატონება?

რუსულ ენაში ძალიან დიდი ადგილი რომ უკავია მსგავს ფორმებს, ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ. ისინი ამზობენ და წერენ: Иваново детство (детство Ивана), Российский Дальний Восток (ДВ России), Азиатско-Тихоокеанский регион (Р. Азии и Тихого океана), Гнесинский институт (институт им. Гнесиных), военные годы (годы войны. სამხედრო თემატიკას მოგვიანებით შეეხებით), европейская система безопасности (система безопасности Европы), основные миротворческие силы (миротворческие силы ООН) და მრავალი სხვა.

ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი თავში მოყვანილ მაგალითებს, ვნახოთ, როგორ ამზობენ რუსები და ჩვენ როგორ უნდა მოვაქციოთ ისინი ქართული ენის ყალიბში: Русско-японская война – რუსეთ-იაპონიის ომი; англо-бурская война – ინგლისელებისა და ბურების ომი; англо-сикхская война – ინგლისელებისა და სიქების ომი; вандейское восстание – ვანდეის აჯანყება; франко-германские (немецкие) переговоры – საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება; грузинская сторона – საქართველოს მხარე; грузинская делегация – საქართველოს დელეგაცია; грузинское и армянское население – ქართველი და სომეხი მოსახლეობა; русское государство – რუსეთის სახელმწიფო; областной житель – ოლქის მცხოვრები; правительственная делегация – სამთავრობო კი არა, მთავრობის დელეგაცია; королевская семья – სამეფო კი არა, მეფის ოჯახი; осетино-ингушский конфликт – ოსურ-ინგუშური კი არა, ოსებისა და ინგუშების (ან ოსეთ-ინგუშეთის) კონფლიქტი; парламентские, президентские выборы – საპარლამენტო, საპრეზიდენტო კი არა, პარლამენტის, პრეზიდენტის არჩევნები, დაფუძნებული: საპარლამენტო კი არა, პარლამენტ-



ტური რესპუბლიკა, საპრეზიდენტო კი არა, პრეზიდენტული რესპუბლიკა, საკონსტიტუციო კი არა, კონსტიტუციური მონარქია და ა.შ.

მამასადამე, დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს: უურად ვიღოთ მეც-ნიერთა რჩევა და:

როცა საჭიროა, გამოვიყენოთ ნათესაობითი ბრუნვა (მეტწილად!) – ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტი, მთავრობის სტრუქტურები, ქართველთა და ოსთა ურთიერთობა, პრეზიდენტის არჩევნები, კომენდანტის საათი და მისთ.

როცა საჭიროა, გამოვიყენოთ დანიშნულების გამომხატველი სა-ე, სა-ო თავსართ-ბოლოსართები – საველე არტილერია, სარედაქციო კომისია, საკონსტიტუციო კომისია, სავეტერინარო ინსტიტუტი, სალიტერატურო ჟურნალი, სალიტერატურო ენა, სანერგე მურწეობა, სამუსიკო სკოლა და მისთ.

როცა საჭიროა, გამოვიყენოთ თვისების გამომხატველი ურ(ულ) ბოლოსართი – კონსტიტუციური ზედამხედველობა, რესპუბლიკური მმართველობა, რეკორდული მოსაჯალი და მისთ.

აქ საგანგებოდ მოვიტოვეთ ერთი გამოთქმა, უფრო სწორად, ერთი საკუთარი სახელი. ეს არის „საკონსტიტუციო სასამართლო“. რამდენად სწორად არის იგი ჩამოყალიბებული?

„კონსტიტუციური სასამართლო საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში (მათ შორის რუსეთში, ახლა კი საქართველოშიც. – ავტ.) სპეციალური სახელმწიფო ორგანოა, რომელსაც ევალება კონსტიტუციური ზედამხედველობის გაწევა. ამასთან ერთად კონსტიტუციურ სასამართლოს შეუძლია კონსტიტუციის განმარტება, სახელმწიფოს ცალკეულ ორგანოთა კომპეტენციის სისწორის შემოწმება, მოქმედი კანონის ბათილად გამოცხადება და ა.შ.“ – ასეთი განმარტებაა ქართულ ენციკლოპედიაში (ტ.5, გვ. 645). საქმე მართო ოფიციალური განმარტება როდია. საქმე ის არის, რომ ეს არსებითად სწორია და კონსტიტუციური კანონის, ზედამხედველობის, პრინციპის, რეჟიმის, წესწყობილების შესავსად ამ სასამართლოსაც კონსტიტუციური უნდა ერქვას (გავისხენოთ ამ წიგნში ნახსენები კონსტიტუციური კონვენტი).

წინ გვიდევს ჩვენი პრეზიდენტის გამოსვლის ნაწყვეტი, რომლის ერთ-ერთ წინადადებაში: „მოგიწოდებთ ყველას მაქსიმალურად შესაძლებელი წვლილი შეიტანოთ ეროვნული ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის – ქართული ენერგეტიკის გადარჩენასა და აღორძინებაში“ მისი ხელით წაშლილია სიტყვა „ქართული“ და

ნაცვლად ჩაწერილია სიტყვა „საქართველოს“. იქვე არის შენიშვნა: „არ არსებობს ენერგეტიკა „ქართული“, „სომხური“ ან „აზერული“. ვისწავლოთ“.

უნდა ვისწავლოთ, რადგან სხვებთან ერთად „ოთხი რამე შეუძლებელია უსწავლელად: ცოდნა გრამატიკისა, წერა მეტყველურად, კარგი ქადაგება, წყობა ლექსისა“ („ფერეკ-ვერდი“).

### განვიხილოთ თუ მივიჩნიოთ?

**განვიხილოთ**, როცა საქმე ეხება გარჩევას, გარკვევას, გასინჯვას: განვიხილოთ საქმე, საკითხი, წინადადება, დებულება, განცხადება, ვითარება და ა.შ.

**არ განვიხილოთ**, როცა საქმე ეხება „რამედ მიჩნევას“. „რუსულ-ქართული ლექსიკონი“: рассматривать... 2. как кавშირთან მიჩნევა (მიჩნია რამედ)... ваше предложение я рассматриваю как вполне реальное – თქვენი წინადადება სავსებით რეალურად მიმაჩნია“.

ახლა კი განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებანი და განვსაჯოთ, უხდება თუ არა მათ უცხო კონსტრუქცია.

„პორტუგალია საქართველოს განიხილავს, როგორც მომავალი ევროპული უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს“. ხედავთ, რა ტლანქი წინადადებაა? ეს წინადადება თავიდან ბოლომდე გასასწორებელია. ერთ-ერთი ვარიანტი ასეთი შეიძლება იყოს: „პორტუგალია საქართველოს მიიჩნევს მომავალი ევროპის უშიშროების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად“. შემდეგ. „ამ პროცესში ჩვენს მონაწილეობას განვიხილავთ არა როგორც ქონებრივ პრივატიზებას, არამედ პოლიტიკურს“. გაიგეთ რამე? ვერც ჩვენ (ამას ერთი სიტყვის მაგიერ მეორის ჩასმაც ვერ უშველის); „საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკის მონაწილეობა შავი ზღვის რეგიონში... ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში განიხილება (უნდა იყოს: მიიჩნევა ან: მიჩნეულია) ევროპული უსაფრთხოების (უნდა იყოს: ევროპის უშიშროებისა) და თანამშრომლობის ერთ-ერთ ელემენტად“; „სტუდენტთა სამხედრო სწავლების სისტემის სრულყოფის საკითხებს საქართველოს პრეზიდენტი განიხილავს როგორც აქტუალურს (უნდა იყოს: საკითხებს... აქტუალურად მიიჩნევს)“; „ისინი საქართველოს მესამე ეშელონის ქვეყნად განიხილავენ (უნდა იყოს: მიიჩნევენ)“; „უფრო მიზანშეწონილი იქნება საზოგადოების საინფორმაციო სფერო განხილულ იქნას (?), როგორც შედარებით თვითმყოფადი ფენომენი (უნდა იყოს: მივიჩნიოთ ან: მიი-



**ნეულ იქნეს**) შედარებით თვითმყოფად (თავისთავად) **დენოშენად**, ვილაცამ დაინახა „**рассмотреть**“, არ ჩაწვდა მისი ისევე როგორც სხვა სიტყვების, სხვადასხვა მნიშვნელობას, მნიშვნელობას გადმოიტანა ქართულში და კიდევ ერთი „მარგალიტი“ შესძინა მას.

**ბანრიზი – ნუსხა**

ჩვეულებრივ, როცა რომელიმე უწყების დებულებას ადგენენ, თან დაურთავენ ხოლმე სტრუქტურასა და დოკუმენტს, რომელსაც „სამშტატო განრიგს“ უწოდებენ. რამდენად სწორია ეს გამოთქმა? სანამ პასუხს გავცემდეთ ამ კითხვას, გავარკვიოთ, რას ნიშნავს **შტატი** (შტატები) და რას – **განრიგი**?

**შტატი**. მე-2 მნიშვნელობა – ამა თუ იმ წარმოებაში, დაწესებულებაში მომუშავეთა მთელი შემადგენლობა, რომელიც დამტკიცებულია სათანადო ზემდგომი ორგანოების მიერ (მ.ჭაბაშვილი, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“);

**განრიგი**-ი, **განრიგება** გრაფიკი, რომელიც შეიცავს ცნობებს რისამე შესრულების დროის, ადგილისა და თანამიმდევრობის შესახებ... **ლექციების გ.** (ქველ);

**расписание** – განრიგი, განრიგება, ცხრილი: **расп. движения поездов** – მატარებელთა მიმოსვლის განრიგი; **расп. уроков** – გაკვეთილების ცხრილი;

**штатный** – штатный служащий – შტატის მოსამსახურე; **шт. должность** – სამშტატო თანამდებობა („რუსულ-ქართული ლექსიკონი“). სხვა მნიშვნელობით ეს ტერმინები ნახმარი არ არის.

როგორც ვხედავთ, „შტატს“ საერთო არა აქვს რა „განრიგთან“. აქაც ის გვჭირს, რაც საერთოდ გვემართება ხოლმე უცხო ტერმინის ხმარებისას – მისი მნიშვნელობის ვიწრო, ცალმხრივი გაგება და გაუაზრებლად ქართულ ენაში გადმოიტანა.

კითხვა რომ პასუხს ელოდება? პასუხი ერთი შეიძლება იყოს: გამოთქმა **სამშტატო განრიგი** სწორი არ არის. უნდა იყოს: **სამშტატო ნუსხა**.

ამას გვიდასტურებს კიდევ პროფესორ კ. გაბუნიას მიერ შედგენილი და პროფესორ ნ. ტყეშელაშვილისა და დოცენტ რ. ლამბაშიძის რედაქციით 1971 წელს გამოცემული „სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის ტერმინოლოგია“ (ტირაჟი – 1000?!).

რაკი ნუსხაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ერთი საკითხიც განვიხილოთ. საქმე **ხარჯთაღრიცხვას** ეხება.

ყველა საცნობარო წყაროში გვხვდება ხან „ხარჯთაღრიცხვა“,



ხან „ხარჯების ნუსხა“, ხან კი ორივე ერთად, პრაქტიკაში კი საყოველთაოდ დამკვიდრებულია „ხარჯთაღრიცხვა“. ამავე დროს ნუსხა და ხარჯების ნუსხა სულაც არ ნიშნავს ხარჯთაღრიცხვას.

ამას ერთ დროს ყურადღება მიაქცია დოცენტმა ვლადიმერ ლეზანოვს. იგი წერდა, რომ ნუსხა ორგანიზაციების, დაწესებულებების მომავალი პერიოდის ხარჯთა აღწერაა, იგი ხარჯების გვეგმაა და მას ადგენენ თვით დაწესებულებები და ორგანიზაციები. მისი აღრიცხვა-თი შეცვლა ყოველად გაუმართლებელია. ნუსხით გათვალისწინებული ხარჯების გაწევის შემდეგ ხდება მისი შესრულების აღრიცხვა სათანადო ფორმებითა და მეთოდებით.

ამიტომ, ვთქვათ, ბიუროს, რომელიც ხარჯების აღრიცხვას კი არ ახდენს, არამედ სამშენებლო სამუშაოთა პროექტებსა და ამ სამუშაოების შესრულების გვეგმას ადგენს და მათს ღირებულებას ნუსხაში აღწერით გამოხატავს, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიურო კი არა, საპროექტო სანუსხო ბიურო უნდა ერქვას, რადგან იგი მგვეგმავი ორგანოა და არა ხარჯების აღმრიცხველი.

შემთხვევითი არ არის, რომ ზემოთ აღნიშნულ ტერმინოლოგიაში ძირითადად ვხვდებით ასეთ შესიტყვებებს: დანახარჯების ნუსხა (смета затрат), წარმოებაზე დანახარჯთა ნუსხა, საერთო-საფაბრიკო ხარჯების ნუსხა, ხარჯების ნუსხა (смета расходов) და ა.შ.; მაგრამ არის აგრეთვე: სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, სახარჯთაღრიცხვო ფასი.

მაშასადამე, როცა ლაპარაკია გვეგმებზე, უნდა ვთქვათ ხოლმე: ნუსხა, ხარჯების ნუსხა, ხოლო გაწეული ხარჯების შეჯამებაზე რომ მიდგება საქმე, — ხარჯთაღრიცხვა. არ არის ძნელი ამ საკითხის მოგვარება.

### ბადავტვირთოთ სამონელი აზარბაიჯანში?

ამ ბოლო ხანს კიდევ ერთი უხეირო გამოთქმა გაჩნდა ჩვენს მეტყველებაში, რომელმაც მერე გადაინაცვლა პრესისა და ტელერადიოს ენაში (იქნებ, პირიქითაც მოხდა), და გამორიცხული არ არის, რომ ოფიციალურ დოკუმენტებშიც დამკვიდრდეს. საქმე ეხება ეკონომიკური ურთიერთობის, კერძოდ, საქონელგაცვლის პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის — მიწოდება-მოწოდების გამომხატველ კონსტრუქციას: საქონლის, პროდუქციის გაგზავნა-გამოგზავნას.

ასლა რატომღაც ამ გამოთქმის ნაცვლად ძალიან ხშირად ხმა-რობენ სიტყვებს: გადატვირთეს, გადმოტვირთეს, გადატვირთული,



გადმოტვირთული. არც ერთი ლექსიკონი, ზოგადი თუ დარგობრივი, არ იძლევა ასეთ ფორმას.

მაგალითად, „სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციაში“ და გეგმვის ტერმინოლოგიაში“ დადასტურებულია ასეთი ტერმინები: „გაგზავნილი პროდუქცია“; „გაგზავნილი საქონელი“ (отгруженная продукция, отгруженный товар), „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ – ტვირთის გაგზავნა (отгрузка); „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ – отгрузить – მე-2 მნიშვნელობით: ტვირთის გაგზავნა“. **გადატვირთავს** ზმნას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ასე განმარტავს: „...ტვირთს გადაიღებს, გადაიტანს (ავტომობილიდან, ვაგონიდან...)“; გადაცლის (ავტომობილს, ვაგონს...). **ქვანახშირი გადატვირთეს, ვაგონები გადატვირთეს**. როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაში გაგზავნის ზმნის ნასახიც არ არის. მაშასადამე, აქ ისევ დაუკვირვებლობასთან, კერძოდ, რუსული ტერმინის „отгрузка“-ის არასწორ გაგებასთან გვაქვს საქმე.

ამიტომ ისეთი ტიპის წინადადებებში, როგორიც არის, მაგალითად: „...საწარმოების წინაშე სახელმწიფოს დავალიანება თურქმენეთში პროდუქციის გადატვირთვასთან დაკავშირებით უნდა ანაზღაურდეს... აქციების გაცემით“, „თბილისიდან ბათუმში გადატვირთული სამრეწველო საქონელი...“, „ვანიდან თბილისში გადმოტვირთული თბილი...“ და მისთ., **გადატვირთავს** ზმნა და მისგან წარმოებული ფორმები უნდა შეიცვალოს **გაგზავნის** ზმნითა და მისი ნაირგვარი ფორმებით.

აზერბაიჯანში... საქონელი კი არ უნდა გადაეტვირთოთ, უნდა **გაგვზავნოთ**.

### ბეზგრაფიული სახელი ორგანიზაცია-დაწესებულებათა და სხვათა სახელწოდებაში

ქუჩაში ორ უნივერსიტეტებს (დედაუნივერსიტეტს ვგულისხმობთ) რომ შეხვდეთ და ჰკითხოთ, სად სწავლობთო, ერთი გიპასუხებთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეორე კი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიო. ასეთ პასუხს გაგცემენ, ალბათ, სხვა იმ უმაღლეს თუ საშუალო სასწავლებელთა მოსწავლენი, ორგანიზაცია-დაწესებულებათა თანამშრომლები, რომელთა სახელწოდება შეიცავს ვისიმე სახელობის, თვისების ან დანიშნულების აღმნიშვნელ მსაზღვრელებს.

რომელია სწორი?

ამ კითხვას ვერ კიდევ 1985 წელს გასცა ამომწურავი პასუხი საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა თანამდებარე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ თავის №21-2 ბიულეტენში „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“.

მის გადაწყვეტილებაში (გვ.40-41), კერძოდ, ნათქვამია, რომ რამდენიმე არაერთგვარი მსაზღვრელის შემცველ დაწესებულება-ორგანიზაციათა სახელწოდებებში პირველ ადგილზე უნდა იყოს მართული (ნათესაობითი დასმული) გეოგრაფიული სახელი, შემდეგ – რიგის, თვისების ან დანიშნულების გამოხატველი მსაზღვრელები. თუ სახელწოდებაში ერთდროულად რამდენიმე ამგვარი მსაზღვრელია, ვერ დაიწეროს რიგის აღმნიშვნელი მსაზღვრელი, შემდეგ – დანიშნულებისა, ბოლოს კი – თვისების აღმნიშვნელი მსაზღვრელი (თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი, თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრი).

...გამოჩენილი პირის (ან მოვლენის) სახელობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი დაისვას უშუალოდ გეოგრაფიული სახელის შემდეგ... (თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი).

და, ბოლოს, საუწყებო დაქვემდებარების დაწესებულების აღმნიშვნელ სახელწოდებაში პირველ ადგილზე დაისვას მეთაური ორგანიზაციის აღმნიშვნელი მსაზღვრელი (საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს ქუთაისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური).

ამას შეიძლება დაფუძნოთ კულტურულ-სპორტულ და სხვა სანახაობით ღონისძიებათა სახელწოდებანი, სადაც პირველი ადგილი ასევე უნდა ეკავოს გეოგრაფიულ სახელს.

მასადამაჲ, უნდა ვამბობდეთ: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტი, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი და სხვ.

ამ თვალსაზრისით გასასწორებელია შემდეგი სახელწოდებანი: „ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის (უნდა იყოს: თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა) სახელმწიფო ინსტიტუტი“, „სამედიცინო რეაბილიტაციის ქუთაისის (უნდა იყოს: ქუთაისის სამედიცინო რეაბილიტაციის) რეგიონალური ცენტრი“; „შინაგან საქმეთა გორის (უნდა იყოს: გორის შინაგან საქმეთა) განყოფილება“; „ქო-



ნების მართვის რუსთავის (უნდა იყოს: *რუსთავის ქონების მართვის*) სამმართველო"; „სამედიცინო დახმარების თბილისის (უნდა იყოს: *თბილისის სამედიცინო დახმარების*) პროგრამა"; „საზოგადოებრივი აზრის გელაპის (უნდა იყოს: *გელაპის საზოგადოებრივი აზრის*) ინსტიტუტი"; „პანისტთა თბილისის (უნდა იყოს: *თბილისის პანისტთა*) პირველი საერთაშორისო კონკურსი"; „პროფესიონალ მოკრივეთა საქართველოს (უნდა იყოს: *საქართველოს პროფესიონალ მოკრივეთა*) პირველობა". ასევე იქნება: მსოფლიოს, ევროპის, საქართველოს, თბილისის კალათბურთულ ვაჭთა, მოჭადრაკე ქალთა, ფეხბურთელთა, ნორჩ ჩოგბურთელთა და სხვა სპორტსმენთა ჩემპიონატი, პირველობა, ასპარეზობა, ტურნირი და ა.შ.

**დაკავებული: დაჭირილი თუ სამხმეს გადაყოლილი კაცი?**

„დაკავებ-ს... რისამე... (ჩხუბის, აურზაურის...) საშუალებას არ მისცემს, - შეაკავენს, გააკავენს. *ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღული ხარ-კამერი ვეღარ დააკავენსო*. II დააპატიმრებს. *ხულიგანი დააკავენს*“. - ასეა ასწილი დააკავენს ზმნა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

და კიდევ:

„დაკავებულ-ი. 1. რაც დაიკავენს, - დაჭერილი. *დ. ტერიტორია, დაკავებული პოზიცია, დაკავებული საბუშაო ადგილი*. 2. ვინც დააკავენს, - დაჭერილი, დაპატიმრებული. *დ. მილიციაში წაიყვანეს*“. ჩანს აქ დასაქმების კვალი? აქ არ ჩანს, მაგრამ...

„თუ ადამიანი არის პოლიტიკაში, ის აღარ უნდა იყოს დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით (უნდა იყოს: ...აღარ უნდა *ეწეოდეს* ან: აღარ უნდა *მისდევდეს*... ეკონომიკურ საქმიანობას)“; „თავად მინისტრს ასეთი რამ ვერ წარმოუდგენია, იმით არის დაკავებული, ფული ვის მისცეს და ვის არა (უნდა იყოს: *იმაზე ფიქრობს* ან: *ერთი საზრუნავი აქვს*... ფული ვის მისცეს და ვის არა)“; „1995 წლის ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებამდე... ეროვნული კომიტეტი მთლიანად იყო დაკავებული არჩევნებისათვის მზადებით (აქ მრავალი ვარიანტი შეიძლება იყოს: „პარლამენტისა და პრეზიდენტის 1995 წლის ნოემბრის არჩევნებამდე... ეროვნული კომიტეტი იმით იყო დასაქმებული, რომ არჩევნებისათვის მომზადებულიყო ან: ეროვნული კომიტეტის მთელი საქმიანობის მიზანი არჩევნებისათვის მზადება იყო ან: მთელი გულისყური იქითკენ იყო მიმართული, რომ არჩევნებს მომზადებული შეხვედროდა და ა.შ.)“; „ბოდიშს ვინღი, რომ იშვიათი დაკავებულობის

(უნდა იყოს: იშვიათი მოუცლელიობის) გამო ვერ დავსწარმოებთ კრებას"; „რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში პირველ ორ სეზონში ფერმკრთალ (?) სცენებში დააკავეს (აჯობებდა: უფერულ ან: უინტერესო... სცენებში ათამამეს ან უფერული როლები შესრულებინეს... [ფერმკრთალი სცენა რაღაა?].“

რა უნდა ვიღონოთ? რა და გადაჭრით უკუვაგდოთ რუსული სიტყვების: ЗАНЯТЬ, ЗАНЯТЫЙ-ის გავლენით ფართოდ გაერცელებული უმართებულო ფორმა „დაკავებული“ და შესაბამის კონტექსტში ვიხმაროთ „დასაქმებული“, „მოუცლელი“ და ქართულისათვის სხვა ბუნებრივი ფორმები. ეთქვათ, მაგალითად, ეს კაცი დაკავებული – დაჭერილი, დაპატიმრებული – კი არა, საქმეს გადაყოლილი, საქმით დატვირთული, დასაქმებული კაცია.

**დამკვირვებელი. ბაეროს წარმომადგენელი**

**დამკვირვებელია თუ მითვალვურა?**

რა თქმა უნდა, მეთვალყურე ჩვენს შემთხვევაში ეს არის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დავალებით თვალყურს ადევნებს მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონში ან ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო ვითარებას, იმას, თუ როგორ სრულდება ამ საერთაშორისო გაერთიანების გადაწყვეტილებანი. მაშასადამე, ეს წარმომადგენელი შეიძლება იყოს პოლიტიკური მეთვალყურე, ეკონომიკური მეთვალყურე, სამხედრო მეთვალყურე, ერთი სიტყვით, საერთაშორისო მეთვალყურე.

დამკვირვებელი კი უფრო მეცნიერს ეთქმის, რომელიც აკვირდება და სწავლობს, მაგალითად, ბუნების მოვლენებს, ციურ სხეულებს, მცენარეთა და ცხოველთა ზრდა-განვითარების, მყინვარების წარმოშობა-მოქმედების და სხვათა და სხვათა კანონზომიერებას.

ამიტომ დამკვირვებელისა და მეთვალყურის ცნებები უნდა გავმიჯნოთ და სათანადო ადგილას ვიხმაროთ. ამ თვალსაზრისით გასასწორებელია შემდეგი წინადადებანი: „ამ ფაქტს ადასტურებს ყველა საერთაშორისო დამკვირვებელი (უნდა იყოს: მეთვალყურე) და ექსპერტი“; „...დამკვირვებლები (უნდა იყოს: მეთვალყურენი) კრიზისიდან გამოსვლასთან დაკავშირებით მეტად სკეპტიკურად არიან განწყობილნი“; „ამჟამად ქართულ-აფხაზური (უნდა იყოს: ქართველთა და აფხაზთა) კონფლიქტის ზონაში გაეროს სამხედრო დამკვირვებლები (უნდა იყოს: მეთვალყურენი) იმყოფებიან“; „ოსლოს კონფერენციაზე (უნდა იყოს: კონფერენციაში) საქართველო



დამკვირვებლის (უნდა იყოს: *მეთვალყურის*) სტატუსით მონაწილეობს"; „ჯერჯერობით უკრაინა მხოლოდ დამკვირვებლის (უნდა იყოს: *მეთვალყურის*) სტატუსით მონაწილეობს...“

ამ მხრივ სანიმუშოა ასეთი წინადადებანი: „შარშან, იენისში, საქართველოს მიენიჭა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მეთვალყურის სტატუსი“; „საბაგო დეპარტამენტის სამეთვალყურეო სამჭო“; „სამეთვალყურეო კომისიის წევრებმა დიდი მუშაობა გასწიეს სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად“.

ჩვენც მოვიმარჯვოთ ეს ნიმუში და ვწეროთ ისე, როგორც საჭიროა.

### დასავლეთ საპარტველო თუ დასავლეთი საპარტველო?

„გახსოვთ 1994 წლის დასავლეთ საქართველო?“, „ყალბი ლენის წარმოების ძირითად ცენტრებად ჩრდილოეთ ოსეთი, პოდმოსკოვე (?!) და მოლდავეთია მიჩნეული“; „სამხრეთ პოლონეთი ვენეციად იქცა“; „ამერიკის შერტებული შტატები და დასავლეთ ევროპა...“, „ჩრდილოეთ პოლუსი“ და სხვა მრავალი. ასეთ შესიტყვებებს ხშირად წაიკითხავთ ჟურნალ-გაზეთებში, მოისმენთ ტელევიზიითა და რადიოთი. თვალყური შევჩვია ამ ფორმებს და იმას კი არ ვუფიქრდებით, რომ უმართებულოდ ვხმარობთ მათ.

ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელი ტერმინები – ჩრდილოეთი, დასავლეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი და მათი შეწყვილებით ან გასამებით წარმოქმნილი გამოთქმები ზოგჯერ მსაზღვრელი, ზოგჯერ კი საზღვრული სიტყვებია: „მცხუნვარე სამხრეთი“, „ცივი ჩრდილოეთი“, „ზღაპრული აღმოსავლეთი“.

ეს ტერმინები მეტწილად მსაზღვრელის როლს ასრულებენ და საზღვრულის ბრუნვებს ექვემდებარებიან. ამიტომ სწორი არ არის, როცა, ვთქვათ, სახელობითში დასმულ მსაზღვრელს აცილებენ ე ბრუნვის ნიშანს. უნდა ვწეროთ და ვთქვათ: *აღმოსავლეთი კავკასიონი, დასავლეთი საქართველო* (სახელობითი), *აღმოსავლეთმა საქართველომ* (მოთხრობითი), *დასავლეთ ციმბირის* (ნათესაობითი), *დასავლეთ ბერლინს* (მიცემითი), *ჩრდილოეთ ამერიკად* (ვითარებითი) და სხვ.

ამის გათვალისწინებით ზემოთ მოყვანილ მაგალითებში უნდა იყოს: „...დასავლეთი საქართველო“; „...ჩრდილოეთი ან ჩრდილო ოსეთი“; „...სამხრეთი პოლონეთი“; „...დასავლეთი ევროპა...“; „ჩრდილოეთი პოლუსი“.

## დაშვებული დარღვევა?

რა არის ეს, ნებადართული თუ მომხდარი დარღვევა? კითხვა დაგვასმევინა ფრაზამ: „რა არის დაშვებული და რა აკრძალული“.

ამ ბოლო ხანს საკანონმდებლო ენაში აკრძალვა-ნებადართვის ცნებათა გამოსახატავად სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს დაუშვებელია, დაუშვებლობა, დასაშვებია ფორმები. მაგალითად: „დაუშვებელია საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და ორგანული კანონის მიღება გამარტივებული წესით“; „დაუშვებელია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მიერ თავიანთ უფლებამოსილებათა გადაცემა...“ და ა.შ.

ზემოთ მოყვანილ სიტყვათა წყებიდან, ჩვენი აზრით, დასაშვებია იხმარო „დასაშვები“ ფორმა, როცა ვინმეს, როგორც გამონაკლისი, ეძლევა რაიმე მოქმედების ნებადართვა, ან ისეთი უფრო იმპერატიული ფორმა, როგორც არის „არ დაიშვება“. სხვა შემთხვევებში დაუშვებელია, დაუშვებლობა ფორმები, როგორც, ერთი მხრივ, ემოციური დატვირთვის მქონე, და, მეორე მხრივ, მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები (ფარდის დაშვება, კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი, თხილამურებით დაშვება, შესაძლებლად მიჩნევა – დაუშვებია – ვივარაუდოთ, ვთქვათ; დაგვიანებული სტუდენტის დაშვება ან არდაშვება ლექციაზე და მისთ.), სასურველია შეიცვალოს თითქმის ერთმნიშვნელობიანი და გამჭვირვალე ფორმებით: „შეიძლება“, „არ შეიძლება“, „ნებადართულია“ ან, თუ საჭიროა გაძლიერება, „აკრძალულია“, და მაშინ მივიღებთ ასეთ კონსტრუქციებს: „ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არღვევს ნაკრძალების კომპლექსებს ან საფრთხეს უქმნის განსაკუთრებული ღირებულების სამეცნიერო ან კულტურული ბუნებრივი ობიექტების შენარჩუნებას, აკრძალულია...“; „ერთი მეურნეობიდან სხვა მეურნეობისათვის მიწის საგარეულების ნაწილის მუდმივ სარგებლობაში გადაცემა დასაშვებია ამ კოდექსის...“; „პოლიგონზე წვრთნების (უნდა იყოს: წვრთნის ან სწავლების) გაგრძელება ისეთი შეზღუდვებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნებრივი ფონის შენარჩუნებას, სავსებით დასაშვები ღონისძიება“.

სხვათა შორის, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, მაგალითად, ვერსად ვერ ნახავთ დაუშვებელია, დაუშვებლობა ფორმებს.



### დევენილი თუ განდევენილი?

ქართული  
ენის ნორმების  
დარღვევები

აგერ უკვე მერამდენე წელია ჩვენს მეტყველებაში სულ უფრო ხშირად გაისმის ისეთი შესიტყვებანი, როგორიც არის სამაჩაბლოდან ან აფხაზეთიდან ლტოლვილნი, ადგილნაცვალნი, იძულებით გადმოსახლებული, გადაადგილებული, ადგილგადანაცვლებული (ჩვენი აზრით, ეს ფორმაა ყველაზე სწორი), დევნილი პირები.

ამ წიკებიდან ერთი სიტყვის, სახელდობრ, „ლტოლვილის“ ბედი გარკვეულია – ჩვენს რეალობაში იგი არ უნდა იხმარებოდეს.


მეორე სიტყვა, რომლის ხმარება, ჩვენს შემთხვევაში, დიდ ეჭვს ბადებს, არის „დევენილი“. რამდენად სწორად გამოხატავს იგი სათქმელის არსს?

ამის გასარკვევად ვნახოთ, თუ როგორ არის განმარტებული:

1. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ –
  - ა) „განდევნა... განდევენი-ს... ძალით გაიყვანს. – გააგდებს, გააძევეს; უკუაგდებს. განდევენილი ვინც განდევენს...“
  - ბ) დევნა... ს-დევენი-ს... გასაქანს არ აძლევს, – ავიწროებს“.
2. ქ. დათიკაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ –
  - ა) განდევნა – изгнание;  
განდევენილი – изгнанный, изгнанник;
  - ბ) დევნა – преследование (гонение);  
დევენილი – преследуемый (гонимый);
3. „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ –
  - ა) изгнание – გაძეება, განდევნა;  
жить в изгнании – განდევენილობაში ყოფნა, განდევენილად ცხოვრება;
  - ბ) преследование (гонение) – დევნა:  
уголовное преследование – სისხლის სამართლის წესით დევნა, (სამხ.-სამბრძოლო მოქმედების სახეობა, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის მოსპობა ან დატყვევება);
4. „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ –
  - ა) изгнание – გაძეება, განდევნა;
  - ბ) преследование – დევნა: ადმინისტრაციული, დისციპლინური, სასამართლო, სისხლისსამართლებრივი, კერძო;  
преследуемый – დევნილი.

ამრიგად, იძულებით გადმოსახლებულის ცნების გამოსახატავად ვერ ვისმართ დევნილის ვერც 1-ლი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის განმარტებას (დევენა-შვიწროება მხოლოდ დასაწყისი იყო ამ ტრა-





გედისა), ვერც მე-2-მე-4 პუნქტების ბ) ქვეპუნქტების განმარტებებს (თავიანთი მიწა-წყლიდან აყრილი ამ ადამიანების მიწაზე ნონიერ საფუძველზე არ აღძრულა და ვერც აღიძვრებოდა სამართლებრივი დევნა).

დასკვნა ერთი შეიძლება იყოს: აქ უნდა ვიხმაროთ მხოლოდ და მხოლოდ განდევნილი (განდევნილები, განდევნილი ან განდევნილობაში მყოფი ხელისუფლების სტრუქტურები), მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ოფიციალურ მასალებს, განსაკუთრებით – იურიდიულ აქტებს ეხება.

**„დედაკაცი“. ბავაძეშვიტ მიტყველავიდა?**

გავაძევეთ (გულისტკივილით ვამბობთ ამას), თუ სალანძღავი სიტყვის ხვედრს ვუმზადებთ. აქეთკენ კი მიდის საქმე.

„ასეთი ლოგიკისაა არა მარტო ეს აშარი დედაკაცი...“, „უცებ ეს ლამაზთვალა ქალი ანჩხლ (ეცოტაეა!), კაპას დედაკაცად იქცა...“, „მორატრატე დედაკაცი...“, „ნუ ცროუმ, დედაკაცი!“, „ნუ თვალთმაქცობ, დედაკაცი!“. ხედავთ, რა გარემოცვაშია ეს სიტყვა?

აქ კი ნამდვილად უნდა დავიხიოთ უკან 80-100 წლით და დავკითხოთ ჩვენს წინაპრებს:

„ქართველი დედასაც კაცად ხადის და ამიტომ „დედაკაცს“ ეძახის, როგორც მამას – „მამაკაცს“ (ილია);

...გესურს, რომ აქ წარმოგსთქვათ მოკლედ რამოდენიმე პაზრი საზოგადოდ დედა-კაცობის ღირსებაზე, როგორც დედობაში, ისე ცოლობაშიც. ერთის სიტყვით, დედა-კაცი არის ჩვენის ცხოვრების გვირგვინი...“ (აკაკი).

ასევე იტყვის ზოგიერთი ჩვენი თანამედროვეც:

„თქვენს კაი დედაკაცობას მივესალმები!.. დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის, – იგი ზოგი ბუნების საქმეა და ზოგიც გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა და კაი ადამიანობაა, როგორც დიდი ილია ბრძანებს“ (ანა კალანდაძე).

ძველ ბრძენთაც დაფუგდოთ ყური:

„ოთხი რამეა გაუქრობელი: ცეცხლი, მიწა, ჯოჯოხეთი, დედაკაცი“.

გაუქრობელიო. ჩვენ კი დედაენის, დედასამშობლოს, დედამინის, დედაბოძის, დედაბურჯის, დედაქალაქისა და სხვათა დარ სიტყვას ვაქრობთ და ვიმეტებთ, ისევე როგორც ვიმეტებთ...

**შემთხვევა პირველი.** არც ისე დიდი ხნის წინათ აზერბაიჯანული გაზეთის რედაქტორმა შემოიარა. გახსოვთო, გვკითხა, რა უხერხუ-



ლი მდგომარეობა შეიქმნა წინა კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის სსდმთაშუაშვილის განხილვის უკურომ დადგინდა, რომ

როცა მომსახურებელი კითხულობდა 75-ე მუხლის ნაწყვეტს: „...აბორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში...“. ეს რა უთქვამთ, კაცო, ენის ხმარებაო, წამოიძახა ერთმა დამსწრეთაგანმა, როგორ შეიძლება, იგი ხომ სულ სხვა რამეს ნიშნავსო. თურმე ერთი ტაბუირებული სიტყვის მაგიერი გამოთქმა ჰგონებია და ახლა მისთვისაც ტაბუს დადება განეზრახა. ეტყობა, ელემენტარული გრამატიკის სახელმძღვანელოსთან იყო მწყრალად... ენათმეცნიერებმა გადააჩინეს ეს სიტყვა.

**შემთხვევა მეორე.** სესიაზე მოხდა ეს ამბავი. ერთ-ერთმა ორატორმა ასე მიმართა შეკრებილთ: „ამხანაგებო“. მერე, შევეცდიო, იფიქრა ალბათ, და ბოდიში მოიხადა. რა ჰქონდა საბოდიშო? მართო იმის გამო, რომ ახლო წარსულში ეს ძირძველი სიტყვა ოფიციალური მიმართვის ფორმად ითვლებოდა, სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ და ველარ ვთქვათ: ჩემი ბავშვობის ამხანაგი, ჩვენი სკოლის ამხანაგი, ჩემი მთის ამხანაგები და მისთანანი?

**შემთხვევა მესამე.** ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა ავტორმა ენის ნორმების დასაცავად საკმაოდ კარგი წერილი გამოაქვეყნა გაზეთში. მაგრამ აღმამფოთებელი თუ არა, გამოგნებელი მაინც იყო მისი ერთი კითხვა, საიდან გამოტყვერა ეს გულისამრევი სიტყვა „თავყრილობა“, მას ხომ რევანშისტები, ნეონაცისტები და მათი მსგავსნი მართავენო. ასე ან დაახლოებით ასე იყო დასმული ეს კითხვა. „პარაზიტს“ ხომ ვეძახით მთელ წყება სიტყვებს (იმას კი არ ვუფიქრდებით, რომ ჩვენვე ვაპარაზიტებთ და ვაუკულმართებთ მათ უადგილო ან ზედმეტი ხმარებით), ახლა ის არ ვაკმარეთ და „გულისამრევეს“ ვუწოდებთ მათ. სად გაგონილა, საუკუნეთა სიღრმეში ჩასახულ, ამოზრდილ, ჩამოქნილ და ნალოლიავებ სიტყვას – ენის „შენობის“ ამ აგურს, დულაბს, ჩუქურთმასა და სამკაულს, გული-სამრევეს ეძახდნენ!

„ივერია“ მივიდა იმ აზრამდე, რომ სალიტერატურო ენის ნორმალისაციის საკითხები უნდა გადაწყდეს არა პრესაში პაექრობით ან ინდივიდუალური წესით, არამედ სპეციალისტთა თავყრილობაზე მსჯელობის შედეგად“. დახეთ, როგორ შეშლიათ „ივერიელებს“!

ავილოთ „ოქრო“. ამ ლოგიკით თუ იმსჯელებ, რა გუნებაზე შეიძლება დადგე, როცა შეიტყობ, თუ რას უპირებდა „მსოფლიო



პროლეტარიატის დიდი ბელადი“ ოქროს: „როდესაც მსტყდრის მასშტაბით გავიმარჯვებთ, ჩვენ, ვფიქრობ, ოქროსაგან გავაკრფთ საზოგადოებრივ ფუნქსიადგილებს მსოფლიოს რამდენიმე ყველაზე დიდი ქალაქის ქუჩებში“. რა, ამის გამო უარი უნდა ვთქვათ „ოქროზე“? ანდა ნაქეიფარს, „ღვინო“-ს გაგონებაზე გუნება უნდა წავიხედეს? შენ სმა არ შეგეძლოს, რა ღვინის ბრალია?

მაინც საიდან გაჩნდა ზოგიერთი სიტყვისადმი ასეთი დამოკიდებულება? საქმე ის არის, რომ რუსულიდან (ან რომელიმე სხვა ენიდან) მომდინარე საგრძნობლად გამოსატყული დაგმობის ელფერის მქონე, დამცირებითი ან ჯინოზითი სუფიქსებით წარმოებულ მრავალ სიტყვას ქართულში შესაბამისი ფორმები არ დაეძებნება და იძულებული ვხდებით ნეიტრალური სიტყვები ვიხმართ.

მაგალითად, რუსულში არის сбор, რაც შეკრებას ნიშნავს, მაგრამ გვხვდება მისგან წარმოებული сборище. ამ ცნების გამოსახატავად იძულებული ვიყავით, სამწუხაროდ, გვეხმარა თავყრილობა. ამას „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ ადასტურებს.

შემდეგ არის демяга, демячество, депец – ყველა ეს სიტყვა კიცხვითია. ქართულში კი მათ გამოსატყავს საქმოსნობა და საქმოსანი (შდრ.: მანდილოსანი, კალმოსანი, ნაბდოსანი, მედალოსანი [მედლოსანი], ჯავშნოსანი და მისთ.) – ახლა რომ „ბიზნესს“ და „ბიზნესმენს“ ვამბობთ, სწორედ ის არის, და ამიტომ უნდა აღვუდგინოთ მათ დადებითი მნიშვნელობა.

სხვებს შორის ასეთსავე რიგს განეკუთვნება военщина, რომელსაც ქართულად მხედრიონი ჰქვია („2. ასე უწოდებენ... აგრესიულ სამხედრო წრეებს. ქველ). ლ. კეოლის „ალისა სასწაულების ქვეყანაში“ წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟის – ჰამპტი დამპტის ასაკრეფად და გასამთვლებლად მისულ მეფის მთელ მხედრიონს ანდა რობერტ პ. უორენის „მეფის მთელ მხედრიონს“ რაღა ვუყოთო, იკითხავთ ალბათ. კონტრასტი გაგცემთ ამაზე პასუხს.

შემთხვევების დანომვრას აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ ერთ რამეს. რა მოვლენასა თუ საგანსაც უნდა გამოსატყავდეს სიტყვა, დადებითს ან უარყოფითს, არ უნდა მოვიძულოთ, არ უნდა დავეყოთ სიტყვები „პირველხარისხოვნად“ და „მეორეხარისხოვნად“, მით უმეტეს არ უნდა ვუწოდოთ მათ „გულისამრევი“, თორემ გზადაგზა მიმოფანტავთ სიტყვებს, ზოგს იმით, რომ ერთი ზმნით შეეცვლით ოცს, ერთ უცხო სიტყვას ვანაცვალავთ ორმოცს, ერთი სწორი ტერმინის მაგიურ გაუაზრებლად ვიხმართ სულ სხვა მნიშვნელობის ტერმინს, და საბოლოოდ ილღისა და პეტროვის „ელორ-



კალიუდოედკას" ხვედრს განვუმზადებთ ჩვენს თავს. რაკი ერთი ტერმინის მეორით უმართებულო ჩანაცვლებას მოვარდა სიტყვა, განვიხილოთ ორიოდე მაგალითი, შერე კი გზადგზა შევეხოთ სხვებს.

**ფექტანი - ფექტური.** „ფექტ-ი... ძლიერი შთაბეჭდილება, ზემოქმედება... 2... რისამე მოქმედება, გავლენა; შედეგი ამ მოქმედებისა... 3. სერხი, საშუალება, რაც შთაბეჭდილებას... ახდენს...

**ფექტანი-ი...** იგივეა, რაც ფექტური (მნიშვ. 2).

**ფექტური-ი 1.** ფექტის (მნიშვ. 1), ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენი. ე. სიტყვის წარმოთქმა. 2. (წიგნ.) ფექტის (მნიშვ. 2) მომცემი, ფექტის მქონე. - ქმედითი. ე. ზომები მიიღეს" (ქველ).

როგორც ვხედავთ, აქ გაიგივებულია ორი ტერმინი: ფექტანი და ფექტური. მეტიც, უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება. იგივე აზრია გატარებული რუსულ-ქართულ ლექსიკონშიც. ათასი ბოდიშის მოხდით გვინდა ერთი განსხვავებული მოსაზრება გამოვთქვათ, განა მართო ჩვენი, მთარგმნელ-სტილისტთა მთელი ჯგუფის და ამ თემაზე გამოქვეყნებული ზოგიერთი საყურადღებო წერილის ავტორისა.

სანამ ძირითად სათქმელს ვიტყვოდეთ, გვინდა განსასჯელად შემოგთავაზოთ ერთი წინადადება: Но тактика Метревели, так внешне неэффективная, оказалась предельно эффективной. ცხადია, აქ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ეს ორი ფორმა, რადგან ყველაფრიდან ჩანს, რომ აქ იგულისხმება ერთ შემთხვევაში შთაბეჭდილება, მეორეში - შედეგი.

საგულისხმოა, რომ სწორედ ამ მაგალითის გარჩევის დროს ზემოთ მოყვანილი მოსაზრების მართებულობა დაადასტურა ივანე გიგინეიშვილმა.

მაშასადამე, როცა იგულისხმება **შთაბეჭდილება**, უნდა ვწეროთ: **ფექტური, არაფექტური**, ხოლო სხვა შემთხვევაში, როცა ლაპარაკია რაიმე **შედეგზე, შედეგიანობაზე**, უნდა ვთქვათ ხოლმე **ფექტიანობა, ფექტიანი, არაფექტიანი**.

ეს ნიშნავს, რომ განსახილველი ფორმები სხვადასხვა მნიშვნელობით არის დატვირთული და მათ სინონიმებად ვერ მივიჩნევთ.

ამიტომ გასასწორებელია შემდეგი წინადადებაანი: „რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს... უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობის ფექტურ (უნდა იყოს: **ფექტიანი**) გამოყენებას“; „მოსკოვი, რომელმაც აღიარა „სატრანკო დიპლომატიის“ არაფექტურობა (უნდა იყოს: **არაფექტიანი**)“.

ნობა) ცდილობს..." და სხვ. (შეადარეთ: „აკონტროლებს... სახსრების ხარჯვის კანონიერებას, მიზნობრიობასა და **ფექტიანობას**“). **საბრუნე**. საბრუნე მექანიზმი... ტექნიკურ ტერმინოლოგიაში არის ასეთი ცნება. მისი საწყისი ფორმაა ბრუნი (მოძრავი შემადგენლობის ბრუნი, ნელი ბრუნი, უქმი ბრუნი და სხვ.).

ასლა ენახოთ ერთი მაგალითი: „გადადგმულია პირველი პოზიტიური ნაბიჯები, მაგრამ საბრუნე სახსრების უქონლობის... გამო გაძნელებულია სიმძლავრეთა დატვირთვის გეგმის რეალიზაცია“. ეკონომიკისა და ტექნიკის შერწყმის შესანიშნავი ნიმუშია, მაგრამ...

ასიგნებული, ლიმიტგარეშე, ნასესხები, საბიუჯეტო, საბრუნავი, არანორმირებადი, ნორმირებადი, საკუთართან გათანაბრებული, საკუთარი, ფულადი, შინაგანი... სახსრები, მატერიალური, სატრანსპორტო, ტექნიკური, ძირითადი... საშუალებები. ამდენი სახსარ-საშუალება გქონდეს და ეკონომიკური ტერმინის ნაცვლად ტექნიკური ტერმინი იხმარო? მოხერხებაც ამას ჰქვია!

მერე ეს „საბრუნე სახსრები“ მოექცევა „ბრუნვაში“ – მეტყველებასა და დამწერლობაში, შეაღწევს რომელიმე იურიდიულ დოკუმენტში და კანონის ფორმა-შინაარსის დამცველი იურისტი გადაგიშლის კანონთა წიგნს და გეტყვის, ა, ბატონო, ასე წერია აქ, კუთლინებე და დაიცავი ეს ნორმაო. (სხვათა შორის, ეს მართლაც რთული პრობლემაა. რა უნდა ქნას კაცმა, როცა ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტში არასწორ გამოთქმას, უმართებულო ტერმინს წააწყდება? ამ პრობლემის გადაჭრის სირთულე აღნიშნული მიზეზის გამო წინამდებარე წიგნსაც დაეტყო.)

შემდეგ. შევეხოთ კიდევ რამდენიმე შემთხვევას, როცა ტერმინთა აღრევასთან გვაქვს საქმე. ერთმანეთში გვერევა ხოლმე მართვა და მმართველობა (მართვა-გამგეობა). და თუმცა ეს ორი სიტყვა მნიშვნელობით თანაბარია (ხელმძღვანელობს, გამგებლობს, განაგებს, მართავს), მაგრამ, როგორც თვალსაჩინო იურისტი გივი ინწკირველი გვიჩვენებს, უნდა გავმიჯნოთ ისინი და შესაბამის კონტექსტში ვიხმაროთ. ამდენად, სწორი არ არის, როცა ამბობენ, მართვის ორგანოებიო, მაგალითად: „...სამუშაოთა ორგანიზაცია შეიძლება დაეკისროს (უნდა იყოს: **დაეკისროთ**) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მართვის სხვა ორგანოებს“ (პარლამენტის უწყებანი №7, გვ. 26, 1996). შეიძლება მართო ბანკი, მანქანა, სხვადასხვა მექანიზმი, ხოლო როცა საქმე ეხება ქვეყანას (მმართველობა ქვეყნის მართვის სისტემა, მართვა-გამგეობაა), უნდა ვთქვათ, მაგალითად, მმართველობის ცენტრალური, ადგილობრივი



ვი ორგანოები, თვითმმართველობის სტრუქტურები, რესპუბლიკური მმართველობა, სახელმწიფო მმართველობა და ა.შ.

**მაცხოვრებელი – მცხოვრები.** აქაც იგივე ვითარებაა. „ამ რეგიონის მაცხოვრებლები ხელფასებისა და პენსიების სახით 16-17 მილიონ ლარს იღებენ“; „ორივე მოკლული იერუსალიმის მაცხოვრებელია“. მაგალითი ორია, ამ ფორმის სმარების შემთხვევები კი – უთვალავი.

რას ნიშნავს „მაცხოვრებელი“? ეს არის იგივე მარჩენალი, ესე იგი „ვინც ან რაც აცხოვრებს“ (ჭეკლ), და მეორე მნიშვნელობით – „მაცხოვარი“, ესე იგი შემოქმედი, მსხნელი – ქრისტე. მაშასადამე, მცხოვრები არის მოსახლე, ბინადარი, და ამიტომ, თუ უხეშთაქსი არ გვყავს მხედველობაში, უნდა ვთქვათ „მცხოვრები“.

**მოთხოვნილება და წინადადება.** ამას წინათ ტელევიზიით გადმოსცეს უცხოეთის ინფორმაციის მიმოსილვა. თხრობისას კომენტატორმა „მოთხოვნილება და წინადადება“ შესიტყვება იხმარა. ვერ ვერ გავიგეთ, რაზე იყო საუბარი, მერე კი მივხვდით, რას გულისხმობდა. უცხოურისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეს რომ რუსული спрос и предложение-ს თარგმანი იყო, ეჭვი აღარ შეგვეპარვია.

ასეთსავე ან მსგავს გამოთქმებს – „მოთხოვნა და წინადადება“ „მოთხოვნილება და შეთავაზება“ – ხშირად შესხედებით მეტყველებათ, პრესაში. არც ერთი სწორი არ არის. ეკონომისტები კარგად იცნობენ ამ კატეგორიას და ისინი ასე გამოხატავენ მას: „მოთხოვნა და მიწოდება“ – ესე იგი არის მყიდველის მოთხოვნა საქონელზე, მწარმოებელი კი აკმაყოფილებს მას. ეს არის და ეს.

**ოპოზიცია – პოზიცია.** ბოლო წლების კიდევ ერთი „შენაძენი“ „ოპოზიციისა და პოზიციის შეკავშირებისათვის“, „ოპოზიციური და ოპოზიციური პრესა“, „პოზიციაც და ოპოზიციაც ერთსულოვანი იყო“, „პარლამენტში წარმოდგენილ ყველა პოლიტიკურ ძალას, პოზიციასა და ოპოზიციას, ევროპაში ინტეგრაციასთან მიმართებით, ერთიანი პოზიცია აქვთ (ვფერ ერთი, ინტეგრაციასთან მიმართებით,“ კი არა, „ინტეგრაციის მიმართ ერთიანი პოზიცია აქვთ“, და, მეორეც, ანტონიმთა ახალი წყვილი შევქმენით: პოზიცია – ოპოზიცია [კარგი-ცუდი, დიდი-პატარა, მორალური-ამორალური, ლოგიკური-ალოგიკური...]).

გაგარჩიოთ, რას ნიშნავს:

ა) **პოზიცია** – თუ ვისიმე ან რისამე მდგომარეობას, განლაგებას არ მივიღებთ მხედველობაში, ეს არის რაიმე საქმისადმი, საკითხისადმი დამოკიდებულება; თვალსაზრისი;



ბ) **ოპოზიცია** - ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ მოქმედება...  
 ვგუფი, რომელიც თავის შეხედულებებს, თავის პოლიტიკას რისპირებს უმრავლესობის შეხედულებებსა და პოლიტიკას (მ. შ. ბაშვილი. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“).

მოდი, ერთი ხერხი ვისმართოთ: ავიღოთ მოყვანილი მაგალითი ბიდან თუნდაც ბოლო წინადადება და განსახილველი სიტყვების ნაცვლად ჩავსვათ მათი განმარტებანი. „პარლამენტში წარმოდგენილ ყველა პოლიტიკურ ძალას, რაიმე საქმისადმი, საკითხისადმი დამოკიდებულებასა და ვგუფს, რომელიც თავის შეხედულებებს, თავის პოლიტიკას უპირისპირებს უმრავლესობის შეხედულებებსა და პოლიტიკას, ვეროპაში ინტეგრაციის მიმართ ერთიანი პოზიცია აქვთ“ (?!).

**აბრაკადაბრა** [ლათ. abracadabra]... 2. უაზრო სიტყვები, აბდაუბდა (იმავე ლექსიკონიდან). ეს ისე, ცნობისათვის.

**ოფიცოზი** - ოფიცოზური ბეჭდვითი ორგანო; გაზეთი, ჟურნალი და მისთ., რომელიც მთავრობის ოფიციალურ ორგანოდ არ ითვლება, მაგრამ მის თვალსაზრისს გამოხატავს; მაგ., ოფიცოზური გაზეთი.

გამოდგება ეს სახელი მთავრობის, ხელისუფლების ფსევდონომად? სხვა განსაზღვრება ვერ მოგვინახავს; ეს არც სინონიმია და არც ეპითეტი. ვამბობთ ოფიცოზს, ვგულისხმობთ მთავრობას. აქამდე სად იყო დაუნჯებული ეს „მარგალიტი“?

**პიროვნება**. ალბათ, გინახავთ ტელევიზორის ეკრანზე: პოლიციის უბანში შემოპყავთ დაკავებული, და გაისმის სიტყვები, ეს არამზადა პიროვნება ცდილობდა ამა და ამ ქუჩის ესა და ეს მცხოვრებ ბიკაეჭურდაო, და გგონია, უფროსი (ვთქვათ, ხუტა) ფეხზე წამოდეგება, ხელს საეარძლისკენ გაიშვერს და იტყვის, ანტრე, ბატონო, კამ საეარძელში ჩაესვენეთო.

„დანითა და ავტომატებით შეიარაღებული სამი პიროვნება, რომელთაგან ორს ნილაბი ეკეთა, თავს დაესხნენ (დაესხა!) თურქეთიდან თბილისში მომავალ ავტობუსს“, „ეს ის პიროვნებები არიან, რომლებმაც შარშან შემოდგომაზე მოქალაქე ნ. სიცოცხლეს გამოასალმეს“. ასე და ამგვარად, ყველგან და ყოველთვის.

**„პიროვნება გარკვეულ თვისებათა მქონე ცალკე ადამიანი. ისტორიული პ...“** (ქველ).

პიროვნება, გამოორჩეული მორალური ან ინტელექტუალური თვისებებით დაჯილდოებული, „გარკვეული ინდივიდუალობის მქონე ადამიანს, მის „მე“-ს აღნიშნავს; მეტიც, მსაზღვრელის გარე-



შე იგი მხოლოდ დადებით შეფასებას შეიცავს (შდრ.: ყველა პასუხისმგებელი – თანამდებობის პირი როდია პიროვნება): ინდივიდუალობის სხვადასხვა მხარის გამოსავლენად როვნებას სხვადასხვა, ჩვეულებრივ, დადებითი შინაარსის ეპითეტი განსაზღვრავს (მთლიანი, განსაკუთრებული, გამორჩეული, იშვიათი, ძლიერი, საინტერესო, კარგი, შესანიშნავი, დიდებული და მისთ.) – ასეა განმარტებული ეს სიტყვა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ მე-7 წიგნში (გვ. 277-278).

მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავს შემთხვევებში აუჯობებს ვინმართ თუნდაც ასეთი ხერხი: თუ შეპყრობილს დაუმტკიცდა დანაშაული, უწოდე თავისი სახელი: მკვლელს – მკვლელი, ქურდს – ქურდი, თუ ეჭვმიტანილია, – ეჭვმიტანილი... ან სულაც იხმარე შესაბამისი ნაცვალსახელი.

**შვილობილი – შვილეული.** დრომ მოიტანა და ჩვენს მეტყველურ ბაში გ.ჩნდა კიდევ ერთი კატეგორია (წინათ იშვიათად რომ გვხვდებოდა), რომლითაც განსაზღვრავენ გარკვეული ტიპის საწარმოებს, საზოგადოებებსა და მისთ. რუსულიდან ან რუსულის მეშვეობით შემოსული სიტყვა дочерний ასეა განმარტებული ს. ოგეგოვის „რუსული ენის ლექსიკონის“ მე-15 გამოცემაში: *Дочерний... 2. образовавшийся в результате отделения от чего-нибудь (спец.). Дочернее предприятие*, ესე იგი ის, რაც რამისგან გამოყოფის შედეგად შეიქმნაო. ზოგი ამას ქართულად ასე გადმოსცემს: შვილობილი (გამოყოფილი, თანაც ნაშვილები?), ზოგიც – შვილეული.

მაგალითად, ერთ-ერთ დოკუმენტში (კანონი) შემდეგი განმარტებაა: „შვილობილი ორგანიზაცია“ (არაძირითადი საწარმო) – იურიდიული პირი, რომელშიც სათაო (უნდა იყოს: მეთაური) ორგანიზაცია ფლობს პაის (ხმისუფლებიანი აქციების) ორმოცდაათ ან მეტ პროცენტს“.

მეორე დოკუმენტში კი, რომელსაც, თუ მოკლედ ვიტყვით, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ჰქვია, 25-ე მუხლში შემდეგი წერია: „ბ) პუნქტი „შვილეული კომპანია“ არის კომპანია, რომელსაც მთავარი კომპანია აკონტროლებს... დ) „დაფუძნება“ ნიშნავს გაერთიანების [ევროპის გაერთიანება იგულისხმება. – ავტ.] ან საქართველოს კომპანიების უფლებას, (ა) პუნქტის თანახმად, განახორციელონ ეკონომიკური საქმიანობა შვილეული საწარმოების ან ფილიალების საშუალებით...“.

ამ ფორმათაგან რომელია სწორი? ერთადერთი წყარო, სადაც



პასუხი ეძლევა ამ კითხვას, არის იურიდიული ტერმინოლოგია, რომლის 76-ე გვერდზე წერია: *дочернее общество* – შვილური საზოგადოება.

ჩვენც ასე უნდა ვწეროთ: შვილური ორგანიზაცია, შვილური საწარმო, შვილური საზოგადოება, შვილური ფირმა და ა.შ.

**ცერემონიალი** – ცერემონია. რა ვუყოთ ამდენ „ცერემონიალის“ მოყვარულს? თუ საქმეს ეშველება, ავუხსნათ, რომ ცერემონიალი არის ოფიციალურად მიღებული წესი ცერემონიის გამართვისა, ხოლო ცერემონია – ოფიციალური ხასიათის ზეიმი, რომელიც გარკვეული წესებით, წინასწარ შედგენილი გვემით იმართება, და რომ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში უმართებულოდ არის ნახმარი „ცერემონიალი“:

„14 ივნისს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ნომინანტთა შორის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი“, „ინაუგურაციის ცერემონიალს ესწრებოდნენ სამხრეთ ამერიკის 6 ქვეყნის მეთაური (მეთაურები!), რომლებიც მოწვეული იყვნენ ცერემონიალზე“. „კულტურის სამინისტროში გაიმართა პრეზიდენტის მიერ ხელოვნების მოღვაწეთა დაჯილდოების ცერემონიალი...“, „მიუხედავად დაძაბულობისა სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრის ცერემონიალი (!) ბოლომდე მიიყვანა (აქ კიდევაც რომ ესმარა ავტორს „ცერემონია“, მაინც არ ივარგებდა: არ უნდებოდა კენჭისყრას ცერემონია. პროცედურა რომ ეთქვა, კიდევ პო)“;

სანიმუშოდ კი შეიძლება გამოვიყენოთ ეს წინადადებანი:

„ტრადიციული ცერემონიის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს მრავალი საჭირობოროტო საკითხი“, „როცა ხელზე მოხვევის ცერემონია გათავდა, ბატონიშვილმა დავითმა წარმოსთქვა...“ (ლ. ქიანელი).

**ცივილური** – ცივილიზებული. „სახელმწიფოს ცივილურობა, უპირველეს ყოვლისა, დავრდომილებსა და ინვალიდებზე ზრუნვით გამოიხატება“, „თუ შედმეტი პუმანიზმი გვაწუხებს (!), მაშინ სახელმწიფომ ცხოველებისადმი მოპყრობის ცივილური ფორმებისათვისაც მოიძიოს სახსრები...“, „საზოგადოების ცივილურობა და არა ცივილურობა...“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ცივილური ნიშნავს სამოქალაქოს (აქედან მიმდინარეობს სამოქალაქო სამართალი – ცივილური სამართალი, ცივილისტი, ცივილური ფურცელი, სამოქალაქო, არა სამხედრო, მაგალითად, ცივილური ტანსაცმელი), ადვილად შევამ-



ჩნევთ, რომ ზემოთ მოყვანილ წინადადებებში უნდა გავსაზღვროდ არის ნახშიარი მისგან ნაწარმოები ფორმები. ამ კონტექსტში უნდა ჩავსვათ ცივილიზებულიობა, ცივილიზებული, არააცივილიზებულიობა.


ამავე რიგს განეკუთვნება მთელი რიგი შეცდომები, რომლებიც ზოგიერთი გეოგრაფიული თუ ტექნიკური ტერმინის უმართებულო სმარებას უკავშირდება.

ასეთია, მაგალითად, გამოთქმა კლიმატური პირობები. ამ გამოთქმით, წერდა თვალსაჩინო გეოგრაფი ლევან მარუაშვილი, „გაზთებში, ტელერადიოგადაცემებში... აღინიშნება ხოლმე ხანმოკლე – რამდენიმე დღის ან კვირის – მეტეოროლოგიური ვითარება – გაძლიერებული თოვა, გრივალისებური ქარი, ზვავიანობა, მკვეთრი ავივება და სხვ. კლიმატი ეწოდება რომელიმე ადგილისათვის ჩვეულებრივი მეტეოროლოგიური პირობების წლიურ ან, უფრო ზუსტად, მრავალწლიურ ხასიათს... ის, რისი მოწმენიც დღეთა განმავლობაში ვართ ხოლმე, არის მეტეოროლოგიური ვითარება, ანუ ამინდი, რომელიც შეიძლება არც იყოს ადგილობრივი კლიმატისათვის ტიპობრივი და დამახასიათებელი. ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი სტიქიური გამოვლინებების აღსანიშნავად უნდა ვილაპარაკოთ მეტეოროლოგიურ მოვლენებზე, ანუ ამინდზე“.

ანდა ავიღოთ შესაბამისი წყაროთი დადასტურებული ტექნიკური ტერმინი ენერგიაშემცველი. რატომღაც მას, ალბათ, რუსული энергоноситель-ის გავლენით, ენერგომატარებელს უწოდებენ (მაგრამ ჩანაწერის მატარებელი, ბერათაწერის ბიმეტალური მატარებელი...). გვეჩრდება კი პარალელური ფორმა, ისიც უმართებულო?

შემდეგ, როცა სადმე უაღრესად იძაბება ვითარება, მის დასახსიათებლად ამბობენ, ფეთქებადი ვითარებააო. „აფეთქება“ – „ფეთქებადი“ წმინდა ტექნიკური ტერმინია (როგორც წესი, ნივთიერებაზე იტყვიან ხოლმე. აქედან მოდის ამფეთქი, ამფეთქებული, აფეთქებამდევი, აფეთქებადობა და სხვ.) და გადატანითი მნიშვნელობით მისი სმარება არ უნდა იყოს გამართლებული, მით უმეტეს, რომ კარგა ხანია მეტყველებაში დამკვიდრდა გამოთქმა: აფეთქებასაშიში.

ამრიგად, ამ მონაკვეთში ჩვენ განვიხილეთ შემთხვევები, როცა ვიმეტებთ სიტყვებს (ამაზე კიდევ გვექნება საუბარი). ახლა კი მოკლედ შევეჩხოთ სიტყვათშემოქმედებას. თქმა არ უნდა, სიტყვის შექმნას ვერავის აუკრძალავ, რადგან სწორედ იგია უმძლავრესი საშუალება ენის განვითარებისა. ყველამ ვიცით, რა დიდ ყურადღებას



უთომოდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, სხვა ჩვენი კლასიკოსები ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებას ცდილობდნენ ხალხური მეტყველებიდან აღებული სიტყვა-გამოთქმებით. ძველ მწერლობაში შემონახული სიტყვებით. მეტსაც გეტყვით, თავად ქმნიდნენ ახალ სიტყვებს, ქმნიდნენ დიდი სიფრთხილით, ჩვენი ენის ბუნების გათვალისწინებით და მისი ნორმების დაცვით. ასევე ფასდაუდებელია წვლილი, ჩვენმა თანამედროვე მწერლებმა რომ შეიტანეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარება-გამდიდრებაში.

დაწვრილებით არ შევვებით ამ საკითხს, მაგრამ რამდენიმე მაგალითს კი მოვიყვანთ.

ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, მაგალითად, სიტყვები: **აღებ-მიცემობა, დაწესებულება, ეროვნება, კაცობრიობა, მსოფლმხედველობა, მიმოქცევა, განწყნებული და მრავალი სხვა.**

აკაკი წერეთლისაა **შემატებულება, ბოზოლა, გაიძვრა, ტევა (აქედან: ტევადობა; ტევადი, შრომატევადი, მეცნიერებატევადი და სხვ.)...**

ნიკო ნიკოლაძემ შესძინა ენას ისეთი სიტყვები, როგორიც არის **ლიანდაგი, ორთქლმაგალი...**

გიორგი ნიკოლაძემ დაამკვიდრა ენაში **განტოლება, ტანვარჯიში, მსაჯი** და სხვა სამეცნიერო თუ სპორტული ტერმინები.

აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯანელიძემ შექმნა სიტყვა **ასანთი**, აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ – **მერგალური**, აკადემიკოსმა დიმიტრი უსნაძემ – **აღქმა, განწყობა, განწყობილება**, პროფესორმა ფუკოლ ბერიძემ – **მივლინება, შეებულება, საშვები (საშვი) და ა.შ.**

გვერდს ვერ აუვლით კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც ზემოთ აღნიშნულებთან ერთად მოიყვანა პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ თავის „დედაენა ქართული“ წიგნში: „როგორც აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი იგონებს, მას სიჭაბუკეში ერთ-ერთი სამეცნიერო მივლინების დროს ქართლში, სოფელ აზაბეთში, გაუგონია ცუდბალახთა საერთო სახელწოდება – **სარველი** და თავის საანგარიშო მოხსენებაში უზმარია იგი. მოხსენებას დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილიც ესწრებოდა თურმე. მას მოსწონებია ეს სიტყვა და თვითონაც გამოუყენებია, ოღონდ ოდნავ შეცვლილი ფორმით **სარველა**. დაფუძნებულით: მისივე რჩევით „სარველა“ სიტყვისაგან ნაწარმოებ სიტყვაში „**დასარველიანებული**“ წინსართი „**და**“ შეიცვალა „**და**“ წინსართით და მივიღეთ ფორმა „**დასარველიანებული**“, ახლა



რომ იხმარება, თანაც არა მარტო პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობითაც.

ჰოდა, ჩვენც ვისარგებლებთ შემთხვევით და „ნაჩვევლას“ ვინ მართ ზოგიერთი იმ სიტყვა-გამოთქმის დასახასიათებლად, რომელუბიც ამ ბოლო ხანს გაჩნდა უკვე არსებულის ნაცვლად ან პარალელურად ქართულ ენაში ჩვენივე დაუფიქრებლობით.

სხვა რა უნდა უწოდო, თუ არა სარეველა, ისეთ სიტყვებს ან გამოთქმებს, როგორც არის, მაგალითად, ცეცხლმაქრი (ცეცხლსაქრობი - ტექნიკური ტერმინოლოგია) ან დაყარალება (ყარაღურად თავდასხმა), ბრძოლობენ (იბრძვიან), მათმა გადაწყვეტეს (მათ გადაწყვეტეს), პოლიტლაგერი (პოლიტპატიმართა მანაკი), ცივილიზირებული (ცივილიზებული), მოწმობს მომზადებაზე (მოწმობს მომზადებას), ფუნტი სტერლინგი (გირვანქა სტერლინგი), აკოპი (სანგარი), ყრილობაზე მონაწილე პარტიები (ყრილობის მონაწილე პარტიები), გრუს აგენტი (ГРУ - დაზვერვის მთავარი სამმართველოს აგენტი), ბრონირებული კარები (მოჯავშნული კარი) და მრავალი სხვა? ანდა ეს რაღაა: თვითდაჯერებულობა? არის სიტყვა გულდაჯერებული (როცა ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი კაცი გულდაჯერებით მოქმედებს...) და არის თავდაჯერებული (როცა ამბიციით შეპყრობილი, მაგრამ ამუნიციას მოკლებული კაცი მეტისმეტად დარწმუნებულია თავის თავში, თავის ღირსებებში).

სწორედ ასეთ თავდაჯერებულებზეა ნათქვამი: „...იმის ნაცვლად, რომ ძველი წიგნები გადაიკითხონ, ხალხის სიტყვა-პასუხს უფრო დაუგდონ, ენის ხასიათს დაუკვირდნენ, მისი გრამატიკული კანონები შეისწავლონ და ისე სწერონ, ისინი თავისი საკუთარი გამოხატვის სიტყვებით და ფრაზებით ნაგარდობენ! სიტყვების მნიშვნელობა არ ესმით და აზრს აუკულმართებენ... თვითონ არ იციან, მაგრამ ამ თავის უმეცრებას ისეთი თავმოყვარეობით კი აფარებენ ხელს, რომ ყოველგვარ შენიშვნას შეურაცხყოფად მიიღებენ და თავისას არ იშლიან“ (აკაკი).

რამდენადაც დასაგმობია ჰაიპარად (და არა ჰაიპარალედ, როგორც ზოგიერთი პატივცემული პარლამენტარი ბრძანებს), ურთი კალმის მოსმით, დაუკვირვებლად და გაუაზრებლად სიტყვა-ტერმინის შექმნა, იმდენად მოსაწონია იმის ცდა, რომ ლექსიკონით (მხედველობამთა თარგმნითი ლექსიკონები) დადასტურებულ სიტყვა-გამოთქმას მოუძებნო უფრო გამოშასხველი, მეტყველი ან ტოლფასოვანი ფორმა. ამის მაგალითები ბლომად არის. მხოლოდ ორს მოვიყვანთ.



რუსულ ენაში არის მყარი გამოთქმა красное словцо (რადი რადი რადი) – ради красного словца, не ради красного словца, ради красной говорит, ანდაზა: Ради красного словца не пожалеет и отца). ამის ლექსიკონისეული შესატყვისებია მოსწრებული, კვიმატიანი, მარილიანი სიტყვა, ნაკვესი, ენამწვერობა, ენამწვობა; პრაქტიკიდან: ენამასვილობის გამოჩენა, გამოსაჩენად. ვერც ერთს ვერ დაიწუნებთ. ახლა დაგვიგდეთ უური:

ხორცო, დანელდი, დამჭლევდი,  
სულო, იხარე, პლალობდე,  
ღმერთმა დამკარგოს, თუ ამას  
სიტყვის შნოსათვის ვამბობდე!

დიდი ვაგას ამ ლექსის წყალობით შევიძინეთ კიდევ ერთი შესანიშნავი გამოთქმა: სიტყვის შნო, სიტყვის შნოსათვის.

„რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ მოყვანილია ირონიული გამოთქმა квасной патриотизм (იმას აღარ ჩაველრმავედებით, საიდან მოდის ეს გამოთქმა, ვიტყვით მხოლოდ, თუ როგორ განმარტავდნენ მას რუსი მწიგნობრები: Квас [ერთ-ერთი მნიშვნელობა] закоренелая нравственная порча, дурное учение [ვ. დალი]; Квасной патриотизм – ложно понимаемая любовь к отечеству; преклонение перед отсталыми формами жизни и быта своей страны [ს. ოვეგოვი]), რომელიც ასეა გადმოქართულებული: მგავე პატრიოტიზმი. ამასაც ვერ დასდებ წუნს. მაგრამ...

არც ისე დიდი ხნის წინათ კიდევ ერთხელ გადავიკითხეთ ქართული ენის მოამაგის თედო სახოკიას მოგონებანი „ჩემი საუკუნის ადამიანები“ და იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ თავში ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა ადგილმა, სადაც ლაპარაკია 1899 წელს სოხუმში პირველად შემოღებულ საქალაქო თვითმმართველობაზე, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა იმ გადაწყვეტილებაზე, რომ ქალაქისათავედ აერჩიათ გამოცდილი, ზნეობით უმწიკვლო ადამიანი ალექსანდრე სარაჯიშვილი და ამის გამო წერილები გაეგზავნათ „საზოგადოების მეთაური და ცნობილი ადამიანებისათვის“, როგორიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, პროფესორი ალ. ხახანაშვილი და საყვარელი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი.

საზოგადო მოღვაწის ანთიმოზ ჯუღელის სახელზე გაგზავნილ საპასუხო წერილში დიდი პედაგოგი იწონებს სოხუმელთა არჩე-



ვანს და წერს: „რუსები როცა გაიცნობენ, მაღლობს გულს და ქართულდება, რომ ამისთანა კაცი მოგიწინაავეთო... სხსლადი... თქვავება რუსებს... რაც მას სრულიად არ უშლის ქართველი მამულისშვილი იყოს, თუმცა ლობიოს პატრიოტობას კი, რასაკვირველია, მოშორებულია“.

**ლობიოს პატრიოტობა.** სომ შეიძლება ზოგჯერ მკავე პატრიოტიზმის ნაცვლად იხმარო? ბოდიშს კი ვიხდით „ქართლში მუცლის ბოძად ნათქვამი ლობიოს“ (გ. დორანაშვილი. „ლოდი, ნასაყდრალი“) წინაშე, მაგრამ იმისთანა კაცს აქვს ნაბრძანები, ვერ შეველევი.


დასკვნა ასეთი შეიძლება იყოს: კარგი გამოთქმის მიგნება თუ გინდა, იკითხე კლასიკა, თუ ახალი სიტყვა-ტერმინის შექმნა-შემოღება გსურს, ისე გაისარჯე, როგორც აქ დასახლებული სწავლულნი ირუებოდნენ, თანაც გახსოვდეს შუა საუკუნეების ბრძნთა გამონათქვამი: *Lexicographia secundum post Herculem labor* – „ლექსიკოგრაფია ჰერკულესის გმირობათა შემდეგ სიძნელით მეორეა“ ან კიდევ – „ვისაც ღმერთები შეიძულებენ, ლექსიკონების შედგენას დააკისრებენ“.

აქ დავსვათ წერტილი და განვაგრძოთ ანბანზე დალაგებული სიტყვა-ტერმინებისა და გამოთქმების აკარგანობის განსჯა.

### პი, თჳჳჳ, არაგვლჳბო...

სათაურშივე შეცდომა მოგვლიათ, რალას განაგრძობთ წერასო, გვეტყვით ალბათ, და ცამდე მართალი იქნებით. თხუთმეტოდუ წლის წინათ სიტყვა კომკავშირული მრავლობითში ასე გამოხატეს: *კომკავშირლები*. ერთი ამბავი ატყდა. ახლა კი წამდაუწუმ გაიგონებთ და წაიკითხავთ, *ქუთაისლებმა* ესა და ეს თქვეს, *ბათუმლებმა* ესა და ეს ააშენეს, *ზუგდიდლებმა* რალაცით გაგვასარეს, *რაჭვლები* ძველებურად გემრიელ პურს აცხობენ, *პენსიონრები* ახალი წესით იხდიან გადასახდელს, *ფესტივლის* დასურვა ფილარმონიაში მოხდება, *კვარტლური* ანგარიშები წარადგინეს, *ნაძირლები* თავისას არ იშლიანო...

რა, დავიწყით უბატონო სვანეთით და გზადაგზა ვიძახოთ: *მულანლები*, *ხაიშლები*, *ზესტაფონლები*, *ტამისკრელები* და ახლადამლები, *გორლები* და *დუმლები*, *საგარეუგობლები* და ასე ჩავიდეთ უბატონო კახეთში? და მერე, იქაური გულადი და პურადი ხალხის სამართლიან რისხვას თუ გადავურჩით, აზერბაიჯანლებს მივესალმოთ, აბრეშუმის შარაგზას გაუუდგეთ – *ჩინლები* და ია-



პონლები მოვიკითხოთ, ოკეანისგამელეებს – მილიონრებს, ვაშინ-გტონლებს, ნიუ-იორკლებსა და მათთან ერთად მცხოვრებ ქართველებს გული გაეუმაგრეთ, ბებრუხუნა ევროპაში პარიზლებსა და ბერლინლებს ვეწვიოთ, პეტერბურგლებს ღვაწლი დაფუფასოთ და მოსკოვლებს რალაც-რალაცები შევასწავლოთ, მერე თბილისში დაფბრუნდეთ და თბილისლებად ვიგრძნოთ თავი?

ომის დროს მთაწმინდის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში, ისევე როგორც ყველგან საქართველოში, ფრონტზე საომრად წასულები-სათვის თბილი ნივთების გაგზავნა გადაწყვიტათ. ერთ მოსწავლეს ერთი მასწავლებლისათვის უკითხავს, პატმასწ, ფრენჩი თუ შეიძლება მოვიტანო. როგორ არაო, მოუგია მასწავლებელს. მერე დაწყებულა თუ დაწყებულა: პატმასწ, ფრენჩი, პატმასწ, ფრენჩი... ბოლოს დაოსებულ მასწავლებელს ისლა მოუხერხებია, რომ წამოეძახა: „ვინ თქვა პირველად ფრენჩი?“

ჩვენც იმ დღეში ვართ. გვინდა ვიკითხოთ: „ვინ თქვა პირველად ქუთაისლები?“

### 306 306 არის თუ 306 რა არის?

ბოლო ხანებში, კერძოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა მ. გარბაჩოვმა რომელიღაც ღონისძიებაზე იხმარა უკვე საერთაშორისოდ ქცეული ინგლისური გამოთქმა who is who, რომელიც მერე რუსულად ითარგმნა ასე: КТО ЕСТЬ КТО, ქართულში გაერცვლდა შესიტყვება ვინ არის ვინ ან, უკეთეს შემთხვევაში, ვინ ვინ არის. ზოგიერთმა გაზეთმა რუმბრიკაც კი შემოიღო ასეთი სახელწოდებით, რადიოგადაცემებშიც გახმოვანებულა იგი.

მრავალთაგან ერთი მაგალითი: „საერთოდ ასეთი სიტუაციები ხელს გეიწყობს ზოლმე გაეარკვიოთ, ვინ ვინ არის“. რამდენად სწორია ეს გამოთქმა?

ნაცად ხერხს მივმართოთ: ჩავიხედოთ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

„ვინ კითხვ. ნაცვალსახელი; იხმარება მხოლოდ ადამიანის მიმართ. – რომელი ადამიანი. ვ. მოვიდა? – ვ. იძახდა?..“;

„რა 1. (რისა) კითხვ. ნაცვალს.; იხმარება ყველაფრის მიმართ (საგნები, ცხოველები...), გარდა ადამიანისა, – რომელი საგანი, რომელი ცხოველი...“.

აქ თითქოს გადაწყვეტილია ამ გამოთქმის ბედი. იქნებ, კიდევ არის რაიმე ხელრასაჭიდი? აი ისიც:



„გამოვა... 9. იქნება... დადგება... რა გინდა გამოხვიდე, მასწავლებელი?“ (ქველ).

„რა არის ისტორია? იგი მთხრობელია მისი თუ რაღაცის რაღაც რაღაც ვართ და რად შეიძლება ვიყვნეთ კვლავადაც“ (ილია ჭავჭავაძე).

„რანი ვიყავით გუმინ?“ – ასე იწყება და „რანი ვართ დღესა?“ – ასე მთავრდება იაკობ გოგებაშვილის ვრცელი წერილი, დაბეჭდილი მის რჩეულ თხზულებათა პირველ ტომში.

„შენ, როცა ამ წიგნს ხელში აიღებ,  
ხელად მიხვდები, ხელად გაიგებ,  
რად გეძახიან ჩემი ფიქრები –  
რა იყავ, რა ხარ და რა იქნები!“

ლადო ასათიანი

„ეს ხმა უცებ გვაჩერებს ადგილზე, უცებ დაგვაფიქრებს: რანი ვართ და რასა ვიქმთ“ (რევაზ ინანიშვილი. „სამაგიდო რვეულიდან“).

„ნეტავ რა გამოვა მისგან?“ (მოდელიანის დედის დღიურიდან).

არც ისე დიდი ხნის წინათ გამოვიდა ახალი ჟურნალი სახელწოდებით: „რანი ვართ ქართველნი“.

„უჩვენოდაც ტრიალებდა  
მიწა, ჩვენი თვალთა ჩენა,  
უჩვენოდაც იტრიალებს –  
მთავარია, რა ვართ ჩვენა“

ომარ ხაიამი

თუ ეს საკმარისი არ არის, კიდევ მოვიშველიებთ ერთ საბუთს. ჯერ კიდევ 1991 წლის დამდეგს ბატონმა მ. ჭაბაშვილმა გამოაქვეყნა ამ საკითხისადმი მიძღვნილი წერილი: „ერთი უცხოური გამოთქმის ქართულად გადმოცემის შესახებ“, რომელშიც, კერძოდ, წერდა, რომ „თუ ქართულად ცხოველის მიმართ ითქმის „რა“, მაგალითად, ასეთ გამოთქმაში: „რა ბრდღვინავს?“ – „ლომი“, რუსულად იტყვიან кто-ს (кто рыхлит? – плев). რუსულად თუ უნდათ იკითხონ ვისიშე თანამდებობა, სპეციალობა, საქმიანობა, იტყვიან кем работает? ან кто он по специальности (должности)?“ აქ შევწყვეტთ ციტირებას და ერთ საინტერესო ამბავს გეტყვით, სრულიად მოულოდნელს.

რუსმა კაცმაც კი, როცა დასჭირდა, გადაუხვია ამ წესს: ვლადი-



მერ ნაბოკოვი თავის „მაშენკაში“ ბერლინის პანსიონის ორი ბინადრის – რუსი ემიგრანტების ალექსი ალფეროვისა და ლევ განინის საუბრის დროს ერთ მათგანს, განინს, ასე დაასმევენებს: **Чем вы тогда были, Алексей Иванович?** და პასუხი: ...Разве можно помнить, **чем был** в прошлой жизни, – может быть устрицей или, скажем, птицей, а может быть учителем математики. და კიდევ: **Что такое был** этот Трепов Федор Федорович, объект теракта?.. Смесь грубоватого солдафонства (краснорожий фельдфебель), властолюбия, самодурства, житейской сметки (Ю.Носов, *Никто не хочет слушать пророков*. „ნუზავისიძია გაზეთი“. 01.04.98) [საზვასმა ჩვენია. – ავტ.]. უგამონაკლისო წესი არ არსებობს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს გამონაკლისი კი არა, უფრო წესი უნდა იყოს. განვავარძობთ ციტირებას: „ბუნებრივი ქართულია: რად მუშაობს? რა მოხელეა? (და არა: ვინად მუშაობს? ვინ მოხელეა?). შესიტყვება „ვინ არის ვინ“ ქართულისათვის მიუღებელი კალკია...“

თუ დაგვჭირდა ამ გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით სმარება, ბუნებრივია, მაშინაც უნდა ვთქვათ: **ვინ რა არის** და არა **ვინ არის ვინ**.

### -ზა, -ში, შესახებ... თანდებულთა გაუნივერსალუბა?

ვერაფერი შვილი შენაძენია ქართულისათვის, კიდევ ერთი ხინჯია, ჩვენი ენის წახდენას რომ მოასწავებს.

გავისხენოთ: **თანდებულის რაობა**. თანდებული ჰქვია დამხმარე სიტყვას, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს საგნის მდებარეობას, მიმართულებას და სხვ...

მდებარეობას აღნიშნავს თანდებულები: **-ზე, -ში, -შუა, -შორის, -თან;** მიმართულებას: **...-იდან, -კენ, მიმართ, -მდის;** დანიშნულებას: **-თვის;** თან ყოფნას: **-ურთ... გარდა** ისმარება გამოსარიცხავად... მიერ კი აღნიშნავს მოქმედების ჩამდენობას... და სხვ.

ჩამდენობას გამოხატავს გარკვეულ შემთხვევებში აგრეთვე ნათესაობითან სმარებული **-გან**: ძმისგან გამოვზაფნილი ბარათი...

**-გან** აღნიშნავს აგრეთვე მასალას, რომლისგანაც რაიმე კეთდება...“

მაინც რატომ გავისხენოთ აკაკი შანიძის ეს დებულება? იმიტომ, რომ უმართებულოდ ისმარება ერთის მაგიერ მეორე თანდებული. მაგალითად, არის შემთხვევები, როცა:

- 1) **-გან**-ის ნაცვლად უხმარობთ **-იდან** თანდებულს. ხიდან კი





შემდეგ, რაც არაფაქტის ადმინისტრაცია გააქტიურებს (უნდა იყოს გააქტიურებს) ტერიორისტებთან ბრძოლას" და სხვ.;

4) -ში თანდებულის ნაცვლად ვხმარობთ -ზე თანდებულს. „ამ ზეიმზე (უნდა იყოს: **ზეიმში**) მონაწილეობის მისაღებად რუმინეთს გაემგზავრა...“; „ისინი სსდომაზე (უნდა იყოს: **სსდომაში**) მხოლოდ დამკვირვებელთა (უნდა იყოს: **მეთვალყურეთა**) სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას“, „ამ ყრილობაზე (უნდა იყოს: **ყრილობის**) მონაწილეს პარტიები“...; „გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიონზე (უნდა იყოს: **სესიაში**) საქართველოს დელეგაციის მონაწილეობა“.

ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ჩვენს ენათმეცნიერთა ერთი წესთაგანი, სახელდობრ ის, რომ „-ზე და -ში თანდებულთაგან კონსტრუქციისათვის ერთ-ერთის ამორჩევის დროს ზოგჯერ აუცილებელია ზმნის სემანტიკისა და, შესაბამისად, მისი სინტაქსური უნარის გათვალისწინება. მაგ., მონაწილეობას იღებს (მონაწილეობს) ზმნური ფორმები გრამატიკულად მართებულ კონსტრუქციებს მხოლოდ -ში თანდებულიან სახელებთან ქმნიან. ამავე დანიშნულებით -ზე თანდებულიან სახელებთან გამოყენება სალიტერატურო ენის ნორმათაგან გადახრად შეიძლება შეფასდეს“ („ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ წიგნი მეშვიდე, გვ. 159).

ამავე დროს არის შემთხვევები, როცა -ში თანდებულს უმართებულად ხმარობენ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაცვლად. მაგალითად, ხშირად შეხედებით ასეთ გამოთქმებს: „დაადგინეს მკვლელობაში (უნდა იყოს: **მკვლელობის**) მონაწილე პირების ვინაობა“; „...წევრობის კანდიდატისა და არჩევნებში (უნდა იყოს: **არჩევნების**) მონაწილე პარტიის...“; „საქმეზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ ამ საქმის განხილვაში (უნდა იყოს: **განხილვის**) უშუალოდ მონაწილე მოსამართლეებს“ (კანონი); „დღევანდელ ასპარეზომაში (უნდა იყოს: **ასპარეზობის**) მონაწილე გუნდები...“ და მისთ.;

5) მოქმედებითი ბრუნვის ნაცვლად ვხმარობთ ნათესაობით ბრუნვას და თანდებულად გამოყენებულ ქვეშ ზმნიზებას: „კონფერენცია ტარდება გაეროს ეგიდის ქვეშ (უნდა იყოს: კონფერენცია იმართება (ეწყობა) გაეროს ეგიდით); „მისი გავლენის ქვეშ (უნდა იყოს: **გავლენით**) გახდა იგი გეოლოგი“; „ვისი იურიდიუციის ქვეშ (უნდა იყოს: **იურიდიუციით**) მოხდება დევნილთა... დაბრუნება?“, „ამ შენობაში დღეს სიკვდილის ამკარა რისკის ქვეშ (უნდა იყოს: **რისკით**) ცხოვრობს 65 ოჯახი“; „მან გიტარის აკომპანემენტის ქვეშ



(უნდა იყოს: აკომპანემენტით ან: გიტარის აყოლებით) იმპერია...  
აქ გვინდა საგანგებოდ შევექნეთ ერთ ფრაზას: ეს ლონისტიკა იმართება პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ. (მდრ.: конференция проходила под патронатом премьера Ежи Бузека... „მოსკოვსკიე ნოვოსტი“, 18-25.X.98).

აქ, ჯერ ერთი, ზედმეტია ქვეშ თანდებული; მეორე, იმის მაგივრად, რომ ესმართ სიტყვა პატრონაჟი, რომელიც თავისი ერთ-ერთი მნიშვნელობით მფარველობას ნიშნავს, იხმარეს „პატრონაჟი“ – „ავადმყოფებისა და ბავშვების ორგანიზებული სამედიცინო მომსახურება შინ, ოჯახის პირობებში“; და, მესამე, თავისუფლად შეეძლოთ კიდევ ერთი უცხო სიტყვა, თუმცა აზრობრივად სწორი, შეეცვალათ ქართულით და მიიღებდნენ წუნდაუღებელ წინადადებას: „ეს ლონისტიკა იმართება პრეზიდენტის მფარველობით“.

არის კიდევ სხვა შემთხვევები, როცა ქვეშ თანდებულს უმართებულოდ ხმარობენ: ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი (აჯობებდა: დასაცავი) ბრალდებული“; „ადვოკატი გამარჯვების პირველ რაუნდს დამსახურებულად ზეიმობდა, დაცვის ქვეშ მყოფი (აჯობებდა: დასაცავი პირი ან: ბრალდებული) უკვე შინ ეგულებოდა“; „მისი გადადგომით საფრთხის ქვეშ დადგებოდა (აჯობებდა: საფრთხე შექმნებოდა) ნავთობსადენისა და ამრეშუმის გზის საკითხს“... და ა.შ.;

6) -თვის თანდებულიან სიტყვას ვხმარობთ გამო თანდებულიანი სიტყვის ნაცვლად. „თანამედროვე ქართული მიზეზის გარემოების გადმოსაცემად უპირატესობას გამო თანდებულს ანიჭებს. ასე რომ, -თვის თანდებულიანი ფორმების გამოყენება ამ ფუნქციით სალიტერატურო ენის თვალსაზრისით გამართლებული არაა.

დასაჯეს, გაასამართლეს, მოხსნეს, საყვედური გამოუცხადეს, დააკავეს, დააჯარიმეს [დაფუმატებლით: პასუხი აგებინეს. – ავტ.] სემანტიკის ზმნებთან საწყისები უმჯობესია გამო თანდებულით ვიხმაროთ...“, - ამას გვიჩვენებს ენათმეცნიერი („ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ წიგნი მესამე, გვ. 216). რა ძნელიც უნდა იყოს ჩვეულების დაძლევა, უნდა უცადოთ და გამოვასწოროთ ეს ნაკლი;

7) რუსული сообщить, доложить, уведомить, оповестить, информировать, известить, напомнить, помнить... о ком, о чем, о том ფორმების აშკარა გავლენით უადგილოდ ვხმარობთ -ზე (თაობაზე), შესახებ თანდებულს.

აი გაზუთებიდან ამოწერილი რამდენიმე მაგალითი: „მან იცოდა ტერაქტის შესახებ (აჯობებდა: ტერაქტის ამბავი ან: იცოდა, რომ



მოხდა ტერაქტი); „აქვე გამოაცხადეს საერთაშორისო მწვენი ჯვრის შექმნის შესახებ (უნდა იყოს: შექმნა ან: რომ შექმნა... მწვენი ჯვარი)“; „გაწეული მუშაობის შესახებ (უნდა იყოს: მუშაობა ან: მუშაობის შედეგი) პერიოდულად მოასხენოს მთავრობას (ან: ცნობა (ინფორმაცია) გაწეული მუშაობის შესახებ პერიოდულად მიაწოდოს მთავრობას)“; „პრეზიდენტმა აუწყა ჟურნალისტებს გაეროსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების შეშფოთების შესახებ... (უნდა იყოს: ...აუწყა ... შეშფოთება ან: აუწყა, რომ გაერო და საქართველოს მეგობარი ქვეყნები შეშფოთებული არიან...)“; „ოფიციალური ნებართვა ტრანზიტის შესახებ (უნდა იყოს: ტრანზიტის ოფიციალური ნებართვა) მხოლოდ ათ მანქანას აღმოაჩნდა“; „მოწმობს... მომზადებაზე (უნდა იყოს: მომზადებას)“; „გაგვასხენა კორუფციის შესახებ (უნდა იყოს: კორუფცია ან: კორუფციის ამბავი, ფაქტი, შემთხვევა)“; „მომხდარის შესახებ (უნდა იყოს: გამო) დაიწყო გამოძიება“; „პარლამენტარმა... კოლეგებს აცნობა კანონის „სამხედრო ვალდებულების შესახებ“ დარღვევის თაობაზე“ – ეს წინადადება ხელოვნურად უნდა ჩამოყალიბდეს. შეიძლება ასე: „პარლამენტარმა... კოლეგებს აცნობა, რომ დაირღვა კანონი „სამხედრო ვალდებულების შესახებ“ ან ასე: „პარლამენტარმა... კოლეგებს აცნობა „სამხედრო ვალდებულების შესახებ“ კანონის დარღვევა (დარღვევის ამბავი, ფაქტი...)“.

ასლა რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მსგავსი წინადადებანი: „1123 წელს დავით აღმაშენებელს ანისის თავადთა მოციქულები მოუვიდა, რომელთაც „მოასხენეს მოცემა ქალაქისა“; „უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოთ მესამე პირებს“; „გამონაკლისია დანაშაულზე წასწრება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს“; „დედას შეატყობინეს ჩემი მშვიდობით დაბრუნება“; „თევზის წყალში დახრჩობა არავის გაუგონია“; „გამოძიების დამთავრება 1996 წლის 10 მაისს გამოცხადდა“; „მან საქართველოს მოსახლეობას აცნობა საქართველოს პრეზიდენტის უაღრესად რთული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება“.

შემდეგ გვინდა შემოგთავაზოთ ი. გიგინეიშვილის მონაწილეობით გასწორებული წინადადებანი.

ერთ მათგანში იყო: „...საბჭოები და მათ მიერ შექმნილი ორგანოები სისტემატურად აცნობებენ მოსახლეობას თავიანთი მუშაობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ“. გასწორების შემდეგ მივიღეთ: „...საბჭოები და მათ მიერ შექმნილი ორგანოები სის-



ტემატურად აწვდიან ცნობებს მოსახლეობას თავიანთი მუშაობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. მეორეში კი საბოლოო ვარიანტი ასე გამოიყურებოდა: „განხილვის შედეგში ან განხორციელებული ღონისძიებები უნდა ეცნობათ კომისიებს დადგენილ ვადაში“.

მასადაამე, ჩვენს შემთხვევაში უნდა ვიყენებდეთ შემდეგ მოდელს: აცნობენ, ატყობინებენ, მოახსენებენ, აუწყებენ, შეახსენებენ... რას (ფაქტს, ამბავს, გადაწყვეტილებას, შედეგს, შემთხვევას) და არა -ზე (თაობაზე); შესახებ (შდრ. ცნობა, ინფორმაცია, შეტყობინება, მოხსენება, პატაკი, გადაწყვეტილება... - შესახებ).

### ზეჟოლა. ჰიბრიდი თუ სარაველა?

რა არის ჰიბრიდიზაცია? ეს არის მცენარეების ან ცხოველების შეჯვარება გაუმჯობესებული ჯიშის, სახეობის მისაღებად. თუ რატომ დაგვიჭირდა ამ ტერმინის მოხმობა, ამას მერე მოგახსენებთ.

ვინმეზე, რამეზე ვისიმე, რისამე მოქმედების გამოსახატავად ქართულს აქვს რამდენიმე სიტყვა. თუ ამ მოქმედების უკიდურესი გამოვლინების გამოხატაველ ფორმებს (ძალდატანება, იძულება და სხვ.) მხედველობაში არ მივიღებთ, ეს არის, კერძოდ, გაგულენა... კეთილმოყოფელი გ. - უარყოფითი გ... ზეგაგულენა გაგულენა ვინმეზე... საამისო მოქმედება. ზ. მოახდინა. - სხვისი ზ. ეტყობა... მოქმედება... ზეგაგულენის მოხდენა ვინმეზე, რამეზე... - ასეა განმარტებული ეს სიტყვები „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

რამდენიმე მაგალითი: „XVIII საუკუნეში უდიდესი გაგულენა ჰქონდა ვოლტერს“, „როცა... შეიარაღებულმა რაზმებმა კონვენტს ალყა შემოარტყეს, კონვენტმა მათი ზეგაგულენით დაადგინა ფირონდისტთა წინამძღოლების დაპატიმრება“, „წამყვანი სახელმწიფოები ცდილობენ განახორციელონ თავიანთი გაგულენა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ“...; „აფხაზეთი მთაყარი მიზეზია იმისა, რომ რუსეთმა დაკარგა ყოველგვარი ზეგაგულენა საქართველოში“, „ზემოქმედების ასეთ ინსტრუმენტზე ასე ადვილად ვერ ამბობენ უარს“; „ექიმის კეთილმოსურნეობამ დადებითად იმოქმედა პაციენტის გუნება-განწყობილებაზე“ და სხვ.

ფართოდ გამოიყენება ეს კატეგორიები ტექნიკაში (ურთიერთგაგულენა; ავტომატური, დისკრეტული, დისპაბიციური... ზემოქმედება), სოფლის მეურნეობაში (ბიოლოგიური... ზემოქმედება; საზიანო, მავნე... გაგულენა; ანტისეპტიკური, დამცავი, მეორეული,



კომულაციური... მოქმედება), სამხედრო საქმეში (ცეცხლით... მოქმედება; დემონსტრაციული, კრებისერული, მოგერიებით, შეშლ... კავებელი... მოქმედება), მეცნიერების სხვადასხვა დარგში და ა.შ.

და უცებ ამ ბუნებრივი ქართული ფორმების გვერდით, უფრო სწორად, მათ მაგივრადაც კი, გაჩნდა ყურით მოთრეული სიტყვა **ზეწოლა**.

მაინც საიდან გაჩნდა იგი? ერთ-ერთი ვერსია, ალბათ, ის არის, რომ აქ გავლენა იქონიეს რუსულმა *напор* და *давление* სიტყვებმა. პირველს, გარდა წმინდა ტექნიკური მნიშვნელობისა (დაწნევა), აქვს სხვა მნიშვნელობაც: **დაწოლა**, **მიწოლა**, **შეტევა**. მაგალითად, ყინულის **დაწოლა**, **მიწოლა**, მტრის **მიწოლა**, **შეტევა**. მეორე იხმარება როგორც ტექნიკური მნიშვნელობით (**წნევა**), ისე გადატანითაც: **ზეგავლენა**, **ზემოქმედება**.

ჰოდა, მაინც დაწოლა-მიწოლას ჩამოაშორა და თუ მი თავსართები, მათ ნაცვლად ჩასვა **ზე** თავსართი და მექანიკურად მიიღო „გაუმჯობესებული“...

ეს არც ჰიბრიდიზაციაა და არც სელექცია. ამ სიტყვას სარეველას, ბარბარიზმსაც ვერ უწოდებ, ნამდვილი მუტანტია, ასე რომ კონტაპრუწაობს ჩვენს მეტყველებაში.

აი მაგალითებიც: „ამ დიდი აგიოტაჟით მოხდა გარკვეული **ზეწოლა** აფხაზეთის საკითხის, რუსეთის ჯარების საკითხის... და სხვა საკითხების განხილვაზე“; „მაშინ რუსეთი **ზეწოლის** ბერკეტებს გამოიყენებს“; „მინისტრი განიცდიდა **ზეწოლას**“; „ჩვენ გვინდა ხელი-სუფლებაზე მოვახდინოთ **ზეწოლა**, რათა გადაწყდეს აფხაზეთის პრობლემა“; „მე რომ **ზეწოლა** მდომებოდა, სასამართლოზე კი არ მივიდოდი, მოსამართლეს ტელეფონით დაუწკავშირდებოდი და საქმეს უმტკივნეულოდ მოვაგვარებდი“; „შექმნილია მეტად მძიმე მდგომარეობა, რაც განპირობებულია ფორმის ხელმძღვანელობის მხრიდან საწარმოებზე **ზეწოლით** და კორუფციის აშკარა გამოვლინებით“; „ვინ ვისი **ზეწოლით** იყო დანიშნული“; „ფსიქოლოგიური **ზეწოლა** აღიარების მისაღებად...“; „რუსეთი ცდილობს შეასუსტოს... დასავლეთის პოლიტიკური **ზეწოლა** კასპის ნავთობთან დაკავშირებით“; „მე თქვენი **ზეწოლა** მინდა“ (ასპირანტი - ხელმძღვანელს; ალბათ, წახალისება, გამხნეება, შეგულიანება, სტიმული... უნდოდა); „ყოველი **ზეწოლა** უკუმოქმედებას იწვევს“ და მისთ.

**ზეწოლის** ნამდვილი შემოტევაა. არ მოვიგერიოთ?



### თანამეგობრობა – ბაიართიანება

„ – საერთაშორისო თანამეგობრობის გამოწვევას წინ არ შეგუებ თქვენი განცხადება იმის თაობაზე, რომ მიმართავთ მხოლოდ კაცებს სიელ ძმებს და ჩამოაყალიბებთ ორგანიზაციას „აფხაზეთის მეგობრები“? რამდენად შეძლებს ამგვარი წარმონაქმნი საერთაშორისო ორგანიზაციების ალტერნატივის როლის შესრულებას?“, – ასეთი იყო გაზეთ „კავკასიონის“ 1997 წლის 12 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ ცნობილ ინტერვიუში საუბრის მონაწილე ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვა.


რამდენად სწორად არის ნახმარი ამ წინადადებაში შესიტყვება საერთაშორისო თანამეგობრობა? (სასაყვედუროდ არ ვამბობთ ამას. ეს საერთო მოვლენაა და მტყუნან-მართალს არ ვეძებთ). იგივე კითხვა დაებადება კაცს, როცა წაიკითხავს, მაგალითად, ასეთ წინადადებებს: „საეჭვოა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ერთ ქვეყანას ანდოს სიმდიდრისა და ძალაუფლების ეს წყარო“, „ჩვენ მივესალმებოდით რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებას საერთაშორისო თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებით“.

მსგავს კონტექსტში ხშირად წააწყდებით ასეთ გამოთქმებსაც: „სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობა“, „მსოფლიო თანამეგობრობა“, „ევროპის თანამეგობრობა“, „ევროპული (!) თანამეგობრობა“ და სხვ.

საერთოდ რატომ გაჩნდა ეს კითხვა? იგი იმიტომ გაჩნდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება სხვაგვარი ფორმებიც. აი მაგალითები: „...ყოველივე ამას მივალწიეთ ჩვენი მეგობრების, მსოფლიო გაერთიანების, ევროპის სტრუქტურების მხარდაჭერით“; „...ომის სამზადისი უკვე დამთავრდა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მსოფლიო გაერთიანებაზე, რომელსაც ჯერაც არ განუსაზღვრავს საბოლოოდ თავისი დამოუკიდებლობა“; „ევროპის გაერთიანების კრედიტების ათვისების მდგომარეობის შემსწავლელი ჯგუფი“; „იმ ფაქტებს შორის, რომლებიც აბრკოლებენ პოსტსაბჭოური სივრცის ინტეგრაციას, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საერთაშორისო გაერთიანების როლი“; „მის დამოუკიდებლობას ცნობს საერთაშორისო გაერთიანება“; „ყველაზე ახლო მაგალითია არა ევროპის გაერთიანების ჩამოყალიბებისა და განვითარების გამოცდილება, არამედ...“ და ა.შ.

მამასადამე, საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვასთან, რომლებიც გვერევა ხოლმე ერთმანეთში. განვიხილოთ თითოეული მათგანის წარმომავლობა.





1. **თანამეგობრობა.** იგი შედარებით ახალი წარმონაქმნია, რომელსაც საფუძვლად უდევს ინგლისური Commonwealth (მაგალითად, British Commonwealth of Nations; ამიტომაც არის ინგლისური დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტრო) და, შესაბამისად, რუსული содружество.

2. **გაერთიანება.** ეს სიტყვა, რომლის საფუძველია აგრეთვე ინგლისური Community, ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით უფრო რუსული сообщество-ს ანალოგიით იხმარება. აი როგორ არის განმარტებული ეს სიტყვა „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“: „сообщество“ – გაერთიანება, საზოგადოება, გუნდი, დასი...“. თითქმის ასევეა განმარტებული იგი „იურიდიულ ტერმინოლოგია-ს“ და სხვა წყაროებში.

ამიტომ დასკვნა ერთადერთი შეიძლება იყოს: საერთოდ ბუნებაში არ არსებობს ასეთი ცნებები – მსოფლიო თანამეგობრობა ან საერთაშორისო თანამეგობრობა.

თანამეგობრობა არის მეგობრობაზე დამყარებული კავშირი ქვეყნებისა, მათი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ოფიციალური სახელწოდება. ასეთებია, მაგალითად, ბრიტანეთის (ერთა) თანამეგობრობა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობა, ჩრდილოეთ მარიანის კუნძულების თანამეგობრობა. მაშასადამე, სხვა შემთხვევებში „თანამეგობრობის“ ხმარება უნდა გამოირიცხოს.

„გაერთიანებით“ კი იგულისხმება გაერთიანებული ერები, მათი ორგანიზაცია, ევროპისა და სხვა რეგიონების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა ორგანიზაციები (მაგალითად, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი – ნატო, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია – სენტო, არაბეთის ქვეყნების ლიგა, ჩრდილოეთის საბჭო, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება – „ევრატომი“, ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოთა კავშირი და მრავალი სხვა), რომელთაც აქვთ თავიანთი წესდებები, შესაბამისი სტრუქტურები და შეუძლიათ მიიღონ იმ რეგიონებისათვის შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებანი, სადაც ისინი მოქმედებენ.

ამიტომ თანამეგობრობისაგან განსხვავებით აქ უნდა ვისმაროთ უკვე ტრადიციულად ქცეული ფორმულა: სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანება (საერთაშორისო, ევროპის გაერთიანება). ამას გვიდასტურებს რუსული შესიტყვებაც: мировое сообщество (და



არა содружество) государств (международное, европейское сообщество).

ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ ფრაზა კონტრასტიდან, სადაც ლაპარაკია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლზე, მაგალითად, ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტაში: ...предупреждение о том, что мировое сообщество и государства, входящие в это сообщество, не признают „государство“, образованное путем агрессивного сепаратизма... („Распятая Грузия“, გვ. 265, 1995). და კიდევ: „...სურთაშორისო გაერთიანებამ ვერ შეძლო განეხორციელებინა კოსოვოს ამბებთან დაკავშირებით იძულებითი მშვიდობის დამყარებისათვის შეთანხმებული კოლექტიური მოქმედება“ (საქართველოს პრეზიდენტის განცხადება „საქართველოს რესპუბლიკა“, 25 მარტი, 1999).

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ сообщество არის объединение людей, народов или государств, имеющих общие интересы, общие цели, ნათელი გახდება, რომ შემოთავაზებული ფორმა უდავოდ მართებულია.

### იღვას, მიიღვას, აიღვას

როგორც იქნა, დადგა ჯერი ამ ზმნებისა, რომლებიც თავში ნახსენებ ლექსიკონში ერთ-ერთი პირველი ადგილის დამჩემებლებად მივიჩნიეთ და არცთუ უსაფუძვლოდ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ ზმნებს, ერთად აღებული, 35 მნიშვნელობა აქვთ. ყველა ან თითქმის ყველა ბუნებრივი და ქართული ენისათვის დამახასიათებელია. თითქმისო, რომ ვამბობთ, იმიტომ ვამბობთ, რომ მეტწილ შემთხვევებში თავისუფლად შეიძლება მათი შეცვლა უკეთესი ფორმებით. აი ზოგიერთი მაგალითი:

„ეკლესია პირვანდელ სახეს მიიღებს (აჯობებდა: შეიძენს ან: დაიბრუნებს ან: ეკლესიას პირვანდელი სახე მიეცემა)“; „პაროლიზული ფისის გარშემო (უკეთესი იქნებოდა: გამო) ატყბილმა სკანდალმა ახალი სახე მიიღო (აჯობებდა: შეიძინა...)“; „თუ სამშვიდობო ოპერაციამ ის დინამიკა არ მიიღო (აჯობებდა: შეიძინა), რომელიც აუცილებელია მისთვის, მაშინ დავაყენებთ საკითხს გაყვანის შესახებ (აჯობებდა: გაყვანის საკითხს)“; „ჩნდება შესაძლებლობა, რომ აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის განხორციელება მთლიანად გაერომ აიღოს თავზე (აჯობებდა: იყოსროს ან: თავს იღოს ან: იტვირთოს)“; „კითხვა-პასუხმა დეპუტატებსა და მინისტრის მოადგილეებს შორის ბელეტრისტული ხასიათი მიიღო (აჯობებდა: შე-

იძინა ან: ნასიათისა **გახდა**“; „სახელმწიფომ რეალურად **აიყოს** (აუღობებდა: **იკისროს**) პასუხისმგებლობა და ვალდებულებანი **შეა**ნაბრუთა წინაშე“; „სახელმა მეზერებმა წლუულს ყურძნი **შაღარი** (უნდა იყოს: **უხვი**) მოსავალი მიიღეს (აუღობებდა: **მოიყვანეს** ან: **მოიწიეს**)“; „პრეზიდენტმა მადლობით მიიღო მიწვევა (აუღობებდა: პრეზიდენტი მადლობით **დაეთანხმა მიწვევას**) და მრავალი სხვა.

ამ წყების ბოლო მაგალითმა შეგვაგულიანა კიდევ ერთი მოსაზრების გამოსათქმელად: წარმოიდგინეთ, რომ ოფიციალური მიწვევის შემდეგ, როგორც იტყვიან ხოლმე, „ორივე მხარისათვის მოსახერხებელ დროს“, ჩვენი პრეზიდენტი ჩავიდა რომელიმე ქვეყანაში, რათა შეხვედეს იქაურ სახელმწიფოს მეთაურს და გამართოს მასთან ოფიციალური **მოლაპარაკება** (და არა **მოლაპარაკებები**!). როგორც ვიცით, ვიზიტი ეწყობა იმ წესების მიხედვით, რომლებსაც შეიცავს დიპლომატიური (სახელმწიფო) პროტოკოლი. სწორედ ამ ტერმინზე გვინდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

საქმე ის არის, რომ წინათ რატომღაც (ალბათ, დაუკვირვებლობის გამო) არ ვმოიხვედით ერთმანეთისაგან **ოქმს** და **პროტოკოლს** და ყველა შემთხვევაში ვწერდით ამათგან პირველს – „ოქმის შეფი“, „საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილება“ და ა.შ. ახლა კი, როცა აღვადგინეთ „პროტოკოლი“ და თავისი ადგილი მივუჩინეთ მეტყველებაში, მეორე უკიდურესობაში გადავეარდით: ვაძეგვებთ „ოქმს“. რამდენიმე მაგალითი:

„არსებული ინფორმაციის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეებმა შეთანხმეს შუალედური სამშვიდობო [ჯობს: **საზავო**. საზოგადოდ, ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევებში (ომი, შეიარაღებული კონფლიქტი) თითქოს უკეთესი უნდა იყოს „საზავოს“ ხმარება: საზავო მოლაპარაკება, საზავო ხელშეკრულება და ა.შ.] პროტოკოლი (უნდა იყოს: **ოქმი**), ორი სტატიის (უნდა იყოს: **მუხლის**) გამოკლებით, რომელიც (უნდა იყოს: **რომლებიც**) ეხებოდა გალის რაიონში დევნილების დაბრუნების პროცედურას“; „ხელმოსაწერად მზად არის პროტოკოლი (უნდა იყოს: **ოქმი**) ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დარეგულირების (უნდა იყოს: **მოწესრიგების**) შესახებ“; „ეს ვერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საქართველო იზიარებს ქართულ-რუსული დიპლომატიის შემუშავებულ პროტოკოლს (უნდა იყოს: **ოქმს**)...“; „გუშინ ხელი მოაწერეს პროტოკოლს (უნდა იყოს: **ოქმს**) საქართველოსა და იაპონურ (უნდა იყოს: **იაპონიის**) ფირმა „იტორუს“ შორის“ და ა.შ.

აქ უნდა ვთქვათ ერთი რამ: ზოგიერთ შემთხვევაში ოქმი თავი-



სი მნიშვნელობით უტოლდება ისეთ საერთაშორისო [ქვეყნს] რომელიც არის ხელშეკრულება, შეთანხმება, დეკლარაცია, განცხადება, მემორანდუმი და სხვ. ჩვენს მაგალითში შესაძლებელია, რომ ხელმოწერილი ოქმი ეხებოდეს ეკონომიკურ თანამშრომლობას ან, ვთქვათ, მხარეთა განზრახვებს. მაგრამ რატომღაც ასეთ შემთხვევებში წერენ და ამზობენ ხოლმე, ხელი მოაწერეს ოქმს განზრახულობათა შესახებო. არ უნდა იყოს მთლად სწორი ეს გამოთქმა. „განზრახულობა“ თავისი ერთ-ერთი მნიშვნელობით „საკანონმდებლო“-თან ერთად ქმნის მყარ შესიტყვებას: „საკანონმდებლო განზრახულობანი“ (მდრ. რუსული: законодательные предположения), რომელიც ხშირად გვხვდებოდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის პრაქტიკაში. ამიტომ, როცა ოქმი ეხება მხარეთა განზრახვებს, სურვილებს, უკეთესი იქნება ვთქვათ: ოქმი განზრახვათა შესახებ.

რაკი „ვიზიტი“ და „ხელშეკრულება“ ვახსენეთ, ორ გარემოებას გვინდა შევეხოთ:

პირველი. ვიზიტის დროს მასპინძელი მხარე თავისი უმაღლესი თანამდებობის პირის – პრეზიდენტის, მეფის, პრემიერ-მინისტრის... სახით იღებს **სამატეო** (და არა მაღალ) სტუმარს. ამ ამბავს რომ ამუშებენ, ჟურნალისტები, მაგალითად, ასეთ კონსტრუქციას იყენებენ ხოლმე: „დღეს საფრანგეთის პრეზიდენტმა ვლისეს სასახლეში მიიღო ჩილეს პრეზიდენტი. მიღებას, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, ესწრებოდნენ ეროვნული კრების თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და სხვა ოფიციალური პირნი...“.

ახლა გვინდა გკითხოთ, ამ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში თუ შევხვედრით მსგავს ინფორმაციაში სიტყვა **დარბაზობა**? არა გვგონია. რა დაგვიშავა? ჩვენი მაგალითისათვის ხომ შედგამოჭრილია იგი: „მიღება“ სხვა არა არის რა, თუ არა **დარბაზობა** ოფიციალური სტუმრობა, ოფიციალური მიღება“ (ქველ). მოდი, დავანახვოთ მზის სინათლე ამ უსამართლოდ მივიწყებულ და პნელში მოქცეულ სიტყვას. მაშინ აქ მოყვანილი ტექსტის მეორე წინადადების დასაწყისი ასეთი იქნება: **დარბაზობას**, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, ესწრებოდნენ...“ ცოტათი მაინც ხომ უკეთესია?

აჯობებს, ალბათ, რომ ხელახლა დავამკვიდროთ ეს ფორმა ჩვენს მეტყველებაში.

მეორე. ის ვიზიტი რა ვიზიტია, თუ, როგორც წესი, ხელშეკრულება ან შეთანხმება არ დაიდო? ჩვეულებრივ ასეთ საერთაშორისო



დოკუმენტს წამძღვარებული აქვს პრემბულა. სწორედ ამ პრემბულის ნაწილის ჩამოყალიბების ტექნიკას გვინდა მივაქცეთ თქვენი ყურადღება. ერთ დროს რუსული ფორმების: сознавая, подтверждая, памятуя, сожалея და მისთანათა გავლენით და ანალოგიით იწერებოდა, მაგალითად:

გენერალური ასამბლეა შეგნებული აქვს რა, რომ... დარწმუნებულია რა, რომ... ადასტურებს რა, რომ... ახსოვს რა, რომ... სამწუხაროდ მიაჩნია რა, რომ... მოუწოდებს სახელმწიფოებს...

ასეთივე წყობა ახასიათებდა და ახლაც ახასიათებს არცთუ იშვიათად საერთაშორისო შეთანხმებისა თუ ხელშეკრულების შესაბამის ადგილს.

მთლად მოსაწონი არ უნდა იყოს ეს მოდელი. ამიტომ საჭირო ფორმელთა მონდომებით მას მოენახა უკეთესი ფორმა:

**I ვარიანტი.** გენერალურ ასამბლევას შეგნებული აქვს, რომ... დარწმუნებულია, რომ... ადასტურებს, რომ... ახსოვს, რომ... სამწუხაროდ მიაჩნია, რომ... და მოუწოდებს სახელმწიფოებს

**II ვარიანტი.** გენერალური ასამბლეა, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ... დარწმუნებულია, რომ... ადასტურებს, რომ... ახსოვს, რომ... სამწუხაროდ მიაჩნია, რომ... მოუწოდებს სახელმწიფოებს...

ამ თვალსაზრისით სანიმუშო უნდა იყოს იმ შეთანხმების პრემბულის ნაწილი, რომელიც 1997 წელს დაიდო საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის დარგებში თანამშრომლობის შესახებ. აი ისიც:

„საქართველოს მთავრობა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობა... თვლიან, რომ სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის დარგების განვითარება... სურთ გააძლიერონ თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის... აღიარებენ, რომ ასეთი თანამშრომლობა შემდგომში ხელს შეუწყობს... ურთიერთობებს... და შეთანხმდნენ შემდეგზე...“.

სიტყვა გაგვიგრძელდა. დავუბრუნდეთ ქვესათაურში გამოტანილ ზმნებს.

მოყვანილ მაგალითებში, რა თქმა უნდა, უპირატესობა მივანიჭეთ უკეთეს ფორმებს. ახლა კი ნამდვილად უკუსაგდებ ფორმებს შევხვით.

განვიხილოთ რამდენიმე წინადადება:

„მაშინ ექსპერტები არ ყოფილან ნორმალური, თუ მიაჩნიათ,



რომ სახელმწიფოს ზარალი არ მიუღია". შეიძლება [საქმის აქტი] (მინუს ასი) ლარი მიიღოს? ეს პაერის, წყლის და მრეწველობის პერატურის დახასიათებისას გვხვდება ან მათემატიკაში ხდება ხოლმე, როცა რაღაც მოქმედების შედეგად იღებენ მინუს ერთს, მინუს ორს და ა.შ. (მათემატიკამ გაგვახსენა: ხშირად ჩვეულებრივის – ორდინარულის ნაცვლად ხმარობენ წმინდა მათემატიკურ ტერმინს: ორდინალურს – ორდინალური რიცხვი, რიგობრივი რიცხვი).

პასუხი ასეთი უნდა იყოს: კაცმა შეიძლება იზარალოს, ზარალი ნახოს, ზარალი განიცადოს (ზარალი მიადგეს, დაზარალებს...).

შემდეგ. ვთქვათ, მოხდა სასწაული და რომელიმე მინისტრმა (წინააღმდეგ „პიტერის პრინციპის“) გადადგომა გადაწყვიტა. იგი პრემიერ-მინისტრს ახლებს გადადგომის არზას, პრემიერი კი ან გაუშვებს მას, ან არა. თუ გაუშვა, დაწერენ, პრემიერ-მინისტრმა მინისტრის გადადგომა მიიღო.

რას იტყვიან? აქ, ისევე როგორც ბევრგან (მიუხედავად იმისა, რომ მიიღებს ზმნის მე-მ მნიშვნელობა გვიდასტურებს მოწონება-თანხმობას), აშკარად ჩანს რუსული принять ზმნის გავლენა, უფრო სწორად, მისი ცალმხრივი გაგების კვალი. ამავე დროს ამ ზმნის მე-მ მნიშვნელობით იგულისხმება: согласиться с чем-нибудь, отнестись к чему-нибудь положительно. სწორედ ამ შესიტყვების გათვალისწინებით მიიღებს ზმნის ნაცვლად ზემოთ მოყვანილ ფრაზასა და სხვა მსგავს შემთხვევებში უნდა ვთქვათ: თანხმება, დაეთანხმა – პრემიერ-მინისტრი დაეთანხმა მინისტრის გადადგომას.

ერთი აზრი აგვეკვიატა: რა იქნება, ჩვენც რომ შევმატოთ ქართულ ენას ერთი გამოთქმა მაინც, მაგალითად, ასეთი: „ერთგუ-

4 ცხოვრობდა შეერთებულ შტატებში ასეთი კაცი – ლოურენს პიტერი (1989 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა), რომელმაც რ. პლათან ერთად 1969 წლის დაწერა წიგნი „პიტერის პრინციპი: რატომ იზღარო-იწყენება საქმე“ – არაკომპეტენტურობის გამოვლენების შემთხვევათა სატარული ქრონიკა.

პიტერის პრინციპის არსი, მოკლედ თუ ვიტყვით, ასეთია: იურარქიული კმით ახლოს კვალობაზე ყოველი მონამსახურე აუღებს თავისი არაკომპეტენტურობის დონის მიღწევის ტენდენციას. ამიტომ რამდენიმე დაწინაურების შემდეგ ამტკიცებს კიდევ არაკომპეტენტურობას, რადგან ვეღარ ართმევს თავს ახალ მოვალეობებს. ყოველივე ამის მიუხედავად იგი რჩება თავის თანამდებობაზე, ვრეცა სხვის საქმეებში, აღერებს მუშაობას. ასე ვრძელდება, სანამ არ მოუწევს პენსიაზე გასვლა. ამავე საკითხზე შეგიძლიათ იხილოთ აგრეთვე სირილ ნორთოკოტ პარკინსონის წიგნი „პარკინსონის კანონები“, პროგრესი, მ., 1989წ.



ლების ფიცის მიტანა"? მაგანი იტყვის, დაუკრეფავში გადადიანო მაგრამ ხომ შეძლეს „წარმატებით გადმოეკართულებინათ“ რუსული принятие присяги და შეექმნათ „ფიცის მიღება“! თუ ანალოგია, ანალოგია იყოს. რუსულში კიდევ არის გამოთქმები: принести клятву, принесение присяги. რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ისინი? მივიღებთ „შესანიშნავ“ გამოთქმას: „ფიცი მიიტანეს“. ივარგებს?

თქვენთვის მოგინდვია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. თუმცა ვიცით, რასაც გვეტყვიან. თავი დაანებეთ დაუკრეფავში სიარულს და წერეთო: ფიცის დადება, ფიცი დადეს, გაიმართა ფიცის დადების ცერემონია და ა.შ.

### კავშირები

ქართულში საკმაოდ არის იმის საშუალებანი, რომ გამოვხატოთ ვინმესთან ან რამესთან დამოკიდებულება, კერძოდ, ადამიანთა თუ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება. ეს არის, მაგალითად, სიტყვები: ურთიერთობა (საადგილმამულო, წარმოებითი, ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური, მეგობრული, საქმიანი ურთიერთობანი...), კავშირურთიერთობა (მეგობრული, პარტნიორული, სტრატეგიული...), ურთიერთდამოკიდებულება, დამოკიდებულება, კავშირი და ა.შ.

აქ გვინდა გამოვყოთ ერთი კატეგორია, სახელდობრ, კავშირი. იგი ერთ შემთხვევაში გამოხატავს ახლო, მჭიდრო ურთიერთობას, მეორეში კი აღნიშნავს საერთო მიზნების, ინტერესების, საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილ გაერთიანებას, ორგანიზაციას, ასოციაციას... (მაგალითად, მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი, მხატვართა კავშირი, ჟურნალისტთა ასოციაცია, სტუდენტთა კავშირი (ლიგა), პროფესიული კავშირი, სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირი და მისთ.). ბუნებრივია, აქ, თუ ლაპარაკია რამდენიმე ასეთ კავშირზე, გამოიყენება მრავლობითის ფორმა – კავშირები.

ამ ბოლო ხანებში კი რატომღაც გახშირდა შემთხვევები, როცა ურთიერთობის, ურთიერთდამოკიდებულებისა და მისთანათა ნაცვლად ხმარობენ სწორედ ამ ფორმას – კავშირები.

აი რამდენიმე მაგალითი:

„ლიტვის არმია უკანასკნელ კავშირებს (უნდა იყოს: კავშირს) წყვეტს რუსეთთან“ „კატარი სპარსეთის ყურის პირველი სახელმწიფო უნდა ყოფილიყო, რომელიც ეკონომიკურ კავშირებს (უნდა იყოს: ურთიერთობას...) დაამყარებდა ისრაელთან“, „გაიმართა შესვედრები, რომლებზეც მხარეებმა განიხილეს ჩქინეთსა და საქარ-



თველოს შორის კავშირების (უნდა იყოს: ურთიერთობის ან კავშირთა ურთიერთობის) განვითარების პერსპექტივები" და სხვა მრავალი.

არ ვიცი, იქნებ ვცდებით, მაგრამ მთლად მარჯვედ მიგნებულ  
ლი ფორმა არ უნდა იყოს ეს „კავშირები“.

### კანონმდებლობა - მპკანონური

კარგა ხანია, დაახლოებით 80-იანი წლებიდან, თუ უფრო ადრე არა, ქართველ იურისტთა ერთი ნაწილის მეტყველებაში გაჩნდა, მერე და მერე გავრცელდა და ახლა კანონის ენაშიც კი დამკვიდრდა გამოთქმები „კანონქვემდებარე აქტი“, „კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები“. მაგალითად, საქართველოს კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“ ამ კატეგორიის მონაწილეობით ჩამოყალიბებულია რამდენიმე მუხლის ზოგიერთი პუნქტი: კერძოდ, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში განმარტებულია, თუ რომელი და ვისი ნორმატიული აქტებია კანონქვემდებარე აქტები, მომდევნო პუნქტი კი ასე გამოიყურება: „3. საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას“. ასეთსავე ფორმებს შევხვდებით პარლამენტართა, პრესისა და რადიო-ტელევიზიის მუშაკთა, საჯარო სამსახურის მოხელეთა ენაში. თითქოს აქ ცუდი არაფერი არ უნდა იყოს. მაგრამ...

მაინც რატომ ვთქვით, ეს კატეგორია იურისტთა ერთი ნაწილის მეტყველებაში გაჩნდა? იმიტომ, რომ მეორე ნაწილის ენაში დიდი ხანია ისმარება „ქვეკანონური აქტი“, „ქვეკანონური ნორმატიული აქტები“. სმარების ხანგრძლივობა, რა თქმა უნდა, არ განსაზღვრავს სისწორეს, მაგრამ ეს ტერმინი ხომ დადასტურებულია იურიდიულ ლიტერატურაში, კერძოდ, „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ და, რაც მთავარია, ქართულ ენციკლოპედიაში. ეს უკანასკნელი გვეუბნება, რომ ქვეკანონური აქტი არის „სახელმწიფო მმართველობის ორგანოსა და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს (უფლებამოსილი ორგანიზაციის) აქტი, რასაც გამოსცემენ კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად. ქვეკანონური აქტის მიზანია კანონით დადგენილი ნორმის განხორციელება...“ (ტ.10, გვ.512). და კიდევ: „აფირმატიული საქმიანობა - კანონით ან ქვეკანონური აქტით გათვალისწინებული პოლიტიკური მოთხოვნა, რომ ორგანიზაციამ პოზიტიური ნაბიჯები გადადგას თავის შემადგენლობაში ქალებისა და უმცირესობათა სვედრითი წილის გასაზრდელად“ („აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა“, მინდია უგრეხელიძის სამეც-





ნიერო რედაქციით, გვ. 260, თბილისი, 1997).


მაშასადამე, გვაქვს ორი ფორმა: „კანონქვემდებარე“ და „ქვემდებარე“. იურისტებს კარგად მოეხსენებათ, რომ როცა ნაქმე ერთ საგანს ეხება, არ შეიძლება ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდეს ორ ტერმინს, ისევე როგორც არ შეიძლება ერთ იურიდიულ კატეგორიას ჰქონდეს ორი და მეტი მნიშვნელობა.

რას უწონებენ „ქვეკანონურს“? იქნებ, იმას, რომ ძალიან ჰგავს რუსულ *подзаконный*-ს და „ბუკვალიზმის“ ბრალდების შიშით უარყოფენ მას? მაგრამ მსგავსი ფორმები ხომ ბლომად არის ქართულში – ქვენიდაგური, ქვეპორიზონტალური, ქვეგაუფური, ქვეზონალური, ქვესინქრონული, ქვეტონალური, ქვევალენტური, ქვეკანძური და მრავალი სხვა – და არაეის დაუწონებია ისინი.

რას უწონებენ „კანონქვემდებარეს“? იქნებ, იმას, რომ ამ სიტყვის ერთი ნაწილი მიანიშნებს მის ადგილს ნორმატიული აქტების „იერარქიულ კიბეზე“? არც უამისობაა, ალბათ. მაგრამ, ეტყობა, ასეთივე წარმატებით შეგვიძლია დაფურთოთ კონსტიტუციის მომდევნო აქტებს „ქვემდებარე“, მაგალითად: „კონსტიტუციურკანონქვემდებარე ორგანული კანონი“ ან „ორგანულიკანონქვემდებარე კანონი“ და ა.შ. მართო ქვემდებარეობა, ანუ მორჩილება უნდა იგულისხმებოდეს აქ?

ამ გახსენებაზე, გვინდა ერთი კითხვა დავსვათ: რომელია უფრო სწორი ფორმა – „ორგანულ კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა კანონის, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტისა... და კანონქვემდებარე აქტების მიმართ“ თუ „თითოეული ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემულ იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც მასთან შედარებით აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა“? მიმართ და შედარებით სიტყვები სულ სხვადასხვა მნიშვნელობისაა.

დაუბრუნდეთ ძირითად სათქმელს. აქ დასკვნა, ალბათ, ასეთი უნდა იყოს. იმის გამო, რომ გვაქვს ორი ტერმინი (ერთ მათგანს, „ქვეკანონურს“, ზურგს უმაგრებს აკადემიური ცნობარები – „იურიდიული ტერმინოლოგია“ და ქართული ენციკლოპედია, მეორეს, „კანონქვემდებარეს“, – ის, რომ იგი ნახმარია კანონის ტექსტში), უნდა დარჩეს ერთი მათგანი. იურისტთა ერთი ნაწილის წინაშე ბოდიშის მოხდით გვინდა ხაზი გაუუსვათ იმას, რომ საწინააღმდეგარაღებუა ენის რომელიმე ნორმატიული აქტით მეორის ხმარების მართებულობა და მიზანშეწონილობა, ჯობს დარჩეს **ქვეკანონური**.



სომ არ ვიმეტებთ „კანონქვემდებარეს“? არამც და არა. მკვე-  
ყანაში, სადაც გამოცხადებულია და მკვიდრდება „კანონის უზენა-  
ესობა“, ყველაფერი კანონქვემდებარეა, ესე იგი კანონს უზენაესობა:  
ჩვენი მოქმედებაც, ჩვენი ქცევაც, ჩვენი ყოველი ნაბიჯიც, ლო-  
ნისძიებაც და სხვ. ორიოდ მაგალითი: „ტრაგედიის პოლიტიკური  
პროვოკაციის მიზნით გამოყენება არა მარტო უზენაობა, კანონ-  
ქვემდებარე ქმედობაა ადამიანის ღირსებისა და პატივის შელახვის  
ბრალდებით“; „...და საქმე ქვემდებარეობით [იგულისხმება განსჯა-  
დობა – საქმეთა განხილვის უფლებამოსილების გამოყენა სასამარ-  
თლოთა შორის. – ავტ.] წარიმართება საქართველოს უზენაეს სა-  
სამართლოში“.

რაკი სიტყვა იურიდიულ ტერმინებზე ჩამოვარდა, განვიხილოთ  
ზოგიერთი მათგანის ხმარების პრაქტიკა.

უპირველეს ყოვლისა საქმე ეხება „უფლებამონაცვლეს“. „ქვეკა-  
ნონურისა“ არ იყოს, მასაც გაუჩნდა, უფრო სწორად, გაუჩინეს მო-  
ცილე ფორმა „სამართალმემკვიდრე“. გამოხატავს კი იგი წინარე  
ფორმის შინაარსს? არა გვევლინა.

არის თუ არა სადმე დადასტურებული „სამართალმემკვიდრე“?  
არსად.

არის თუ არა დადასტურებული „უფლებამონაცვლე“? არის.  
იგი დადასტურებულია „იურიდიული ტერმინოლოგიის“ რუსულ-  
ქართულ ნაწილში, სადაც წერია:

правопреемник – უფლებამონაცვლე...

правопреемник сингулярный – სინგულარული, ცალკეობი-  
თი უფლებამონაცვლე...

правопреемник универсальный – უნივერსალური, საერთო  
უფლებამონაცვლე და სხვ.,


აგრეთვე:

правопреемство – უფლებამონაცვლეობა, საერთო, სინგულა-  
რული (ცალკეობითი); უნივერსალური უფლებამონაცვლეობა და  
ა.შ.

დადასტურებულია преемство-ც: 1. მონაცვლეობა; 2. მემ-  
კვიდრეობა; 3. თანამიმდევრობა; საერთო, პირველადი, უფლებრი-  
ვი, წარმოებული, სინგულარული, უნივერსალური მონაცვლეობა.

ნახსენებ წყაროში დადასტურებულია აგრეთვე наследство-ს,  
наследник-ის ნაირგვარი ფორმები.

ამავე დროს ორსავე შემთხვევაში გვხვდება ერთი საინტერესო მო-  
მენტი. ეს არის: наследственное правопреемство, რაც ქართუ-



ლად ნიშნავს მემკვიდრეობით უფლებამონაცვლებას. ასლბ ვერც  
 წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მართალი არიან ისინი, ვინც მართლ  
 უჭერს „სამართალმემკვიდრეს“, და ჩაესვათ ეს ფორმა მოყვანილ კონ-  
 სტრუქციასში. გამოვა: მემკვიდრეობითი სამართალმემკვიდრე, მემ-  
 კვიდრეობითი სამართალმემკვიდრეობა. უნაკლო და გასაგებია?

ასლა ჩავიხედოთ ენციკლოპედიაში. იქ წავიკითხავთ, რომ:

– უფლებამონაცვლეობა არის უფლება-მოვალეობის გადასვლა  
 ერთი პირიდან მეორეზე (მაგ., გარდაცვლილი მოქალაქიდან მის  
 მემკვიდრეზე). უფლებამონაცვლეობა ნიშნავს უფლებებისა და მო-  
 ვალეობების სუბიექტის შეცვლას, ერთი პირი – მონაცვლე სხვის,  
 თავისი წინამორბედის ადგილს იკავებს, მართლ-ურთიერთობის (აი  
 სად გამოიწინა სამართალი! – ავტ.) შინაარსი კი არ იცვლება...;

– უფლებამონაცვლეობა საერთაშორისო სამართალში არის უფ-  
 ლება-მოვალეობის გადასვლა ერთი სახელმწიფოდან მეორეზე ტე-  
 რიტორიული ცვლილების ან მასთან დაკავშირებული მოვლენების  
 დროს (ასალი სახელმწიფოს წარმოშობა, ერთი სახელმწიფოს შეს-  
 ვლა მეორის შემადგენლობაში, სახელმწიფოს დაყოფა, გამოყოფა  
 და ა.შ.)...

ამგანსაზღვრებას რამდენადმე ენმიანება თუნდაც ასეთი ფრაზა,  
 აღებული სტანისლავ შუშკევიჩის (რუსეთის, უკრაინისა და ბელა-  
 რუსის ხელმძღვანელთა 1991 წლის 8 დეკემბერს ბელოვეჟის ტევ-  
 რში გამართული ცნობილი შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის) მო-  
 გონებიდან: *Украине нужно было... признание ее независимости  
 Россией – не как наследником бывшего СССР, а как глав-  
 ным правопреемником...* („სეობოდნაია გრუზია“, 14.VIII.99).  
 როგორც ვხედავთ, აქ ამ ორ ტერმინს (наследник, правопреем-  
 ник) შორის პრინციპული განსხვავებაა. მაშასადამე, ქართულად  
 პირველ შემთხვევაში გვექნება „მემკვიდრე“, მეორეში – „უფლება-  
 მონაცვლე“.

ალბათ, კმარა საბუთების მოყვანა. უნდა ვწეროთ: **უფლებამო-  
 ნაცვლე**.

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ორ წინადადებას:

...„დარჩენილი თანხა ჩაერიცხოს „საქაგროსერვისს“ – „საქსოფ-  
 ლნაყოფიერების“ სამართალმემკვიდრეს (უნდა იყოს: **უფლებამო-  
 ნაცვლეს**)“;

„გენერალურმა პროკურორმა განსაკუთრებული თანადგომა და  
 აქტიურობა სთხოვა ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას,  
 როგორც კრედიტის გამცემის **უფლებამონაცვლეს**, გაცემული



თანხების სახელმწიფოსათვის დასაბრუნებლად”.

**ქმედება, ქმედობა, მოქმედება.** ქვემოთ მოყვანილი მაგალითების განხილვა დაგვანახებს, რომ უწყალოდ იდევნება მოქმედება, რომელსაც ენაცვლებიან **ქმედება** (ძირითადად) და **ქმედობა**. აქ გამრავალფეროვნების საფუძველი რომ ჩანდეს, ვინ იქნებოდა წინააღმდეგი, მაგრამ ასე რომ არ არის?

...ამერიკის შვერთებულ შტატებს მსგავსი ქმედება რუსეთის წინააღმდეგ რომ განქორციელებინათ (თან-ი ზედმეტია!), იგი გასცემდა განკარგულებას საპასუხო დარტყმების შესახებ”; „საქართველოში გადმოსულ შვიარალებულ ჯგუფს დაგვგმილი აქვს ქმედებები (!) საქართველოში მყოფი სამშვიდობო ძალებისა და რუსეთის საშვედრო შენაერთების წინააღმდეგ”; „...რატიფიკაციის შემდეგ აფხაზეთის მიმართ ექსტრაორდინალურ (-რულ!) ქმედებებს ადგილი არ ექნება (!)”; „რუსეთის ოფიცერთა და ჯარისკაცთა დანაშაულებრივი ქმედების ფაქტების მზილებას რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა პროვოკაციული უწოდეს”; „მოქალაქეთა კავშირის წევრი... თანაფრაქციელთა უადგილო აგიოტაჟს დღემდე პოპულისტურ ქმედობად მიიჩნევს...”; „რუსეთის ინტერესი ამ რეგიონში სცილდება ჩვეულებრივ კონკურენტულ სავაჭრო-ეკონომიკურ ქმედებებს და ატარებს სტრატეგიული პარტნიორობის ხასიათს”. „ლევატი (სანდერძო დანაკისრი. - ავტ.) შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც რაიმე ქმედების შესრულებას ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირის მიმართ, ისე საერთო-სასარგებლო მიზნითაც”; „იმ შემკვიდრის გარდაცვალების შემთხვევაში, რომელსაც ანდერძით საერთო-სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების [სწორია. - ავტ.] შესრულება ევალებოდა...” და ა.შ.

ახლა გავარკვიოთ, რას ნიშნავს ქმედება და სად იხმარება იგი. არც ორთოგრაფიული ლექსიკონი, არც განმარტებითი ლექსიკონი და არც იურიდიული ტერმინოლოგია არ ადასტურებს ამ სიტყვას. სამაგიეროდ იგი გვხვდება „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში”, სადაც „მოქმედება” ფორმის ხმარების მრავალ (56) შემთხვევასთან ერთად არის სამიოდე გამოთქმა: „ორმაგი **ქმედება**”, „მარგი **ქმედება**” და **უკუქმედება**. ენციკლოპედიის მიხედვით კი ქმედება არის ფიზიკური სიდიდე, რომელსაც ენერჯიის დროზე ნამრავლის განზომილება აქვს და სისტემის მოძრაობის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია (კლასიკური მექანიკა, დრეკადობის თეორია, ელექტროდინამიკა, თერმოდინამიკა, კვანტური მექანიკა). ამავე სიტყვის მონაწილეობით ჩამოყალიბებულია ნიუტონის მესამე



კანონი – ქმედებისა და უკუქმედების კანონი.

რადგან „უკუ“ ვახსენეთ, ერთ გარემოებას გვინდა მივამატოთ უკუაღდება. როცა კანონის მოქმედების დროის ფარგლებში ვართ პარაკი, ამბობენ და წერენ ხოლმე, ამა და ამ კანონს უკუძალა არა აქვს ან: უკუქცევითი ძალა არა აქვსო. ვინაიდან ვერც ერთი ეს გამოთქმა თავისი ნაკლის გამო ვერ პოულობს ასახვას წყაროებში, უნდა ვიხმაროთ „იურიდიული ტერმინოლოგიით“ დადასტურებული და დიდი ხანია მეტყველებაში დამკვიდრებული შესიტყვება უკუმოქმედებითი ძალა.

**ქმედობა.** ეს სიტყვა, როგორც „მოქმედების“ პარალელური ფორმა, ორთოგრაფიული და განმარტებითი ლექსიკონებით „უფლებამოსილია“ მოქმედებდეს უფრო ფართო დიაპაზონით, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მნიშვნელობას, რომელსაც „იურიდიული ტერმინოლოგია“ ანიჭებს მას. იურიდიული თვალსაზრისით იგი უტოლდება რუსულ деяние კატეგორიას და თავისი თხუთმეტი მნიშვნელობით ძირითადად მოიცავს ორ მომენტს. ეს არის „მოქმედება“ და „უმოქმედობა“.

ამ უკანასკნელის იურიდიულ დატვირთვას გვაცნობს აგრეთვე ქართული ენციკლოპედია, რომლის მიხედვით, დანაშაულებრივი უმოქმედობა არის „სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედობის (დანაშაულის) პასიური ფორმა, გამოხატული ისეთი მოქმედების შეუსრულებლობით, რომლის შესრულება მოქალაქეს ვვალდებოდა და შეეძლო კიდევ. მოქმედების მოვალეობას წარმოშობს კანონი, ქვეკანონური აქტი, პროფემდგომარეობა... უმოქმედობის წინარე მოქმედება, რომელმაც საფრთხე შეუქმნა საზ. ინტერესებს... დანაშაულებრივი უმოქმედობა ზოგჯერ თავისთავად ისჯება...“ [საზგასმა ჩვენია. – ავტ.].

ამავე ინვენტარით არის შედგენილი იურიდიული დოკუმენტიდან ამოღებული ფრაზები: „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა)“, „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც...“.

როგორ მოვიქცეთ? როგორ და:

- ა) მოქმედება ვიხმაროთ შეუზღუდავად;
- ბ) ქმედება დავანებოთ ტექნიკის, ფიზიკის, მექანიკისა და სხვა მსგავსი დარგების საეციალისტებს;
- გ) ქმედობა ძირითადად გადავულოცოთ სამართალდაცვის ორგანოებს.



დავწერეთ „გ“ პუნქტში „სამართალდაცვის ორგანოები“ და კი  
ნალამ გადაჭაზეთ სიტყვა „სამართალდაცვის“, რათა მისი შესატყვისად  
ჩაგვესვა ბოლო წლების გადასარევი „შენაძენი“, რამდენადაც ეს შესა  
ქვია ყური, რომ არც კი გვეწოთირება. გავარჩიოთ ერთი წინადა-  
დება:

„დიდი კამპანია (კიდევ კარგი, კომპანია რომ არ თქვეს) გაშლი-  
ლი სამართალდამცავი, ძალისმიერი სისტემებისა და პროკურატუ-  
რის დისკრეტიზაციის მიზნით“.

რა ნაკლი აქვს ამ წინადადებას? სამი უხეში შეცდომაა შიგ.

ჯერ ერთი, პროკურატურაც ეგრეთ წოდებულ სამართალდამ-  
ცავ ორგანოებს განეკუთვნება, აქ კი ცალკეა ნახსენები.

მეორე, „სამართალდამცავი“ რაღა? უხეირო თარგმანია რუსუ-  
ლი შესიტყვებისა правоохранительные органы. მხედველობიდან  
გამორჩენიათ, რომ დამცავი არის ის, რაც იცავს (მუხდამცავი, დამ-  
ცავი ზოლი, დამცავი სამარჯვი, დამცავი სათვალე, დამცავი მექა-  
ნიზმი [ვინაიდან სალიტერატურო ენას დამცავი მექანიზმი აქვს,  
გარემოებისდაკვალად ხერხდება კონტროლი მისი „შემღვრევის ხა-  
რისხისა“. ნეტამც ასე იყოს!], და წამდაუწუმ „გვთავაზობენ“ ზემოთ  
მოყვანილი წინადადების მსგავს ფრაზებს, მეტიც, „დამცავი“ გაამ-  
რავლობითეს და ახლა უკვე სამართალდამცავებად ნათლავენ სა-  
მართალდამცველებს: „...ჩვენს სამართალდამცავებს დიდი შრომა  
დასჭირდებათ მდგომარეობის გამოსასწორებლად“, „სამართალდამ-  
ცავთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებების ვადამეტების შემ-  
თხვევებში...“ და მისთ.

არის თუ არა გამოსავალი? რა თქმა უნდა, არის. აქ ორი ვარი-  
ანტი შეიძლება იყოს. ერთია „სამართალდაცვის“, მეორეა „სამარ-  
თალდაცვითი“. ანალოგიას თუ მივიღებთ მხედველობაში (ჯანდაც-  
ვის სამინისტრო, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დე-  
პარტამენტი, საკუთრების დაცვის პოლიცია, სახელმწიფო დაცვის  
სპეციალური სამსახური და სხვ.), მაშინ თამამად შეგვიძლია დავ-  
წერგოთ (ინერგება კიდევ) სიტყვა სამართალდაცვის (ორგანოები,  
სისტემა, სტრუქტურები...), სამართალდაცვითი კი შეიძლება ვინ-  
მართ იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება ღონისძიებებს, ზომებს,  
მოქმედებას, ტაქტიკას, პოლიტიკას და მისთ.

განსახილველ წინადადებაში არის კიდევ სიტყვა ძალისმიერი.  
რას ნიშნავს იგი? ...ძალაზე დაყრდნობილი, ძალის გამოყენებით  
შესრულებული. *ძ. თამაში (ფეხბურთში). - ძ. ვარჯიში* (დაუშა-  
ტებდით: *ძ. მოქმედება, ხერხები, მეთოდები...*), - ასე ხსნის



მას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“.

ჩვენ კი გაევიგონეთ შედარებით ახალი რუსული გამოთქმა **вые структуры** და დაუფიქრებლად (ესაა რომ გელუბავს!) მიუღწერათ მას **ძალისმიერი**: „საქართველოს ძალისმიერ სტრუქტურათა ხელმძღვანელები“, „ძალისმიერი მინისტრები (!)“, „აფხაზეთის პრობლემაზე საუბრისას არც ისე იშვიათად ახსენებენ ხოლმე საქართველოს ძალისმიერ სტრუქტურებს...“, „უნდა ჩატარებულიყო მოსმენა ძალისმიერი სამსახურებისა და ხელისუფლების მზადყოფნასთან დაკავშირებით“, „...იქ საქართველოს არც ერთი ძალისმიერი სტრუქტურის წარმომადგენელი არ ყოფილა“ და სხვ. (მდრ. „აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება“).

რა უნდა გვეხმარა? რა და ძალოვანი! „ძალური“ ტექნიკური ტერმინია, „ძალმოსილი“ სხვაგვარ კონტექსტს უფრო შევინს.

ძალოვანმა სტრუქტურამ გაგვასხენა კიდევ ერთი საჭირობო-ტო საკითხი, რომელიც უსაფრთხოება და უშიშროება კატეგორიების გამოყენების პრაქტიკას ეხება.

სანამ პრაქტიკაზე ვიტყვოდეთ რამეს, ლექსიკონები მოვიშველიოთ და გავარკვიოთ, როდის და სად იხმარება ეს სიტყვები.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“: „უშიშროება... 2. მდგომარეობა, როდესაც რისამე საფრთხე არ არსებობს. რაიმე საშიშროება, საფრთხე არ ემუქრება ვისმე, რასმე. სახელმწიფოს უშიშროების დაცვა. — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო“.

„ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ ვერსად ნახავთ ამ ერთეულს, არის მხოლოდ „უსაფრთხოება“: მოძრაობის, სახანძრო, სამუშაო-თა, რადიაციული, ექსპლუატაციის უსაფრთხოება.

ენციკლოპედიაში თუმცა არ არის ეს კატეგორიები ცალკე ასახული, მაგრამ განმარტებულია ორი ცნება: უსაფრთხოების ტექნიკა (საორგანიზაციო და ტექნიკური ღონისძიებები) და უშიშროების საბჭო (გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა), რომელსაც მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია.

სხვაგვარად არის საქმე „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“. აქ ამ ორი სიტყვის მნიშვნელობა გაიგივებულია: საგარეო, შინაგანი, სახელმწიფო, კოლექტიური, პირადი, საერთაშორისო, საზოგადოებრივი უშიშროება II უსაფრთხოება.

ამავე დროს პრაქტიკა გვიჩვენებს ამ ორი ტერმინის გამიჯვნის ტენდენციას, იმის ტენდენციას, რომ რუსული **безопасность**-ისა-

გან განსხვავებით ერთ შემთხვევაში – ტექნოგენური პროცესებით, ბუნების მოვლენებით განპირობებულ სიტუაციებში – ხმარობენ უსაფრთხოებას (ამიტომაც არის, რომ ქვეყანაში შექმნილი უსაფრთხოების მწყობრი სისტემა – ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია, სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტი...) და მეორე შემთხვევაში, როცა საქმე ექვება სახელმწიფოს, საზოგადოების ან მის ცალკეულ წევრთა უშიშროებას, ხმარობენ უპირატესად უშიშროებას (აქაც შექმნილია შესაბამისი სისტემა – ეროვნული უშიშროების საბჭო, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, რომლის ამოცანა, ლოგიკით, უნდა იყოს, კრძოდ, სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, მეცნიერული, ინფორმაციული, სასურსათო, ეკოლოგიური და მისთანათა უშიშროების უზრუნველყოფა).

რამდენიმე მაგალითი: „ამ სამსახურს თვითონ კოდში უდევს ისეთი სერი. 1-ზელი ფუნქცია, როგორიც არის უშიშროება – სახელმწიფო უშიშროება, მას ფუნქციაში უდევს და უნდა უზრუნველყოს პრეზიდენტის უშიშროება, მან უნდა უზრუნველყოს და დაიცვას თითოეული მოქალაქის უშიშროება“ (სპეციალისტის სტატია); „საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უშიშროებას სამინაო და საგარეო საფრთხისაგან“ (სამინისტროს დებულება); „ეს ჩვენი ქვეყნისათვის პოლიტიკური უშიშროების პირობების შექმნასაც მოასწავებს“ (საქართველოს პრეზიდენტის რადიოინტერვიუ).

ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, თუ სად და როდის უნდა ვიხმაროთ ეს ორი კატეგორია. ამიტომ რამენაირად უნდა ვეცადოთ, რომ იურიდიულ აქტებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში მაინც თავ-თავის ადგილას ვხმარობდეთ „უსაფრთხოებას“ და „უშიშროებას“.

სხვათა შორის, ასეთივე პრობლემა დგება, როცა საქმე ექვება კიდევ ორი იურიდიული ტერმინის – „ძალაუფლებისა“ და „ხელისუფლების“ გაგება-განმარტებასა და ხმარების პრაქტიკას.

მოდით, ერთი მაგალითი გავაჩიოთ და მერე გადავწყვიტოთ, თუ რა მოვიმოქმედოთ.

„თვითნებურად მითვისება ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდებისა, რასაც თან ახლდა რაიმე საზოგადოებრივად სამიში მოქმედების ჩადენა, ისეუბნა...“, – ეს არის ძველი, 1977 წელს გამოცემული სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის დასაწ-



ყისი (კიდევთა რამდენიმე მუსლი, სადაც გვხვდება მსგავსი შესიტყვებანი: „ხელისუფლების გადაბრუნება“, „ხელისუფლების ბორჯბრუნება“ (გამოყენება...), რომელიც რუსულ ნაწილში ასეა ჩამოყალიბებული: ...Самовольное присвоение власти или звания должностного лица... რუსული თარგმანი არაერთად უჭვს არ ზადებს, მაგრამ ქართული...

რას ითვინებს მაგანი – ცალკე ჰაერში გამოკიდებულ, „ხელისუფლებას“ და მერე – „ან თანამდებობის პირის წოდებას“? ასეა კი? ამ კითხვაზე სწორ პასუხს გვაძლევს კოდექსის სააღმკვეტო-საგნობრივი მარჯვენელი: „თვინებურად მითვისება – თანამდებობის პირის წოდების ან ხელისუფლების...“ (გვ. 187).

ამვე ფორმას გვიდასტურებს რუსეთის ფედერაციის ძველი სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი (იხ. УК РСФСР, 77-ე მუხ. გვ. 112, М., 1946), სადაც ვკითხულობთ: Самовольное присвоение себе звания или власти должностного лица....

ასლა მორე კუთხით მივუდგეთ ამ საკითხს. წოდების გარდა რას ითვინებს მაგანი, ხელისუფლებას თუ ძალაუფლებას? აქ ზანალურ უზურპაციასთან გვაქვს საქმე, უზურპაცია კი არის „უკანონოდ ხელში ჩაგდება (ძალაუფლებისა), მითვისება (სხვისი უფლებებისა)“.

ამ განმარტების შუქზე საესებით ბუნებრივად ჩანს გამოთქმები: „გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბორჯბრუნება გამოყენების გამო“ (სამოქალაქო კოდექსი); „დამფუძნებელმა კრებამ ძალაუფლება სამხედრო დიქტატორს გენერალ კავენიაკს გადასცა“ (ისტორიის სახელმძღვანელო); „პორფირი... წითელი ფერის ძვირფასი სამეფო წამოსასხამი (მეფის ძალაუფლების სიმბოლო)...“ (ქველ); „შინაგანი მიზეზები ყოველთვის დაკავშირებულია საზოგადოების ცალკეული ფენების ან ჯგუფების მისწრაფებასთან დაუფლონ პოლიტიკურ ძალაუფლებას...“ (გაზეთი); „ამბობენ, რომ ადამიანი გამოჩნდება ორი რამით – ძალაუფლებით და ფულით. ძალაუფლება მქონდა და, ვფიქრობ, არანაირი შემოქმედება ჩემზე არ მოუხდენია“ (გაზეთი); „ისინი არ გამოიყენება, თუ რომელიმე მხარის ტერიტორიაზე მოღვაწეობა უკავშირდება... ოფიციალური ხელისუფლების ძალაუფლების აღსრულებას“ (ხელშეკრულება).

ამ ბოლო ფრაზის ხაზგასმულმა ადგილმა განგვიმტკიცა ის აზრი, რომ მეტ წილ შემთხვევებში (ასლა უფრო, ვიდრე ოდესმე) ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ „ხელისუფლება“ და „ძალაუფლება“ და გავარკვიოთ, სად მთავრდება პირველი და სად იწყება მეორე. მაშასადამე, თავში მოყვანილ მაგალითში ფრაზა, ალბათ, ასე



უნდა გაიმართოს: „თვითნებურად მითვისება თანამდებობის პირის წოდების ან ძალაუფლების (ან, პირიქით: ძალაუფლების მქონე წოდების), რასაც თან ახლდა რაიმე საზოგადოებრივად სწავლილი მოქმედება“ მედების ჩადენა...“.

ასევე უნდა იყოს, მაგალითად, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ძალაუფლების გადამეტება და ა.შ.

### მართლმადიდებლური – მართლმადიდებელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თავის გამოსვლებში ქართულ ეკლესიას ყოველთვის მოიხსენიებს როგორც მართლმადიდებელ ეკლესიას. ასეთსავე ფორმას შეხვდებით, მაგალითად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1997 წლის 28 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „ეკლესიის სასიკეთო კანონი ერის ინტერესებს ემსახურება“: „მიენიჭოს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას განსაკუთრებული სტატუსი“, „...შეიქმნას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების სისტემა“, „...მიეცეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ქორწინების, დაბადების და სხვა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის უფლება“ და ა.შ. ასევე მართლმადიდებელია სამღვდლოება, მრევლი, ქვეყანა, ერი, ადამიანი... ბოლო ხანებში კი ამ კონტექსტით საკმაოდ ხშირად მეტყველებასა და დამწერლობაში იხმარება მართლმადიდებლური. რამდენად სწორია?

პასუხი ამ კითხვაზე დიდი ხანია ამოწერილი გვაქვს, კერძოდ, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელიდან“. აი ისიც:

„...ეკლესია... გარკვეული პირი, ინდივიდუმი და, როგორც პირი, ინდივიდუმი, არ შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც მართლმადიდებლური; ისევე როგორც კაცი, პიროვნება, ინდივიდუმი არ შეიძლება იყოს გაბედული, ჭკვიანური, გონებამახვილური..., ასევე არ შეიძლება „მართლმადიდებლური“, არამედ „გამბედავი“, „ჭკვიანი“, „მართლმადიდებელი“ და სხვა“.

სამაგიეროდ მართლმადიდებლური ეთქმის კულტურას, ტრადიციებს, ერთიანობას, აღზრდა-განათლებას, მოძღვრებას, ლოცვას, კანონებს, საიდუმლოებებსა და ა.შ. (სხვათა შორის, დებულება, ნაშრომი, დოკუმენტი და მისთანანი ფუძემდებლური კი არა, ფუძემდებელია. „ფუძემდებელი... 2. (წიგნ.) რაც რისამე საფუძველს წარმოადგენს, – ამოსავალი, ძირითადი. ფ. პრინციპები. ივ.ჯავახიშვილის ფ. ნაშრომები.“) (ქველ).



## მასობრივი, მასიური, მასირებული

ქართული  
ლიტერატურა

ძალიან ხშირად გვერევა ერთმანეთში ეს სიტყვები, განსაკუთრებით მასობრივი და მასიური, და ამით ვიქმნით პრობლემას. რაკი ასეა, გაეარკვიოთ მათი მნიშვნელობა. ყველა წყარო გვეუბნება, რომ:

– მასიური არის ის, რასაც დიდი მასა, დიდი მოცულობა აქვს (მასიური სახლი, მასიური კარადა, მასიური მაგიდა და მისთ.);

– მასობრივი – ფართო წრეებისა; საყოველთაო, მრავალთა მონაწილეობით შესრულებული; მასებისათვის განკუთვნილი, მრავალრიცხოვანი (მასობრივი დემონსტრაცია, მასობრივი ბიბლიოთეკა, მასობრივი ცეკვები, მასობრივი მოხმარების საქონელი, მასობრივი ტირაჟით გამოცემული ბროშურა და სხვ.);

– მასირებული (მასირება) სამხედრო ტერმინია და ამიტომ ნაკლებად გაერცვლებული. ეს არის ერთ ადგილზე თავმოყრილი, შეკრუვებული (არტილერიის შეეკრუება ფრონტის გარღვევის უბანზე... მასირებული იერიში, მასირებული დაბომბვა, მასირებული ცეცხლდაშენა, ძალებისა და საშუალებების მასირება, მასირებული თავდაცვა (ფეხბურთში)...

ამ განმარტებათა მიხედვით გავასწოროთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებანი:

„იანერის შუა რიცხვებში დაიწყება დევნილთა მასიური (უნდა იყოს: მასობრივი), ორგანიზებული დაბრუნება“; „სისხლიანი ქილევბი სიმბოლოურად განასახიერებდა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მიერ ამრიტსარში (ამრიტსარში!) მოწყობილ მასიურ (უნდა იყოს: მასობრივ ხოცვა-გლეტას“; აქ, ჩვენი აზრით, საერთოდ არ არის საჭირო არც მასიური, არც მასობრივი, რადგან თვით გამოთქმა „ხოცვა-გლეტა“ მოწმობს აქციის მასშტაბს. – ავტ.); „აკრძალვა რუსეთში... დაავადებული ინგლისური ზორცის მასიურად (უნდა იყოს: მასობრივად) გაყიდვის ფაქტებს მოაყვა“; „არის მიწის მასიური (უნდა იყოს: მასობრივი) მიტოვების საშიშროება“; „ამ ჭკვიანურმა გადაწყვეტილებამ ლამის მასიური (უნდა იყოს: მასობრივი) ჭყლეტა გამოიწვია“; „მოსახლეობის მიმართ მკაცრი სანქციები მასიურად (უნდა იყოს: მასობრივად) არ გაგეიტარებია“; „ეს მასიური (უნდა იყოს: მასობრივი) ძარცვა-გლეტვა ძალზე უარყოფითად იმოქმედებს ზღვის კუს მომავალ გამრავლებაზე“; „მოწინააღმდეგეზე შეტევა დაიწყო მასობრივი (უნდა იყოს: მასირებული) დარტყმებით“; „გამოჩენილი ადგილი უკავია იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც დაკავშირებულია... სახელმწიფო მმართველო“



ბაში, მასიური საინფორმაციო და საკომუნიკაციო (უნდა იყოს: მა- სობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის) საშუალებებში დიდი საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებისას სულაც არ ყოფილა ძნელი ამ პრობლემის გადაჭრა.

### მრავლობითის ბამრავლება. როდენად?

„71. სახელთა თავისებურებანი მრავლობითის წარმოების დროს. ადამიანთა სახელებს გარდა, ზოგიერთი სხვა სახელიც არ აწარმოებს მრავლობითის ფორმებს (მაგ.: მტვერი, ხილი, პაერი). განსაკუთრებით მრავლობითი რიცხვი არა აქვთ ნივთიერებათა, აბსტრაქტულსა და მოქმედების სახელებს.

1. ნივთიერებათა სახელები. ნივთიერებათა სახელების თავისებურება ის არის, რომ მრავლობითი რიცხვის ფორმები მათ ჩვეულებრივ არ გააჩნიათ; არ ითქმის: ვერცხლები, რკინები, სპილენძები, ლობიოები, თაფლები და სხვ. მაგრამ, როცა ასეთი სიტყვა აღნიშნავს არა საზოგადოდ ნივთიერებას, არამედ ამ ნივთიერების ერთ სახეს ან ის სხვა მნიშვნელობით არის ნახმარი, მაშინ მას შეუძლია მრავლობითის ფორმაც მიიღოს; მაგ., „საქართველოში ბევრია წყლები“ (იგულისხმება მდინარეები); ან კიდევ: „თბილისში ფქვილები შემოზიდეს“ (ეთქვათ: სიმინდისა, დიკისა, ქერისა, სვილისა (ჭვავისა) და სხვ.); ჩვეულებრივ ვამბობთ: „ღვინოს ვსვამ“, „ღვინო დავლიე“ და სხვ. (მხოლოდითის ფორმით), მაგრამ ღვინოებიც ითქმის, თუ სხვადასხვანაირი ღვინო გვაქვს მხედველობაში: კახური, იმერული, რაჭული, ყირიმული, შამპანური (და არა შამპანიური. — ავტ.) და სხვ.

2. აბსტრაქტული სახელები. აბსტრაქტული (ანუ განყენებული) სახელებისაგან კიდევ უფრო ჭირს მრავლობითის წარმოება: სიღამაზე, სიგრილე, სიბეჭავე, სიწითლე, გულწრფელობა, ერთგულება, მამულიშვილობა და სხვა ასეთები ჩვეულებრივ მარტო მხოლოდითის ფორმით გვხვდება.

3. მოქმედების სახელები. მოქმედების სახელები (წერა, კითხვა, თხრა, კეთება, ჭრა, ღლევა და სხვ.) მრავლობითის ფორმით არ იხმარება“. (ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი I, ფონეტიკა და მორფოლოგია, სახელმძღვანელო V-VI კლასებისათვის).

როგორ ვიცავთ დიდი მეცნიერის სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულ ამ წესებს? ერთობ „შემოქმედებითად“!

„სროლები, ყაჩაღობები, მკვლელობები“ — ერთ სესიაზე ერთი კაცის ნათქვამი, „დსთ-ს ქვეყნების უშიშროებათა სამსახურების საბ-

ჭოს მორიგი შეხვედრა" – ამ ფორმას რუსულშიც ვერ ნახავთ, ექვს ნებ არ მინდა პასუხისმგებლობების აღება (!)", „...ვაჭრობა და პოლიტიკაში მონაწილეობა სწორედ ის საქმიანობებია, რომლებსაც... „პროფესიული მოწამელები...“, განაცხადეს, რომ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები ამოქმედდა, „მიმდინარე წლის ივლისში ივარაუდება სომხეთში ერთობლივი სომხურ-რუსული სწავლებების ჩატარება“, „მინდა გამოვთქვა რამდენიმე შეშფოთება“, ჩატარებული კამათების შემდეგ მიიღეს რეზოლუცია“, „სისტემას უნდა ჰქონდეს შემდეგი სახის უზრუნველყოფები“, „განხილვები“, „შემოსავლები“, „არგადახდები“ (ამის მხოლოდობითიც არ უქნია ღმერთს. არის გადაუხდელობა და ეს უნდა ვისმაროთ, ისევე როგორც შემოსავალი და არა „შემოსავლები“. იხ. „რუსულ-ქართული ლექსიკონი“), „ბანდიტობები“, „მარაგები“, „გამოცდილებები“, „მცდელობები“, „პუმანიტარული დახმარებები“, „ტემპები“, „მასშტაბები“, „ლაპარაკები“, „ფრენები“, „მდგომარეობები“, „რემონტები“, „დავები“, „მომსახურებები“, „რეკევი“, „კენჭისყრები“, „კოცნები“ (კოცნა იგულისხმება) და ასე დაუსრულებლად. მალე, ალბათ, „მრეწველობებს“, „გაგრებსა“ და „წყნეთებს“ ვიტყვი.


სამაგიეროდ „მხოლოდობითობა“ მივუსაჯეთ „რომელიც“ მიმართებით ნაცვალსახელს, რომლის ხმარების წესები ასეა ჩამოყალიბებული ა. შანიძისა და ლ. კვაჭაძის გრამატიკის სახელმძღვანელოში:

„მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ რიცხვში შეეწყობა მთავარი წინადადების იმ წევრს, რომელსაც მიემართება ანუ განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადება, სახელდობრ:

1. თუ მთავარი წინადადების საზღვრული სახელი მხოლოდობით რიცხვშია, მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ აგრეთვე მხოლოდობითში უნდა დაისვას: „მეფე გაუმასპინძლდა **ჯვარს, რომელიც** დაბანაკებული იყო მტკვრის გაღმა, გორის პირდაპირ“ (ბარნ.).

2. თუ დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს მრავლობითში დასმულ სახელს, მიმართებითი ნაცვალსახელიც მრავლობითში უნდა დაისვას: „**ფრინველები, რომელნიც** ტკბილი ჭიკჭიკით დღეს ესალმებოდნენ, გაუმდნენ“ (ყაზ.).

3. „რომელიც“ მრავლობითში დაისმის იმ შემთხვევაშიც, თუ ის მიემართება რამდენიმე სახელს ან მხოლოდობითში დასმულ სახელს, რომელსაც განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის გამომხატველი სიტყვა (ორი, სამი, ბევრი, მრავალი, რამდენიმე, ყველა): „**ონისე და გუგუა, რომელთაც** დღეს დარბაისლობა უნდა გამოეჩი-



ნათ, ისხდნენ გაუნძრველად" (ყაზ.): „მოპირდაპირე შეჩვიდნენ ხევი...  
კაცი გამორჩნდა, რომელიც სიფრთხილით მოდიოდნენ...“

ასლა ენასოთ მაგალითები, რომელთა მსგავსს კონსტრუქციებს  
თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით:

„კონტაქტებს ამყარებს დასავლეთის სამხედრო წრეებთან, რომ-  
ლის წარმომადგენლები ალტაცებას ვერ მაღაფენ...“; „გამონათქვა-  
მები, რომლითაც პარლამენტარი...“; „...ეწინააღმდეგება პრინცი-  
პებს, რომლითაც...“; „...ჯერ კიდევ დარჩა ნაღმები, რომელიც უნ-  
და აფეთქდეს“; „გააფორმა ოთხი კონტრაქტი, რომლითაც...“;  
„...მოითხოვოს ნორმატივები, რომლის საფუძველზე...“; „...განსაზ-  
ღვრულია... სამსახურებრივი მოკვლევის წესებით, რომელსაც ამ-  
ტყიცებს...“ „გამოვლინდა მრავალი დარღვევა, რომელიც...“

მრავლობითთან დაკავშირებულია კიდევ ერთი დარღვევა: „რუ-  
სეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი მზად არის საქართველოს ელექ-  
ტროენერგია მიაწოდოს“, „ჩეჩნეთის მონაკვეთზე სასლვარს იცავს  
საქართველოს სასაზღვრო ჯარები“ და ა.შ.

აი რა დღეს ვაყრიოთ, როგორ ვუცვლით ბუნებას ჩვენს ენას!

### მცდელობა - ცდა

იცით თუ არა, რას ნიშნავს კოვზის ჩავარდნა ნაცარში?

„როდესაც, კერძის ჭამის დროს, კერძის პირას, კაცს კოვზი ხე-  
ლიდან გაუვარდება და ნაცარში ჩაუვარდება, ჭამის პროცესი  
ბრკოლდება, და დღეს, როცა მოულოდნელად ხელი მოგვეცარება  
საქმეში, ჩვენი იმედი არ გამართლდება, მდგომარეობას ასე გამოვ-  
ხატაეთ: კოვზი ნაცარში ჩამივარდაო“, - ასე განმარტავს ამ ხატო-  
ვან თქმას თედო სასოკია.

მცდელობაც სხვა არა არის რა, თუ არა კოვზის ჩავარდნა ნა-  
ცარში, რადგან იგი „ნიშნავს რისამე გაკეთების, რისამე შესრულე-  
ბის ამაო ცდას, ამაო სწრაფვას რისამე გაკეთებისადმი, რისამე შეს-  
რულებისადმი“ (იხ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“,  
წიგნი მეშვიდე, გვ. 259-260).

ამიტომ არ უნდა გაუკვირდეს კაცს, თუ მცდელობით ან „მცდე-  
ლობის წყალობით“ საწადელს ვერ მიაღწევს.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, თან ვეცადოთ უკეთ გაგმარ-  
თოთ წინადადებანი აკაკი შანიძის იმ შეგონების მიხედვით, რომ  
„ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული სიტყვები არ უნდა გაი-  
თიშოს ფრაზაში“ (ფრჩხილებში ჩაესვათ რამდენადმე უკეთესი  
ფორმები):



....კიდევ ერთხელ იკვეთება კანონპროექტში საპროკურორჯერ **შექმნულ** დამხედველობის უფლებებისა და გავლენის დაკანონების **მცდელობა** არა მარტო წინასწარ გამოძიებაზე, არამედ სასამართლო ორგანოებზე" („კიდევ ერთხელ ვლინდება კანონპროექტში იმის ცდა, რომ დააკანონონ საპროკურორო ზედამხედველობის უფლებები და გავლენა არა მარტო წინასწარ გამოძიებაზე, არამედ სასამართლო ორგანოებზე“); „გვინდა შევეხოთ ავტორების მხრივ მცდელობას იმის შესახებ (?), რომ ტერმინი „დევნა“... მოარგონ...“ („გვინდა შევეხოთ ავტორების ცდას [სურვილს, სწრაფვას], რომ ტერმინი „დევნა“... მოარგონ...“); „ვერნისაფი“ არის ახალი სტილის დამკვიდრების მცდელობა ქართულ კინოში“ („ვერნისაფი“ არის ცდა, რომ ახალი სტილი დაამკვიდრონ ქართულ კინოში“); „...ჩაებნენ მოლაპარაკებებში და მცდელობას არ აკლებენ (?!) გაზარდონ თავიანთი გავლენა“ („...ჩაებნენ მოლაპარაკებაში და ყოველნაირად ცდილობენ გაზარდონ თავიანთი გავლენა“). და კიდევ: „...გადაწყდა გაუმჯობესდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მცდელობები (?!) საკანონმდებლო საქმიანობაში“ (აქ, ალბათ, იმის თქმა სურდათ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საკანონმდებლო საქმიანობაში).

**მეცადინეობა, მონდომება, ზრუნვა, ლამობა, წადილი, ძალისხმევა, გულმოდგინება, სიბუეითე, გარჯა, ღონისძიება, სურვილი, სწრაფვა** და კიდევ ვინ მოთვლის, მსგავსი მნიშვნელობის რამდენი სიტყვა დაიძებნება ქართულში, რომლებითაც თავისუფლად შევვიძლია შევეცვალოთ მცდელობა.

„მცდელობა დანაშაულისა, განზრახი მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დანაშაულის ნებისაგან და მოუკიდებელი მიზეზების გამო“, – ასეა განმარტებული ეს იურიდიული კატეგორია ქართულ ენციკლოპედიაში და ამიტომ „ცდასთან“ ერთად იგი უნვად გამოიყენება იურისტთა ენაში: ნებაყოფლობით თავმინებებული მცდელობა, მცდელობა უვარგისი ობიექტის მიმართ, დანაშაულის მცდელობა, მკვლელობის მცდელობა და ა.შ.

მაშასადამე, არც ეს სიტყვა კარგავს „მოქალაქეობას“ და უნდა იხმარებოდეს შესაბამის კონტექსტში.



**ნოსტალგია...**

...რომელთა შესახებ ხალხს ნოსტალგია გაუჩნდა? [ნოსტალგია] გია წარსულზე, „ნოსტალგია ვერაზე“ და ა.შ. სწორად? და ვწერთ?

**„ნოსტალგია** [ბერძ. ნოსტოს შინ დაბრუნება და ალგოს ტანჯვა, ტკივილი] - „სამშობლოს სევდა“; სევდა, გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო“ (მ.ჭაბაშვილი). ბოლო ხანს ამ სიტყვას გაუფართოვდა მნიშვნელობა და ჩვეულებრივ ხმარობენ ხოლმე, როცა საქმე წარსულს, მშობლიურ კერას, საყვარელ უბანს, მთებსა თუ ველ-მინდვრებს, სიჭაბუკეს თუ ძველ სიმღერას ეხება.

ამიტომ ყველა შემთხვევაში, როცა იგულისხმება დარდი, ნალველი, მონატრება, ჯავრი და მისთ., უნდა ვამბობდეთ: **ვერის ნოსტალგია, წარსულის ნოსტალგია, მუსიკის ნოსტალგია** და ა.შ.

**რაც არ უნდა ვხეხოთ?**

დღევანდელი ჩვენი მეტყველება: „რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ჩნდება შესაძლებლობა, რომ...“, „როგორი კომპეტენტური პირებიც არ უნდა იყვნენ ისინი...“, „როგორი ძნელი და მწარეც არ უნდა იყოს, სჯობს (სან-ი რად უნდა?), სიმართლე ვთქვათ“, „რაც არ უნდა გააკეთოს დღეს მოსკოვმა, რაც არ უნდა მკაცრი ზომები მიიღოს მან...“ და ასე უსასრულოდ.

ჩვენი წინაპრების მეტყველება: „ძლიერია ვრი, **რაც უნდა** პატარა იყოს“, „მაგრამ ესეც კია სანუგემო, რომ **როგორი დარიც უნდა** დაუდგეს მაგ ყვაფილსა, თუ კი ძირი ღონიერი აქვს, **რაც უნდა** ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწას, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზე უფრო დაშვეწებული და ძლიერი“, „ჩემო პეტრე, ფიქრი ნუ გაქვს, **რაც უნდა** ბევრი მოგაჭრან ცხვირი, სამყოფი მაინც დაგრჩება“ (ილია ჭავჭავაძე), „ყოველ მის ლექსებში ეხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას, მაგრამ რა **საგანიც უნდა** აიღოს ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირათ მაინც თვითონ არის“ (აკაკი წერეთელი), „ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, **რაც უნდა** კარგი თარგმანი წაიკითხოს... როგორც თვით ქართველი? (ვაჟა-ფშაველა), „**რასაც უნდა** წერდეს აკაკი ლექსით თუ პროზით, ყველაში გამოსჭვივის აპრიალებული სიყვარული სატრფო სამშობლოსი“ (იაკობ გოგებაშვილი), „**რაგინდ** ღარიბი ყოფილიყო იმერელი კაცი, ვაჭრობას არ კადრულობდა“ (ნიკო ნიკოლაძე), „**რაც უნ**





და ბევრი სასმელი ჩაეშვა გვამსა შიგან, იძახდა: „დამისხი, დახედე მისთვის ვინ ვეღონო ოხერ-ტიალი!..“ (თედო სასოკია).

ამას ეხმიანება წესიც, რომელსაც ა. შანიძისა და ლ. კვაჭაძის სახელმძღვანელო შეიცავს:

„დათმობითის შინაარსისაა ისეთი დამოკიდებული წინადადებაც, რომელიც იწყება უნდა ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელით (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით იმისდაკვალად, თუ რად არის გამოყენებული წინადადებაში) ან მიმართებითი ზმნიშედით: რაც უნდა, ვინც უნდა, რამდენიც უნდა, როგორიც უნდა, რამაც უნდა, რასაც უნდა, ვისაც უნდა, სადაც უნდა, როგორც უნდა და მისთ. მაგალითი: „რაც უნდა ღამე იყოს ბნელი, მაინც ველით განთიადსა“ (ვედ.). ასეთი გამოთქმები ზმნას შეიწყობს პირველ ან მეორე კავშირებითში, ან კიდევ მეორე თურმეობითში (მესამე კავშირებითის ნაცვლად), მაგრამ აუცილებლად წართქმითი ფორმით (ე. ი. არ ნაწილაკი საჭირო არაა). წესიერი ქართული გამოთქმა ასეთია: „რადაც უნდა დასჯდომოდა, დღესვე უნდა ენახა სარდიონი“ (ჯაფ.). არ ვარგა: „რადაც არ უნდა დასჯდომოდა“.

წესიერი ქართული გამოთქმა: „არ გათვორდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

#### რეგიონული – რეგიონალური

ერთ-ერთი მოწვევის პარლამენტის წევრს, ფრიად განსწავლულსა და დინჯად მოუბარს, ელემენტარული შეცდომა მოსდიოდა, როცა „ელემენტარულის“ ნაცვლად „ელემენტურს“ ამბობდა (თავად მოგეტყვებათ, ალბათ, თუ რა დიდად განსხვავდება თავისი მნიშვნელობით ეს ორი სიტყვა ერთმანეთისაგან). მეორე პარლამენტარს, აგრეთვე მკაფიოდ გამოხატული პოზიციის მქონე დეპუტატს, ელემენტარული შეცდომა მოუვიდა, როცა ჟურნალისტები დამოძღვრა, „რეგიონალური“ კი არა, „რეგიონული“ თქვით, რადგან „რეგიონალური“ რუსულის კალკიაო, ერთი გაგვაგებინა, რა სცხია ან ერთს, ან მეორეს რუსულისა?

რა არის რეგიონული? ეს არის ...[ლათ. regio (regionis) მხარე, ოლქი] – (ანატ., მედიც.). ადგილობრივი. მაგ., რ. არტერიები. რ. ანესთეზია.“ („უცხო სიტყვათა ლექსიკონი“).

რა არის რეგიონალური? ეს არის „[ლათ. regionalis საოლქო] – რაც ეხება ცალკეულ მხარეს, ქვეყანას, ან რამდენსამე მეზობელ ქვეყანას.“ (იქვე).

რუსულ ენაში ცოტა სხვაგვარად არის გადაწყვეტილი ეს საკით-



ნი: პირველ შემთხვევაშიа регионарный, მეორეში სიტყვა რეგიონალური (Словарь иностранных слов, под редакцией И.М.Жукова и проф. Ф.Н.Петрова, М.,1954).

მაშასადამე, ამ უცხო სიტყვათა ქართული ფორმები ნაწარმოებია ზუსტად ისე, როგორც გვიჩვენებს ჩვენი ენათმეცნიერი:

– როცა უცხოურიდან ნასესხები არსებითი სახელისაგან (ჩვენს შემთხვევაში: regio [regionis]) გვინდა მივიღოთ ზედსართავი, ამ სახელის ფუძეს უნდა დაეურთოთ **ურ(-ულ)** სუფიქსი და გვექნება **რეგიონული** (ელემენტური, ექსპერიმენტული, ემოციური, პოტენციური, პროფესიული, ფიგურული, ფრონტული, ცენტრული, პორიზონტული, ქრონიკული და მისთ.).

– როცა ვსესხულობთ მხოლოდ **ზედსართავ სახელს** (regionalis), უცხოური ზედსართავის ფუძეს უნდა დაეურთოთ **ურ(-ულ)** სუფიქსი და გვექნება **რეგიონალური** (ელემენტარული, ფიგურალური, ფრონტალური, ორიგინალური, ცენტრალური, ქრონიკალური და ა.შ.).

ამრიგად, სულ ადვილად შეგვიძლია ავიცილოთ შეცდომა, ახლა რომ მოგვდის ხშირად, როცა, კერძოდ, „რეგიონალურის“ ნაცვლად „რეგიონულს“ ვამბობთ. უნდა ვთქვათ: **რეგიონალური** შეთანხმება, უშიშროების **რეგიონალური** სისტემა, **რეგიონალური** მმართველობა, **რეგიონალური** თანამშრომლობა და სხვ.

ამ ფორმას „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ გვიდასტურებს.

#### საბანგებო მდგომარეობა, სამხარო მდგომარეობა

1991 წლის 25 თებერვალს ქართულ ენაზე გამოცემულ შვერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საეკომიტეტის 1954 წლის საგანგებო მოხსენებაში 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ბრძოლის დაწყებისთანავე თბილისში სამხედრო წესები გამოცხადდა...“

გაზეთ „კომუნისტის“ 1989 წლის 25 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში არ უნდა დაგვრჩეს „თეთრი ლაქები“ ავტორი, იაკობ ფულტარაძე, როცა სამხედრო ოკუპაციის რეჟიმს ახასიათებდა, წერდა: „სამხედრო რეჟიმი დროებითი ხასიათისაა და ჯერ კიდევ არ ნიშნავს ანექსიას. იგი უქმდება ომის მდგომარეობის შეწყვეტასთან ერთად...“

**სამხედრო წესები, ომის მდგომარეობა** – პირველი ინგლისურიდან არის თარგმნილი, მეორე ქართულადაა დაწერილი და ორივე ფორმა სავსებით მართებულია.

„...ვალდებულება... წესდება საომარი, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების... დროს“; „...განყოფილებებს უწევს ერთ ძირითად ამოცანად განსაზღვრულია სისტემის ორგანიზებისა და დაწესებულებების სამობილიზაციო მომზადება... საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში“; „სამხედრო საფრთხის, სამხედრო მოქმედების... შემთხვევაში...“

ამ ფრაზებში უმართებულოდ არის ნახმარი: საომარი მდგომარეობა; საგანგებო მდგომარეობა, სამხედრო საფრთხე...

უნდა იყოს: ომის მდგომარეობა, საგანგებო (ან: სამხედრო) წესები, ომის საფრთხე, საომარი ან საბრძოლო მოქმედება.

ვინაიდან სადავო გამზდარა ეს ფორმები, უფრო დაწვრილებით შევეხოთ ამ საკითხს.

ეს ცნებები არც ისე ახალი ჩანს, მაგრამ ფართოდ XX საუკუნის დამდეგიდან იხმარება. საბჭოთა კავშირში, მაგალითად, კანონი „სამხედრო წესების შესახებ“ მიიღეს 1941 წლის 22 ივნისს (ომის დაწყების დღეს), რომლის მიხედვით ქვეყნის მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში შემოღებულ იქნა სამხედრო წესები. 1941 წლის 20 ოქტომბრიდან მოსკოვსა და მის მიმდებარე რაიონებში გამოცხადდა საალყო წესები. 1943 წლის 15 აპრილს სამხედრო წესები შემოიღეს ქვეყნის ყველა რკინიგზაზე, იმავე წლის 9 მაისს კი – საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე (ყურადღება მივაქციოთ ამ წესების გამოცხადების თანამიმდევრობას – „ომის მდგომარეობის“ ფონზე სხვადასხვა დროს ცხადდება „სამხედრო წესები“ და არა „საომარი მდგომარეობა“).

შერთებულ შტატებში შინაგანი უშიშროების შესახებ მაკკარენ-უოდის კანონის (1950) საფუძველზე პრეზიდენტმა ტრუმენმა საგანგებო წესები შემოიღო 1950 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირში კი კანონი „საგანგებო წესების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ“ მიღებულ იქნა 1990 წლის 3 აპრილს (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 11.VI.90).

რამდენიმე მაგალითი ახლო წარსულიდან. 1995 წლის ზაფხულში უალრესად გამწვავებული ვითარების გამო ბოსნია-ჰერცეგოვინაში შემოიღეს სამხედრო წესები (ნუ დაგვაფიწყდება, რომ ყოფილი იუგოსლავიის ცალკეულ რესპუბლიკებს შორის კარგა ხანია წარმოებდა ომი). დაახლოებით იმავე დროს გრიგალის მოახლოების გამო ფლორიდის შტატში გამოცხადდა საგანგებო წესები.

ასეთია, მოკლედ, ამ ცნებათა გამოყენების ბოლოდროინდელი პრაქტიკა.



ახლა გავარჩიოთ, რატომ გაჩნდა შესიტყვებანი „საომარი მდგომარეობა“, „საგანგებო მდგომარეობა“. აქ აშკარად ჩანს, რომ ეს ტერმინები ტულ შემთხვევაში რუსული სიტყვის არასწორად გაგებების შედეგად (მეტი სიზუსტისათვის ზოგიერთ განსაზღვრებას რუსულ ენაზე მოვიყვანთ).

ვ. დალის ლექსიკონში положение-ს მრავალთაგან ერთი მნიშვნელობაა правило ან устав;

ს. ოგეგოვის ლექსიკონში положение-ს მე-6 მნიშვნელობა ასეა განმარტებული: распоряжок государственной жизни, устанавливаемый властью. (სხვათა შორის, распоряжок-ის სინონიმია порядок, режим. ეს უკანასკნელი კი თავისი მე-3 მნიშვნელობით გულისხმობს რაიმე მიზნის მისაღწევად განკუთვნილი წესების, ღონისძიებების, ნორმების ერთობლიობას).

რას გვეუბნებიან სხვა წყაროები?

Военное положение – особое положение (ზოგიერთ წყაროში არის режим – ავტ.) в стране или в отдельных ее частях; вводится, обычно, по решению высшего органа гос. власти или гос. управления при исключительных обстоятельствах (открытие военных действий, чрезвычайное стихийное бедствие и т.п.). (მოკლე იურიდიული ლექსიკონი, 1945).

Военное положение – правительственные мероприятия, направленные на усиление охраны района, области или государства. (3-ტომიანი ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ. 1, გვ. 322, 1953).

ამრიგად, გაირკვა, რომ ამ კონტექსტში ნახმარ положение-ს საერთო არა აქვს რა იმასთან, რაც რუსულად გამოიხატება ცნებით „состояние“... და ქართულად – სიტყვებით „მდგომარეობა“ ან „ვითარება“. გაირკვა ისიც, რომ სამხედრო წესების გამოცხადება შესაძლებელი ყოფილა დიდი სტიქიური უბედურების (მაშასადამე, სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა) დროსაც. ესე იგი არა მარტო ომიანობის, არამედ მშვიდობიანობის პირობებშიც. ამას ადასტურებს ერთ-ერთი მასალიდან ამოღებული წინადადების ფრაგმენტი: „მშვიდობიან დროს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში“. მაგრამ აქ ყოველად გაუმართლებელია შესიტყვეების: „საომარი მდგომარეობის“ ხმარება. სად მშვიდობიანი დრო და სად საომარი მდგომარეობა?!

როგორი ვითარებაა ამ მხრივ ქართულ წყაროებში (50-იანი წლებიდან მოყოლებული)?



1) ქველ - სააღყო წესები - ომიანობის დროს ზურგში წესრიგის დასაცავად შემოღებული საგანგებო წესები (სხვა ცნებებში არის განმარტებული).

2) ქ. და ა. დათიკაშვილების ქართ.-რუს. ლექს. - იხ. წესი. წესები - სამხედრო წესები - военное положение.

3) 3-ტომიანი რუს.-ქართ. ლექსიკონი მე-2 ტ.: იხ. положение. - Ввести военное положение - სამხედრო წესების დამყარება, შემოღება; осадное положение - სააღყო წესები (იგივეა ერთტომიულში).

ამ შესიტყვებათა წყებაში მდგომარეობა პოლიტიკური თვალსაზრისით იხმარება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, სახელდობრ, მაშინ, როცა ორ სახელმწიფოს შორის იწყება ომი და, მაშასადამე, საომარი მოქმედება, რომელიც გრძელდება დროებით დაზავებამდე. ამ დროს ეს სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ არიან ომის მდგომარეობაში, რომელიც დაზავების შემდეგაც გრძელდება, სანამ არ დაიდება საზავო ხელშეკრულება.

ამრიგად, გარკვეულია „ომისა“ და „ომის მდგომარეობის“ საკითხი და სხვა მნიშვნელობით „მდგომარეობის“ ხმარება უნდა გამოირიცხოს.

რაც შეეხება დანარჩენ ორ პოზიციას: „საგანგებო მდგომარეობას“ და „საომარ მდგომარეობას“, ყველაფრიდან ჩანს, რომ ორივე უნდა გასწორდეს და დაიწეროს „საგანგებო წესები“ და „სამხედრო წესები“. სხვა საქმეა, რომელ ფორმას აირჩევს სახელმწიფო: პირველს, მეორეს, თუ ორივეს დაიტოვებს არსენალში როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს გამოსაყენებლად.

რაკი სამხედრო თემატიკას შეეხეთ, განვიხილოთ შემთხვევები, როცა უმართებულოდ ხმარობენ ზოგიერთ სიტყვა-ტერმინსა თუ გამოთქმას.

**საკონტროლო-ბამხვები პუნქტი თუ**

**საკონტროლო-ბამხარი პუნქტი?**

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულებით ამ უწყების ერთ-ერთი ამოცანა ასეა განსაზღვრული: „...სახელმწიფო საზღვარზე პირების, სატრანსპორტო საშუალებათა, ტვირთების, საქონლისა და ცხოველთა სამყაროს ობიექტების გატარების ორგანიზაცია“. მაგრამ სიტყვა რომ ჩამოვარდება პუნქტზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გატარება, რატომღაც ამბობენ, გამწვებით. მაგალითად, „საზღვრის სა-



კონტროლო-გამშვები პუნქტი", „საბაჟოს საკონტროლო-გამშვები პუნქტი“.

აქ უთუოდ ჩანს რუსული ფორმის *контрольно-пропускной пункт* არასწორად გაგების გავლენა. ამავე დროს რუსულში გვხვდება: *Собираемся открыть 12 пунктов пропуска; Большинство задержанных пытались пересечь границу не через пункты пропуска, а в неустановленных местах.*

ეს წინადადებები ქართულად რომ ვთარგმნოთ, მივიღებთ „გატარების პუნქტებს“ (სხვათა შორის, გატარებიდან მოდის გამტარობის უნარი, წყალგამტარობა, არხის გამტარობა, რკინიგზის... გამტარობის უნარი და სხვ.), **გაშვება** კი ნიშნავს **წასვლის** ნების, საშუალების მიცემას და დამწყვედულის, შეპყრობილის, პატიმრის განთავისუფლებას.

ამრიგად, როცა საუბარია ნახსენებ პუნქტებზე, უნდა იყოს არა **საკონტროლო-გამშვები პუნქტი**, არამედ **კონტროლისა და გატარების პუნქტი** ან, როგორც სამხედრო ტერმინოლოგია გვეუბნება, **საკონტროლო-გამტარი პუნქტი**. ჩვენს შემთხვევაში ეს უკანასკნელი ვამჯობინოთ, რაკი წყაროთია დადასტურებული.

### ცალკეული თუ ცალკე ბატალიონი?


როცა ავტონომიურად მოქმედ ჯარის ნაწილზეა ლაპარაკი, მას ხან „ცალკეულს“ უწოდებენ, ხან კი „ცალკეს“. რომელია სწორი?

აქ „ცალკეულს“ ვერ ვიტყვით, რადგან თავისი მნიშვნელობით იგი გამოხატავს ზოგს, ზოგიერთს, რამდენიმეს, ოღონდ ამთგან განსხვავებით ითანხმებს მრავლობითში დასმულ სახელებს: ცალკეული სახლები, ცალკეული პარლამენტარები, ცალკეული შემთხვევები, თუ გნებაეთ, ცალკეული ჯარის ნაწილები. ეს იქნება ზოგადად ნათქვამი. ჩვენ კი გვინდა დავასახელოთ ის ნაწილები, რომლებიც სხვებისაგან მოშორებით, ცალკე არსებობენ და მოქმედებენ.

ამიტომ უნდა ვიხმაროთ მხოლოდ და მხოლოდ **ცალკე**.

ამის დასადასტურებლად საკმარისი იქნება რამდენიმე ფრაზა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ჩვენი გენერლებისა და ოფიცრების მოგონებებიდან. „ქლიერმა დამკვრელმა ჯგუფმა ოთხი ფეხოსანი დივიზიით, ერთი ცხენოსანი ბრიგადითა და სამი **ცალკე** ათასეულით დაიწყო შეტევა ქ.ნოვოროსისკზე“, „394-ე მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში შედიოდნენ... **ცალკე** საზენიტო დივიზიონი, **ცალკე** მესანგრეთა ბატალიონი, **ცალკე** საკავშირო ბატალიონი, **ცალკე** სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი...“, „ჩრდი-

ლოთ კავკასიის სამხედრო ოლქის ცალკე საკავშირო ბატალიონი, 620-ე ცალკე საზენიტო დივიზიონი... ცალკე მზვერავებს...  
ლი..." და სხვ.



ჩვენც ასე უნდა ვწეროთ.

**სამხედრო ფორთეხი, სწავლებები თუ ფორთეხი, სწავლება?**

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს „სამხედრო ტერმინოლოგია“ და არამართო იგი. უნდა ვიხსაროთ მხოლოდითი: საჯარისო, სამეთაურო-სამშტაბო, სამწყობრო, ტაქტიკური, სამხედრო... სწავლება, წეროთა. არის კიდევ მანვერები, როცა საქმე ეხება დიდ ტაქტიკურ მეცადინეობას. შეიძლება შეგვხვდეს მანვერიც. ეს მაშინ, როცა ხდება ჯარების ან ფლოტის მოძრაობა, გადაადგილება საომარ ვითარებაში.

**უპირატესი თუ უმეტესი ხალხმყოფლის რაჟიმი?**

არც ისე დიდი ხნის წინათ საქართველოს მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებაში არის ასეთი ფრაზა: „მხარეები მიანიჭებენ ერთმანეთს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს ყველა სფეროში“. არსებობს კი ბუნებაში საერთოდ ეკონომიკური ურთიერთობისა და კერძოდ ვაჭრობის ასეთი რეჟიმი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე განვიხილოთ ინგლისურიდან რუსულის მეშვეობით შემოსული ამ გამოთქმის მონაწილეობით შედგენილი წინადადება: Администрация США завершила... в том, что намерена внести в Конгресс предложение об отмене в отношении Алма-Аты поправки Джексона-Вэнника и придании стране статуса (უფრო ხშირად რეჟიმ-ი იხმარება. – ავტ.) наибольшего благоприятствования в торговле с США, что означает также и доступ к высоким технологиям. დიდი სიკეთის მომტანი პირობაა.

ამრიგად, გვაქვს ასეთი კატეგორია: რეჟიმ (სტატუს) наибольшего благоприятствования. როგორ უნდა გადმოვცეთ იგი ქართულად?

ამ საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება ენციკლოპედია, რომლის მე-10 ტომის 148-ე გვერდზე ნათქვამია, რომ უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი არის „საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოთა ეკონომიკური, მათ შორის სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთმანეთს ანიჭებენ ისეთსავე



ხელსაყრელ პირობებს (უფლებებს, უპირატესობას, პრივილეგიებსა და შეღავათებს), როგორც მათ უკვე მიანიჭეს ან რეგულირებულია მავალში მიანიჭებენ რომელიმე მესამე სახელმწიფოს.

უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი ფართოდ გავრცელდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს პრინციპი აისახა სავაჭრო ურთიერთობებისა და სავაჭრო პოლიტიკისადმი მიძღვნილ გაეროს ჟენევის კონფერენციის რეკომენდაციებში (1964), რომელთა მიხედვითაც „საერთაშორისო ვაჭრობა უნდა იყოს ურთიერთხელსაყრელი და უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმზე დაფუძნებული...“

როგორც ვხედავთ, უპირატესობა ამ რეჟიმის ერთ-ერთი შემადგენელი პირობა ყოფილა და ამიტომ ჩვენთვის საინტერესო ფორმულა, ვთქვათ, ინგლისთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებაში დაახლოებით ასე უნდა ჟღერდეს: „საქართველო და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შვერთებული (და არა გაერთიანებული.) სამეფო ერთმანეთს მიანიჭებენ უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმს ვაჭრობაში“.

სხვათა შორის, ამ მოსაზრებას ადასტურებს „იურიდიული ტერმინოლოგიაც“, სადაც ვკითხულობთ: наиболее благоприятствуемая нация უმეტესად ხელშეწყობილი ვერ; наибольшее благоприятствование უმეტესი ხელშეწყობა“.

### შესაბამისობაში მოვიყვანოთ?

...მინისტრთა კაბინეტმა სამი თვის ვადაში („ვადა“ ზედმეტია): წარუდგინოს (წარმოუდგინოს – უზენაესი საბჭო ავალებს.) უზენაეს საბჭოს წინადადება...საკანონმდებლო აქტების „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე;

უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებათა მოყვანა „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში“. მსგავსად ამისა ჩვენს მეტყველებაში სშირად ისმის: „კანონი შესაბამისობაში არ მოდის კონსტიტუციასთან“, „ნორმატიული აქტები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კანონთან“, „ეს აქტი სრულ შესაბამისობაშია კანონთან“. და მალე, ალბათ, „მორეგულირებისა“ არ იყოს, ისეთ რამეს იტყვიან შესაბამისობასთან დაკავშირებით, რომ სახტად დარჩებით. არ გჯერათ? წაიკითხეთ, თუ ღმერთი გწამთ, ეს ფრაზა: „კომპანიის მიზანს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში წარმოადგენს ის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ისარ-



გებლოს...“ („აქონდეს“ მინც ეთქვათ) და თავად მიხედებით, საით-  
კენ მიდის საქმე.

აი რა დაგემართა привести в соответствие-ს დაუკვრავებულ-  
მა გადმოქართულებამ. ამას ვანაცვალეთ ქართულისათვის ბუნებ-  
რივი ფორმები – შევუსაბამოთ, შეუსაბამონ...

წინათ კანონთან ერთად გამოქვეყნებულ დადგენილებაში მისი  
ამოქმედების შესახებ შესაბამისი დავალება დაახლოებით ასე ყა-  
ლიბდებოდა: ამა და ამ სამინისტრომ თავისი ნორმატიული აქტი  
შეუსაბამოს კანონს... ან: უზრუნველყოს, რომ ნორმატიული აქტე-  
ბი შესაბამებოდეს კანონს... და ა.შ.

ამ მხრივ სანიმუშოა შემდეგი წინადადებათი: „ცეკაეშირმა, მის-  
მა კოოპერაციულმა ორგანოებმა, საზოგადოებებმა... თავიანთი  
წესდებები შეუსაბამონ კანონს „სამომხმარებლო კოოპერაციის შე-  
სახებ“, „...რათა ჩემი კონცეფცია მათი დახმარებით დაეხვეწო და  
შევეუსაბამო კონსტიტუციასა და სხვადასხვა საკანონმდებლო  
აქტს“, „მრავალი მუხლი კანონებთან შეუსაბამობის გამო ამოღე-  
ბულია“ და სხვ.

ჩვენც ამოვიღოთ ხმარებიდან ქართული ენისათვის უცხო ფორ-  
მა „შესაბამისობაში მოყვანა“ და ვწეროთ ისე, როგორც ჩვენი ენის  
შესაბამისი ნორმები გვიკარნახებენ.

### ჩართავს მუშაობაში?

კიდევ ერთი „მარჯვედ“ მიგნებული გამოთქმა, ასე რომ მოიკი-  
და ფეხი ჩვენს მეტყველებაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩართავს ქე-  
ბა უსულო საგნებს და ნიშნავს: „1. დაამატებს შიგნით, შიგადაშიგ,  
– ჩაამატებს. კართოთეკაში ახალი ბართები ჩართეს. 2. რაიძე სის-  
ტემასთან შეაერთებს (საპირისპ. გამოთიშავს). აბართს ქსელში ჩ.  
– უთოს ჩ. – მიკროფონს ჩ...“, ხოლო „ჩართულ-ი რაც ჩართეს“  
(ქველ). ეს ზმნა მოვარგეთ სულიერებს და...

„რუსეთის პოლიტიკური ელიტა მეტად აქტიურად ჩაერთო მო-  
ლაპარაკებების პროცესში“, „გარკვეულ ეტაპზე მუშაობაში ჩაერ-  
თნენ და დიდი დახმარება გაგვიწიეს...“, „ვერ შევთვასეთ ასეთ საქ-  
მეებში სამხედროების ჩართვის ხიფათი...“, „მსოფლიოს ეკონომი-  
კურ და კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს მოსახლეობის  
...ჩართვის პერსპექტივა“, „ეთნიკური ჯგუფების... პოლიტიკურ  
ცხოვრებაში რეალურ აქტიურ ჩართვას გამოიწვევს...“, „დიდი ენ-  
თუზიაზმით ჩაერთო ბრძოლაში“, „აიძულა ტანდემი ჩართულიყო  
სრულიად არახელსაყრელ, პოლიტიკურად წამგებიან ინტრიგებში“



(უნდა ვივარაუდოთ, რომ „მომგებიანი ინტრიგაც“ ყოფილა!).  
მოდით, ნუ „ჩავერთვებით“ ენობრივად „წამგებიან ინტრიგებს“ გამოვითხოვთ „ჩართვა“ (სულ კი არა, შოლოდ გარეგნულ შემთხვევებში) და მის ნაცვლად ჩავრთოთ ისეთი ზმნები, როგორიც არის, მაგალითად: ჩააბამს, მონაწილეობას მიაღებინებს, ჩარევს, დააწაფებს, აზიარებს და სხვ.

## 2. თარგმნის ტექნოლოგია

შეამჩნევდით, ალბათ, რომ ხშირად ენის ნორმების დარღვევის, უმართებლო ფორმების გაჩენის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად რუსული სიტყვა-გამოთქმებისა თუ ფრაზების არასწორად ან ცალმხრივად გაგებასა და უზერიოდ გადმოქართულებას ვასახელებთ. სწორედ ამის გამოა, რომ ძალზე ხშირია შემთხვევები, როცა არათუ თარგმანში, არამედ ქართულად დაწერილ მასალებშიც კი გვხვდება ენობრივი (მართლწერა, სინტაქსი) შეცდომები, სტილისტიკური ნაკლოვანებანი, აზრობრივი უზუსტობანი. ამკამად პრობლემას ისიც ართულებს, რომ აწი და აწი სულ უფრო მეტად გვაქნება საქმე სხვა უცხო ენებთან, ამ ენებზე და ამ ენებიდან სხვადასხვა სასიათისა და დანიშნულების ტექსტების თარგმნასთან (მხედველობაში არა გვაქვს მხატვრული ლიტერატურის თარგმნა. ამის უძველესი და უმდიდრესი ტრადიციებია ჩვენს ქვეყანაში).

ველას კარგად მოეხსენება, რომ ცალკულ ხალხთა ცხოვრებაში არის ხოლმე პერიოდები, როცა თარგმანს ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მათს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ, ტექნიკურ თუ იურიდიულ ლიტერატურაში. სწორედ ეს პერიოდი დაუდგა ახლა დამოუკიდებლობის განმტკიცების, სხვა ქვეყნებთან მრავალმხრივი კავშირურთიერთობის დამყარების გზაზე შემდგარ ქართველ ხალხს და ამას ადასტურებს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება.

ამას ადასტურებს თუნდაც ეს ერთი მაგალითი: 1996 წლის ივლისში გამოქვეყნდა „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, ერთი მხრივ, ევროპის გაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“. ეს დოკუმენტი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის მრავალ ასპექტთან ერთად შეიცავს მეტად საგულისხმო პუნქტებს, რომლებიც,



კერძოდ, ქება ისეთ საკითხებს, როგორც არის „შესაბამისი სტრატეგია“ რეგულირებაში გაერთიანების კანონმდებლობის თარგმნისათვის დასაქმების გაწევა“, „ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმნა“, „სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის გაცემა“. თავი რომ დავანებოთ სხვა შეთანხმება-ხელშეკრულებებს, დეკლარაციებსა და კონვენციებს, რომლებსაც დადებს ან შეუერთდება საქართველო, მართო ეს სამი პუნქტი კმარა საიმისოდ, რომ ნათლად დავინახოთ, თუ რაოდენ საჭიროა უცხო ენებს დაუფლებულ მაღალკვალიფიციურ მთარგმნელთა აღზრდა, ახალ ცნებათა გათვალისწინებით უცხოენოვან-ქართული და ქართულ-უცხოენოვანი ეკონომიკური, ტექნიკური, იურიდიული ლექსიკონებისა და ტერმინოლოგიების შემზადება-გამოცემა.

რა უნდა იცოდეს დამწყებმა მთარგმნელმა, როგორია ის ზოგადი პრინციპები და ელემენტარული წესები, რომელთა მეოხებით დაუფლება იგი თარგმნის ურთულეს საქმეს?

ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს გამოცდილება, მრავალი ათეული წლის განმავლობაში რომ შეიძინა საჭინფორმის, წინათ საქედესის, მთარგმნელთა განყოფილებამ, რომელსაც დიდხანს ედგა სათავეში ქართული ენის ერთ-ერთი დაუცხრომელი მზრუნველი, პროფესიონალი ჟურნალისტი, ეკონომისტი, მთარგმნელ-სტილისტი, რედაქტორი, ოპერატიული თარგმნის სკოლის დამაარსებელი, ახალგაზრდა სპეციალისტთა აღმზრდელი შამშუ ასათიანი.

უნდა ითქვას, რომ უშუალო მოვალეობის – ეკონომიკის, პოლიტიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, ხელოვნების საკითხებისადმი მიძღვნილი მასალების, საერთაშორისო მოვლენებისა და საშინაო ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ოპერატიულ თარგმნასთან ერთად განყოფილება შეუნებულ ლექსიკოლოგიურ მუშაობას ეწეოდა. ვინ მოთვლის, რამდენი სიტყვა-ტერმინი, გამოთქმა, საკუთარი სახელისა და გეოგრაფიული სახელწოდების ტრანსკრიფცია დაინერგა მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, ჩვენი ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებთან კონსულტაციებისა და დასტურის შემდეგ პრესის ენაში, მერე კი საერთოდ სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იურიდიულ და სხვა ლიტერატურაში და, ბოლოს, კანონის ძალა შეიძინა აკადემიურ ლექსიკონებსა და დარგობრივ ტერმინოლოგიებში.

ეს მუშაობა ღირსეულად დაფასდა კიდევ. რად ღირს თუნდაც ის, რომ სამტომეული „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „სიტყვანი შეივსო ს. ოფეგოვის ერთტომე



ული რუსული განმარტებითი ლექსიკონის, რუსულ-საქართველო-საქართველო-რუსულ-მოლდავური ლექსიკონებისა და აგრეთვე „საქართველოს მწიფე მოწოდებული მასალის მიხედვით“. გარდა ამისა, სააგენტომ დიდად შეუწყო ხელი ქართული სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოცემის პრობლემის გადაჭრას. ჯერ კიდევ 1964 წელს საქედსმა საქართველოს მთავრობის წინაშე აღძრა საკითხი, რომ დაარსებულიყო სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის ბიულეტენი, რომელიც სისტემატურად გამოაქვეყნებდა რეკომენდაციებს ქართული ენის ლექსიკის, სინტაქსის, ფრაზეოლოგიის, სტილისტიკის საჭირობოროტო საკითხებზე.

ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს დაევალა. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გაწეული დიდი მოსამზადებელი მუშაობის შედეგად, მათი გარჯით შეიქმნა და გამოვიდა კიდევ კრებული „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“.

ყოველივე ამას ასე წვრილად იმიტომ მოგახსენებთ, რომ ნათელვყოთ, თუ რა შემოქმედებით ატმოსფეროში ყალიბდებოდა მთარგმნელთა მუშაობის წესი, თუ გნებავთ, „თარგმნის ტექნოლოგია“, რომელიც სანიმუშოდ გვინდა გავინადოთ.

ამ „ტექნოლოგიას“ საფუძვლად უდევს მთარგმნელობის ქართული კლასიკური თეორიის პრინციპები, კერძოდ, ის, რომ „...მთარგმნელს მუდამ უნდა ახსოვდეს თვისება ქართული და (ბერძნული) ენისა და იმას კი არ ზრუნავდეს, რომ სიტყვასიტყვით გადმოიღოს დედანი, მაშინ თარგმანი უხეში და ულაზათო გამოვა, არამედ იმას, რათა სიტყვა იმდენად დაახლოებული იყოს დედანთან, რომ არსებითი და „მართებითი“... არ აკლდეს თარგმანს...“ (ეფრემ მცირე).

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, რომ:

– თარგმანი ენის განვითარების, განსაკუთრებით ლექსიკის გადიდრების ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ ორი ენის შეხვედრის დროს ზედმიწევნით ვიცავთ თარგმანის ენის ბუნებასა და სპეციფიკას, მაგრამ თარგმანი ამავე დროს შეიძლება ენის გადაგვარებისა და შერყენის მიზეზი გახდეს, თუ უგულვებელვყოფთ ენის თავისებურებას, გრამატიკულ წყობას, თუ ხელაღებით გამოვიყენებთ ორიგინალის ლექსიკას, რომლის ზუსტი შესატყვისები დედანში მოიპოვება;

– თარგმნისათვის, გარდა სურვილის და ნებისა, სამი რამ არის



საჭირო: იმ საგნის ცოდნა, რასაც მასალა შეეხება, იმ ენის ცოდნა, რომელზეც მასალაა დაწერილი, იმ ენის ცოდნა, რომელზეც მასალაა ითარგმნება.

თავად მთარგმნელთა მუშაობის წესზე კი ერთი რამ უნდა ითქვას. იგი მაშინ ყალიბდებოდა, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული ისეთი ფუძემდებელი ნაშრომები, როგორიც არის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, „იურიდიული ტერმინოლოგია“, „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“, „სამხედრო ტერმინოლოგია“, მრავალი სხვა აკადემიური ლექსიკონი თუ ტერმინოლოგია, საუცხოო სერია წიგნებისა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“ (უკვე მე-11 წიგნი გამოვიდა) და ა.შ.

ამ ლიტერატურამ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გააფართოვა მთარგმნელობითი საქმიანობის მეთოდოლოგიური და საცნობარო ბაზა, რაც ხელს შეუწყობს მთარგმნელს იცავდეს წესს, რომელსაც ახლა გთავაზობთ:

„წინასწარ ვკითხულობ მთელ სათარგმნ ტექსტს, ვარკვევ მასალის რაობას, მიზანდასახულობას;

მოენახე რუსული წინადადების ქართულ შესატყვისს ისე, რომ სათარგმნი ფრაზა ქართულის ყალიბში მოვაქციო;

მაქსიმალურად გამოვიყენებ ქართულ ზმნის პირიან ფორმებს, მრავალპირიანობას (თავიდან ავიცილებ ზედმეტ ნაცვალსახელებსა და მეშველ ზმნებს);

რუსული სიტყვისა და გამოთქმის (როცა არ გვესმის) არსს გავარკვევ განმარტებითი ლექსიკონების საშუალებით და ქართული განმარტებითი ლექსიკონით დავებნი შესაბამის ფორმას;

ტექნიკური და სპეციალური ტერმინების არსს გავარკვევ... რუსული დარგობრივი ენციკლოპედიებით;

უცხო საკუთარ სახელთა და სიტყვათა ტრანსკრიფციისათვის გამოვიყენებ „ატლასებს“, „მსოფლიოს ქვეყნებს“ და სხვა ცნობარებს;

განუბრელად დავიცავ დადგენილ მართლწერას (სანამ სრული ორთოგრაფიული ლექსიკონი გვექნებოდეს, საბოლოო სახელმძღვანელოა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი) და ტერმინოლოგიას (ტექნიკური და სპეციალური ტერმინოლოგიები);



დახლოვნებისათვის სისტემატურად ვთარგმნი, გმნილ კლასიკურ ნაწარმოებთა ნიმუშებს, შევედარებო რებულ თარგმანს და ვამოწმებ საკუთარი თარგმანის აკადრგინობას. ვიწერ სამახსოვრო რვეულში კარგად მიგნებულ ქართულ შესატყვისებს...

გულდასმით ვადევნებ თვალყურს ლიტერატურას ლექსიკოლოგიის საკითხებზე და ქართული მეტყველების კანონთა დადგენის შესახებ და აღვრიცხავ მონაცემებს პრაქტიკული გამოყენებისათვის...".

ეს არის საძირკველი, რომელზეც იგება მთელი მთარგმნელობითი მუშაობა. მხოლოდ მისი განუზრეული დაცვა შეაძლებინებს მთარგმნელს, მით უმეტეს, ახალგაზრდას, გახდეს პროფესიონალი.


ამ წესის ერთ-ერთი დებულებით მთარგმნელს ევალება განუზრებლად იცავდეს დადგინდ მართლწერითს ფორმებსა და ტექნიკურ-საეციალურ ტერმინოლოგიას. ხომ არ იბოჭება ამით მთარგმნელის შემოქმედებითი ინიციატივა? სრულიადაც არა. პირიქით, ამ „ტექნოლოგიით“ გათვალისწინებულია მთარგმნელის სწორედ შემოქმედებითი მუშაობის დიდი სარბიელი, მას ევალება დაუცხრომლად ძებნოს და შეარჩიოს სათარგმნი ტექსტის შინაარსის რაც შეიძლება უფრო მკაფიო გამოშასხველი ლექსიკა, ფართოდ გამოიყენოს ნიუანსური სინონიმები, რაც მთავარია, ხვეწოს ფრაზეოლოგია და დანერგოს მართებული სინტაქსური ფორმები და კონსტრუქციები.

საგულისხმოა, რომ ამ დებულებას გადაჭრით ადასტურებდნენ ჩვენი სწავლულნი:

„ზოგიერთი ჩვენი მწერალი არ ემორჩილება ორთოგრაფიის ამჟამად დადგინდ ნორმებს. შესაძლოა ამ დადგინდ ნორმათაგან ზოგი რამ გადასასინჯე იყოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორთოგრაფიის წესების შემუშავება სახელმწიფოებრივი საქმეა... სამწერლო ენაში ფორმათა სიჭრელე დაუშვებელია, ამიტომ ყოველთვის უნდა იყოს მიღწეული ერთიანობა“ (შ. ძიძიგური);

„დადგინილი ფორმების თვითნებურად შეცვლა შეუწყნარებელია... ეს ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება ვინმემ დაარღვიოს მათემატიკის ოთხი მოქმედების წესი“ (გ. ახვლედიანი);

„...უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემულ ლექსიკონებში შეტანილი ტერმინების ხმარება ბევრს საგაღდებულოდ არ მიაჩნია... მიღებულ ტერმინს ასწორებს თავისი შეხედულებისა და გემოვნების



მიხედვით და ამით მოსწავლე ახალგაზრდობაში, მკითხველს საწინააღმდეგობაში არე-დარევა, გაურკვევლობა, ბუნდოვანება, შექცევის ტერმინების შეცვლა არ უნდა ხდებოდეს თვითნებურად, ერთპიროვნულად, ანარქიულად... თუ არსებულ ტერმინოლოგიაში შესწორების შეტანა გინდა, საჭიროა ეს დავასაბუთოთ და... სათანადო მოსაზრებებით წარვდგეთ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში" (ვ. კაკაბაძე). დეუმატებდით: სახელმწიფო ენის მუდმივ სახელმწიფო კომისიაში, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატაში.

1998 წლის 8 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ გამოსცა ბრძანებულება „სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიური საქმიანობის მოწესრიგების შესახებ. ამ აქტის თანახმად ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონები უნდა გამოიცეს „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თანხმობით“. ეს დოკუმენტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ქართული სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის ნორმალიზაცია-უნიფიკაციას. ამავე დროს იგი ხალისს დაუკარგავს ზოგიერთებს თვითნებურად, ანარქიულად ცვალონ ტერმინები „მომწონს-არ მომწონს“ პრინციპით.

როგორ ესმინება ყოველივე ეს აკაკი წერეთლის იმ შეგონებას, რომ ენის ზრდა-განვითარების „კანონების გადახვევა ფინითა და ხმის უმეტესობით არ შეიძლება“!

შემდეგ, თარგმნის წესის ერთი მნიშვნელოვანთაგანი მოთხოვნაა ქართული ზმნის პირიანი ფორმების, მრავალპირიანობის მაქსიმალურად გამოყენება.

რუსული (ინგლისური, გერმანული, ფრანგული...) ტექსტი კანონისა, ხელშეკრულების, კონვენციის და სხვა დოკუმენტისა, რომელითაც, როგორც წესი, გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიება, დამავალდებულებული დებულებანი და ა.შ., ქართულად ითარგმნება სამი ვარიანტით:

#### I ვარიანტი

თავმოვრილ იქნეს  
უზრუნველყოფილ იქნეს  
განხორციელდეს  
გაუმჯობესდეს  
ვიმოქმედოთ

#### II ვარიანტი

თავი მოვუყაროთ  
უზრუნველვყოთ  
განვახორციელოთ  
გავაუმჯობესოთ  
ვიმოქმედოთ

#### III ვარიანტი

თავი მოუყარონ  
უზრუნველყონ  
განახორციელონ  
გააუმჯობესონ  
იმოქმედონ



I ვარიანტში ყველა ზმნას არ უხერხდება ვნებითეს. წყნარმდებ... II წარმოება. ამრიგად, ერთსა და იმავე დოკუმენტში ერთ-ერთად: აქტიუნი... ხასიათის ფრაზისათვის, გინდა თუ არა, უნდა გამოიყენო აღწერილობითი ვნებითი (უზრუნველყოფილ იქნეს), ჩვეულებრივი ვნებითი (განხორციელდეს) და პირველი პირის მოქმედებითი (ვიმოქმედოთ). მესამე შემთხვევაში სუბიექტად იგულისხმება დავალების მიმცემი და დავალების შემსრულებელი.

რადგან I ვარიანტშიც აუცილებელი ხდება II ვარიანტის გამოყენება, ხოლო ამასთანავე II და III ვარიანტის ფორმებით ბევრად უფრო ნათელი ფრაზა აიკვება, საჭიროა მთარგმნელმა გამოიყენოს უპირატესად ეს II და III ვარიანტი (III ვარიანტში ტექსტის მიხედვით სუბიექტი უფრო ნათლად ჩანს, მთარგმნელს შეუძლია იგი კონკრეტულადაც დაასახელოს... ჩაუმატოს).

მთარგმნელის კვალიფიკაციაზე დამოკიდებული, რამდენად ოსტატურად გამოიყენებს ამ მობილურ ფორმებს და გვერდს აუელის ბუნდოვან აღწერილობით ვნებითებს (თავმოყრილ იქნეს და სხვ.).

განსახილველად შემოგთავაზებთ ერთ კონკრეტულ მაგალითს. 1968 წელს გამოქვეყნებულ „დეკლარაციაში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების შესახებ“ ერთ-ერთი ფრაზა ასე ითარგმნა: „...ყველამ აღიარა, რომ ევროპის უშიშროების მთავარი პირობაა არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, უზრუნველყონ, რომ გერმანია არასოდეს აღარ ემუქრებოდეს თავის მეზობლებს...“

ეს ფრაზა მერე ერთ-ერთ გაზეთში რატომღაც „გასწორდა“: „საყოველთაო აღიარება პპოვა (!) იმან, რომ ევროპის უშიშროების მთავარი პირობაა დაშვებულ არ იქნას (!) გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, უზრუნველყოფილ იქნას (!) რომ...“. ახლა თავად განსაკუთრებით, რომელია ამათგან უკეთესი კონსტრუქცია.

რაც შეეხება უცხო საკუთარ სახელთა და სიტყვათა ტრანსკრიფციას, სასურველია მოვიპოვოთ „საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და (ან) „უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელთა ვრცელ წინასიტყვაობაში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ისეთი ქნებიდან ზოგიერთი უცხოენოვანი ბგერისა და ბგერათკომპლექსის ქართულად გადმოცემის წესებს, როგორიც არის გერმანული, დანიური, ესპანური, ინგლისური, იტალიური, ნორვეგიული, პოლონური, პორტუგალიური, რუმინული, უნგრული,



ფრანგული, შვედური, ჩეხური და პოლანდიური.

სახელდახელოდ გამოყენებისათვის კი მოგაწვდით წიგნებს:

1. თუ საკუთარი სახელი საერთოა ქართულთან, მას ვიხმართ ქართულის თანახმად: **Александр** – ალექსანდრე, მაგრამ თუ თვალსაჩინოდ დაშორებულია, მაშინ გადმოიცემა იმ უნის წარმოთქმის შესაბამისად, საიდანაც შემოდის: **ფრანგული** ჟან – ივანე.

2. ქვეყნების სახელწოდებანი გადმოგვაქვს ან იმ ფორმით, როგორც შესაბამის ენაზეა: ნიდერლანდი, ჩილე, ან ტრადიციისამებრ – იაპონია, არგენტინა, გერმანია, ანდა ქართული აფიქსების გამოყენებით: ფინეთი, საფრანგეთი.

3. ბერძნული **τ** და ფრანგული და გერმანული **th** ასონიშნების ქართული შესატყვისია **თ**.

4. ბერძნული, ლათინური, გერმანული, ინგლისური და სხვა ენათა **h**-ის შესატყვისია **ჰ**.

5. უცხოურ **ჭ** და **ჭ** შემცველ კომპლექსებს ქართულში შეეფარდება **ჭ** და **ფს**. ასევე: **კტ** – ქტ; **კზ** – გზ; **კც** – ქც.

6. გერმანულ **ei**-ს, რომელიც გერმანულად **ai**-დ წარმოითქმის, შეეფარდება ქართული **აი**.

7. უცხო სიტყვები, რომლებსაც რუსულ დაწერილობაში **Ю** კომპლექსი მოუდით, ქართულში **ლუ**-თი გადმოიცემა.

8. უცხო სიტყვები, რომლებსაც რუსულ დაწერილობაში **Я** კომპლექსი მოუდით, ქართულში **ლა**-თი გადმოიცემა.

საზოგადოდ უცხო სიტყვები, რომლებშიც დედაენაზე **ჰ** იწერება, ქართულშიც **ჰ** ასონიშნით გადმოიცემა. ამ სიტყვათა ქართულ დაწერილობას საფუძვლად უნდა დაედოს სახელწოდებათა ლათინური ტრანსლიტერაცია.

\* \* \*

1982 წლის ივლისში სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვირული დამატების რედაქციას წერილით მიმართა ბატონმა აკაკი შანიძემ. ეს წერილი ასე იწყებოდა: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ ჟურნალის რედაქციას“. აი სწორედ ამ წყობას გვინდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება.

საქმე ის არის, რომ ხშირად ფრაზა იგება ისეთი სახელწოდებების (სათაურების) მონაწილეობით, რომლებიც გარკვეულ უსერსულობას ქმნიან მათი ბრუნების დროს.




დიდი მეცნიერის რჩევა-დარიგების არსი ის არის, *ჩემი ცხოვრება* სელწოდებანი ყოველთვის უბრუნველი დავტოვოთ და *ჩემი ცხოვრება* დავაყენოთ მეორე ადგილზე (როგორც გვაქვს თამარ მეფის მსგავს შესიტყვებებში).

მაგალითად, გვაქვს წყობა: „იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?“ ...“. მაგრამ თუ მოვინდომებთ და რომელიმე სხვა ბრუნვაში დავსვამთ ამ სახელწოდებას, გავვიჭირდება ფრაზის გამართვა. ამას თავიდან აგვაცილებს შანიძისეული მოდელი: „იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?“ მოთხრობა...“.

მოვიყვანოთ ჩვეულებრივი ხერხით შედგენილი რამდენიმე წინადადება და ამ კონსტრუქციის მიხედვით გავმართოთ ისინი.

„გაზეთ „სრულიად არასაიდუმლოდ“ რედაქციის თანამშრომლები...“ („სრულიად არასაიდუმლოდ“ გაზეთის რედაქციის თანამშრომლები...“); „ფონდმა „ღია საზოგადოება-საქართველო“ მსმედიის პროგრამით კიდევ ერთი კონკურსი გამოაცხადა“ („ღია საზოგადოება-საქართველო“ ფონდმა... კონკურსი გამოაცხადა“); „საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ აქტივისტები...“ („საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ საერთაშორისო საზოგადოების აქტივისტები...“); „ორბიტული სადგურის „სოიუზ ტ-13“-ის ეკიპაჟმა...“ („სოიუზ ტ-13“ ორბიტული სადგურის ეკიპაჟმა...“); „მწარე საუბარი გაპასუხება ტარიელ ჭანტურიას ლექსის – „თბილისში ქალმა ვერ იშოვა ქათმის დამკვლელის“ გამო“ („მწარე საუბარი გაპასუხება ტარიელ ჭანტურიას „თბილისში ქალმა ვერ იშოვა ქათმის დამკვლელი“ ლექსის გამო“); „ქართველი ჯარისკაცები ნატოს პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ გათვალისწინებულ ოცდლიან ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას“ („ქართველი ჯარისკაცები ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამით გათვალისწინებულ... ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას“); „...წერილი გაუგზავნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარეს...“ („...წერილი გაუგზავნა „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარეს...“); „პროგრამამ „საქართველოს ახალგაზრდობა ცვალებად მსოფლიოში“ საქართველოს აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის კომისიის მოწონება დაიმსახურა“ („საქართველოს ახალგაზრდობა ცვალებად მსოფლიოში“ პროგრამამ... მოწონება დაიმსახურა“); „სტუდენტური ექსპედიციის „ტეგლო-96“ მონაწილეები...“ („ტეგლო-96“ სტუდენტური ექსპედიციის მონაწილეები...“) და ა.შ.



თუ ფრანზის გაწყობის ამ ორ სერეს შევუპირისპირებთ ერთმანეთს, დავინახავთ, რომ მსგავს შემთხვევებში უპირატესობა ლადა მუორეს უნდა მივანიჭოთ.

ამ კონსტრუქციას უზუად იყენებენ ჩვენი ენათმეცნიერნი (ატარებს ზმნით აღნიშნული გადაადგილება სუბიექტის აქტიური მოქმედების შედეგა"; „მიმღობისაგან ნაწარმოებ აუტანლად ზმნის-სართსაც... ემოციური დატვირთვა აქვს"; „ტენიკა სიტყვის გამოყენებასთან დაკავშირებით შეინიშნება... სხვა დარღვევაც"); „გაიმარჯვა ზმნას ზოგჯერ მოიგო ენაცვლება" და მისთ.).

ჩვენც მივბაძოთ მათ, მივბაძოთ არა მარტო ამასი, არამედ დანარჩენ სხვა შემთხვევებშიც, და მაშინ, მათს ცოდნა-გამოცდილებას ნაზიარებნი, ვიტყვი, მაგალითად,

## ასე კი არა

ააწყეს  
 აბითურიენტი  
 აგებულობა  
 აგზუნის  
 ადეკატური  
 ადმინისტრატორული  
 აენტურული  
 ავტორიზირებული  
 ათნახეარი, ერთნახეარი  
 აკრია  
 აკრედიტირებული  
 ალექსანდროული  
 ალკოპოლური  
 ანეკლოტი  
 ანზოგადებს  
 აღმოსავლეთელი  
 ასახიერებს  
 ასხეაებს  
 ანტიკვარი  
 ანციფერებს  
 ანტროპოლოგი  
 ანორციელებს  
 ასბესტი  
 ასოციირებული

## ასე

- ააწყეს  
 - აბითურიენტი  
 - აგებულება  
 - აგზუნის  
 - ადეკატური  
 - ადმინისტრაციული  
 - აენტურიული  
 - ავტორიზებული  
 - ათნახეარი, ერთნახეარი  
 - აკრავს  
 - აკრედიტებული  
 - ალექსანდროული (ვაზი)  
 - ალკოპოლიანი (სასმელი)  
 - ანეკლოტი  
 - ანზოგადებს  
 - აღმოსავლელი  
 - ასახიერებს  
 - ასხეაებს  
 - ანტიკვარი  
 - აციფერებს  
 - ანტროპოლოგი  
 - ანორციელებს  
 - ანბესტი  
 - ასოციირებული



აფიორა  
 აქვამარინი  
 აქვატორია  
 ბრუცელიოზი  
 გაგ ზაუნა  
 გადაიარაღება (ქარხნისა)  
  
 გადი ზარდა: კონფლიქტში,  
 დაპირისპირებაში,  
 მასობრივ გამოსვლაში...  
 გადამამუშავებელი  
  
 განუადებით  
 დააწყეს  
 დაბალანსებული  
 (თუ ფინანსებს არ ესება)  
 დასაუღლებელი  
 დინამიური  
 ესერის პისტოლეტიდან  
 ეფექტური  
 ექვივალენტი  
 ექსპლუატაციაში,  
 მოქმედებაში გაუმჯეს,  
 გადასცეს  
 ექსტრაორდინალური  
 ვეტერინალური  
 ვიცეპრეზიდენტი  
 თვისობრივი  
 იაფი  
 იაფფასიანი  
  
 ინიცირებული  
 იოდი ზირებული  
 კენჭისყრაზე დაესვათ  
 კოქსგაზი

- აფერა  
 - აქვამარინი ექსპლუატორია  
 - აქვატორიტი ექსპლუატორია  
 - ბრუცელოზი  
 - გაგ ზაუნა  
 - ტექნიკური განახლება,  
 ხელახალი ტექნიკური  
 აღჭურვა  
 - გადი ზარდა: კონფლიქტად,  
 დაპირისპირებად,  
 მასობრივ გამოსვლად...  
 - გადამამუშავებელი  
 (მრეწველობა)  
 - ნისიად  
 - დააწყეს  
 - შეწონასწორებული  
 - დასაუღლებელი  
 - დინამიკური  
 - ესერის პისტოლეტს, თოფს  
 - ეფექტური  
 - ექვივალენტი  
 - საექსპლუატაციოდ გადასცეს,  
 ამოქმედეს,  
 ამუშავეს  
 - ექსტრაორდინარული  
 - ვეტერინარული  
 - ვიცეპრეზიდენტი  
 - თვისებრივი  
 - ძვირის საპირისპ.  
 - იაფი საქონელი,  
 იაფი სასტუმრო,  
 მდარე, უბარისბო  
 საქონელი...  
 - ინიცირებული  
 - იოდი ზებული  
 - კენჭი ექსპაროთ  
 - კოქსგაზი



კოქტილი	- კოქტილი
კოლაში	- კოლაფსი
კოოპერაციული	- კოოპერაციული
კოსტუმი	- კოსტუმი
კუმბუტრი	- კუმბური მეტრი, კუმბუტრი, კუმ. მ
ლიქვიდური	- ლიკვიდური
მანძილზე	- განმავლობაში (ათი დღის, ორი თვის)
მაღალი მოსავალი	- უხვი მოსავალი
მაღალი სტუმარი	- საპატიო სტუმარი
მდგარი	- მდგომი ამოცანები (ამჟამად რომ დგას ვინმეს წინაშე)
მეორადი	- მეორეული (ყველა შემთხვევაში)
მინახია	- მინახავს
მითქვია	- მითქვამს
მიმართებით	- ამ მიმართულებით, ამ მხრივ, ამ თვალსაზრისით
მიწერა	- წამატება (ეკონომიკური მაჩვენებლის ხელოვნურად გაზრდა)
მოაწყეს	- მოაწყვეს
მომსახურება	- მომსახურება
მაროდვიორი	- მაროდვიორი
მრავალსერიანი	- მრავალსერიიანი
მრბოლელი (ველომრბოლელი...), მრბოლულები	- მრბოლი (ველომრბოლი...), მრბოლეები
პასუხობს	- უპასუხებს
პირველადი საჭიროების საქონელი	- პირველი საჭიროების საქონელი
პლიუსი	- პლუსი
პროგრამირება	- დაპროგრამება
პროექტირება	- დაპროექტება
ჰსკოვი	- ფსკოვი
რეკეტორი	- რეკეტორი
რელიქვია	- რელიკვია
რუნდგენი	- რუნტგენი
რეკვიემი	- რეკვიემი



რუქა  
 საბრალმდებლო  
 საგამომძიებლო  
 სათადარიგო ნაწილები  
 სამეცნიერო-საკვლევითი  
 ინსტიტუტი  
 სამსახურეობრივი  
 სანქტ-პეტერბურგი  
 სარეკორდო მოსავალი  
 სერთიფიკატი,  
 სერთიფიცირებული  
 სპეციალიზირებული  
 სპორტული  
 სტატუს-ქვო  
 სტაციონალური  
 სტიპენდიანტი  
 ტრანსფარანტები  
 ტრადედია  
 უკრაეს გიტარაზე  
 უპასუნია (ეპასუნა)  
 უპასუნებს, პასუნობს  
 ურთიერთანადგომა  
 ურთიერთთანამშრომლობა  
 ფაკულტატური  
 ფანტასტიკური  
 ფართე  
 ფართი  
 ფინანსირება  
 ფინანსური  
 ფიქტიური

- რუკა  
 - საბრალდებო რეკორდული  
 - საგამომძიებლო სპეციალიზირებული  
 - სამარაგო ნაწილები  
 - სამეცნიერო-კვლევითი  
 ინსტიტუტი  
 - სამსახურეობრივი  
 - სანქტ-პეტერბურგი  
 - რეკორდული მოსავალი  
 - სერთიფიკატი,  
 სერთიფიცირებული  
 - სპეციალიზირებული  
 - სპორტული  
 - სტატუს-ქვო  
 - სტაციონარული  
 - სტიპენდიანტი  
 - ტრანსპარანტები  
 - ტრადედია  
 - უკრაეს გიტარას,  
 ფორტეპიანოს  
 - უპასუნია (ეპასუნა)  
 [6 რუქა შოლოდ იმ ზმნებში,  
 რომლებსაც ფუძემი  
 6 მოეპოვება:  
 დაუტკუნია, დაეტკუნა,  
 (რადგან - ტკუნის)]  
 - შეესაბამება ნორმებს,  
 სტანდარტებს...  
 აკმაყოფილებს... მოთხოვნებს  
 - თანადგომა  
 - თანამშრომლობა  
 - ფაკულტატური  
 - ფანტასტიკური  
 - ფართო  
 - ფართობი  
 - დაფინანსება  
 - ფინანსური  
 - ფიქტიური

ფუნტი სტერლინგი	- გირვანქა სტერლინგი
ქაოტური	- ქაოსური
ქვოტები	- კვოტები
ღებულობს	- იღებს
ღერბი	- გერბი
შემოქმედი	- შემოქმედი
ჩრდილოეთელი	- ჩრდილოელი
ცალსახად	- ერთმნიშვნელოვნად, ცხადად, შკაფიოდ, გარკვევით
ცივილიზირებული	- ცივილიზებული
წამიკითხია	- წამიკითხავს
წარმადობა	- მწარმოებლობა, მწარმოებლურობა (მანქანისა)
წყლის ნიშანი	- ჰვირნიშანი (ფულისა)
ქეროინი	- ქეროინუმი
პოსპიტალიზირებული	- პოსპიტალიზებული

და ა.შ. (დანარჩენი იხ. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“).

იმათ კი, ვისაც წიგნში ჩახედვა ესიკვდილება და თვალს არ და-  
აბამსამებს, ისე იტყვის: „გთხოვთ მაპატიოთ იმის შესახებ, რომ  
თქვენთან არ მიშვებენ“; „რესპუბლიკური პარტია, როგორც ხელი-  
სუფილემში გარკვეული ხნის მანძილზე მონაწილე პარტია, ინაწი-  
ლებს პასუხისმგებლობას იმ კატასტროფაზე, რომელიც...“; „შეას-  
რულებს უშუალო კურატორის ფუნქციას მეტად მადისალმძვრელ  
„როსვოოორუფნიეს“ კომპანიაზე“; „ატლეთიკო“ მზადაა დამატები-  
თი ფულადი სახსრების გამოძებნაზე“; „პოლიციის თანამშრომლებ-  
მა ჰუმანიტარული ლობიო აღმოაჩინეს“; „ჩინეთის იმპერატორის  
საყვარლები მუდმივ ზეწოლას განიცდიდნენ“; „საკმაოდ კარგად  
ცნობილი საფინანსო თუ პოლიტიკური უგუფები ახლა „გადააჯეა-  
რედინებენ ხმლებს“; „გულწრფელი იყო პროტესტის გამოთქმაში,  
რადგან ამ დოკუმენტში მართლაც არის ჩადებული ის ელემენტე-  
ბი, რომელიც ამჟამად მოქმედ კურსს კორექტირებას უკეთებს“;  
„...წარმოადგენს გაუგებარ პოლიტიკურ ნონსენსს“; „მან შეიმუშა-  
ვა ქართველი ხალხის ფენომენი“; „...სისხლხორცეულად უყვარდა  
სამშობლო“; „უდადესი წვლილი შეასრულა...“; „ეს უკანასკნელი  
იძულებული გახდა დაეტოვა კრება“; „იუნესკოს მიერ რამოდენიმე  
წლის წინ გამოიყო გარკვეული თანხა, რომელიც არადანიშნულე-  
ბისამებრ გაუჩინარდა“; „...ავიაკომპანია კატეგორიულად არღვევს



საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას"; „9 თებერვლის ტერაქტის რაინდებს (პრეზიდენტზე თავდასხმის დროს დაღუპულ დაცვის სამსახურის თანამშრომლებზეა ლაპარაკი) სიღვიძარები მიაგებდა პატივს“; „საქართველოს ბუნება მაინცდამაინც დიდნახს ველარ იშრიალებს“ და ასე განაგრძობს „შრიალს“, ვურჩევთ დაეწაფონ აქ დასახელებულ სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებსა და სხვა ცნობარებს მაინც, თუ უნდათ, რომ სწორად იმეტყველონ და უშეცდომოდ წერონ.

აღბათ, გახსოვთ, ამ თავში მოვიყვანეთ ამბავი იმისა, თუ როგორ უპასუხეს საქინფორმელთა შეკითხვას „ნაციონალური“ სიტყვის შესახებ ცნობილმა სწავლულებმა. წერილს, რომელიც ამ პასუხს შეიცავდა, ხელს აწერდნენ არნ. ჩიქობავა, ვუკ. ბერიძე, ქ. ლომთათიძე, ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი.

ერთ კითხვაზე ერთი პასუხი. თითქოს უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ რა მრავლისმეტყველია იგი. ეს უკვე პოზიცია, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა, დამოკიდებულება იმათი, ვინც ენის საკითხებით არის დაინტერესებული, და იმათი, ვინც ენის ნორმებსა და წესებს ადგენს.

სწორედ ასეთი დამოკიდებულება დაგვაძლევინებს გავრცელებულ დარღვევებს და დაგვაცვევინებს ჩვენი დედაენის სიწმინდეს.





თავი I

ივ. ჯავახიშვილი: თხზ. თორმეტ ტომად. ტ. VI. თბილისი: თსუ, 1982.

საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918. ტფილისი: იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა, 1919.

პ. დ. მიქელაძე: დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა. ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ. სტამბა საქართველოს მთავრობისა, 1918.

6. სამარაღი: სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი წესწყობილება. ტფილისი: დამფუძნებელი კრების სტამბა. 1920.

პ. სამარაღიძე: წერილები სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ წესწყობილებაზე. რესპუბლიკები. ტფილისი: საქართველოს მთავრობის სტამბა, 1918.

გივი ივჭირავილი: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბილისი, 1997.

Новицкая Т. Е.: Нормативные акты как источники права в первые годы советской власти. – *Вести Московского университета Сер. 11, Право.*

Плотниекс А. А.: Становление и развитие ленинской общей теории права в СССР 1917-1936 гг. 1978.

Лукьянова Е. А.: Закон как источник советского государственного Права. М., 1988.



- ТИХОМИРОВ Ю. А. *Теория закона*. М.: Наука, 1982.
- РЕНЕ ДАВИД: *Основные правовые системы современности*. М.: Прогресс, 1988.
- Указ и закон*. Исследование Н. М. Коркунова. СПб, 1894.
- Современное буржуазное государственное право. Критический очерк*. 1987.
- ЕГОРОВ С. А.: *Политическая юриспруденция в США*. М.: Наука, 1989.
- Современная буржуазная политическая наука: проблемы государства и демократии*. М.: Наука, 1982.

## თავი II

- ТРУБЕЦКОЙ Е. Н.: *Энциклопедия права*. Киев, 1906.
- ბ. იმეჯიკიშვილი: *სახელმწიფოსა და სამართლის თეორია*. თბილისი, 1997.
- ზ. ჯინჯოლაძე: *საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი*. თბილისი, 1993.
- Конституционное право зарубежных стран, общая часть, том I-II*. Под ред. Б. А. Страшуна. М., 1996.
- КОРКУНОВ Н. М.: *Лекции по общей теории права*. СПб, 1898.
- Конституционное (государственное) право зарубежных стран*. М., 1996.
- Мишин А. А., Власихин В. А.: *Конституция США. Политико-правовые комментарии*. М., 1985.
- Додонов В.Н.: *Конституционное (государственное) право*. М., 1995.
- Тихомиров М.Ю.: *Юридическая энциклопедия, 3-е издание*. М.: Юридинформцентр, 1995.
- Конституционное (государственное) право зарубежных стран, том I-II, общая часть*, стр. 518. Под ред. Б. А. Страшуна. М., 1996.
- რ. გელაძე: *საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი*. თბილისი, 1995.



საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი: საქართველოს პარლამენტის აპარატი, საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“, 1995.

საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“. – პარლამენტის უწყებანი (სავეიალური გამოშვება), 19 ნოემბერი, 1996; კანონის ცვლილებები. – პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება) № 31-32, 33, 1997.

საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“. – პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება) № 44, 1997.

საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“. – პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება) № 14, 1996; კანონის დამატება. – პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება) № 27-28/4, 1996.

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“. – პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება) № 13-14, 1998.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“. – პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება) № 44, 1997.

საქართველოს პრეზიდენტის № 326 ბრძანებულება „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ“. – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები № 10, 1996.

„საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის დებულება“, დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის № 680 ბრძანებულებით. – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები, ოქტომბერი, 1998.

საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“. – პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება) № 17, 1996; კანონის ცვლილებები და დამატებები. – პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება) № 9-10, 29-30, 47-48, 1997, 19-20, 1998.

„საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონი“. – საქართველოს პარლამენტის უწყებები № 27-30, მუხლი 642, 1995; კა-



ნონის ცვლილებები და დამატებები. – *პარლამენტის უწყებანი* № 17, 1996; *პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება)* № 43, 1997.

საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“. – *პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება)* № 17-18, 1997.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. – *პარლამენტის უწყებანი* № 001, 1996; კანონის ცვლილებები და დამატებები. – *პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება)* № 5-6, 1996; № 45, 1997.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“. – *პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება)* № 13, 1996.

საქართველოს კანონი „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“. – *პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება)* № 17-18, 1997; კანონის ცვლილებები. – *პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება)* № 41, 1997.

საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“. – *პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება)* № 44, 1997.

საქართველოს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“. – *პარლამენტის უწყებანი (სპეციალური გამოშვება)* № 45, 1997.

საქართველოს კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“. – *საკანონმდებლო მაცნე*, მუხლი № 10, 1998.

საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. – *პარლამენტის უწყებანი (საკანონმდებლო დამატება)* № 33, 1997.

#### თაპი IV

*Zeitschrift für Gesetzgebung (ZG) Häft 1. 1986.*

CARL BÖHRET: Anwendungsorientierte Gesetzgebungslehre- ein längst fälliger Beitrag. – *Werner Hugger. Gesetze – Ihre Vorbereitung, Abfassung und Prüfung.* Baden-Baden, 1983.

ULRICH KARPEN: Zum gegenwärtigen Stand der Gesetzgebungslehre in der Bundesrepublik Deutschland. – *ZG Heft 1, 1986.*

- NOLL: *Gesetzgebungslehre*, 1973.
- SCHNEIDER: *Gesetzgebung. Ein Lehrbuch*. Heidelberg, 1982.
- Gesetzgebungstheorie, Juristische Logik, Zivil- und Prozessrecht. Gedächtnisschrift für Jürgen Rödig*. Berlin Heidelberg New York, 1978.
- Vorträge über Recht und Staat. Von Carl Gotlieb Suarez*. Hrsg. von Hermann Conrad und Gerd Kleinheyer, 1960.
- FRANZ V. ZEILLER: *Grundsätze der Gesetzgebung 1806-09*. Hrsg. von Erik Wolf, 1943.
- Die Abfassung der Reichsgesetze. – *Politik Bd. 2*, 1862.
- E. ZITELMANN: *Die Kunst der Gesetzgebung*. 1904.
- E. BELING: *Methodik der Gesetzgebung insbes. der Strafgesetzgebung*. 1922.
- E. HUBER: *Recht und Rechtsverwirklichung, Probleme der Gesetzgebung und der Rechtsphilosophie*. 1921.
- DE BOOR: *Die Methode des englischen Rechts und die deutsche Rechtserneuerung*. 1934.
- SCHMIDT-RIMPLER: *Zur Gesetzgebungstechnik, Festschrift für Hedemann*. 1938.
- Gesetzgebungstheorie und Rechtspolitik*. Opladen: Hrsg. von Dieter Grimm und Werner Maihofer, 1988.
- MANFRED STELZER: Entwicklung, Charakteristik und Möglichkeiten der Gesetzgebungslehre in Österreich. – *ZG Heft 2*.
- MARTIN KELLER: Zum Stand der Gesetzgebungslehre in der Schweiz. – *ZG Heft 3*, 1986.
- Professionalizing Legislative Drafting*. Washington: Hrsg. Dickerson Reed, 1971.
- ORTLIEB FLIEDNER: Gesetzgebung in England. *ZG Heft 1*, 1988.
- CHARLES-ALBERT MORAND: Die Erfordernisse der Gesetzgebungsmethodik und des Verfassungsrechts im Hinblick auf die Gestaltung der Rechtsvorschriften. – *Gesetzgebungstheorie und Rechtspolitik*. Opladen: Hrsg. von Dieter Grimm und Werner Maihofer, 1988.
- DR. WERNER HUGER: *Gesetze – Ihre Vorbereitung, Abfassung und Prüfung*. Baden-Baden, 1983.
- ARTHUR KAUFMANN: *Grundprobleme der Rechtsphilosophie. Eine Einführung in das rechtsphilosophische Denken*. München, 1994.
- MANFRED BIERWISCH: Recht Linguistisch gesehen. – *Rechtskultur*



**als Sprachkultur. Zur forensischen Funktion der Sprachanalyse.**

Frankfurt am Main: Hrsg. von Günther Grewendorf, 1992.

HANS-PETER-SCHWINTOWSKI: **Recht und Gerechtigkeit. Eine Einführung in Grundfragen des Rechts.** Berlin Heidelberg New York, 1996.

WERNER KZAWIETZ: Rechtssystem und Rationalität in der juristischen Dogmatik. – **Rechtstheorie. Methodologie und Erkenntnistheorie der juristischen Argumentation, Beiheft 2.** 1981.

KRAWIETZ, OPELEX: Sprachphilosophie und Jurisprudenz. – **Rechtstheorie. Argumentation und Hermeneutik in der Jurisprudenz, Beiheft 1,** 1989.

JOSEF ISENSEE: Staat im Wort. Sprache als Element des Verfassungsstaates. – **Verfassungsrecht im Wandel,** 1995.

ROLF WENK: Objektsprache und Metasprache. Geltungsprobleme bei Verfassungen und Rechtsgeschäften. – **Rechtstheorie, Zeitschrift für Logik, Methodenlehre, Kybernetik und Soziologie des Rechts, 13 Band,** 1982.

**Rechtstheorie.** Hrsg. von Jahz / Maihofer, 1971.

CHRISTIANE UND OTA WEINBERGER: **Logik, Semantik, Hermeneutik,** 1979.

TOMASZ GIRBERT - STUDNICKI: Die Rechtssprache aus soziolinguistischen Sicht. – **Rechtstheorie, 15 Band,** 1985.

FRITJOF HAFT: Recht und Sprachtheorie. – **Archiv für Rechts- und Sozialphilosophie, Beih. N29.**

**Die Sprache des Rechts und Verwaltung.** Bearbeitet Von Ingolf Radtke. Stuttgart, 1981.

FLUCK: **Fachsprachen. Einführung und Bibliographie,** 1980.

LEODOLTER: **Das Sprachverhalten von Angeklagten vor Gericht,** 1975.

ERNST STROUHAL: Fachsprache Gesetz: Sind Verständlichkeit und Juristische Präzision Gegensätze? – **ZG,** 1986.

OTTO: **Die Paradoxie einer Fachsprache.**

**Rationalisierung der Gesetzgebung.** Baden-Baden Wien: Hrsg. von Heinz Schäffer, Otto Triffterer, 1984

LOTHAR PAUL: Sprachkritik in der juristenausbildung. – **Recht und Sprache. Beiträge zu einer bürgerfreundlichen justiz.** Heidelberg: Hrsg. von Rudolf Wassermann und Jurgen Petersch, 1983.

6. ბასილაია: *ქართული ენის პრაქტიკული სტილიტიკა*. თბილისი, 1991.

ლ. ლეჟავა: რთულ წინადადებაში ზმნისართ-კავშირთა მართებულად გამოყენების საკითხები. — *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები წიგნი V*. თბილისი, 1989.

ლ. ლეჟავა: რთულ წინადადებაში ზმნისართ-კავშირთა მართებულად გამოყენების საკითხები. — *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები წიგნი V*. თბილისი, 1989.

ბ. კვარაცხელია: *ქართული ენის ფუნქციური სტილიტიკა*. თბილისი, 1990.

Валгина Н. С.: *Современный русский язык. Пунктуация*. М.: Высшая школа, 1988.

ბ. კვარაცხელია: ოფიციალურ საქმეთა სტილის ზოგადი ნიშნები. — *თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები VI*. თბილისი, 1981.

მ. ლვინაძე: ვნებითი გვარის ფორმათა გამოყენება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ენაში. — *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები წიგნი VIII*. თბილისი, 1988.

მ. ლვინაძე: აღწერითი ვნებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. — *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები წიგნი IX*. თბილისი, 1989.

მ. ზურაბიშვილი: შემასმენლის ერთი სახეობის გამოყენების საკითხი თანამედროვე პრესის ენაში. — *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები IV*. თბილისი, 1981.

მ. ზურაბიშვილი: შემასმენლის ერთი სახეობის გამოყენების საკითხი თანამედროვე პრესის ენაში. — *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები წიგნი IV*. თბილისი, 1981.

ა. პაპიძე: II კავშირებითის ნაკვეთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. — *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები წიგნი IV*. თბილისი, 1981.

6. ბასილაია: *ქართული ენის პრაქტიკული სტილიტიკა*. თბილისი, 1991.

ბ. კვარაცხელია: *ქართული ენის ფუნქციური სტილიტიკა*. თბილისი, 1990.

ბ. კვარაცხელია: ოფიციალურ საქმეთა სტილის ზოგადი ნიშნები. — *თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები*. თბი-



ლისი, 1981.

Гордовский Н. К.: *Сопоставительная профессиональной речи*. М., 1988.

დ. ჩხუპინაშვილი: ქართული ტერმინოლოგიის შესწავლის ისტორიიდან. - *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება* ტ. 22, 1980.

ძ. ლომთათიძე: კალკებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში. - *კულტურის საკითხები წიგნი VIII*. თბილისი, 1988.

*ქართული სიტყვის კულტურის საკითხები წიგნი VII*. თბილისი.

ძ. ლომთათიძე: კალკებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში. - *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები წიგნი VIII*. თბილისი, 1988.

თავი VI

მ. ჭაბაშვილი: რუსული პირთა სახელების ქართულად გადმოცემისათვის. - *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები წიგნი XI*. თბილისი, 1998.

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი* (ერთტომეული). თბილისი, 1981.

სულხან-საბა ორბელიანი: *ლექსიკონი ქართული*. თბილისი, 1966.

3. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი: *ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი*. თბილისი, 1968.

*ქართული საბჭოთა ენციკლოპედია* ტ. I-XI. თბილისი. 1975-1987.

*ქართული სიტყვის კულტურის საკითხები* წ. I-XI. თბილისი, 1972-1998.

ა. შანიძე: *ქართული ენის გრამატიკა* (ორ ნაწილად: ფონეტიკა და მორფოლოგია; სინტაქსი). თბილისი, 1949.

ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე: *ქართული ენის გრამატიკა, სინტაქსი*. თბილისი, 1975.

თედო სახოკია: *ქართული ზატოვანი სიტყვა-თქმანი*. თბილისი, 1979.

ბ. შალაშვილი: *ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი*. თბილისი, 1980.



მ. შაბაშვილი: უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი, 1989.  
 რუსულ-ქართული ლექსიკონი ტ. I-III. თბილისი, 1956-1958.  
 ზ. შუშუბერიძე: დედაენა ქართული. თბილისი, 1987.

იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი).  
 თბილისი, 1963.

სამხედრო ტერმინოლოგია. თბილისი, 1987.

ტექნიკური ტერმინოლოგია. თბილისი, 1971.

საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთო-  
 გრაფიული ლექსიკონი. თბილისი, 1989.

უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი.  
 თბილისი, 1989.

საქდეს – საქინფორმის თარგმანთა განყოფილების თათბირ-სე-  
 მინარების მასალები.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი,  
 1977.

Краткий юридический словарь. Москва, 1945.

Энциклопедический словарь ТТ. I-III. Москва, 1953-  
 1955.

Уголовный кодекс РСФСР. Комментарии. Москва, 1996.

Вл. Даль: Толковый словарь живого великорусского  
 языка ТТ. I-IV. Москва, 1955.

С. И. Ожегов: Словарь русского языка. Москва, 1984.

ა

- აბსოლუტური ვერო 86
- აკლამაცია 79
- აქტი
  - ინდივიდუალური 111, 117
  - კანონქვემდებარე 17, 122, 192, 362
  - ნორმატიული 16, 25, 31, 91, 107, 109, 111, 112, 115-118, 120, 121, 123-126, 128-130, 132, 138, 139, 142, 151, 154, 155, 159, 176-180, 182-189, 191, 192, 195-197, 199, 363
  - საკანონმდებლო 27, 74, 83, 115, 177, 192
  - სამართლებრივი 111, 169, 170, 231

ბ

- ბიუჯეტი 26, 55, 59, 89, 98-102, 128
- საგანგებო 164
- სახელმწიფო 98, 99, 133, 160-165, 178
- ბრძანება 141
- გამგებლის 115
- ერთობლივი 118, 142
- ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 112, 117, 127
- კონტროლის პალატის თავმჯდომარის 112-114, 117, 127
- მერის 115
- მინისტრის 113, 114, 118, 123, 127, 154
- საქართველოს პრეზიდენტის 113, 114, 117, 191

- ბრძანებულება საქართველოს პრეზიდენტის 112-114, 117, 122, 123, 127, 138, 140, 157-159, 170, 185, 190, 193, 405

ბ

- გადაწყვეტილება
  - რეფერენდუმის 126, 127, 193, 194
  - საკრებულოს 115
- გამგებლობა განსაკუთრებული 116, 122, 124, 125, 198, 199
- გამოცემის (იხ. ნორმატიული აქტის მიღების) თარიღი 179, 180
- განკარგულება 116, 117
- განმარტება ნორმის 109, 195, 196, 209
- „გილიოტინა“ 66

დ

- დადგენილება
  - ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 115
  - ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 115
  - გამგეობის 115
  - ეროვნული ბანკის საბჭოს 112, 117, 123, 127, 196
  - მერიის 115
  - პარლამენტის 112-114, 117, 123, 127, 149, 163, 186
- დარგობრივი ფნა 227, 229
- დებატები საპარლამენტო (იხ. კამათი საპარლამენტო) 64, 65, 97



დეკრეტი საქართველოს პრეზიდენტის 109, 112-114, 117, 121, 124, 127, 128, 137, 138, 157, 178-180, 185, 190, 363

დეონტური ლოგიკა 225

დისკონტინუიტეტი 71, 72, 87

## 3

ვეტო 85, 86, 88-90, 181

- ნაწილობრივი (იხ. შერჩევითი ვეტო) 86

- სუსპენსიური (იხ. შეკენებითი ვეტო) 86-88, 90, 97, 181, 186  
ვეტოს უფლება 85, 86, 89, 90, 97, 186

## ი

იერარქია 107

იურიდიული ძალა 25, 91, 109, 112, 120, 121, 123-126, 142, 192, 193, 362

- უპირატეხი 27, 109, 112, 120, 121, 123-125, 363

## კ

კამათი საპარლამენტო (იხ. დებატები საპარლამენტო) 64-66

კანონი

- ავტონომიური რესპუბლიკის 115

- კონსტიტუციური 27, 91, 96, 97, 112-114, 117, 120, 121, 124, 125, 129, 153, 154, 156, 178, 180, 185, 190, 198, 320, 329

- ორგანული 27, 76, 97, 106, 108-110, 112-118, 121, 124, 125, 127, 129, 153, 154, 178, 180, 185, 190, 192, 193, 195-198, 329, 363, 405, 406

კანონის

- გამოქვეყნება 83-85, 231

- დამტკიცება 81, 82, 86

- ენა 45, 219, 227-229, 264, 266, 316, 362

- ნიშნები 25, 26

- ცნება 23, 24, 27, 98  
კანონმდებლობა 15, 16, 43, 56, 106, 111-114, 118, 123, 149, 145, 151, 152, 148, 151, 155, 168, 171, 176, 190, 193, 204-206, 208, 209, 211, 215, 274, 362, 402

კანონმდებლობის

- ანალიზი 204, 206

- თურია 201, 203-205, 207, 209, 210, 212, 213, 215, 235

- მეთოდიკა 206, 215, 218

კანონპროექტის განხილვა

- გამართლებული წესით 153

- დამტკიცებული წესით 153

კანონპროექტის

- მიღება 59, 63, 152

- წაკითხვა (იხ. წაკითხვა საპარლამენტო) 62

კანონშემოქმედება 15, 16, 18, 24, 30, 31, 43, 44, 49, 50, 90, 107, 128, 135, 137, 139, 203, 204, 206, 209, 211, 212, 214-217, 235, 246, 247, 265, 405

კენგურუ 66

კვორუმი 78, 79, 93, 304

კოდექსი 121, 131, 204, 208, 212, 218, 240-242, 245, 247-254, 256-259, 261, 268, 271, 273, 275, 283, 284, 300, 301, 309, 329, 370, 371, 411

კონსტიტუციური შესწორება 91

კონტინუიტეტი 71

კონტრასიგნაცია 82, 83

## ლ

ლობისტი 176

ლობისტური საქმიანობა 176

## მ

მეტაენა 18, 219, 224, 225

მოსმენა საპარლამენტო 150

- პირველი 150, 151

- მეორე 151, 152

- მესამე 152

6

- ნაწილობრივი (იხ. შერჩევითი) ვე-  
ტო 86
- ნორმატიული აქტი
- ადგილობრივი თვითმმართველო-  
ბის 109, 111, 113-115, 118, 125,  
126, 129, 182, 191, 199
  - ადგილობრივი მმართველობის  
111, 115, 116, 125, 191
  - ავტონომიური რესპუბლიკის  
112, 115
  - საქართველოს 111, 112, 182, 183,  
185, 187
- ნორმატიული აქტის
- განმარტებითი ბარათი 132, 145
  - გარდამავალი დებულება 130
  - დასკვნითი დებულება 130
  - თავი 131
  - კარი 131
  - მიღების (იხ. გამოცემის) თარი-  
ღი 179, 180
  - მუხლი 131
  - ნაწილი 131
  - პრეამბულა 130
  - პუნქტი 131
  - სახელმწიფო რეესტრი 185-187,  
191, 192
  - ქვეპუნქტი 131
  - ძალაში შესვლა 109, 154, 188,  
189, 191
  - ძირითადი ნაწილი 130
  - წიგნი 131
- (7)
- ომის გამოცხადება 158, 159
- ორგანო
- ადგილობრივი თვითმმართველო-  
ბის 106, 107, 110, 115, 120,  
182, 198
  - ადგილობრივი მმართველობის  
110, 111, 115, 116, 165, 176
  - სახელმწიფო ხელისუფლების  
29, 30, 42, 120

3

- პრინციპი
- უფლებამოსილებათა დასაზღვე-  
ვად 116, 124, 198
  - ხელისუფლების დანაწილების  
116, 122, 174
- პროპულგირება 81, 83, 84, 90, 97

რ

- რეფერენდუმი 27, 51, 89, 93, 95,  
105, 106, 108, 126, 127, 139,  
193-195, 405

ს

- საგანგებო მდგომარეობა 106, 164,  
380-383
- საგანგებო საკანონმდებლო ვითარე-  
ბა (იხ. საკანონმდებლო აუცი-  
ლებლობის მდგომარეობა) 78
- საერთაშორისო ხელშეკრულება  
26, 89, 108, 109, 111-114, 117,  
120, 121, 127, 166-173, 182, 184,  
188-190
- საერთაშორისო ხელშეკრულების
- გაუქმება 173
  - დადება 166, 168, 169
  - დენონსირება 173
  - რატიფიკაცია (რატიფიცირება)  
167, 170, 171, 173, 178
  - შეჩერება 166, 173
- საკანონმდებლო
- აუცილებლობის მდგომარეობა  
(იხ. საგანგებო საკანონმდ-  
ებლო ვითარება) 78
  - აქტი 27, 74, 83, 115, 118, 119,  
121-123, 130, 132, 134, 135, 138,  
171, 177, 179, 180, 189, 190, 192,  
204
  - ინიციატივა 26, 51-61, 64, 70, 72,  
75, 92, 100, 133-136, 144-148,  
150, 155, 156
  - პროცესი 15, 23, 49-52, 60-62,  
72, 81, 82, 85, 87, 103, 108,  
205, 206, 213

## საძიებელი

- ტაქტიკა 204
- ტექნიკა 39, 201, 203, 205, 208, 209, 216, 218
- ტექნიკის ელემენტები 218
- წინადადება 53, 54, 63, 76, 133, 134, 144, 147, 155
- საომარი მდგომარეობა 106, 157, 380-382
- საფინანსო კანონები 98
- სახალხო
  - ვეტო 49
  - ინიციატივა 56, 60
- სახელობითი კენჭისყრა 79, 86, 178
- სეკესტრი ბიუჯეტის ხარჯების 163
- სემანტიკური ანტინომია 224
- სიმეტრიული ბიკამერალიზმი 73
- სოსენსიური (იხ. შეყოვნებითი) ვეტო 86-88, 90, 97, 181, 186

## უ

- უარყოფელი რეფერენდუმი 89



ქართული ენციკლოპედია

- შერჩევითი (იხ. ნაწილობრივი) ვეტო 86

- შეყოვნებითი (იხ. სოსენსიური) ვეტო 86-88, 90, 97, 181, 186

## წ

- წაკითხვა საპარლამენტო (იხ. კანონპროექტის წაკითხვა) 62
- წინასაკანონმდებლო პროცესი 50

## ხ

- ხელისუფლება
  - აღმასრულებელი 34, 35, 193, 377
  - საკანონმდებლო 35, 53, 86, 108, 122

## ჯ

- „ჯიბის“ ვეტო 86

შესწორებანი



პე	სტროქ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
17	13 ზ.	კანონქვემდებარე	ქვეკანონური
24	8 ქვ.	კი, ძირითად	კი, რომლის ტყუილად
25	12 ზ.	არა	არა-
27	10 ქვ.	გამოყოფენ	გამოყოფენ,
27	8 ქვ.	კრებულებს;	კრებულებს,
28	1 ზ.	ღინარე	ღინარე,
28	12 ზ.	ლობა	ლობა,
29	6 ზ.	თვითონ,	თვით
34	13 ქვ.	პირობებს	პრობლემებს
37	1 ქვ.	სწორედ,	სწორედ
39	4 ქვ.	დავასაბუთოთ.	დავასაბუთოთ
42	1 ქვ.	ულ-ღირებულებითი საფუძველია	ულ-ღირებულებითი საფუძველს
44	9 ქვ.	სათვის,	სათვის
44	7 ქვ.	პირობებში,	პირობებში
46	8 ზ.	ფორმე	ფორმე
52	17 ზ.	ფორმის	ფორმის,
54	4-5 ზ.	მის	მის შეთანხმებას
54	10 ზ.	განვიხილავედვ	განვიხილავედეთ.
55	15 ზ.	უმრავლესობაში;	უმრავლესობაში";
55	14 ქვ.	მხოლოდ აქვს	აქვს მხოლოდ
55	13 ქვ.	მინუელია, როგორც	მინუელია
55	7 ქვ.	აგრეთვე	აგრეთვე
56	6 ზ.	ტემით	ზემით
56	18 ქვ.	კონსტიტუციური	კონსტიტუციურ
58	1 ქვ.	ზიცის ბრძოლის	ზიცის ბრძოლის
59	7 ქვ.	ძირითად	ძირითადი
61	12 ქვ.	სტადია	სტადია
62	5 ზ.	აქვს,	აქვს
64	1 ზ.	არამედ პალატის	პალატის
65	1 ზ.	ფორმა,	ფორმა,
65	13 ქვ.	მოითხოვის	მოითხოვის
66	17 ქვ.	მიღება.	მიღებას.
66	2 ქვ.	მიღება.	მიღებას.
68	14 ქვ.	პრიტანეთში	პრიტანეთში
70	11 ზ.	მართალია	მართალია,
71	10 ზ.	იტალიის,	იტალიის
72	6 ქვ.	ჩვეულებრივ	ჩვეულებრივ,
72	19 ქვ.	თვალშისწინა	თვალშისწინა
74	9 ზ.	ფუნქცია	ფუნქციას
76	3 ზ.	არ იქნა	არ
76	2 ქვ.	პალატა,	პალატა,
77	11-12 ზ.	კომისიის	კომისიის მოწვევა
78	10 ზ.	მოწვევა	
78	10 ზ.	დაუჭერს	დაუჭერა
79	5 ზ.	ტია	ტისა
81	14 ზ.	სტადია,	სტადია,
82	1 ზ.	მეთაურია.	მეთაურისა.
82	12 ქვ.	პრემიერ-მინისტრის,	პრემიერ-მინისტრის,
82	11 ქვ.	სხვაგვარად.	სხვაგვარად

გვ.	სტრიქ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
83	15-14 ქვ.	ლებიჯ ზემოაღნიშნულისაგან	ლებიჯ ზემოაღნიშნულისაგან
87	7 ზ.	საშუალება.	საშუალება.
94	12 ზ.	სამიშეოსხედისა	სამი შეოსხედას
94	15 ზ.	პირობად სახით	პირობად
96	2 ზ.	მინც.	მინც.
96	19 ქვ.	პარლამენტის	პარლამენტში
98	5 ზ.	უძველეს	უძველესი
99	1 ზ.	სახელწიფი	სახელწიფის
100	6 ქვ.	პირი,	პირს,
110	6 ქვ.	[3(მუხლები:	[6(მუხლები:
111	12 ზ.	კურსით	შეად
159	7 ზ.	ორ დღეში ვადაში	ორ დღეში
203	13 ქვ.	დისკუსიამ,	დისკუსიამ
204	9 ქვ.	რეფლექსურად	რეფლექსურად
207	10 ქვ.	დასტურის.	დასტურის,
207	1 ქვ.	(ოდერის)	ოდერის
208	3 ზ.	„კონიერულობაზე“	„კონიერულობაზე“,
214	10 ზ.	(1932) დაწვებული	(1932)
218	3 ქვ.	ტელელოგიურ	ტელელოგიური
220	7 ზ.	მართალია	მართალია,
222	8 ქვ.	იველება	იველება
226	4 ქვ.	წყის	წყის,
231	16 ქვ.	დემონტაჟი	დემონტაჟი.
232	3 ზ.	ფაქტობრივ ურთიერთობებს	ფაქტობრივი ურთიერთობები
233	9 ზ.	რამედ	არამედ
234	1 ზ.	სიმარტოვე	სიმარტოვე
234	3 ზ.	უბრალოება, სიმარტოვე	უბრალოება, სიმარტოვე
235	3 ზ.	სიმოკლე, სიზუსტე	სიმოკლე, სიზუსტე ნაკლი
240	5 ქვ.	უფლებებით...	უფლებებით...
243	4 ზ.	შეწყვეტა.	შეწყვეტა
258	6 ზ.	გარეშეც.	გარეშეც
263	10 ქვ.	სისხლისა	სისხლისა და
264	1 ზ.	ლურსაქმეთა	ლურსაქმეთა
270	6 ზ.	დაქმაროს	დაქმაროს
278	3 ზ.	პეტაკი,	პეტაკი,
280	13 ზ.	ტერმინია	ტერმინია,
282	9 ქვ.	ლია.	ლია.
354	11 ქვ.	დამოუკიდებლობა;	პოზიციან;
398	9-5 ქვ.	იაფი - ძვირის საპირისს. იაფესანი - იაფი საქონელი, იაფი სასტუმრო, მდარე უბარისსო საქონელი...	იაფი - ძვირის საპირისს.: იაფი საქონელი, იაფი სასტუმრო იაფესანი - მდარე უბარისსო საქონელი...
411	19 ზ.	1996	1946

შენიშვნა. 405-ე და 406-ე გვერდებზე III თავის ბიბლიოგრაფია გადამოწილი უნდა იყოს თანმიმდევრობით - 1, 2, 3... 18.

404-ე, 409-ე და 410-ე გვერდებზე შევდივითაა გამოკრებული რამდენიმე წიგნის ბიბლიოგრაფიული მონაცემი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა





K 264.282  
3  
ՀԱՄԱՅՆՔԱՆ  
ՇՈՒՆՈՒՄՈՒՅՅՅ

ISBN 99928 70 18 4



9 789992 870181